დავით თუნდოსპირელისა
და ალექსანდრა
ჩოეშვილისადმი
სახიფათოული წერილები

დავით თუთბოსპიოელისა
და ალექსანდრა ყოფმენსიანის
სახიერთოლო წერილები

ნოემბერი მძიმე სევდებით

თბილისი
2019

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინათქმა დაურთო
ლამზირა ჩხეიძემ

რედაქტორი ***საბა მეტრეველი***

რეცენზენტი ***ნინო ხოფერია***

დაკაბადონება და ყდის დიზაინი ***გიორგი ბაგრატიონისა***

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნანი კალანდაძე, ნანა ქვაჩახია, ნანა ჩავლეშვილი

© ლამზირა ჩხეიძე, 2019

გამომცემლობა „ნეკერი“, 2019

ISBN 978-9941-479-24-3

შინაარსი

წინათქმა 5

დავით ჩხეიძე-თურდოსპირელისა და ალექსანდრა – სანიკო კრემენსკაიას სასიყვარულო წერილები 13

ფიქრები, ჩანაწერები, დღიურები 363

ლექსები 441

ფოტოარქივი 449

წინათქმა

დავიბადე თელავში. მამაჩემი, დავით ანდუყაფარის ძე ჩხეიძე, ფსევდონიმით თურდოსპირელი იყო. იმ პერიოდში ის თელავში მსახურობდა ტექნიკური სასწავლებლის ლექტორის თანამდებობაზე. დედა – ალექსანდრა ალექსანდრეს ასული კრემენსკაია ამავე ტექნიკურის სტუდენტი იყო და შემდეგ თელავსა და მის რაიონებში მასწავლებლად მუშაობდა. მყავდა ულამაზესი და ტრაგიკული ბედის ადამიანი – ბებია სოფიო ზახაშვილი-კრემენსკაია.

დედას მამა, ალექსანდრ კრემენსკი, მეფე ნიკოლოზის დროს საქართველოში არსებული პოლონური ჯარის ოფიცერი, თელავში იყო გამწესებული. ბებიაჩემი, სოფიო ალექსანდრეს ას ზახაშვილი ყვარელში მოღვაწე ცნობილი პედაგოგის საშა-ალექსანდრე ზახაშვილისა და ალექსანდრ კრემენსკის ახლობლის, სოსო თავდგირიძის, მამულში (სოფ. საცხენისი) გაუცვნია, მოხიბლულა მისი სილამაზით, მუსიკალურობით და უთხოვია, ნება დაერთოთ, სოფიო შეერთო ცოლად. პირველ ხანებში ყოფილა დიდი წინააღმდეგობები – ეროვნება, რელიგია (ალბათ). მას ჰყოლია თეთრი ცხენი და დაუქადნია, თუ სოფიოს არ მიათხოვებდნენ, ცხენიანად ალაზანში თავს დაიხრჩობდა. ახალგაზრდა ოფიცერმა შეისრულა თავისი ოცნება. ახალგაზრდები ბედნიერები იყვნენ, მაგრამ თელავში ფოსტას ყაჩაღები დაესხნენ თავს. ა. კრემენსკი დაედევნა მათ თავისი ჯარის ნაწილით, მაგრამ ბანდის მარჯვნივ და მარცხნივ ჩასაფრებულმა ყაჩაღებმა ესროლეს და მოკლეს.

ბებია სოფიო – ახალგაზრდა, ლამაზი, ბედნიერი, – უკვე ფეხმძიმედაა. თავის ოთახში წამოწოლილი სიზმრად ხედავს, რომ კარს აღებენ და შემოაქვთ კუბო. ბებია

ზარდაცემული ყვირის: არ მინდა, არა, მოაშორეთ! ამ დროს შემოდის მისი მეუღლე ალექსანდრე კრემენსკი და ეუბნება: ნუ გეშინია, ეგ შენთვის კი არა, ჩემთვისაა. სოფიოს თავზარდაცემულს ეღვიძება და სწორედ ამ დროს შემოასვენებენ მისი მეუღლის ცხედარს.

5 თვის შემდეგ, 1907 წ. 17 აპრილს (ახ. სტილით), დაიბადა დედაჩემი – ალექსანდრა კრემენსკაია. მას ჰყავდა ნათლია ალექსანდრეს მეგობარი – პოლკის ექიმი, პოლონელი სალოპი. ცხოვრება გაგრძელდა. როდესაც დედა შეიყვანეს წმინდა ნინოს „ზავედენიაში“, თელავში ჩამოსულან ალექსანდრ კრემენსკის ახლობლები სოფიოსა და ბავშვის სანახავად. ბავშვი დაუმალეს, შეეშინდათ, „არ წაგვართონო“. ბევრი ცდის შემდეგ დედას ნათესავები უკან გაბრუნდნენ, მაგრამ სად, ეს დღემდე ამოუცნობი დარჩა.

მამა – დავით თურდოსპირელი-ჩხეიძე – კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა ჟურნალისტად ნოე ჟორდანიას მთავრობაში. ჰყავდა დედა – სალომე ბაქრაძე-ჩხეიძისა, 2 ძმა – ნიკო და ბაგრატი, რომლებიც მცირე ასაკში დაიღუპნენ, მესამე ძმა – ლევან ჩხეიძე, რომელიც რევოლუციონერობდა სევასტოპოლში, და გიორგი ჩხეიძე–ქუჩიშვილი – პოეტი.

მამიკოს პირველი მეუღლე იყო ნინო ხომასურიძე. მათ შორის დიდი სიყვარული ყოფილა, მაგრამ ეს ლამაზი ქალი მალე გარდაიცვალა. მახსოვს, მამიკოსთან სეირნობის დროს მოვხვდით შენობასთან, რომელიც ტროტუარს მაღლიდან გადმოჰყურებდა. მამა შეჩერდა და მითხრა: შვილიკო, იქ, ზემოთ, ცხოვრობენ განსაკუთრებული ადამიანები, რომლებიც ცალკე არიან... და აღარ გააგრძელა (თურმე ნინო ხომასურიძეს დაემართა ეს უბედურება).

მამიკოს არქივის მომზადებისას სალომე ბაქრაძის წერილში დათიკოსადმი ამოვიკითხე: „ჩვენი ნინო აღარ არის“...

გავიდა ხანი აღსავსე განცდებით, ტრფობით, დანაკარგებით, მძლავრი ჟურნალისტური მოღვაწეობით, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით, დამარცხებით. მამას ჰქონდა ვიზა და შეეძლო, საქართველო დაეტოვებინა, სხვებთან ერთად წასულიყო სამშობლოდან, მაგრამ არა! ის დარჩა და ბათუმიდან გადაინაცვლა დუშეთში.

ისევ ჟურნალისტიკა!

გრძელდება პირადი ცხოვრებაც.

მამამ შექმნა ახალი ოჯახი. მისი მეორე მეუღლე გახლდათ ელენე მიქელაძე. ეყოლათ ორი ქალიშვილი – მზია და დალი. ცხოვრობდნენ ქ. თელავში. მამა მსახურობდა, მწერლობდა, პედაგოგობდა. თელავშივე ცხოვრობდნენ, აგრეთვე, სოფიო ზახაშვილი და მისი ქალიშვილი ალექსანდრა კრემენსკაია, რომელიც სწავლობდა და მერე მასწავლებლობდა ტექნიკურში, სადაც ასწავლიდა დავით ჩხეიძე. მოხდა ისე, რომ მამამ დატოვა ოჯახი და ისინი შეუღლდნენ. მათი ერთობლივი ცხოვრება იქცა მუდმივად სხვადასხვა სკოლაში, სოფელში, რაიონში მოღვაწეობად. მე და ბებიაც ხან სად ვიყავით და ხან – სად... თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, აწყური, ხანაც ჩემი ბებოს ახლობელთან, ოლა და საბა ხუციშვილის ოჯახში, სოფელ ახალსოფელში... სულ ვტიროდი. მინდოდა, ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ ჩემს დედ-მამას ჩემზე მეტად ენატრებოდა ერთად ყოფნა...

ბოლოს, როგორც იქნა, დავფუძნდით „ტიფლისში“, თუმცა თბილისიდანაც ბევრს მივდი-მოვდიოდით ოთხივენი. აკი მამაც წერს: „ჩვენ, ეს ოთხი ადამიანი, სულ ერთმანეთის ნატვრაში ვართ“.

დედამ ჩააბარა გამოცდები მაშინდელ „გეპეიში“ სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე და პრაქტიკებზე გაგზავნეს დონბასში, ურალში, სომხეთში...

მე, ძირითადად, მზრდიდა ჩემი ულამაზესი და უსაყვარლესი ბებია – სოფიო ზახაშვილი. ხან ოთხივე ერთად ვიყავით თბილისში, ხან ახალსოფელში წამიყვანდა, ხან – მამასთან, რომელიც რაიონში მასწავლებლობდა, ხან დედასთან – გურჯაანში.

მამა თავად მასწავლიდა, მიკითხავდა. წერა-კითხვა ადრევე დავიწყე. მამამ დამაწყებინა „დღიურის“ შედგენა. ეს ძალიან კარგი რამ იყო, რადგან მე უნდა მეწერა. როცა ერთად ვიყავით, ვეცნობოდით ჟურნალ-გაზეთებს, ახალ-ახალ წიგნებს, ფერწერას, თეატრებს (მოზარდი, თოჯინების, მარჯანიშვილის, რუსთაველის თეატრები განსაკუთრებით ზეამაღლებული თემა იყო).

გიორგი ქუჩიშვილის ვაჟი – ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე თეატრის მსახიობი იყო. კარგად მახსოვს სპექტაკლი „კრწანისის გმირები“ რუსთაველის თეატრში. მე-2 კლასის შემდეგ საკუთარი სურვილით ჩავეწერე ბიბლიოთეკაში. გავხდი აქტიური მკითხველი ჯერ ქართული ლიტერატურისა და მალე – რუსულისაც. ეს ყველაფერი დღემდე არსებობს ჩემში. მინდა ვთქვა, რომ მე-2 მსოფლიო ომის დაწყებაც, ანუ გერმანიის თავდასხმაც, ოპერაში შევიტყვეთ მე და მამიკომ. დილის სპექტაკლი იყო „ფაუსტი“, ანტრაქტის დროს გავიგეთ, რომ ომი დაიწყო და გერმანია თავს დაგვესხა.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება გაგრძელდა – სწავლა, სკოლა, სამსახურები, პურის ტალონები. მე-4 კლასში ვიყავი, როცა მამამ გადაწყვიტა, რომ წინანდალში (მაშინ მამა იქ იყო სკოლის დირექტორი და მასწავლებელი)

შევეხვედრებინეთ მანამდე უცნობი შვილები ერთ-მანეთისათვის. სამივე ვცხოვრობდით მამასთან სკოლაში. ეს სამეული ფშავშიც ერთად ვიყავით.

დავამთავრე 26-ე ქალთა სკოლა ოქროს მედლით. სწავლის გაგრძელებას ვაპირებდი დედის სპეციალობით (სამთო-საინჟინრო). დედიკო და მამიკოც კატეგორიულ უარზე იყვნენ, დავთმე და ავირჩიე თეატრალური ინსტიტუტი. ეს სრული მოულოდნელობა იყო ყველასთვის. ჩავაბარე თეატრალური ინსტიტუტისათვის საჭირო გამოცდები. ვაი, ამ გამოცდებს! რადგან ოქროს მედლით მივედი, მაინც მიმიღეს, პირობითად. ბედნიერი და შეშინებული ვიყავი. თეატრალურ ინსტიტუტში გვყავდა არაჩვეულებრივი ლექტორები, იმ დროს დირექტორი გახლდათ დიდი აკაკი ხორავა.

მამიკოს ცხოვრებაში ბევრი ღალატი იყო. ესოდენ თავგანწირული მოღვაწეობა საქართველოსათვის – ნებისმიერი მთავრობის დროს – სწავლება, განათლება, კულტურა და ცხოვრებამ პარკინსონის დაავადებაც არ დაიშურა მისთვის. თუ არ ვცდები, მამიკო ფშავში იყო იმ დროს, სკოლაში მოღვაწეობდა და იქვე ცხოვრობდა. ერთხელ, შუაღამისას, ვიღაცამ დაუკაკუნა. მამამ კარები არ გააღო. ეუბნებიან: ბ-ნო დავით, გერმანელები მოგვადგნენ, თქვენ უნდა გაგვიძღვეთ პურმარილით. იმ საღამოსვე მამას პარკინსონის დაავადება დაემართა. ამ დროს მძიმედ დაავადდა მამიკოს ძმა, გიორგი, და ჩემი ულამაზესი ბებიკო – სოფიო ზახაშვილი-კრემენსკაიაც. ორივე ადამიანი ხელიდან გამოგვეცალა.

მამა გარდაიცვალა 60 წლის ასაკში 1948 წლის 23 დეკემბერს ჩვენს დარაბაში, სადაც ვიყავით მე და დედაჩემის მიერ დაქირავებული ქალბატონი (მარტო რომ არ ვყოფილიყავი, რადგან დედა მივლინებაში იყო). მანამდე

მამამ მთხოვა, მზიასთან დარეკეო. მზია მოვიდა. დავრჩით მთლად დაობლებულები მამიკოს ავტორობით შექმნილი წიგნებითა და ხელნაწერებით. ვინაიდან ჩვენი დარაბა ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა დავით თურდოსპირელის გასვენებისათვის (დედა ამ დროს სომხეთში იყო მივლინებული. მის დაბრუნებას მოსკოვიდან ნებართვა სჭირდებოდა), ამიტომ ბიჭიკომ, გოგი გეგეჭკორმა, რამაზ ჩხიკვაძემ და მეგობარ-ახლობლებმა გადაწყვიტეს: ზამთარია – მწერალთა კავშირიდან (ამ გაყინულ ნოროს №17-დან) გაუჭირდებათ პატივის მიგება მისი ხსოვნისთვისო და მამიკო გადაასვენეს გ. ქუჩიშვილის ბინაზე (მარჯანიშვილის ქ. №4). დედა რომ ჩამოვიდა, მისაყვედურა: მამა როგორ გაატანეო?

მწერალთა კავშირმა მამას განსასვენებელი ადგილი გამოუყო ვაკის იმდროინდელ პანთეონში. მერე მზიამ თავისი მეუღლე დაასაფლავა მამას გვერდით და ახლა თითონაც იქ განისვენებს.

ერთხელ მზიამ მითხრა: ჩემთან არის მამას არქივი, მე ვერ ვახერხებ და შენ მიხედეო. იმ დღიდან შევუდექი მუშაობას. არქივში, ძირითადად, მამას ნაწარმოებები იყო. მთელი ზაფხული ვმუშაობდი მზიას სახლში და, ბოლოს, ციალა ჩხეიძის (გ. ქუჩიშვილის ქალიშვილი) რჩევით გადავწყვიტეთ, მე და დედამ, არქივი ჩაგვებარებინა ლიტერატურის მუზეუმისთვის. დიდი თავგამოდებით ვმუშაობდით, ხანდახან გვესტუმრებოდა მუზეუმიდან ბ-ნი გიორგი. ჩემი კატეგორიული თხოვნა იყო: ვაბარებთ ყველაფერს, გარდა პირადი მიმოწერისა. ასეც მოვიქეცით!

ერთხელ სახლში ვიღაცამ დამირეკა და მკითხა: თქვენ ლამზირა ჩხეიძე ხართ? აღმოჩნდა რომ ამ ადამიანს ბინა შეუძენია დალი ჩხეიძისაგან და იატაკზე ბევრი რამ

ყოფილა დაყრილი, მათ შორის – ორი სქელი რვეული. თუმცა, როცა დალის მისი დედის გარდაცვალების შემდეგ მამის წერილების შესახებ ვკითხე, მოკლედ მიპასუხა: დედამ ყველაფერი დაწვაო. იმ პატიოსანმა ადამიანმა მკითხა დავით ჩხეიძის ფსევდონიმები („თურდოსპირელი“, „სალომესშვილი“, „ტირიფი“) და გამომატანა რვეულები, რომლებიც ლიტერატურის მუზეუმს ჩავაბარე.

დედიკოს გარდაცვალების შემდეგ მივეახლე ამ წმიდათაწმიდა წერილებს. მგონია, მანამდე რომ წამეკითხა ეს მიმოწერა, საშინელი შეურაცხყოფა იქნებოდა მათთვის. დავიწყე ჯერ დედნებიდან გადაწერა, რადგან, სიძველის გამო, ფურცლები იფშვნებოდა და მათი გამოყენება შეუძლებელი იყო.

ერთხელ „ჩვენს დარაბას“, მთლად დაქცეულს, ესტუმრა უიშვიათესი პიროვნება ქ-ნი ნინო გოძიაშვილი, რომელმაც ამ მასალების მიხედვით დაწერა ზღაპრული წერილი, თან მითხრა: ამ მიწერ-მოწერამ აუცილებლად უნდა იხილოს დღის სინათლეო.

უდიდესი მადლობა და თაყვანისცემა ქ-ნ ნინო გოძიაშვილს!

მადლობა დახმარებისათვის † **ლალი ჭარბაძესა** და ნანა კეპულაძეს.

დიდი მადლობა ლიტერატურის მუზეუმის დირექტორ ლაშა ბაქრაძეს, თანამშრომლებს, მათ შორის ქ-ნ ნინო ხოფერიას. მან მუზეუმში დავით თურდოსპირელის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მშვენიერი საღამო ჩაატარა, რომელზეც რუსთაველის თეატრის მსახიობები: მერი მიქელაძე, გოგი გეგეჭკორი, ედიშერ მაღალაშვილი და ეკა ჩხეიძე კითხულობდნენ დავით თურდოსპირელის ნაწარმოებებს.

დიდი საღამო ჩატარდა სოფ. ვარდისუბანში, სადაც თელავის უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ჯავახიშვილმა ჩაატარა ზღაპრული საღამო დავით ჩხეიძისა და გიორგი ქუჩიშვილისა.

მადლობა † ციალა ჩხეიძეს, მერი და დამანა მდივნიშვილებს.

მადლობა ჟურნალისტ ნანული ზოტიკაშვილს.

მადლობა ჟურნალისტ ლაშა ნადარეიშვილს.

მადლობა მწერალთა კავშირს, რომელმაც სამი რეპრესირებული მწერლის საღამო ჩაატარა, მათ შორის – დავით თურდოსპირელისა.

მადლობა საზოგადოებრივ რადიოს ლიტერატურული გადაცემების თანამშრომლებს, რომლებიც ყოველ 26 მაისს აღნიშნავდნენ დავით თურდოსპირელის ღვაწლს ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობაში.

მადლობა საბა მეტრეველსა და გამომცემლობა „ნეკერის“ თითოეულ თანამშრომელს: პარმენ მარგველაშვილს, გიორგი ბაგრატიონს, ნანა ქვაჩახიას, ნანა ჩავლეშვილსა და ნანი კალანდაძეს!

ვაქვეყნებთ დავით თურდოსპირელისა და ალექსანდრა კრემენსკაიას სასიყვარულო ბარათების ნაწილს და არა სრულად მთელ მათს მიმოწერას, რომელიც ზღვა მასალაა. ამ წერილებში, ფაქტობრივად, არაფერი შეგვიცვლია: შევინარჩუნეთ ორთოგრაფიაცა და სტილიც. მართალია, ზოგიერთი წერილი შევკვეცეთ, მაგრამ ხელუხლებელი დავტოვეთ მათი სიყვარულის სიმფონია.

ლამზირა ჩხეიძე

რუსთაველის თეატრის მსახიობი

დავით ჩხეიძე-თურდოსპირელისა
და ალექსანდრა – სანიკო
კრემენსკაიას
სასიყვარულო წერილები

ფსიქოლოგებო, ამიხსენით, რა არის ეს?!
სიმძულვარე?
ბოროტება?
არა და არა...
ეს სიყვარულია!
სანიკო კრემენსკაია

¤ ¤ ¤

ამ წიგნში მინდა ვიწყო წერა ჩემი მტრედისფერ რომანისა. აქ მინდა სანიკოს სახელი სასოების ცრემლების მინანქრებით ავამეტყველო, მაგრამ როდის დავაღწევ თავს ყოველდღიურ წვრილმან საქმეებს, რომელნიც მქურდავენ მუხანათურად, ჩემს ჩიჩერონედ ყოველთვის ბრმა შემთხვევა ითვლებოდა ხოლმე და, როდის მომეცემა ეს შემთხვევა, რომ ლანდი მაინც ავსახო ახალი ადამიანის დიადი დროშის – სანიკოსი!

სანიკო!.. სიცოცხლევ... მინდა, შენზე დიდი, დიდი რომანი დამეწერა... მე ცალკე თავები კიდევაცა მაქვს ფრაგმენტებად დალაგებული, მაგრამ ცხოვრებაში მალე შემომაღამდა... საცაა ჩაიწვება ჩემი ცხოვრების პატრუქი...

მაგრამ საიდან დავიწყო... საიდან?! იქედან, როცა ბროწეულის ყვავილივით აყვავდა ჩემი გული, როდესაც შენ თანაგრძნობით შემომცინე?.. თუ იქიდან, როდესაც...

არა... ისე ჯობია...

აწყური

კონფერენციაა. მასწავლებლებს კალმისტრები მოუმარჯვებიათ და მე მისმენენ. ჩემს თავში მწყობრად ჩალაგებულია ფიქრები:

ლაბორატორიული მეთოდი

რა მემართება?!..

ეს სიტყვები იცვლება ჰამსუნის სიტყვებით.

მავიწყდება ჩემი გეგმა ლაბორატორიულ მეთოდზე...

მხოლოდ ჰამსუნის გმირის ენით მინდა ვილაპარაკო.

რა ამბავია?...

რად მემართება ასე?..

რად მავიწყდება...

თვალები რატომ ჩერდებიან ახალგაზრდა ქალზე, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ჩემი მოწაფე იყო, დღეს კი მასწავლებელია...

ამხანაგი კრემენსკაია!

✧ ✧ ✧

ძვირფასო ხელმძღვანელო!

მთელი ჩემი ძლიერი გრძნობით, ჩემი ცეცხლოვანი გრძნობებით გაღმერთებთ, გეთაყვანებით, როგორც ღმერთკაცს, როგორც მგოსანს... იშვიათ პიროვნებას, შემთხვევით მოვლენილს ამ წყეულ, ამ თოჯა ადამიანთა შორის...

უსპეტაკესი და ფაქიზია ეს ჩემი თაყვანება, მარა უძლიერესია.

მიიღეთ ეს ჩემი გრძნობანი, მიიღეთ მადლობად ჩემდამი თქვენი ასეთი განწყობისათვის.

ბევრჯერ მოუწამლავთ ჩემი სულიერი ცხოვრება, ბევრჯერ შხამში მოუდაღავთ ჩემი გულუბრყვილო მინდობა, ჩემი ღრმა რწმენა გაცრუებულ იმედებისა, რამდენჯერ დამემსხვრა რწმენა „მეგობრობისა."

სული დამიცარიელდა. ვიგრძენი ცხოვრების საშინელი არარაობა, საშინელი სიცარიელე.

გული გამებზარა, საშინელი, შიშველი სიცრუის წინაშე როცა დავდექი. ვფიქრობდი, ნუთუ ცხოვრებას არა აქვს სილამაზე, ნუთუ საშინელი, გამყინავი, გამთოშავი სიცრუეა ის ეშხი, ის მიზიდულობა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ ცხოვრებაში...

ნუთუ არ არსებობენ ქვეყნად სპეტაკი სულის... ადამიანები?!

მაგრამ, მაინც მწამდა, მწამდა რაღაც... რაღაც საიდუმლო ხმა მიკარნახებდა, რომ არსებობენ სულით სპეტაკნი, ცეცხლოვანი გრძნობების, ზღვა გრძნობების მატარებელნი, რომელთათვისაც არსებობს სახელწოდება – ადამიანი.

მე არ მინდოდა, არ შემეძლო დამეჯერებინა, რომ ქვეყნად მხოლოდ ეს სულით აშმორებული, გრძნობებით აობებული ხალხია, რომელთაც მე შემაძულეს ცხოვრება და სიცოცხლე.

მე ველოდი... ლოდინის წუთებს იმედის ძეწკვზე ვკინძავდი და... აგერ შევხვდი.

შევხვდი ადამიანს ჩემი ცხოვრების ახლად ფურჩვნაში...

სახტად დავრჩი, გავქვავდი, როდესაც ვიხილე სული ამ

პიროვნებისა! რა მარგალიტები, რა ძვირფასი თვლები, რა ყვავილები და რა სითბო და სინათლე არ მოიპოვებოდა ამ უსაზღვრო, უხილავ არეში... არა, არა და ათასჯერ არა...

ასეთი სპეტაკი სულის, ასეთი ფაქიზი, ცეცხლოვანი გრძნობების პოვნა, ცხოვრებაში ყოვლად შეუძლებელია.

სიკეთეს ჰარმონიული შეთანხმება უპოვია – ესაა ის უშრეტი სათნოება, რომელშიც გაფურჩქნილა რაც კი რამ ქვეყნად მაღალი და სპეტაკი არსებობს...

ახ, რა დიდი, რა საშინელი ცოდვაა, ადამიანი ეწოდოს თურდოსპირელსაც, დავით თურდოსპირელსაც და სხვა-თაც, დანარჩენებს...

გამახსენდა ერთი მომენტი, რომელიც აწერილი მაქვს ასე:

თეატრის სცენის წინ ხავერდის ფარდაა. ეკრანზედ ასალტულიყო ვით ქანდაკება სათაყვანო, დიდების კვარცხლბეკზედ, ამართულიყო ვით უსულო ქანდაკება, სადაც თილისმის მატარებელი იყო უძრავი რამდენიმე წუთს, მარა მეტყველებდა ასეთი მომენტი იმდენს, რამდენსაც ვერ იტყვის რამდენიმე წელი.

მასში იყო რაღაც უჩვეულო ძალა, მასში იყო ნაპერ-წკალი, ზეცით ანაკვესი და უცებ ამ ქანდაკების თავს ზეცით შთაებერა სული, უცებ თითქოს რაღაც მაგიური ძალით, მისი არსება გაცოცხლდა... და ამეტყველდა მისი ბაგე.

ადგილზე მიმაჯაჭვა, სუნთქვა შემიჩერა, მომაჯადოვა მისმა მეტყველებამ.

უცნაურის ეშხით სუნთქავდნენ მისი სიტყვები, უცნაურად ჰკვესდნენ მისი თვალები, უცნაურად მეტყვე-ლებდა მისი ყოველი მოძრაობა და... იფრქვეოდა დარბაზში მისი მშფოთვარე უხვი ტალღები...

ახ, რა საშინელი, რა განუზომელი ზღვარი იდო მასსა და სხვათა შორის... როგორ შორს იდგა იგი ამ ადამიანებიდან, ამ ერთგვარ სხეულთა კრებულიდან, რომელთაც გალელეჩებიათ სისხლი, ამჩატებიათ გონება, აშმორებიათ სული... აჰყოლიან ცხოვრების ზვირთებს... იგინი კი არ ცოცხლობენ, დამზრალნი არიან, გაყუჩებულნი და მხოლოდ იმით განირჩევიან მკვდართაგან, რომ სჭამენ და სუნთქავენ.

იგი კი, იგი სულ სხვაა.

იგი ის იშვიათი ადამიანია, რომლის მსგავსებს ცხოვრების მშფოთვარე ზვირთები იშვიათად თუ ახეთქებენ.

იგი შეერთებაა ცისა და მიწის... შეხამებაა ციური სიტურფისა და მიწიერი მშვენებისა...

იშვიათია, იშვიათი, არა სხვების მსგავსი... იგი ადამიანია არა ჩვეულებრივი... იგი ზეკაცია მოვლინებული თითქოს შემთხვევით ამ ხალხთა შორის...

მას თავის ძლიერ არსებაში გადაუდუღებია მრავალი მომენტი. მისი სული მიუწვდენელ სიმაღლეზედ აუწევიათ მისი ცხოვრების ფერად, მრავალ სახეთა.

იგი განიცდის ისე, როგორც არავინ, ვინაიდან მისი სული მგრძნობიარეა – სპეტაკია. მას გულს უწყლავს, სულს უდაღავს ამ ქვეყნის ბოროტება და ხალხთა ამაოება, როგორც არავის, ვინაიდან მისი გული ზღვაა უზარმაზარი, უნაპირო, უსპეტაკესი გრძნობებისა.

თურდოსპირელის სულია ის ანამსხვრევი პოეზია აპოლონის ლირიდან, რომელსაც ვერც როგორი მეტყველი ენა ვერ მიუძღვნის ღირსეულ შეფასებას, რომელსაც თაყვანს უნდა ვცემდეთ, უნდა ვლოცულობდეთ.

მე ჩემი სული ავალაპარაკე ამ ქაღალდზედ და

მომიტევეთ, თუ ვერ მოგიძღვენით ღირსეული თაიგული გრძნობათა ყვავილებისა სუსტ სიტყვებში აკინძული.

პატივისცემით სანია კრემენსკაია
31/X-27 წ. თელავი

¤ ¤ ¤

კარგო, კარგო სანია!

აი, წინ მიდევს თქვენი ეპისტოლე... ვკითხულობ... ეს ნუგბარ სიტყვათა ფრქვევა, გრძნობათა წვა, ეს შემჭევრება – მართლაც და, რჩეულთათვისაც კი დასანანია. მე, აბა, ვით დავიმსახურებდი მასა და მიკვირს... მითხარით, გამაგებინეთ, მას მაინც რად არ ვღებულობ შეურაცხყობად? რაც გაზვიადებულია. ის არ წარემართება, ვითარცა ნისლი მთებისაკენ და მე კი მაინც არა ვშმაგობ, არ გემდურით... პირიქით, ხავერდის შრიალით მინანავებენ თქვენი სიტყვები... იების სიცილით მეალერსებიან, თუმცა, იმავე დროს, თვალები მიცრემლიანდება და ვჩივი: ან რატომ, რატომ იოტის ოდნავ მაინც არა ვარ ის ღირსეული, რჩეული, რომელიც დაუსახნია სანიას მდიდარ ოცნებას.

ერთში კი გეთანხმებით, მე არა ვგავარ მეშჩანურ ცხოვრების ქაოტიურ ყოველდღიურობაში ამოთართლულ თოჯებს – თქვენი თქმით. ისინი გამაძღარი არიან თავიანთი პატარა ბედნიერებით, – კაცუნობით... მე კი მხიბლავდა გაუკვერავი ბილიკები, მარმარა წვეროკინები, რევოლუციის მარჯნის სიცილი.

თქვენა სჩივით მსხვრეულ იმედებზე. აქაც გენათესავებით, ჩემს წარსულში აუარებელი კუნძულებია

გადამწვარ-გადატრუსული მდელოების, გადამსხვრეულ ანძებისა. იმ განსხვავებით, რომ თქვენს წინ ლამაზი, ვრცელი გაზაფხულოვანი სიცოცხლეა, ახალგაზრდობაა და ახალ იალქნებს ააფრიალებთ თქვენი მდიდარი ცხოვრების მტრედისფერ ოკეანეში.

მე კი... აი, გავიყურები გარეთ, ბაჯაღლო ოქროსავით ცვივა შემოდგომის ყვითელი ფოთლები, ასევე, ცვივიან ჩემი ცხოვრების ნავრუზობის დღენი. თქვენ ამბობთ, კაცთა სიავემ მომინისლა გრძნობათა კამარებიო... შეიძლება, მაგრამ თქვენს გულში მაინც კაშკაშებს ჯანსაღი, ოქროს მგზნებარე მზე... და ნისლები გარბიან. რა ვუყოთ, რომ ჯერჯერობით თქვენ ვერ შექმენით არაბეთის ზღაპარსავით მდიდარი ცხოვრება. რაკი თქვენში სურვილია, შეძლებთ კიდეც. მგონია, სადღაც წავიკითხე: ბედნიერება წარსულშია ან მომავალში, აწმყოში იგი არ არისო.

თქვენ უეჭველად გექნებათ ასეთი მომავალი, ვინაიდან თქვენ ღირსი ხართ მისი! მე ბევრი მიფიქრია თქვენზე და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ბევრ ესკიზებში ბუნება სცდის თავისთავს, ვიდრე შესთხზავდეს ორიგინალს. თქვენ გამოხვედით ბუნების სახელოსნოდან ასეთი განუმეორებელი ორიგინალი! თქვენ ლირიკული დამღერება ხართ! ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, რომ თქვენს მოსასმენად ძნელად თუ ექნება ვისმეს მგრძნობელობა გამახვილებული. თქვენ ეს თითქოს ალღოთი გიგრძნიათ და მიგიმართავთ იმათთვის, ვისაც ყველაზე მეტად შეუძლია თქვენი გაცნობა. მე აქ ბალღობას ვგულისხმობ... მათი მასწავლებლობა გიკისრიათ.

ამ ორი ათასი წლის წინეთ ცხოვრობდა ადამიანი, რომელსაც კაცობრიობის ცრემლებს ეძახდნენ. იმასაც ბავშვები უყვარდა და თქვენც და თქვენც ამ ბედნიერების

მაღაროსთვის, ბავშვების გულებისთვის მიგიმართავთ. მე ვადევნებ მათ თვალს, როცა თქვენ დაგდევენ ხელშემოხვეული, მოალერსენი და მაინც ვფიქრობ, თქვენ ისევე მომწყვდეული ხართ ვიწრო და უსახურ ცხოვრებაში, ისევე ოცნებობთ მზიურობაზე, როგორც – თქვენს ფანჯარასთან ჩამწკრივებული ყვავილები, რომლებიც თრთოლვით გაიყურებიან მზისკენ.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოვუსმინე ყველაზე განთქმულ პიანისტს რუსეთის თეატრში... გამოვიდა იგი, შეახო თითები კლავიშებს და ამოფრთხიალდა იქიდან ღრმა და სათუთი გრძნობათა გედი. ამოფრთხიალდა, გაფრინდა სადღაც ზევით, მას დაედევნა ჩემი ფიქრები. თქვენ უეჭველად უნდა მოიკრიფოთ ძალღონე – გაფრინდეთ უნივერსიტეტისაკენ. მწამს, მჯერა, თქვენი ნიჭი იქ იპოვის თავის გზებს, ეზიარება იდეალების ცხრაწყაროებს, დაამთავრებთ უნივერსიტეტს და შეიქმნით მდიდარ ცხოვრებას. ამის თავდებია თქვენს ბუნებაში დაუნჯებული ნიჭი, გრძნობა, გატაცება, განცდა.

თქვენმა წერილმა მე ამაკასკასა. მიუხედავად იმისა, რომ მასში დახატული პიროვნების, ზე-კაცის აჩრდილს ძლივს წარმოვადგენ, მაინც ჩემი სული ტკბილი სევდით აივსო... აი, მე ვათავებ წერილს. მგონია, ოდინდელი ახალგაზრდა ამოფრინდა ჩემი დღევანდელი არსებიდან და მივფრენ ვარსკვლავებისკენ. მით უფრო თქვენ გაინავარდებთ თქვენი მომავლისაკენ...

დარჩით, დარჩით ეგეთი კარგი, არა, კიდევ უკეთესი, უფრო მფრქვეველი გახდით განცდათა, დიად განცდათა სხივიერებისა!

თქვენი გამარჯვების გულწრფელად მსურველი

დავით ჩხეიძე.

აი, მე ბევრჯერ გადავიკითხე თქვენი წერილი, მინდა არც ის თავდებოდეს და მე განვაგრძო წერა:

დღეს მე სიმღერა მომწყურებია
და რაც სიხარულს გულში ვატარებ,
მას ვერ გამოვთქვამ ღარიბ სიტყვებით.

ნეტავი თქვენა, ნეტავი თქვენა, ნეტავი თქვენა! და მე მიხარია, რომ თქვენი სულის მონათესავე ადამიანად გიცვნივართ. გაცილებით ძლიერი ხართ... გაცილებით... თქვენ ჰიმნი ხართ, ტკბილი ჰიმნი კარგი ადამიანობისა. მეტერლინკის „ლურჯ ფრინველში“ არის ერთი ადგილი, სადაც ერთი მოქმედი პირი ეუბნება მეორეს სიტყვებს ერთსა იმავე დროს ნაზს, სათუთს და, იმავე დროს, – ცრემლოვანს, კაეშნიანს, ნაღვლიან ჰიმნსავით შემრხევს. ის სიტყვები მაგონდებიან თქვენი წერილის კითხვის დროს. ის სიტყვები ზეპირად მახსოვან.

იყავით, იყავით გამარჯვებით, ჩვენო ენთუზიასტო, გრძნობის ჯავარო სანია!

პატივისცემით
დავით ჩხეიძე
თელავი 1/ XI–27 წ.

იშვიათო ადამიანო, უბადლო სანია!

ჩემი ცხოვრების წლები მიჰქროდნენ, როგორც საბედისწერო შავი წეროების ნაღვლიანი ქარავანი და ჩემს მიუღწეველ მწვერვალებზედ ჰქვითინებდნენ... ჰქვითინებდნენ. ხანდისხან, ხანდისხან მომაგონდება, რომ მარად ასე არ ყოფილა; გამახსენდება, რომ

ოდესღაც ლამაზ ოცნებით ვიზრდებოდი; ჩემს თავს ვალაღებდი იმ რწმენით, რომ შემხვდებოდა მაღალი იდეის მეორე, ბრწყინვალე სულის ადამიანი... ის დაინახავდა ჩემი სულის კდემას, იგი მომთხოვდა ანგარიშს, თუ როგორ ვატარებდი ჩემს ცხოვრებას, რას მივაღწიე და მე გადავუშლიდი ჩემს ცხოვრებას – ჩემი გულის თრთოლვისაგან მომინანქრებულს; ვუამბობდი, გავახარებდი იმ ამბით, რომ მე მარად მასზე ვოცნებობდი და მისკენ მივაქროლებდი ჩემს ხომალდს. სასოებით ვაღაღანებდი გულის ყვავილებს. მწამდა, იგი მოვა და მოჰკრეფს ამათ. ვიღაც მართლაც მოვიდა, მაგრამ ის ყვავილები ვერ დააფასა და დასჭკნენ... და მოიმზღვლა სასოების კოშკები... მოჰყვა ნანგრევთა შორის სული მეოცნებე, სული მლოცველი იმაზე, ვისაც მოელოდა სასოებიან გულისა თრთოლვით... მე ყოველთვის ქვითინი მესმოდა, – ეს ხმები ჩემი სუდარა იყო, რომელიც იმ ღორღებიდან შემომღაღადებდა.

და ახლა ვხედავ, ვინმე დიადი და წარმტაცი დადის ამ ნანგრევებში, დადის იგი ისეთი სასოებით, თითქოს ეს ადამიანი კი არაა, არამედ ზამბახს უსწავლია სიარული და ის მიმოფრინავსო... დადის ეს არსება და სათუთად, სათუთად ათვალიერებს... მგონია, ბელტებს ეჭიდება, რომ გადააცალოს, რომ გამოიყვანოს ნანგრევებიდან... და მე მიხარია, მიხარია და მეშინია ამ აღდგომისა... მიხარია იმიტომ, რომ სულს სწყურია სიცოცხლე, რომელსაც იგი დანატრულებულია... სიცოცხლე სულ სხვაგვარი. მაგრამ იმისი მეშინია, რომ სული დაზიანებული იქნება ბელტებისგან... ჟამთა ვითარება მას დააზრობდა... აი, ეს ფიქრები ტრიალებენ ახლა ჩემს თავში, კარგო სანია და მე არ ვიცი, ბედნიერი ვარ თუ უბედური... ეს კი ვიცი,

რომ ახლა, ამაღამ, მე არ დამეძინება. არ დამეძინება მე და არც თვით ღამეს დაეძინება... იგი იქნება ჩემთან და მიამბობს იმ უამრავ ცრემლებზე, რომელნიც ჩემი წარსულის სვეტებად ავღმართე ჩემი მოგონებების უდაბნოებში...

მე დიდი ხანია გადავეჩვიე კარგი, თბილი წერილების მიღებას. აღარც კი მახსოვდა, თუ რა არის ალერსიანი წერილი. თქვენ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გამანებივრეთ თქვენი სულის ფსალმუნებით და ახლა მე ვიტანჯები, რომ აღარა გრძელდება იგი... მე თვალები მიტრიალდება მისი ლოდინით, მაგრამ განა ჩემთან არ არის ის მიხაკი, რომელიც თქვენ გამოაფრინეთ ჩემსკენ, როგორც ლოენგრინის ძვირფასი გედი?! ასე მგონია, ამას ლაპარაკი შეუძლია... მე მგონია, იგი უეჭველად ხმას გამცემს, რომ დაველაპარაკო, მაგრამ მაინც ვერა ვბედავ... ვერას ვეუბნები... რადგან... რადგან... ეჰ, რა საჭიროა თქმა... მე მხოლოდ ვუყურებ მას და მინდა, ეს ყურება მან გაიგოს, როგორც უბრყვილო და უნაზესი მეგობრის შეალერსება...

რომ იცოდეთ, როგორ მინდა ვიყო ახლა თავისუფალი ჩემი ყოველდღიური დამქანცავი მოვალეობისაგან და შევუდგე დიდი, დიდი რომანის წერას. ოო, ახლა მე გარემოება არ მიწყობს ხელს, მაგრამ, მაინც, მაინც უნდა როგორმე დრო ვიხელთო და შევამჭევრო ის ძვირფასი სახელი, რომელსაც ჰქვია... იმ რომანში გამოვიყვან მის სახელს და მაშინ გაიგებთ.

მე არასოდეს და არაფრისა არ მშინებია და ახლა რადა თრთის გული უჩვეულოდ?! ნუთუ მე საწყენს რამეს ვწერ?!

იცით, კარგო სანია, რა გითხრათ?! ხომ არასოდეს ეწყინება მადონას, თუ მას სასოებით დაუწყებენ

შეფრქვევით შემკობას. მაშ, ნურც თქვენ იწყენთ! განა მე დამნაშავე ვარ იმაში, რომ ჩემმა ბელტებქვეშ მომზღვლეულმა გულმა იგრძნო თქვენი მომხიბლაობა და გაითრთოლა, გაიბრძოლა აღმოსავლეთის შუქურას კაშკაშით დასატკბობლად... ახ, ნეტავი, ნეტავი კი არ გაწყინოთ თქვენ ამ სიტყვებმა. აი, ჩემი სიტყვების თითოეული ასო, ნაბნაბით, კრძალვით მოგდევთ თქვენ და გეხვეწებათ, ნუ დაგვემდურებით... გული გაილია ცხოვრების დღეთა შავი წეროების ნაღვლიანი ქარავნის მზერით და თქვენ რად უნდა იწყინოთ, თუ ცრემლოვან თვალებს ახლა თქვენ დაგადევნებთ... ხომ ვერ დაგეწევიან, რისა გენაღვლებათ!

მარადის თქვენი ბედნიერების მსურველი
დავით ჩხეიძე
14/XI–27 წ. ღამის 12 საათი

✧ ✧ ✧

თრთოლვით გამოგიწოდეთ ხელი წერილის მისაღებად, მოკრძალებით შევეხე მას და უკვე იგრძნო, იგრძნო ჩემმა გულმა, რომ იმ წერილიდან მოდიოდნენ უცხო ძალის სხივები. იმ წერილიდან იფრქვეოდნენ გრძნობის უბადლო მარგალიტები, რომელნიც ჩემს სულს, ჩემს ცხოვრებას მოჰკირწყლავდნენ ლამაზი, მომხიბლავის ბედნიერების ცრემლებით.

მართალია, წერილი კლასშივე გავხსენი, გავშალე, გულმა არ მომითმინა (ქალის სულსწრაფვა მახასიათებს, ალბათ, აქ), მაგრამ ვერ წავიკითხე. არა, მე არ მინდოდა ეს წერილი, ეს ჩემი ბედნიერების სალარო წამეკითხა იქ,

როდესაც, ოოხ, ჯოჯოხეთის წამებავ გონება სხვა მხარეს – გაკვეთილებისკენ უნდა მიმემართა.

ბ-ნო დავით, ძვირფასო, უბადლო ბ-ნო დავით! რა ენერგიის, რა თავშეკავების, რა ნიღბის მონახვა არ დამჭირდა, რომ მე განმეგრძო გაკვეთილის მსვლელობა იმ დროს, როდესაც ხელში მეკავა თქვენი წერილი, თქვენი სულის მეტყველება...

რას არ მივცემდი, რას არა, ბ-ნო დავით, რომ იმ წუთში გავფრენილიყავ შორს, შორს იმ ადგილიდან, გავფრენილიყავ სადმე მივარდნილ, მიყრუებულ ადგილას და იქ მიმეცა საზღვარი ჩემი ცრემლებისთვის, რომელნიც, არ ვიცი, როგორი, სახელი ვერ დამირქმევია, როგორი გრძნობების წვეთებად გადმოიფრქვეოდნენ...

მოვედი სახლში, გადავშალე თქვენი ნაწერი კი არა, თქვენი წუხანდელი ღამე და... ვქვითინებ, ვქვითინებ, ძვირფასო ბ-ნო დავით... ვეღარ ვხედავ სტრიქონებს, რომ ვწერო...

რატომ თვალები ცრემლებს აფრქვევენ, რატომ, როდესაც გულში ესოდენი სიხარული, ასეთი უსაზღვრო ბედნიერება აროდეს ყოფილა!

არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ვიცი: ვიცი, რომ ახლა მე ვეზიარე იმ მაღალს, ისეთ მაღალს, რომ ვერავისი გონება ასწვდება მაღალს განცდებს.

აქ, ბ-ნო დავით, აქ ვარ, ოთახში, ჩემს პაწია ოთახში ჩაკეტილი, მაგრამ ჩემი სული არა! მარტო ჩემი კი არა დაჰფრინავენ მაღლა, მაღლა უხილავ, სხვებისთვის უხილავ ნეტარ არეში, იმ არეში, რომელიც იშვიათების საკუთრებას წარმოადგენს, რომელშიც ნავარდობს, რომელშიც გაბნევა მხოლოდ ზოგის, იშვიათების სულს შეუძლია.

ამიცხადდა დიდი ხნის სიზმარი... ჯერ კიდევ წინეთ,

როდესაც არც კი გიცნობდით, მე ვგრძნობდი, რომ ეს ზეკაცი, ეს სიწმინდის, სისპეტაკის ემბლემად მოვლენილი პიროვნება... იყო. იყო სადღაც... მე იმისკენ ვილტვოდი, ჩემი სული ყოველთვის მას დასდევდა.

მე მიყვარდა და მიყვარს კიდეც სასაფლაო... და... ჩემი ფიქრების მესაიდუმლე, ჩემი მოხეტიალე სულის კვნესისა და ძიების მოწამე მხოლოდ საფლავის მიდამო იყო.

მოლოდინის წუთები გათავდნენ... ჩამოითვალნენ... მე ვხვდები, მე ვებაასები, მე წერილსაც კი ვიღებ და ყურადღებას ვიქცევ იმ იშვიათი ადამიანისას, რომლის ადგილი აქ, ამ შმორში და წუმპეში, ალბათ, შეცდომითია, შემთხვევითია... არა, არა... იგი, ალბათ, რომელიღაც უცხო, უცნობ ადგილის შვილია და გადმოტყორცნილი აქ, ჩვენთან, იმიტომ, რომ, აი, დაინახეთ „ადამიანი“... ჩაიხედეთ თქვენს სულში და შეძრწუნდით! თავზარი დაგეცეთ, როდესაც შეადარებთ თქვენს გაშავებულ სულს, თქვენს ჭუჭყიან გრძნობებს მის სპეტაკ სულს, უცხო და ნეტარ ფერებად ფურჩქვნილს...

ხვალ შორს ვიქნები, შორს ამ სკოლიდან. ვიქნები ტყეში ხეების ძირში, შემოდგომის ქარვებში გახვეული, მაგრამ... ყველაზე ახლოს მე ვიქნები იქ, თქვენი „წუხანდელი ღამით“... თქვენი სულის ნაწილით...

განა დასაძრახისია ეს?!..

მაგრამ, ავი სულები, ოოხ, ისინი ამას სულ სხვაგვარად გაიგებენ... ისინი დაალაქავებენ, ისინი ეკლის გვირგვინით შემოსალტავენ, ისინი ნაღველს გადაანთხევენ ჩემი სულის წვას, მის კვესებას... მაგრამ, დაე, ასეთი ადამიანები ჩემთვის არ არსებობენ... და არც იარსებებენ, მე არა მწამს ზოგიერთი მათი სულელური კანონები, მე არც მეშინია ბრბოს ხარხარის... მათი ჩაქოლვის! მე ძლიერი

ვარ მათზედ ჩემი ფაქიზი, სპეტაკი გრძნობებით. ძლიერი ვარ იმიტომ, რომ ჩემთან არის თქვენი სული.

მე დღეის იქით აღარას დავეძებ, აღარას ვნაღვლობ, არაფერზედ ვსტირი...

მე ვეძებდი და ვიპოვნე ის, რასაც ფასი არ დაედება, რასაც ვერავინ სხვა ვერ იპოვნის, გინდ მოიარონ კიდით-კიდე... გადალახონ მთელი სამყარო...

ჩემი სული მოშორდა ყოველდღიურ ცხოვრების სიყალბეს – უმსგავსობას და გადაფრინდა სამუდამოდ იქ... სხვაგან... ახალ ქვეყანაში, რომლისკენ გზა უჩვენა თურდოსპირელის მგზნებარე სულმა, რომლისაკენ გაიტაცა, ფრთები შეასხა ძვირფასი მწერლის გრძნობებმა.

დაე, აეხადოს საიდუმლოებას ფარად, სულის შფოთვასა და ტორტმანს!

დაე, დაინახოს თურდოსპირელმა, რომ სანიკოს ნაზი, მაგრამ მძლავრი გრძნობები, გადასკდა კიდეებს, დაამსხვრია კიდეეები... და.... მჩქეფარე გულში დაგუბებულმა სისხლმა გადალეკა კიდეები... გაიბნა ბ-ნ დავითის ირგვლივ, მისი ბედნიერების სადარაჯოდ... მისი სულის თანამგზავრად... მისი სულის გარს შემოსავლებად – შემოსაფრქვევად.

ახ... გაცილებით მეტის, მეტის და სხვანაირად მინდა ლაპარაკი... მაგრამ, მე ხომ თქვენსავით... არც ქვითინი და არც აკასკასება არ შემიძლია...

მინდა მოგბაძოთ... მაგრამ განა შეიძლება თქვენ ვინმემ მოგბაძოთ?..

თქვენ ხომ ორეული არ მოგეპოვებათ, თქვენ ერთი ხართ აწი და სამუდამოდ, ასეთი უბადლო – შეუდარებელი და მე, თქვენი მოთაყვანე მაღმერთებელი.

პატ-ით სანიკო კრემენსკაია
15/XI-27 წ.

¤ ¤ ¤

ჩემი საათი გაჩერებულია, მგონი, შუა ღამეზე მეტია.

ვკითხულობ ახლა თქვენს უსტარს, მეგობარო სანია, და მე ჩემი თავი მიმაჩნია იმ დიდ, უპატიებელ დამნაშავედ, რომელმაც მოიპარა ბედნიერება და გამოიმწყვდია თავის გულში... მიმაჩნია უპატიებელ დამნაშავედ, რომელმაც მოგტაცათ თქვენ სული და არ ვიცი, მე ვინაღვლო ჩემი ასეთი კადნიერება თუ, ვიხარო, ვინეტარო. მე შიშით ველოდი თქვენს პასუხს, მეშინოდა, ვაითუ, სანიას სათუთ სულს მსუსხავ ქარად წამოუბეროს ჩემი სულის აღსარებამ-მეთქი... თქვენ, როგორც იქნა, ბინდისას გადმომეცით წერილი და მე შემეშინდა, უარესად შემეშინდა მისი წაკითხვის. არ ვიცი, რად მეშინოდა, იმისთვის, რომ თქვენი იქნებოდა, თუ იმისთვის, რომ თქვენს სამეგობრო ხელს ვიგრძნობდი ჩემსკენ გამოწვდილს. გავხსენი, წავიკითხე..... ახ, რა სიმდიდრეს წავაწყდი... რა მაღაროებში ჩავიხედე! იქ, ბრწყინვალების კვარცხლბეკზე, სდგას სანია, მიქნევს ხელს და მეუბნება, რომ მთელი ეს სიმდიდრე ჩემია, ჩემი... მე მეკუთვნის... რას ამბობ, კარგო, მშვენიერო სანია, რას ამბობ!

მშვენიერება მარად უშურველია, მაგრამ ვისთვის იმეტებ... განა მე ამდენს ბედნიერებასა გთხოვდი? მე მინდოდა, მხოლოდ თქვენს მეგობრად გგულებოდით, შორი ალერსით, შორი შეხებით სულისთვის წამომექროლა მალხინებელ სიოდ.

თქვენ კი, აი, თქვენ გადაგიშლიათ თქვენი მდიდარი გული და მიწვევთ. ახ, მეგობარო, კარგო მეგობარო, მე თქვენი მეგობარი ვარ ხომ, ხომ ჩემო სანია, მე ხომ თქვენი მეგობარი ვარ?!... და ეს თქვენი მეგობარი – მე, დავით ჩხეიძე, ვეუბნები იმ თურდოსპირელს, იმ

ჩემს ორეულს – თურდოსპირელს, რომელსაც თქვენ ეგეთის შარავანდედით მოსავთ: რას სჩადი, კაცო, რასა?! სანია უნიკუმია, სანია განუმეორებელია, სანია ახალგაზრდობის სახიერებაა, ის აღმოსავლეთიდან უნდა ჰკრებდეს ბედნიერების ყაყაჩოებს, რას იხმობ მას შენსკენ... შენ შემოდგომის გაცრეცილი ასტრების მეტი ხომ არ გაბადია?!... და ჰქვითინებს, ჰქვითინებს. იგი მიმხვდარია, რომ ღირსი არ არის სანიასი. სანიამ გაზაფხულის მერნებით უნდა გაქროლოს ბედნიერების მდელოებისაკენ. რა მძიმეა ამის შეგნება, ვაგლახ, რა საშინელებაა იმის გაგება, რომ შენ გიყვარს ადამიანი მაშინ, როდესაც გამძიმებს 39 წელიწადი. 39 მძიმე, ტანჯვით და ქარიშხლებში გამონამსხვრევი წლები... და ახლა ეს ორეული – დ. ჩხეიძე და თურდოსპირელი იჩოქებს შენს წინ, ძვირფასო სანია, და შემოგღაღადებს: მოგვეცი ნება, რომ მხოლოდ ვილოცოთ, ვილოცოთ! მოგვეცით ნება, რომ მხოლოდ ვეამბოროთ ნაკვალევს... ისე კი შენ ნუ გეწყინება სანია, შენ ბრმა ხარ... შენი ლამაზი სული ამ აზრ-ფუყა და ფშუტაგრძნობიან ადამიანთა შორის ვერ იზეიმებს. დაგნატრულდა, გწყურია სულის სწორი... შენ მას როგორ ჰპოვებდი ამ ქალაქუნაში. ამ დროს შეხვდი ადამიანს, არა ვმალავ, მდიდარი გრძნობების პატრონს, მაგრამ... მაგრამ დრო-ჟამმა ყაჩაღების სივერაგით გაქელა იგი, დრო-ჟამმა იგი გააპარტახა... მისი სულის გამოქვაბულში დარჩა მხოლოდ მისი ობოლი, დაღლილი გული და ეს რას შეძლებს?! შენ ისეთი ყვავილები გინდა, რომლის მსგავსი საუკუნეში ერთხელ თუ გაიშლებიან... მე ვიყავი ოდესღაც მდიდარი ამ ყვავილებით, მაგრამ, მეგობარო, არ შემხვდი თავის დროზე, არ შემხვდი და ახლა რა ვუყო, შემოდგომამ დამიჭკნო იგი.

ძვირფასო მეგობარო, სწორედ იმაში მდგომარეობს ადამიანის ტრაგედია, რომ ერთმანეთს ვერ პოულობენ. იმ დღეს მეტერლინკის პიესას რომ ვახსენებდი – შენ როცა გხვდებოდი-ხოლმე მუდამ ის პიესა მაგონდებოდა... მე მინდა სანია, მე და თქვენ ის პიესა ერთად წავიკითხოთ და სცენაზედაც ვნახოთ... იქ შემდეგი სტრიქონები ბევრს მანაღვლიანებენ: მომავალ, ჯერ დაუბადებელ საუკუნეების სამეფოში სწარმოებს მოქმედება. იქ ჟამი – ცივი და გოროზი – სდგას და გზავნის მომავალ ადამიანებს ქვეყნად, მაგრამ ისეა საქმე, რომ ზოგი ადრე უნდა დაიბადოს, ზოგი – გვიან... არჩევანის უფლება არავისა აქვს და ორი მეგობრიდან ერთი ადრე უნდა დაიბადოს, მეორე – გვიან... ემშვიდობებიან ერთმანეთს ქვითინით... პირველი შეყვარებული სასოწარკვეთით ხელს გაუშვებს მეორეს და შეჰღაღადებს: თუ ჩვენ მაინც როგორმე შევხვდით ქვეყანაზე, ნიშანი, ნიშანი მითხარი, როგორ გიცნოვო... მეორე მიუგებს: ჩემი ნიშანი ის იქნება, რომ ყოველთვის მეყვარებიო... პირველი უდასტურებს: ყველაზე მწუხარედ სევდიანი მე ვიქნებიო, იქნება ამით ვიცნოთ ერთმანეთიო... მაგრამ მე რომ ეს არ მანუგეშებს?!... ჩვენ ვიცანით კია ერთმანეთი, მაგრამ, ვაი, რომ მეტად ადრე მომინდა მე ამ ქვეყნად მოსვლა, თქვენ კი შეგიგვიანდათ... მრავალი წლები აშორებს ჩვენს გულებს...

ეხ, დავანებოთ ამას თავი... ის ულმობელი დრო მე არას ჩამომაცლის და თქვენ არ მოგიმატებთ წლებსა.

სანია, კარგო, აი, ვკითხულობ თქვენი სულის ელეგიებს, პოემებს და მიკვირს: თქვენ სრულიად არაფერი იცით ჩემი ცხოვრებისა. მე იმდენი რა ვიცი თქვენი ვინაობის და დახეთ, მაინც როგორ შეგეთვისათ ჩემი სული. ბევრჯერ წამიკითხია, ძნელია ერთმანეთის გაგებაო. ამაში მე

ცხოვრებემაც დამაჯერა და რას ვიფიქრებდი, თუ სანია მე შემომაფრქვევდა იმდენს ალერსსა და სითბოს... მე, როცა შენი წერილი წავიკითხე სანია, უმალ გამოველ გარეთ და თელავის ქუჩებში დიდხანს ვიარე. მეგონა, შენ შეგხვდებოდი... ახ, როგორ მენატრებოდა შენთან სიარული, შენი თვალების კვესებით დატკბობა... რა ვქნა, ხომ არ დამცინი, სანია, შენ, მაგდენი სიმდიდრის მქონე, მაგ აპირთავებული გრძნობების პატრონი, შენ სიყვარულით გაკრეზებული – ნუ სჩქარობ, მოიცადე... მე მხოლოდ და მხოლოდ მეგობარი ვიქნები შენი. მოიცადე და მალე, მალე მიაგნებ შენს გულის სწორს, შეხვდები ახალგაზრდას – სულით გაკაშკაშებულს... ვაიმე, ვაიმე, ამას რას ვწერ, მაშინ ხომ ის დიდი და ზვიადი დამჩრდილავს და წამართმევს სანის და დამტოვებს მე ჩემი უდაბნოს აკლდამებში და მაქვითინებს ისე, როგორც – ოფელიას შავ ყვავილებს, ზღაპრით მიძინებულს.

მე არ ვიცი, სანი, ეს რა მემართება... არ ვიცი, რა გიამბეთ.

ახ, ნეტავი ახლა ვისხდეთ მე და შენ სადმე, აქაურობას მოშორებული, გუზგუზებდეს ბუხარი და მე გიყვებოდე ჩემი ცხოვრების ტრაგედიებს. მე მაკანკალებს ეს ტრაგედიები, მაგრამ შენ უეჭველად გიამბობ...

სანი, მალე გათავდება ჩემი ამბები... ზოგის თავგადასავალი ისე ღარიბია, რომ ორ-სამ დღეში ამოიწურება, ჩემი კი... რა გაათავებს... რა დააბოლოებს... აი, ახლა ჩემი ცხოვრების კაეშნიან მატიანეს ახალი ფურცლები ემატებიან... სანიას უჭირავს კალამი და სწერს იქ ჩემს მომავალს... მე მინდა, მოწიწებით დავიხარო და ვეამბორო იმ ხელს, რომელიც სწერს ჩემი ცხოვრების ახალ ზღაპრებს...

სანიავ, კარგო, მწყურიან შენთან საუბარი, შენთან სიარული.

სად შეგხვდე, სად, როდის?!

დათიკო
15/XI–27 წ.

ჩემი საათი გაჩერებულა, მგონი შუაღამეზე მეტია.

✧ ✧ ✧

18/XI-27 წ.

ღამის 12 საათი.

აი, მოწიწებით, მოწიწებით, ისე, რომ ბაგეთი არც კი შევხებივარ, ვეამბორები თქვენს წერილს... ახ, როგორ მინდა, როგორ მინდა, რომ ვიყო მარტო, ცალკე, სადღაც ვიყო მხოლოდ თქვენი წერილებით... მე არ მეძლევა საშუალება, რომ თქვენს წერილებში თავჩამალულმა ვიქვითინო, ვიქვითინო ისეთი ნეტარების ცრემლებით, სევდისა და ბედნიერების ქვითინით, რომელიც უთვალავ სიცილს გადააჭარბებს. როგორ ვიტანჯები, როდესაც თქვენი წერილი ხელში მიკავია და წაკითხვა კი არ შემიძლია, ამიტომ ველი, რომ ყველამ დაიძინოს, დაიძინოს ჩემმა დედიკომაც ჩემს ოთახში და მერე, როდესაც სულ მარტოს დამტოვებს ყველა, მოგიხმოთ თქვენ, თქვენ... რომ მთელ ღამეს თქვენ გესაუბროთ, თუმცა კი არ ვიცი, ეს რატომ ხდება ასე. მე არ მინდა, არ მინდა ხმა ამოვიღო. მე არ შემიძლია დაგელაპარაკოთ, როდესაც თქვენთან ვარ. მე მხოლოდ გისმენთ, გისმენთ სევდიანი. ლაპარაკი კი არა, არ მინდა, არ შემიძლია, მაგრამ, მაგრამ... როგორ მენატრება თქვენი დანახვა, თქვენთან ყოფნა!

მაინც ხშირად გხედავთ თქვენ, როდესაც ვერც კი მამჩნევთ.

მე აქამომდე საზრუნავ საგნად მქონდა გადაქცეული ჩემს ბავშვებზედ ფიქრი. მე წუთი არ მქონდა, რომ მათზე არ მეფიქრა. ახლა? – ახლა არ მინდა კლასში ყოფნა. ვცდილობ, როგორც კი დრო მომეცემა, თავიდან მოვიშორო, რომ შემეძლოს ფიქრი, ფიქრი, ფიქრი...

მაგრამ ამას ძნელად თუ ვახერხებ. დღეს რომ ვეღარ გავუძელ გულის შფოთვას, რომ დამიწყვიტა ნებისყოფის სიმტკიცე გრძნობამ, თუმცა ეს დღის წესრიგში არ მქონია. ბავშვებს მივეცი დიდი მოთხრობა რუსულის წიგნიდან გადასაწერად. ვინ მე და ასეთი ბოროტება და ბოროტება შეგნებული, მაგრამ რა ვქნა, მითხარით, მითხარით დათიკო! არ შემიძლია მუშაობა.

მე არ მეძლევა საშუალება, რომ თქვენს წერილებში თავჩამალულმა ვიქვითინო, ისეთი ნეტარების ქვითინით, სევდისა და ბედნიერების ქვითინით, რომელიც უთვალავ სიტყვას გადააჭარბებს. როგორ ვიტანჯები, როგორ, როდესაც თქვენი წერილი ხელში მაქვს და მისი წაკითხვა არ შემიძლია. ვიხელთებ დროს, გადავიკითხავ, მარა მე ასეთი წაკითხვა არ მინდა, არა! ამიტომ არ მინდა მუშაობა, არ შემიძლია! ჩემი მოწაფეები, რომელთაც სახლში ვამზადებდი, დავითხოვე, რომ დრო დამრჩეს თქვენთან ერთად ნეტარ არეში, ოცნების სამყაროში ნავარდისა.

ეს რას წავაწყდი, ეს რა ხდება ჩემს თავს?! ნუთუ ეს ყველაფერი მართალია?!

ნუთუ ეს სიზმარი არ არის. ნუთუ ეს არ განჰქარდება სინამდვილის სუსხით დამზრალი და არ გამიყინავს სულს?!

ეს ხომ არ ვიცი, არა! მე არ ვიცი, ეს რა მოხდა. ეს ხომ მიწა ეზიარა ციურ ზმანებას, მიწამ მიიღო კამარა, ცის ეთეროვან სამყაროს საოცნებო ამბორი.

ნუთუ ეს მხოლოდ მომხიბლავი გაცრუება არ არის, რომ ჩემი და იმ ადამიანის, რომელსაც მე „ღმერთკაცს“ ვუწოდებ, იმ ადამინების სულები დაჰქრიან მაღლა, მაღლა, მოკაშკაშე ვარსკვლავებთან, მოხეტიალე ღრუბლებთან. იმათ ვერ უპოვიათ ადგილი აქ, დაბლა... ან რა უნდათ აქ? იმათი ადგილი აქ ხომ არ არის?... არა, იმათ სულ სხვა სამყარო აქვთ... იმ არეს ვერავინ მიაგნებს, იმ კუთხეს ვერავინ გასჭუჭყავს. ის არის ჩემი სიამაყე. ის არის ჩემი საკურთხეველი... მე იქ ავღმართე კერპი სამლოცველო, სათაყვანო. მე იქ გრძნობების ყვავილთაგან ცრემლებით ამარგალიტებულ გამაკში დავარწიე ჩემი გრძნობანი. მე საწირავად მივუძღვენი ჩემი სული, ჩემი გული, ფეხქვეშ გავუშალე ჩემი მრწამსი, მას ვანაცვალებ ჩემს აწმყოსა და მომავალს.

ახ, რა საცოდავნი არიან ეს დაწერილი, გინდაც განვლილნი წელნი... მათ უმალ გააქრობს, მათ უმალ მოსპობს ჩემი გრძნობები, ჩემი სული, რომელიც თქვენს დაღალულ, შეჭმუხვნილ შუბლს ნაზი ამბორით გადაევლებიან. თქვენი სული ხომ უბერებელია... იგი ხომ უჭკნობი და უკვდავია... იგი მუდმივი კაშკაშია, მუდმივი სხივთაფრქვევაა.

ახ, რამდენჯერ, რამდენჯერ მინატრია, მინატრია სიკვდილი. რამდენჯერ შემოუსუდრავთ საზარელ, გამთოშავ ფიქრებს ჩემი გონება, ჩემი შემეცნება და მიფიქრია: ოოხ, ერთხელ მოისპოს... ერთხელ გაათაოს ისტორიამ თავისი რეკვიემი, ბოლო სიტყვა ნოლით, რომ მოისპოს ეს უმსგავსობა, ეს საზოგადოებრივ ცხოველების უაზრო ფორთხვა და წანწალი, მათ ნაძერწ-ნაფხაჭნ-ნაბოდვართან ერთად და არა მკითხავთ, რომ მე ასეთი წამებული და სულ დასუდრული, რა ბედნიერი ვარ ახლა?!

როგორ მიხარია, რომ ცოცხალი ვარ!

ოოხ, მე ნურავინ გამიწევს მეტოქეობას, ნურავინ...

ჩემზედ ბედნიერი ცხოვრებაში არავინ არის!

ჩამომეცალნენ, გზა მომცენ, ხელი არ შემახონ, ბოროტი თვალებით არ შემომხედონ. აგერ, მე მოვაგელვებ ბედნიერების ფრთებშესხმული! მოვფრინავ და ჩემს უსაზღვრო ცეცხლოვან გრძნობებში, ჩემს სულში ნაზად შეხვეულს, თურდოსპირელის შარავანდედით მოცულს, მოკაშკაშე სულს მოვაქანებ. გზა უტიეთ, მუხლი მოიყარეთ, მასზე ილოცეთ, მაგრამ არა, არა... არ მინდა, მასზე მხოლოდ მე უნდა ვილოცო, მე და ჩემი ლოცვა დაიტევს მთელი სამყაროს სინაზესა და სისპეტაკეს, სამყაროს ცეცხლსა და სინათლეს.

იგი ჩემია – მარად, მარად ჩემი საკუთრებაა და მე, მისი მოთაყვანე, მისი მარადიული მოთაყვანე, მისი მონა, მისი მხევალი. მე ვფიქრობდი, ვფიქრობდი, ჩემს არსებას უნდა დაჰპატრონებოდა, ჩემი არსება უნდა აებუგათ ცეცხლოვან, ქარიშხალსავით მშფოთვარე გრძნობებს. უნდა მოსულიყო ვიღაც, ვინც მოაჯადოებდა, გინდ დაატყვევებდა ჩემს წუნია, ჩემს ბევრის მაძიებელ სულს და აკი, აკი რომ მოვიდა, მოვიდა – დავიჩოქე, მუხლმოდრეკილი, ხელაღპყრობილი შემოგღაღადებთ: აჰა, მიიღეთ ჩემი მგზნებარე სული, ჩემი მოზღვავებული, მჩქეფარე გრძნობები, მიიღეთ, შეიწირეთ... იგი უნაკლოა, იგი სრულია. იგი თქვენ გიცდიდათ, იგი თქვენ დაგეძებდათ. და გწამდეთ, გწამდეთ, რომ ჩემი სული, გრძნობები ფერიასავით თქვენ დაგტრიალებთ თავს, თქვენ გევლებიან და არც მოგშორდებიან, არა!

ძვირფასო, ძვირფასო! ახ, სირცხვილი მწვავს, არავინ მხედავს ამ ქაღალდის მეტი და საშინლად გაწითლებული

ვარ. რათა, რათ?! განა არ შემიძლია, განა ეს ცოდვა და დანაშაულია, რომ მე დავსწერო, მხოლოდ დავსწერო თქვენი სახელი ისე, როგორც დღევანდელ წერილის ბოლოში ეწერა... მე ხომ მას ვერ ვიტყვი, ვერა, ხმამაღლა, მაგრამ დაწერისაც მრცხვენია.

მე მრცხვენია ჩემი გრძნობისაც. არ ვიცი, რად მცხვენია კი. მე გუშინ კლასში ვწერდი წერილს თქვენთან. ამ დროს გამოიარა „მზიამ“, შემომხედა თავისი ლამაზი თვალებით. მე გავწითლდი, დავიწვი სირცხვილისგან, წერილი დავმალე. მე მეგონა, მე დარწმუნებული ვიყავი, მან გაიგო და მრცხვენოდა, მრცხვენოდა... თუმცა იქნებ დამნაშავეც ვარ და არ ვიცი.

ძვირფასო, ძვირფასო ჩემო მეუფევ, სალოცავო დათიკო! აი, ვკითხულობ, არ ვიცი, მერამდენედ ვკითხულობ ამ წერილს და ვნატრობ, ვნატრობ: ნეტავი კი არსებობდეს სამოთხე, რომ ამ წუთში დავიცე გულს ხანჯალი და ჩემი სული, არა, მარტო ჩემი კი არა, გადაფრინდნენ იქ. ოხ, მაშინ ვერავინ წამართმევდა იმ საუნჯეს, რომელსაც დავეწიე მეოცე წელს ძიების...

მაგრამ, არა, არ მინდა, რად მინდა მე სულელს ჩემი ბედნიერების გულისთვის თურდოსპირელის სიცოცხლე? მაშინ მზია? მაშინ დალი? – ოხ, რა საშინელი დამნაშავე ვარ, როგორ მაწამებს, სულს მიშანთავს, მიკუწავს, მიფლეთავს გულს სინდისის ლაპარაკი, შინაგანი გრძნობების ყვედრება.

ნეტავ, ნეტავ შემეძლოს ათჯერ, არა, მეტჯერ სიკვდილი, თუნდ ცეცხლზედ ამწვან, კოცონზედ ამწვან-ამტრუსონ, გინდ შხამიანი ბებუთით დაკუწონ, დაფლითონ ჩემი გული, ოღონდაც, ოღონდაც კი თქვენი სიცოცხლე უკვდავი იყოს. ოღონდ თქვენზე, თქვენზე არ გამართლდეს

ეს შემზარავი, თავზარდამცემი ბუნების კანონი. მაგრამ, მე მაინც შევძლებ, შევძლებ მის შეჩერებას. მე ვემტერები მას, ვეძგერები იმ ცელის წასაგლეჯად, იმ ბრჭყალების დასამსხვრევლად და ან დავამარცხებ, ან შევაკვდები. მე არ დავუთმობ დათიკოს თავს, არა, სულს. მე მხოლოდ სული მეკუთვნის. არ დავუთმობ არავის, სისხლს შევანთხევ, შევაკვდები. მე, სუსტი ქალი, ზღაპრულ სიგმირეს გამოვიჩენ, თუკი ეს საჭირო იქნება. მე ვიქნები ერთი და უკანასკნელი. ჩემს შემდეგ ვერც ვერავინ მოვა. თქვენი გრძნობების შესავალთან ვდგევარ იქ და ვიდგები, სანამ ხელს არ მკრავენ, სანამ თვითონ არ მომიცილებენ. მე იქ დავიბადე, მე იქ აღვიზარდე, მე იქ უნდა მოვკვდე. ნეტავი კი მოვკვდე, დავჭლექდე და მოვკვდე, მხოლოდ მოვკვდე ისე, რომ დათიკო მიჯდეს თავით „მიხაკებით“ ან „ასტრებით“ ან „რამაშკებით“ და მიამბობდეს, მიამბობდეს იმ წარსულზედ, რომელსაც მე არ გავცნობილვარ, მაგრამ ვიცნობ; მიკითხავდეს მეტერლინკის „ლურჯ ფრინველს“ და უკანასკნელ სიტყვებზედ, რომელნიც იქნებიან „მე ყოველთვის მეყვარები“ დამეხუჭოს თვალები. უკვე პირველი საათია. დედა მეჩხუბება, დაიძინე, მოვკვდებიო და მეც ვეთხოვები ნაზი ამბორით თქვენს დაღალულ შუბლს, სანია, და ხელს გავუშვებ კალამს.

თქვენს მიერ მოცემული წიგნი აქ მიძევს, მარა მაინც ვერ წავიკითხე და ნუ გამიწყრებით, ნუ დამემდურებით, თუ მე მასზე ფიქრი აღარ შემიძლია, თუ მოხსენებისთვის ვერ მოვემზადები.

დათიკო, დათიკო! როგორ მინდოდა იმ საღამოს, არა, იმ წუთში, რა წამს მივიღე თქვენი წერილი, თქვენთან გამოქცევა, თქვენი თვალების უცნაური ალერსის და ცეცხლთა ფრქვევის წინ თავდახრილი დგომა, მაგრამ,

მაგრამ აქ უკვე დილანდელი სისუსტე ვძლიე. დაე, შეგნებამ, დაე, გონებამ გრძნობას გადაუჯაჭვოს კარები. დაე, დაბასროს, დაე, აკუწოს – უკეთუ ეს საღი მოსაზრებაა, უკეთუ ეს გაგრძნობინებს, რომ შენ მოვალე ხარ, შენ პასუხისმგებელი ხარ შენი სინდისის და სხვის წინაშეც...

განა მე შემიძლო, განა მე უნდა გამებედა თქვენსას მოსვლა ანდა თქვენი კითხვა? – არა, არ მეშინია! არ მეშინია, მაგრამ სინდისი?

მე უკვე ვგრძნობ, ვგრძნობ, რომ ელენე ეჭვიანი თვალებით მიცქერის და მარტო ელენე კი არა, სხვებიც, ბევრნი და ეს მიწამლავს მე სიცოცხლეს, ეს მტანჯავს, ეს მაწამებს.

რა, რა უფლება მაქვს მე, მოვიტაცო თქვენი გრძნობები! რა უფლება მაქვს, მოვიპარო თქვენი სული! ის ხომ სხვას ეკუთვნის...

ამაში აქ კი ნუ გამიწყრებით, ძვირფასო დათიკო, და არ შემიძლია, ბრალი არ დაგდოთ. არც თქვენა ხართ სრულიად დამშვიდებული. თქვენც კი გიმძიმთ თავის მართლება შინაგანი გრძნობების წინაშე. მე არ ვიცი, რად მწამს ეს, რომ თქვენ, როდესაც თქვენს ოჯახში იმყოფებით, იქ, სადაც თქვენი შვილები, თქვენი მზია და დალი, არიან. ამ დროს სწერთ აქეთ გამოსაგზავნ წერილს. იტანჯებით, გრცხვენიათ... თქვენ ტყუილად იწერებოდით დღეს, რომ ეს სირცხვილი არ არისო – არა, მე ამაში ვერ გეთანხმებით.

მე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ვერ გამოვიჩინე მეტი სიმტკიცე, რომ ვერ დავფარე ჩემი გული... ვერ გაუძელი მის კვნესასა და წამებას... მაგრამ... მაგრამ... სადაც კაცს სცხვენია თავის შინაგანი

გრძნობებისა, როდესაც პასუხი უნდა გასცეს გრძნობამ სინდისს, იქ უკვე ჩვენი თავის წინაშე გასამართლებლად მივაწყდებით სიტყვას „მაგრამ“... თუკი ჩვენი გრძნობები კიდეებს ლეკავდა, თუკი მათი შებოჭვა და გაყინვა... არავითარ ძალას შეეძლო, ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო... ადრე თუ გვიან დათიკოს უნდა გაეგო, რომ სანია მასზედ ლოცულობდა, სანია მას ევლებოდა ფარვანასავით თავს, მისთვის სცოცხლობდა, მისთვის სიკვდილს ენატრებოდა... დამერწმუნეთ, ძლიერი ვარ ნებისყოფით. ერთი ამით არ ვგევარ ბევრ ქალს და გადავაჭარბებ ზოგ მამაკაცსაც, მაგრამ, აი, დაიმსხვრა ჩემი რკინის ნებისყოფა, დალეწა ეს სიმძლავრე გრძნობის ქარტეხილმა და გადმოლეკა ყველა, ყველა გადასკდა გონების გოროზი მუქარის სიმტკიცეზედ და დღეს ამ დაფლეთილ გულიდან გადმონთხეული სისხლი სწერს დათიკოსთან წერილებს.

ახ, დათიკო, დათიკო, ჩემო ძვირფასო! როგორ არ მინდოდა გუშინ, რომ სურათი დამთავრებულიყო და ჩვენ სახლებში წავსულიყავით. როგორ მინდოდა, იქედან გავფრენილიყავით სადღაც შორს, შორს, შორს გავფრენილიყავით იმ ხალხიდან, რომელიც, თქვენი თქმის არ იყოს, სულში ძვრებოდნენ თვალებით. მოვშორებოდით ამ წყეულ ადამიანებს, ამ საზიზღარ ქალაქს, სადაც, როგორც არ უნდა გაუფრთხილდე, როგორი მოწიწებითაც არ უნდა მოიქცე, მაინც გაგაჭუჭყიანებენ, მაინც თავიანთი ღვარძლიანი ენით, თავიანთი ბრჭყალებით გაგიჯიჯგნიან გულს და ჯვარს გაცვავენ – ისე გასწიწკნიან, ისე გიქცევენ გრძნობას ნაფლეთებად... ამიტომ, არ მინდა... ვერ ვბედავ ხვალ კონცერტზე წამოსვლას. ცოტაც საკმარისია ამ ხალხისთვის და, ვაი თუ, დროებითმა

ბედნიერებამ რა საშინელი ტანჯვა მოგვიმატოს. დაე... ისევ ასე შორს ვიყოთ... იშვიათად, იშვიათად შევხვდეთ ერთმანეთს. რა ვუყოთ, თუ გულს სისხლიდან დასწურავს, რა ვუყოთ თუ ლოდინი, ის ჯოჯოხეთი ლოდინი მას რკინის მარწუხებში გაატარებს... ასეთ ტანჯვაშიც ხომ ბედნიერებაა. მე ბედნიერი ვარ იმითი, რომ ჩემი ცხოვრება ერთფეროვანი, გალელეჩებული-დატბორებული არ არის. ბედნიერი ვარ იმითი, რომ ჩემი სული, ჩემი გრძნობები ჯოჯოხეთურ ტანჯვაში გამოიწრთობიან. ვისაც სულს დაუკუწავს უსაშინლესი ტანჯვა... მხოლოდ იგი განიცდის ციურ ბედნიერებას, მხოლოდ იმის სულს შეუძლია მიიღოს წუთები ნეტარებისა, წუთები უცხო და საარაკო ბედნიერებისა. მართალია, ჩვენი ცხოვრება მუდმივი ტანჯვა და ლოდინია – დაჭიმული, კაეშნიანი ლოდინი, მაგრამ ბედნიერება ხომ ლოდინში, ძიებაშია?! ნეტარების მწვერვალზედ ხომ მაშინ მოექცევი, როდესაც ძიების საგანს იპოვნი, მაგრამ... ისევ ლოდინი, ისევ და ისევ!

ახ, როგორ, როგორ არ მინდა, რომ ორშაბათს სოფელში მისდიხართ, განა ისე, ისე კი საკმაოდ არა ვართ დაშორებულნი? მაგრამ რას ვბოდავ? – განა მე უფლება მაქვს, ასე ვილაპარაკო?!

ვერ აგიწერთ, რა სიამაყით ამევსება ხოლმე გული, როდესაც დავით ჩხეიძეს აქებენ... ვერ აგიწერთ, რა ბედნიერი ვიყავი გუშინ საღამოს, როდესაც თქვენ ხალხის მეგობარს, დაუღალავ მშრომელს, უბადლო ადამიანს გიწოდებდნენ. ყველა სასოებით, ყველა აღტაცებით გიმზერდათ და მე კი, მე ვკრეფდი ამ სახარბიელო, მდიდარ ლოცვებს და მოქანცულ, დაღლილ შუბლს გიმკობდით ჩემი კოცნით აკინძულ ამ ლოცვების გვირგვინით. მე თავს გევლებოდით, მე ვლიტანიობდი, მე თქვენს

სულთან ერთად დავქრივარ იმ დარბაზში, დავნავარდობ ყველაგან, ყველგან ვკრებ კუთვნილ იშვიათ ოდებს და თქვენი ცხოვრების გზაზედ ვშლი თქვენი ქარტეხილიან, მჭექარ-მგრგვინავ, მზიანსა და იავარდიან ცხოვრების გზაზედ. იქაც ვსწვდები, იქითაც ვეპოტინები, სადაც მე არ ვყოფილვარ, მაგრამ აგერ აქ, თვალწინ, მიძევს თქვენი სურათი, რომელსაც სასოებით ვუცქერი და ვფიქრობ: რა სიმტკიცე, რა სიგმირე, რა ძლიერება არ არის ამ ჭაბუკის გამოხედვაში... იგი მთელ ქვეყანას შეებრძოლება, იგი ბაირონივით თვით ღრუბლებს გამოიწვევს ბრძოლაში. მისი თვალები ყველა თავებს დაჰკვეთენ გიდრას თუნდ ცერბერს. მის თვალთაგან მგზნებარე ნაპერწკალნი... აათრთოლებენ, ააჟრუკლებენ, ააქვითინებენ ჯერ არგა-გონილ ჰანგზე აპოლონის ლირას. იგი ღმერთია ბერძენთა ღმერთებისა. მის წინაშე უნდა დაიმსხვრას, ალბათ, ამიტომაც დაიმსხვრა ის სამლოცველო ტაძარი, სადაც ბერძენთა ღმერთებს ჩემი, ჩემი მეუფის აჩრდილიდან დაბადებულ ელლინთა ღმერთებს მოეყარათ თავი.

მე მწამს ღმერთი – ერთი... „თურდოსპირელი“... და არც არსებობს მის მეტი ქვეყნად ცისა და მიწის შვილი, მაგრამ ხილულია ღმერთი იგი. იგი ქვეყნის გამკურნებელი სიკეთეა, მაგრამ არ მინდა, არა, ასე შორს წარმოგიდგინოთ მიწიდგან. მაშინ ისე მშორდებით, ისეთი მიუწვდომელი ხართ, რომ მე ხელაღპყრობილი ლოცვას, ღაღადსაც ველარ გასმენთ. ანდა მეც, მეც წამიყვანეთ მანდ, მაღლა, თქვენთან... მეც ამამაღლეთ. მე არ შემიძლია აქ, ძირს, მარტო დარჩენა. მომეცით, მომეცით ხელი, გამაფრინეთ, გამიტაცეთ მაღლა, მაღლა თქვენთან, თქვენთან...

სანიკო

¤ ¤ ¤

ჩემო ძვირფასო, კარგო, გაზაფხულის ყვავილების სიზმარო, ვარსკვლავების ზღაპარო სანია!

მე წუხელ მეჭირა შენი ხელი, შენი თითები! მე მეჭირა წუხელი ზამბახები – შენი თითები და ვეალერსებოდი... არ ვიცი, როგორ და მაინც ვეამბორე მათ. მე ახლა ისევ განვაგრძობ ოცნებით მათ ჭერას და ვკოცნი, ვკოცნი ასე... აი, ასე... გრძნობ ხომ, კარგადა გრძნობ, რა ნაზად ვეამბორები... როგორ შეიძლება ასეთი კოცნა სპეტაკი არ იყოს... ახ, როგორ შეიძლება ტრფობის საქმეში არასისპეტაკე... ვინ მოიგონა, ვინ მოსჭორა, ვითომ ტრფობა და არაგულწრფელობა, ულამაზობა, სირცხვილი შეიძლება შეთავსდნენ. ამას მხოლოდ ისინი ჰრევენ ერთმანეთში, ვისაც, შოთას თქმისა არ იყოს, უსულგულო „ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“ მიაჩნიათ სულის ზიარებად, სულის მეტანიად. ჩვენ ხომ სულ სხვაგვარად ვიცანით ერთმანეთი და ჩემი ამბორი არავის, არავის კოცნას არ ემსგავსება... ეხ, მეგობარო სანია, რომ მცოდნოდა, რომ შენ შეგხვდებოდი ჩემი ცხოვრების ეულ გზაზე, ერთს წვეთს ჩემი სასოების, ერთ წვეთსაც არ დავკარგავდი, ჩემი რომანტიული გატაცებების ერთს ცრემლსაც კი არ გადმოვნამავდი... მაგრამ შორს სინანული... რა უნდა ახლა ჩემთან სინანულს, როცა ჩემთან არის ჩემი სანიას სული – ნათელი! ვის სულს შემიძლია შეგადარო, ჩემო სანია, შენთვის ეპითეტი ვერ გამომიძებნია. აი, მე ლიტერატორული გმირების სახელებს ვიხსენებ და არცერთს არა ჰგავხარ... სანია, მაპატიე, გენაცვალე! მე არ მინდა შენს სტილს, შენს გამოთქმებს მივბაძო, მაგრამ შენ სწორედ რომ კლასიკური წერილების წერა გცოდნია და, როცა ვკითხულობ მათ, მე ვღარიბდები...

მე სხვანაირი, უკეთესი სიტყვები ვერ მიპოვნია. შენა ხარ, შენა, ზე-ქალი! შენ არა ხარ ამ კაცუნათა შორის საცხოვრებლად დაბადებული. ამიტომ, მინდა ვილოცო, ამიტომ აღარ მიკვირს ის, რომ გუშინ შენ არ მომეცი ნება, შენს ხელს დავკონებოდი... ან როგორ შეიძლება... ღვთაება ხომ ყოველთვის მიუწვდომელია, ღვთაება უნდა აქანდაკებული იყოს დიდების კვარცხლბეკზე და ჩვენ მხოლოდ შორით ვეტრფოდეთ. იმიტომ... იმიტომ მე არ მიკვირდა შენი თქმა: „არა. არა. არა“! ახ, რა კარგი იყო ეს „არა“. უარყოფითი თქმა ჩვენში მარად იწვევს ნაღველს, შეწუხებას, ხშირად აღშფოთებასაც... მე კი, მე ის „არა“ მიალერსებდა... მთის სიოსავით მიყვავებდა... „არა“ – ეს ხომ ნაზი, ნაზი ჩხრიალი იყო იების ნაკადულისა?! „არა“ – ეს ხომ საგანთიადო ლოცვა იყო ვარსკვლავებისა?!... „არა“... „არა“... და მე მინდა, რომ იგი მეორდებოდეს... მეორდებოდეს... მე მინდოდა ვმდგარიყავი შენი სახლის წინ და მელოცნა, მელოცნა ისეთის წარმართული ექსტაზით, როგორც არცერთ ბერძენს პალლადა არ ულოცნია...

წამოველ, პედტენკუმში შეველ... გასამართლება იყო... დავჯექი, ფიქრით შენთან წამოვედ... ზმანებას მივეცი... მე იქ არა გამიგია რა და ამ ფიქრებში ანთია შენი კითხვა: „რად მოხდა ყველაფერი ასე?!“ ხოო და ხოო. რად მოხდა?.. არ უნდა მომხდარიყო? არა?! – არ ვიცი, ძვირფასო, სულის დგმაო სანია, თუკი შენ... ეხ, აბა, როგორ გითხრა, როგორ გაგაგებინო, რომ დიაღ, მიკვირს, რად მოხდა ასე. შენ უკეთესის ღირსი ხარ... შენ კარგი ხარ და რატომ, რატომ არ უნდა შეხვდე კარგსა... მაგრამ ადამიანი, კარგო სანია, ეგოისტია. ახ, რა საძაგელია ადამიანი... თუ კარგი... ესეც არ ვიცი... ან რად უნდა იყოს სისაძაგლე, როცა ჩემში არის მშვენიერისადმი ტრფიალი,

შეიძლება იმაზე მეტი, რაც ასს და მეტ ახალგაზრდას არ ექნება. აბა, გამოვიდნენ ყველანი, ყველანი, ვისაც ვიცნობ, და შემერაყიფნენ. აბა, დადგნენ ლოცვად და სულის ღაღადად. და მე მგონია, სანია, რომ ბევრს არ ექნება და ბევრსაც პატარა, პატარა და ჭიანი ექნება.

ჩემს გულს კი... ბევრი, ბევრი ჭრილობები აქვს. ჩემი გულიდან, მართალია, გაიხიზნენ ბედნიერების შევარდნები, მაგრამ მაინც დარჩნენ იქ ისეთი ტოროლები, რომელთაც ჯერ არ უმღერიათ, რომელთაც ჯერ არ გაუკრავთ კამარები და მე ვუშვებ, მე მოვაფრენ შენსკენ ამ ტოროლებს... შენ მოაგელვებ ჩემსკენ რაშებს. მე მზადა ვარ, მზად... სანია, ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ შენ რომ თანდათან აღმოსავლეთისკენ მწვერვალებს გაუდგები, მე თავქვე უნდა ვიწყო სიარული... მე ასტრების საშემოდგომო გაჟრჟოლებაზე უნდა ვწერო ჩემი მწუხრის დაისები და მეშინია, მეშინია, მეგობარო მე ამისა. ჩემი და შენი გზები ხომ გაიყრებიან და მე დავრჩები როგორც მოგონება, როგორც ზღაპარი, პატარა ზღაპარი, ხანდისხან, ხანდისხან თუ გაგახსენებს იმ მეგობარს, რომელიც, უეჭველია, შენთვის იყო დაბადებული, მაგრამ წლებმა, ბუნების რკინის ლოგიკის კანონმა ვერ შეგაგუა.

მეგობარო, მეგობარო, მომეცი ხელი, ოცნებით მაინც ვეამბორო იმისთვის, რომ შენ მწერ; შენი სული ხომ მარად ნორჩია, უბერებელიო... გმადლობ, გენაცვალე, გმადლობ, მანდ მართალი ხარ და შეიწირე, ინაცვალე იგი და შეიწირე!...

სანია, ჩემო, აი, მე ვფურცლავ შენს წერილს და ქვითინს ძალით ვახშობ ჩემში, როცა შენს სტრიქონებს ვკითხულობ ჩემს მზიასა და დალიზე... მართლა, მართლა, მე შენ გატყობ, რომ გიყვარან და, მაშ, ჩემი მათდამი

სიყვარული როგორი იქნება! ისინი მე მგვანან. მე ბევრჯერ მიქვითინია, რომ ვიცი, ისინი მგონი, ჩემი ბედისანი იქნებიან... მეშინია, ისინი არ დამეჩაგრნენ... იცი, სანია, შენ არ კი იცი, მე როგორი კარგი მამა ვარ... როგორი დამყვავებელი. ვის გაუგია, რომ მე მზიას გავჯავრებოდი და უჩემოდ ხომ ისინი... ნუ, ნუ, გენაცვალე, მოდი, ნუ დავწერ ამ სტრიქონებს... მე არ ვიცი, მე გონება მერყევა, თუ ბავშვებს მოვაკლებ ალერსს, ყურადღებას... თუ ჩემს სულს სანიას სულსავით მათი ტიტინი შაქარ-ყინულად დამატკბობენ, არ დამეფრქვევიან...

მაგრამ უსანიოდ... მე ხომ, მე ხომ არც სანია უნდა დავთმო; რა უგუნურება იქნება, რა დაუჯერებლი უგრძნობელობა იქნება გულში სიყვარულის ჩაქრობა... ეს შეიძლება იმან ჩაიდინოს, ვისაც გულში მხოლოდ ბურბუშელა უპრიალებს... მე კი... ჩემი გული ანთია ისე, რომ თვით სანიას ქარტეხილის ნებისყოფა ვერ ჩააქრობს...

მაშ, რა ვქნა, რა ვქნა, სულო ჩემო, სალოცავო, რა ვქნა. ახ, ნეტავი შეიძლებოდეს გაფრენა... სად? ვინ იცის, სად... არ...

ორშაბათს ახალსოფლისკენ მივალ. ჩემო, ჩემო სანია, პეპელას სინაზით გეამბორები, გეამბორები...

შენი დათიკო

18/XI-27 წ. დილის 4-ის ნახევარია.

უმშვენიერესო ადამიანო, დიდი გრძნობების შადრევანო,

ხალასო პოეტო სანია!

მე, იცი, დრო წიგნების საკითხვად სრულიად, სრულიად

არა მრჩება, მაგრამ ახლა ჩემს სახლში იკინძება ძვირფასი წიგნი, რომელსაც წერილები ჰქვია და მე ვკითხულობ... ვკითხულობ...

მაღელვებს და მაფრთოვანებს გრძნობა, აზრი, სტილი... სიტყვა ფერადი და დახვეწილი... რა მდიდარი გამოთქმებისა ყოფილხარ... სტილისტის თვალით ვკითხულობ და მიხარია, ვამაყობ, რომ ჩემს მეგობარს, პოლონელთა ნაშიერს, ასე ემარჯვება გამოთქმები, ისიც მაშინ, როცა ხორკლმა და ხეჭბომ, კორძმა და გაურანდაობამ წარყვნა სიტყვა მდიდარი... შენ კი, შენი წერილები ძვირფას თვალთა ელვარებაა... ჩემო, ჩემო სასოებავ! ჩემი ცხოვრების მოჟამებულ მანძილებში ერთი სამკაული შემრჩა, რომელსაც ვერავინ წამართმევს – ეს არის გულწრფელობა და გულწრფელად გეუბნები: მეგობრები მყოლიან, მყოლიან. ზოგი მათი სახება ოფელიას ქვითინის ცრემლებითაა მოოჭვილი, ზოგი – დაკარგულ ვანო მაჩაბლის ლეგენდების ნამსხვრევებით... მიყვარდა... მე, იქნება, ბევრი მიყვარდა... მიყვარდა იმიტომ, რომ მე უსიყვარულოდ არ შემეძლო. ბევრჯერ მოვტყუებულვარ. ჩემი სული შენ დაგეძებდა, ვერ მოგაგნო... შევხვდი სხვას – სულს თვისტომი ეგონა – დაუმოყვრდა. შენ არ აღმოჩენილხარ იმათ სულში. აქედან ყვედრება, სასოწარკვეთა, მაგრამ მაინც მიყვარდა რამდენიმე გაგიჟებით, გატაცებით... მათაც ვუყვარდი, მათაც სამსხვერპლო ჰქონდათ ჩემი ტრფობისთვის, მაგრამ ასეთი ტკბილი, ასეთი სათუთი, ალერსიანი წერილები არავისგან მიმიღია. ახ, რა გრძნობებისა ყოფილხარ... შენ ბოროტიც კი ქრისტედ უნდა გექცია! შენ მე, წელთა სიმრავლისაგან დაზიდული, მომათილისმიანე. ლამის ახალგაზრდული სიჩაუქით გავიდე გარეთ და ვიყვირო: ხალხო, ხალხო,

რას დანაღვლიანებულხართ, რას დაძმარებულხართ, უკუ ირიდეთ სევდის თალხები, გამხიარულდით, იმიტომ რომ მე მიყვარს სანია, მე მიყვარს და მასაც ვუყვარვარ... იგი თავისთავს ბედნიერად სთვლის... ჩემო სიცოცხლე, რისთვის ნატრობ დაჭლექებას. შენ უნდა ქვეყნიერება განკურნო. შენ სული ხარ მზისა. შენ მგოსანი ხარ, სანია, გარწმუნებ მგოსანი ხარ მეთქი... მე მჯერა, რომ შენ სწერ კიდეც... გამოტყდი, ნუ მიმალავ.

სანია ჩემო, ჩემო! წელან რა ნაღვლიანი იყავი. როგორ მენატრებოდა შენთან დიდხანს, დიდხანს ლაპარაკი და ბალღებისა მერიდებოდა.

...და, რადგან შენი თვალები ვარსკვლავებივით მიუწვდომელია, ვეამბორები შენს თითებს, თითებს, რომელნიც მგონია ზამბახის ყლორტები – სათუთნი და საალერსონი.

შენი, შენი, შენი (თუ არ გამირისხდები...) ეჰ, განა სანიას განრისხება შეუძლია?!

შენი დათიკო.

სანია გეთაყვა, წამომყე ხვალ კონცერტზე.

დათიკო

18/XI–27 წ. თელავი

ნეტავი კი ვეღირსო დღეს სადმე შენს შეხვედრას.

✧ ✧ ✧

1927 წ.

საყვარელო მგოსანო!..

მეუფეო ჩემი ცხოვრებისა!

მპყრობელო ჩემი სულისა!

ნუთუ მოჩვენება, ნუთუ ზმანება არა ხარ... ნუთუ მომხიბლავი, გამაბრუებელი არა ხარ?.. ნუთუ დამათრობელი ბურანის ლანდი არ არის ჩემი მდგომარეობა?!

ნუთუ მე მფლობელი ვარ შენი მდიდარი გრძნობების?!..

ნუთუ მე ვარ ის ბედნიერი, რომელმაც მიიზიდა შენი სული?.. როგორ, როგორ დავიჯერო, რომ ცხოვრებამ, ამ ძუნწმა, ამ ბალღამნაწვეთმა ცხოვრებამ გამოიმეტა ჩემთვის ასეთი იშვიათი ჯილდო!..

ნუთუ მე ვარ, მე ვარ ის, რომელსაც შემიძლია ვთქვა: „სიცოცხლე ნეტარებაა, ცხოვრება ბედნიერება“.

ჩემმა გრძნობებმა გაღარეს დიდი სივრცე... უღრანი კლდეები, თვალთდამბნედი ნაპრალები და, ბოლოს, მიაღწიეს უცხო სამეფოს – მათ დაიმკვიდრეს ადგილი თურდოსდპირელის მდიდარ გულში... მდიდარი დაუხვდათ აყვავებული... ცეცხლოვანი ეს სამეფო... მარა თითონაც მდიდარნი ესტუმრნენ. ის არის მდიდარი და დაუქუცმაცებელი. მდიდარი ვარ, მდიდარი მთლიანი გულით – დაუნაწილებელი გრძნობებით...

მე ბრმა ვიყავი, მე ყრუ ვიყავი.

ჩემი გული აფეთქებული სახმილი იყო, გადაულახავი ზღუდეებით. მე მარტო... ვიყავი განდეგილი, ეულად ვდიოდი...

და დღეს?!

დღეს მე მხურვალე მადლობით ვეთხოვები ჩემს წარსულს, ჩემს განვლილ გზას, რომელმაც ამ მიმართულებით მიმიყვანა იმ ჯვარედინზედ, საიდანაც მე სრული, მდიდარი გრძნობებით შენსკენ მოვფრინავ, შენსკენ. ვეძებ და ვიპოვნი მანდ შენთან, შენს მდიდარ სულის წიაღში ვიპოვნი ბედნიერებას, მანდ დავეწაფები მოწყურებული, მონატრებული ნეტარების წყაროს...

შენთან... შენთან... მხოლოდ შენთან ვიხილავ მომხიბლავ გაზაფხულს... მხოლოდ შენს გრძნობებში გავშლი ფრთებს და თავისუფლად გავინავარდებ... მოვკრეფ ნაზსა და მომხიბლავ მის ყვავილებს... მოვივლი მის ყველა კუნჭულებს, თუმცა ის განუზომელია, თუმცა მას საზღვარი არა აქვს...

ასეთი განცდებით მდიდარია და ბედნიერია შენი სანიკო.

ბედნიერი, ბედნიერი ვარ, საყვარელო მგოსანო, ძვირფასო მეგობარო! ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ მიყვარხარ...

ჩემს აპირთავებულ გრძნობებს მოედო თილისმიანი, სასწაულმოქმედი სიტყვა და აზიარა პირველ განთიადს.

1927 წ.

ძვირფასო, ძვირფასო მეგობარო!

მივიღე თქვენი წერილი, მივიღე მაშინ. როდესაც ვფიქრობდი, რომ თქვენ შორს იქნებოდით აქედან...

ჩემთან დილას მარო იყო და მითხრა, დათიკო წავიდაო. მე ეს მეხივით დამეცა თავს, მაგრამ თან როგორ გამახარ. დათიკო, ჩემი დათიკო, ჩემი ძვირფასი მეგობარი იმ საშინელ ქარიშხალში გაუდგა გზას. სხვა ვინ გააკეთებდა ამას? ვფიქრობდი და თავს გევლებოდი, თუმც არ წასულხარ, მაგრამ რა! თქვენ ხომ მაინც გმირი ხართ! თქვენთვის ეს პაწია საგმირო საქმეა.

მე მეგონა, მე მწამდა, რომ გუშინ თუ სხვა არავინ, ჩემი ძვირფასი მეგობარი მაინც მინახულებდა და ეს არ გამართლდა, მაგრამ არ გემდურით. მე მგონია, დღეს საღამოს მაინც მოხვალთ.

ყოველ წუთს გხედავთ, მარად თქვენთან ვარ, მაგრამ, მაგრამ მაინც მინდა, მწყურია თქვენი ნახვა. თქვენი ხმა ყურებშია მუდამ, მაგრამ მაინც მინდა, რომ იგი ატკბობდეს ჩემს სმენას იმ დროს, როდესაც მე თქვენს ცეცხლოვან თვალებს ვუმზერ. გარეთ ილოდება ბიჭი, შინ არ შემოვიდა და მეც, ახ, როგორ არ მინდა, მაგრამ უნდა გავათაო წერილი.

ნახვამდის, ჩემო ბედნიერებავ!

ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო!

საღამოს თუ არ დაგეზარებათ, შემოიარეთ...

თქვენი მარად კუბოს კარამდე...

შენი სანიკო ლოგინში ვსწერ, ამიტომ დავჯღაბნე.

¤ ¤ ¤

როგორც კი მივიღე შენი პირველი წერილი, ჩემი ცხოვრების თანამგზავრო სანია, მეგონა, რომ ჩემთან ძმადგაფიცული მარტოობა ჩამომშორდებოდა, გავთავისუფლდებოდი ყარიბობისაგან. ახლა სული ჩემი არ არის მარტო. ის მარად შენთან ფრენს, შენ შეგფრფვინვის... მაგრამ საშუალება არა მაქვს შენს ახლოს ყოფნისა. მე გამიგია, სანია, სიზიფის, ტანტალის ტანჯვა და ლამის ჩემი წამებაც მათ დაემსგავსოს. ახლოს, ორიოდე ნაბიჯზე, სცხოვრობ და მაინც დამნატრულებია შენი ნახვა. გუშინ მშვენიერი დღე იყო. შემოდგომა სცდილობდა, გედის სიმღერასავით ტკბილი, სევდიანი მელოდიები ეთქვა.

მე მწამს, რომ არსებობს რაღაც ძალა, რომლის შემწეობითაც შეიძლება მანძილზე აგრძნობინო ვინმეს ის, რასაც შენ განიცდი. გუშინ მე შენზედ მძლავრად

ვფიქრობდი, მეგონა, შენთან რადიოს ტალღებივით მოირბენდნენ ჩემი ფიქრები და გამოგიყვანდნენ. შენ არსად სჩანდი და მე გაბოროტებული დავბრუნდი შინ. კვლავ ვიხელთე დრო და გამოვედი, აქ უი, ბედმა გამიღიმა და შემომცინა შენმა სახემ.

მეგობარო სანია, ღვთაებავ, როგორ მინდოდა გავჩერებულიყავ და ეგრე მელოცნა შენზე, მელოცნა! არ ვიცი, გახსოვს თუ არა, ამ დღეებში კონფერენციაზე ვთქვი: ძველი მწიგნობარნი შლიდნენ ხოლმე პერგამენტზე ძველს ნაწერებს, იქნებ ძვირფასებსაც კი, ახალს აღბეჭდავდნენ. ძველს ემჩნევა ნაკვალევი, ნაასოვარნი, წაკითხვა კი არ შეიძლება. შენ, მეგობარო, გამოსჩნდი ჩემი სულის წიგნთსაცავში და შენი ფაქიზი ხელებით წაშალე ძველი განცდანი და ღელვანი. აი, მე მინდა მათი ამოკითხვა და ველარ წამიკითხია. შენ გაუგონარი რამ ჩაიდინე. შენ წაჰშალე მტრედიფერი ზღაპრებიცა და მოკუპრული კოშმარებიც.

ვიჩოქებ შენს წინ და, რადგან ხელებზე ამბორის ნებას არ იძლევი, გეამბორები, არ გასჯავრდე, არ გამირისხდე გენაცვალე, ვეამბორები შენს... ახ, რა პატარა, რა ჰაეროვანი ფეხები გქონია! გეამბორები შენს პატარა, სასოებიან ფეხებზე... ნურავინ გაიკვირვებს... ეს არაა სიტლანქე, ეს არაა პროზა. იგი არაა შეყვარებული, ვინც სატრფოს ფეხებს ისევე არ ეამბორება, როგორც – იდეალების წმინდა კვარცხლბეკს...

ჰოდა, მინდა დაჩოქილმა გეამბორო. იმ ჩემს წაშლილ გულის ეტრატზე შენ იწყე წერა. მე არ ვიცი, როგორი გამოვა – მხიარული თუ კაეშნიანი. მგონია, უფრო ორივე იყოს და მაინც ვთრთი, ვფანცქალებ...

სანია, შენ მადარებ მეუფეს, ღმერთკაცს... მეც

მინდოდა, შენ ღმერთისთვის შემედარებინე, მაგრამ არა! იცი, რა სასაცილოა ღმერთის მდგომარეობა? ღმერთი ხომ არაფერსა ფიქრობს, რადგან ყველაფერი იცის; არაფერი უნდა, რადგან ყველაფერი აქვს. ჩვენ კი... ჩვენ ბევრი რამ გვინდა... დაუტევარი ბედნიერება... სიხარული, მარადიული მეგობრობა...

სანია, მე ჯერაც ვერსად მივალ, რადგან... აღარა ვიცი რა, შენი დროებითი დაშორებაც კი მიმძიმს. მომეცი ნება, მომეცი ნება, გამგზავრების წინ მაინც შეგხვდე, ვიყო შენთან მარტო. შეისმინე, შეისმინე მუდარა შენი დათიკოსი, რომელიც ისე იტანჯება, როგორც არასდროს.

შენი დათიკო
21/XI-27 წ.

✧ ✧ ✧

21/XI-27 წ.
ტყეში – დილის 12 საათი

მოწაფეები გავფანტე ტყეში და დავრჩი მარტო. ქაღალდზედ ფოთლები მიცვივიან და ეფარებიან სიტყვებს, რომლებიც გადმომაქვს ამ ქაღალდზედ. რათ მიშლიან ეს ფოთლები, რათა? – ისინი გაყვითლებულან, ისინი კვდებიან, სიცოცხლეს სწყდებიან და, ალბათ, ალბათ, უნდათ, რომ თან ჩაიყოლონ ყოველგვარი სილამაზე, სიცოცხლე – სიყვარულის კვესება. რათ მიშლიან, რატომ არ უხარიათ, რატომ კვნესიან, როდესაც იმათზედ ძევს მგზნებარე გული, გული მღელვარე, გული მოსიყვარულე. ისინი ხომ ბედნიერებია, იმათ ხვდათ წილად ჩემი გულის თრთოლვისა და ჟრჟოლის ქვეშ გათელა სასიკვდილო

წუთებისა, იმათ მიაქვთ, მიაქვთ ქვეშ, მიწისკენ, ეს დიდი საიდუმლო. მიაქვთ, იქ ჩამარხავენ და მერე, რამდენიმე თვის შემდეგ, აახასხასებენ აღმოცენებულ გაზაფხულის მცენარეების ბაგეზედ გაზაფხულის კისკისით და გამახარებენ. ახარებენ, რომ ისინი დაიბადნენ მეორედ ჩემი გრძნობების მიერ განსპეტაკებულ ნიადაგზედ, რომ იმათ წაიღეს მიწაში ჩემი ფიცი, მარადიული, მარადიული სპეტაკი გრძნობები ჩემი და გაზაფხულზე, მრავალ გაზაფხულის პირს მომთხოვენ პასუხს, მომთხოვენ გულის გადაშლას – შეირყა ფიცი თუ არა. გაზაფხულის პირს ისინი თამამად აღიმართებიან თავის მეზობლებში, თამამად შესცინებენ კამარა ცას, ცხოველმყოფელ მზეს, რომ მათ, მათ იპოვნეს გული, სადაც სჩქეფდა, სადაც ღვიოდა ცეცხლი ღვთიური სიყვარულისა, სადაც სიყვარულის ცეცხლით იდაღებოდა სამუდამო დასასადგურებლად სული და ეს გული შემოდგომის მიწურულზედ სიკვდილის პირას, – ესენი დაიხოცებიან, მაგრამ ის გრძნობა, ის გული არ გადაიცელება. მრავალთაობას აღმოაცენებენ ის ფესვები, მრავალი თაობის დაბადებას და გარდაცვალებას დაუხვდება ერთხელ დაბადებული და უკვდავი სული.

მოწაფეები შემომეხვიენ. ვათავებ წერას.

ახ, რა კარგია, რა კარგია!

აქ სული ისვენებს, თითქოს მართლაც და ცას, რომელიც ერთ თაღზედ მოჭედილი სჩანს, უახლოვდები, შორდები ადამიანებს, კაცუნებს...

აქ ვარ, აქ, შორს ჩემი ბავშვებით, ჩემი ძვირფასი მგრძნობიარე და ფაქიზი სულის ბავშვებით. როგორ ჟრიამულებენ, როგორ ახმაურებს ეს ნორჩი ძალა ამ მომაკვდავ ბუნების ნაწილს, როგორ ააყვავეს მხიარული კისკისით, გაძარცული ხეები – დაჭლექებული...

22/XI. თელავი, 1927 წ.

სიყვარული და ალერსი, სათუთი ამბორი ჩემო დათიკო, ძვირფასო და საყვარელო!

შემოგევლე, ნუთუ ღირსი ვარ ასეთი დიდი ყურადღების, ასეთი ლამაზი სიყვარულის? – არა, რა თქმა უნდა, არა!

მე ყოველ წუთს მინდა მახსოვდეს, რომ, რაც არ უნდა მაღალ მწვერვალს აგიტაცოს გრძნობამ, მაინც არ შეგიძლია იზეიმო სრულის გაქანებით, ლაღის ფრთაგაშლით. არა, არ შეგიძლია იმიტომ, რომ ყოველთვის დაქანება უფრო ადვილია, ვიდრე აღწევა ამ ბედნიერების წვეროკინებზე.

მერერა მწარეა დაქანება... ახ... რა გამანადგურებელია... მაგრამ მე მაინც რომ წინ არ ვიყურები... მოსავალი რაც არის, ხომ არ ამცდება და მეც ვისარგებლებ წუთებით, ცხოვრება მათ ისე ბევრსაც არ გამოიმეტებს ხოლმე მაძიებლისათვის.

ძვირფასო, სანატრელო, დღეს ვიწექი ლოგინში. ადგომა მეზარებოდა, თუმცა უკვე 10 საათი იყო, მაგრამ წოლაც მეზარებოდა. მინდოდა, გამომეგლიჯა ჩემი თავი ამ აპათიისთვის, მაგრამ ვერ ვახერხებდი. უცბად შემოფრიალდა დათიკოს წერილი, პატარა კონვერტში დიდი გული... და წამოვფრინდი ლოგინიდან. არც კი მისაუზმია. რას ჰქვია საუზმე – დავიწყე შენთან წერილი. მინდა მოგაფრქვიო გრძნობა ჭარბად, რომ გადაგწვა... გრძნობა ხომ ძლიერი მაქვს! ამაში განა შეიძლება ეჭვობა?! მაგრამ ჩემს გრძნობას რომ გადაწვა არ შეუძლია – ეს გულს მიჩქვლეფავს, გულს მიტირებს...

ეჰ, მეგობარო, მეგობარო, კარგო, კარგო ადამიანო... არც ერთის წუთით არ შემაქვს ეჭვი, რომ შენ იშვიათი,

იშვიათად საოცნებო და კარგი ადამიანი ხარ, მარა მაინც ძნელია, ძნელი.

თუ გინდ ერთ მხარეს თვალით უხილავი, მარა შხამივით ძლიერი წარსულიდან მწარე სახე იყვეს და მეორე მხარეს კი – საუკუნის სიკეთე... ძნელია... და იმ გულის პოვნა... რამდენჯერ მინდა გულიდან სრულიად ამოგლეჯვა, რამდენჯერ დამაჯერა გონებამ ამაში, მარა განა შეიძლება გადმოცემა იმისი, ჩემო ოცნებავ, რასაც განიცდის ხოლმე სანიკო წარსულის ნისლებიდან, როცა ჩამოენგრევა განცდილი... საშინელი...

ნუთუ როდისმე განვიკურნები ამ უსაშინლეს სევდიდან... მაგრამ ეს მწარე მოგონებები ხანგამოშვებით იშვიათდება... და მე მიხარია, როგორ მიხარია ეს. შემოგევლოს სანიკო, პატარა ადამიანი, საწყალი ადამიანი სანიკო შემოგევლოს, დაგენაცვლოს, მაგრამ რა ყრია ამ დანაცვლებაში, როცა მას ასეთი ძლიერი სიყვარული დათიკოსადმი ნებას აძლევს, მისი სევდიანი, დამანაღვლიანებელი კუნჭულების გადასინჯვისას.

ჭირიმე, ჭირიმე დათიკოსი! მე არ ვიცი, რა იქნებოდა ცხოვრება ჩემი ანდა ახლა. მე ისევ მაძიებლად ვივლიდი, ისევ ცოცხალი ვიქნებოდი დათიკო რომ არ შემხვედროდა... დათიკო... დათიკო... შენ არ იცი, რამდენი რწმენა მომეცი, რამდენი ძალა სიცოცხლისა! არიან ცხოვრებაში კარგი ადამიანები, თუმცა ბრწყინვალე, გვირგვინოსანი პატიოსნებით ჯერ მხოლოდ ერთი, დათიკო, შემხვდა... დათიკო... და პატარა მასშტაბით კიდევ ერთი ქალი – მარგო იაშვილი[1]... და ახლა მე აღარ მეშინია, ჩემო

1 გვიან, ძალიან გვიან, თითქმის ამ დროში გავიგე ჩემი დის მზიასგან, რომ ქ-ნ მარგო იაშვილს მიჰქონდა დათიკოსადმი წერილები ჯერ მის ოჯახში და მერე – დათიკოსთან – ლამზირა ჩხეიძე.

ტრიუმფო, არ მეშინია, გინდაც შენ დაგკარგო, გინდაც დავშორდეთ. არ მეშინია იმიტომ, რომ კარგი ადამიანი, სათაყვანო ადამიანი მაინც ხომ იქნება სადღაც... სადღაც...

ჰო, ჰო, შენა ხარ ჩამოწოლილი ნისლის გაშუქება, შენა ხარ ცეცხლი სიცოცხლისა, შენა ხარ ძალა არსებობისა, შენ ფრქვევა ხარ მუდმივი წვის, მუდმივი დუღილისა, შენ ფურჩქვნა ხარ მარადი ძიების, უსრულო შემოქმედებისა... შენ შემოქმედება ხარ არსებულის და არარსებულის! ამიტომ მეც არ მინდა, ახლოს მოვიდე შენთან... მე აქ, დაბლა, წამოვიჩოქებ და ზევით შენსკენ აწყვეტილ სულს სანთლად მოვმართავ, ცეცხლად გრძნობას წავუკიდებ...

მე და შენ მეგობრები, ცოლ-ქმარი?!

არა, ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ დროებით აქ, ჩვენთან, დაეშვები...

შენ უნდა განთიადის ძალა იყო

და მე ლოცვა!..

შენ უნდა ჩანგი იყვე და მე აცრემლება...

შენ უნდა ის იყო, ის – თურდოსპირელი და მე მოხეტიალე ფარვანა, შენს შემოქმედებაზედ დაფერფლილი.

¤ ¤ ¤

ახლა ღამის ათი საათია. ჩემო სანია, გაონავრებული ქარი ხის ტოტებზე მუშაითობს, ხარხარებს ბოროტად. მე მაინც არ მაკრთობს იგი, მხოლოდ სული მეღვარსლება იმიტომ, რომ შენ ავად ხარ. დილას, აი, ამ მეორე ბარათით მადლობას გწერდი წუხანდელის, აი, ასეთის დაყვავებისთვის და ახლა გემუდარები, ვიჩოქებ შენს წინაშე, ჩემო კარგო, ჩემო სათუთო სანია! მაპატიე,

რომ შენ ავად გახდი, – ეს ჩემი ბრალია! შენ წუხელი გაცივდებოდი და მე, უგუნური, ამას ვერა ვგრძნობდი, არ გიშვებდი შინ. მაპატიე, სანია. რომ იცოდე, მეგობარო, როგორ მენატრები. რამდენიმეჯერ კიდევაც დავაპირე შენთან მოსვლა, მაგრამ ღონე აღარ მეყო, ვერ გავბედე!

შენს ხელშია ახლა, სანია, ჩემი მოქმედება. მომიხმობ, მოგევლინები აღტაცებით, დამიშლი და შორი ტრფიალით შეგეალერსები!

შენ გენაცვალე, სანია! მომეცი ნება შენი ნახვისა, გეთაყვანე, შემოგევლე... სანია, დაიხარე: ყურში მინდა გითხრა, რადგან ხმამაღლა ვერ ვბედავ; ჯერჯერობით ჩემგან ეს მცირედი წვლილი – 80 მან. ისესხე. ამჟამად ხელთ ამაზე მეტი არა მაქვს და იყიდე პალტო... ოღონდ, შენ თბილად შეიმოსე, მაგრამ ნუ ჰკრავ შუბლსა, ნუ მრისხანებ! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ – თუ სესხის პირობით გაძლევ, გაათავებ უმაღლესს და მაშინ დამიბრუნებ, თუნდა ადრეც. ნუ, ნუ გამიწყრები, ნუ, ჩემო ღვთაებავ, სანია! აი, ახლა თვალები მიცრემლიანდება, შენ რომ მაგრე მსუბუქად შემოსილსა გხედავ. ასე მგონია ეს, ეს სწყინს, სწუხდება ჩემი დედიკოს სული... აი, მისი სახე, შემოდგომის გაყვითლებულ ფოთოლივით გადმომყურებს ჩარჩოდან და მეუბნება: „შვილო, მეოცნებეა, მგრძნობიარეა, არ შეგიცივდეს, არ დაგიავადმყოფდესო“.

სანია, შენა ხარ ჩემი აღმდგენელი. მე მწუხარე ჯალათსავით მეპარებოდა სიბერე, მაგრამ შენ გადაეღობე მას და გულში დაიჟღურტულეს გაზაფხულის ჩიტუნებმა.

წუხელ მე დავთვერი, სანია. წუხელ მე ვერხვის ფოთოლივით ვთრთოდი. არასოდეს, არასოდეს არ განმიცდია სატრფოსაგან ის ნეტარება, რაც მე შენმა ბაგეებმა მაგრძნობინა...

ჩემი ცხოვრება მტანჯავი სიზმრების აბლაბუდას დაექსელა... დღეს აღარ არის ეს აბლაბუდა და ქსელი. დღეს მხოლოდ მონისლული მაქვს თვალები ცრემლებით, მეტირება გული, რადგან სანია ავადაა და მე არ ვუზივარ თავთან, რომ ვუამბო ჩემი ბევრჯერ დაწყვეტილი და დაუმთავრებელი ზღაპრები...

ღამე მშვიდობისა, ჩემო მზეო, ღამე მშვიდობისა!

გეამბორები, გეამბორები, გეამბორები!

შენი დათიკო.
22/XI-27 წ.

ძვირფასო მეგობარო სანია! უგულითადესი, უმხურვალესი სალამი და მადლობა იმ ტკბილი წუთებისათვის, შენ წუხელ რომ განმაცდევინე. აკი ქვეყნად ბედნიერება არა ყოფილაო?! უეჭველია, ძალიან ბევრი ჯავრი და ვარამი შემხვდება, მაგრამ მათ გამიადვილებს შენი წუხანდელი ალერსი. ახ, რა კარგი იყავი წუხელ, მაგრამ როდის არა ხარ შენ კარგი, როდის?! მე მეშინოდა ჩემი ბედნიერების ისე, ისე მდიდარი ვიყავი, მაგრამ, დახე შენ ადამიანის სიხარბეს – იმასა არ ვკმაყოფილდებოდი, მინდოდა, იგი დიდხანს გაგრძელებულიყო... მაგრამ შენი მოგონება: დათიკო, შენ ახლა შინ უნდა წახვიდეო... მართლა, რა მწარეა ახლა ეს მოგონება, მაგრამ, მე რომ, ეე, თან აღარ დავბრუნდები როგორ... როგორ...

არა, შენა ხარ ჩემი მეგობარი, ჩემი სულის ჯავარი! ჩემო, ჩემო სანია, შენ დღეს არ მოსულხარ სკოლაში, ვაითუ, გასცივდი! იცი, სანია, ეს ერთი ხანია, მინდა გაგიბედო და ვერ ვახერხებ. მე ძალიან მეშინია შენი

რისხვისა, მაგრამ ახლა აღარ შემიძლია. მეშინია, ავად არ გამიხდე – გაფიცებ ჩვენს ტრფობას – ნება მომეცი, როგორც მეგობარმა... არა, ისევ მეშინია... ო... თუნდაც სესხის სახით გადმოგცე მცირეოდენი, რომ შენ რიგიანი ტფილი პალტო იყიდო. ჩემთვის 8 თუმანი არაფერია. შენ ტფილი პალტო მოგივა. ეს ხომ შენი შეურაცხყოფა არაა! მე მხოლოდ გასესხებ და, როცა შენ უნივერსიტეტს დაამთავრებ, მაშინ დამიბრუნებ, მაშინ მოახმარებ თუნდა ჩემ შვილებს, თუნდა – მე და შენს შვილებს... ნუ სჯავრობ, გასესხებ. როცა გექნება უეჭველად გამოგართმევ. გენაცვალე, ნუ მეტყვი უარს. გადმოგცე?! ო... ო... მიიღე მალე, თორემ ზამთარი არ იცდის. გაკოცებ, როგორც წუხელ.

მარად შენი დათიკო
22/XI–27 წ.

✧ ✧ ✧

24/XI თელავი, ღამის 11 საათი.

იმსხვრეოდენ, ხუნდებოდნენ მძიმე, გრძელი საუკუნეები კაცობრიობის არსებობისა... ისინი ღრმად კვალავდნენ ისტორიის ფურცლებს თავიანთ სიდიადითა და სიმძლავრით... ისინი მიდიოდნენ და სტოვებდნენ ხსოვნას. ისინი მიიზლაზნებოდნენ და მემკვიდრეებს იტოვებდნენ... დაუთავებელ მარად მნიშვნელოვან ანდერძებს.

ისინი გადიკვეთდნენ და მათ სარეცელზედ, უკეთ, მათ სასაფლაოზედ იკრიფებოდა, იფურჩქნებოდა სული სპეტაკი. ისინი გადაილეწნენ და მათს ანარეკლით,

ხელოვნებიდან ამონაკვეთი, პოეზიის სიმებზედ ანაკვესი იფურჩქნებოდა სული ქვეყნისა, ღრმა, უზარმაზარ საუკუნეების სისპეტაკე – სიტურფე და მშვენიერება ჩამოეშვა ეთერის სხივებით და ამ დიად დაბადებისას...

მე კი აქ არ ვიყავი... მე აქ არ ვიყავ, მარა საუკუნეების დასაბამიდან, საუკუნოებიდან ანამსხვრევ ხელოვნებას, პოეზიას, ჩემი ლირის ჰანგებზედ ვაქსოვდი, ჩემს სულს ვახვევდი... ცაში ვმარხავდი და, როდესაც აღარსაით სჩანდა შუქი, როდესაც დაჭლექდა სათნოება და სიყვარული, როდესაც აღარ სჩანდა გმირი ანთებული გულით...

ეს საუკუნეების სიმდიდრე, ეს ძვირფასი განძეულობის, გრძნობის და მაღალი სულის სალარო ჩამოჰყვა გამჭვირვალე ეთერის მანძილს ცხოველმყოფელ ახალი მზის სხივებს... მან მოძმეთათვის სიმწარე ნახა, მან ტანჯულ ხალხისა და სამშობლოსათვის ცრემლითა და სისხლით გადალეკა უსამართლობის მთები... მისი ცხოვრება იწვოდა და იწვის ნათელის მფენელად – სიბნელის დასასამარებლად...

გაიარა დრომ და გადაიმსხვრა მდიდარი და ძლიერი წლები და ამ წლების მანძილზედ, ამ კვალზედ მრავალი სისხლის დაღი დააჩნდა. ხალხთა სიავემ და ბოროტებამ აწრთეს, აწამეს მისი ანთებული გული, მისი მოელვარე სული...

შხამი ჩაუგუბეს ცხოვრების წლებში უხეშად, ვერაგულად სჯიჯგნიდნენ, ტლანქად სწეწავდნენ მის სათუთ სულს...

დაიქანცა, სულში სევდის ჰანგი ჩაუსახლდა... თვალებში კაეშნის ბადე ჩაექსოვა...

გაჰბედა, გაჰბედა და ნაღველის სიო დაეკონა, ეამბორა მის მაღალ შუბლს.

ამ დროს... ნუ მოიშორე ღიმილი, ხელი ნუ გაუწოდე სევდასა და კაეშანს! აქეთ, ჩემსკენ, ჩემსკენ, ჩემო მეუფევ, ჩემო სიხარულო, დავეშვი მეც დაბლა, შენთან, შენთან! შენი სულის მართლაც რომ „მდიდარ მაღაროებში“ ჩამოვსახლდი. მანდ გავიჩინე სამარადისო ბინა, იქ სევდისა და მწუხარების დასალეწად, გასატიალებლად, შენს ასაკასკასებლად, შენი აღდგომის მოციქულად.

შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი!

შორიდან მხურვალე სალამი და ნაზი ამბორი ჩემს ძვირფას დათიკოს... ჩემს სალოცავს, ჩემს სიხარულსა და ბედნიერებას!

დათიკო, გენაცვალე, მგონი, უკვე დაქანცული ხარ მუშაობით, მგონი, დაღლილი, დაწყვეტილი ხარ, შეწუხებული და მე მინდა, გადავევლო მანელებელ სიოდ შენს შუბლს, შენს დაღლილ გონებას. მე მინდა, გიჟურის კოცნით დავაკვდე შენს სევდიან თვალებს და ამოვაშრო მათგან სევდისა და ჭმუნვის სახვა.

მომიტევე, დათიკო, მომიტევე, თავს შემოგევლე, ეგ სულიერი ტანჯვა, ეგ მწუხარება! მე რომ ისეთი წინდაუხედავი და დაუფიქრებელი არა ვყოფილიყავი ჩემს წერილებში, ალბათ, ეს არ მოხდებოდა, ალბათ, დათიკო განაგრძობდა, მართალია, არა ბედნიერს, არა ლამაზ, დათალხულს ცხოვრებას, მაგრამ ასეთი მწუხარების და ტანჯვის გადატანა ხომ არ მოუწევდა?! მაგრამ, მაგრამ მე თუმც არა ამის წინათგრძნობით, მაგრამ გავხდი მიზეზი იმის ტანჯვისა, ვისთვისაც მზა ვიყავი გამეწირა ყოველივე, ყოველივე, რაც მებადა, ვისაც ვაღმერთებდი, ვისზედაც

ვლოცულობდი. მაგრამ, ნუთუ ის უნდა დარჩენილიყო, ნუთუ იმას შეეძლო განეგრძო ის ცხოვრება, ნუთუ დათიკოს სულს შხამავდნენ ის საშინელი სცენები და ამას ყოველივეს ის ურიგდებოდა და შეუძლია შეურიგდეს მომავალშიც?!

„შენ ისე არ გააკეთო, რომ ისიც დამაკარგვინო და...“ ნუთუ ეს შენ სთქვი, დათიკო? რაღაც არ მეჯერება. არ ვიცი, ამ დაკარგვაში რას გულისხმობდი და, თუ დაკარგავ რაიმეს, მაშინ სჯობია, ძველი არ მიატოვო სხვისი პოვნის იმედით.

მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მე არ მინდა, არც მინდოდა ამაზედ ლაპარაკი შენთან, მით უმეტეს ახლა მანდ. არა, მე არ მინდა, შენს ისედაც შეწუხებულ სახეს ჭმუნვის ხაზი მივუმატო. მე პირიქით მინდა, მინდა შეგიმსუბუქო მწუხარება. თუკი შევძლებ როგორმე მე მინდა გავაშუქო შენი ჩაბნელებული ცხოვრების კუთხეები. მე მინდა, ბედნიერების სხივები გადავაფრქვიო შენს მრავალტანჯულ არსებას.

მე მინდა, მე მინდა შენ იყო ის იშვიათი ბედნიერი, რომელიც უდარდელად იცინის, რომელსაც ატკბობს ცხოვრების სილამაზე და ეშხი.

არ ვიცი, არ ვიცი, დათიკო, რამდენად შევძლებ სურვილის საქმეში გადაქსოვას. არ ვიცი, არის თუ არა ჩემში ის ძალა, რომ ადამიანს მივცე ბედნიერების ნავთსაყუდელი, რომ ძვირფასი ადამიანის სულს მფარველ სინაზედ მოვევლინო, ბედნიერების მოციქულად ჩამოვუქროლო. ადამიანი ისე პატარაა, ისე უმწეოა, მე მეშინია, მეშინია და, ბოლოს, ულმობელმა კრულმა ცხოვრებამ ყოველგვარი ეშხი და მიზიდულობა არ ჩამოაცილოს იმ მომავალს და საშინელი, დამაზრობელი პროზის წინაშე არ დაგვაყენოს.

მე რომ ვფიქრობ ჩვენს მომავალზედ, იგი ისეთ ლამაზ ფერებში, ისეთ მომხიბლავ ფორმებში მესახება... იგი დამათრობელი სილამაზეა, იგი მომხიბლავი ზღაპარია, მაგრამ ცხოვრება ხომ ზღაპრებს არ იცნობს. სასტიკი ცხოვრება არ ამართლებს მეოცნების ბოდვებსა და სიზმრებს. იგი ერთი ტლანქი ამობორგვით მიგვილეწავს იმ ძვირფას კოშკებს, სადაც ბედნიერების ყვავილთა სათბური გვექნება. იგი გადაგვიწყვეტს იმ ძვირფას ძეწკვს, რომელზედაც აიკინძება ჩვენი ლამაზი ცხოვრების მომხიბლავი სახეები, მაგრამ იქნებ, იქნებ, რომ ჩვენ დაგვითმოს ცხოვრებამ, იქნებ ჩვენი ძლიერი გრძნობების ქარტეხილს მისმა ზვირთებმა ძალა შემატონ, ჩვენს უდრეკ ნებისყოფას დაუმორჩილონ, ქედი მოუხარონ და... მაინც ამ „იქნებით“ ჩვენ მომავალს ვერ განვსჭვრეტთ, ჩვენ პითიას მისნობის უნარს ვერ შევიძენთ, ჩვენთვის მომავალი ისევე შეუცნობელია და ამოუკითხავია, როგორადაც თურდოსპირელის სულიერი ცხოვრება – ზოგიერთ „სულით კუზიანებისთვის“ და არც სასურველია.

რაღაა შენი ცხოვრება, თუ შენ მას უკვე იცნობ?! სადღაა სილამაზე ცხოვრებისა, თუ შენ მომავლისგან უცხო, უცნობ სახეებს არ მოელი. მხოლოდ მოლოდინითაა ცხოვრება მიმზიდველი, მხოლოდ მოლოდინი იმედით გაჩერებენ ცხოვრების ზვირთებთან შესაჭიდებლად, შესაბრძოლებლად.

ჩვენც ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ, ძალა ვპოვოთ ერთმანეთში და ერთმანეთისთვის...

ჩემო სასოებავ, ჩემო სიცოცხლე, დათიკო! მე სულ სხვაგვარი, სევდით მონისლული გრძნობების გადმოსაცემად ავიღე ხელში კალამი და სხვა ენით კი დაიწერა ეს ქაღალდი.

მე ეს ენა არ მინდოდა. ახლა მხოლოდ მინდოდა ნაზად, სათუთად მოვვლებოდი შენს სულს, სხვაგვარის გრძნობით მოგსალმებოდი, მაგრამ თავი მიბრუის. ალბათ, წამლის ბრალია. ყველაფერი ტრიალებს ჩემს ირგვლივ და თანდათან უფრო ირევა. მოდი, წერას გავათავებ, ჩემო სიხარულო! მოდი, გამოგეთხოვები და დაგეკონები გიჟმაჟი კოცნით, ჩემო იმედო და ბედნიერებავ!

მოდი, მალე მოდი, გული დაილია ლოდინში. დათიკო, შენ შემოგევლოს თავს სანია, მალე მოდი, აღარ, აღარ შემიძლია უშენოდ, ერთ დღეს ველარ ვძლებ, გელი, გელი მოუთმენლად შენი გიჟი გოგონა.

ნუ გაგიკვირდება ჩემო, ჩემო ყველავ, რომ ასე თავისუფლად, ყველგან „შენობით“ მოგმართავ. მე თვითონ არ მესმის, რატომ და „თქვენს“ ველარ ვწერ.

25/XI-27 წ.

¤ ¤ ¤

26/XI-27 წ. ახალსოფელი

ჩემო საალერსო, ჩემი ცხოვრების გაზაფხულო სანიკო, სანი! საიდან დავიწყო? – საიდან და დავიჩოქებ შენს წინაშე და ნაზად, ნაზად გეამბორები.

ჩემო, ჩემო შემოქმედებავ, ჩემო შთაგონებავ, მკლავს შენი დარდი. როგორა ხარ? როგორ მესწრაფება სული, რომ როგორმე მოვიდე და კოცნით მაინც განგკურნო, მაგრამ...

სანიკო ჩემო, ჩემო სანიკო! მაპატიე, გენაცვალე, მაგრამ მე მაინც ნაწყენი ვარ დედაშენზე... თუმცა აქაც

გასაგებია მისი მდგომარეობა. ერთადერთი თვალის ჩინი ქალი ჰყავს და იმასაც ხომ არ გააუბედურებს? როგორ გავაგებინო, თუ როგორ მიყვარხარ, რომ ჩემი და შენი ბედი გადაინასკვნენ. მათ ვეღარ დასწყვეტს ვერაფერი.

სანიკო, ჩემო ჩიტუნიავ, ჩემო ჩიორავ, რა კარგი ყოფილხარ შენი ბავშვური ალერსით. მე ვნეტარებდი, როდესაც შენ დედაშენს ნებიერის კილოთი ელაპარაკებოდი. რა კარგი, ახ, რა კარგი იყავი, როცა შენ მე მიცავდი და ეუბნებოდი ბავშვის ტიტინით, რომ მე ნაწყენი ვარ... რა ბედნიერი იქნება ის წუთი, როცა შენ, მე ეგეთის ნებიერის ტიტინით ამიჯეჯილებ სულსა. აბა, იყავი კარგად, სასოებავ...

დღეს კონფერენციაზე შენ გახსენე და ჩემი ხმა ისე თრთოდა, როგორც იის გაფურჩქვნა.

გაკოცებ ბევრს, ბევრს

შენი დათიკო.

ჩემი ყრმობის ტკბილო, მტრედისფერო სიზმარო, ჩემი ჭაბუკობის დაუმღერებელო მელოდიავ, ჩემო მშვენიერო სანიკო! ვიჩოქებ შენს წინაშე და შენს ნატერფალს ვეამბორები ამდენის ყურადღებისთვის, ასეთის თანაგრძნობისთვის. მე მეგონა, შენ უკვე გიცნობდი, მეგონა შენს სრულებამოსილებას ვეზიარე – აი, დღეს მივიღე შენი წერილი და იქიდან შუქურ-ვარსკვლავსავით ამოფრინდა ახალი სანიკო. ახლა ვრწმუნდები, რომ საზღვარი არ ჰქონია შენს სათნოებას და კდემას, შენს მშვენიერებას და სასოებას.

ჩემო, ჩემო ღვთაებავ, ერთს ჩემს მოთხრობაში ვწერდი, რომ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ჩემი დედიკოს წერილი თან დამდევდა, უეჭველად მიპოვნიდა... მიეფარა იგი

სამარეს და შესწყვიტა მან ჩემი ძებნა. დაობლდა სული, გასაპყარდა... ახლა აღმოჩნდა სულ სხვა ადამიანი, ნორჩი, კისკასა გოგონა და იგი იმდენს ალერსს აფრქვევს, იმდენს სიყვარულს და ნუგეშს მისაგზლებს, რომ მეშინია, მეშინია იმ ძველი კრეზისავით, ემანდ ღმერთებს არ შეშურდეთ ჩემი ბედნიერება და არ გადამიბირონ შენი სიყვარული.

ჩემო სანიკო, ჩემო გვრიტიკო, მე არ ვიცი, რა გიწოდო: ბრძენი, ფილოსოფოსი, პოეტი თუ, როგორც შენვე ნათლავ შენს თავს – გიჟმაჟი გოგონა... შენ ორივე ხარ... მე არ შემხვედრია არსად ასეთი ადამიანი, რომელშიც ბუნებას ამდენი ღირსება შეერთებინოს. შენ სწერ ბრძნულად. შენი სტრიქონები დიდი მოაზროვნის კალამს გაუკეთებდა სახელს... აბა, გავიხსენო შენი ნაკვესები: „რაღაა შენი ცხოვრება, თუ მას უკვე იცნობ“, „სადღაა ცხოვრების სილამაზე, თუ მომავლისაგან უცნობ, უცხო სახეებს არ მოელი, მხოლოდ მოლოდინშია ცხოვრების მიმზიდველობა“...

ან არადა, ავიღოთ იმ სევდის სტრიქონების ჩაღვენთება, რომლითაც მდუღარებით შემიწითლე შენზე მეოცნებე თვალები: „მეშინია, ულმობელმა, კრულმა ცხოვრებამ ეშხი და მიზიდულობა არ ჩამოაცალოს მომავალს და პროზის წინაშე არ დაგვაყენოს“...

„სასტიკი ცხოვრება არ ამართლებს მეოცნების სიზმრებს... იგი მიგვინგრევს იმ კოშკებს, სადაც ბედნიერების ყვავილთა სათბური გვექნება“...

ყველგან სიბრძნეა... ყველგან პოეზიაა და იმედი... ამ კაეშანში იმედის სტრიქონები მაინც ფრიალებენ... იქნებ, ჩვენი ძლიერი გრძნობების ქარტეხილს ზვირთებმა ძალა შემატონ!

სანიკო, ჩემი მომავლის სუმბულო სანიკო, ჩემი წამებული დედიკოს ალერსივით მინანავებს და მატკბობს

შენი დაპირება: „ჩვენი მომავალი ისეთს ლამაზ ფერებში მესახება... იგი დამათრობელი სილამაზეა... იგი მომხიბლავი ზღაპარია“... კიდევ, კიდევ გაიმეორე ესა, სანიკო, კიდევ, შენ გენაცვალე. თუმცა, შეიძლება, მე გავგიჟდე, გადავირიო მეტის ღელვისა და ბედნიერებისაგან. ჩემო ყველავ, ჩემო, ჩემო ცქრიალა, წარმტაცო, ბრძენო, გიჟმაჟო გოგონავ... შენ შემოგევლოს შენი დათიკო!

ჩემს სულში ჩახატული არიან ძვირფასი სახეები: დედიკო, ჩემი სალომე, მზია, დალი და სანიკო... ეს სახეები შემომცქერიან და ვებრალები და მაბრალებენ თავს. რა ვქნა, ძვირფასო, როგორ დაგიმტკიცოთ, რომ მიყვარხართ, რომ თქვენზე ძვირფასი არავინა მყავს.

შენი, შენი დათიკო.
29/XI-27 წ.
ახალსოფელი. ღამის 10 საათი.

7/XII-27 წ.
მე-3 სკოლა. დილის 11 საათი

შენთან მინდა, შენთან...

მომაშორე, აქედან წამიყვანე, წამიყვანე მაღლა, ღრუ-ბლებთან, ვარსკვლავებთან. წამიყვანე გინდ ჯოჯოხეთში, ოღონდ ნუ მომშორდები, ოღონდ მარად ყურს მესმოდეს შენი ტკბილი ხმა: „სანიკო, გენაცვალე“, ოღონდ მარად შენთან ვიყო, შენთან, ჩემო სიყვარულო, ჩემო სასოებავ, ჩემო რწმენავ!

სანიკო.

8/XII-27 წ.

ჩემო, ჩემო, ჩემო სიხარულო, ჩემო ნეტარებავ, ჩემო სალოცავო დათიკო! ნუთუ, ნუთუ მე აქ, თბილისში, ვარ და მარტო, მარტო ვარ იმ დროს, როდესაც რამდენი ხნის წინ ვგეგმავდით, რომ თბილისში მაინც ერთად ვყოფილიყავით, აქ მაინც არავინ გვყოლოდა ხელის შემშლელი!..

დათიკო, ნეტავ რას ფიქრობ, ნეტავ რა ამბავია ჩემი ძვირფასი დათიკოს თავს, რომ ის არ ჩამოვიდა თბილისში. ნეტავ რა ეწყინა. ნუთუ მე ვაწყენინე რამე, თუ? ვგიჟდები, დათიკო, ჭკუას ვკარგავ – ეს რა გავაკეთე, რა?! არ წამოვსულიყავ მაინცა, იქ დავინახავდი ხანდახან მაინც დათიკოს, იქ გავიგებდი დროგამოშვებით იმ მგოსნის ხმას, რომელიც ჩემთვის და ვიღასთვის არა, სადიდებელ, სათაყვანო პიროვნებად გადაქცეულა.

მაგრამ შენ, შენ, დათიკო! ნუთუ ამას მპირდებოდენ დათიკოს თვალები, დათიკოს ხმა, მისი წერილები? მაგრამ მე არ მინდა ეს დავიჯერო, არა, არ მინდა დავიჯერო, რომ დათიკო ადვილად ურიგდება გარემოებას. არა, აქაც მე ვარ და მინდა კიდეც ვიყო დამნაშავე, რათა უფრო მაღლა, უფრო სხივოსნად მოსჩანდეს ჩემი მეუფის სახე, რათა მის სადიდებელ ჰიმნებს კვლავ გაუძლიერდეს წარმტაცი თრთოლა, მომხიბლავი ქვითინი, მომაჯადოებელი ცრემლვა.

დათიკო, მინდოდა, დღეს დეპეშა მომეცა, მაგრამ გავ-ჩერდი, ველარ გავბედე. ერთი, რომ ვინ იცის, შენ მიიღებდი თუ არა; მეორე – ვინ იცის, ის დეპეშა იგივე იქნებოდა შენთვის, როგორც სანიას წინანდელი წერილები?!

მაგრამ არ ჩამოიხედავ დათიკო, ჩემო ყველავ, არ ჩამოიხედავ მაგ ალერსიანი თვალებით შენი გოგონას სულში, შენს სამფლობელოში, შენს საკურთხეველში!

რა ხდება, ნუთუ მანდ არ გესმის, დათიკო, ნუთუ შენი სათუთი გული არ გრძნობს რომ აქ მისთვის მგზნებარე გულს ცეცხლი ეკიდება, იჭვიანობის საშინელ მოლოდინის მწვავე შანთებით იდაღება.

მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო აღმდგენელო და დამმარხაო, ჩემო სიცოცხლევ, სიხარულო, სევდავ და კაეშანო. ჩემო... ჩემო, არ ვიცი რა გიწოდო, ჩემო ყველავ, ყველაფერო დათიკო...

უკანასკნელი გამოთხოვებით დავეკონები შენს ხელებს, შენს შუბლს, შენს ტუჩებს... ახ! ნეტავ მღირსებოდა ერთხელ კიდევ გამომეტირა ჩემი გული, ჩემი ცხოვრება შენს მკერდზედ.

ახლა იწყება ახალი წლები, ახლა იღიმება ახალი ცხოვრება ახალის სულით, ახალის ეშხით... მისი თვალები კვლავ იღიმებიან, კვლავ იცინიან. მოაგონდათ, იპოვნეს დაკარგული სიხარული და მას ამ ღიმილს ვეღარავინ ჩაუქრობს. იგი ჩემია, ჩემი, ჩემია ის სხივთაფრქვევა...

იგი მარად მგზნებარე, მოკაშკაშეა. იგი ყველგან და ყოველთვის ჩემთან არის და მე კი მასში... აი, ახლაც, ამ წუთში მანდა ვარ, მანდ, შენთან, ჩემო სიცოცხლევ! განა შენ მარტო გაგიშვებდი, განა შენ სათუთ სულს მოვშორდებოდი გინდ ერთის წუთით... მანდა ვარ. მესმის შენი გულის ძგერა, ვგრძნობ შენს თვალთა ელვარებას, თან მოგდევ და მომაქვს ყვავილთა კონებად აკინძული შენი მ-სი და დ-ის ტიტინი, შენი სანიკოს ალერსი...

დათიკო, შენი ჭირიმე, ნუ იდარდებ, თორემ მე აქ ვიგრძნობ და გული დამეღვარსლება... მხნედ იყავი, გენაცვალე, მხნედ! მე ვარ შენთან...

სანიკო.

19/XII-27 წ. საღამოს 4 საათი.

ჩემი სულის ორეული...

ჩემი არსების მთავარი ნაწილი შენა ხარ, შენ, მეგობარო!..

მე ღარიბი ვარ...

მე ღატაკი ვარ...

მე არაფერს წარმოვადგენ მაშინაც კი, როდესაც დათიკო – ეს ჩემი უძვირფასესი ადამიანი – დაშორებულია მხოლოდ თვალთაგან. მე არ ვიცი, რა იქნება, როდესაც მთლად დამშორდები დათიკო...

არ ვიცი, არა, და არც მინდა რომ ვიცოდე!

თუმც კი

როგორ არ ვიცი

როგორ არ ვიცი, რა იქნება ცხოვრება ჩემი უშენოდ, ძვირფასო?.. როგორ არ მეცოდინება, რა იქნება ჩემი სიცოცხლე, როდესაც მას მოაკლდება ის კაშკაშა სხივები, რომელნიც მოიფრქვევიან დათიკოს სულისაგან.

მაგრამ, ჩემო ყველავ, მე ახლა სულ სხვა რამეზედ მინდა გესაუბრო, სხვა სახეში გამოჰკრთეს ჩემი სული და მეც, მეც, მე სუსტს, უღონოს, მე, რომელსაც იმედი მქონდა ჩემი თავისა, მე დაჩოქილი ვევედრები, ვევედრები თურდოსპირელს, იმ საოცნებო, სათაყვანო თურდოსპირელს, როცა დარწმუნდება და, ალბათ, დარწმუნდება სანიკოს აღდგენაში, რომ მან გაუწოდოს შორით შორი მეგობრის ხელი მლოცველს, რომელსაც მიუპყრია დიდი, დიდი ხანია თვალი ამ ღმერთკაცისთვის და სთხოვს გზის გაშუქებას, სთხოვს, სთხოვს განსპეტაკება-გაძლიერებას იმ სათუთი გრძნობებისა, რომლის ჩანასახი მაინც არის მის სულში, მაგრამ, მაგრამ... აი, რა დამართვიათ.

საბრალო სანიკო.

შენი ოთახი. საღამოს 4 საათი

გული, გული ცრემლში სცურავს, გული კვნესის, მწარედ ქვითინებს. დათიკო, დათიკო, ჩემო ყველავ! ეს გული ხომ შენია, იმას ხომ უშენოდ სიცოცხლე, უშენოდ არსებობა არ შეუძლია?! მაშ, რატომ დასტოვე, რატომ დააობლე, რომ იწანწალოს მსუსხავ შამბნარში, მშხამავ ეკლნარში... და ისედაც დაიარავებული უარესად დაიკაწროს, დაიჯიჯგნოს. რატომ გმირულად, შენეულის სილამაზით, ვინაიდან შენი ყოველი მოქმედება ლამაზია, მომხიბლავია, არ გააპე ეს მკერდი, თან არ წაიღე იგი? ის იქნებოდა მარად შენთან, შენი მფარველი, შენზედ მლოცველი, მაგრამ სულერთია.

მართალია, ის შენი სანიკოს მკერდს ქვეშაა მომწყვდეული, ის დაშორებულია თავის მეუფეს დიდი მანძილით, მაგრამ ის, როგორც შენი დედიკოს გული და ფიქრები, მარად შენთან არის, შენს ირგვლივ ტრიალებს.

აი, ჩემი სიხარული, ჩემო ბედნიერებავ!

დაჩოქილი ვარ შენი დედიკოს წინაშე და შევღაღადებ ხელებაღპყრობილი, რათა მან თავისი გრძნობები გადმოადუღოს ჩემში, რომ მე, შენზედ მლოცველმა, შენმა მხევალმა შევძლო დატევა ჩემს გულში იმ გადამლახავი, ყველაფრის შემძლე გრძნობებისა, რომელიც შენც შემოგეფრქვევა დედიკოსი და შენზე გაგიჟებულ გოგონას მაგიერაც.

...მინდა, მწყურია, ახ, როგორ მწყურია, სასწაულმოქმედმა, გაძლიერებულმა ძალებმა, გრძნობებმა იპოვონ ჩემში ბინა, დაისადგურონ, რომ ჩემში აღდგეს შენი დედიკოს გრძნობებიც, რომ შეგინელო მწუხარება, ტანჯვა, რომლებიც შენ ცხოვრებამ გარგუნა... შეგიმსუბუქო

წამები, რომელიც ქვესკნელის ზრიალით, სამყაროს ნგრევის სიმძლავრით რამდენჯერმე მოასკდა ჩემი სიამაყე მრავალტანჯულ მგოსნის გულს... რომ გაგიტაცო უცხო სამყაროში, სადაც ჩემი სულის, ჩემი გრძნობების ყვავილები აგიკინძავენ ბედნიერების ჰამაკს, დაგარწევენ უცხო, შენთვის, მხოლოდ შენთვის დაბადებულ ლირის სიმების თრთოლით, შეგიმკობენ ლამაზ შუბლს უჭკნობი დიდების გვირგვინით და შენზედ მლოცველი ფერიები მოგეფრქვევიან ეთერის თრთოლვით.

ახ, რად ეუფლე ამ გულს მგოსანო,
თუ დასტოვებდი შხამიან შამბნარს?!

20/XII-27 წ. თელავი

არის ისეთი გაღიზიანების მომენტი, როდესაც ადამიანის სული იმდენად დაუშხამია კაეშანს, რომ აღარ შეუძლია კაცს კალმის აღება და ქაღალდზედ გადატანა იმ ტანჯვისა და მწუხარებისა; არის ტანჯვა, ესოდენ ძლიერი, რომ ყოველგვარი მოძრაობის და აზროვნების უნარს გართმევს...

ასეთი იყო ჩემი მდგომარეობა გუშინ, როდესაც შენი წასვლის შემდეგ შენს ოთახში ავედი.

¤ ¤ ¤

ჩემო ძვირფასო მეგობარო სანიკო!

ჯერ შენს შეალერსებასაც ვერ ვბედავ, ჯერ მინდა დავიჩოქო შენს წინა მე და პატიება გთხოვო წერილის დაგვიანებისთვის. მე და რამდენიმე დღის დუმილი – ეს წარმოუდგენელია. არ გეგონოს, სანიკო, ვითომც

შენზე არ ვფიქრობდე; რომ შენ არ შეგქფრვინვიდე, შენს მომავალს არ გავყურებდე. ყოველთვის შენთან ვარ და შენი მეგობრობით ვამაყობ, ვმედიდურობ. წერილის დაწერა კი გამიძნელდა. მუდამ, როცა კალამს ხელს მოვკიდებდი, ვიტყოდი: მოიცა, ჯერ გამოარკვიე შენი სამსახურის მდგომარეობა და შემდეგ მისწერე, მაგრამ ასე ადვილად რა სწყდება (გარდა ჩვენი სიყვარულისა), რომ ეს გადაწყვეტილიყო. ცდას ისევ შენთან საუბარი მირჩევნია და გწერ. თავდაპირველად ჯერ შენი ამბავი უნდა ვიკითხო, როგორა ხარ? რა გუნებაზე? ხომ არ ნაღვლიანობ? ხომ არ გღვარსლიან ისინი, რომელთა ბაგეებიდან ერთხელ არ წარმოთქმულა კეთილშობილი სიტყვა. მაგრამ, რა გვეკითხება მათი რატრატისა. შენ შენი ამბავი მაცნობე, ხომ იწყე წესიერი მეცადინეობა, ხომ ჩაჯექი კალაპოტში? შენს თავს გაუფრთხილდი. მე ხომ ვიცი შენი ამბავი: ან საბანს გადაიძრობ, ან უპალტოოდ გამოიჭრები გარეთ, კვებით ხომ ჩიტის ნამცეცებს კენკავ. იცოდე, ციცინო, გენაცვალე, რომ შენ მხოლოდ შენს თავს აღარ ეკუთვნი. როცა შენს თავს მოუვლი – ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემზედაც გიზრუნია. აბა, შენ იცი და შენმა მეგობრობამ. სანიკო, ხომ არ ასდიხარ ხოლმე ჩემს ბინაზე? მიხაკის მორწყვა არ დაივიწყო, ეგ უეჭველად უნდა ვახეიროთ. სანიკო, ძალიან ვნანობ რომ ბავშვების ყულაბა მანდ, ჭურჭლის კარადაში, დამრჩა, მინდოდა ჩამომეტანა. სხვა დროს წამოვუღებ.

ჩემო გვრიტუნი, ჩვენი სურათი ხომ არ გინახია?! ნეტავი კი მეტად სასაცილოდ არ ვიყო გადაღებული. კოტე რაღასა იქმს? დაობლდა, დაობლდა! მაგას შეუძლია სთქვას, მოყვასი ჩემი მომიკლეს, დავეხეტები ცალადა.

ახლა ჩემს ამბავს მოგიყვები, თუმცა ჯერჯერობით

თქმადაც არა ღირს: მოთავსებული ვარ პროფკავშირების ბინაზე, სხვის ოჯახში. ღამეში ვიხდი 1 მან. 25 კაპ. თუ დიდხანს გაგრძელდა აქ ყოფნა – შენი მტერი – კარგა თანხას დაიჭერს. ქართველიშვილი და ვარამაშვილი მოსკოვიდან ჯერ არ დაბრუნებულან. ყველაზე დიდი იმედი მათი მაქვს. სხვებს რას შევჩივლებ. სხვებს არ შეუძლიათ ჩემი სულისკვეთება გაიგონ. უკვირთ: ასეთ კარგ პირობებში გიცხოვრია და როგორ მიგინებებია თავიო. რომანზე კი უტიფრად მეუბნებიან: ოჯახი ტყუილად დაგირღვევია, შეგეძლო, ერთთანაც გეცხოვრა და მეორესთანაცო. აი, სპეტაკი სინდისი ცივილიზებულ ადამიანისა! და ამას ამბობენ უაღრესად პატიოსანი ადამიანები, საზოგადო მოღვაწენი. შენ გგონია, ჩვენ კი არა გვყვანან სატრფოები, მაგრამ განა შენსავით ვაცხადებთო. კარგი მოუვათ, კარგი ზნე მაგათ არა სჭირებიათ.

კომისარიატში ილო ვნახე. გაბრიელსა და მარიამს არ დავნახვივარ. ილომ ყველას აცნობა ჩემი ამბავი და მარიამ ორახელაშვილიც და სხვანი გაკვირვებულან. უთქვამთ, რაღა ეშველება იმ მაზრასაო. მარიამი გაჯავრებულა, ვისი რა საქმეა მისი რომანის საკითხიო. დავითს ვიცნობ, როგორც უაღრესად გადამჭრელად მოაზროვნეს და მეჭორეთა განგაშს რას აჰყოლიაო... მოწყობით კი მომაწყოიბენ, მაგრამ გეცოდინება, ჩემო სანიკო, რომ არსად არაა ისეთი მაღალი ჯამაგირები, როგორც მანდ იყო. ასეთია ჩემი მდგომარეობა, ჩემო სანიკო.

გუშინწინ დავიბარე ჩემი მზია, მოიყვანა ე----ს ძმამ, ნააფიცრალმა. ძალიან თბილად შემხვდა, ძალიან გაუხარდა, მისაყვედურა: მაშინ რატომ არ მოდიოდიო, მეხვეწებოდა, წავყოლოდი დედიკოსთან.

ოო, რა ძნელი მდგომარეობაა. წასვლის წინ მეჭიდებოდა, წავიდეთო. მე არ დაგიმალავ და გამოგიტყდები, ასე მეგონა, იგი იმ პატარა თითებით, მე რომ მეხვეოდა და მომიწოდებდა, ასე მეგონა, იგი ლოდებს ლოდებზე ადებდა იმ ოჯახის ხელახლა აღსადგენად, რომელიც დაანგრია უსიყვარულობამ...

და მე შემეშინდა... მე იოტის ოდნავაც არ მაფიქრებდა ოჯახის დანგრევა და ბავშვის ტიტინმა სადღაც გულის სიღრმეში გამკენწლა, რომ, თუ მტკიცედ არ მოვიქეცი, მას შეუძლია ააგოს... ჩემო, ჩემო პაწაწა მზიავ, ცუდია გენაცვალე შენი და დალის მდგომარეობა, მაგრამ შეუძლებელია იმის აღდგენა, რაც დაინგრა. მით უფრო მაშინ, როცა იგი, ჯერ კიდევ დაუნგრეველი, უსახური იყო და უსიხარულო.

მეგობარო, ძვირფასო მეგობარო სანიკო, შენ რისთვისღა მოგენაღვლა სახე, შენ რისთვისღა გგონია, ვითომც ჩემში გაორება იწყებოდეს. არა, გენაცვალე, არასოდეს ისე დამკვიდრებული არა ყოფილხარ, როგორც ახლა. თანდათან უფრო და უფრო მიპყრობ. მე მხოლოდ გაგაცანი სულის ტკივილები მამისა, რომელსაც განუსაზღვრელად უყვარს შვილები და იგი იმისთვის იტანჯება, რომ არანაკლებად სანიკოც უყვარს და უნდა მათი – სანიკოს და შვილების შეერთება.

სანიკო, ჩემო მშვენებავ, ჩემო გიჟმაჟო, ორი დღე და შენი არდადაგები დადგება. ახლავე მოიმზადე რაც ახალი ტრიმესტრისათვის დაგჭირდება – გადაიკითხე, რაც გადასაკითხია, რადგან ხომ შეიძლება, მალე ჩვენი ცხოვრება კარგად მოეწყოს და სადღა გვეცლება მაგისთვის?!

სანიკო, გენაცვალე, იყავი კარგად. მე ვეცდები,

მალე მოვაგვარო საქმე და, თუ მაინც ძალიან გაძნელდა, რამდენიმე დღით მაინც ჩამოგიქროლებ. დამნატრულდა, ძვირფასო, შენი წერილი. ახლა შეგიძლიან მომწერო გიორგის მისამართით: ტფილისი, აკაკის ქუჩა (ყოფილი გენოვის) №15 – გიორგი ჩხეიძე-ქუჩიშვილს. მართლა, გუშინ „ამერიკანკაში“ ვიყავი და „ვიქტორიას“ ვერ წავაწყდი. მიკვირს, თუ რად გავიწყდება შენი ზომის მოწერა, რომ შენთვის „კეპკა“ მეყიდა.

ჩემო, ჩემო გვრიტუნიავ, ჩემო სანიკო, ჩემო ციცინო, რომ იცოდე, როგორ დამნატრულდი. როგორ მენატრება, შენს წინ იატაკზე ვიყო გაწოლილი და გკოცნიდე, გკოცნიდე, გკოცნიდე...

მარად და მარად შენი დათიკო.
22/12-27 წ. ტფილისი

✧ ✧ ✧

23/XII-27 წ.
დავიწყე 3 საათზედ, ვამთავრებ 6 საათზე.

არ ვიცი, დათიკო, როგორ დავიწყო, მარა, ყოველ შემთხვევაში... ამ წერილში მაინც მაქვს უფლება (შეიძლება უკანასკნელად კი), რომ გიწოდო – ჩემო!

დათიკო, დღეს 23 დეკემბერია, სახლში მივიღე შენი წერილი. დათიკო ჩემო, სიმართლე გითხრა, აღარ მოველოდი წერილს და გამიკვირდა. მე უკვე გადავჭერი ჩემს გონებაში დადებითად ის კითხვა, რომელიც შენში, შენი პირმშოს უმანკო, მარა სამართლიანმა ტიტინმა აღძრა...

დიახ, დათიკო, მე, სანიამ, რომელიც ბევრზედ კარგად

გიცნობს, ვიფიქრე, შეიძლება დათიკო დაუბრუნდეს ე-ს და, ალბათ, დაუბრუნდება, ვინაიდან მისი მგრძნობიარე გული ვერ გაუწევს წინააღმდეგობას ბავშვების მოწოდებას: „ძველ ოჯახს ნუ დაგვღუპავო!“ ეს ხმები მდევნიან, დათიკო, აღარ მაძლევენ მოსვენებას. ჩემი ბედნიერება დამარხულია იმიტომ, რომ მე დამიჭლექდა უდარდელი სიცილი, დამეთალხა უზრუნველობა მხიარული გულისა. განა შეუძლია, ბედნიერი იყოს ადამიანი, რომელმაც ახალი ცხოვრების ზღურბლზედ ცრემლით გადასდგა ნაბიჯი და მისი პირველი დღეები, რომლებიც უნდა შექოჩრილიყვნენ ბედნიერი, ნეტარი დღეებით, ცრემლით ინისლება. და, თუ ჩემს თვალს არ შორდება ცრემლი, მხოლოდ ცრემლი ფარული, რომ დედიკომ არ შენიშნოს ახლა, მით უმეტეს, რა იქნება შემდეგ... არა, დათიკო, ჩემი ბედნიერება დაინგრა, მოიმსხვრა. მე არ შემიძლია, სრული ბედნიერი ვიყო თუნდ შენს ახლოსაც და ეს იმიტომ, რომ მე საშინელი ცოდვა ჩავიდინე. მე ვარ, მე, ის დიდი ჯალათი, რომელსაც სისხლი არა სცხია, მარა, რომელმაც დაღუპა რამდენიმე ადამიანის ბედნიერება და ყველაზე მეტად – თავისი.

დათიკო, მე შენ დაგიჯერე და მივატოვე სრულიად ფიქრი იმაზედ, თუ რა მოჰყვებოდა ჩვენს ასეთ ნაბიჯს, როგორ დაისჯებოდნენ შენი შვილები, შენი მეუღლე, თითონ შენ... და შენს გაფრთხილებაზედ: „წლოვანებაზედ იფიქრეო“ – მხიარულად ვიცინოდი. მაგისი არ მეშინოდა და რისიც უნდა გვშინებოდა, იმაზედ ფიქრი კიდევ მივატოვე. ახლა, მართალია, გვიანია, გვიანია მაგაზედ ფიქრი იმიტომ, რომ დროებით მაინც დაისაჯა რამდენიმე უდანაშაულო ადამიანი, მარა სჯობს გვიან...

ამიტომ, დათიკო!

...ჩემი ბედნიერება, სულერთია, დარღვეულია, შენთან ვიყო თუ არა... შენ გაქვს ცალკე სულიერი ცხოვრება, რომელიც მე არ მეკუთვნის. დაბოლოს, ის დასჩრდილავს ჩემს კუთვნილსაც... და, თუ მე შემრჩება დათიკო, ეს იმიტომ, რომ დათიკოს შევებრალები. მე კი ეს არ მინდა! ოოხ, როგორ მძაგს ამ შემთხვევაში ეს გრძნობა – სიბრალული... თუ სიყვარულში ეს საბრალო გრძნობა შეიჭრა, იქ მოშხამულია უკვე სიყვარული, იქ გარღვეულია, მოწამლულია.

და, აი, ჩემო დათიკო, აქ გამომადგა ლოღიკა – ეს მწარე, მაგრამ ალმასზედ მჭრელი.

მე, სულერთია, უბედური ვარ, დათიკოც – ერთად ვიქნებით თუ არა. თუ ერთად ვიქნებით, ჩვენს გარდა კიდევ უბედურდებიან სხვებიც. თუ დავშორდებით, ამით მაინც შეგვიძლია სხვას მოვუტანოთ სარგებლობა... მაშ, სჯობიან, დათიკო, ახლა უკვე წაჰყვე შენს მზიას. გაფიცებ სანიკოს, სანიკოს, რომელიც მარად შენზედ ილოცებს, მარად შენთვის იცოცხლებს... დამეთანხმე, დათიკო, რომ შენ სანიკოსთან ბედნიერი არ იქნები!

მე არ ვიცი, რატომ და შეიძლება ვცდები კიდევაც. მაშინ მუხლმოდრეკილი მიტევებას გთხოვ! იმ საღამოს შემდეგ, რაც შენ ჩვენიდან წახვედი გაბრაზებული, მეჩვენებოდა, რომ სანიკოს სამლოცველო შენს გულში უკვე დაზიანდა, შეირყა, შეირყა, რადგან შენ (აბა, დაეკითხე შენს გულს თუ არა), შენ ინანე შენი ნაბიჯი. შენს გონებაში გაუელვებია ფიქრს „რატომ გადავდგი ეს ნაბიჯი, რატომ და ვისთვის დავანგრიე ოჯახიო!“ შენ მითხარი ერთხელ – მაშინ შემიჯავრეო!

ეს მოხდება ხშირად, როდესაც კი შენ ნახავ მზიას და დალის და შენს გვერდით სანიკოს დაინახავ. მე კი ამას

ვერ ავიტან, დათიკო, ვერა!

მე აქამომდე არ ვიცოდი, რა იყო დარდი, ფიქრი. ახლა აღარ ვიცი, რა არის უდარდელობა.

ჩემი ცხოვრება ხორცშესხმული ლანდის ხეტიალია მტანჯავ ფიქრთა სამყაროში, ჩემი შავი ცხოვრების წიგნაკით ხელში... ჩემი ცხოვრება ფრთამომსხვრეული არწივის გაწამებაა... რომელიც შხამიან შამბნარში ღაფავს სულს... შხამში იდაღება მისი ოცნებანი, იფლითება გავარვარებულ შანთით ანაგლეჯი დაწყლულებული გულის იარები...

ჩემი ცხოვრება მარადიული ძიება, ლოდინი იყო... ახლა?!

აღარაფერია წინ. მარტოობა, სიცივე, საშინელება. უნდა ვიხეტიალო გაყინულ ზღუდეთა შორის ადამიანთა ვერაგობისა. უნდა ვიწანწალო მომსხვრეული ოცნებით... ნაწამები სულით, ცეცხლოვანი გრძნობებით.

აი, ერთხელ კიდევ ვსცდილობ გამოვიყენო ძლიერი ნებისყოფა ჩემი; ერთხელ კიდევ გული ავკუწო გონების ისრებით, გავსწყვიტო სისხლის ჯაჭვად ჩემი გულის კვნესა-ვედრება, რათა იგი დასერილი დავმარხო მწარე ხვედრის სამგლოვიარო ჰიმნით, რათა იგი შენს მიერ აგიზგიზებულ კოცონზედ ჩაიფერფლოს, ჩაინავლოს, რათა იგი ეკლად არ აღიმართოს შენსა და მათ შორის.

მე ვიცი... ვიცი... ვერ გავხდები არაფრის მფრძნობიარე, არავის მხედველი... მაგრამ ჩემი ცხოვრება, ალბათ, მარადიული წანწალია გაბზარული გულის, გაწყვეტილი ბედნიერების ნანგრევებზედ...

ჩემო სულით ტანჯულო, სულით მგლოვიარე მგოსანო!

მე ვიცი, ვიცი, გაიგებ შენი მოთაყვანის სულის კვნესასა და ცრემლვას ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ

თანაც მეშინია, მეშინია... ერთხელ მითხარი კიდეც: „ხო, ასე უნდა მაშ, ამ დღეში ჩავვარდი და შენ მასე უნდა მოიქცეო“... მაგრამ მე გეფიცები, გეფიცები შენს სამლოცველოს, შენს ძვირფას სახელს, რომელიც ჩაეტყვია ჩემს სევდიან, კაეშნიან სულს, რომ ეს მხოლოდ შენთვის, მხოლოდ შენთვის... შენ ეს უნდა იგრძნო, უნდა დაიჯერო, თუ იცნობ, კარგად იცნობ სანიკოს. სანიას არ შეუძლია იცრუოს და მერე ვისთან?! – იცრუოს იმ ადამიანთან, რომელზედაც სანიკო ლოცულობს, რომელსაც ანაცვალებს თავის სიცოცხლეს?!

დათიკო, ვგზავნი წინა წერილსაც, არ კი ვიცი, რატომ? ვგზავნი იმიტომ, რომ შენ გეკუთვნის... ახლა კი მოვათავებ წერას... ისედაც საშინლად დავჯღაბნე.

მართლა, დამავიწყდა გითხრა, დათიკო, მე შეიძლება ხვალ ან ზეგ წავიდე სოფელში და, თუ ისე მოვახერხე, რომ იქ ადგილი მომცეს, აღარც დავბრუნდები თელავში. ნეტავ ადრევე ასე მოვქცეულიყავ, სანამ შენს სულს ისე შეარყევდა შენი ოჯახის ისეთი სახე და ჩემს გულს გაჰგმირავდა შენი მაშინდელი მწარე სიტყვები... მაგრამ მე არ მინდა, საყვედური გითხრა, არა, არა იმიტომ, რომ მე ერთი ვარ ყველაფერში დამნაშავე... მე სულელმა წამოვიდგინე, რომ თურდოსპირელის სპეტაკი სული ინისლება ამ ყოფაში და მე, მე გავაბედნირებ, ბელტებისაგან გავათავისუფლებ. ის კი არათუ ახლა ემწყვდევა ბელტებს შორის, სული მეოცნებე, იღვარძლება და დროით, დროით უნდა მოშორდეს ამ ბელტებს ის სულელი გოგო-სანიკო, რომ უარესად არ დაუმძიმოს სული, არ დააწყლულოს.

დათიკო, არ ვიცი, მადლობა გითხრა თუ პირიქით, დაგემდურო, რომ წერ: კარგად იმეცადინეო... რატომ შენ არ ემეცადინე? განა ასე მტკიცე ნებისყოფა მაქვს და ასე

პატარა გული, რომ შევბოჭო გონების მუხრუჭებით და ჩემს მდგომარეობაში მყოფმა მეცადინეობაზედ ვიფიქრო?! მე ჯერ ადამიანი ვარ, და უაღრესად მგრძნობიარე ადამიანი, და შემდეგ უკვე - მასწავლებელი... მომეცით ნება, ცრემლი მაინც ვღვარო თავისუფლად, დათიკოს წერილებზედ მაინც ვიქვითინო. აღარ მინდა, რომ ჩემი მუშაობა სანიმუშო იყოს... აღარ მინდა, რომ თელავის სკოლებმა თავი ისახელონ... რომ გამოჩნდნენ სადმე... მაგრამ ვიქვითინებ ისე, როგორც არავინ. ჩემო მეუფევ, ჩემი ოცნების ძლიერებავ, ჩემი სულის მპყრობელო, დავაკვდები სევდიანი კოცნით შენს მონისლულ შუბლს.

გუშინ თამარ რობიტაშვილმა მიამბო: სიღნაღში რომელიღაც გამგეს, ცოლშვილიანს, შეუყვარდა ძალიან ერთი ახალგაზრდა ქალი. ქალსაც ძალიან უყვარდა, მაგრამ ქალმა სთქვა, მე არ დავღუპავ მაგის ცოლ-შვილს და ისევ მე დავიტანჯო... და გადავიდა თბილისში... მართალია, იმ კაცმა მერე სხვა ქალი შეირთო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმ ქალის ნაბიჯი ლამაზია, რაინდულია. მან გაითვალისწინა ის, რაზედაც მე მაშინ თვალები დავხუჭე... მე მაშინვე შემიპყრო იმის ფიქრმა, რატომ მეც ასე არ მოვიქეცი და ახლა შენმა, რომელიც აუცილებლად ძლიერ გრძნობებზედ და უბადლო ადამიანობაზედ ლაპარკობს, გადამაწყვეტია, რომ მეც ასე უნდა მოვიქცე აუცილებლად. უარესად მომიწამლავს სულს სამართლიანი ხალხის ხმა, მაგრამ მე ხომ დარწმუნებული ვარ, რომ ეს კარგი სქმეა, რომ მერე მზია და დალი აუცილებლად მადლობას მეტყვიან ან ცოცხალს, ან ჩემს სამარეს. მადლობას მეტყვიან იმიტომ, რომ მათი ძვირფასი მამიკო – ეს იშვიათი, ეს უბადლო ადამიანი ჩააგონებთ მათ სანიკოსადმი პატივისცემას. მხოლოდ, როდესაც მეტად

დამიმძიმდება სული და გულისკვნესას ვეღარ გავუძლებ, მაშინ, როგორც ახლა, ჩემს წუხილსა და გოდებას გადმოვანთხევ ქაღალდზე და შენც, ჩემო სევდიანო მგოსანო, მოგიცრემლიანებ თვალებს, დაგასევდიანებ, თუმც შენ სევდიანი იქნები ისედაც.

მე არ შემიძლია დავიჯერო, მე მწამს, რომ შენ უეჭველად სევდიანი იქნები, როცა კი წარმოიდგენ, თუ როგორ დაიღუპა აწმყოც და მომავალიც, იმ ერთ დროს მართლა გიჟი და ახლა წამებული გოგონასი, რომლის მომავალი შენ ისე გწამდა...

მშვიდობით, მშვიდობით ჩემო აღმდგენელო და დამმარხავო; ჩემო სიცოცხლევ, სიხარულო, სევდავ და კაეშანო... ჩემო, არ ვიცი, რა გიწოდო... ჩემო ყველავ, ყველაფერო, დათიკო...

უკანასკნელი გამოთხოვებით დავეკონები შენს ხელებს, შენს შუბლს, შენს ტუჩებს... ახ! ნეტავ მღირსებოდა ერთხელ კიდევ გამომეტირა ჩემი გული, ჩემი ცხოვრება შენს მკერდზედ.

მზის კოცნით გამოზრდილს,
ვარსკვლავთა და ყვავილთა სიზმრების დამღერებას,
დილის ცვარ-ნამით გაცისკროვნებას,
ქვეყნის ბედნიერების დაბადებას
და კვლავ ვკარგავ, კვლავ ახლდება სული.

სანიკო

დ. თ-ს, თელავი

და, თუ შენ გაეყარე შენს სულს,
თუ შენ ამ წერილების ავტორობისა გეშინია,

თუ შენ გადაჰფიცე შენი სულის ლაპარაკი,
შენი სულის გარდაქმნა,
მისი ახალი აკვესება –
მაშინ... შენ ის სასწაულმოქმედი, სათაყვანო რაინდი აღარ იქნები, რომლის სათაყვანოდ მე მოვუწოდებდი ხალხს...
მაშინ შენ
დასწვი, დაბუგე ჩემი წერილები! მაშინ ისინი შენ არ გეკუთვნიან,
ისინი შენ არ გიცნობენ.
მაგრამ არა, არა! მე დარწმუნებული ვარ, რომ მე ვინანებ ამ სიტყვებს, დარწმუნებული ვარ, რომ მოტევებას მოგთხოვ ამ ცილისწამებისათვის – ამ საშინელი ეჭვებისათვის, რომელმაც მე წამიერად გამიელვეს გონებაში, მაგრამ, რომელთაც მე არ მინდა დავუჯერო, რომელთაც მე განვდევნი, რაკი...
...აგერ
შენი სასოებიანი სახე,
შენი მოელვარე თვალები
წყრომით შემომცქერიან.

23/XII-27 წ. სანიკო

24/XII-27 წ.

მაინც ვიყავი ბედნიერი, ვიყავი რამდენიმე თუ ერთი თვეც... თუმცა... ოოხ, წამებავ, ყველა მას ნისლავს. ის, ის ერთი საღამო... ყოველ შემთხვევაში, ე-ე უფრო კეთილშობილი ყოფილა. ის რაინდულად მოიქცა. მე სადა



მაქვს თავი, მუდამ შენს ტირილს ვუყურო, კომედია ფარსად გადააქციე... ისე არაფერს არც როდის არ მოუკლავს ჩემი გული, როგორც „დათიკოსაგან“, ჩემი სალოცავი, სათაყვანო დათიკოსაგან ამ სიტყვების გაგონებას და მათს გახსენებას ჩემს თავში. ისინი ყველაფერს სჩრდილავენ და ყველაზედ მძლავრად ისინი ჩასჭიდებიან მეხსიერებას, გონებას მიწვავენ, გულს მიბუგავენ... მარა... რათ მიკვირს? მე მეტის ღირსიც ვარ, მარა არა – დათიკოსაგან. არა, მე ხომ დათიკო ძალათ არ გადმოვჩეხე ამ გზაზედ. რატომ ის არ დაუფიქრდა სხვა გრძნობებსაც, რატომ არ შეადარა ეს ორი გრძნობა და უძლიერესისაკენ არ გადაიხარა. თუ აქამომდე მისაყვედურებდი, შემდეგ აღარ მისაყვედურებ.

რა საშინელია, თუ რწმენა, ყველაზედ ძლიერი და ღრმა რწმენა, ჩამოგემსხვრა, ჩამოგენგრა და შიგ არაფერია უკურნებელი. ყველა წყლულს, ყველა ტკივილს ეშველება... მაგრამ... რა გაჰკურნავს ერთხელ განგმირულ გულს? მან უნდა მწარე ქვითინით იხეტიალოს დამსხვრეულ იმედების ნანგრევებზედ და ჩამონაწვეთ სისხლით დაფეროს ნამსხვრევები „იმედებისა“... მან უნდა განმგმირავი გოდებით, მწარე გმინვით მილიოს გზა უღრანი, გზა კლდელოდებიანი, სანამ უკანასკნელი ყივილით გამოეთხოვებოდეს მუხთალ ცხოვრების მწარე სიცოცხლეს.

დათიკო, მივდივარ... სად?!.. არ ვიცი... ვისთან... გაუნელებელ ტანჯვასთან, მარადიულ წამებასთან... ალბათ, ასეთია ბედი ჩემი...

სანიკო.

24/XII-27. თელავი, 2 საათი

ნახვამდის, აღარ ვსწერ მშვიდობით, ჩემო ძვირფასო! მიუტევე უბედურ სანიკოს, რაც მწუხარება და ტანჯვა მოგაყენა, მაგრამ ნურც დაივიწყებ, როდესაც შენ დაუბრუნდები შენს შვილებს, მაშინ გავიგებ და მოგწერ ჩემს მისამართს... წერილებს ხომ მომწერ, ხომ, ხომ, ჩემო ძვირფასო, ჩემო სიცოცხლე! ჭერილები – ეს ის არ იქნება, რომ „ერთთანაც ცხოვრობდე და მეორესთანაც“...

ვრჩები იმედით, რომ შენ მიგულებ მარად მეგობრად. თუკი საჭირო ვიქნები, მე შემეძლება მეგობრობა.

Люблю, любить тебя я буду
любовью чистой и святой,
люблю тебя, я не забуду
в могиле тесной и сырой.
целую, целую бесчисленно твои глаза, губы, руки.
Твоя безумная Саня.

Радость и горе ты
найдешь во мне друга,
ах, милый друг, как
тяжело прощанье
с тобой...
а счастье было
так возможно, так
близко... но его разбили.

ქვითინით, უკანასკნელად გეთხოვება შენი – შენი სიკვდილამდე, შენი სანიკო.

24/XII-27 წ. შოფელი

შენ მოწოდებული ხარ, აიმ სანაპიროს შექოჩრილ გორაკის მწვერვალზედ ააელვო მოწოდების ალამი, აფრქვიო სიტყვათა ცეცხლი, გრძნობათა ნაპერწკლები და შვების ღმერთმა აღადგინოს, განკურნოს ბრმა და ყრუ სოფელი.

სან-ციცინო.

¤ ¤ ¤

სანიკო, ტკბილო, ძვირფასო სანატრელო! მე მიყვარდა და მიყვარს შენი წერილების კითხვა, შენი ტიტინის მოსმენა და ახლა მივიღე შენი ასეთი ნაღვლიანი, ყვედრებით სავსე წერილი, რომ მეშინია, მეშინია მათი გადაკითხვისა. ოო, რა გახურებული შანთები მოგიღერებია, სანი, და რისთვისა მფუფქავ?! შენ ხომ სათნო ხარ, შენ განხორციელებული სიკეთე ხარ და როგორ შეიძლება ადამიანის ასე გამომეტება! გენაცვალე, გემუდარები, გეაჯები ამიხსენი, რად დანაღვლიანებულხარ ასე, რა მოხდა, რად იგონებ იმ ტიალს, იმ კოშმარულ ღამეს, რათა? განა არ იცი, შენცა და მეც რა ცეცხლი გვქონდა მოკიდებული? სანიკო, სასაოებავ, დასტაქრები ხშირად გადამტყდარ ძვალსაც კი შეადუღებენ ხოლმე და ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ცხოვრების იმ ორი პერიოდის შეერთება, შედუღება?! ჩვენ უნდა წავშალოთ, როგორც წავშალეთ ბევრი სხვა რამ, და სანიკომ თვისი ბრწყინვალე თვალების სხივიერებით უნდა დასწეროს ახალი მატიანე, ახალი ბიბლია.

ძვირფასო, ერთ კონვერტშია შენი სამი წერილი. ის

ერთი – 20-ის თარიღით ნაწერი – რა მოსიყვარულეა!... ასე მგონია, მე მტანჯავ ძილში ვიყავი... დედიკო კი არ დამღუპვია, მხოლოდ მზმანებია მისი დაღუპვა... მგონი, დედიკო მომხვევია და მიალერსებს... დედიკოს სითბოს ვგრძნობ იმ შენი წერილის კითხვით... ვხსნი მეორეს... და... იქვითინე, სულო, ეს რა გესმის... თითქოს, თითქოს დედიკო მეორედ მეღუპება. სანიკო, სასოებავ, რამ გაგამწარა... წერილს ეტყობა, ჩემი წერილი წაგიკითხნია, მაგრამ არაფერსა მწერ, არაფერსა... პასუხს რატომ არ იძლევი... არასოდეს არ მესაჭიროებოდა შენი გამხნევება, როგორც ახლა. სანიკო, ვიჩოქებ, ვეამბორები შენს ფეხებს. გემუდარები, მაპატიე, მაპატიე ყველაფერი, რაც გაწყენინე, თუმცა მე როგორ შემიძლია შენი წყენინება. ჩემო ციცინო, ჩემო სასოებავ, აი, შენ რომ ჩამოხვალ ტფილისში, წაგიყვან დედიკოს საფლავზე და იქ დაგაფიცებ, იქ შემოგვედრები დაივიწყო ის, ის ერთადერთი მტანჯავი საღამო.

ჩემო, ჩემო გვრიტუნია, როგორ შეიძლება ეგრე გადავარდნა სევდის ორწოხებში...

სანიკო, ძვირფასო, მიუხედავდ იმისა, რომ გულს სევდის მარწუხები გვემავენ, ისე მდიდრად, ისე ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ მივდივარ ქუჩაში და ჩემი თვალები ყველას ეუბნებიან – ხალხო, ხალხო, იცით რა კარგია სიცოცხლე?! კარგია იმისთვის, რომ მე მყავს ასეთი მომხიბლავი, ასეთი ჯადოსანი მეგობარი სანია, რომლის მსგავსი ჯერ არცერთ ხელოვანს არ შეუმჭევრებია. მაგრამ მებრალებით, ძამიებო, მებრალებით იმისთვის, რომ თქვენ ვერსად შეჰხვდებით სანიკოსთანა ადამიანს, იმისთვის, რომ ბუნება ძუნწია, ბუნება ძალიან იშვიათად იმეტებს სანიკოსთანებს.

ასეთი მეგობარი მყავს მე და რა საშინელებაა ცხოვრება, რომ მასთან, თუნდა დროებით, დაშორებული ვარ...

გეფიცები, ციცინო, გუშინ მზად ვიყავი თელავში წამოვსულიყავი, რადგან სულს მოსწურდა შენი ნახვა, შენთან საუბარი, შენი ტრფიალი, მაგრამ გადავდე, გადავდე იმიტომ, რომ ჩემი სამსახურის პირობები გაურკვეველია და არ მინდა, მანდ ამ მდგომარეობაში გამოვჩნდე. წელან, შენი წერილი რომ გადმომცა კოტემ, ისეთი სევდა შემომაწვა, ისე მომწყურდა შენი ნახვა, რომ უმალ ტელეგრაფთან გავჩნდი და დეპეშა გამოგიგზავნე. ახლა მოუთმენლად ველი შენს პასუხს და შენს ჩამოსვლას. ნეტავი კი გამახარო შენი ჩამოსვლით. ნეტავი, ნეტავი! უდიდესი უსამართლობა იქნება, ცალკე ვიცხოვროთ მე და შენ მაშინ, როცა შენ თავისუფალი ხარ. სანიკო, შენ შემოგევლე, ჩამოდი! ხომ შეიძლება, სადმე პროვინციაში ისე მოვეწყოთ, რომ შენ ჯერჯერობით ვერ წაგიყვანო და განა მაშინ არ მეყოფა მარტოობა?

მაგრამ კოტემ მითხრა, სანიკოს სოფელში დაუპირებია წასვლაო. სადა? როგორ? რისთვის? ახ, ნეტავი კი ჩემმა დეპეშამ მოგისწროს. მაგრამ, ვაითუ, ვერ მოგისწრო? მაშინ როგორღა მოგაწვდინო ხმა?!

მეგობარო ციცინო, სანატრელო, შენ შემოგევლოს შენი უღირსი დათიკო, რომელმაც, სიხარულის მაგიერ, მწუხარება მოგანიჭა.

ჩემო, ჩემო ღვთაებავ, დავიღალე, დავიქანცე ამდენი ჯავრით.

შენ თილისმიანი ხარ, მომაწვდინე ხმა. მოიტა, მოიტა დავკოცნო შენი თვალები, რომლებიც არაბეთის ზღაპარსავით გრძნეულია. მოდი, გენაცვალე; მოდი, რომ

გეამბორო როგორც ღმერთს, რომელიც არა ჰთაკილობს უმნიშვნელო და უღირსი ადამიანის ლოცვას.

მარად შენი დათიკო.
26/12–27 წ. ტფილისი.

ძვირფასო მეგობარო სანიკო! გუშინ მთელი დღე ველოდი ჩემი დეპეშის პასუხს... ველი დღეს დილასაც. უკვე 11 საათია და შენი ამბავი არ ვიცი.

უეჭველია, შენ სოფლად იმყოფები, მაგრამ სად, არ ვიცი, – ახალსოფელში თუ სხვაგან. გარკვევით რომ ვიცოდე, იქ მოგძებნიდი.

წეღან განუზომელი სევდა შემომაწვა. ამხანაგები შემხვდნენ და კარგებისა წამიკითხეს. ჩვენ თელავიდან ჩამოგვივიდნენ ამხანაგები და ისინი ამბობენო, რომ ორ კაცს ვაღმერთებდით თელავის მაზრაში, ორი კაცი ენთო ლამპრად და ერთი ჩაქრა. დარჩა მარტო კოტეო. დათიკო გულიდან ამოვირეცხეთო და ეს ამხანაგები მეუბნებიან, სხვებისაგან არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ შენ როგორ აგიყოლებია ბალღი – 20 წლის ქალი, შენ რისთვის მიგიტოვებია შვილებიო? ეჰ, სხვა სხვის ომში ბრძენიაო – აი, ჩემი პასუხი, მაგრამ, ვაი, რომ მათ ვერაფერს გააგებინებ, გადავიხარხარებდი, მაგრამ მეღველფება სული, ეს რომ მეგობრებისგან მესმის. დახე, რა ძლიერი ყოფილა მეშჩანობა; განა არ ვიცი, რომ ძნელია შვილების მინებება; შვილებს მამა ჰყავთ და მაინც ობლები არიან. რა ვქნა, განა მე დამნაშავე ვარ, რომ მუდამ ობოლმა ძლივსა ვნახე ადამიანი, რომლის მსგავსი არასოდეს შემხვედრია?!

ეს მეგობრები მემუქრებიან, ყველგან ხელს შეგიშ-ლითო, რომ ადგილი იშოვნოო.

ოო, როგორ მესაჭიროება ახლა შენი ახლოობა, შენი დაყვავება, შენი ალერსი. მე, რა თქმა უნდა არ მოვიღუნები, მაგრამ ამ სულიერი სუსხის დროს შენი ერთი, ერთი სიტყვა დამათბობდა, გამამხნევებდა.

მეგობარო, ტკბილო მეგობარო, გამეხმაურე, შე გიჟუნიავ, რატომ არ მაცნობე სად წახვედი?!

მშვიდობით, ტკბილო მეგობარო, მშვიდობით და ნუ დაივიწყებ

შენს ულირსს მეგობარს – დათიკოს!

27/12-27 წ. ტფილისი.

27/12-27 წ. ტფილისი

შუადღის 4 საათი.

სანიკო ტკბილო, ძვირფასო! დაღლილი დაქანცული დავბრუნდი აქ, სასტუმროში, და აქაც სიცარიელე. სანიკოს ამბები აღარ მომდის. რა ამბავია, ეს იმ სანიკოს არა გავს. სანიკო და ამდენი ხნით დუმილი?! სადა ხარ, სადა?! ამ დასვენების დროს მაინც რატომ უნდა ვიყოთ ცალ-ცალკე. რომელი ავიტანო, ეს სულის ინკვიზიცია და გულის გოლგოთის სევდით ჩაფუფქვა... წეღან გწერდი, მეგობრები მკაცრად დამხვდნენ- მეთქი. ჯანი გავარდნიათ, ყველაფერს ავიტან, ყველას დავთმობ, მაგრამ სანიკოს მოწყენას ვერ შევურიგდები. სანიკო გაზაფხულის სულია და ჩემშიაც უნდა გამოიწვიოს საგაზაფხულო გრძნობები, მომგვაროს სიყვარულის სიზმრები.

ო, როგორ დავიღალე, როგორ დავიქანცე, ძვირფასო. მგონია, ამაღამ კოტე მოდის თელავში, მას გამოვატან წერილებს, მაგრამ მანდ რომ არ დახვდე, სად მოგნახოს?!

აღარ ვიცი, რა შეგემუდარო, რა შეგეხვეწო, აღარ

ვიცი! მე უკვე დავკარგე უნარი მეტყველებისა. ასეა მუდამ, ძლიერი გრძნობა მუნჯდება...

სანიკო, მეტირება, ცრემლები მაღრჩობენ, გული ძლივსღა ფეთქავს განუზომელი ღელვისაგან. რა ამბავია ჩემს თავს? იცი, რა გითხრა? შენ ჩემსავით მეტად მგრძნობიარე ხარ და მე მეშინია, მაგ მგრძნობელობამ ადრე მალე არ ამოგირეცხოს გულიდან სიყვარულის გრძნობა... ხომ გახსოვს, ორჯერ რა წერილები მომწერე. ერთხელ, როცა შენ აღიარებდი: „რა ბევრს რასმეს მეუბნება სახელი დათიკო და ახლა... ახლა დათიკომ ჩემი გულისთვის ორი-სამი საათი არ გამოიმეტაო“.

და მეორე წერილი, გუშინ რომ მივიღე... შენ დარღვეულად, დამხობილად სთვლი ჩვენი სიყვარულის კოშკებს. შენ დაჰქვითინებ ჩამკვდარ რწმენას...

ვაიმე, სანიკო, ციცინო, ნუთუ შენ ასე მალე ჩაგიკვდა რწმენა?! და მე ამ ორ წერილს რომ ვიგონებ, შიშით ვამბობ... სანიას თუ შეუძლია, ასე მალე შეიცვალოს გრძნობა? გრძნობა ამ საკითხზე, მაშინ რაღა მეშველება, რომ...

✧ ✧ ✧

27/XII-27 წ.

ძლივს, ძლივს მოვკარი თვალი გრძნობათა გარიჟრაჟისას ეთერის სიკამკამეში, ცის ტატნობზედ ასალტულ დიდების კვარცხლბეკის მშვენებას... ძლივს, ძლივს მივაწვდინე ჩემი ლოცვათა ვედრება ქარიშხლებისა და ღრუბელთ პირმშოს.

სანიკო.

¤ ¤ ¤

ძვირფასო სანიკო!

გეთაყვა, ეს წერილები კონვერტში ჩადე და გაუგზავნე: ერთი ვანო ანდრესიანს, ერთი გიორგი ჩიკვაიძეს, ეგება როგორმე ხელი შეგვიწყონ წიგნების გავრცელებაში. სხვა სკოლებისთვისაც მინდოდა დამევალებინა, მაგრამ ვინა მყავს მოყვასი, რომ „თავი თვისი დადვას მოძმისათვის“?!

ძვირფასო სანიკო, შენი ჭირიმე, კიდევა გთხოვ, არ იდარდო! შენ მეტისმეტად მგრძნობიარედ ეხმაურები, არ ვარგა ასე, მალე ჩამოიფერფლები! ცხოვრება ისედაც მოკლე სიზმარია და მისი უფრო შემოკლება ნაღვლიანობით მიუტევებელია.

მარად შენი დათიკო.

ამ დღეებში მოგწერ, 10 იანვრისათვის აქ ვიქნები ისევ თუ სადმე. თუ აქ ვიქნები, მაშინვე მაცნობე და სადგურზე დაგხვდები.

კვლავ გაკოცებ შენი გამჯავრებელი და შენგან გაჯავრებული დათიკო.

ტფილისი. 1928 წ.

8/I-28 წ[2].

აზრ-ფუყა და გულ-ჭიანა ადამიანთა გორაკზე, ვით გურ-ზუფის სალტინებელზედ პუშკინი, ასალტულია შენი ძლიერი არსება-ნებისყოფა – სალის კლდის სიმაგრე. სული – განთიადის სიტურფე, სისპეტაკე.

გრძნობა – ცეცხლი ამირანისა და ჰფენს თავის

2 ეს წერილი ღია ბარათზეა დაწერილი „პუშკინი გურზუფის კლდეებზე“ – აივაზოვსკი

ირგვლივ ეს სხივიერება უცხო-უცნაურ მიზიდულობას, რომელიც ყველას იმონებს... რომელზეც მლოცველი ვარ – შენი ციცინო.

სიღნაღი, ცხრაწლედი
დავით ჩხეიძეს.

ჩემო ძვირფასო, ჩემო სასოებავ, ძვირფასო სანიკო! ახლა დღის მესამე საათია და ვზივარ სამასწავლებლოში. შინ არ მივდივარ. ჯერ ერთი, რომ აქ მეორე წყება მუშაობს, მეორეც, შინ უფრო მოღუშულია და აქაური ნედლი შეშა უმსგავსად ხრჩოლავს. ლანდებივით მიდი-მოდიან მასწავლებლები. მე იმათი არა ვიცი რა, იმათ – ჩემი. ამ საღამოს პედსაბჭოს სხდომა მაქვს. ვნახოთ, როგორ ჩაივლის. ეხ, როგორ მოწესრიგდება სწავლა, როცა თეატრის შენება მიმდინარეობს და ხმაური გულს გამაბრუებელ აკომპანიმენტად შემოგესმის. ოთახში სანთელს ვანთებ, რადგან ჯერ ვერ მომიხერხდა ელექტრობის გაყვანა. დავანებოთ ამას თავი. შენ როგორ ხარ? დღეში რამდენჯერ მიგონებ. ნეტავი, შენმა წერილებმა არ დაიგვიანონ. მე ახლა შენი წერილები თუ გამახალისებენ, თორემ სულ პირუღიმარი დავდივარ. რა ბედნიერად გავატარეთ ჩვენ ის ერთი თვე. მიუხედავად იმისა, რომ ბედი ყველაფერში ხელს გვიშლიდა, მაინც ვფიქრობ, რომ მდიდარი იყო განცდებით. მე ასე მგონია და არა ვთამაშობ და მწამს, რომ მდიდარი იყო. იგი განა შენ უნდა მეთანხმებოდე?! სანიკო, მართალია, იყო შიგადაშიგ განელება, მაგრამ რა ვუყოთ, მათ ჩრდილავდა შენი ალერსი და დაყვავება. მე არ ვიცი, როდის უფრო

ვიღლებოდი: მაშინ, როცა შენ არ მყავდი და ეულად დავდიოდი, თუ მაშინ, როცა შენ აღმოჩნდი ერთგულ მეგობრად.

სანიკო, შინაგანი ბუნება ისე მაქვს აზავთებული, რომ ვფიქრობ, ეს უფრო სწვავს და ფერფლავს ჩემს არსებას. შენ, მგონია, ახლავე გაიღიმებ და არ დაიჯერებ თუ გეტყვი, რომ ძილი აღარ მეკარება მეტისმეტი ფიქრისაგან.

ჩემო გვრიტუნია, ჩემო სანიკო, ნეტავ ახლა რას აკეთებ?! შენ ყველაფერზე გეტყობა, რომ ძალიან მიუშვი ხელი მეცადინეობას. ეს არ გამოდგება! მანდ ზოგიერთებმა უნდა იგრძნონ თავიანთი სიკნინე, როცა შენ სულიერად გაიზრდები, როცა შენ გააკვირვებ, როგორც აქამდე აკვირვებდი ხოლმე შენი ნიჭით, მგრძნობელობით, მიღწევებით.

სანიკუნი, გვრიტუნიავ, როგორ, როგორ ოცნებობს ხოლმე გვრიტზე ალალი? ა, ა, ნუ გაჯავრდები, შენ კარგი გოგონა ხარ და თუნდა გაჯავრება გინდოდეს, მაინც ვერ მოახერხებ, მით უფრო ახლა, როცა, როცა შენ ამაში დარწმუნებული ხარ. შენი სულის ჭირიმე, სანიკო, არ ინაღვლო, მოდი, მომიახლოვდი, ამოგიკოცნო თვალები, შენი მარჯნის ბაგენი და დავეკონო ნაზად, ნაზად შენს მდიდარ – ჩემს ბედნიერებას – შენს მკერდს! ვენაცვალე მათ, ვენაცვალე მათ, ვენაცვალე მათ!

სანიკო, გენაცვალე, კოტეს ჯერ წეერილს ვერ ვწერ და ჩემს მაგიერ დაავალე, გამომიგზავნოს ის წიგნები, რომლებიც გამომადგება შრომის სკოლის ძირითადი პრინციპების გასავლელად.

ჩემო სანიკო, ნეტავი კი მალე მოახერხო ჩემთან ჩამონავარდება. ვინიცობაა, წამოხვიდე, უეჭველად დღისით იმგზავრე, რადგან ღამე ეტლების ცდა დილამდე

გვიანდება. ჩემი პოვნა ადვილია. ვცხოვრობ ელექტრო სადგურთან, ნერვები დამაწყვიტა მისმა გუგუნმა. სხვა არაფერია.

ასე, ჩემო მშვენიერო და სიხარულო.

შენი დათიკო!
9/I–28 წ. სიღნაღი.

10/I-28 წ.

ძვირფასო სანიკო!

გაკოცებ ბევრსა. კოტესაც ვწერ წერილს. ახლა ძალიან ვარ ამოთართლული საქმეებში.

იყავი კარგად, არ დამივიწყო. ხშირად მომწერე. კოტე ნუ დამიგვიანებს წიგნებს.

გულითადი სალამი

დედაშენს!

გამარჯვებით შენზე მეოცნებე

დათიკო.

✧ ✧ ✧

და აქვითინდნენ მწუხრისას სევდის სიმები,
დაიფანტნენ ჩემს ირგვლივ,
დასუდრეს არემარე,
მომინისლეს გარემო...

წახვედი და თითქოს შენ გაგყვა ცხოვრების ძალა... სიცოცხლის აზრი

დაცარიელდა არე-მიდამო...

უდაბნოა – ქალაქი ხალხით სავსე...

არვის ვიცნობ და უცნობი ვარ ნაცნობთა დიდ წრეში!
მარტო ვარ, ვარ უამრავ ხალხში –
მკვდარი დავდივარ ცოცხალთა შორის –
თუ ცოცხალი – „გარდაცვლილი“ – დავხეტიალობ
„მიცვალებულთა“ შორის!
გადიწვა, გადიტრუსა სიხარული, მხიარულება –
სთოვს სევდა, ცრის ხორხოშელა მწუხარებისა!
სთოვს და ჰყინავს არე-მარეს,
სცრის და აზრობს ჩემს სულს
სუსხავს ყვავილებს ნორჩი სულისას...

ჯერ არცკი არაფერი არ ვიცოდი ჩემი გრძნობისა, არ ვიცოდი, რომ ჩემი სული, ჩემი ფიქრები შენ გდევდნენ თან, წახვიდოდი თელავიდან, სულს მოიცავდა საშინელი სევდა, ყველაფერი ცარიელდებოდა, რაღაც მაკლდა, რაღაცას მიველტვოდი. მოხვიდოდი, დაგინახავდი და გაიფანტებოდა ნისლი, სული ხარობდა, ზეიმობდა!

წინეთ ვერ ამეხსნა, ვერ გამერკვია ეს მოვლენა. ახლა კი ნათელია ჩემთვის მაშინდელი ფერისცვალება სულისა. ასე იყო დამოკიდებული ჩემი სულის რხევა შენს მოქმედებაზედ, შენს ცხოვრებაზედ მაშინ... წინეთ და რა უნდა იყოს ახლა-ახლა, როდესაც შენა ხარ ჩემი ყველაფერი, შენა ხარ, შენ, ჩემო ძვირფასო, ის უცნაური ძალა ცხოვრებისა, რომლის სიდიადემ მეც ამამაღლა, მაგრძნობინა ცხოვრების, მოძრაობის ჯადოსნური ძალა-აზრი არსებობისა!..

სიცოცხლეო და სიხარულო!

დღეს მეორე საღამოა, რაც დაგშორდი. გულს ეს დრო საუკუნოდ ეჩვენება. ნუთუ არაფერი შესცვლის ამ მდგომარეობას, ნუთუ ამ სახით გაივლის ეს ჯოჯოხეთი, ხუთი თვე?!

გუშინ ავედი უკანასკნელად – გამოსამშვიდობებლად – სანამ კიდევ შენ იქ ყოფნას ბევრი რამ მოწმობდა, შენს ბინაზედ – შეკრული ბარგი.

საშინელი ელდის თარეში.

გადასახლების, აფორიაქების ქროლა-ჯირითი.

აღარც ძვირფასი დედიკოს სახე – არც მისი სევდიანი თვალები...

მეგობარო-მეგობარო, იცი, რამდენს სითბოს და სიყვარულს მიგზავნიდა იმ ჩარჩოდან შენი ტკბილი დედიკოს თვალები – იცი, რა ნუგეშს მცემდა?!

როდესაც საშინელი სევდიანი, მოღუნული, გადამსხვრეული დავემხობოდი მის წინაშე, შევჩივლებდი-შევევედრებოდი. მორწმუნე ქრისტიანისათვის – ღვთისმშობლის თილისმიანი იყო ეგ სურათი...

ის უცნაურის ძალით – სულს გადანათლავდა და მწარე კვნესისა და გმინვის მაგიერ, ჩემი ნაწამები სულის სიღრმიდან მომესმოდა ნელი ამოოხვრა – მსუბუქი ცრემლვა. ის მარწმუნებდა, მაჯერებდა, რომ მარტო არ მტოვებდა საშინელ წუთებში. ის ჩემთან იყო... ის, თავის დათიკოსთან ერთად, ჩემთვისაც ლოცულობდა, მეც მფარველობდა: მფარველი იყო და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დათიკო ჩემთან უსამართლოა, როდესაც დათიკოს არ ესმის ჩემი ენა, ან ჩემი მოქმედება.

იმედო, სიხარულო, სასოებავ! მგონი, რა საშინელია შენი მდგომარეობა ახლა...

შენი ყოფა ჯოჯოხეთია, შენი ცხოვრება წამება – მარტო-მოშორებული, მოწყვეტილი ყოველგვარ სითბოსა და მზრუნველობას, შენთვის თავგანწირულ, შენზედ მლოცველი ადამიანის სათუთ ყურადღებას და ალერსს მოკლებული.

რა ვქნა, რითი დაგარწმუნო, რომ მხოლოდ შენთვის და შენთვის მივიღე ბუნებიდან ეს ჯილდო – დიდი გრძნობა და მგზნებარე გული...

ძვირფასო, უბადლო მეგობარო! აი, მგონი შუა ღამე გადასულია, უკვე ორი საათია. მე ლოგინში ვწევარ, მაგრამ კალამს მივლია ხელი და უკანასკნელად მინდა, აი, ამ ფურცლით გადმოვაფრინო ტკბილი ამბორი – პეპელას სინაზით – ღამის ფერიების ჯადოსანი ძალით გადავევლო შენს შუბლს, შენს მოღალულ სახეს და დავუმშვიდო ძილი, ვუსურვო მხნეობა, მეტი სხივოსნობა, მეტი ლხენა სულისა...

მეტი გაზაფხულის ძალთა აჩქერება. ახლად განბანვა ციცინოს ძლიერ გრძნობათა ტალღებში. დამარხვა ძველ ტანჯვათა, განკურნვა ძველი წყლულების და იარების და ნაცვლად ახალ გრძნობათა აყვავილება, ახალ სწრაფვათა გაქანება ციცინოს გასაბედნიერებლად...

ახლა კი გამოგეთხოვები ჩემო, „ჩემო“, ვიდრე ვინმე ქვეყნად... ნაზი თრთოლვით ბაგეებისა გადავიფრენ შენს შუბლზედ, თვალებზედ, ტუჩებზედ, ყელზედ – ძილში სიზმრით განვაგრძობ ამ სანატრელ წუთებს.

ღამე მშვიდობისა ჩემო ტკბილო მეგობარო!

10/I-28 წ.

12/I-28 წ.

დათიკოს ჭირიმე, დათიკოს ვენაცვალე... რატომ დაიგვიანა მისმა წერილმა?! რატომ გამოიცვალა კილოცა და მოცულობაც?!.. მაგრამ, განა შეიძლება ამაზედ

ლაპარაკი, ჩემო ძვირფასო, იმ დროს, როდესაც ასეთი მწარე, ასეთი ბნელია შენი წერილი? – ამდენი უსიამოვნება, მწუხარება, აფორიაქება... გენაცვალე, თავს შემოგევლე, მანდ მაინც ვიყო შენთან ახლოს... მაგრამ, ალბათ, მეც აღარ მექნება ის ძალა... აღარა ვარ თილისმანი... არ ვიცი, რატომ მოხდა ასე და ჩემში არ არიან ის თვისებები, რომელთაც შეეძლოთ შეგინელონ ყოველგვარი მწუხარება, ყოველგვარი სევდა და კაეშანი. ალბად, ჩემი წერილებიც შეიცვლებოდნენ შენი წერილებივით. დათიკო... დათიკო, ჩემო იმედო, ჩემო სიხარულო და ნეტარებავ, რა ვქნა, რათ მოხდა ასე, ვერ გამიგია. მაგრამ, ვერც გავექცევი, ვერსად დავემალები მწარე სინამდვილეს... ძიებაში – მოკლე გზაში, რომელიც ჩვენ განვლეთ, მეტი ბრწყინვალება და მეტი სიტურფე იყო, ვიდრე როგორც შენ სთქვი: „ახლა მიზანი მიღწეულია“.

მაგრამ ჩემი მიზანი, ჩემო დიდებავ, ჩემო სიამაყევ, მხოლოდ ეს არ იყო... არა... ჩემი მიზანი უფრო ბრწყინვალე და მაღალი იყო, ვიდრე... ის პირველი საღამო... რომელიც შენ ჩასთვალე მიზნის მიღწევად... მე ვოცნებობდი, ვიცნებობ კვლავაც და ამას ვერავინ დამიშლის, ვერც წამართმევს, – ვოცნებობ უბადლო მეგობრობაზე, რომელსაც საფუძველს მისცემს, რომელსაც თავის წიაღზედ გადაშლის ჩვენი მსგავსი მხარენი, ჩვენი ძლიერი, აპრიალებული გრძნობები, ჩვენი სწრაფვა, სიყვარული ყოველგვარ სილამაზისა და სინაზისა, სისპეტაკე, სიწმინდისა...

შორს არის ჯერ დროის გაზაფხული, ის გაზაფხული, როდესაც ჩვენ რამოდენიმე ათეული ვერსით აღარ დაგვაშორებს, მაგრამ ჩვენ ხომ მარად ერთად ვართ. ჩვენი სულები! გახსოვს შენი წერილი, „ისე მტკიცედ

გადაიჯაჭვნენ, რომ მათ ვეღარავითარი ძალა ვერ დააშორებსო“.

ძვირფასო... ძვირფასო! როგორ მწყურია, როგორ, რომ შენს გრძნობებში მარად ელვარებდნენ ეს სიტყვები, რომ მათ ხაზი არ გადაუსვას დრომ... რომ მათი ურყევი ძალა მტკიცე იყოს და ურყევი... მარადიულობით ნაკურთხი, უცვლელობით დაგვირგვინებული, მაგრამ ამაზე ახლა ვერ ვილაპარაკებ – არ უნდა ვილაპარაკო. ამაზე მომავალი გასცემს პასუხს, მომავალი... რომელიც ისე მაკანკალებს თავის საიდუმლოებით, თავის ცვალებადობით...

სანიკო.

აი, ჩემო სიხარულო, სიცოცხლე, მესამე წერილს გწერ თუ მეოთხეს...

და შენ კი საქმეები გავიწყებენ იმის სახელს, რომელიც დღე და ღამ შენთვის ლოცულობს და, რომლის წინაშე მოვალე ხარ. გესმის, მეუფე, მოვალედ გხდის შენზედ მლოცველი, რომ მეტი ყურადღებით იყო მისადმი. ის შენგან ბევრს მოელის, ვინაიდან შენ მას ბევრს ჰპირდებოდი. ახლა კი თავს შემოგევლოს შენი ციცინო.

გაკოცებ გიჟურად, დამთხვეული კოცნით, მაგრამ, საუბედუროდ, ისევ მაგ სინათლის მკრთალ შუქსა და ცარიელ ოთახში დაგტოვებ. ჩამოსვლით ჯერ ვერ ჩამოვალ, იმიტომ რომ ახლა, ოცდაერთში შენ თავისუფალი დღეები გექნება და თბილისში უნდა წახვიდე აუცილებლად... უნდა ნახო შენი ყვავილები, რომელთაც ხშირად ესაჭიროებათ სითბო შენი ალერსისა, შენი სითბო, რომ არ დაზრდნენ. გაზაფხულზედ კი,

ძვირფასო, საყვარელო დათიკო, წამოიყვან მზიას. აი, შენ ნახავ, რომ სანიკოს გულში იმდენი სიყვარული, სითბო, სინაზეა მზიას წილად, რომ მას გაუწევს კარგ, სამაგალითო მფარველობას, რომ მის სულში, მის ნორჩ სულში ააყვავებს, გადაფურჩქნის მამის მაღალ, უმწიკვლო წმინდა გრძნობებს. დამერწმუნე, დათიკო, რომ ამაში მე საკმაო ძალას ვგრძნობ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას არ მოგწერდი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სიცრუე უდიდესი ბოროტებაა, გამოუსყიდველი, წაუშლელი დანაშაულია... ახლა კი ნახვამდის, ჩემო სითბო და სინათლევ, ჩემო სიყვარულო და მწუხარებავ...

გისურვებ მონისლული სულის გასხივოსნებას... შენი, შენი, მარად შენი

გოგონა ციცინო.

გიგზავნი ჭურჭლის ტილოს, ბალიშის საურს, თბილისიდან დაიბარე ის ამანათი. ასე ტკბილად კი არ დამიბერდე, ასე ტკბილად განვლე შენი ცხოვრების გზა...

გიგზავნი საკრებულოდან წამოღებულ მასალებს, იქნებ გამოგადგეს... მეც შენი სახელით ვეცდები კარგად ვიმუშაო და ამით გადაგიხადო მადლობა გამხნევებისა და რჩევისათვის. მხურვალე სალამი დედიკოსაგან!

გუშინ კოტემ მკითხა, წერილი არ მიგიღიაო და ვუთხარი „არა“. იფიქრა, არ ვაგრძნობინო, რომ დათიკო უყურადღებოაო და დაიწყო... ჰო, ეხლა მგონია ბევრი საქმეები აქვს მოსაგვარებელი და დრო არც კი აქვს დასვენებისთვისო.

ხედავ შენს შეცდომას-დანაშაულს... მაგრამ, არ გეწყინოს, გენაცვალე, გეხუმრები – აბა მა რა?..

ყოველთვის სერიოზული ხომ არ ვიქნები... ხომ იცი, გიჟი ვარ!

ახლა კი მართლა გამოთხოვებით დავეკონები შენს თვალებს, ყელს, ყურებს, თორემ დედიკომ ამანათი გაამზადა და მეჩხუბება, დაგვიანდაო.

მართლა, დღეს რომ შენი წერილი არ მიმეღო, იცოდე, ამანათს ისე ვგზავნიდი, წერილს არ ვწერდი. მართლა და მართლა, განა მე კი „სახელმწიფო“ ხელები მაქვს, და თან დასაბნევი სიტყვები... მომწერ-მოგწერ... არა და – არა!

თუ შენ არ გიყვარვარ-ღა, მეც შეგიჯავრებ...

არც გაკოცებ... აღარც მოგწერ... აღარც დაგე-ნაცვლები... აღარც გეთაყვანები, აღარც შემოგევლები!

აღარც შენი ჭირიმე-და

აღარც შენი კვნესა-მე...

ყველგან წაშალე „აღარც“ და სიმართლეს მაშინ გაიგებ.

¤ ¤ ¤

ძვირფასო, მშვენიერო ციცინო-სანიკო!

ეს არის, ამ წუთას, ჩემი მოღუშული ოთახის კედელი დავამშვენე შენი სურათით და ვიწყებ წერას. მიუხედავად იმისა, რომ შენი სურათი წარწერებით ნაჯღაპნია, მაინც მიყვარს მე იგი. იქ ძალიან კარგი ხარ! ვწუხვარ მხოლოდ, რომ მისთვის ძალიან კარგი ჩარჩო არა მაქვს. როცა ტფილისს ჩავალ, მაშინ შევიძენ. ნეტავ შეიძლებოდეს ჩემი გულის ჩარჩოდ გადაქცევა! ის ისე ჩაგიკრავდა და ჩაგიკონებდა, რომ ვერა რა ძალა ვერ გახსნიდა, ვერ წაართმევდა.

ეს სურათი არაა ჩემს გულში, მაგრამ შენი სიყვარული, შენი ტრფიალი ხომ ჩასვენებულია იქა და ისიც ხომ

აშკარაა, რომ ველარც იმას წამართმევს ვინმე. სანიკო ჩემია... ღმერთო, ამ სიტყვების წარმოთქმით როგორ ვიზრდები, ვზვიადდები, ვნორჩდები!

ციცინო, მივიღე შენი წერილი და ისეთი ლხენა მომეფრქვია, თითქოს ღრმა ხაროში მყოფ ადამიანს ხაროს სარქველი მოჰხადეს და ლაჟვარდი ცა დაანახვესო. შენ მეტი ხარ ვიდრე, განთიადი. შენ პოეტი ხარ საქმითაც, გულითაც, – ყველაფრით! სწორედ, გასაკვირველია, ჩვენს პირობებში როგორ გამოიზარდე შენ ეგრე სხვაგვარი, ეგრე თავისებური, ეგრე მეოცნებე. შენ რომ საშუალო საუკუნეებში გეცხოვრა, ბევრი რაინდი აღიჭურვებოდა, ბევრს საგმირო საქმეებს ჩაიდენდნენ. ნუ გამიჯავრდები, შენ რომ ძველი ელლინების შვილი ყოფილიყავი, მშვენიერი ელენე აღარ გახდებოდა ილიადას გმირად. შენი გულისთვის გადასწვავდნენ ტროას და შენთვის ააჟღერებდნენ მგოსნები ებნებს.

შენი ბედი, შენი ბედი კი არა, შენი უბედობა, რომ მეგობრად შეგხვდა ადამიანი, რომელიც ძალიან, ძალიან მოკლებულია დიდი შემოქმედის ზავთსა, თორემ, მართალია, მე-20 საუკუნე სხვაგვარის იერისაა და რომანტიკა მას უკვე წარსულის აკლდამებისთვის მიუბარებია, მაგრამ ლაზარესავით აღადგენდი ამ რომანტიკას. მე ახალ რომანტიკულ მიმართულებას შევქმნიდი და ნოვალისის „ცისფერ ყვავილს“ ჩემი სანიკოს ღია ლაჟვარდოვან სიკამკამით მოწმენდილ სულს დავუპირისპირებდი. ვაიმე, რომ ჩემი ჩანგის სიმები მეტად სუსტნი არიან და იმათაც არ ინდობს მკაცრი ცხოვრება და ლამის ისინიც დამიწყვიტოს. დაწყვეტა ემუქრება, მაშ, რა არის, როცა იმ უმსგავსო პირობებში მომაქცია ტიალმა ბედმა. ყვავს შვილი მოუკვდა და ბუს მიუგდო – შენ მოუარეო! აქ

სკოლა გაჰტიალებიათ და მე გადმომილოცეს, თითქოს ისედაც არ მეყო იმდენი გაბოროტება. დავიღალე, ძვირფასო, ძალიან დავიღალე, თუმცა ჯერ მეოთხე დღეა, რაც მუშაობა დავიწყე. ამ ოხერი ცეცხლის დანთებამ ხომ ილაჯი წაიღო. გირვანქა ნავთზე მეტს ვხარჯავ და მაინც ვერ ვანთებ. გარწმუნებ, ორ საათს ვუჩუჩხუნებ და აქაურ ჯორსავით ჯიუტობს და კერპობს. აქ შეშა ვირობით იყიდება. ე.ი. რაც ვირს აეკიდება, ის მოაქვთ. თითო აკიდება თელავურის გუდურას უდრის. ღირს 6 აბაზი. იანგარიშე, რამდენი უნდა დაიხარჯოს მარტო შეშაში.

სანიკო, მშვენიერო, მაპატიე, რომ ვირებზე ჩამოგიგდე ლაპარაკი მაშინ, როცა იმდენი რამე მაქვს სათქმელი, მაგრამ მე მცივა, ცეცხლი მიქრება და ცეცხლისთვის კი საჭიროა შეშა, რომელიც ვირს მოაქვს.

სანიკო, ძვირფასო, მე სულ ვთვლი და ვთვლი დღეებს, მაგრამ ძალიან ტაატით მიდიან; ნეტავ როდის მეღირსება შენი ნახვა?!

აბა, ჩემო მშვენებავ, იყავი კარგად და ჩამომიფრინდი, მალე ჩამომიცქრიალდი.

მარად შენი დათიკო.
13/I-28 წ. სიღნაღი.

ჩემო ძვირფასო, კარგო, მშვენიერო ციცინო!

ლამის ვიწამო ის, ვითომც მე ღირსი ვიყო შენი სიყვარულისა, ვითომც მე ვიყო მართლა დიდი მგოსანი და მე მომეჯადოებინოს ისეთი ადამიანი, როგორიც ციცინოა. ახ, რა კარგი ხარ, ჩემო ღვთაებავ მაგ ალერსით, მაგ მგრძნობელობით|! ბევრში კი მაინც არა

ხარ შემცდარი. ჩემში იყო ბევრი ძვირფასი გრძნობანი და ისინიც დაამსხვრია ცხოვრებამ. შენ აკოწიწებ, ჩემო მშვენებავ, მაგრამ, ვაი, რომ კოწიწი და კოშტები გამოჩნდებიან. აბა, ერთი შეგხვედროდი ამ ათი წლის წინ, მაშინ შენ შემაძლებინებდი დიდი საქმეებსა და დღეს შენი უღირსი დათიკო ისე მდიდარი იქნებოდა, რომ, ვისაც არ უნდა გავექურდე, მაინც ბევრი უნჯი მექნებოდა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მე ხომ შვილი ვარ იმ დედიკოსი, რომელიც აკვირდებოდა ბევრ ინტელიგენტს! დედიკოს იმდენი მეგობარი ჰყავდა, – ეს იმიტომ, რომ ის უსწავლელი ადამიანი, მდიდარი სულის პატრონი იყო. საკვირველი კი არა, სასიხარულო იყო ჩემთვის, როცა მას სადაც უნდა შეჰხვედროდნენ, გაჩერდებოდნენ და სწორებსავით დიდხანს, დიდხანს ესაუბრებოდნენ ისეთი მოღვაწენი, როგორიცაა: ვანო გომართელი, ოსიკო ბარათაშვილი, პროფესორი ასათიანი, ქართველი პოეტი-დრამატურგები და განა ჩემი სანიკო, ჩემი ციცინო რომ შეჰხვედროდა, ის კი არ დაუმეგობრდებოდა?! და მე ასეთი ადამიანის შვილი ვარ და ცხოვრებას რომ არ დავეგდე, მე ვიქნებოდი სანიკოს დარყადარი. ხოდა, სანიკო, გენაცვალე, ჩემი გამწარებული დედიკოს სული ღირსია იმისა, რომ მას ასე ეტრფიალო, ასე ეალერსო. შენ ხომ ეგრე კარგად გაგიცნია და მის მოწამეობრივი სახის წინაშე ბევრჯერ გიქვითინია. შენ რომ გენახა, უფრო შეიყვარებდი. ის იმდენს სიყვარულს ატარებდა ყველასთვის. როცა ჩვენი გიორგის ბიოგრაფია დავწერე, მაშინ მე ჩემს დედიკოზე შემდეგი სტრიქონები შევიტანე: მე რომ მხატვარი ვიყო და სალომეს დახატვა მინდოდეს, მას უეჭველად ცრემლის სახით დავხატავდი-მეთქი და, აი, ეს ცრემლი შენ შემოგეფრქვოდა. მართალია,

განუსაზღვრელ მწუხარებას მოგანიჭებდა, მაგრამ თავისი მოსიყვარულებით სულსაც მოგიფონებდა. ვაიმე, რომ შენ მას არ იცნობდი; ის, ჩემო გვრიტუნი, ქვითინით გიამბობდა ჩემს ტრაღედიებს და შემოგავედრებდა, რომ შენ მაინც დაგეშუშებინა ჩემი ნაბასრი იარები.

ჩემო ციცინო, ჩემო ღმერთო! მივიღე შენი წერილი და ასე მეგონა, შემომციცინებდნენ შენი გიჟი, გიჟი თვალები. ახ, შენი თვალები, როცა ისინი აციმციმდებიან ხოლმე... გენაცვალე... გენაცვალე... გენაცვალე...

რომ იცოდე, გვრიტუნიავ, როგორ მომენატრა შენი ნახვა, თანხებზე ქესეტად ვარ, თორემ თავს მოვიგიჟიანებდი და ერთი დღით მაინც მოვიჭრებოდი შენთან, მაგრამ ვერ მოხერხდება. მართალია, ავანსი გამოვიტანე, მაგრამ გამიქრა, შემომეხარჯა. ისევ შენს მოკისკასებას დავუცდი, თუმცა ახლა მკაცრი ზამთარია და მეშინია. ემანდ ავად არ გამიხდე.

სხვა რა ამბავია, ზოგიერთის კუზიანი სვინდისი უკვე დამშვიდდებოდა. საწყალი კოტე, საწყალი, მარტო დარჩა. რა ძნელი ყოფილა, როცა არცერთი მეგობარი არ მოგეპოვება, რომ მიხვიდე და ფიქრებით მაინც დაისვენო მასთან.

მხოლოდ სანიკოს სურათი გადმომყურებს ეშხით და მაამაყებს! ნუ მოგიწყენია, მე ხომ შენი ვარ, რა უფლება გაქვს, უყისმათოდ ჩასთვალო შენი თავიო.

სანიკო, ძვირფასო, რომელ სევდას გავუძლო? მზიას და დალის ნახვაც მენატრება. ვაიმე, ვაიმე, ემანდ სულ არ დამივიწყოს მზიამა. ნეტავი მზიასაც სანიკოსავით გრძნობების გადმოცემა შეეძლოს, წერილებით მაინც მცემდა ნუგეშს.

სალამი შენს დედიკოს.

ჩემო ძვირფასო, გეამბორები ნაზად, ნაზად და მუხლზე დაჩოქილი შემოგღაღადებ – მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

შენი დათიკო.
13/I–28 წ.
საღამოს 7 საათია.
სიღნაღი

✧ ✧ ✧

16/I-28 წ. ღამის 11 საათი

აი, მოვფრინდი, ხომ ხედავ, შენთან ვარ და გიკოცნი, გიკოცნი ჩემს ნეტარებას – ლამაზ, მგზნებარე, მოციმციმე თვალებს, ტკბილ ბაგეს! ჩემი ძლიერი, ალმოდებული გრძნობა ნაზად, სათუთად ზედ აკვდება შენს სახეს და ყურში, მორიდებით, მაგრამ ღრმა რწმენით – ურყევი-დაურღვეველი რწმენით ჩამოგციმციმებს „მოსვენება დავკარგე, რაც შენს სულს გადავევლე, განჰქრა უგზო-უკვლო ხეტიალი მარა, მარად შენს კვალზედ შენსკენ ჰფრენს და იქანცება მწარე წუთებით, იქანცება ლოდინით და ხეტიალით“...

აი... მოვედი... გადმოვფრინდი შენთან, შენთან... აი ნაზად... შემოვცქრიალდი შენთან... დავაკვდი შენ მაღალ შუბლს... მითხარი, მითხარი, – ყურს ასმინე შენი ხმა... მიჩურჩულე, რომ გიყვარვარ, რომ ჩემი... ჩემი... მხოლოდ ჩემი ხარ... რომ მე, უკანსაკნელი ვარ... რომ ეს უკანასკნელი ნავთსაყუდარია შენი – მითხარი, გამიმეორე ბევრჯერ ნათქვამი სიტყვები, რომელთაც შეიძლება ბევრის ბაგეში

გაუვლიათ, მრავალი წელნი გადაუმუხლავთ... შენგან მრავალჯერ მსმენია... მარა, ისევე ნორჩი, ხასხასა – ისევე თილისმიანი და სპეტაკი, მომხიბლავი – როგორც პირველ ვარდის მკერდზედ აცრემლებული ბულბულის პირველი ამოკვნესება...

ძვირფასო... ჩემო საუნჯევ,.. ჩემო სიმდიდრევ, სიამაყე... ამ საღამოს კონფერენციაზედ წავედი, ასტომ წამიყვანა... დათიკო, ძვირფასო, შემოგითვალეს... ნინო მთვარელ... ნინო ყაზახაშვ... რამან მჭედლიშ.. და სხვ, რომ უშენობა აჩნდა პირველ კონფერენციას... ვერავინ მოგვიკიდა ცეცხლი, ვერავინ, ვერც რისხვად მოგვედო, ვერც წყლულები მოგვიშუშაო...

დათიკო, რა კარგს იზამდი, რომ მთვარელიშვილი თუ რაიონული იქნება, მანდ გადაიყვანო... მე უკვე, თუმც ვიცრუე და ვუთხარი: თუ დათიკოს ოთხწლედი რაიონულად გადაკეთდა, აპირებდა თქვენს გაწვევას-მეთქი.

ეს იყო ახლა გადავათვალიერე მასალები, დათიკო, რა ვიწრო გასაქანი აქვს ამ ხალხის გონებას – რა პატარა ჭკუისანი არიან.

პირველი თემა მაშინდელი, ამასთან შედარებით, საუცხოო იყო. ისიც იმიტომ, რომ იქ მხოლოდ ფიზიკო-გეოგრაფ. მიმოხილვა იყო... აქ უკვე თემა რთულია და მასალა სერიოზული და სწორედ, აქ გამოჩნდა მათი შორსმჭვრეტელი, გამჭრიახი გონება... ნეტავ, როგორ ბედავენ ასეთი ნამუშევრის გადმოგზავნას – ისიც დიდი თავმოწონებით და სიამაყით... მარა, აკი ვამბობ, ვინც უფრო პატარაააა, იმას ყოველთვის სხვებზე დიდი ჰგონია თავი და მის ზვიადობას სადა აქვს ასული წვერო, ვინ იცის, ვინ ააწვდენს თვალს!

მარა, ჩემო ყველავ, რატომ გესაუბრები ამაზედ, რაღა სწორედ აქ მომინდა ამაზე ლაპარაკი... სხვა ვეღარაფერი გამოვძებნე საუბრისათვის, როცა ამდენს ამბობს ჩემი გული?

შაბათს მოვდივარ-მოვდივარ, აქ რა გამაჩერებს... რა შემაკავებს?! არ შემიძლია-ღა, მოთმინებაც მსუსტობს, გონებაც ჩლუნგდება და სულ ვეღარ აჩერებს ამ აწყვეტილ-აქარტეხებულ გულს, რომ გაჩერდეს, მოითმინოს, დაემორჩილოს გარემოებას, დაემორჩილოს არსებულ პირობებს, რომელიც ასე კრულად მოაწყო ცხოვრებამ, მარა მას არ ესმის... არა... მას არაფერი არ ესმის... რაც კი მის სათაყვანოს არ ეალერსება, რაც მის სალოცავს არ ემონება, რაც მის სიხარულს არ...

ვათავებ წერას, ძილი ნებისა, ჩემო ტრფიალო!
გიგზავნი ბარათს, თან ვატან ჩემს გულს...
გიგზავნი ბარათს კოცნით განბანილს
რომელსაც ის შენ შემოგაფრქვევს, შენ შემოგევლე!

სანიკო.

¤ ¤ ¤

ძვირფასო, ძვირფასო მეგობარო სანიკო!

რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ მე შენი ღირსი არა ვარ-მეთქი. რა სასოებით, ღრმა ყურადღებით, ალერსით არა მმოსავ და მე, სამაგიეროს გადახდის ნაცვლად, მხოლოდ გებუზღუნები და გსაყვედურობ. ახლაც, სიღნაღში ყოფნის დროს, შენ რამდენი ბედნიერების სხივიერება შემომაფრქვიე, წესრიგი და სითბო, სილაზათე და სიხალისე დაამყარე ჩემს აფურტკრულ სულშიაც

და ჩემს გულშიაც, მე კი ისევ და ისევ სასაყვედუროდ წამოვავლე კალამს ხელი. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, ციცინო, რა ვუყო, რომ შენი უაღრესად წრფელი, უბადლო, უმშვენიერესი თავგანწირულობა მაინც მეჩვენება ისეთად, რომელიც ხანდისხან სულს სევდით ნისლავს.

შენ დაგიტოვებია ჩემთან შენი საბანი მაშინ, როცა გარეთ ისე ყინავდა და შენ 17 ვერსი გქონდა გასავლელი. ეს ერთი გასაჯავრებელი, ხოლო მეორე: ... მეორე... ნუთუ, ვიფიქრებდი, რომ შენ მე მომატყუებდი! როგორ წრფელად მეფიცებოდი, რა წამს სიღნაღს გავსცდები, კალათიდან ამოვიღებო. შენ მეც კი დამიფიცე, თუნდა არ დაგეფიცა, განა შეიძლება ესე წრფელი კილოთი მოტყუება?! როგორ ვიფიქრებდი, თუ შენი ისეთი ლამაზი, ისეთი სათუთი გამოთხოვების დროს ნათქვამი – გავცდები და ამოვიღებო – მართალი არ იყო! თურმე შენ უკვე სხვა საქმე ჩაგედინა, დაგეტოვებინა საბანი. რათა ჰქენი შენ ეს, სანიკო, რათა? ხომ იცი ადამიანის ბუნება? აბა, როგორ გავარჩიო, როდისა ხარ მართალი და კიდევ ერთი მომენტი, შენ მწერ, რომ ნ. მთვ-ელს ვუთხარი, დათიკო გიპირებს თან წაყვანას, თუ რაი-სკოლა ექნებაო. ეს რა საჭირო იყო?! რად დაგჭირდა ამის თქმა, გულის მოსაგებად?!

შენ შეიძლება მომაგონო დედიკოს მოტყუების საჭიროება, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა.

ვიცი, ძვირფასო, ეს სტრიქონები დაგაღონებენ, გეწყინება. შენ შეიძლება სხვანაირად ახსნა შენი „მოტყუება“, მაგრამ მან ჩემზე ისე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, რომ ვერ შევურიგდი, ვერ მოვისვენე, ვიდრე ქაღალდზე გადავიტანე. გადავიტანე და უმალვე ვიგრძენი შენი გაგულისება. მაგრამ, მე ხომ ვიცი სანიკოს ამბავი.

მას ხომ არ შეუძლია დიდხანს გაგულისებული იყოს?! ამიტომ, მე ახლა ვეამბორები მის აკვესებულ თვალებს და ისიც მაპატიებს, მაპატიებს!!!

ჩემო, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო სანიკო, აქედან რომ მიემგზავრებოდი, კბილი და ყური ძალიან გტკიოდა. როგორ იმგზავრე? გზაში უფრო უქიფოდ ხომ არ გაჰხდი? ჯერ თავად იქიდან მომავალს თითქმის გული შეგღონებოდა.

გულითადი სალამი შენს დედიკოს.

მარად შენი დათიკო.
24/I-28 წ. სიღნაღი.
რომელსაც შენ თითონ აღიარებ.

ჩემო კარგო, ჩემო სულის ცისკარო სანიკო!

როგორ ავწერო ის დიდი ღელვა, რაც მე გუშინ და დღეს განვიცადე? ჯერ იყო და, გუშინ პედსაბჭოს სხდომაზე ატმოსფერო დამძიმდა და მოხდა ჩემსა და მასწავლებელთა ერთ ჯგუფს შორის შეტაკება. ისინი ისტერიკაში ჩაცვივდნენ, როცა საბჭოში შემავალმა მოწაფეებმა განაცხადეს, რომ რამდენიმე მასწავლებელი სამართლიანად ვერ აფასებს მოწაფეთა წარმატებასო. როცა მე დიპლომატიურად ვაგრძნობინე მასწავლებლებს, რომ მათ მისცეს საბაბი მოწაფეებს ამ განცხადებისათვის, ისინი აფეთქდნენ. მეთაურობა იკისრა „იმ ბრწყინვალე კნეინამ“, რომელზედაც გეუბნებოდი. სხვებმა შეიტყვეს, რომ მას ტენდენცია აქვს – ყოველგვარი ჩემი საქმიანობა გააბათილოს და ხაზი არ გაესვას ახლანდელ პატარ-პატარა მიღწევებს. სხვები იწონებენ ჩემს ტაქტსა და

კილოს, მაგრამ უფრო დამაფიქრებელია მეორე გარემოება. პედ-ტექნიკუმში საზ. მეცნ. გაკვეთილებზე უარი განვაცხადე. მე დიდ მოთხოვნილებას ვუყენებ თითოეულ მასწავლებელს და იმასვე მოვითხოვ საკუთარი თავისაგან. მე არ გავექცეოდი ამ გაკვეთილებს, მაგრამ ამ მინგრეულ სკოლას იმდენი ზრუნვა სჭირდება, რომ სრულიად ველარ ვიცდი წიგნში ჩასახედად. ამას შეიძლება არასასიამოვნო შედეგი მოჰყვეს. მითხრეს, რომ ჩვენ ჯამაგირი იმ პირობით დაგინიშნეთო და ამდენს არ მოგცემთო. რაკი ანგარიში არ გამიწიეს, სრულიად თავს დავანებებ მასწავლებლობას და შევუდგები ახალი ბედის ძიებას.

ჩემო სანიკო, რა ძნელია მდგომარეობა იმ ადამიანისა, რომელიც იღვწის საქმისადმი სიყვარულით და მაინც არ ესმით მისი.

მე მხოლოდ სანიკო მანებივრებს, თორემ ცხოვრება მუდამ მმუხანათობდა. რა ვქნა, რატომ დაიგვიანა შენმა წერილმა?! ხვალ პარასკევია, ის კი არა სჩანს. ნეტავი კი შენ კარგად იყო და მხიარულად განაგრძნობდე შენს მასწავლებლობას.

კოტეს მოკითხვა, უამბე. როცა ყველაფერი გაირკვევა, მაშინ მივწერ.

იყავი კარგად. მარად შენი დათიკო.
27/I-28 წ. სიღნაღი

✧ ✧ ✧

27/I-28 წ. ღამის 10 სთ.

მხოლოდ იმის წარმოდგენა, რომ დათიკოს შეუძლია გაფიქრება, ვითომ მე ვცრუობდე, ვთვალთმაქცობდე მე,

მე ჩემი მეტყველება გამოვიყენო იარაღად, ხალხის გულის მოსაგებად – ისე თავზარს მცემს, ისე შეურაცხმყოფს, რომ ვერც კი დამიჯერებია, ვერ შევრიგებივარ...

შენ იწერები „რად დაგჭირდა ნინოსთვის გული მოგეგოო“... მაგრამ, როდესაც მან ისე აღტაცებით, ისეთის სასოებით დაიწყო შენზე ლაპარაკი, ისეთის რწმენით და თაყვანებით იცქირებოდა შენსკენ. მე მგონია, არ გადავაჭარბე, არც ვითვალთმაქცე, როდესაც იმ ქალს გავაგებინე, რომ დათიკოც სიმპათიურად გიყურებთ თქვენ. დათიკო თქვენ გთვლით, და სამართლიანადაც, ერთ საუკეთესო მშრომელად და, თუ რაისკოლა ექნება, უეჭველად გაგიწვევთ. და იმ წუთში მე თითონ ვფიქრობდი, მჯეროდა, გეფიცები, მაგრამ არა, არ მინდა, დავიფიცო. მე მინდა, შენ იქამდე გწამდე, რომ ჩემს ყოველ სიტყვას, რაც სერიოზულ რამეს შეეხება, უჯერებდე და აკი გეუბნები, მე მჯეროდა, რომ დათიკო, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ამ ქალს თავისთან მოაწყობს. – ეს ერთი.

მეორე – საბანი არ წამოვიღე იმიტომ, რომ ჩამოგივიდეს ვინმე – აი, ახლაც კოტე მოდის – დაგჭირდება. და, რომ არ მეცრუა, ისე კიდევ არ დაიტოვებდი საბანს მანდ, მაგრამ, რაც მთავარია, შენ ვერ შენიშნე, ალბათ, ჩემი გამოთხოვების წერილი და ცეცხლს მიეცი შენდა უნებურად, მაგრამ ეგ არაფერია. ისეთ რაიმეს, რაზედაც შეიძლება მისაყვედურო, მალე შენიშნავ, გადაამუშავებ, ანალიზს გაუკეთებ და, ბოლოს, ასეთ წერილებამდეც მიხვალ.

დაბოლოს, მე სულ არ ვფიქრობ ამ წერილით თავის გამართლებას. თავის გამართლება მაშინაა საჭირო, როდესაც რაიმე დანაშაულს გრძნობ...

მე გწერ მხოლოდ სიმართლეს და მიკვირს, რომ შენ

ჩემს იმ ქცევაში ვერ განსჭვრიტე სიმართლის სახე!..

შენ დიდი ხანია ეჭვი შეგეპარა ჩემში... იმ საღამოს საფუძველით შეირყა ჩემი კუთვნილი სიმაგრე. ტორტმანობს ის მიუდგმელი ციხე-ბურჯი, სადაც მე მეგონა, ბედნიერების სანავარდო დავისაკუთრე...

შენზედ მლოცველი, მაგრამ
შენით გულ-გაპწკარული
სანიკო
27/I-28 წ.

ჩემო ძვირფასო, ცხოვრებაში გატანჯულო მეგობარო, მეგობარო!

სადა ხარ ახლა!..

ალბათ, თბილისში, შენს პაწიებთან. ახ, რატომ, რატომ მოხდა ისე, რომ შენ იშვიათად უნდა ნახო ისინი, რომ იმათ შენ დაშორებული ხარ?!..

რამდენი, რამდენი მწუხარება და სევდა ჩამოგვიწვა ჩვენ სავალ გზაზედ, რამდენი უსიამოვნება და ვარამი დაჰბარდნის ჩვენს ცხოვრებას!.. და ყველა ეს მხოლოდ ჩვენის ნებით. ყველა ეს ჩვენის სურვილით...

დათიკო, დათიკო ძვირფასო, რა მწარე სევდა არ სწვეთავს ჩემს სულში, რა ნაღველი და კაეშანი არ დაფარფატებს ჩემს გრძნობებში... და ყველა ეს, შენ მწარე ბედზედ ფიქრით, შენს დაეკლულ სულზე გოდებით... რათა, რათ მოხდა... რატომ მოხდა ასე?!..

არ ეყო შენს გულს ქვითინი და გოდება და წყლულები, რომ მას ახალი მწუხარება და კვნესა არ მიმატებოდა?! რა ვუყო, რა, დათიკო, საით წავიდე, ვინ მიშველის, ვინ

მასწავლის, როგორ დავიხსნა ჩემთვის ძვირფასი, ჩემთვის დაუფასებელი ადამიანი ამ გამწარებულ, დაშხამულ ცხოვრებიდან. მითხარი, დათიკო, მითხარი, შენ გენაცვალე, იქნებ შესაძლებელია შენი სულის გამთელება – შენი გულის განკურვნა, რომ დაბრუნდნენ შენს ოჯახში შენი ბავშვები... მითხარი, შენ ხომ ყოველთვის გულწრფელი, სიმართლის მთქმელი ხარ.

მე ხშირად, ძალიან ხშირად მივალ ხოლმე იმ დასკვნამდე, რომ ეს შენ გიშველის, რომ შენი აფორიაქებული, აწეწილი გრძნობები ამაში ჰპოვებენ შვებას, სიხარულს... ნუ დამიმალავ დათიკო, თუ ამ სურვილს როდესმე გაუელვია შენს თავში. შენ ხომ ის არ გჩვევია, რომ ვინმეს ან რისიმე გულისთვის დაუთმო შენს სურვილებს, წახვიდე შენი გრძნობების წინააღმდეგ... ეს არავითარ შემთხვევაში ჩრდილს არ მიაყენებს იმას, ვინც მე სწორედ ამით მომხიბლა, მომაჯადოვა...

ჩვენ დავრჩებით აუცილებლად, რაც არ უნდა მოხდეს, უბადლო მეგობრებად.

მთელ ჩემ სიცოცხლეში შენ და მხოლოდ შენ ენთები მანათობელ ლამპარად! შენ იქნები ჩირაღდანი, რომელიც შუქს ფენს ირგვლივ, მინათებს გზას... და გამიცისკროვნებს სულს...

მარად შენზედ მეოცნებე, შენი მათაყვანებელი

სანიკო

გინდაც შენ სანიკოს არ დარჩე, გინდა გაუფრინდე სანიკოს.

29/I-28 წ.

¤ ¤ ¤

ძვირფასო მეგობარო სანიკო! ის იყო თავში გამოინასკვა აზრი:

მტრედისფერ დაღესტნის მთებიდან მოფრინავს სიჯანსაღე და მას თან მოაქვს ციცინოს მიერ ნაჩუქები ახალგაზრდობა. ვაპირებდი ამ სტრიქონების ქაღალდზე გადატანას, რომ მივიღე შენი წერილი, წერილი, რომელშიაც ისევ და ისევ გულის გაბზარვაზეა ლაპარაკი. წერილი დავკოცნე კია, მაგრამ ის პირველი წინადადება შეიცვალა და კალამმა გადმოაღვენთა ჯავრი: სანიკოს წერილს, ვარსკვლავთა სიკაშკაშესთან ერთად, მოაქვს ჯანღი, ნისლი... წყენისა...

მეგობარო, მეგობარო! განა შეიძლება კიდევ დაეჭვება?! განა სამართლიანია იმ საღამოს გახსენება? რად არ გაგონდება, თუ როგორ დავანგრიე ის გემი და ორბის სისწრაფით შენს გემში გადმოვხტი. სანიკო, ტკბილო, ტკბილო სანიკო, როგორ შეიძლება, მე შენ არ მიყვარდე, როგორ შეიძლება, ადამიანს სანიკო არ უყვარდეს, ის ციცინო, რომელსაც გულში აქვს მთელი სისტემა ვარსკვლავებისა.

სანიკო, შენა ხარ მზის სიმღერა!

შენ ღმერთსავით ყოვლად სამართლიანი ხარ.

ან მე როგორ დავივიწყებ შენს მიერ ჩემს გაბედნიერებას? როგორ დამავიწყდება ის, რომ შენ, შენი ცხოვრების ყაყაჩოსფერი განთიადის დროს, ხელი გაუწოდე კაცსა, რომელიც გაცრეცილი იყო, როგორც ზამთრის მწუხრის მილეული სხივი. სანიკო, მე ხომ ძველ მითოსს ვეზიარები, ბერძენსავით აქერონის მდინარე გადავლახე. შენ გამატარე ეს მდინარე, რომელსაც ის თვისება აქვს, რომ ადამიანს ყველაფერს ავიწყებს და მე დამავიწყა,

დამავიწყა ამ გავლამ ბევრი რამ... არ დამვიწყებია... არცოდეს დავივიწყებ მხოლოდ ჩემს შვილებს, რომელთა ნახვაც გაგიჟებით მენატრება. და მეშინია კიდეც, ავად არ იყვნენ. ტფილისში იმდენი ავადმყოფობა მძვინვარებს: ვერ იქნა და ვერ ვიხელთე დრო ტფილისს წასასვლელად. გაგონილა ბავშვების ნახვის ასე დაგვიანება? ფინანსურად მაინც არ დავესაჯე. საზ. მეც. გაკვეთილებზე უარი განვაცხადე, ამან ჯამაგირი შესცვალა. ახლა ტფილისს ჩასვლას რამდენი უნდა, მაგრამ რას ვამბობ, რას დავეძებ, ოღონდ გავითავისუფლო თავი და უმალ გავეშურები.

სანიკო, პოლონელთა ნაზი, ლბილი სილამაზით დამშვენებულო სანიკო, ან ის რა საფიქრებელია, ვითომ მე შენს წერილს ვერ შევნიშნავდი და ცეცხლში ჩავწვავდი. შენ ისე მწერ, თითქოს მიამიტად მომივიდოდა ეს მარცხი, მაგრამ ნურას უკაცრავად, შენ თითონვე გაები მახეში... განა შეიძლება, მე ციცინოს თუნდა უბრალო მოძრაობა გამომეპაროს? ოთახში შემოველ თუ არა, ვისზე უნდა მეფიქრა, თუ არა სანიკოზე. მე კედლებსაც კი ვკოცნიდი, რომლებსაც შენი თვალები შესციმციმებდნენ და განა წერილი გამომეპარებოდა?!

სანიკო, შენ მწერ, კოტე შენთან მოდისო – სად არი? თუ ჯერ არ გამოსულა, მომავალ კვირას ნუ გამოემგზავრება. იქნებ ტფილისს წავიდე. ეგ დალოცვილი, რატომ წერილს არა მწერს, მაგრამ განა მე კი ვწერ? ჩემი ბრალიც არის! სანიკო, შენ უეჭველად გადასცემდი კოტეს კახელიძისგან მოსატან წიგნაკსა და რატომ „ტუგრიას“ არ მიგზავნიან? კახელიძე მუდამ მოსიყვარულედ მეპყრობოდა გამომ-ცემლობის საკითხში. ახლა აღარ მენდობიან?!

ჩემო კარგო, მივიღე ახალგაზრდა მასწავლებლების წერილი. თურმე მე მათ ვამხნევებდი და მხარეთმცოდნეობაშიც

უკვე კვლევითი საქმიანობა დავაწყებინე. გული ჩამეფუფქა – ისე მომტირის, პასუხის გაცემა ვერ მომიხერხებია. არ ეგონოთ, რომ არაფრად მივიჩნიე ის წერილი.

აქ მე განდეგილის სიმკაცრით და სიჯიუტით ვსაქმიანობ. ჯერ ვერ მოვინადირე კოლეგების გულები, მგონია კი, რომ ადრე თუ გვიან გამიცნობენ და ჩემი გარეგნული სიმკაცრის შიგნით სისათუთესაც შენიშნავენ.

გიჟო, გიჟუნიავ, შენ ყოველთვის მისაყვედურებ, წერილებითა ძუნწობო, განა ასე „ცოტას“ დასწერდა ძუნწი? მე ხომ წვრილი ასოებით ვწერ. გაადიდე და დაინახავ, რამდენი თაბახი გამოვა. და რაკი შენ მაინც არ გჯერა, მოდი, საქმით დაგაჯერებ. ავდგები და იმდენჯერ გაკოცებ თვალებზე, ტუჩებზე, ყელზე... მკერდზე, რამდენიც ამ წერილში სტრიქონია. ეხლა?... დაიღალე? დაიჯერე!

მშვიდობით ტკბილო, მშვიდობით, მშვიდობით კარგო... შენი, შენი გამჯავრებელი, მაგრამ მაინც შენით გარდაქმნილი დათიკო.

30/I–28 წ. სიღნაღი

1. სანიკო, სანიკო, მოიტა შენი ბაგები, რომელნიც ძველ ქალდეის მცხუნვარე სიყვარულის აღმძვრელნი არიან; მოიტა შენი ყური, რომ გიჩურჩულო, თუ როგორ მიყვარხარ.

✧ ✧ ✧

შენია, შენი გვირგვინი, რომელიც ირგოლება ქვეყნის დამხსნელ, ბოროტების გადამბუგავ, ღვარძლის წამლეკავ რაინდისათვის.

მალე, მალე მიაღწევ მას. საკმარისია მეტი ყურადღება შენ თავს, მეტი ენერგია და არსებობა კალმისათვის.

შენ ჯერ მგოსანი ხარ და მერე – საზოგადო მოღვაწე.

შენ ჯერ ღელვა და წვა ხარ სხვებისთვის უცნობ განცდებით და მერე – იარაღი ცხოვრებისა.

შენგან ბევრს მოველით შენი სათაყვანო და მოთაყვანე ახალგაზრდობა და არ გაპატიებთ თუ გაგვიცრუებ იმედს, თუ აგვილეწავ მოლოდინის ჯებირებს.

კალამს მოჰკიდე ხელი,

გვსურს – ვესწრაფვით კვლავ მოგვესმას ხმა!

„ეძიეთ“ – ქარიშხლებზედ შეყვარებულმა დაჰგმე

შმორიანი, ხავსიანი ჭაობები...

სანიკო.

30/I-28 წ.

30/I-28 წ.

მგოსანს – თუ – ელს.

შენთვის არ უნდა არსებობდეს რეალურ ცხოვრების პატარა სახეები. შენი გონება არ შეიძლება, გაჩერდეს ყოველდღიურ წვრილმანობაზედ.

„მინდიავ, რასაც ჰგმობ, მას არ უნდა მონებდე!“

შენი ხმა სჭექს, ქუხს – გაინაპირეთ წუმპიდანო!

შენც, შენც პირი უნდა იბრუნო, ისედაც ღრმად შესტოპე, ისედაც შორს შესულხარ. მოიკრიბე მთელი ძალღონე, აღსდექ ახალი ცხოვრებისთვის! აღსდეგ ძველი ადამიანი, ძველის ძიებით ახალი სახეებისათვის, ახალი ბრძოლისათვის! შენთან სინანულს რა უნდა?! შენ ხომ გმირი ხარ, შენ ჯერ არ გაგიკეთებია, უკეთ, არ დაგიბოლოვებია ის, რაც დაიწყე!

დათიკო, გენაცვალე!

ეს ხუთი მანეთი გადაეცი ბებოს და უთხარი, ვეცდებით ამის შემდეგ თვეში ხუთ მანეთზედ მეტი გამოგიგზავნოთთქო.

ეს, ჩემო დათიკო, შენ არა გგავს...

მე ისე გამიკვირდა რომ სთქვი, თვეში ხუთ მანეთს ვუგზავნიო. მე დარწმუნებული ვარ, გიორგის დედიკო შენზედ ძალიან არ ყვარებია, არც უყვარს და დედიკოს დედას ის უფრო მეტს აძლევს, ვიდრე – შენ...

ეს ჩემს მხრივ ამ თვეში, ჩემო დათიკო, და შემდეგ თვეში ხუთ მანეთს მაინც მე გავუგზავნი, ხუთს შენ და იმ საბრალო მოხუცისთვის უკეთესი იქნება... თორემ, ისედაც დათვლილია მისი დღეები... უარესად ნუ გავამწარებთ! ვეცადოთ, ძვირფასო, დედიკოს მზრუნველობა მაგას მაინც ვუწილადოთ, მაგაზედ გადავიტანოთ... ეგეც ისეთივე მგრძნობიარეა ეტყობა, მაგასაც არანაკლებ უყვარხარ... და მე, ძვირფასო დათიკო, მოვალე ვარ, რითიმე მივუზღვო მაგიერი იმ ადამიანებს, რომლებსაც უყვარს ჩემი ძვირფასი, ცხოვრებაში გამწარებული დათა.

გაკოცებს შენი სანიკო

¤ ¤ ¤

2/II-28 წ. სიღნაღი

ხოო, მეგობარო, ძვირფასო, ტკბილო! მართალსა სწერ, სევდა უბარდნის ჩვენი ცხოვრების ისედაც ძნელად სავალ გზას. ზამთრის ავზნიანი, ვეშაპი ღამე ჩამოწოლილია და მიმღერის რექვიემს... მაგრამ როგორც კი მომიქროლდება შენი წერილები, მყის გარდავიქმნები...

თუ მინერვას თავიდან ჭოტი ამოფრინდება ხოლმე, ჩემი მწუხარებისაგან გათანგული გულიდან ამოემართება ციცინო-სანიკო, ბრწყინვალე და... მავიწყდება, რომ ვცხოვრობ სიღნაღის დაბერებულ ქუჩის კუნჭულში. მგონია, რომ ცეცხლი წაეკიდა უდაბნოს, გადაიბუგა და მისი ფერფლიდან ამოფრინდა დილის ოქროსფოთლოვანი ფასკუნჯი ციცინო-სანიკო და მინდა, ამ დროს ვიყვირო, ვიტოროლაო, ყველას მოვუხმო, დააღონ ფანჯრები, ჩაიცვან თეთრი ტანისამოსი და სთქვან გაზაფხულის ციცინოს-სანიკოს სადიდებელი სიმღერა.

ხალხო, ხალხო, ქუდი მოიხადეთ, დაინახეთ, უკვე გაზაფხულდა და ჩემი გული ამ დროს ისე კეთილშობილდება, ისეთის რწმენით ვივსები ადამიანებისადმი და მზადა ვარ სტაჟიან ყვითელბილეთიანებთანაც კი მივიდე, როგორც წინათ მიამიტად მივდიოდი და ვუთხრა: შეხედეთ ციცინოს, შეხედეთ სანიკოს! ის არის კოლუმბი ჩემი ტრფობის კუნძულისა. იწამეთ თქვენ იგი და თვალი აგეხილებათ და...

სწყდება მხიბლავ ფიქრთა დენა. ზამთრის მღრინავი ღამე ისევ ისე გამგმირავად დააბოტებს ირგვლივ და ელსადგურის შფოთვა გრძელდება, თითქოს ეშინია, ღამესთან ჭიდილში არ იძლიოს, არ ჩაქრეს!

მე ვებრძვი ღამის ქსელზედ გამობმულ აბლაბუდას, რომელიც შენი წერილიდან გადმოხტა და სანიკოს პირით ველაპარაკები ჩემს თავს. „მითხარ, მეგობარო, მითხარ, გენაცვალე, იქნებ შესაძლებელია შენი სულის გამთელება, შენი გულის განკურვნა, რომ დაბრუნდნენ შენს ოჯახში შენი ბავშვები“.

და... მე ახლა შენ გეკითხები, ციცინო, ძვირფასო, გმირო, წმინდა ადამიანო, მე ვიჩოქებ შენს წინაშე და

ვეამბორები შენს ფეხთა მტვერს. მესმის, მესმის, შენ მგრძნობიარე ხარ, შენ სამართლიანი ხარ, შენ გონიერი ხარ და იცი, დარწმუნებული ხარ, თუ რა ინკვიზიციას განიცდის მამა, შვილებს დაშორებული, ისიც დათიკო, რომელსაც მისი მზია და დალი ნაკადის ენით ელიკლიკებიან.

მაგრამ... ვთქვათ დაიბრუნა... ვთქვათ... შემდეგ? სანიკო?.. სანიკო... დათიკოსავით უყისმათო, დათიკოსავით უიალქნო სანიკო, რომელიც ნიცშეს ზავთობით იძულებს უხამს აწმყოს უმშვენიერეს, მაგრამ ძნელად გადასალახავ მწვერვალებზე ასანავარდებლად.

ვთქვათ, ვთქვათ კი არა, სანიკო უკეთესსაც იშოვის და ვთქვათ, სანიკო შეურიგდა ამას. თვით დათიკო? მან რაღა მოიმოქმედოს?

მან 40 წელი, 40 წელი ძიებაში გაატარა. თავისი ცხოვრების 40 წლის გაშავბედებულ ტბაში ბევრი შავი გედები ამღერა სასოწარკვეთილებისა და ახლა ძლივს ეღირსა, ძლივს შეხვდა. სანიკოს გულისთვის დაამსხვრია წარსული, შეეუღლა. უკეთესად გაიცნო, ათასჯერ უმშვენიერესი აღმოჩნდა ციცინო... დღითიდღე უფრო ემატება მომხიბლაობა...

და ახლა როგორღა გასძლოს უსანიკოდ, როგორ? როგორ? სანიკო როგორ დასთმოს დათამ, როცა იგია მისი გაზაფხული, იგია მისი, დიახ, დიახ, უკანასკნელი გაზაფხული... იგია მსოფლიოს ძვირფასი თვალი. მე როგორ დავთმო სანიკო, როცა დარწმუნებული ვარ, შენზე უასაკო ბუნება კი შეყვარებულია... დარწმუნებული ვარ, გიცნობენ და მინდიასავით გესალმებიან ყვავილები და ჩიორები, როცა შენ გამოდიხარ ხოლმე გარეთ... და სევდა მაინც სძენძავს სულს. სევდა მაინც აქვითინებს სულს, ოცნებას. ნუთუ, ნუთუ ეს მე ვარ მოსიყვარულე მამა,

რომელსაც თავისი შვილები ექვსი კვირაა არ უნახავს, არ მღირსებია მზიას ტიტინი, ალერსი, კოცნა.

მე ჯერაც ვერ ვახერხებ, ძვირფასო, ტფილისს წასვლას... მინდა შაბათ-კვირას მაინც გავემგზავრო. ამ თვეებში ძალიან დავიხარჯე. ჩემი ჯამაგირი სულ 17 თუმანი იანგარიშეს. მე, რა თქმა უნდა, კატეგორიულ უარს განვაცხადებ ამ პირობით მუშაობაზე. ვნახოთ, როგორ გადიჭრება საკითხი... ეჰ, ეს წვრილმანები ქანცავენ სულს!

ძვირფასო, გმადლობ გამხნევებისათვის, გმადლობ ახალგაზრდობის სახელით მოთხოვნისათვის: „მგოსანო, დაუბრუნდი კალამსაო“.

განა მე კი არ მენატრება?! მაგრამ ხომ იცი, ერთ ციცქნა ასანთს მთელი ტყის გადაბუგვა შეუძლიან და ამისთანა წვრილმანები კლავენ სულში ყოველგვარ განწყობილებას...

აი, ვამთავრებ წერილის წერას. წერის დროს ილუზიამ დამათბო. წარმოვიდგინე, რომ შენთან ვიყავი და გეამბორებოდი სათუთად და ალერსით... გათავდა წერილი და ჩემმა უღიმღამო ოთახმა ისევ შემომტირა...

ვისხამ ჩაის და ვეამბორები იმ ბროლის ჭიქა-ლამბაქს, რომელიც შენ დამიტოვე.

ნახვამდის, ტკბილო, შენი დათიკო.
2/II–28 წ.

✧ ✧ ✧

ტოროს გავადიდებინე დათიკოს სურათი და მისი ბავშვობისა.

მიყვარს ზღაპრები.

მიყვარს, რადგან ისინი გვაშორებენ უხეშ მახინჯ ყოველდღიურ ცხოვრებას და მოქანცულ სულს უალერსებენ, ღრმა იარებს უშუშებენ...

მიყვარს ზღაპრები...

მიყვარს მისი ფანტასტიკური, ლეგენდარული ზმანებანი, რომელნიც ლამაზ ოცნების სამყაროში გადაგვაქროლებენ.

მომხიბლავია მშვენება ცხოვრებისა. ზღაპრები მშვენებაა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ოცნების შვილებია და არა – ცხოვრებისა, რომ ისინი სინამდვილეში ვერ გადავლენ...

ხშირად, ხშირად გული სევდის ბრჭყალებს ჩაუჯგვლემავთ, კაეშნის კლანჭებს დაუფათრავთ...

ზღაპარი იყო, დათიკო ჩემი, ლეგენდარული გმირი იყო. ახლა ზღაპარი სინამდვილედ იქცა...

აღარა მაქვს ზღაპრები

ლეგენდები...

ზღაპარი სინამდვილედ იქცა და სინამდვილემ სამოსი შეიცვალა, ზღაპრის ქათიბი... მოიხსნა...

მოდი, მოდი, ჩამოჯექ ჩემთან, მოდი, მოასვენე ეგ დაღალული, დაქანცული თავი შენი სანიკოს მკერდზედ! მასში ასვენია სამარად-სახო შენი სახე, შენი დამათრობელი, დამბანგავად მშვენიერი სული.

არ შემეძლო ჩემი გრძნობის სადავეებს, რომელნიც სულს საარაკო ძალით შენსკენ იზიდავენ, არ დავმორჩილებოდი.

ჩვენ ხომ ყველგან და ყოველთვის სილამაზეს ვეძებთ,

სილამაზეს ვეტრფით და ესეც, ეს იშვიათი და უცხოდ ამობრწყინება ერთიმეორის ბინებზედ განა სილამაზე არ არის?!

აიღე, გინდაც, შენი მაშინდელი ჩამოქროლება – ეს ხომ უაღრესად მომხიბლავი, ეს ხომ რაინდის თავმოგიჟიანებული ნაბიჯი იყო?! ეს შემთხვევა მე შემოვრკალე ჩემს ლამაზ სახეთა შემნახავ მეხსიერებაში. იგი მარად მოკაშკაშეა იმ სულის კუნჭულისა, რომელსაც სწამს, რომელსაც უნდა იწამოს დათიკოს ძლიერი, ყველას გადამლახავი სიყვარული...

მარა პაწია რამ, ერთი სიტყვა – (დასწყევლოს) და აქაც ჩამომისრიალდა გველის სისინივით – შენ ხომ მითხარი: „წავიკითხე შენი წერილი, შემეცოდე სანიკო და ვსთქვი – მოდი, ერთი თავს მოვიგიჟიანებ“-ო.

მაგრამ დათიკო, იცი ძვირფასო, იცი სიცოცხლევ, როგორ არ მიყვარს ეს სინანული?! – ეს საბრალო გრძნობა აცრიატებს, აჭლექებს, სცრეცს მიწურულ შემოდგომის დღეებსავით ამ კაშკაშა, ამ ელვარე, მცხუნვარე გრძნობას – სიყვარულს!

მე სულ არ მინდოდა, შენ ჩემთან ჩამოსულიყავი. აი, მეც მანდ იმიტომ კი არ ჩამოვედი, რომ შემეცოდე ისე შებრალების გრძნობით, სხვასთან, შესაბრალის ადამიანთან წავიდოდი, მარა ჩამოვქანდი მანდ იმიტომ, რომ გრძნობამ ჩამწვა, ჩამბუგა. გული ამიტაცა იმის ალმა, მანდ, შენთან გადმოასახლა და მე არ შემეძლო, ჩემს გულს არ გამოვყოლოდი.

არა-არა, მე იმიტომ არ ჩამოვედი, რომ შემბრალებოდი. ამ გრძნობას ჩემს სულში სხვა ადგილი უკავია, – ისეთი კუნჭული, საიდანაც ის არც შენ, ჩემო მეუფევ. და არც შენდამი სიყვარულს არ შეურაცხყოფს, ჩრდილს არ მიაყენებს.

მე მომაქანებდა და მომაქროლებს ყოველ ფიქრის მანძილით გადანავარდებაზე, ეს გრძნობა–ცეცხლი! გრძნობა–ქარტეხილი!

მართლაცდა, დათიკო, რა ძლიერია, რა გადამლახავია, რა სტიქიურია გრძნობის აწყვეტა, მისი გაჭენება! იგი ყველა ძალის გადამმსხვრევია, ყველა სხვა ძალის გადამცელავი, დამსამარებელია თავის გზაზედ, მას ვერ შეაჩერებს, ვერც გიდრა და ვერც ცერბერი, ვერც ამირანი და ვერც სოლომონ ბრძენი. იგი თავზე ხელაღებულია, დამთხვეული, სრულარსი. იგი ყოვლად შემძლე სასწაულმოქმედია. იგი ზღვის ქარტეხილნამსხვრევ ტალღებშია დაბადებული. მზის გადამბუგავი ძალისაა, ამიტომ მოგვეზიდება, ამიტომ მარად ვეტრფით მისი მასპინძელნი ქარიშხალს, ღელვას, მცხუნვარე მზეს, ციმციმა, ცქრიალა, მომხიბლავ გაზაფხულს, მარა, აი, გულის დაღვარსლა, სულის ჩამონისლვა... ეტრფი ყველა კარგს, შეუმწიკვლელს, სილამაზეს ეძებ ყველგან. რითი გიმასპინძლდება ცხოვრების სინამდვილე?.. რამდენად უფრთხილდება და თავს ევლება ამ იშვიათ, ძვირფას თვლებს... მისი სახის შესაცვლელად მარად მაძიებლებს?!

ცხოვრების, ეულ ცხოვრების ჩამობინდება, მოჯანღვა, მოკუპრვა, მსხვრევა – აი, რა გხვდა წილად იმიტომ, რომ მზესა და ქარიშხლებს ეტრფოდი!

ასეა...

ცხოვრება უდიდესი ჯალათია... მისი კანონები უსაშინლესი ხუნდებია. ეს ჯალათი უმალ გადაგანთხევს თავის შხამს, თუკი შეგნიშნა, რომ მას ზურგი და ბუნებას თაყვანება, მას წიხლი და ბუნების სიდიადეს – ლოცვა, კურთხევა!

მაგრამ!..

ბრძოლაშია სიცოცხლე
ბრძოლაშია სილამაზე
ჩავეკონები ჩემს მოუქანცავ მებრძოლს, დავუკოცნი ბრძოლაში ანთებულ ლამაზ თვალებს, იმდენჯერ, იმდენჯერ, რამდენიც დროის ორბიტაზე წამი ჩამოითვლება!

შენი სანიკო
5/II–28 წ.
თელავი

სალამი და ბედნიერად ცხოვრების სურვილი დედიკოსაგან.

და-თუ ცა მეტყვის, დამისაბუთებს
რომ ქარი ღრუბლებს ფლეთავდა, ხევდა,
თუ სიყვარულის აღგზნებულ წუთებს
გადასცვლის ჟამი, გადასცვლის სევდა –
მაშინ ფეხქვეშ მიწა გამისკდეს
და შემზარავ ხმით ჩაეშვა ღორღი.
მე მზე შავეთ უფსკრულს.

შენი ბურანში მყოფი, ცხოვრებისთვის უცხო ზღაპრულ სამყაროში მთვლემარე, გიჟი, დამთხვეული სანიკო.

დათიკო, აი, ვუყურებ შენს სახეს ამ სურათში და მე ვერც კი დამიჯერებია, რომ აქ მე და შენ ერთად ვართ, რომ შენ ჩემი მეგობარი ხარ – ასეთი დიადი, ასეთი ძლიერი... მე ეს სახე მგონია იმ იშვიათი გმირისა, რომლის მსგავსნი მდიდარ ფანტაზიის შემოქმედებაშიც არ იქნებიან, რომლის მსგავსნი არ არსებობენ ქვეყნად... ეს ერთია... მხოლოდ ერთი და ამისთვისაც ვერ მოუგნიათ, ვერ უპოვნიათ, რომ მგოსანთ მთელი დედამიწისა

შეაერთონ თავიანთი კალმები, გადაკინძონ თავიანთი მდიდარი ქება-დიდების აზრები და შეჰქმნან მხოლოდ ერთადერთი დიდების შარავანდედი – იშვიათი ოდა – ამ რაინდის სადიდებლად... ამ გმირის სათაყვანოდ და გასაღმერთებლად.

ძვირფასო, მაგვიანდება სკოლაში, ამიტომ დაუსრულებელ წერილს ვდებ კონვერტში.

ნაზი, სათუთი ამბორით ვეთხოვები შენ თვალებს!

ციცინო-სანიკო.

თელავი 6/II-28 წ.

დილის სიომ ფრთა-ფრთას შემოჰკრა და... ჩემს უბეში გაჩნდა ძვირფასი, დაუფასებელი დათიკო!

შენ შემოანათე ჩემს ჩამოღამებულს, ერთფეროვან, გველსავით დაგლარძულ დღეთა ფონზე...

შენ მზედ აღმოიმართე მონისლულ, მოჯანღულ ფიქრთაგან გაცრეცილ ჩემს ორკვირეულში. წამით ამიტაცე მაღალ-მაღალ კორდზე, მაჩვენე ქვეყნის მშვენიერება და მიეფარე თვალთაგან... კვლავ ლოდინი... ოოხ... ეს ლოდინი კუბოა, კუბო, მაგრამ ისეთი ლამაზი, ისეთი ყვავილოვანი კუბო, რომ ჩვეულებრივ უხამს ცხოვრების ერთფეროვან ბობღვას სჯობიან, გაცილებით სჯობიან ამ ლამაზ კუბოს მისცე უპირატესობა... ყოველ შემთხვევაში, იგი წინ, შორს ინახავს მაცდურ-კეკლუც სახეს, ბედნიერების თვლებით მორკალულს, სიხარულის ცრემლებით მომინანქრებულს.

დღეს არ ვიცი, რატომ...

ახლაც ანგარიში ვერ მიმიცია ჩემი ამგვარი მოქმედებისათვის... არ ვიცი, რატომ გამოგეთხოვე ისე სხვანაირად, არა „ჩვეულებრივად“? ხომ არ გამიწყერი, გენაცვალე, დათიკო, ამაზედ, ხომ არ გეწყინა?!

არა, მე მგონი, შენ გამიგებდი მე.

აუცილებლად გაიგებდი ამ არაჩვეულებრივ უცნაურობას... ხომ, ხომ ძვირფასო, სანატრელო, რათა აუცილებლად, უკანასკნელად კოცნა და დასასრული. გამოთხოვებისას კი სჯობიან, უცბათ, სხვა სახეში გაწყდეს და ორივეს დაგვიტოვოს გაურკვეველი დაუწურავი გრძნობა.

შენთვის მოვკვდები, შენით ვიცოცხლებ! შენ გაკოცებ, შენ გაკოცებ, შენ შემოგევლები!

თავზე გადგამ ძვირფას გვირგვინს. ფეხქვეშ გიშლი ყვავილებს...

შენი ბურანში მყოფი, ცხოვრებისთვის უცხოზღაპრულ სამეფოში მთვლემი გიჟი დამთხვეული გოგო.

6/II-28 წ.

მოვდიოდი სკოლიდან ორ საათზე. მოვადექ ჩვენს ქუჩის კარებს. ვერ აგიწერ, დათიკო – გეთაყვა, კვნესამე – რა უცნაურად ხელი მკრა რაღაც ძალამ... არ მინდოდა შესვლა, გული უკან იწევდა, რაღაც ძალა მას გზას უღობავდა, აშორებდა ამ სახლს, სადაც გუშინ იმდენი მზეები ენთო... იმდენი ვარსკვლავნი ციმციმებდნენ, ნაკადნი მორაკრაკებდნენ...

და დღეს იქ საშინელი ჯალათი-სიცარიელეა-დავრიში-გამოფიტვა ბედნიერებისა... ახ, რაა, რა ჩვენი ყოფა?!

ჩვენი ცხოვრება!!!..

წუთიერი გაელვება, წამცვალებადი სახე მერყევ ცხოვრების უნდო კიბეზე და მოულოდნელი გადაჩეხვა რომელიმე საფეხურიდან და ვინ იცის, თავდაყირაც...

რა საბრალოა, რა უმწეოა ადამიანი თავის დიდი, დიდი სამყაროს წამლეკავი, უზარმაზარ ოკეანე სურვილებით, ცხოვრების ერთი ამოქშინვა-ამობორგვნასთან. ახ, რა ჭეშმარიტია, რა მართალია, დათიკო, ვარლამი: „სიცოცხლე – მოკლე-სურვილი, დიდი ვაჰმე, რით გავდო მათ შორის ხიდი“.

გამაგიჟებელი, ჭკუის შემრყევია, როცა კი წარმოიდგენ, თუ როგორ ათამაშებს ამ ცხოვრების ტლანქი, უხეში ზვირთები ამ ურთულეს და უმშვენიერეს ქმნილებას – ადამიანს...

დათიკო, ძვირფასო, საყვარელო, დაუფასებელო მგოსანო, როგორ, როგორ და სად გავექცეთ ამ საშინელებას, როგორ ვებრძოლოთ, რომ დავამარცხოთ და გავიმარჯვოთ?!

შენი ბურანში მყოფი, ცხოვრებისთვის უცხოზღაპრულ სამეფოში მთვლემი გიჟი, დამთხვეული გოგო.

¤ ¤ ¤

სანიკო, კვლავ, კვლავ შენი საარაკო მზრუნველობა. რამდენადაც მე პირშავად ვჩნდები შენს წინაშე, იმდენად შენ კაშკაშდები, ცისკროვნდები და მრცხვენია ჩემი თავისა.

ახლა პარასკევი ღამეა. შენ ჯერ ჩემი ერთი წერილი არ

მიგიღია და შენ კი ჩემი დედიკოს ცრემლოვან ფიქრებსავით თან დამდევ, მეალერსები, ჩემი დედიკოსავით მიშაქრავ სულს.

ფოსტამ ფულის უწყება მომიტანა. განვცვივფრდი. ვინ გამოგზავნა? გავხსენი და ჩემს თავსვე ვუსაყვედურე. სხვას ვის მოვაგონდებოდი – ვერ უნდა მივმხვდარიყავი?

ტკბილო სულო, სულიკო, ეს რა ჩაგიდენია, რად მინდა გენაცვალე?! ჩემგან გადმოცემის მაგიერი იყო? მე რომ ვვარგოდე, ეხლავ უნდა დამენებებინა შენთვის თავი მასწავლებლობისთვის. ეხლავე უნდა შემექმნა შენთვის სწავლის პირობები და, ნაცვლად ჩემი დახმარებისა, პირიქით, შენ მეხმარები.

გიჟო, გიჟო, რა გაქვს შენ, სად გეყოფა შენ, რომ მე მიგზავნი. აკი გეუბნები და გიმტკიცებ, სანიკო, რომ მე შენი ღირსი არა ვარ. განა მე გრძნობის ასეთ სიმახვილეს გამოვიჩენდი, როგორსაც შენ იჩენ?!

და გმადლობ, მეგობარო, გმადლობ ყურადღებისათვის, ოღონდ გარწმუნებ, რომ მე მაინც ისე არა ვარ იხტიბარ გატეხილი, რომ, ვინიცობაა ფული შემომაკლდეს, ავანსი ვერ ვიშოვო.

შემოგევლე, სანიკო, არ იწყონო და ამ ფულს დაგიბრუნებ, მაგრამ, რომ არ გეგონოს, ვითომ შენმა ფულმა დანიშნულებას ვერ მიაღწია, ერთი თვის განმავლობაში ვიხმარ და შემდეგ ავიღებ და შენს თანხას გამოგიგზავნი. ასე აჯობებს, სანიკო, კარგო, მშვენიერო!

იცი, სანიკო, იცი რა გითხრა? მე ეს ერთი ხანია მინდოდა შენთვის გამემხილა, მაგრამ ვერა ვბედავდი...

მე...

შენ ხომ კარგად იცი ჩემი წამებული დედიკოს ვინაობა, მისი გრძნობების სიმდიდრე... ის ხომ დედობაში პოეტი

იყო. ის ხომ ისე მდიდარი იყო გრძნობით, რომ ბადალის ძებნა მიძნელდებოდა. არავინ, არავინ არ შემხვედრია ისეთი, რომ ჩემი დედიკოსათვის შემედარებინა... მით უფრო ის ქალები, რომლებთანაც ჩემმა აწყვეტილმა გრძნობებმა შემაკავშირა. ყოფილი მეუღლე – უსიკო ხომ მიყვარდა გაგიჟებით, მიყვარდა ბევრი ღირსებებისათვის, მაგრამ მაინც ჭკვაში არ მომდიოდა, ჩემი დედიკოსთვის შემედარებინა. თვალზე ლიბრი გადამეშალა და დავინახე, ვიგრძენ, რა დიადი ყოფილა დედილო და რა უმადურობას ვიჩენდი მისადმი. გაიზარდა დედიკო ჩემს თვალში, ამაღლდა და სხვანი უფრო დაკნინდნენ.

და ამ დროს... ამ დროს ჩემი დაძაბული, ცრემლებით დაისრული სულის განწირულების ნაპრალებიდან ჩემი შინაგანი რაობის ძახილი ჩამესმა: იცით?.. იცით? ვფიცავ დედიკოს, ჩემს წამებულ დედიკოს – სალომეს ვფიცავ, რომ სანიკო გავს, სანიკო ბევრ რამეში გავს ჩემს დედიკოს.

დედიკო და სანიკო.

დედიკო და სანიკო.

ორივე საყვარელნი.

ორივე ჩემი მშობელი, გამაბედნიერებელი.

დედიკომ დამბადა. დედიკომ მაზიარა თავის მდიდარ სულს. დედიკომ შემომწირა თავისი დიდი ნიჭი სიყვარულისა.. დედიკომ...

და განა შეიძლება ჩამოთვლა იმისა, რაც მე დედიკომ მომმადლა.

და სანიკო გავს დედიკოს.

სანიკო ჩემი შემოქმედია, სანიკომ მეორედ დამბადა და მომანიჭა გაზაფხული, მაჩუქა ისეთი გაზაფხული, რომლის მსგავსი წინათ არ მქონია.

მეგობარო, მეგობარო!

ახალი გაზაფხული მეძახის, მშვიდობით, ძველო ჭრილობებო. და შენ თითქოს ყვედრებით ამბობ: როდის იყო შენი პირველი გაზაფხულიო?!

მეგობარო, გაზაფხულები მქონია, მაგრამ უფრო ნისლიანები იყო ის გაზაფხულები... მაგრამ...

მაგრამ...

შენ ხომ იცი, მე არ გავბედავ და ჩემი დედიკოს სახელს ბოროტად არ გამოვიყენებ. შენ ხომ იცი, ჩემი დედიკოს დაღუპვის შემდეგ აღარავინ ჩამითვლია დედად, არავის ვუწოდებ დედას.

ხო, უნდა იცოდე, შენს დედიკოს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, მაგრამ ხომ გითხარი, მასაც ვერ ვუწოდებ დედას და, მაშ, მიხვდები, რა ძლიერი შთაბეჭდილება მოგიხდენია ჩემზე.

მე არავინ, არავინ არ შემიდარებია დედიკოსთვის.

დედიკო იყო უნიკუმი, განუმეორებელი.

დედიკო ისევ უბადლო დარჩება.

სანიკო ტოლუპოვარია, სანიკო.

სანიკო...

სანიკო დათიკოსთანაა.

დედიკო და სანიკო არასოდეს არ ყოფილან ერთად, მაგრამ ძალიან გვანან ერთმანეთს, ძალიან!

დათიკო სწუხს, იმდენი სიმწარე მიაყენა ორივეს, მაგრამ რომელსაც ისე ძალიან უყვარს და უყვარდა ორივე. ხანდისხან ეჭვი მებადება, სანიკო ჩემი და ხომ არ არის-მეთქი... მაგრამ ეს მხოლოდ ხანდისხან, ეს მაშინ, როცა ვლაღდები, ჩემს თავში ვმაღლდები, ვდიდდები. თორემ რა გვაქვს, აბა, საერთო? თუმცა ბევრი რამ გვაქვს საერთო, იმიტომ რომ მე და შენ ჩემ დედიკოს ვგავართ, იმიტომ, რომ ორივე მგრძნობიარეები ვართ. ორივეს გვიყვარს

ნაპრალების პირას განავარდება.

„მამაცთა შეშლილობით გაგიჟებას...“ (გორკი რომ ეთაყვანებოდა) მაგრამ აქ თავდება მსგავსება.

შემდეგ იწყება დიდი, დიდი განსხვავება.

შენ მზის სხივი ხარ გაზაფხულის, ნორჩი მზის სხივი.

მე კი – შემოდგომის აკანაკლება.

შენ – ხალასი ნიჭი, დიდი მომავლის მქადნელი.

მე კი – მხოლოდ პროექტი ნიჭიერი ადამიანისა, რომელიც განუხორციელებელ პროექტადვე დარჩა.

სანიკო, სანიკო,

ეჰ...

რა შეუძლია ამ ქაღალდს გადმოგცეს. ახლა ვზივარ მარტოკა და მეშინია ჩემი მარტოობისა. როგორ გაგაგებინო, თუ რა ძნელია ჩემთვის უსანიკოობა. სკოლიდან მოვედი დაქანცული, კვლავ წავალ სხდომაზე. მეჯავრება ჩემი თავი, რომ ვერ მოვახერხე, სანიკო ვერ მოვიტაცე, სრულიად არ წამოვიყვანე. რამდენს ვოცნებობდი შენისთანაზე. რამდენს გეტრფიალებოდი, როცა გაგიცანი. მიუღწეველ იდეალად მეჩვენებოდი. მითი გამართლდა...

და...

მაინც მარტო ვარ.

მე თან არა მყავს სანიკო.

ეს ოხერტიალი დრო, – ასე უმსგავსოდ მაინც არ მიჩაქჩაქებდეს.

მე ისევ შენი ჯანმრთელობის საკითხი მაწუხებს. ვინ იცის, შენ ისევ უქეიფოდ? ვინ იცის? შენ წინედაც ყოფილხარ ავად და მაინც არ მაცნობე. ვაიმე, თუ ისევ ჩხვლეტები დაგეწყო, რა მისუსტებული იყავი. შენ გენაცვალე, ნემსები მიიღე დარიშხანისა, მადასაც მოგგვრის და მოგალონიერებს კიდევაც. აბა, ვნახოთ,

ახლა დაამტკიცე, რამდენად გყვარებივარ... ვნახოთ, ვნახოთ.

ახლა გამომშვიდობებისას ვეამბორები შენს ტუჩებს, შენს მკერდს.

გენაცვალე, გენაცვალე, გენაცვალე!

შემოგევლე.

ხო, ძვირფასო, ო, ტკბილო მეგობარო, შენა ხარ ჩემი უკანასკნელი გაზაფხული და ამას გეტყოდი მაშინაც, თუნდა შემხვედროდი ჩემი ჭაბუკობის ჯერ ისევ რომანტიულ ნისლებით მოჯადოებულ გაზაფხულზე.

სალამი შენს დედიკოს.

შენი დათიკო.
სიღნაღი. 10/II-28 წ.

ტკბილო, ტკბილო მეგობარო, საესავო, საოცნებო და მეოცნებევ! თავდაპირველად დავიჩოქებ შენს წინაშე და შენი წმინდა ფეხების ამბორით შეგემუდარები მაპატიო ამდენი ხნის დუმილი. დუმილი, მაგრამ მართალი კი ვთქვი?! მე წერილებით ვდუმდი, თორემ ჩემს ფიქრთა კაბადონზე, ჩემს ფიქრთა ნადიკვარზე არის განა კუნჭული, რომ იქ დათიკო ლოცვად არ იდგეს, შენ არ გეალერსებოდეს?! წერილობითი დუმილი კი ფაქტია, რომელიც მამხილებელ, მბასრავ მახვილად აღმართულა და მშანთავს, მშანთავს, ეს მაშინ, როცა შენი წერილები თითქმის ყოველ დღე მიალერსებენ. ტფილისში გიორგიანთსა მივედი თუ არა, შენი წერილები (იქ დეკემბერში რომ გაგეგზავნა) შემომეგებნენ. მართალია, ნაღვლიანები იყო იგინი, მაგრამ მაინც მახარებდნენ და მაჯერებდნენ, რომ ვუყვარვარ,

ვუყვარვარ... ჩამოველ სიღნაღში და შენი რამდენიმე წერილი დამხვდა.

მეგობარო, მეგობარო, მაპატიე... მაპატიე ჩემი დუმილი. შენ ხომ იცი, ჩემი ბავშვებთან შეხვედრა რამდენ ტკივილებს იწვევს. როგორ ვავადმყოფდები და არ მინდა, დაავადმყოფებულმა გესაუბრო ხოლმე.

აი, ახლა, თანდათან ვმშვიდდები, ვისვენებ კიდეც და გთხოვ გჯეროდეს, რომ ჩემი ესთეტიკური და რომანტიკული მრწამსი სამი დებულებისაგან, სამი პრინციპისაგან შესდგება: 1. სანიკოსათვის თავგანწირვა; 2. სანიკოსთვის გაგიჟება; 3. სანიკოსთვის თავსშემოვლება.

მეგობარო, შენი ავადმყოფობა ძალიან მაფიქრებს. არ უფრთხილდები შენს თავს. შენ შემოგევლე, შენი მტრედისფერი სულის ჭირიმე, გაუფრთხილდი შენს თავს. შე კარგო და შე საძაგელო შენა, რატომ შენი დედიკოს მდგომარეობაში არ შედიხარ?! მას შენს მეტი არავინა ჰყავს და შენ რომ რამე დაგემართოს (უწინამც დღე მე გამიქრეს), რა ეშველება მას? მოუარე, შენს თავს მოუარე, მოუარე...

სანიკო, მე გადავიღე სურათი დამზღვევი სალაროს წიგნაკისთვის. ვიყავი ისეთი, როგორიც ვარ ხოლმე ყოველთვის, გაუპარსავი და სხვა ფოტოგრაფიას (მანეთიანს არ სჩვევია შელამაზება). ამიტომ გამოვედი ნამდვილი ასლი ამ სურათზე. აბა, დახედე, რა საძაგელი ვარ – დაბერებული, ჭაღარა, თვალებჩაცვინული. შენ კი გგონივარ ახალგაზრდა. დახედე და ახლა მაინც დაიჯერე, დარწმუნდი!

ამ სურათს განგებ ამ მიზნით გიგზავნი... მაშინვე კი დახიე, თუმცა, როგორც გინდა, ისე მოიქეცი!

იყავი გამარჯვებით, შენი დათიკო.
10/II-28 წ. სიღნაღი.

✧ ✧ ✧

10/II-28 წ.

აგერ ამოციმციმდნენ, ამოცქრიალდნენ ლურჯი ოკანის მარგალიტები. აგერ გადმოიფრთხიალა ბინდის ფრთებით წყვდიადიდან ამონაწყვეტმა ღამემ.

აივანზე ვსდგევარ... ბევრგან ისევ დასაფლეთია, დასაწყვეტია თეთრი სუდარა-ზამთრის მოციქული, მარა მზის დასავალი უკანასკნელის სხივთა ანარეკლით სმენას მიტკბობს, მიალერსებს, რომ უკვე გაზაფხულია. შემომცქრიალებ. მე მივდივარ, გეთხოვები, იმიტომ, რომ შენ შეხვიდე ოთახში... გადაჰფრინდე სიზმარეთში... შენ გალიო ეს უჟმური, ეს ჩაბეხერაბადებული დღენი ლოდინისა და მერე მალე, სულ მალე მოვალ, კოცნის შადრევანში გაგბან, ჩემის ქარვანა სხივებით მოგილოცავ ბედნიერებას – სულის ზეიმისა და ლოდინის დაგვირგვინებას.

რა ძლიერია, რა ძლიერია და დიდებული ბუნება თავისი დღით და ღამით, წლის დროებით – მთელი მზის სისტემით უსრულობის ძალით, ამოუცნობი, იდუმალი, გადაულახავი კანონებით, კანონებით, რომელნიც, ვინ იცის, რა მომავალს გვიმზადებს, რისკენ მივყევართ.

სანიკო.

10/II-28 წ.

უსაყვარლესო, სანატრელო, ძვირფასო!

ვზივარ ახლა... ვკითხულობ შენი მოსკოვის სერიებს და ვნატრობ, ვნატრობ, რომ ოღონდ, ოღონდ ასე სათუთად, ასე ლამაზად გიყვარდე, როგორც ამ წერილებში და,

დაე, შორს იყო ჩემგან. დაე, ნუ იყო ჩემთან. ახლა მე დარწმუნებული ვარ, შენ ნერვებაშლილი ხარ, აღელვებული, გაბრაზებული და, რომ შეგეძლოს სახლში მოსვლა, უეჭველად მაგ ჯავრს სანიკოზედ იყრიდი, თუმც თავს იკავებ, მარა მაინც დამიბუზღუნებდი მოუთმენლად, გაბრაზებით. გამოეხმაურებოდი თითოეულ ჩემს ფრთხილად წარმოთქმულ მზრუნველ სიტყვას. რათა... რათა... ძვირფასო, საყვარელო?! რათა, შემოგევლოს სანიკო, რატომ უნდა იყვეს შენს შუბლზედ, როდესაც შენ ჩემთან ხარ, სიბრაზის, ჯავრის ხაზები?!.. ნუთუ ჩვენი ლამაზი ტრფობა გადავა ჩვეულებრივ ცხოვრებაში? – მე ეს არ მინდა, ჩემო... ჩემო... ჩემო ტკბილო, ჩემო სიცოცხლევ. მე ვერ ავიტან, მე, შენს შუბლზედ ერთ უკმაყოფილების ხაზსაც კი. ერთი მოუთმენლობის ჟესტი, ერთი ცოტა დაქრუშული სიტყვა ან ბგერა – გულს მიფატრავს, გულს მიფლეთავს...

მე მსურს! – აი, ჩემი პირველი ბრძანება

ჩემი სურვილი კანონი უნდა იყვეს.

მე მსურს, რომ ჩვენი თითოეული სიტყვა, თითოეული ამოსუნთქვა სიოს ალერსი უნდა იყვეს ერთმანეთისთვის, ვარსკვლავთა ციმციმი, იების სიცილი... ნაკადის ჩურჩული...

როდესაც ეს დაირღვევა, მაშინ ჩვენ უნდა მოვექცეთ მოწინააღმდეგე პოლუსებზედ, მაშინ ჩვენ უნდა გავჭიმოთ მანძილი ჩვენს შორის, რათა არ დაიმარხოს ჩვენი ლამაზი, მტრედისფერი ტრფობა, რათა იგი უკვდავი, ფერუცვლელი, მარად ნორჩ და მომხიბლავ ზღაპრად იყვეს გაწყვეტილი შენი ცხოვრების დაწყვეტილ სახეებში.

შენი, შენი დასევდიანებული, მარა ხან ისევ გიჟი, გადარეული სანიკო-ციცინო.

არ ვიცი, ეს წერილი გამოვგზავნო თუ არა, ცოტა მუქი ფერის დაიწერა.

სანიკო.

¤ ¤ ¤

სიღნაღი. 11/II-28 წ.

ჩემო გოგონავ, ჩემო ბრძენო, ჩემი გრძნობის დედოფალთ-დედოფალო სანიკო!

ვიცი, ახლა შენ დაღონებული ზიხარ და ნაღვლობ, უსიტყვოდ უსაყვედურებ შენს უღირსს დათიკოს, რომელმაც წერილები დაგიგვიანა.

ხვალ კვირა არის და არ მახარებს, ჩემო ციცინო, მისი დადგომა. მუშაობამ დამქანცა, მაგრამ არ მახარებს კვირა, რადგან შენ ჩემთან არა ხარ. ხვალ მთელი დღე მარტომ უნდა გავატარო და ნუგეშად შენს სურათს ვუმზირო, მას ვესაუბრო, ვესიყვარულო. და რა გაიყვანს ამ ტიალ დღეებს, რომლებიც მიიზლაზნებიან აუღელვებლად. როდის მეღირსება ჩემი სანიკოს მოფრენა, რომ გავბედნიერდე და დავუკოცნო ფეხები, სული, გული?!

ჩემი ყრმობის ფერადი სიზმრების ფერიავ, ჩემო მეგობარო სანიკო, იცი, რა გითხრა? მოიტა ყური ჩემთან, მოიტა, ისეთი რამ უნდა გიჩურჩულო, რაც თავის დღეში შენთვის არ მითქვამს. მაშ, დამიგდე ყური: სანიკო, სანიკო, შენ დაგენაცვლე, შენ შემოგევლე, შენ დაგენაცვლე! აი, რა მინდოდა მეთქვა შენთვის, სანიკოსათვის, რომელიც ისე, ისე მიუღწეველი, ისე შორეული მეგონა და ნამდვილად კი ის, როგორც დიდი ადამიანი, ისეთი მდიდარია, ისეთი ბრწყინვალე...

აი, შე უტვინო დათიკო, სანიკო გყავდეს ცოლად

და მაინც შორს იყო მისგან! მოიცა, მოიცა ვაჟბატონო, დათიკოს ტყუილად არცხვენ. დათიკო გრძნობის მონაა, მაგრამ წანდახედული არის. მოიცადე, გამოარკვევს მის მდგომარეობას ახალ თანამდებობაზე და, როცა გულს დაიარხეინებს, ნახავ, რასაც მოიმოქმედებს დათიკო. დათიკო ყველაფერს კეთილშობილად ჩაიდენს იმისთვის, რომ სანიკოს მეგობრობას რითიმე მაინც მოუძებნოს გამართლება...

სანიკო, სანიკო, ქალო, ქალო სანიკო!

ქვეყნად ორადორი ქალია, ვინც მე მომწონდა როგორც დიდი ადამიანი - ესენი არიან დედიკო ჩემი და სანიკო და, როცა მათზე ვფიქრობ, უნებლიეთ მაგონდება შექსპირის მიერ წამომცდარი სისულელე: „არარაობავ, ქალი არის შენი სახელი!“ („ჰამლეტი“). იყო დრო, როცა მე ვიმეორებდი ამ სიტყვებს, მაგრამ ახლა ვეღარ მიპატიებია ჩემი თავისთვის ეს კადნიერება და არც დიდ ბრიტანელ დრამატურგს ვაპატიებ. დიდ კაცსაც შესძლებია შენდომა და, საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში მე და შექსპირი, ოო, რა სასტიკად შეცდა.

შექსპირო, გენიოსო, როგორ ბედავ და ქალს არარობას უწოდებ... შენ დაგბადა ქალმა. განა არარა შექსპირს დაჰბადებდა?!

ანდა გაეცანი ჩემს დედიკოს, გენიალურად თვალი გადაავლე სანიკოს, მის გრძნობებს, მის ფიქრებს, მის სიყვარულს – რა არის ეს? შენ სდუმხარ. შენ სდუმხარ, შექსპირო, და ხმასაც ვერ ამოიღებ!

სანიკო, ვიდრე შენ შეგიყვარებდი და დაგემონებოდი, ნატა ვაჩნაძე მომწონდა... მე ვამბობდი ხოლმე: მას რომ საშუალო საუკუნეებში ეცხოვრა, ბევრი დონ-კიხოტი გამოიდებდა თავს, ბევრი ტრუბადური ააქვითინებდა

თავის ქამანჩას. მე ახლა ვრწმუნდები, რომ შევმცდარვარ... თუ სარაინდო ბრძოლებს და ვაჟკაცობათა ლეგენდებს ვინმე დაჰბადებდა – ეს მხოლოდ სანიკო იქნებოდა.. ჩემი სანიკო, ჩემი სანიკო!

სანიკო, დამავიწყდა პირველ წერილშივე მომეწერა, რომ ტფილისში, მიუხედავად ბევრი ძებნისა, შალვა დადიანს ვერსად შევხვდი და აწყურელიანი ნუ დამემდურებიან.

ჩემი მდგომარეობა, ეტყობა, ისევ იწელება. აღმასკომის თავ-რეს ველაპარაკე; დამისაბუთა ის, რომ საზ-ვი მეცნიერება ვასწავლო, მაგრამ არ დავთანხმდი. თან დავატანე, ისეთ გასამრჯელოს მე ვერ დავთანხმდები, როგორიც იანვარში მივიღე და, თუ თქვენ ძველს პირობას არ შეასრულებთ, ახალი მასწავლებელი გამოძებნეთ, მე წავალ- მეთქი. შესაძლებელია, ისევ მომიხდეს თავის დანებება. ძალიან ძნელია, თითქმის შეშლამდემც კი, ამ დროს სამსახურის მინებება, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიზამ. თუ ყადრია, ყადრი იყოს, თორემ აქ ძალიან ბევრი ჩემზე მეტს იღებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრ გაკვეთილებს აძლევენ. ვნახოთ, რას მომიტანს მომავალი კვირა. სანიკო, ტფილისში ძალიან მინდოდა გაბრიელის ნახვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევხვდი. თურმე იმასაც სდომებია ჩემი ნახვა და სწორედ, მაშინ ჩემთან წერილი გამოუგზავნია; აქ მისი შინაარსი რომ არ გავიმეორო, გიგზავნი თვით წერილს.

სხვა, სანიკო, როგორ ბრძანდება ან დედაშენი ან შენ? ხომ აღარ ავადმყოფობ? სანიკო, გეფიცები, თუ შენ არ მიგიღია ზომები, რომ მადა მოგემატოს, იცოდე, მეც შევწყვეტ ჩემს თავზე ზრუნვას და თავად რას წარმოვადგენ და სულ არასანდომიანი ადამიანი გავხდები. იცოდე, ეს და მოუარე თავს!

ჯერ კი მშვიდობით: კანკალით გეუბნები მშვიდობით, რადგან უკვე მოდის ზამთრის გრძელი ღამე, გამანადგურებელი განწირულებით... მოდის პირქუში ღამე და მოჰყავს ჩემთან მარტოობა. Vეცდები, არ დავემორჩილო მას. დავწვები თუ არა, თვალებს მივაპყრობ დედიკოს, მზიას, სანიკოს სურათებს და ისე დავიძინებ; დავიძინებ დედიკოს, სანიკოს, მზიაზე მოგონებით.

ახლა კი მშვიდობით.

მშვიდობით, მაგრამ არა ისე, როგორც იმ დღეს გამომემშვიდობე, არამედ, მართლაცდა, სხვანაირად, მართლაცდა, უბადლოდ, განუმეორებლად, გაუგონრად...

გადაგკოცნი, ჩემო გიჟო, ჩემო მშვენებავ, ჩემო გაზაფხულო და ახალგაზრდობავ!

მარად და მარად შენი დათიკო.
11/II-28 წ. ტფილისი

გაბრიელი რომ წიგნს ასახელებს – მხარეთმცოდნეობის საკითხებია. ის მქონდა სამეცნ. საბჭოში სარეცენზიოდ და გამოსაცემად წარდგენილი.

✧ ✧ ✧

11/II-28 წ.

აი, ამ წუთში გავათავე შენი „არაზინდო“-ს კითხვა. დავკეცე წიგნი და ჩამოიხურა, ჩაითრთვილა გული... უცნაურია, უცნაური, წინეთ ვკითხულობდი „არაზინდოს“ მომწონდა ძალიან, მაგრამ მხოლოდ მომწონდა...

ახლა?

ოო, მე მან ცეცხლი მომიკიდა იჭვებისა და შურის

მწვავე ალზედ დამწვა, ამლანძა... მომეწონა, ახ, როგორ მომეწონა – ეს უთვალავ მხიბლავსურათებიანი წიგნი, ეს მარად ნორჩი და სპეტაკი სულის ცქრიალი კალმის წვერით ქაღალდზედ...

მაგრამ... მაგრამ... არა, არა, დათიკო, მე მას აღარ წავიკითხავ... მე მასში შევხვდი სიტყვებს, რომლებიც ჩემს წერილებშია, ვაი მე, ვაი მე, ნუთუ შენი სიტყვებიც კი განმეორებაა...

დათიკო, დათიკო, შენი ჭირიმე, შენ შემოგევლე, თუ მართლა გიყვარს სანიკო, თუ იოტის ოდენად მაინც გიყვარს და გებრალვის, მასზედ ნურაფერს, ნურაფერს ნუ დასწერ! მე მინდა, ამით მაინც გავირჩეოდე, არა ვგავდე სხვებს... ამით მაინც სხვანაირი, განსაკუთრებული იყოს ჩემი ადგილი შენს გრძნობაში, შენს ცხოვრებაში...

ხომ, ხომ, დათიკო ძვირფასო, დათიკო სანატრელო, ჩემო მტანჯავო, ჩემო ბედნიერებავ... მითხარი, მითხარი, რომ არ დასწერ არც ერთ სტრიქონს, თორემ მე განმეორება ვიქნებ, რაც მე მძაგს მთელის ჩემის არსებით, რასაც მე ვერ გადავიტან, ჩავქრები, ჩავიფერფლები... მოწყვეტილ-გადაგდებულ ყვავილსავით...

მე კი, მე მინდა ბედნიერება, რომელსაც მომცემს, რომელიც უნდა მომცეს დათიკომ, უნდა მომცეს იმიტომ, რომ მე ასე მსურს!

ხედავ, დათიკო, შენი კვნესა მე, როგორ გავთამამდი, გავთავხედდი! ლამისაა, ჩემი სურვილი შენს კანონად დავწერო, მარა არა! მე ამას ვერ გავბედავ, არა, ამ შემთხვევისათვის მეტად მიმქრალი და გაუბედავი ვარ, მარა შენს სურვილებს კი კანონად ჩამოვიწერ, ჩავისახავ.

სანიკო.

¤ ¤ ¤

სანიკო კვნესამე, სანიკო შემოგევლე!

ვგრძნობ, ვგრძნობ რა ყოფილა წერილის დაგვიანება. ვიცი, რა სასტიკად გსჯი ხოლმე, რომ ჩემ მოშავბედებულ სულის განწყობილებას თავს ვერ ვაღწევ და წერილებზე ისევე მზიურად, ისევე ელვის სისწრაფით არ გეხმაურები ხოლმე, როგორც შენ იცი. აი, მხოლოდ ორი დღეა, რაც შენი წერილი არ მიმიღია და ლამის ჯავრმა გამაქვავოს. მე მეშინია, შენ მოთმინების ჯამბარა არ გაგიწყდეს და არ დამემდურო, თუმცა სანიკო და დამდურება?! მით უმეტეს მაშინ, როცა დათიკო დაემხობა სანიკოს წინაშე და დაუკოცნის ფეხებს... და კოცნის მის ნაფეხურებს...

მეგობარო სანიკო, მე ისევ ის სურათი მაგონდება: სანიკოს უჭირავს ჩემი წიგნი და კითხულობს: ახალი ცხოვრება მეძახის, ახალი გარიჟრაჟი მელამუნება... და სწყინს ეს სანიკოს, ეჭვიც კი ეპარება თავის მეგობარზე, როდისაა ნამდვილი გაზაფხულიო...

ძვირფასო, გეფიცები, გეფიცები ყველაფერს, რაც ჩემში სპეტაკ საფიცრადაა გადაქცეული, რომ მე ნამდვილი ცხოვრება არ მქონია. ...თუმცა... განა იმაზე მდიდარი ცხოვრება ექნებოდა ვინმეს, როცა მე დედიკო მყავდა?! რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი დედიკოთი, მაგრამ მე ბრმა ვიყავი და ვერ ვამჩნევდი მისი სულის ჯავრობას. მაგრამ, ახლა ხომ რომანტიულ გაზაფხულზე ვწერ. ჰოდა, მე, რომანტიკაში ნამდვილი ცხოვრება არა მქონია. უსიკოსთან მქონდა სიზმარი, მხოლოდ მტრედისფერო სიზმარი.

სანიკომ ეს სიზმარი ცხადად მიქცია... ლაჟვარდის ზოდების კოშკი ამიშენა და იქ სიყვარულის კისკისით გამომაღვიძა. აი, აი, გეამბორები, გეამბორები, გეამ-ბორები, დაიჯერე, სასოებავ, დაიჯერე...

აი, გავიდა ერთი კვირა, რაც მე სანიკო არ მინახავს. კიდევ რამდენი დრო რჩება, ვაიმე, ვაიმე, პირველ აპრილამდის კიდევ რამდენი დრო რჩება!

დღეს მშვენიერი დღე იყო, მაგრამ ჩემს სულში მზე არ შემოდიოდა და იქ არავითარი მზე არ შეიხედავს, ვიდრე სანიკო არ მომიფრინდება. გაზაფხული პირველი მარტიდან კი არ დაიწყება, არამედ იმ დღიდან, როცა სანიკო გამაბედნიერებს ნახვით.

ჯერ კი...

დრო, ჩემო სანიკო, სწრაფად მსრბოლავი ფრინველი მეგონა, მაგრამ ახლა მას ფრთები დაჰღლია და ძლივს მიფრატუნებს... ნეტავი მალე მოუმაგრდეს ფრთები, რომ აჩქარდეს, აჩქარდეს და, როცა ჩემი სანიკო მეწვევა, დაე, მაშინ გაჩერდეს, გაქვავდეს...

სანიკო, სანიკო, ნუთუ აღარ ჩამოხვალ პირველ აპრილამდის? ნუთუ?!

ახ, მეგობარო, მეგობარო, რა საშინელება ყოფილა ისეთი ადამიანის მდგომარეობა, რომელსაც სანიკოსთანა სრულყოფილი ცოლი ჰყავს და ეს ცოლი თელავში იმყოფება მარტოდმარტო და უმეგობროდ.

სანიკო, ტკბილო, „ახალ გზა“-ში მოთავსებულია ჩემი წერილი გიორგის შესახებ, ნეტავი კი საზ-ბა გაეხმაუროს, ნეტავი იუბილე გაუმართონ. ვნახოთ... კითხვა უკვე ხომ დაისვა!

აბა, მეგობარო, აბა რას ეტყვი ჩემს სასარგებლოდ დედაშენს, რასა? ქალი გაათხოვა... იშოვნა სიზე... ვაი, რომ ბევრი ვერაფრით მოსაწონი, და რა?! მან ცოლი თელავში მიანება, მიატოვა ცარიელი, უზრუნველად. თუმცა, სანიკო, სანიკო... მოიცადე, წინ კიდევა მაქვს ცხოვრება... ეგებ შემდეგ დაგიმტკიცოთ ჩემი ბუნებრივი

ზოგიერთი ღირსებანი მაინც. ჯერ კი – მხოლოდ ღრმა პატივისცემით აღსავსე სალამი.

იყავი ჯანმრთელად, იყავი კარგად! არ გამიხდე ავად, თორემ, თორემ, თორემ ვიტირებ, ვიქვითინებ და არ ვიცი, რას შევიმთხვევ, არ ვიცი, არა!

მშვიდობით, სასოებავ, მშვიდობით, მშვენიერო, მშვიდობით, კარგო, მომხიბლავო, კეთილო, უბადლო მეგობარო! აპატიე შენს დათიკოს, რომელიც ხანდისხან გაჯავრებს ხოლმე. გწამდეს, დათიკოს გაგიჟებით უყვარხარ და გაგიჟება ლამის კულტად გადაექცეს.

ნახვამდის, ნახვამდის.

გეამბორები, ჩაგეხუტები, ჩაგეკონები.

დაგენაცვლები მარად და მარად შენი დათიკო!

მართლა, სანიკო, ეს როგორ მომივიდა, რომ აქამდის არ გაცნობე, რომ შენი რამდენიმე წიგნი წამოვიღე. დარწმუნებული ვიყავი, რომ უმალ გადავიკითხავდი და დაგიბრუნებდი. ჯერაც არ გადამიშლია. ხომ არ გეჩქარება დაბრუნება, ჩემო გვრიტუნია? შემატყობინე!

სანიკო, თელავში მაინც უფრო მეტი პატივისმცემელი ჰყოლია ჩემს კალამს. მანდ შეიძინეს ჩემი „ტუგრიას“ სამი ცალი. აქ კი ყველა ჩემი გამოცემიდან შეუძენიათ მხოლოდ „ტუგრია“, ისიც ერთი ცალი.

კვლავ გეამბორები
ჩემო გიჟუნიავ,
ჩემო სიამაყევ,
ჩემო გაზაფხულო – სანიკო!

მარადის შენზე მლოცველი, შენზე მეოცნებე, შენით გაკრეზებული დათიკო.

12/II -28 წ. სიღნაღი.

საღამოს 8 საათი უნდა იყოს.

ჩემს საათსაც კი მოსწყინდა ამ ტიალ ოთახში და გაჩერდა.

არც ვაპირებ მის შეკეთებას.

✧ ✧ ✧

გაზაფხულის დღეა,

ჩემს ოთახში ბანაობენ მზის ცხოველი სხივები, უხვად აფრქვევენ სითბოს და სინათლეს...

მაგრამ მე ვემალები ამ სინათლეს. ოხ, არ მინდა მზე და სინათლე! არ მინდა იმიტომ, რომ ჩემს სულს ჩაუქრა უკანასკნელი სინათლის სხივი – მოლოდინი მიმესხვრა... შენ არ ჩამოხვედი დღეს. შენ გაქვს შენს ნაწერებში, „აღარ მინდა, არა, აღარ მახარებს გაზაფხული, წაუღე, ძმობილო, ეგ ყვავილები ბედნიერებას, აღარ ვარ ბედნიერი“...

მეც იგივე მინდა ვუთხრა მოკაშკაშე, მოელვარე მზეს, მის სხივთა მწვავე ისრებს. მინდა მოგტაცო სიტყვები და გავიმეორო სევდის ცრემლებით, კაეშნის თრთოლვით და ცახცახით.

მინდა გავიმეორო იმიტომ, რომ ის სიტყვები ჩამოუწნავს მგლოვიარე სულზე დაწურულ უბედურებას. ის სიტყვები ამოუწყვეტია დაკაწრულ გულიდან სისხლის ცვრებად დაწყვეტილ იმედებს. ის სიტყვები კი არა, სულის დაფლეთაა ჩანგის სიმებზე.

ახ, რა კარგი ხარ,

რა კარგი!

რა უბადლო, წაუბაძავი, ძლიერი, ატეხილ გრძნობების ცვალებად ზვირთებში მგრძნობიარე ჩანგის სათუთი სიმების იალქნით!

ახ, რა კარგი ხარ ამ გრძნობის ზვირთებში, რა უბადლო, წაუბაძავი, მაგრამ მე არ მინდა, აღარ მინდა სინათლე, ამიტომ სევდიანად დავაკვირდები შენს ტუჩებს და კედლისაკენ მივაბრუნებ პირს. რატომ, რატომ არ ჩამოდი დღეს?! როგორ გელოდი, მაგრამ შენ სწორედ მაშინ გაჩნდები უცაბედად, როცა არ გელის შენი სევდიანი სანიკო.

12/II-28 წ.

¤ ¤ ¤

მეგობარო, მეგობარო სანიკო! აღარ მახარებენ ღრმა ლირიზმით აღსავსე შენი წერილები. აღარ მიმიღია იგინი შაბათს, კვირას, ორშაბათს. ახლა ღამეა და მოუთმენლად ველი ხვალინდელი დღის გათენებას, რომ ეგება, ხვალ მაინც მეღირსოს შენი წერილის მოჭიკჭიკება. ველი, მაგრამ თან შიში მიტანს: ვაითუ, სანიკომ ისეთი წერილი მომწეროს, რომელიც უფრო დამიავადებს ისედაც სნეულ გულს, თუმცა როდის გავუმეტებივარ ჩემს ღვთაებას, რომ ახლა გამიმეტოს?!

გწერ, სანიკო, და ჩემი წერილის თითოეულ სიტყვას, თითოეულ ასოს ვევედრები, მოვიდეს შენს წინაშე, დაიჩოქონ, გეამბორონ ფეხებზე და გთხოვონ პატიება, თუ რამე გაწყენიე, გენაცვალე, კვნესამე, შემოგევლე! შენ ისეთი ძალა, ისეთი რწმენა მომმადლე ჩემი თავისა, რომ მგონია, სამარეზე რომ დავდგე და მივმართო მიცვალებულს: აღსდექი- მეთქი, აღსდგება და, მით უფრო, შენ რომ მომმართო: დათიკო, გთხოვ, გიბრძანებ, დამემორჩილეო, დაგემორჩილები, გეყმები, გემონები!

შენ ყველაფრის შემძლე ხარ და არ უნდა დაემდურო შენს მეგობარს, შენ შეგიძლიან იმის ცხოვრების მესაჭეობა... მოჰმართე იალქნები და გაიტაცე იგი, საცა გინდა...

და, რადგან შენი პასუხი ამ მუდარაზე ცოტათი შეიგვიანებს, ამიტომ მივმართავ შენს სურათს, მივმართავ სანიკოს სურათს: სანიკო, სანიკო, შენ ხომ ჯერ ისევ ბალღი ხარ, გოგონა ხარ, მაგრამ, როგორც სინამდვილეში, ისე სურათშიაც შენ შენი განვითარებით, ნიჭით, გრძნობებით არ შეეფერები შენს ასაკს. მე მიძნელდება დაჯერება, რომ შენ ოდესღაც ჩემი მოწაფე იყავი. იმის დაჯერება მიძნელდება, რომ შენი ამხანაგები იყვნენ....., რომ შენ... შენ... სანიკო, სანიკო, სანიკო, ჩემი ცოლი არა, შენ ეს სიტყვა არ გიყვარს, რომ შენ ჩემი მეგობარი, ჩემი მეუღლე იყო. ან როგორ დავიჯერო... ვუყურებ შენს სურათს და იქიდან სანიკო ისე ბრძნულად, სიამაყით, ისე მომხიბლავად გადმოიყურება, თითქოს ათინა პალადას მუზარადი ეხუროს და, მიუხედავად ამისა, ეს ათინა პალლადა, ეს გრძნობების იკაროსი, ჩემი მეგობარია, ჩემი მეუღლეა, მე მაბედნიერებს, მე მაახალგაზრდავებს. ის მანიჭებს სიცოცხლეს, სავსეს თრთოლვით, სიყვარულით, განხორციელებული სიზმრებით.

ტკბილო სანიკო, მე ალერსის ხეივნებში შევინავარდე და მავიწყდება, რომ ჩემი მდგომარეობა აქ უკვე კრიზისის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

დღეს მითხრეს: რაკი საზ. მეც-ზე უარს ამბობთ, თქვენ ჩვეულებრივი ჯამაგირი უნდა იკმაროთ, შეიძლება ერთი-ორი თუმანი დავუმატოთო. მე ეს ვითაკილე, გავაჭრელე განცხადება განთავისუფლებაზე. მეუბნებიან, მოსე აქ არ არის, უიმისოდ ვერ გაგანთავისუფლებთო. მეტი რა გზაა, უნდა დავუცადო მის დაბრუნებას. ისევ უნდა ამეწეწოს

ცხოვრება! ამდენი ბარგი მაინც არ ჩამომეტანა. მეგონა, შენ ჩამოგვიყვანდი. ახლა არ ვიცი, რა ჯანდაბაში წავიდე. ბარგი დავტოვო და ქირა ვაძლიო – ისედაც დაეტყობა ჩემს ჯიბეს. მოსე მალე დაბრუნდებაო, ვნახოთ. მას მოვუცდი. ამათ ჰგონიათ, აქაოდა გაუგებარი დროაო და დიდი ხარჯები მომიწევს. ამ არევაში დავთანხმდები მათ პირობებს, მე კი ფიქრადაც არ მომდის დათმობა. რასა ვაჭრობო – მითხრა ინსპექტორმა. თითონ მევაჭრებიან დალოცვილები და აქეთ მედავებიან. მე ხომ ისე უღვთოთ დავიტვირთე, როგორც ყველა აქ, ოღონდ 30 თუმანი აიღონ. მაშინ კარგი იქნება, არა?! არა, ძმაო, ამათ თუ ჭკუა აქვთ, ჩემგან აიღონ მაგალითი, თორემ მე თავიანთ სტვირზე ვერ მამღერებენ.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ნიჭიერ და განათლებისათვის მოწადინებულ ხელისუფლებას სათავეში არა ჰყავთ ისეთი კაცი, რომელიც დაანახვებს, თუ რა დიდი შეცდომებია განათლების დარგში. აბა, რა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს განათლებას ადამიანმა, რომელიც იწვევს მეთოდბიუროს სხდომებს და თვით სანადიროდ მიდის და ხელს არ უწყობენ კაცს, რომელიც მოვიდა განათლების განუსაზღვრელი სიყვარულით და საკმაო ენერგიითაც.

ეჰ, რად მოგიყევი ყველაფერი ესა?! შენ ისედაც დადარდიანებული მყევხარ და ახლა ეს გაგიხადე საფიქრებლად. ვნახოთ, რას მოიტანს მახლობელი დღეები.

იყავი, ძვირფასო, კარგად. შენ რომ არ გამომჩენოდი მანუგეშებლად, არ ვიცი, როგორ გადავიტანდი ამდენ გზების დაცარვას.

გეამბორები განუსაზღვრელის ტრფიალებით შენი უღირსი მეგობარი დათიკო.

კოტე რომ გაიგებს ამ ამბავს შენგან, კვლავ დაიწყებს სამასწავლებლოში ნერვიულ სიარულს. რა კარგია კოტე, რა კარგი!

შენ ხომ კარგი ხარ და კარგი სანიკუნიავ.

13/II-28 წ. ღამე. საათი არ ვიცი.

✧ ✧ ✧

13/II-28 წ.

ჩემო ერთადერთო ბედნიერებავ, სიხარულო, ნეტარებავ! შენ მომეცი სიცოცხლის მიზანი, არსებობის აზრი... შენს იქით ვიხილე მე საარსებო ძალა და სული, რომელზედაც ავკინძე რწმენის სიმბოლო-ლოცვად მითიური პიროვნებისა...

მე თვითონ, „მე“ – როგორც ასეთი გაგებით, აღარ ვარსებობ.

მე ლოცვა ვარ შენზე...

ფრქვევა ვარ მე ოცნებისა, ცრემლის ხეტიალი ვარ შენს ირგვლივ...

მე მხოლოდ საშუალება ვარ. არა, უფრო მწყურია ვიყო შენი ბედნიერების მსხვერპლი. მინდა ვიყო მსხვერპლი იმ მზისა, რომელიც ქვეყანას იხსნის ბნელეთიდან, დამზრობ ყინულეთიდან... მე მსხვერპლი მინდა ვიყო იმ მთვარისა, იმ ვარსკვლავებისა – იმ სიოსი, იმ ყვავილებისა, რომელნიც ადამიანის სულს ათრობენ, ატკბობენ, ასპეტაკებენ, აკეთილშობილებენ.

მე „ახალ გზაში“ გავგზავნე ეს პატარა წერილი, მაგრამ არ დამიბეჭდეს... ახ, რატომ, რატომ არა ვარ

დიდი, გავლენიანი, რომ ყველას მივაწვდინო სიმართლის ღაღადისი, რომ ყველას დავანახო, ყველას ვაგრძნობინო, რა ულეველი განძეულობაა, რა საესავო, რა სათაყვანოა იმ სპეტაკი სულის ჩანგის სიმებზე თრთოლა, რომელიც ჩვენ სალოცავად უნდა დავისახოთ...

რა სიწმინდე და კეთილშობილებაა, რა ალმასი, დაუნდობელი სინამდვილეა მისი სულის ქროლა მის მრავალ და სწორსახიან სტრიქონებში. ისინი მე ჯერ არ მისმენენ. იგინი დაეძებენ ლურჯ ფრინველს სხვაგან, შორს... მაგრამ მე შევეცდები, ხმა გავიმაგრო, ავიმაღლო და ყველას გასაგონად გადავჭექო: მიიღეთ სახარებად ამ ახალი ღმერთის მცნებანი... მხოლოდ მაშინ იპოვნით ბედნიერებას, მხოლოდ მით ააფეთქებთ ძველ ცხოვრებას და იხილავთ სამოთხეს ამქვეყნიურს...

შენზედ მლოცველი სანიკო!

დათიკო, გენაცვალე, რატომ არ იწერები, როგორ დაგხვდნენ ბავშვები, ოჯახი? მხოლოდ და მხოლოდ ტკივილებზე მელაპარაკები. სალამი დედიკოსაგან.

14/II-28 წ.

ძვირფასო, დაუფასებელო, საყვარელო დათიკო!

როგორ მენატრებოდა, როგორ მწყუროდა შენი ალერსი, შენი თვალები. სიცხე მქონდა საშინელი წუხელი, თურმე ვბოდავდი კიდეც. ახლა, მართალია, არ ავდექი, მარა სიცხე აღარ მაქვს და გწერ იმიტომ, რომ კარგად ვარ.

დათიკო, გენაცვალე, შენი კვნესამე დათიკო, რათ მიიღე შეურაცხყოფად ფულის გამოგზავნა?! რა დიდი რამე მე გამოგიგზავნე!

არა გრცხვენია?! ის როგორ წარმოიდგინე, ვითომ მე ვფიქრობ, დათიკო ფულს ვერ იშოვნის და ასეთები... ჩემი მდგომარეობა ამ თვეში უკეთესი იყო, მოწაფეს ვამზადებდი და იმისგანაც უნდა მიმეღო. შაუბედუროდ, მაშინვე მომცეს და თავი შევირცხვინე იმ რაღაც მანეთების გამოგზავნით, მარა, თუ გიყვარდე, შენ ნუ გააკეთებ იმას, რასაც იწერები...

გეთაყვანე, შემოგევლე, რათა, რათ იწერები ამ სურათზე იმ საშინელ ჭორებს, მოჩმახულ ზღაპრებს?! არ ვიცი, რითი, როგორ დაგაჯერო, რომ ეს, სწორედ ეს სურათია ჩემი დიდება, ჩემი ბედნიერება. ეს სურათია ჩემი ოცნება, ჩემი ლოცვა და უამისოდ არ მწამს, არ მინდა არც გაზაფხული, არც სიხარული და არც სიცოცხლე!

ასე, ჩემო დათიკო!

დამიჯერე, დამიჯერე, რომ ჯერ არავის არ ჰყვარებიხარ ისე, უსიკოსაც კი მაშინ, როგორც შენ გადარეულ სანიკოს, მაგრამ, ვაი, რომ ამ სიყვარულს, ბედნიერებასთან ერთად, საშინელი სევდა და მწუხარებაც მოაქვს... მწარე სულის ტკივილებს განმაცდევინებს, რადგან ამის მიზეზად შენ განიცდი იმ სულიერ ტკივილებს, იმ სულის კვნესას და ქვითინს, რომელსაც იწვევენ შენი პაწიები, მაგრამ, ეჰ, განა შეიძლება ამ უსათუთეს, უნაზეს, უმგრძნობიარეს ჭრილობაზედ ლაპარაკი?! და მე განა მაქვს ამის უფლება?!

დათიკო, გეთაყვანე, პატარა რაღაცას გიგზავნი, იმიტომ, რომ ვიცი, პურის ყიდვას ვერ მოახერხებ და ჩაის ამით მაინც დალევ. დედიკო მეჩხუბება: სირცხვილია ასე ცოტას გაგზავნაო, მარა ფქვილმა გამიჭირა საქმე და რა ვუყო! შენც ცოტა-ცოტა ჭამე, რომ გამხდარი იყვე, დასუსტებული, რომ არ გალამაზდე და არ მომტაცონ შენი თავი.

გაკოცებ ბევრს მაგრად. სალამი დედიკოსაგან.

შენი სანიკო.

14/II-28 წ.

ჩემო რწმენავ, ოცნებავ, იდეალო!

გუშინ გწერდი, სანამ პასუხს არ მივიღებ, წერილს აღარ გამოგიგზავნი და ის კი არა, დღეს ისევ წავავლე კალამს ხელი. რატომ უნდა მოგწერო ყოველდღე? – ერთად რომ ვიყოთ, მთელ დღეს ჩუმად ხომ არ ვიქნებოდით, ხომ გესაუბრები... და მაშ, ამ ჩემს საუბარს, ოცნებით საუბარს, ეს ბარათები გადმოგცემენ...

ერთი ამბით უნდა გაგახარო, გენაცვალე, შენმა წერილმა „ახალგაზრდაში“ კარგი შედეგი მოიტანა, ბევრს აუხილა თვალები, დაანახა ის, რისი პირველად შემჩნევაც მხოლოდ დათიკომ შესძლო. გუშინ საღამოს აწყურელთან იყვნენ გიორგი, კოტე და ლომაური – დღეს კი გამოუგზავნეს თაფლი, კარაქი, კაკაო და სხვა.

აწყურელთან ჩავედი და მითხრა, მე მადლობას მხოლოდ დათიკოს ვუძღვნი. ის რომ არ გამოჩენილიყო ჩემს დავიწროებულ გზაზედ, ამათ არცროდის გავახსენდებოდიო.

ასეა, ჩემო სიცოცხლე! არ შეიძლება, არ დაინახონ ის, რაც ყველაზე ბრწყინვალეა. არ შეიძლება, არ შენიშნონ ის, ვინც ყველაზე ძლიერია, ვინც უბადლო რაინდია, თავის მოქმედებაში ვინც მიუღწეველი სათნოებაა, თავის განვლილ გზაზედ არ შეიძლება წუთიერმა აღშფოთებამ, უცაბედმა ერთმა, გინდაც უცნაურმა შემთხვევამ აღმოფხრას, წაშალოს ის დიდი „კეთილი შრომის

ისტორია“, რომელიც შეჰქმნეს თურდოსპირელისთანა ადამიანებმა.

ადამიანებში აუცილებლად დაუნჯებულია კეთილი გრძნობები, აუცილებლად! სადღაც გრძნობათა სიღრმეში შეიძლება მკრთალად, მარა მაინც ღვივის სიკეთისა და სილამაზისადმი ტრფიალი.

ეს გრძნობები ყოველთვის სათუთი გახმაურებით რაინდთა სიგმირეზედ, მათ უბადლო მოქმედებაზედ შეამკობენ იმ დიდების გვირგვინს, რომელიც უკვდავ სახელს, მარადიულ სიცოცხლეს განიჭებთ.

ჩემო დათიკო, თელავი „ყვითელ ბილეთიანების“ გამონაკლისით ისევ შენზედ ლოცულობს, ცრემლიანი თვალით, სევდიანი ფიქრებით გამოჰყურებს შენს გზას. წახვედი და თან წაიღე ბევრის გული, მრავალი ფიქრები. წახვედი და დაუცარიელდათ ის პიედესტალი, სადაც გზის მაშუქებელი, მრავალ სიკეთის პირობად შენი დაუშრეტელი ენერგია, შენი ბრწყინვალე სული იყო ასალტული. იქ სცოცხლობს მხოლოდ წარსული.

მოკვდა აწმყო და მომავალშიც იმ სიმაღლეს ვერავინ დაიკავებს... მას მომავალი არა აქვს, ვინაიდან მეორე თურდოსპირელი არა გვყავს.

ეს მდგომარეობა, ძვირფასო, მე ძალიან მახარებს. მახარებს არ ვიცი იმიტომ, რომ ეს ყოველივე დათიკოს ეკუთვნის, თუ იმიტომ, რომ ადამიანებს შეუძლიათ გაიგონ, იცნონ და იგრძნონ ის მაღალი ადამიანი, რომელშიაც ყველა სიკეთეს შეუქმნიათ – „ადამიანი მთლიანი“, უნაკლო და გაუბზარავი.

ბევრს ვსწერდი, ბევრს ვწერ, იშვიათო ადამიანო, შენზედ... და, ბოლოს, ვიპოვე სიტყვა, რომელშიც ხარ შენ სრულად – „ადამიანი მთლიანი, უნაკლო, დაურღვეველი“

და მე მუხლს ვიდრეკ ამ ადამიანის წინაშე, მუხლს ვიდრეკ და სასოებით ვეამბორები.

ვეამბორები!

სანიკო.

¤ ¤ ¤

სიღნაღი. 15/II-28 წ.

სანიკო, მე დიდხანს ვფიქრობდი, ვეძებდი სიტყვებს, დიდხანს ვლოცულობდი ჰელლინი პაპერიკლესათვის, რომ მეპოვნა მდიდარი, მხატვრული სიტყვა, ეპითეტი, რომელიც შენდამი მოსამართად გამომადგებოდა. მეჯავრება შაბლონი, ტრაფარეტი. ზოგი სიტყვა ისე გაცვეთილია და თუნდა სინორჩის არომატი ასდიოდეს, მაინც შენთვის ღარიბები გამოჩნდებიან. ვგრძნობ ამას, დავდივარ შემოქმედების ღვთაებრივ ჭალებში, მაგრამ არსად არა მხვდება და არ მიღიმის სიტყვა სანიკოს საშვენი და იძულებული ვარ, ჯერჯერობით ისევ ჩვეულებრივი სიტყვით მივმართო ჩემს არაჩვეულებრივ სანიკოს, ჩემს მშვენებას!

ხოდა, ჩემო ტკბილო სანიკო, აკი გეუბნებოდი, რომ სანიკოს ჩემი დამდურება არ შეუძლია-მეთქი. მართალია, სანიკოს წერილებმა დაიგვიანეს, მაგრამ დღეს ერთად მივიღე და დაიხსნენ ჩემი გულის სარკმელებში... ზეიმით და წინწილების წკრიალით დაიღნენ სარკმელები და გამინათეს, რომ წამეკითხა... დავიწყე... ნელი, ნელი სევდით ვიწყე შენი წერილების კითხვა და მიხარიან, მიხარიან, რომ სანიკოს ვუყვარვარ, რომ სანიკოს თავდავიწყებით ვუყვარვარ. სანიკოს ელეგიური წერილი სანიკოს ნორჩი

მკერდის სურნელებით მეზმანება, მეფრქვევა. შენ, ეი, მარტოობავ, მომწყდი თავიდან, გაეთრიე ამ ოთახიდან, წადი და ტელეგრაფის სვეტზე თავი ჩამოიხრჩვე! მორჩა, ბოლო მოეღო მარტოობას. ჩემთან არ არის სანიკო, მაგრამ ჩემთან არის მისი სული... მარტო არა ვარ, არა. შემომხედე, სახეზე მაჩნევია მისი სული. გულში მიკისკისებს, გულში მიზის სანიკო. მე უკვე ვრწმუნდები, რომ ორმოცი წელი არაფერია. ჩემგან შორს არის სიბერე. როგორ შეიძლება სანიკოს, მგოსანს და გრძნობათა მეუფეს, გონებამახვილს და გონება მზეს, უყვარდე ხანგადასული, სიბერის სუნისაგან გალენჩებული. როგორ შეიძლება, სანიკო სცდებოდეს... სანიკომ ხიდი გასდო ჩემსა და ახალგაზრდობას შორის.

მაგრამ, მაგრამ, სანიკოს წერილი რომ „მაგრამ“-ს მაწერინებს. არა გჯერა?! ახლავე მოგწერ, ჩემო ღმერთო, შენს სტრიქონებს: „ჩემზე ნურაფერს დასწერ... მინდა ამითი მაინც გავირჩეოდე, არა ვგავდე სხვას – ამითი მაინც განსაკუთრებული იყოს ჩემი ადგილი შენს გრძნობაში. მითხარ, რომ არ დასწერ ჩემზე არცერთ სტრიქონს, თორემ მე განმეორება ვიქნები“...

მეგობარო, შენ მისულხარ იმ დასკვნამდის, რომ დათიკოს აღარ შეუძლია ისეთი რამ დასწეროს, რომ განმეორება არ იყოს, რომ დათიკო ამოწურულია, დათიკო ძველი გრძნობების გადამღერებაა...

ვაითუ, მართლა, ვაიმე, თუ იწყება უმსგავსო წაბაძვა თავისთავისა. ეს რა მომწერა სანიკომ. ჩემი მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე ჯერ მხოლოდ უვერტიურა იყო. შემდეგ დაიწყება დიადი სიმფონია, რომელსაც სანიკო ერქმევა სათაურად, მაგრამ არის ერთი, ერთადერთი ავტორიტეტი, რომელიც მე მწამს... ეს არის სანიკო და

იმას წამოსცდა, რომ „მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს და სხვ“.

მაშ, დასდე, დათიკო ჩემო, მშვილდისარი და კრიალოსანზე იწყე თვლა შენი განვლილი დღეებისა.

სანიკო, თუ მართლა ამოვიწურე, შენ მართალი ხარ. სანიკო ისეთი სახელია, რომ მას არ უნდა ვაკადროთ გადამღერების მოტივებით მომინანქრება.

მზის ჰიმნები მზის ბუდეში დაბადებულებმა უნდა სთქვან... მზის მგოსნობა არწივთა საქმეა, მაგრამ მზეს რა დააკლდება, თუ ნიბლია თავის სუსტ ხმას შეაწევს მსოფლიოს კონცერტს. ხომ სულერთია, არას დაუშლის. რა უსამართლობა გინდა, სანიკო, რომ შენზე არ დავწერო. შემოქმედებაზე ხელი უნდა ავიღო და გამოვეთხოვო იმ საკურთხეველს, საცა წელიწადში თითოჯერ მაინც წარმოვთქვამ ლოცვებს. სანიკოზე თუ აღარ დავწერ, მით უფრო სხვაზე ვეღარ დავწერ. მაინც გმადლობ, მეგობარო, რომ მართალი მითხარი, გმადლობ, თუმცა დაწერით მაინც დავწერ.

მეგობარო, რა გაუბედავად სწერ: „ლამის ჩემი სურვილი შენს კანონად დავწეროო“ – და თან უკან იხევ. შე კარგო და ფინთო, შენა, განა ჯერაც არ შეგიტყვია, რომ შენ ჩემი აზრთა და გრძნობათა მპყრობელი ხარ და მე – მონა. შენ სრულებამოსილი ღმერთი ხარ და მე ციცინათელა. და მეც კი ვბედავ, ზოგიერთი ჩემი სურვილი შენს კანონად ვაქციო.

მეც კი ვბედავ, ახლავე გამოვცე ბრძანება:

ბრძანება №1
დამიგდე ყური.
ვბრძანებ:

სანიკოს უნდა ვუყვარდე, სანიკომ უნდა ინაცვალოს, თავს შემოივლოს დათიკოს თავი, სანიკომ უნდა თავის წინ დააჩოქოს დათიკო და თვის ფეხთა მტვერს აამბორებინოს. სანიკომ უეჭველად უნდა მოუაროს თავის თავს!

სანიკო, შენ შემოგევლე მაგ გრძნობათ სიჭარბესა და სიფერადეში. რა კარგად სწერ, როგორ მომეწონა ეს სტრიქონები:

„...ამიტომ სევდიანად დავაკვდები შენს ბაგეს და კედლისაკენ ვიბრუნებ პირს“. რა კარგია ეს „კედლისაკენ ვიბრუნებ პირს“. შენ გიყვარს ეგრე წოლა და მე ხომ მაგიჟებს, მახელებს.

სანიკო, მოსე ჯერ არ დაბრუნებულა... ოხ, ეს პროზა, პროზა, რომელსაც ვერ გაექცევი, ვერსად!

იყავი, მეგობარო, კარგად, შეასრულე ჩემი ბრძანება და საგანგებო დეკრეტით კიდევ გწერ, შენი დათიკო არ გააჯავრო, გაუგონე მაგას, თუმცა იმ ერთხელ რომ არ გაუგონე, ძალიან კარგი ჰქმენი... რა მეშველებოდა, რომ მისი რჩევისამებრ შენ არ დამმეგობრებოდი... თუმცა აქაც მართალი იყო დედაშენი და მე მხოლოდ საკუთარი ეგოიზმი მალაპარაკებს. შენი კეთილდღეობა მოითხოვდა, აქაც გაგეგონა.

აბა, ნახვამდის, მეგობარო, ვიდრე ჩვენს შეხვედრას ველირსებოდე, მასესხე ხუთასიოდე კოცნა და რა წამსაც შეგხვდები, შენ არ მომიკვდე, ათწილად დაგიბრუნებ!

მარად შენი გამჯავრებელი, მაგრამ შენი მონა-მეოცნებე, შენზე მოქვითინე და მოკასკასე დათიკო.

15/II-28 წ. ღამეა – შესაძლებელია 12 საათი იყოს, შეიძლება 10-ც არ იყოს.

1. „აბა, ჩამოვთვალო, ძვირფასი, ტკბილო სასოებავ, მშვენიერო, ხომ მეთანხმები, რომ ესენი ვერ გადმოგცემენ, ვერ გვაგრძნობინებენ იმას, რასაც მე და შენ განვიცდით!

ამ სიტყვების ხმარება ნიშნავს, რომ სთქვა: შექსპირს არა უშავს რა ან არა და პრაქსიტელი გვარიანი მოქანდაკეაო.“

ღამის დეპეშათა სააგენტოდან

ბრძანება №2

სანიკომ თავისი წერილები ისე უნდა სწეროს, რომ მათი წიგნად აკინძვა იყოს შესაძლებელი. თუკი სანიკო აგროვებს დათიკოს წერილებს, მით უფრო გასაფრთხილებელია სანიკოს წერილები.

ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან წერილის მიღებისა, ტექნიკურად გამართულ ტექსტში პრემიად ვაძლევ მკერდზე ათასჯერ დაკონებას.

დათიკო. 15/II–28 წ.

✧ ✧ ✧

საით

სად...

როგორ!

ვით ვეღირსე, ვით მივსწვდე ძველ ბერძენთა ღმერთების მიერ ანაქარგ, აციმციმებულ საუკუნეების ფრთებზედ გადანაქროლ, ყველაზე მომხიბლავ მთის დათიკოს...

ძალოვანია, თილისმიანია ეს მითი, გრძნობას აჯადოებს, გონებას იმონებს, მიმოზას ხუნდებით, ნარგიზთა კოცონზედ სჯაჭვავს, იების ალით ათრობს... ჩაგამწყვდევს ვით ქაჯეთში ნესტანს და გაგაბრუებს, სინამდვილეს დაგავიწყებს მისი მომხიბლავი სახე...

მიწას გაშორებს და ყვავილოვან სიტყვათა ციმციმით მიგაქროლებს ზევით, ზევით, ზღაპრულ ქვეყანაში ათასერთი ღამისა...

როგორ და რით შეიმაგრე თავი მაგ მწვერვალზედ, ვით არ მოგისხლტა ფეხი იმ საზარელ დაქანებაზედ, იმ საშინელ, დახრამულ ტინებზედ?!..

ვით გადაუარე, ვით გადალახე ეს მსხვრეული ოღროჩოღრო ბუნაგები ცხოვრებაში კერძო ბედნიერებისა...

ვით არ აილანძე ფრთები ჭუჭყიან ცხოვრების ალზედ... როგორ ვერ ჩაგიკრა და ვერ დაგძირა ცხოვრების კუპრის ტბამ?! მითხარ, როგორ მოახერხე ეს?!.. მითხარ, რა ძალა გშველის?!

ამოუცნობი ხარ, იდუმალებით მოსილი.

მითხარ, რათ მომხიბლე, რათ გამაბი მახეში?! რად მომაჯადოვე, რა გინდოდა ჩემგან?!..

მე ისე თავისუფალი ვიყავი, ისე უდარდელი და მხიარული... ახლა?.. მაგრამ ამ „ახლა“- ს არ გავცვლი ათას წინანადელზე, ათას წარსულ უდარდელ დღეებზე...

შენ შემოგევლე, შენ დაგენაცვლე ჩემო, ჩემო სიყვარულო, სიხარულო! რა ვქნა?! როგორ მინდა, როგორ მწყურია შენთან ყოფნა, შენთან, შენთან... ჩემო უშრეტო ბედნიერების ზღვავ, ძლიერი ცეცხლისა და სიცოცხლის ნაკადო, მხოლოდ შენ თუ მიანგარიშებ ასოებს და სტრიქონებს: „პატარა ასოებსა ვსწერო, თორემ

აბა გაადიდე, თუ ასი თაბახი არ გამოვაო“. ახლა ვის ვადიდებიო ასოები თქვენი სიცრუის დასამტკიცებლად, ყმაწვილო? თუ გეზარებათ წერა, ნუ მომწერთ და, თუ ქაღალდი არ მოგეპოვებათ მაგ ჩასაძვრენ სიღნაღში, მოგაშველებთ. ოხ, მართლა და დაინგრეს ეგ სიღნაღი, რომ მაშინ მაინც მოშორდე მაგ ოღროჩოღრო ქალაქს ან საღათას ძილმა მაინც დაგაბანგოს, რომ მალე გავიდნენ ეს დასალევი დღეები.

და, თუკი ცხოვრების აქაფებულმა ზვირთებმა გადამაქანეს, გადამანავარდეს მომხიბლავ არეში... თუკი ჩვენ დაგვიანებით მაინც შევხვდით... მაინც ვიპოვეთ ბედნიერება... მაშ, რაღამ უნდა მომიღრუბლოს, რაღამ ჩამიბნელოს სული. ეს ხომ მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა, ეს შეურაცხყოფა იქნებოდა ჩემი გამაგიჟებელი დათასი, დათიკოსი!

განა შეიძლება ადამიანმა, დათიკო, ეს საოცნებო, ეს ფანტასტიური სახე... იპოვოს, იხილოს, დაუმეგობრდეს ცხოვრებაში და კვლავ ბედს ემდუროდეს, კვლავ ბედს სწყევლიდეს?! ჩემო, ჩემო ნეტარებავ, ჩემო სიცილო და ცრემლებო. სამოთხისა და ჯოჯოხეთის უცნაურად განსხვავებულ განცდათა მომანიჭებელო...

ჩემო ღაღანა გაზაფხულის, ჩემი გაზაფხულის ფურჩქვნის გამაცისკროვნებელო, გამასხივოსნებელო! მოდი, მოდი, ჩამოჯექ ჩემთან, მოდი მოასვენე ეგ დაღალული, დაქანცული თავი შენი სანიკოს მკერზედ. მასში ასვენია სამარადსახო შენი სახე, შენი დამათრობელი, დამბანგავად მშვენიერი სული.

ჩვენ ხომ ყველგან და ყოველთვის სილამაზეს ვეძებთ, სილამაზეს ვეტრფით და ესეც, ეს იშვიათი და უცხოდ ამობრწყინება ერთიმეორის ბინებზედ განა სილამაზე

არ არის?! აიღე გინდაც შენი მაშინდელი ჩამოქროლება – ეს ხომ უაღრესად მომხიბლავი, ეს ხომ რაინდის თავმოგიჟიანებული ნაბიჯი იყო... ეს შემთხვევა მე შემოვრკალე ჩემს ლამაზ სახეთა შემნახავ მეხსიერებაში. იგი მარად მოკაშკაშეა იმ სულის კუნჭულისა, რომელსაც სწამს, რომელმაც უნდა იწამოს დათიკოს ძლიერი, ყველას გადამლახავი სიყვარული...

მარა პაწია რამ, ერთი სიტყვა (დასწყევლოს) და აქაც ჩამომისრიალდა გველის სისინივით. შენ ხომ მითხარი: „წავიკითხე შენი წერილი, შემეცოდე, სანიკო, და ვსთქვი: მოდი, ერთი თავს მოვიგიჟიანებ“-ო.

მაგრამ, დათიკო, იცი, ძვირფასო, იცი, სიცოცხლევ, როგორ არ მიყვარს ეს სინანული?! ეს საბრალო გრძნობა აცრიატებს, აჭლექებს, სცრეცს მიწურულ შემოდგომის დღეებსავით ამ კაშკაშა, ამ ელვარე, მცხუნვარე გრძნობას – სიყვარულს.

მე სულ არ მინდოდა შენ ჩემთან ჩამოსულიყავი, რომ შეცოდება-შებრალების გრძნობით, სხვასთან, შესაბრალის ადამიანთან, წავიდოდი, მარა ჩამოვქანდი მანდ იმიტომ, რომ გრძნობამ ჩამწვა, ჩამბუგა. გული ამიტაცა იმის ალმა, მანდ, შენთან გადმოსახლდა და მე არ შემეძლო, ჩემს გულს არ გამოვყოლოდი. არა, არა, მე იმიტომ არ ჩამოვედი, რომ შემებრალებოდი. ამ გრძნობას ჩემს სულში სხვა ადგილი უკავია, ისეთი კუნჭული, საიდანაც ის არც შენ, ჩემო მეუფევ, და არც შენდამი სიყვარულს არ შეურაცხყოფს, ჩრდილს არ მიაყენებს!

მე მომაქანებდა და მომაქროლებს ყოველ ფიქრის მანძილით გადანავარდებაზე ეს გრძნობა–ცეცხლი! გრძნობა–ქარტეხილი! მართლაც და, დათიკო, რა ძლიერია, რა გადამლახავია, რა სტიქიურია გრძნობის აწყვეტა,

მისი გაჭენება – იგი ყველა ძალის გადამმსხვრევია, ყველა სხვა ძალის გადამცელავი, დამასამარებელია თავის გზაზედ. მას ვერ შეაჩერებს ვერც გიდრა და ვერც ცერბერი, ვერც ამირანი და ვერც სოლომონ ბრძენი. იგი თავზე ხელაღებულია, დამთხვეული, სრულარსი. იგი ყოვლადშემძლე სასწაულმოქმედია. იგი ზღვის ქარტეხილ-ნამსხვრევ ტალღებშია დაბადებული, მზის გადამბუგავი ძალისაა, ამიტომ მიგვეზიდება, ამიტომ მარად ვეტრფით მისი მასპინძელნი ქარიშხალს... ღელვას... მცხუნვარე მზეს... ციმციმა, ცქრიალა, მომხიბლავ გაზაფხულს... მარა, აი, გულის დაღვარსლა, სულის ჩამონისლვა... ეტრფი ყველა კარგს, შეუმწიკვლელს. სილამაზეს ეძებ ყველგან. რითი გიმასპინძლდება ცხოვრების სინამდვილე?.. რამდენად უფრთხილდება და თავს ევლება ამ იშვიათ, ძვირფას თვლებს... მისი სახის შესაცვლელად მარად მაძიებლებს?!

ცხოვრების, ეულ ცხოვრების ჩამობინდება, მოჯანღვა, მოკუპრვა, მსხვრევა – აი, რა გხვდა წილად იმიტომ, რომ მზესა და ქარიშხლებს ეტრფოდი!

ასეა...

ცხოვრება უდიდესი ჯალათია... მისი კანონები უსაშინლესი ხუნდებია. ეს ჯალათი უმალ გადაგანთხევს თავის შხამს, თუკი შეგნიშნა, რომ მას ზურგი და ბუნებას თაყვანება; მას წიხლი და ბუნების სიდიადეს – ლოცვა, კურთხევა!

მაგრამ!..

ბრძოლაშია სიცოცხლე
ბრძოლაშია სილამაზე

ჩავეკონები ჩემს მოუქანცავ მებრძოლს, დავუკოცნი

ბრძოლაში ანთებულ ლამაზ თვალებს, იმდენჯერ, იმდენ-ჯერ, რამდენიც დროის ორბიტაზე წამი ჩამოითვლება!

შენი სანიკო

15/II-28 წ. თელავი.

სალამი და ბედნიერად ცხოვრების სურვილი დე-დიკოსაგან.

და-თუ ცა მეტყვის, დამისაბუთებს,
რომ ქარი ღრუბლებს ფლეთავდა, ხევდა,
თუ სიყვარულის აღგზნებულ წუთებს
გადასცვლის ჟამი, გადასცვლის სევდა –
მაშინ ფეხქვეშ მიწა გადაკისკდეს
და შემზარავ ხმით ჩაეშვა ღორღი,
მე – მზე შავეთ უფსკრულს.

აწმყო გადიქცა წარსულად
მომავალი –
ბუნდოვანია – მაგრამ
იქ მაინც შეიძლება
ნაღვლიან სახეთა განჭვრეტა.

23/II-28 წ. თელავი

აწი დაიწყება მეორე ტომი,
იმას რითიღა შესცვლის
მესამე.

სანიკო

¤ ¤ ¤

ტკბილო, სულზე უტკბესო მეგობარო სანიკო!

ჩემს ცხოვრებაში გონება არასოდეს მყოლია მესაჭედ და არც არასოდეს მეყოლებოდა. მესაჭეობას მარად გული ეწეოდა. მართალია, ამ გადარეულმა მესაჭემ ბევრჯერ მიმიმსხვრია ხომალდები, ბევრჯერ ამოსკვნით მაქვითინა, მაგრამ ეს მესაჭე მაინც არ გადამიყენებია.

შენი პირველი სიტყვის მოსმენის უმალ (აწყურში) მე ვიგრძენი, რომ შენ ასეთი ადამიანი ხარ. თითქოს მახარებს ეს, ვინაიდან ადამიანი იმითი ფასდება, თუ ვის მონებს გრძნობას თუ გონებას. მე დინკიხოტი მირჩევნია, რადგან იგი მთლად გრძნობაა, გახელება, რწმენა. მე საერთო სიტყვას ვერასოდეს გამოვნახავდი შექსპირის ჰამლეტთან; მე რომ ჰამლეტი და დონკიხოტი შემხვედროდნენ, უეჭველად მეორეს დავუმეგობრდებოდი და შეიძლება თანაც წავყოლოდი საფათერაკო საქმეების საძებრად.

ძალიან კარგია გრძნობის კულტის აღმსარებელი, – ეს შენს დიადობაზე ლაპარაკობს, ჩემო ციცინო, მაგრამ გრძნობიერი ადამიანი და კატასტროფების ხშირად განცდის მტვირთველი ხომ სინონიმები არიან?! შენ ისეთი სათუთი ბუნებისა ხარ, რომ მეშინია, ვაითუ, დაიმსხვრე გადამტყდარი ლერწამივით. მართალია, აქაც შენ ისეთივე მომხიბლავი იქნები, როგორც არავინ, მაგრამ მაინც საშინელებაა. შენისთანა ადამიანები რად უნდა იმსხვრეოდნენ? რა ისე ხშირად ბადებს ბუნება შენისთანებს, რომ ახლა შენც გადაიმსხვრე! უკვდავება რომ არა ყოფილიყო, და ვაგლახ რომ არ არის, შენთვის უნდა გამოეგონათ.

ტკბილო მეგობარო, ძვირფასო მეგობარო, კიდევ უნდა დაგემდურო, გაგიჯავრდე, კოცნით გაგწკეპლო, ეს რა გიქნია, ეს რა ჩაგიდენია; ჯერ ერთი ისა, რომ შენ

ჩემი ჭუჭყიანი საცვლები წაგიღია გასარეცხად და ახლა კიდევ ასეთი ნობათი გამოგიგზავნიათ. როგორ შეიძლება შენი დედიკოს ასე შეწუხება? ჩვენგან პატივისცემის მაგიერია?! შენ უფრო უმრავლებ საზრუნავს; ძაან სიძე კი იშოვნა, მაგას ჩემგან ერთი მხიარული დღე არ უნახავს და ჩვენს სახლში ჯერ არცა ყოფილა... არა უშავს რა, შემდეგ გადავუხდით სამაგიეროს... შენ კი... შენ... გიჟო, პირობა მომეცი, რომ აღარაფერს გამომიგზავნი.

სანიკო, მე მიჩიოდი სიტყვაძვირობას და შენ გადაგდებია ეს სენი. მივიღე შენი წერილი. მართალია, ეს პატარა ბარათი მთელ ტომებს სჯობია, მაგრამ ეს არის უაღრესად მხატვრული ნაწარმოები, ეს არის წარმართის ბრწყინვალე ლოცვა უცნობ და არარსებულ წარმართი ღვთაებისადმი მივლენილი (და არა დათიკოსადმი), მაგრამ, მაგრამ დათიკოს უნდა, დათიკოს, პატარა დათიკოს, რომელსაც თითოეული სიტყვა ისე ეალერსება და ეხვევა, როგორც – ციცინოს მტრედისფერი საბანი. დათიკოს უნდა, რომ ციცინო (სანიკო) მარად, მარად ეტიტინებოდეს.

ტკბილო მეგობარო, არ დამიგვიანო, არ დამიგვიანო, არ დამიგვიანო წერილები. გახსოვდეს, ამ ნისლში შენა ხარ გაზაფხულის ოაზისი, შენა ხარ, შენა, შენა...

ახლა კი დაგეკონები, დაგეკონები და ტკბილად, ნაზად, სათუთად ჩაგკოცნი.

ჩემო, ჩემო სანიკო. წინ ჯერ კიდევ ისევ ოთხი თვეა, ოთხი... ახ, ჩქარა მაინც მოვიდეს არდადაგები, რომ ველირსო შენთან ყოფნას.

მარად შენი დათიკო.
სიღნაღი. 28/II–28 წ.
მარტი 1928 წ.

✧ ✧ ✧

ჩემო ბედნიერების მომნიჭებელო, მაგრამ
დანატრებულო მეგობარო!..

გადავწყვიტე, შენსავით მეძუნწა და წერილი მხოლოდ კვირაში ერთხელ მომეწერა, მაგრამ ხომ ხედავ! დღეს ერთი წერილი ფოსტის ყუთშია და მეორე კვლავ იწერება. ვწერ, ვიჩქარი წერას. მგონია, რომ დიდხანს ვეღარ მომიხდება წერა და ამიტომ გწერ ასე ხშირად, ასე თავმომაბეზრებლად.

დათიკო, გეთაყვანე, შემოგევლე დათიკო, პირველ აპრილს ჩამოხვალ ხომ? ხომ, ხომ, ჩემო სიხარულო? ჩამოდი, აუცილებლად ჩამოდი... ახ, ნეტავი ეს ზაფხული მაინც კარგად ვიყო, ეს ზაფხული მაინც გავატარო ჩემს ძვირფას, ჩემს საყვარელ დათიკოსთან და მერე რაც უნდა დამემართოს, აღარ ვინაღვლი, ვინაღვლი კი არა, პირიქით, ბედნიერება იქნება შენს ხელში სიკვდილი, ჩემო ყველავ, ჩემო სიხარულო.

მეტი რა უნდა ადამიანს, ეღირსოს სიკვდილი, სანამ მოსიყვარულე გული დაფრინავს თავს; ეღირსოს სიკვდილი იმ მკერდზედ, რომელიც მისცემს მას მუდმივ და უძველებელს და დაუხავსებელს ხსოვნის სამარეს.

სიცოცხლეო, მე აკვიატებუილი მაქვს ის აზრი, რომ მალე, სულ მალე მესტუმრება ერთი პაწია ჯოხი და მშვენიერ გაზაფხულზედ იების გვირგვინით გამაცილებს, მაგრამ ჩემი სამარე ობლად, არა, ობლად კი არა, მიტოვებული არ დარჩება!..

ჩემს სამარესთან ხომ ხშირად, ალბათ, მეტად ხშირად დაიხრება ძვირფასი დათიკო... და... თავის აწყვეტილ გადამლახავ ფიქრებით წამომაყენებს, სასწაულებრივად ამტაცებს სამარიდან და ჩვენ, არა, ჩვენი სულები

გაიშლებიან ლაჟვარდოვან კამარაში, განიფანტებიან ეთერში, მოჰკრეფენ, მოიტაცებენ მის სიტურფეს, ნეტარებას და კვლავ დაეშვებიან, რომ ერთმა დაისვენოს, დაიძინოს, მეორემ კი – იხეტიალოს, იქვითინოს იმ ოღროჩოღრო გზაზედ, რომელსაც ცხოვრება, რომელსაც ღვარძლიანი გულები უჩმახავენ, უხრამავენ სულს...

საყვარელო, დაუფასებელო მეგობარო, გენაცვალე, შენი კვნესამე, დათიკო, ეს სტრიქონები მოგინისლავენ სახეს, ნუკი დაგაფიქრებენ. ხომ იცი, მე ბოდვა ვიცი, გადავიჩეხები რაღაც ოცნების უცხო და ტურფა არეში და სად არ გაჭენდება ჩემი ფანტაზიის სახეები...

შენ მეოცნებეს მეძახი, მართალია, მაგრამ მე გაცილებით მეოცნებე ვარ, ვიდრე შენ გგონივარ. ჩემი ყოველი ფიქრის გაელვება, ყოველი ცხოვრების სახის აღება ოცნების ფრთებზედ ხდება, ოცნების ფრთებით, ოცნების მომხიბლაობით.

ოცნება, ოცნება, ოცნება... ახ, თუ არ დამიმსხვრიე, მგოსანო, ის ტურფა, ჯადოსნური ხომალდი ოცნების ოკეანეზედ.

„ცხოვრება არ ამართლებს მეოცნების მომხიბლავ სიზმრებს“

უკანასკნელი ამანათი
დათიკო თურდოსპირელს
სანიკო ჩხეიძისაგან

1928 წ.

მრავალს ჩაიქსოვს ეს რვეული დღეებს ცხოვრებისა... დღეებს დასუსხულს (აღარა მაქვს კასკასა დღეები),

დღეებს მწარედ აქვითინებულს.
ცოტა მკრთალია ნათელი სხივები.
ამ ფურცლებში... ასე ყოფილა
ბედნიერება – ხანმოკლე, წამიერი

ჩემი დღიური განბანილი სევდის ცრემლებით...
ჩემი დღეები დაძაბული (ან ფლეთილი)
კაეშნის ფრთებით...

28/IV-28 წ. თელავი

დათიკო თბილისში წავიდა.

მეგონა...

აი, ჩემმა სულმა განიცადა ის უმწვერვალესი... იპოვნა... ის იშვიათი კუთხე, რომელსაც ბედნიერებას უწოდებენ...

მეგონა, ვეზიარე უმწვერვალეს განცდებს აღგზნებულ ტიტანი გრძნობის, – სიყვარულისა და ამით ვიხილე ის სანატრელი მწვერვალები ნეტარებისა, ბედნიერებისა...

მაგრამ, სევდა-კაეშანმა მომიწამლა სიცოცხლე, მომიშხამა ყოფნის რაობა... მარტოოდენ მწუხარება, მარტოოდენ მწარე კვნესა, მიცვალებული გულის ამოქვითინება, დასამარებულ იმედების ამოკვნესება...

როდემდის, როდემდის გავუძლებ მას, რომ კოცნით ვისტუმრებდე ცოლ-შვილში... ძლივს, ძლივს შევიმაგრე თავი, სანამ გამცილდებოდა და... ჩემი თვალიდან ცრემლი ვეღარ შრება... გულიდან სისხლი ობლად სწვეთს...

29/IV-28 წ. თელავი

დათიკო თბილისშია
აღარც სურვილი... აღარც სწრაფვა...
აღარც იმედი
დაიხურა ფარდა მომავლისაკენ... და ესე უცებ, ასე ადრე?!..
რათა?! რათა?!

30/IV-28 წ. თელავი

დათიკო თბილისშია.
ოო, როგორ მოვიქანცე,
როგორ მოვიღალე,
თურმე რამდენი ენერგიაა საჭირო, რომ იცოცხლო, იცხოვრო.
გამომელია ძალღონე
რა ძნელია სიცოცხლე
რა მძიმეა ცხოვრება.
.....
აქამდე ვერ ვგრძნობდი ამ დაღლას
ხან თუ მომბეზრდებოდა ცხოვრება, გამაზრიალებდა მისი სიცარიელე, მისი არარაობა, შემაძრწუნებდა, გამყინავდა მისი ყალბი სუნთქვა, მისი უდღეური გამოხედვა, მაგრამ ენერგია დიდი მქონდა, თუნდაც იმისთვის, რომ განმეცადა ეს საშინელი სიცრუე-ცხოვრება
ახლა ?
მოვიქანცე, მოვიღალე... გონებაც ვეღარ მუშაობს
გრძნობა ვერ ითვრება, ვერც ისუსხება

აღარ განვიცდი არაფერს მწვავედ
სევდამ ჩამიხვია, სევდამ მიძმო, სევდამ მიშველა

1/V-28 წ.

დათიკო ჩამოვიდა თბილისიდან და ნეტა არ ჩამოსულიყო, ისე ჩამობინდული, ჩამოჯანღულია.

დღეს უცებ, მოულოდნელად ჩამოვიდა, ისე ჩამოღრუბლული, ისე მოჯანღული...

ისედაც დაღვარსული გული დაზრა, მოიშუშა...

რატომ ჩამოვიდა?..

აშკარაა, ცხადია, ჩემთან არ მოიჩქაროდა, ჩემთან არ ჩამოვიდა...

ჩამოვიდა იმიტომ, რომ იქ დარჩენა ვერ შეძლო... გონებამ და არა გულმა ჩამოიყვანა ეს გრძნობის კაცი აქ...

აკი ამიტომაც...

თავისი საშინელი გაღიზიანება, საშინელი შეშფოთება და შერხევა... გამოამჟღავნა...

თითქოს მე ვყოფილიყავი მისი ასეთი მდგომარეობის მიზეზი... როგორც უბრალო ნივთს, ისე მეკიდებოდა... ჯავრის ამოსაყრელად...

ის ხომ სანიკოს ვერ ხედავდა, სანიკოს ვერ გრძნობდა...

მის წინ იყო საგანი, რომელზეც მან გადაანთხია თავისი აღშფოთება, თავისი შერხევა...

ის მე კი არ მკოცნიდა... ნაღველს იწყვეტდა ტუჩებიდან... მე კი არ მეხვეოდა... ჯავრსა და ვარამს იწყვეტდა თავიდან... მე დღეს ნივთი ვიყავ დათიკოს ხელში...

ვგრძნობდი, ვგრძნობდი საშინელ შეურაცხყოფას

და გაკლდევებული, გაყინული... კი ვემორჩილებოდი... ვგრძნობდი, ის „ჩემი“ არ იყო, მაგრამ მე მას არ გავუსხლტი... რატომ მოვიქეცი ასე?..

არ ვიცი, არ მესმის...

სანიკო.

2/V-28 წ.

დათიკო ჩამოვიდა თბილისიდან

ღამე სევდიანი

ჩემო სალოცავო დათიკო, ჩემო!

მითხარი, მასწავლე როგორ შეგინელო ეს სევდა, ეგ მწუხარება?! რითი?.. რით შევძლო შენი წამებული, გატანჯული სულის დამშვიდება?!..

სად ვუპოვნო მას სიმშვიდე და ბედნიერება?! სად მოვუძებნო სიხარული და ნეტარება?!

აკი გარწმუნებდი, აკი გეუბნებოდი, რომ მე არა მაქვს, მე არ ვიტევ იმ ძალას, რომ შენს მოქანცულ, საშინელ მსხვრევასა და ნგრევაში ნაგვემ სულს მივცე ის ბედნიერება... ის ახალი ცხოვრება, რომელსაც იგი თავის გრძელ, მაგრამ მწარე სახეებით მობინდულ გზაზედ... დანატრებულია, მოწყურებულია... ძვირფასო, სათაყვანო მეგობარო...

სიამოვნებით, სიხარულით გავწირავდი ყველაფერს, რაც კი გამაჩნია... გინდ გადავიხვეწებოდი სადღაც შორს, გინდ სიცოცხლეს მოგცემ...

ოღონდ ვიცოდე, რომ ერთხელ მაინც აღარ შესცდები, რომ მოლოდინი... ის სწრაფვა ბედნიერებისაკენ, რომელიც ახლა არ გაგიმართლა, დაგვირგვინდება ბრწყინვალედ.

შენი აწრიალებული, მაძებარი სული მიაღწევს იმას, რასაც იგი ეძებს... ეძებს და ჯერ ვერ უპოვნია!..

მე კი მეგონა, რომ მე ვიტევდი იმ ძიებას, რომ მე მოგცემდი იმ მოლოდინს.

...ახ, რა მწარეა, რა დამშხამავია იმის წარმოდგენა, რომ შესცდი და შესცდი ასე სასტიკად, ასე უმწეოდ, რომ იმ გრძნობათა ნაზი თრთოლვით გაბანილ სალოცავში, სადაც საბედნიერო ლოცვებს უკონავდი... ასე ჩამოგაწვა თაღი... ასე მოამწყვდია შიგ ბედნიერების საგარიჟრაჟო ვედრება...

სანიკო.

3/V-28 წ.

დათიკოს კოცნაში, დათიკოს ალერსში რაღაც დაიბადა, რაღაც შეიპარა ისეთი, რაც მე შეურაცხყოფას მაყენებს, რაც მაგრძნობინებს შეუმჩნევლად, რომ იგი სხვა გრძნობის, რაღაც სხვა ძალის ზეგავლენით და არა ჩემი ტრფობით მეხვევა, მკოცნის. დათიკო თითქო ამართლებს იმ „ანონიმურ წერილებს“ და ე–ს ბრალდებას... თითონაც არ გრძნობს, თითონაც არ ესმის, მაგრამ გადაგვარდა..

რაღაც აღგზნება, რაღაც ძლიერი გაღიზიანება ჩაერთო მის ჩემდამი მოპყრობას, მაგრამ ეს გამოიწვია რაღაც, რაღაც სხვამ. კი არ მესმის, რამ!

იქნებ, იმ საშინელი გაღიზიანების ბრალია და აუცილებელი ისაა მიზეზი, რომ ასეთ საშინელ მდგომარეობაში ნახა ოჯახი.

დათიკო, შენი ჭირიმე, შენ შემოგევლე, დათიკო, თუ ასეა, ხომ შეგიძლია შესცვალო ეს პირობები? ხომ

შეგიძლია მოაწყო, როგორც გიჯობს, ისე? სჯობია... ახლა ისინიც შედარებით ცუდ პირობებში სცხოვრობენ, ეს ყველაფერი შენზედ ძალიან ცუდად მოქმედებს და ეს ყველაფერი მე მატყდება ძლიერი სიმძიმით თავს.

დათიკო, ჩემი გული იმდენად მიმღები და მგრძნობიარეა, რომ ვერ გაუძლებს ამ სიმძიმეს... გაიქელება... განადგურდება... დაავადდება... სჯობიან, ისევ იქ დაბრუნდე, მაშინ იმ შეურაცხყოფას მაინც არ ვიგრძნობ შენგან, ჩემო დათიკო, რომელსაც ადგილი აქვს იმ ნიადაგზედ, რომ შენ ნანობ, აშკარად ნანობ შენს ნაბიჯს, რომ შენ გინდა, გაგიჟებით გინდა, რომ არ შეგცვლოდა ცხოვრების პირობები. დათიკო, თუ წახვალ, მალე წადი, თორემ გული დაავადდა, სული ჩამოჭლექდა ამ მდგომარეობაში...

დათიკო, დათიკო!

დათიკო ძვირფასო, დათიკო უბადლო! მიმძიმს... მიმძიმს, მაგრამ პასუხი უნდა მოგთხოვო, უნდა მოგთხოვო პასუხი, დათიკო, რატომ, რატომ მომტაცე გული, თუ მას სადღაც, უყურადღებოდ მოაგდებდი?!

რატომ, რატომ მპირდებოდი ბედნიერებას, როდესაც შენ თითონ არა გაქვს იგი?! დათიკო, სასაცილოა, მაგრამ ღიმილად რომ გულიდან სისხლი ინამება... სიცილის ბგერებად, რომ სულის ნაფლეთები იფანტება...

სასაცილოა, ბედნიერებას ველოდი, ნეტარებას უმწვერვალესს მპირდებოდა შენი ის გაგიჟების, თავდავიწყების წუთები, როდესაც შენ სანიკოს მეტი არაფერი გახსოვდა, სანიკოს გარდა ვერაფერს ხედავდი. არც ერთი შენი ამოსუნთქვა, შენი მგზნებარე სულის რხევა არავის უნაწილდებოდა.

იყავი დიდი... დიდი და სრული, მხოლოდ სანიკოსი. ახ, რატომ მაშინ ის ბედნიერი სანიკო და მაშინ ბედნიერი წუთები ცოტა იყოს ჩემთვის... არ გაჩერდა, არ გაიყინა იმ მდგომარეობაში?! ვაი, რომ ეს გაგრძელდა მხოლოდ რამოდენიმე კვირა. შემდეგ კი, რა წამს იგრძნო დათიკომ მსხვერპლი, რომელსაც წინეთ მხოლოდ ფიქრობდა, ერთის ხელის მოსმით მიამსხვრია სანიკოს კერპი, ჩამოუნგრია სანიკოს ბედნიერების თაღი და მოამწყვდია „ნანგრევთა შორის სული მეოცნებე, სული მლოცველი იმაზედ, ვისაც ელოდა სასოებიან გულისა თრთოლით და ეგონა, რომ იპოვნა“.

რა უფლება გქონდა, მომტაცე უდარდელობა, სწრაფვა, იმედები... თუკი მას დამიმსხვრევდი, თუკი სევდის და კაეშნის მეტს არაფერს მომცემდი...

ნუ-თუ ვერ გრძნობდი, რომ
გრძნობის მხოლოდ ნატეხს,
ყურადღების მხოლოდ ნაწილს,
გულის მხოლოდ კუნჭულს
ვერ მიგიღებდი...

სადღაა ის სალოცავი სანიკო (იქნებ, ღირსი არ იყოს...)?! მაშინ რატომ დასწერაღა მაგ ხელებმა ის წერილები, რატომ შემიყვანა გამაბრუებელ ნისლში, რატომ დამათრო, რატომ დამაჯერა, რომ სათაყვანოა... ჩემი ზღვა და მშფოთვარე გრძნობა, ჩემი აწრიალებული, მაძიებელი სული?!

რატომ, რატომ არ მიდიხარ დათიკო, რატომ არ უბრუნდები შენს ოჯახს?!. შენ ხომ აქ იმდენი არა ხარ, რამდენიც იქ (დრო კი არა, გრძნობები, სული). შენ

ყოველთვის გაღმერთებდა, გეთაყვანებოდა და კვლავ გაღმერთებს სანიკო იმიტომ, რომ შენ მსახიობობა არ შეგიძლია, უკეთ, არ გსურს... შენ შინაგანი ბუნების უშუალო გამოძახილი ხარ... შენ ასახვა ხარ შინაგანი ცხოვრების... არ ეურჩები შენს გრძნობებს და ამ სახით მოსჩანხარ ყველგან... მაშ, რატომ ახლა კი არ მისდევ შენს გრძნობებს? ხომ გრძნობ, სანიკო მხოლოდ გატაცება იყო... იგი ველარ ავსებს შენს ცხოვრებას... შენ ახლა ოჯახი და შვილები გინდა და არა აღგზნებული ტრფობა. ოჯახი მტკიცე გატაცებაზე.

გიჟი ვიყავი, გადარეული...

სად, სად არ დაფრენდა ჩემი ოცნება...

სად, სად არ დაჰქროდა, რას არ ჰქმნიდა ჩემი ფიქრები, რას არ ეპოტინებოდა ჩემი გაჭენებული, აწყვეტილი სული... სად არ ნავარდობდა, რას არ სწვდებოდა ჩემი მომავალი. მეგონა, მეც მქონდა დიდი მოწოდების მომავალი. მეგონა, ჩემი აწმყოს დაუდგრომელი, აწყვეტილი ხეტება, ლამაზი, დიდი მომავლის საფუძველია... დასაბამია საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი საქმეებისა, რომელნიც უკვალოდ არ ჩაივლიან...

ჩემი ლამაზ, გადამწყვეტ ნაბიჯებზედ შეყვარებული სული, მეგონა, თვით იპოვნიდა საქმეს, რასაც გადაჰყვებოდა უდრეკი სიმამაცით, გაცეცხლებული სიმტკიცით... ამასვე ველოდი ზოგიერთი ჩემი მეგობრიდან: ელენე აღნიაშვილიდან, სარა ტროყაშვილიდან, კატო ხატიაშვილიდან, თუსიშვილი ელიკოსაგან, მაგრამ ისინიც ისევე ჩაჰქრნენ, როგორც მე, მხოლოდ – ცოტა ადრე.

ჩვენში ღვიოდა ნაპერწკალი, რომელიც ააგიზგიზებდა ელვარე ცეცხლს, ჩვენში თრთოდა ის ჩანასახი, რომელიც ძლიერ ძალად აფეთქდებოდა სიმართლისა და

ჭეშმარიტებისათვის... მაგრამ, არ მოგვცეს განავარდება, მიგვიჯაჭვეს გაქანება, შეგვილანძღეს ფრთები და დავეშვით იმ ჭაობში, რომლის შმორმა, ჩვენც დაგვიშხამა, ჩვენც მოგვიწამლა სწრაფვა ლაჟვარდისაკენ, ლტოლვა მაღალი და სპეტაკისაკენ...

დავშორდით ერთმანეთს. აღარაფერი ვიცი მათი სულიერი ცხოვრების, მათი სულის წვისა და გზნების...

მე კი შემრჩა, დღესაც კიდევ ღვივის გულში ცეცხლი, რომელიც სწვავს ჩემს არსებას, ჰბუგავს ჩემს გონებას... იწვის, იღველფება სული დაშხამული ცხოვრების სიბინძურით, ადამიანთა არარაობით, მათი ღვარძლითა და მრუშობით. სული, რომელიც ეძებს, ეძებს საღს, ცხოვრებას ლამაზსა და ჯანმრთელს და არა დაიარავებულს, დამუწუკებულს, ჩაჩირქებულს...

ეძებს ბედნიერებას... გასაქანს სვლისა, გასაქანს სწრაფვა გონებისა, გრძნობებისა, რომელსაც წინ არ აღემართება... ბრბოს უვიცი ყიჟინა, ხარხარი, რომელსაც არ დაკუწავს, არ აფლეთავს... შეუგინებელთა აშმორებულ ბაგეთაგან ოხშივარი, შხამის ქვა და გუნდა...

ჯერ ვერ მიპოვნია გზა, ვერ მომიძებნია გამოსავალი... აშკარად ვერც გავრკვეულვარ, რას უნდა ვებრძოლო, რას უნდა ვესწრაფო...

ერთი კია...

ცხოვრებას შხამავს, ყოფნას სწამლავს ადამიანთა გულღვარძლობა, ადამიანთა მრუშობა და ბოროტება, უმსგავსობა, უფერულობა – ესაა ცხოვრების საშინელი წყლული, ესაა ცხოვრების იარა, რომელსაც გრძნობენ იშვიათნი და ვერ კურნავენ...

რამ, რამ უნდა გაჰკურნოს ეს, რამ უნდა გარდაქმნას ადამიანი, რომელიც ამ სახელს ქვეშ მალავს ყოველ

სიბინძურესა და სიდამპლეს... სენად გადასდებია ცხოვრების გულმკერს, ღრღნის და აფუტურებს...

სანიკო.

17/V-28 წ.

ვკითხულობ, გაბრუებული ჩავშტერებივარ... ახ, როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა, რომ მოვწყდე ამ წერილებს – დათიკოს პირველ წერილებს – როგორ არ მინდა, ჩამომიწვეს წინ ფარდა ახლინდელით და გამიწყვიტოს ის ტკბილი ზმანება, რომელშიაც შემაცურებს ეს ჯადოსანი, ეს მომხიბლავი წერილები...

ამ წერილებიდან დღესაც, ამ საათშიც, როცა კი გადავფურცლავ, ამოიმართება ის სათაყვანო, ის დიდი ადამიანი, რომელიც მაღალ გორაკზედ დგას – ლამაზი, მომხიბლავი იდეებით.

სპეტაკი, დიადი მიზნების, ცეცხლოვანი, ძლიერი რწმენის და გატაცების გორაკზედ და მთელ მთაზედაც აღმართულია მომხიბლავად, დამატყვევებლად, წარ-მტაცად და მიწვევს თავისკენ უცნაურის ძალით... მეძახის ლამაზი... ახალი, სხვაგვარი ცხოვრებისათვის... მპირდება სახეებს... მპირდება მდიდარ ბაღიდან უცხო თაიგულებს, რომლებიც, მის გარდა, სხვებს არ გააჩნიათ, რომლის მფლობელი ყველა მოკვდავი არ არის.

... მაგრამ მეორე წერილი გამერღვევა და ჩამომესხვრევა, როდესაც წერილებს დავხურავ და ჩემს ცხოვრებას, მასთან განვლილ სევდიან დღეებს თვალს გადავავლებ... მან არ ამიყვანა იქ, იმ მაღალ მწვერვალზედ. მან არ მომაცილა აქ, ამ ცხოვრებას, რომელშიც სული მეხუთებოდა და. რომლიდანაც გამომხსნელად ველოდი

გმირს, რომელიც მისი სახით მევლინებოდა...

მან არ მომწყვიტა ამ ცხოვრებას, რომელიც მე მახრჩობდა, მშხამავდა... არ გამიტაცა თავისთან მაღლა, ღრუბლებთან, სათარეშოდ, ვარსკვლავებთან... მე ისევ მარტო ვარ, მარტო ამ გულღვარძლიან, სულაობებულ, რწმენა მიქვიშულ, გრძნობა- გარიყულ ადამიანებში...

მათთვის ისტერიული ხარხარია, მათთვის შეშლილის ბოდვაა ყველა ლამაზი, დიადი, სპეტაკი და წმინდა...

დათიკო კი, ჩემი სათაყვანო, სალოცავი დათიკო, დარჩა თავის ფიქრებთან, თავის ახლა უფრო ჩამონისლულ და ჩამოღამებულ ცხოვრების სახეებთან...

მე, მე შორს ვარ, შორს მისგან... მე არ ვიცი, სად დაფრენს მისი გონება, მისი გრძნობა... არ ვიცი, რის რისხვით ესხმება თავს, ვის არწევს ნაზ გრძნობის სიმთა რხევის გამაკში...

ეს კი ვიცი, რომ მისი ყველა ფიქრის გაელვება, მისი ყოველი ამოსუნთქვა, მისი ყოველი ღიმილი და ამოკვნესა მთლიანად მე არ მეკუთვნის...

მე... მცირე ნაწილის მფლობელი ვარ, იმ დიდი სულიერი ცხოვრების მატარებელი, იმ ძლიერი განცდებით შერხეულ ადამიანის, რომელსაც გულში ოკეანე აქვს ცეცხლის, სულში უსვენია სისპეტაკე დილის ნამისა, მზის პირველი ამბორით ყვავილთა ბაგეზე შერხეულისა... დათიკოს ჩემი აღარაფერი ესმის... იმ დროს, როდესაც ადამიანს გაგიჟებით გიყვარს, უსიტყვოდ გაუგებ, უბგეროდ იცნობ.

დათიკოს ჩემი ლაპარაკი, ჩემი კილო ლაპარაკისა არ ესმის...

«Я сердит на тебя»,
кто дает повод к этому, а на кого сердится!

да это было бы смешно если бы не было так грустно.

Я тебя люблю пока

если шесть месяцев уже выдержали это «пока», в ваши уста-то это предсказывает будущее, перед которым я бы опустила занавес, закрываю глаза.

ისე დაბინდდდა, რომ ვეღარ ვარჩევ, რას ვწერ. ჩემს სულს კი სწყურია გადმონთხევა დაგუბებულ სევდისა და წუხილისა...

საღამო, 17.V.28 წ.

20/V-28 წ.

ჩემი დიდი მოლოდინი, ჩემი ძიება და რწმენა იყო, რომ მეუფლებოდა გრძნობა ძლიერი, გრძნობა ტიტანი – დამიპყრობდა, გამაგიჟებდა...

ამ გრძნობის იქნებოდა ჩემი თითოეული დამთხვეული, თავგზა- აბნეული მოქმედება. ასევე, დამაჯილდოვებდა ჩემი რაინდი. მას, თავის სანიკოს გარდა, არაფერი ეხსომებოდა. მისი ბედნიერება სანიკოზედ ზრუნვა და სანიკოს თაყვანი იქნებოდა. ...მაგრამ, ჩემს რაინდს, რომელმაც მართლა დამიპყრო და გამაქანა, რომელმაც გადამრია და გარდამქმნა, ჩემთვის არც კი სცალია. მას სადა აქვს დრო, რომ იფიქროს სანიკოზედ, მის ბედნიერება-სიხარულზედ... მას გულში რამოდენიმე სახე აქვს, რომელთაგან სანიკოს უკანასკნელი სათვალავით მიერგოს კუნჭული და ჩემი ბევრის მომლოდინე და უფრო მეტის მომთხოვნელ ნებასა და გრძნობას ეს დათიკოს ბაცი ყურადღება, მკრთალი ზრუნვა და ალერსი მხოლოდ გამოწვდილ მოწყალებად მიაჩნია.

მხოლოდ სიბრალულის ანდა ქმრის ინსტიტუტით გამოწვეულ მოქმედებად მეჩვენა და არა იმ დიდ-ძლიერი გრძნობის ჭენების, გაქანების შედეგად, რაზედაც მომითხრობს ჩემი წარსული ოცნების ხეივნებში ხეტიალის დღიური, ანდა შენი ვარსკვლავებით ნაჭედი, ელვარე ენით ნაფრქვევი წერილები.

სანიკო.

21/V-28 წ.

ახ, როგორ მწყურია, როგორ მწყურია გიჟი, უდარდელი ხეტიალი ჩვენი გრძნობით შეჭედილ, ჩვენი სიყვარულით შერხეულ ტყეში, მინდორში, ბაღში. მაგრამ, დათიკოს ამეებისთვის არ სცალია! დათიკოს გულში ადგილი არც კი აქვს იმის წამიერ გაელვებას, რაც მე ნატვრად და დასატირალ მიცვალებულად გადამქცევია...

სულ ვჩივი, სულ ვოხრავ, სულ ვსტირი, ნუთუ ვერ უნდა დავწყვიტო ეს უმსგავსი შებოჭვა? – ნუთუ ვერ უნდა მივლეწო ეს შემხუთავი, დამახავსებელი, დამმონებელი ყოფა?

არა!

ცხოვრება, – რომ მხოლოდ სცოცხლობდე და სტიროდე, – მე არ მწამს, ვერც შევურიგდები. ცხოვრება ძიებისა და იმედების, ცხოვრება ბედნიერების მოლოდინის და სწრაფვისა და არა ასე გალენჩილი, როგორიც ჩემი აწმყოა – მხოლოდ გლოვა და ცრემლვა გაცრუებულ იმედებზე...

დაე, ნუ ვიპოვნე ჩემთვის ის ანთებული გული, სადაც მხოლოდ სანიკოს ამოდაღავდა.

სიყვარული...

დაე, ნუ გამიმართლა იმედები, რომლებიც გამაქროლებდნენ ჩემი გმირის მოთარეშე სულის ფრთებით... ელვარე ვარსკვლავებთან მოხეტიალე ღრუბლებთან...

ასეთი გული ჰქონია მას, მაგრამ დროს და ხალხს გაუქურდავს... ასეთი გული მაქვს მე და არ მინდა ჩალპეს ჩახავსდეს, სევდით და ნაღველით დავსწყვიტო ძაძა სევდისა გავანთავისუფლო სული სუდარისაგან...

შენი კილო შეიცვალა, დათიკო! მასში უფრო ხშირად მესმის ნახევრად უკმაყოფილების, ნახევრად გაბრაზების კილო.

რათა? თუ უკმაყოფილო ხარ, რატომ არ უნდა მითხრა გარკვევით, აშკარად?! რატომ არ უნდა მომთხოვო სწორ გზაზე გადმოსვლა...

დათიკო, რა უხეშად, როგორი ჯიბრით მითხარი გუშინ: „რა გინდა, აბა, რა გინდა შენ!“

ახ, დათიკო... რა, რა უნდა მინდოდეს მე იმის მეტი, რომ მღირსებოდა სიკვდილი მანამდე, სანამ მე იმ ადამიანისაგან, რომელიც ვიპოვე ქვეყნად სალოცავად, გავიგებდი უხეშ კილოს, მძულვარე გამოხედვას.

მე ც...ს შეხვედრასაც კი გავურბოდი, ც...ს ხსენებასაც კი, მისის გაელვებაც კი ჩემს გონებაში, მეგონა, შენ შეურაცხყოფას გაყენებდა.

მეგონა, მისი დანახვა, მისი გაღიმება და ფიქრების წამიერი გადაქანებაც კი ჩემი შენდამი ლამაზი, ფაქიზი გრძნობის დამამცირებელი იქნებოდა. შენ-კი?.. შენ...

ეს არის სიყვარული იმ ადამიანისა, რომელმაც იპოვა ცხოვრებაში იშვიათი ასული, რომელიც გაიტაცა და გააგიჟა ამ ასულის ლამაზმა სულმა... ხა-ხა-ხა-ხა... მე კი?! მე... უბრალოდ, იმასაც ვერ ვიტან მოკეთისაგანაც,

როცა მეუბნებიან: „ყველა რომ გამოივლით, იმას ამბობს, საწყალი გოგონა, იმ კაცს როგორ გაჰყვაო, იმასთან როგორ ცხოვრობსო“... ამის მთქმელის მე უკვე მტერი ვხდები. მე ვლანძღავ და შეურაცხყოფილის ზიზღით ვშორდები.

მე რომ ც... ვყოფილიყავ, გინდ სიკვდილის პირსაც მენახა და მას შეურაცხყოფა მოეყენებინა შენთვის, რა ვქნა, მე ქრისტიანების სულგრძელობას, მათს კეთილშობილებას ვერ გამოვიჩენდი და მის უკანასკნელ წუთებს უარესად გავამწარებდი.

ახლა კი! ახლა არ ვიცი, როგორ მოვიქცევი. მე არ შემიძლია გაღმერთება ადამიანისა, რომელიც მე მწარედ დამცინებს, რომელიც მე შეურაცხმყოფს. ყველა იძახის, ამ სიცხეში საწყალი ქალი ზამთრის პალტოშია გახვეული, როგორ დადის, არ შეუძლია. ერთი ჟაკეტი იყიდოს და ჩაიცვასო.

ჩემთვის დათიკოს დაპირება ბევრი ჰქონდა...

ახლა მხოლოდ ცრემლებით გამამდიდრა.

გინდათ. ნახოთ ადამიანი, რომელსაც ჰქონდა ცქრიალა თვალები.... მალხაზი ღიმილი... იების სიცილი...

გინდათ. ნახოთ ადამიანი, რომელსაც მკერდში გულის მაგიერ ცეცხლი ენთო გადამბუგავი...

სულში ესვენა სისპეტაკე დილის ნამისა...

ელვარება ვარსკვლავებისა...

სიტურფე, მომხიბლაობა გაზაფხულისა?!

გსურთ, იხილოთ ადამიანი, რომელიც გიჟი იყო თავის ლამაზ ოცნებაში...

მარადი მაძიებელი მომხიბლავ იმედებსა და რწმენაში...

რომელიც ოცნებობდა, რომ მისი ცხოვრება ლამაზ მეტეორად გადაივლიდა კაცობრიობის არენაზედ, რომ

მისი გული, ლამაზი, ძლიერი განათებით ჩაიწვებოდა ლამაზ ბრძოლაში... რომ მას ეუფლებოდა გრძნობა სტიქია, რომელიც აღვირახსნილ, გაჭენებულ თავდავიწყებით გადააქროლებდა უცხო რაინდთან და მათი ცხოვრება, ცხოვრება ლამაზი, ფანტასტიური სახეები... ცხოვრება მჩქეფარე, მგრგვინავი, ცხოვრება მუდმივი ძიება და ბრძოლა გაწყდებოდა ლამაზი წარწერით: „სასწაულმოქმედია სიყვარული“.

აი, ის ადამიანი...

თვალებში სიღრმე და სიბნელე, საიდანაც გამოიყურება სიკვდილი.... სადაც ვეღარ ჩასწვდება შუქი და სხივები. ტუჩებზედ თრთოლა, ცახცახი დამაზრობელი, გამთიშავი სუსხისა.

ხელებზედ, რომელთაც უკავიათ მისი მარადი ოცნების სწრაფვა, ძიების საგანი, – სურათი უცხო ჭაბუკისა.

ხელებზედ... გაცრეცილი კვნესა... მიმქრალი ქვითინი – ჭლექიანი, ყვითელი შემოდგომისა.

გულში ზამთარი – მძიმე ლოდი, რომელსაც დაუძლევია, ჩაუჩოქებია ეს გიჟმაჟი სული სულში.

სრიალი, სისინი მშხამავი გველებისა, ბრჭყალები მორიელისა.

ასე ამართლებს ადამიანი უძილო ღამეს (მიხაკთან) დადებულ ფიცს...

ლამაზ დაპირებებს.

რასაც დაეძებ, სწორედ მას ვერ შეხვდები

როცა ნატრობ, სწორედ მაშინ ვერ ეღირსები.

ჩემი სანატრელი მხოლოდ სიკვდილიღაა. ისღაა ჩემი შველა, ჩემი ხსნა.

ნეტავ. იყვეს ისე, რომ ნუთუ, ნუთუ მე უნდა შვილი მყავდეს...

ნეტავ, იყვეს ისე, რომ შეინაცვლოს სიცოცხლე ჩემი, სიცოცხლე მან მოიტაცოს, ის მოვიდეს ქვეყნად და მე გამოვეთხოვო ქვეყანას – ეს აზრი იმედსავით შემომეჩვია. ახ, ნეტავ, ნეტავ!!!

ვფიქრობ, ბევრჯერ ვფიქრობ თავის მოკვლაზედ. ამით ჩემს თავსაც გავათავისუფლებ ამ ტანჯვისაგან და საბრალო-წამებულ დათიკოსაც, იქნებ, შევუმსუბუქებ ცხოვრებას, მაგრამ, მაგრამ...

აი, მაშინ, მაშინაც რა მოჰყვა ჩემს განზრახვას... როგორ თუ ც...მ ხელი დამაკარა, გამლანძღა... მე ხომ სასწავლებელში ფეხს ვეღარ მივდგამ! მე ხომ ხალხში ვეღარ გამოვჩნდები... და ვიდრე მოვწყდე ჩემს მიზნებს, სწრაფვას, თუკი ვერ მივაღწევ მას, რაზედაც ვფიქრობ, თუკი სადღაც, მიყრუებულ ადგილას მელის გადახვეწა, უსარგებლოდ იქ ბჟუტვა და უმნიშვნელოდ ჩაქრობა, სჯობს ეხლავე სიკვდილი-მეთქი – ეს გადაწყვეტილება მით უფრო გამიადვილდა, დედიკოს ვერა ვხედავდი ჩემს გვერდით...

მაგრამ

ოპიუმი ცოტა მომივიდა, გულზე იმდენად ვერ იმოქმედა, რამდენად – ნაწლავებზედ.

ახ, დედიკო რომ არ მყავდეს, დედიკო რომ არ მეცოდებოდეს... მხოლოდ დარიშხანა მომცა ერთი მტვერი, მხოლოდ ცოტა დარიშხანა და...

წავიდოდი ერთ ღამეს, დავლევდი დარიშხანას და ალაზანს ჩავეხვეოდი...

წერილსა დავტოვებდი, რომ დათიკოს არ ჰგონებოდა, ვითომ თავი მოვიკალი და უარესად არ დასჯილიყო. წერილს დავტოვებდი და უგზოუკვლოდ დავეკარგებოდი, როგორ უსიკო.

მგონი, დათიკოსთვის ეს უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ახლანდელი მდგომარეობა.

საწყალი, საწყალი დათიკო, როგორ ისჯება, როგორ სასტიკად ისჯება იმ ნაბიჯის ისე მოუფიქრებლად გადადგმისათვის!

დავით თურდოსპირელს
უკანასკნელი ამანათი
სანიკო ჩხეიძისაგან.

3/VI-28 წ.

მე სწრაფად გამომისტუმრა თბილისიდან
თითონ კი იქ არის.

რა ვქნა, რა ვუყო, ლამის გადავიკარგო სადღაც, გავიქცე ამ ბინიდან, გავიქცე დათიკოსგან...

ნუთუ დრომ, ახლანდელმა დრომ მომიყვანა დათიკოს გვერდით და არა მისმა გრძნობებმა, გატაცებულ სიყვარულს მოწყურებულმა სულმა...

დათამ იცის, გრძნობს, რომ სასტიკად შესცდა! ამას მისი სანიკოსადმი უგულო, უზრუნველი მოპყრობაც ამტკიცებს და იმიტომ ექცევა ასე სანიკოს, რომ უნდა, სანიკო თითონ ჩამოშორდეს; იქამდე უნდა მიიყვანოს, რომ სანიკომ ვეღარ აიტანოს, იგრძნოს, რომ ის ზედმეტია და თითონ გაშორდეს. ლამის, ლამის, რომ დამაჯერონ, ლამის, რომ ყველა ამას მეც დავეთანხმებოდი...

ოოხ, ჩემო დედიკო, ძვირფასო დედიკო, ჩემო გაწამებულო და გატანჯულო დედიკო! შენი, შენი სიბრალული რომ არ მაკავებდეს, აღარ ძალმიძს ეს მწარე სიცოცხლე, აღარ ძალმიძს ამდენი ტანჯვისა და

მწუხარების გადატანა, აღარ შემიძლია, გავუმკლავდე ამ დაშხამულ ფიქრებს, ეჭვებს... რა ვქნა, რა! დათიკო იშვიათად კარგი ადამიანი ხარ, რატომ, რატომ ჩამაგდე ამ საკირეში, რატომ?!

რატომ მომიკიდე ეს ჩაუნელებელი ცეცხლი ეჭვისა...

მითხარი, მითხარი, რომ ზედმეტი ვარ. შენ ხომ პირდაპირი ხარ, შენ ხომ აშკარა ხარ?! მითხარი, რომ შესცდი და, ნუთუ იმდენად ეჭვი გეპარება ჩემს კეთილშობილებაში, რომ გგონია, საყვედურს გეტყვი, გაგიმწარებ წუთებს?! – არა, გენაცვალე! მე გავყვები ჩემს ყინულებით მოსიპულ გზას, გავყვები ჩემს შავბნელ ბილიკებს, ჩემს დაშხამულ, ჩამონგრეულ მოხვეულებს და სადმე ნაპრალში ამოიკვნესებს უკანასკნელად ნაგვემი სული...

რათა, დათიკო?!

ისე, მწარედ რად ჩამიკლავ ხოლმე გულს, რათ მაგრძნობინებ ხოლმე, რომ შემოხიზნული შენს ოჯახში მეტი ტვირთი ვარ, რომელიც ველარც მოუშორებიათ თავიდან და არც ძვირფასი და სანატრელია?!

ბევრჯერ, ბევრჯერ სახლში ვარ შენთან, ერთ ოთახში, მაგრამ ისე ობლად ვგრძნობ თავს, ისე ობლად, ისე შორს ხარ შენ ჩემგან, ისე შორს...

შენი კილო შეიცვალა, დათიკო, მასში უფრო მოხშირებით მესმის ნახევრად უკმაყოფილება, ნახევრად გაბრაზების კილო.

რატომ?!

თუ უკმაყოფილო ხარ, რატომ არ უნდა მითხრა გარკვევით, აშკარად, რატომ არ უნდა მომთხოვო სწორ გზაზე გადასვლა?! დათიკო, რა უხეშად, როგორი ჯიბრით მითხარი გუშინ: რა გინდა, აბა, რა გინდა შენ?!

დათიკო, რა, რა უნდა მინდოდეს იმის მეტი, რომ მღირსებოდა სიკვდილი მანმადე, სანამ მე იმ ადამიანისაგან, რომელიც ვიპოვე ქვეყნად სალოცავად, გავიგებდი უხეშ კილოს, მძულვარე გამოხედვას.

მე ციცკოსთან შეხვედრებსაც კი გავურბოდი, ციცკოს ხსენებაც კი, მისი გაელვებაც კი ჩემს გონებაში მეგონა, რომ შენ შეურაცხყოფას გაყენებდა. ეგონა, მისი დანახვა, მისი გაღიმება და ფიქრების წამიერი გადაქანებაც კი ჩემი შენდამი ლამაზი, ფაქიზი გრძნობების დამამცირებელი იქნებოდა.

სანიკო.

22/VI-28 წ. თბილისი
კონფერენცია

დავიღალე, მომბეზრდა აქ ყოფნა.

მინდა სახლში, დედიკოსთან. მინდა დასვენება, დაწყნარება!

არ მობრძანდა აქამდე.

ძალიან მინდოდა მისი ნახვა. ახლა კი ჩემთვის სულ ერთია. ალბათ, იმიტომ, რომ მისი გულცივობა მეც გადმომედო. ვისთვისაც მე არ ვარსებობ, არც ჩემთვის უნდა არსებობდეს ის...

ახ, როგორ მინდა, რომ მეც მყავდეს დათიკოსგან ბავშვი, რომ მეც მქონდეს სხვა ზრუნვის საგანი, როგორც მას, რომ ჩემს გრძნობებს რაიმე სხვაც იპყრობდეს, გარდა დათიკოსი. მაშინ, ალბათ, ასე მწვავე აღარ იქნებოდა ჩემთვის მისი უყურადღებობა... ახლა კი...

მე მხოლოდ მისი ვარ

ის კი – სხვისი.

მთელი ჩემი ლტოლვა, სწრაფვა, გაქანება უყურადღებოდ რჩება! რა მძიმეა, რა სევდიანია ჩემი ცხოვრება!

რა ჩამქრალია და ჩამონისლულია...

რატომ გაჰქრა, გაიბნა ის ჩემი ღრმა რწმენა, ჩემი იმედები და სწრაფვა, რომ შემხვედროდა ადამიანი, რომელიც გამიტაცებდა სადღაც უხილავ, ნეტარ არეში და ჩემს გარდა არარა ეხსომებოდა... მე ვიქნებოდი მისი მეუფე, იგი იქნებოდა ჩემი ღმერთი, ჩემი სალოცავი.

არც გამართლებაა ამ ძიებისა, მაგრამ, რომ არც ძიებაღაა. ალბათ, მე ეს ბედი არ მხვდა წილად ამქვეყნად.

მშვიდობით, ყოველგვარო სწრაფვავ და იმედებო, მომხიბლავო წარსულის სიზმრებო...

სანიკო.

ჩემო დიდი ხნის ოცნებავ,

ყოფილო სიზმარო, ძიებავ

აწ სალოცავო მეუფე, დიდებავ, ბედნიერებავ!

საღამოს რვა საათია... ბინდმა მოიცვა გარემო, ბინდი შემოიჭრა ჩვენს ბინაშიც.

მაგრამ მე არ მსურს ამ ბინდის გაფანტვა. მე ეს ბინდი არ მიშლის. პირიქით, უფრო აცხოველებს ჩემი ფიქრის საგანს, ჩემი ძვირფასი დათას ელვარე თვალებს, მის რაინდულ სხეულსა და სულს.

წამოვწექი შენს ლოგინზედ, ჩავეკონე შენს ბალიშებს და შენს მაგიერ მათ ვუძღვენი ნაზი ამბორი, ახლა კი, აი, დამინახე, ჩემო ღმერთო, სიცოცხლე, მუხლი მოვიყარე შენი საწოლის წინ. შენ შენს ლოგინზედ წევხარ. მე

დაჩოქილს თავი მომიყრდნია შენს მკერდზედ, ვუსმენ შენი გულის ძგერას, მესმის ნაზი, ნაზი, იდუმალი, მხიბლავი, შენი მგზნებარე გულის ჩურჩული: სანიკო, გენაცვალე, მიყვარხარ, მიყვარხარ და მეც გპასუხობ მთელის ჩემის აღმოსავლეთის ცეცხლით და გზნებით: მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!!!

23/VI–28 წ. თელავი
დღეს ეს მეორე წერილს გწერ.

რაინდო ჩემის ფიქრების!

ჩემო დამმონებელო, დამატყვევებელო ორატორო, მგოსანო ნაზო, სათუთო, კამარა ეთერის ტალღებში მოქვითინო, ვარსკვლავთა ხომალდით მოცქრიალე სიოს ალერსო, ყვავილთა რხევავ!

ხვალ გაიხსნება თქვენი კონფერენცია. ვესალმები დღესვე პირველი შენს გამოსვლას და მოხიბლული, მხურვალე ტუჩებით დავაკვდები მაგ დაღალულ ბაგეთ, მაგ გაოფლილ შუბლს. ვეცდები, თუმც ვერ მეღირსა (და ბევრი რამ ვერ მეღირსება ხოლმე ცხოვრებაში), ფიქრებში მაინც წარმოვიდგინო ჩემი ძვირფასი დათიკო, მოვუსმინო მის ლამაზ მეტყველებას, მაგრამ ეს ისე შორსაა სინამდვილიდან, რომ ასეთი წარმოდგენა, ვიდრე მასიამოვნებდეს უფრო დამსჯის.

მაინც ჩემზე მეტად ვერვინ განგიცდის, ვერ გაგიგებს, ჩემზედ მხურვალედ არავის მივცემ ნებას, მოგესალმოს. არავისა აქვს ნება, ჩემზედ ძალიან შეგიყვაროს, არავისა აქვს ნება, ჩემზედ წრფელად მოგტაცოს კოცნა.

დღეს გადავფურცლე თაგორის „Король темного

покоя“ და თვალებში მონისლა და გააბრწყინა დათიკოს დაწერილმა „ჩემს ძვირფას სანიკოს“. გმადლობ, გმადლობ, ჩემო სიხარულო, სიყვარულო! გმადლობ, ჩემო შეუდარებელო, სწორუპოვარო დათიკო!

ნახვამდის – ჩქარა მოდი – ჩქარა!

გენაცვალე, გეთაყვანე, შემოგევლე – ჩქარა ჩამოდი!

მხურვალე სალამი დედიკოსაგან

კოტეს წერილი გადავეცი.

24/VI-28 წ. თელავი

29/VI-28 წ.

თელავი, საღამოს 6½ სთ.

ძვირფასო, საყვარელო დათიკუნი!

ესაა, ამ წუთში ჩამოვედი თბილისიდან, პირი კი დავიბანე და შევუდექი ჩემს ტკბილ, სანატრელ დათიკოსთან წერილის წერას.

ახ, როგორ მწყურია, ამაღამაც მანდ ვიყო შენთან, წამოწოლილი ბალახებზედ და მესმოდეს შენი ტკბილი ენა, შენი ალერსიანი ჩურჩული, შენი დამათრობელი კოცნა... მაგრამ, რა დროს ალერსსა და კოცნაზეა ლაპარაკი, როცა შენ დაწყნარებული, დამშვიდებული პირობებიც კი სანატრელი გაქვს მანდ, საშინელ პირობებში, თბილისის პაპანაქებაში...

არ ვიცი, ჩემო ნეტარებავ, როგორ გასძლებ მანდ...

მე, ჩემო დათიკუნი, საშინლად ცუდათ ვიმგზავრე. გუშინ ტფილისში ისე არ შევწუხებულვარ სიცხით, როგორც დღეს, გზაში. ერთი იყო და პაპანაქება

სიცხე იდგა; მეორე – მთელი რონოდა გაიჭედა ისე, რომ ფეხზედ დასადგომი აღარსად იყო; მესამე – სულ ბიჭიკოს დავდევდი, ხან სად მიმემალებოდა და ხან სად გაიქცეოდა... მაგრამ, ასეა თუ ისე, მე ახლა გრილ ოთახში ვზივარ მოსვენებით, შენ კი... თუმცა ასეთი მოსვენება... როგორც მე ვარ, ჩემს მტერს მისცა. მე მოსვენება კი არ მინდა, არა, არა... მე დათიკო მინდა, ჩემი გიჟი, ჩემი გადარეული დათიკო, ჩემი რაინდი, რომელიც დღეს გამოცილებისას ისე ლამაზად, მოხდენილი პოზით იყო გაჩერებული და მემშვიდობებოდა. მაგრამ, ღმერთმანი, ზიარების მადლმა, იმ ლამაზ გამომშვიდობებას, იმ შენს რაინდის პოზას დავთმობ. დაე, ნუ მენახა, ოღონდ ახლა ერთი შემომეჭდონ წელზედ მისი მკლავები მძლავრად, მთელი გრძნობით და ტუჩები დამაკვდნენ ზედ.

სანიკო.

„სევდა და ცრემლი.
ცრემლი და სევდა – ეს მხვდა
წილად ცხოვრებაში“
დავით თურდოსპირელს

აი, ვკითხულობ, ვეცნობი ბევრ, ბევრ მწერლებს.

ვკითხულობ, ვიქანცები.

ვკითხულობ და ვიფიტები.

ვკითხულობ და სული ვერ პოულობს საზრდოს, სული ვერ ეწაფება ნეტარ წყაროს, ვერ სტკბება, ვერ ხარხარებს...

სულს მოსწყურდა ისევ შენი წიგნები, ჩემო ტკბილო მგოსანო, მოსწყურდა შენი ლამაზი, მოჩუხჩუხე, მოჟღურტულე ანკარა ნაკადივით ენა... შენი მუდმივი ხეტიალი ძიების გზებით... შენი ლამაზი სულის მუდმივი ქროლა, თარეში იქ, შენს ნაწარმოებებში... უკეთ, შენი ცხოვრების – ზღაპარ-ცხოვრების ნაწყვეტებში – სული პოულობს დიდ სიმდიდრეს, პოულობს საუნჯეს, რომელიც ღირსებაა მწერლისა.

მიკვირს, მიკვირს, რატომ ყველა ვერა ჰხედავს, ვერ გრძნობს... თუ მამაკაცები არა, ქალები მაინც... ქალი – ეს ხომ გრძნობის ჰანგებია?! რატომ ეს ჰანგები მაინც არ ეფრქვევიან ჯილდო ყვავილებად შენს მხატვრულ, შენს პოეზია-პროზას... რატომ სალოცავად არაა გამხდარი შენი სული, შენი კალამი?!

სანიკო.
10-VII-28 წ.

11-VII-28 წ. თელავი

ძვირფასო, ძვირფასო, სულზე უტკბესო
ჩემო წამებულო დათა!

დღეს მომიფრინდა შენი ორი წერილი ერთად – იმ საშინელი წერილის შემდეგ.

ჩემო ძვირფასო, სულო ჩემო, წერას ველარც კი ვახერხებ, ცრემლი მახრჩობს, შენს საშინელ მდგომარეობას რომ გავითვალისწინებ...

დათიკო, ჩემო დათიკო, ჩემო ტკბილო, სანატრელო დათიკო, მე პირდაპირ არ ვიცი, ვერც კი წარმომიდგენია... მე მეშინია შენს ახლანდელ სულიერ ცხოვრებაზე

ლაპარაკი, იმდენად დაღვარსლული და დაშანთულია ის.

ჩემზედ რაღა საჭიროა ლაპარაკი, დათიკო ჩემო! განა რომ „დედიკოს სულს გაფიცებ, არ იდარდო“ – ასეთ შემთხვევაში შეიძლება? განა ეგ ჩემზეა დამოკიდებული? განა მე შემიძლია, არ ვიდარდო, დამშვიდებული ვიყო იმ დროს, როდესაც შენ, შენ, ჩემო ნაწამებო, ჯვარცმულო დათიკო, მაგ საშინელ მდგომარეობაში იმყოფები, როდესაც შენს ისედაც დაიარავებულ, დაწყლულებულ გულს ახალი ტკივილები დაერთნენ...

დათიკო, დათიკო, ძვირფასო დათიკო! ეს რა მდგომარეობაში ჩავარდი – ესღა გეკლდა? ამასღა ელოდი? ბედნიერების მარად მაძიებელს, მარად სპეტაკსა და კეთილშობილს ამითი გადაგიხადა ცხოვრებამ – ამითი დაგაჯილდოვა?!..

ჩემო სალოცავო, მე მივიღე თუ არა ის წერილი, გადავწყვიტე აუცილებლად ბინის დატოვება და სოფელში გამგზავრება. მე არ ვიცოდი ე-ს მისამართი. გიორგისთან დავწერე წერილი და შიგ ჩავდე წერილი ე-სთან, სადაც ვატყობინებდი, რომ, დათიკოს სურვილისდა თანახმად, ბინას ვცვლი და შეუძლია ჩამოვიდეს...

დათიკო, შემოგევლე, დაგენაცვლე დათიკო, ნუ გაბრაზდები, ნუ გამირისხდები – ასე მინდოდა მოვქცეულიყავი. დათიკო, მე გავითვალისწინე შენი მდგომარეობა, შენი სათუთი, დასუტებული სული ვერ აიტანს იმ ამბებს, რომლითაც გემუქრები, ვერ გაუძლებს, გადაიმსხვრევა, გადილეწება და მაშინ რა გააკეთა სანიკომ დათიკოსთვის, იმ სანიკომ, იმ სანიკომ, რომელიც მარად დათიკოს ეძებდა. დათიკოზედ ლოცულობდა. მის ბედნიერებას შეჰხაროდა – მის ბედნიერებაზედ ოცნებობდა. რითი გასწირა თითონ, რომ დაეხსნა დათიკო ტანჯვისაგან... და ვარჩიე

– ვარჩიე მე გავიტანჯო ცხოვრებაში, დაე, მე მივიღუპო სადღაც სოფელში, ოღონდ დათიკოს (ბედნიერი, ვიცი, ვერ იქნებოდი) ისეთი საშინელი, ისეთი საზარელი ამბები აღარ დაატყდეს-მეთქი თავს... სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, რომ შენ დაუბრუნდე ე-ს... თავის მოკვლა? – დიახაც რომ იოლია, დიახაც, მე დარწმუნებული ვარ, შენთვისაც სანატრელია და უფრო მსუბუქი, ვიდრე ეს მოწამლული ყოფა, მაგრამ დათიკოს, ჩემს გატანჯულ დათიკოს, ეს დაატყდებოდა უკანასკნელ საშინელებად, რომელსაც ვინ იცის, როგორ გადაიტანდა... ოოხ, საშინელია, სიცოცხლე მოგძულდეს, არ გინდოდეს – სიკვდილი არ შეგეძლოს...

ჰოდა, ჩემო ღმერთო, ჩემო სიცოცხლევ, შენმა ამ წერილმა ცოტა შემაფიქრიანა, შემაყოყმანა. არ ვიცი, ვინ იცის, როგორ იმოქმედებს ეს ჩემი ნაბიჯი შენზედ... ვინ იცის, რა საშინელება დაგატყდეს თავს – ასე არ მოვიქცე კიდეც, რა ვიცი, რომ უარეს პირობებს არ გიქმნი ცხოვრების...

ოოხ, დათიკო, დათიკო, ჩემო ყველავ, რა ვქნა, რა ვქნა არ ვიცი, ეს რა დღეში ჩაგაგდე იმიტომ, როგორ გავამჟღავნე იმ პირველ წერილში ჩემი შენდამი თაყვანება, რომ ეს საშინელება მოეტანა მას. იმიტომ, როგორ მოვიტაცე და მოგიტანე ის მიხაკი, რომ მის ყვავილების სიწითლე იარებად ამოდიოდა შენს გულს, რომ მისი ფერით ეწვეთა ცრემლებს შენი დაკუწული გულიდან?

ოო, ვგიჟდები, ჭკუა მერყევა... არ ვიცი, რა ვქნა, რითი გამოვგლიჯო ამ საშინელ ცხოვრებას ჩემი პატარა დათა... რით გავიტაცო, რით გადავაქროლო, რომ დავუშუშო მწვავე წყლულები, რომ განვკურნო მოქვითინე სული.

ჯერ კოტესთვის არაფერი მითქვამს, როგორ მოვიქცე, რა მოვიმოქმედო – ვნახოთ, რას მირჩევს...

მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ლოცვავ, ჩემო ვედ-რებავ, მშვიდობით ჩემო სულისდგმავ, ჩემო შემპყრობელო, დავიჩოქებ და ქვითინით ვეამბორები, ვეამბორები შენს ფეხებს, შენს ხელებს, შენს სამოსს, შენს მოქანცულ შუბლს... შენს ნაწამებ სულს...

შენი მწუხრის სახე სანიკო.

გულითად სალამს და კეთილ, მშვიდობიან მგზავრობას გისურვებს ჩემი დედიკოც. ცრემლიანი თვალებით გზას გილოცავს... და ძილს გიმშვიდებს შენი დედიკოს სახეც.

თუ შენთან არა, მაინც შენი, შენთვის გაგიჟებული ციცინო.

თეთრი ტუფლები იყიდე, თორემ ფეხები გეტკინება, შემოგევლოს შენი გოგონა! შენით ვიცოცხლებ, შენით მოვკვდები, შენ განაცვალებ აწმყოს.

12/VII-28 წ. თელავი, დილის 7 სთ.

ჩემო დათიკო!

მოვიქანცე, მოვიღალე.

ოჰ, რა მძიმეა ცხოვრება!

თურმე რამდენი ენერგიაა საჭირო, რომ იცოცხლო, იცხოვრო...

გამომელია ძალღონე, ჩაკვდა, ჩაქრა გული, განადგურდა ყოველგვარი ხალისი ცხოვრებისა... დამსუსხა ამდენმა უბედურებამ, ამდენმა მწუხარებამ – აქამდე უხმოდ გადაიტანა ამ წყეულმა გულმა ყველაფერი, არ იმჩნევდა, უკეთ, არ უნდოდა, ან შენ, ან დედიკოს შეენიშნა ეს და,

მით უფრო, არ დაგღვარძლოდათ გული... მხოლოდ შენი დედიკოს სურათი იყო მოწმე და ჩემი ბალიში. ახლა კი იმ უკანასკნელ წერილმა მთლად ამომგლიჯა ისედაც დამუწუკებული, დაფლეთილი გული და გაფატრა-გაჯიჯგნა. აღარავითარი იმედი, აღარავითარი სიხარული – აღარაფერს ველი მომავლისაგან. იგი საშინელია, ისეთი საზარელი, რომ მეშინია იქით გადახედვის.

დაიხურა ფარდა მომავლისაკენ...

ვიყურები ჩემს სულში – საშინელებაა, მაზრიალებს.

სანამ აჩრდილად გადაქცეული დაეხეტება მწარე ცხოვრების შავი წიგნაკით ხელში ხრიოკ რიყეზედ. რამდენჯერ სევდამ მწარედ წააჩოქა. კვლავ მიდის ეს ლანდი, მიდის უკვე თვალებდახუჭული – ბედისანაბარა – ვინ იცის, ვინ იცის, რომელ სევდის ქვას წამოჰკრავს უკანასკნელად ფეხს და სამუდამოდ წაიჩოქებს...

მე ოცდაერთი, შენ ორმოცი წელი...

დავეხეტებოდით. ამ კრული ცხოვრების ორღობეებში ვეძებდით, ვეძებდით მწარედ მოწყურებულნი ბედნიერებას... შევცდით... კვლავ განვაგრძეთ ძებნა. ბოლოს, შევხვდით ერთმანეთს, ვიპოვნეთ ერთმანეთი. გვეგონა, ვიპოვნეთ ბედნიერებაც, თურმე ამ უკანასკნელ დაყრდნობას უნდა მოესპო, მოეკაფა რწმენაც კი ბედნიერებისა.

ნეტავ, რა იქნებოდა, რომ არ შევხვედროდით ერთმანეთს? ნეტავ, რითი და როგორ დამთავრდებოდა ჩვენი ცხოვრების გზები?.. შენ განაგრძობდი შენს ცხოვრებას, ამდენ ტანჯვას მაინც არ გამოივლიდი, ეს მწუხარება მაინც აგცდებოდა...

მე კი, მე... ალბათ, და უეჭველად, ჩემი გულის პატრონი, ცხოვრებაში ვერ ავცდებოდი იმ ცრემლების ზღვას, რომელშიც უხდებათ დაძირვა გრძნობის ადამიანებს...

მაინც სჯობიან ეს ტანჯვა-მწუხარება სხვების მდორე, გალელეჩებულ ცხოვრებას.

მაინც, მაინც არ მეგონა, თუ ასე უცებ, ასე მალე დაიხურებოდა ეს გული...

არ მინდა, მძულს ადამიანების სიცილი, ხმამაღალი ლაპარაკი, როგორ საზიზღარნი, როგორ საზარელნი არიან. მხოლოდ სჭამენ და დადიან, მხოლოდ თვალებს ახელენ და ლაპარაკობენ. მათი სული აობებულია, მათი გული შემჭვარტლულია, ის ვერაფერს გრძნობს. ის ნატეხია ფულურო ხისა... საკვირველია, როგორ ყველა კმაყოფილია – უდარდელი – როგორ ვერ გრძნობენ ცხოვრების უკულმართობას, როგორ ერთხელ არ ამოატრიალა ისინი ტალღამ ცხოვრებისა და არ აჩვენა ეს საზარელი, საშინელი სახეები, რომლითაც ასე მდიდარია იგი, რომლითაც ასე უხვად გვაჯილდოებს ზოგიერთებს...

საშინელია, რა მძიმეა ჩემი მდგომარეობა! საცოდავი ჩემი დედიკო, ესაა – ეს ჩემი ბორკილი, რომელიც არ მაძლევს თავისუფალ გასაქანს, თუმც წინ არ მეღობება, ხმას არ იღებს... ბევრს ვცდილობ, თავი ბედნიერად, მხიარულად ვაჩვენო – მაინც დედის გული? ის რას არ იგრძნობს, რას არ მიხვდება.

დედა რომ არა – და მე მგონი, შენ გამიგებდი და მაპატიებდი კიდეც ამას... დღესვე ავდგებოდი, გადავიხვეწებოდი სადღაც, თავს თუ არა, შენ მაინც აგყრიდი ამ ბორკილს, სანიკომ რომ დაგადგა. შენს ნაბიჯებს – არ ვამბობ, რომ შენთვის ეს იოლი იქნებოდა, მაგრამ შენი დალი და მზია ადვილად გადაგატანინებდნენ ამას და სიხარულით შეგიცვლიდნენ ამ მწარე დღეებს... შვილების სიყვარული ყველა გატაცებას გადააჭარბებს,

დასჩრდილავს, დაჰფარავს, მით უმეტეს, ისეთი მამისთვის, როგორიც დათიკოა.

მაგრამ ვაი, რომ ეს ისედაც გატანჯულ ჩემს დედიკოს ბოლოს მოუღებს, სიცოცხლეს მოუსწრაფებს და მე, უბედურს, ისღა მაკლია, დედის მკვლელი გავხდე?!..

მაპატიე დათიკო, რომ ასეთ საშინელ წერილს გწერ, მაგრამ გწერ იმას, რაც მე დღე და ღამ გულს მიღონებს და სიხარულს მისამარებს. რაც მე დეკემბერში თბილისიდან ჩამოსვლის აქეთ სულს მიღვენთავს, გულს, გულს მიჯიჯგნის... ასეთი კოშმარია, დარწმუნებული ვარ, შენს სულშიც, მაგრამ შენ გულახდილი არა ხარ ჩემთან.

მშვიდობით, ჩემო დათიკო!

მე კი ვზივარ ბორკილად და ვრჩები მიზეზი შენი მწუხარებისა.

თელავი. დილის 7 სთ. 12-VII-28 წ.

14/VII-28 წ.

თელავი

დათიკო, დათიკო, ჩემო ღმერთო, ჩემო სალოცავო!

რათა, რათ გამოვგზავნე ის წერილი... განა ცოტა დამიწერია, რომ შენთვის არ გადმომიცია?.. რად მოგიღვარსლე ისედაც განაწამები და დაშხამული სული... როგორ, როგორ გავბედე, რატომ არ დავფიქრდი, რატომ არ წარმოვიდგინე, თუ როგორ იმოქმედებდა შენზედ ის წერილი, ის დაშხამული სულის კივილი, კაეშნის

ფრქვევა?.. მომიტევე, მომიტევე, ჩემო საუნჯევ, მომიტევე სიცოცხლეო, თუ კი შეგიძლია... შენ შენი სანიკოსაგან აღარ გაიგებ ასეთ გულის დამშანთავ რამეს... არა...

შენზედ მლოცველი, შენით დატყვევებული, შენთვის გადარეული სანიკო ეცდება იყოს შენი ბედნიერებისათვის და, თუ სიტყვა „ბედნიერება“ ჩვენ ვერ გვეგუება, შენი სანიკო ეცდება შენი სულიერი ცხოვრების ცოტა მაინც გაშუქება-დამშვიდებას – როცა მოახერხებს და შესძლებს – ეცდება, თუ აქამდე მიზეზი გახდა შენი უბედურების, შენი უზომო ტანჯვა-წამების, აწი მსხვერპლიც გახდეს შენი სიმშვიდე-ბედნიერების, თუკი ამას საჭიროდ დაინახავ...

გწამდეს, გწამდეს, ჩემო დამწუხრებულო დათა – ისე ძლიერია სანიკოს სიყვარული, სანიკოს თაყვანება, რომ ოღონდ, ოღონდაც მას მიუთითონ, რომ დათიკოს ბედნიერებისათვის საჭიროა მსხვერპლად სანიკო, საჭიროა ან სიცოცხლე მოისპოს სანიკომ, ან დღესვე გაათავისუფლოს დათიკო, გადიხვეწოს სადმეო (ეს ორივე ერთია ჩემთვის, მაგრამ უკანასკნელი უფრო მძიმე, აუტანელი) და მე მზად ვარ ამისათვის. მზად ვარ ყოველგვარი სატანჯველისათვის.

მაგრამ, ეს მდგომარეობა კი – ეს ისე მძიმეა, რომ, თუ როგორმე არ შემსუბუქდა, სამივეს და, მეოთხე ჩემს დედიკოს, გადაგვამსხვრევს, უსათუოდ გადაგვამსხვრევს! ვეცადოთ, ზოგს მაინც შევუმსუბუქოთ ეს.

სანიკო.

16/VII-28 წ.

დაგენაცვლე, შემოგევლე, დათიკო ძვირფასო!

მომიტევე, მომიტევე! იმ წერილით გაწყენინე, მარა ხომ იცი, ცოტა სჭირია მოსიყვარულე გულს, რომ მოიღრუბლოს და ქარტეხილისთვის აბობოქრდეს. საკმასირია იმისთვის პატარა შერხევა, პატარა გატოკება იმ მხრიდან, საიდანაც მას არ სურს და რისხვად გადმოიფრქვევა.

და მით უმეტეს, მე ბარომეტრი ვარ, მეტად მგრძნობიარე ბარომეტრი, რომელსაც სცვლიან შენი სიტყვები, შენი წერილები... და, თუმც ისეთ მოწერისთვის მე დამნაშავე არა ვარ, ვინაიდან შენ გამომიწვიე უხეშ კილოზედ, მარა მე არ მინდა ისედაც მოღრუბლული ყოფნა უფრო დაგიმძიმო და შეგიხუთო!..

მე ხომ ყოველთვის ვოცნებობდი და ვოცნებობ, რომ კეთილ ფერიად დაგტრიალებდე თავს, მე ვიყო შენი ქერუბიმი... მე ხომ ყოველთვის სივრცეში ვიფრქვევი, რათა შენს ირგვლივ მიმოვიფანტო, რათა შენს სულს შემოვევლო, გავფანტო, გავაქრო მისი მომნისლავი ატომები ეთერში, რომელიც მხოლოდ და მარტოოდენ ბედნიერებას უნდა განიჭებდეს, ნეტარებას და სიკეთეს გაფრქვევდეს!

მაშ, რატომ უნდა მიმეღო ასეთი მკაცრი და უჩვეულო კილო? მარა, ეჭვი, ეს ეჭვი (თუ იჭვი) სულს მიხუთავს, ყოფნას მიმწარებს, ძვირფასო დათიკო, და ყოველ საბედისწერო მომენტში წინ აგესალტება.

ოოხ, რა მწარე, რა აუტანელი ყოფილა ცხოვრება ადამიანთან, რომელსაც შენთვის უნაცვლებია ძვირფასი, ყველაზე ძვირფასი სიცოცხლის მიზანი – აზრი ყოფისა და შენგან კი არ მიუღია ასეთი შეწირულობა...

წამებაა, ჯოჯოხეთია ჩემი ყოფნა, როდესაც კი ეს ეჭვი დაეუფლება ჩემს ფიქრებს. იგი მიქსელავს, მიბლანდავს აზროვნებას, იგი ვამპირივით მიწოვს მოსვენებას და სიხარულს...

ოხ, რა ვქნა, არა, არ მჯერა ჩემი ბედნიერება! არა, ბედნიერებას დავსტირი, დავეძებ, დამარხული მგონია, თუმც მეგობარია ჩემი. ის მაღალია, ის იშვიათი ადამიანია, რომელსაც შეუძლია ადამიანის გარდაქმნა, რომელსაც შეუძლია გადანათვლა ახლის – ყველა ბოროტ და დაშხამულ გულში ჩაბუგვა ღვარძლისა, ნორჩი გრძნობათა სათუთი ყვავილების აღაღანება.

სანიკო.

ივლისი 1928 წელი, თელავი

საყვარელია, ალამაზებენ ცხოვრებას ქარიშხლები, სევდის ცრემლები... მწუხარების და კაეშნის სახეები...

უმსგავსია... უსახოა...

გალელეჩებული, ერთფეროვანი, მშვიდი, აუშფოთებელი ცხოვრება

მაგრამ

ასეთი სახენი მწუხარების...

ასეთი გრიგალები ქარიშხლისა... აუტანელია, მძიმეა...

ისე მძიმე, რომ, მგონი, წელში მოგვღუნავს, თუ ვერ გადაგვამსხვრევს!

რა ძნელია დაჯერება, დარწმუნება, რომ უყვარხარ, რომ შენ სწამხარ ლოცვად და ღმერთად...

რა დიდი მსხვერპლიც არ უნდა მოგიტანოს, რაც არ უნდა განაცვალოს, მაინც გულს ეჭვი ღრღნის, მაინც დარწმუნებას ბევრი აკლია...

რა საწყაო-შეუვსებელია სიყვარულით ცეცხლმოდებული გულის წყურვილი!

ყველა სიტყვები, რომელთაც ჩემი სიყვარულის მწვერვალებზედ უბიბინიათ, უღაღანიათ...

ყველა სიტყვები, რომლებიც მე ჩემი გრძნობით დავნამე, ავათრთოლე; ყველა სიტყვები, რომლებიც მოვკრიბე ლამაზ მდელოებზედ გრძნობათა, ტრფობათა ფურჩქვნისა და გულში ჩავასვენე სასწაულის, უცხო გმირის მოლოდინში, გადავაფრქვიე, გადავაკმიე ძვირფას დათას...

ახლა ვეძებ, ვეძებ ახალ სიტყვებს...

ვეძებ ახალ გამოთქმებს...

ვეძებ იმიტომ, რომ ყველა ის, რითაც სხვები გამოსთქვამდნენ თავის გრძნობას, ვერ გადმოსცემს ჩემს ტრფიალს დათიკოსადმი, ვერ სრულსახედ ჰყოფს დათიკოს მდიდარ პიროვნებას.

სხვაგვარ გრძნობას ახალი, სხვაგვარი სიტყვები, გამოთქმები უნდა დაებადნა და, რომ ვერ წარმოშვა... რატომ... ნუთუ ამ ძლიერმა გრძნობამ... ამ იშვიათი ადამიანის სადიდებელ-საღმერთებლად ვერ შეჰქმნა უცხო, უჩვეულო ახალი გამოთქმანი, რომელნიც გამოსახავენ მის ძლიერებას?!..

სალოცავო, სალოცავო...

სატრფიალო, საოცნებო ჩემო, ჩემო დათა...

გამიშვი, გამიშვი, გენაცვალე...

მომეცი გზა, ჭირიმე შენი...

გადიხსენი გული, რომ შევიჭრე შიგ, რომ გადავსინჯო ყოველი კუნჭული, რომ გავბატონდე შიგ იმ მდიდარ უსაზღვროებაში... მხოლოდ, მხოლოდ მე ვმბრძანებლობდე... მე, მე შენი გიჟი გოგონა, შენი სანიკო... რომ

ყველა გავდევნო, ყველას წავართვა შენს გულში ადგილი. იგი ხომ ჩემია, ჩემი კუთვნილებაა! იგი ხომ შენ ჩემს სულში გადმოასვენე, მე მომიძღვენი, მე გამამდიდრე იმითი...

მე, მე მინდა, ჩემო გიჟო, ჩემო აღმოსავლეთის ცხოველო მზევ, ჩემო სათაყვანო დათა, მე მინდა ვიყვე ბატონი, მბრძანებელი, მფლობელი შენი ჭარბი გრძნობისა, შენი აპირთავებული გრძნობისა...

მე მინდა, მხოლოდ ჩემი სახელი იყვეს სიყვარულის ასოებით ამოკვეთილი შენი მკერდის ქვეშ მგზნებარე იმ თვალგადაუზომელი, იმ უსაზღვრო ადგილას, რომელსაც დათას გული ჰქვია.

რა მდიდარი...

ახ... რა მდიდარი ვარ...

რა ფასდაუდებელი, რა უბადლო განძეულითაა ჩემი ცხოვრება შემკული, დაჯილდოვებული.

ნუთუ გამომიჩნდება ასეთ სიმდიდრეში მე მეტოქე?! ნუთუ ქვეყნად კიდევ ვინმე იქნება ასეთი საუნჯით გაბედნიერებული?!..

არა, არა და არა!... არა იმიტომ, რომ იშვიათია, ერთია დათიკო... არა, იმიტომ, რომ ერთია დათას მკერდის ქვეშ მთრთოლავი იშვიათი წიგნი – ეს უთვალავი სიყვარულის, სიმღერების და ლოცვების, ცრემლებისა და ღიმილთა ქარგა – დათას გული...

თურმე რა ღატაკი, რა უბადრუკი ვყოფილვარ და ეს ყველამ იცოდა, ყველამ, ჩემს გარდა... ოო... დავიწვი, დავიწვი, გავნადგურდი!

სანიკო.

14/VII

ჩემი ნერვები საშინელ მდგომარეობაშია. ამ საღამოს რამდენჯერ კინაღამ დავსწვდი დანას და გადავიჭერი ძარღვები... მეშინია, უცებ საშინელი რამ არ შემემთხვას. აი, უკვე 4 საათია დილის, მე კი თვალი ვერ მოვხუჭე, თითქოს არც არაფერზე ვფიქრობ მთელ ღამეს, მარა ძარღვები, სახის ნაწილები მითრთის... ხელები და ფეხები დროდადრო მიხტიან...

ოოხ... ოოხ... დათიკო ეს რა დამემართა!

ეს რა საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდე!..

ხანდახან გამივლის თავში, ხომ არ ვგიჟდები. ნუთუ შეიძლება ასე უცებ ჭკუაზედ შერყევა?.. ვაიმე, დედიკოს რა ვუყო, დედიკოს...

სანიკო.

17/VII

აი, ახლა, ამ წუთში ვიგრძენი უდიდესი შეცდომა სელიზეტასი და ჩემიც. აქამდე მე მეგონა უდიდესი სიგმირე და სილამაზე სელიზეტას ნაბიჯის გადადგმა. აქამდე მე დარწმუნებული ვიყავი, გადაწყვეტილი მქონდა, რომ ჩემ სიცოცხლეს უცებ გავსწყვეტდი, როგორც ეს გააკეთა სელიზეტამ და ამით მუდამ ლამაზი, მომხიბლავი დავრჩებოდი დათიკოს ხსოვნაში, დათიკოს ცხოვრებაში... მაგრამ დღეს, მხოლოდ, აი, ამ წუთს მივხვდი, რომ სელიზეტამ უდიდესი ბოროტება ჩაიდინა და მეც მხოლოდ ბოროტი განზრახვა მქონია... თავს მოვიკლავ, რომ დათიკოს ხსოვნაში მომხიბლავი, ლამაზი ვიყო. რა

თავისთავის სიყვარულია, იმდენად მყვარებია დათიკო, დათიკო კი არა, ჩემი თავი, რომ სიკვდილის შემდეგაც მინდა მეთაყვანებოდნენ, მეთაყვანებოდნენ იმ დროს, როდესაც ამით დაიტანჯებიან, დაიშხამებიან...

ოოხ, სანიკო, სანიკო, ნუთუ ასე მცირედ გიყვარს დათიკო?! აკი ამბობდი, სიხარული დათიკოს ბედნიერებაა!

მაგრამ, ახლა დავრწმუნდი, რომ, თუ ვინმეს გსურს ბედნიერება მოუტანო, თუ ვინმე გიყვარს ისე, რომ მისი სიხარული და სიკეთეა შენი ზრუნვა... მაშინ შენ კი არ უნდა გაექცე ტანჯვას და ამითი ის საყვარელი ადამიანი ჩააგდო ჯოჯოხეთის ცეცხლში, პირიქით, შენ უნდა იცოცხლო და იტანჯო... დიახ, მე დარწმუნებული ვარ, მე სელიზეტას შემცდარმა ნაბიჯმა ამიხილა თვალი, მაგრძნობინა, რომ ჩემის სიკვდილით დათიკოს კი არ გავაბედნიერებდი, პირიქით, უკანასკნელ სხივს ჩავუქრობ სიცოცხლეში.

დათიკოს შვება იმაშია, თუ მე ვიცოცხლებ.

დაე, ვიტანჯო! დაე, გული დაიბუგოს, მაგრამ მას ღიმილით გავუწოდო ხელი იმ ქალის მისაშველებლად, რომელიც უსამართლოა, რომ მლანძღავს, მაგინებს... ღიმილით ყოველთვის გზა გავუშუქო იმათკენ, იმათკენ... მისი გული, მზრუნველობა დავუთმო იმას...

მე განზე გავდგე, მე კუთხეში მივიკუნჭო, შეუმ-ჩნეველი... თუ დათიკოს ბედნიერება მინდა, თუ დათიკო თავის დედიკოს ზოგ თვისებებს ხედავს ჩემში, მე კიდევ მინდა მქონდეს დამატებითი კარგი თვისებები – ეს იქნება არა სიკვდილი და დათიკოს დაობლება, მისი გულის გაბზარვა, არამედ ცხოვრება და ტანჯვა, სიცოცხლე და წამება... ამაშია მხოლოდ შვება მისი წამებული სულისა, რომელსაც მე მინდა მსხვერპლად მივცე ჩემი ბედნიერება,

რომელიც ღირსია, მისთვის დაიღუპოს ისეთი პატარა ადამიანი, როგორიც მისი უბედურები მომტანი სანიკოციცინოა.

ღამე 2 საათი 17/VII-28 წ.

დამძიმებული სულით. დათიკო რუსეთშია მეცხრე დღეა

შეცდომაა სელიზეტას გასაღები.

შეყვარებულთა შორის საყვარელი ადამიანის გვამი ყოველთვის გააჩენს ნაპრალს, სადაც ჩამარხავს თავისთან ერთად მათს ბედნიერებასაც.

დღეს... ო, ვნახე...

იმის ამხანაგებმა სალამი მომცეს, იმან კი, იმან გამიცინა. საკვირველია, რატომ ამაღელვა მისმა დანახვამ, მისმა გაცინებამ, მისმა გაწითლებამ?.. მე ხომ ის არ მიყვარს, არ მიყვარდა მასთან ცხოვრების დღიდან. მე ხომ ის მეჯავრება კიდეც, მძულდა, რაც მან სულელური მბრძანებლობა დამიწყო, ბატონობა მოისურვა.

მახსოვს საღამო, 1926 წ. 19 მაისი, როდესაც მე მას მივაძახე ელიზბართან: მეზიზღები, მძულხარ, მომშორდი!

ის გაშრა, გაშეშდა. მხოლოდ ის მითხრა: „მაშ, რაღათ ცხოვრობდი ჩენთანო“

– დედაჩემის გულისთვის-მეთქი.

მერე დაიწყო ხმამაღლა ყვირილი: მაშ, სამი-ოთხი წელი პირობა რათა გქონდა ჩემთან, რატომ მწერდი... წერილებს და სხვ. ახლა აღარ მოგწონვარ?! ახლა სხვები მოგწონს, გსურს თავისუფლად ისეირნო, იარშიყო. არ

მოგწონს, რომ გიშლი და, ბოლოს, ბოლოს საწყალი, საწყალი ბიჭი, ქვითინით მომვარდა: „ბაიკო, მაპატიე, უშენოდ არ შემიძლია, თორემ შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავო“.

როგორ გაგიჟებით, როგორი თავდავიწყებით ვუყვარდი, ვუყვარდი და კი როგორ ჩხუბობდა, რა სცენებს მიმართავდა. მე კი იმის მაგიერ, რომ შემცოდებოდა... შემეზიზღა მოქვითინე მამაკაცი, ამაღელვა მისმა დამუქრებამ, ხელი ვკარი, ხელი ვკარი და კარებისკენ ვუჩვენე. მაშინ კი ამოიტაცა რევოლვერი, მაგრამ ხელში სწვდა ელიზბარი. მე ვიდექი გაშეშებული, უძრავი. წაართვეს რევოლვერი. მომვარდა და დამიწყო ცემა: მოგკლავ და თავსაც მოვიკლავო, მაგრამ წაიყვანეს.

მე მიხაროდა, ვლიტანიობდი... საშინელი უნდა ყოფილიყო ჩემთვის ის ღამე, ისეთი საზიზღარი, ისეთი საძაგელი ვიყავი. რისთვის, რა დამიშავა... ვუყვარდი და ეჭვობდა, მიშლიდა სიარულს... მერე მე როდის, რაში დავუთმე? როდის ვსცადე მის ხასიათზე მემოქმედნა ანდა, განა მართალი არ იყო, როცა მიშლიდა: „თუ გიყვარვარ ნუ ივლი იმასთანო“... (ამხანაგები და შალიკო) მე უარესს ვაკეთებდი. რატომ ახლა არ ვიქცევი ასე, რატომ ახლა არ ვთვითნებობ?.. ახლა ათასი რამ მიფლეთავს სულს... დათიკოს უყურადღებობა, უზრუნველობა, მაგრამ მე პირიქით, ვმალავ, ვფარავ ჩემს დარდს, სიცილში ვახვევ დაკოდილ, დაავადებულ ჩემს სულს, რომ არ დაინახოს დათიკომ.

მე ჩუმი ვარ... ხმაამოუღებელი იმ დროს, როდესაც ის არაფერს დამპირებია და მთელი გული მომცა... ეს კი ბევრს მპირდებოდა და მხოლოდ გული წამართვა... მე ამაღელვა... ც-ს მხოლოდ დანახვამ მაშინ, როცა

განშორებისას ისე მძულდა და განშორებას ისე ვლიტანიობდი... რა იქნება – რა უნდა იყოს, როდესაც დათიკო ხვდება... ც-ს ხელს ართმევს, ესაუბრება...

ც–ს შეხვედრისავე მსწრაფლ სახლში გამოვეშურე... მივედი დათიკოს სურათთან... თავს დამნაშავედ ვგრძნობდი... მინდოდა, ბოდიში მომეხადა, მაგრამ იქიდან შემომხედა... ოჯახისათვის გატანჯულმა სახემ, ამოღამებულმა თვალებმა. გამახსენდა. თავს დამკრა ფიქრმა: „შენ ამ შეხვედრამ საბოდიშოდ მოგიყვანა. იმას, იმას ერთხელ მაინც გაუვლო მაგ აზრმა თავში, როდესაც შენ მოქვითინეს, უპატრონოსავით გტოვებდა და იქ, სანუგეშებლად მიდიოდა, როდესაც შენ მას მიეცი შენი სული, გული, შენი აწყვეტილი გრძნობები დიდი, დიდი მოლოდინით. მან კი ფეხით გაქელა იმ საღამოს. ის ბრმაა მწუხარებით ოჯახზედ. ვერც კი ამჩნევს, ვერც კი ხედავს, რომ ასე დაგიავადდა გული, ასე დაიკოდა, ჩაიხურა შენი გული...“

და ბოდიშის მაგიერ, მწარე ცრემლებმა, რომლებიც არ მშორდებიან დათიკოს დაახლოების დღიდან, რომლებიც მმეგობრობენ და მეხვევიან დათიკოს აპირთათებულ გრძნობების, დათიკოს ძლიერი ტრფობის მაგიერ, მხოლოდ მწარე ცრემლებმა გადმოხეთქა თვალებიდან, გულიდან და დაჰფარა ის სახე, რომელიც ბევრს მპირდებოდა და მარტოოდენ უბედურება მომიტანა. კიდევ ვინ იცის!

დათიკო, დათიკო!

რად მტანჯავ ასე, რა დაგიშავე?!..

იმიტომ გაღმერთებდი, გეთაყვანებოდი

იმიტომ გადავბუგე ეს გული შენთვის, შემოგავლე ჩემი სათუთი სული, რომ ასე დაგესაჯე?!

ან წადი, სულ წადი მასთან

ან არა და ჩემი იყავი, ჩემი!

ნუ იყოფი ორ გრძნობად – ნუ ეკუთვნის შენი გული ორ ქალს.

ან სულ და, ან არაფერი – ამაზედ მომეცი პასუხი, ან მითხარი: „შენი ვარ, მხოლოდ შენი!“

ან წადი, წადი, რომ სევდიან, მაგრამ მაინც ლამაზ ზღაპრად დარჩე ჩემს ცხოვრებაში...

სანიკო.

თელავი

ბაღში მუსიკა უკრავს...

მე ჩაბნელებულ ოთახში ვზივარ...

ფიქრები, მწარე ფიქრები მეხვევიან გარს, მწარე ფიქრები მისვენიან სულში.

მუსიკის ცელქი ჰანგები მიჰქრიან, მიცქრიალებენ ეთერში... კისკისებენ, ლაღობენ, ცელქობენ – ჰქრიან სწრაფად, იცინიან – იცინიან – ცეკვავენ – ცეკვავენ. ჩემი სული ვერ მისდევს მათ. ვერა...

ჩემი სული დამძიმებულია, ჩაბნელებულია, მას არ შეუძლია იმ ცქრიალა ჰანგებთან გაფრენა და კისკისი.

და ტანჯავენ, ამწუხრებენ ისედაც ჩამოშავებულ ჩემს სულს ეს ჰანგები...

არ მინდა ვუსმინო – მუსიკის გიჟს – ვერ ამიტანია მუსიკა! იგი მწუხარებას, უსიამოვნებას იწვევს ჩემში. ოხ, ნეტავი მალე გაჩუმდეს!

ც...ს უთქვია: „მე ისე ძლიერ მიყვარდა ბაიკო, მაგრამ მან არ დამაფასაო“.

მომიტევე ც...ის სიმკაცრე და სისასტიკე, ჩვენ ერთად ყოფნის დროს და, მით უმეტეს, უკანასკნელ ღამეს.

„მე, მართალია, ცოლიც მყავს, შვილიც, მაგრამ მაინც ბაიკო მიყვარს და ჩემს სიცოცხლეში არც დამავიწყდება“; „მე უბედური ვარ, რომ სხვა ქალი შევირთე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისიც არ იქნება ბედნიერიო“...

სცდება ამ უკანასკნელში თუ არა?.. ერთით მართალია, უბედური ვარ იმიტომ, რომ დათიკო მთელის არსებით, გრძნობებით ჩემი არ არის. ამიტომ ისე ცრემლიანია ჩვენი სიყვარულის გაზაფხული, მაგრამ მეორით კი... ციცკოსგან წერილი მივიღე... კოლიამ მომცა კონვერტი: თქვენი წერილიაო. ბაღშივე გავხსენი... გამიკვირდა, ვისგან უნდა ყოფილიყო... ვკითხულობდი და ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი... „ბაიკო, ეს რა გააკეთე, რომ მეც გამაუბედურე და შენი თავიცო, მაგ ..... კაცს როგორ ანაცვალებ შენს სილამაზეს და სიყმაწვილეს, რათ გაიუბედურე თავი, რათ გაიხადე სატირალი საქმეო“.

ისე ავღელდი, ცოტას გასცდა ბაღში ქვითინი არ წამსკდა... ვეღარ დავამთავრე კითხვა...

დათიკო, დათიკო ძვირფასო, მომიტევე, რომ ის შენ შეურაცხყოფას გაყენებდა წერილში ჩემი გულისათვის. მე ვარ დამნაშავე... მე, იმიტომ, რომ ბედნიერად ვერ ვაჩვენებ ხალხს თავს... მე სულ ნაღვლიანი, ცრემლიანი ვარ – აქედან კი შენს შეურაცხყოფად კალამი აიღეს ხელში.

მე ვეღარაფერი ვაწამე. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ... დავხვედროდი და პასუხი გამეცა? – ვერ გავბედე. წერილი მიმეწერა საპასუხოდ?... ვიფიქრე, ამას, იქნებ, მიწერ-მოწერაც მოჰყვეს... ავდექი, ჩავდე კონვერტში მისივე წერილი და ზევიდან წავაწერე: „ნუ

ჰფიქრობ, საბრალო, შეურაცხყო ის ბრწყინვალება, რომელსაც არავითარი ჭუჭყი არ ეკარება, თორემ ეს ტალახი შენვე ჩაგაშავებს, ჩაგმარხავს“... ეს წერილი გავატანე ისევ კოლიას და ვუთხარი: ვფიქრობ, ასე სულელურ როლში აღარ გნახავ-მეთქი.

გუშინ კოლია ვნახე... მითხრა: ც...ო თქვენმა პასუხმა მთლად დამარხა, ისეთი გულმოკლული დადის და ნაღვლიანი, თითქოს საყვარელი არსება მოჰკვდომოდესო.

რა ვქნა, არ მეგონა, თუ ჩემი პასუხი ასე იმოქმედებდა მასზე! – მაგრამ, მაგრამ ასე არ მოიქცევა კიდევ დათიკოს შეურაცხყოფა იქნებოდა...

საწყალი ბიჭი, საწყალი...

ეს მეორედ მოვუკალი გული...

რა საშინლად, რა სასტიკად ისჯება დათიკო.

ბავშვების ნახვაც აღარ შეუძლია... რამდენი ხანია, არ წასულა და არ უნახავს..

ნუთუ, ნუთუ დათიკოს ურჩევნიან, არ სწყურია ისევ დაბრუნება, ისევ ძველი მდგომარეობის აღდგენა? ვფიქრობ, რომ სურს, ძალიანაც სწყურია, მარა არ სდგამს საამისო ნაბიჯს.

რატომ?

ნუთუ ადამიანი ერთხელ თუ შესცდა, მთელი სიცოცხლე უნდა იტანჯოს ამისთვის?! ნუთუ ერთხელ გამრუდებულ გზიდან შეცდომით გადაგმულ ნაბიჯის გამოსწორება აღარ შეიძლება?! ნუთუ ერთი ნაბიჯი უნდა ზღოს მთელ სიცოცხლის გზაზედ ტანჯვით ხეტიალში? ისე ცოტას გვაძლევს ბედნიერებას ეს ბრმა ცხოვრება, რომ არ ეპატიება ადამიანს დამორჩილება ბედისა, როდესაც მას მწუხრის სუდარა ჰბურავს, ჰფარავს...

არ ეპატიება უმოქმედობა... ადამიანმა თითონ უნდა

შეჰქმნას თავის ცხოვრება ბედნიერების მუდმივ ძიების საფუძვლით.

სანიკო.

¤ ¤ ¤

9/X-28 წ. მატარებელში

ძვირფასო სანიკო!

სულ რამდენიმე დღეა, რაც არ მინახიხარ და საუკუნედ მეჩვენება. ძალიან ძნელია ამისთანა დროს შენი მარტოდ დარჩენა, როცა შენ მაგ მდგომარეობაში ხარ და გენატრება სისათუთე, ალერსი. მე ხომ ვიცი, რომ შენ სულ შინ იჯდები და შენს ლამაზ თვალებს ხშირად ცრემლი მოჰნამავს. სანიკუნი, როგორ არის შენი საქმე. მაინც როდის გაისმება ჩვენს ბინაზე ახალი ადამიანის, ჩვენი ლაშარის, ლაშას ფანცქალი?! როდის? რას იგვიანებს ის გიჟუნა, ისა! ამ წერილს გწერ მატარებელში; მე და კოტე, ალბათ, დღესვე გავემგზავრებით ლაგოდეხში და შაბათ საღამოს თელავში გეწვევით.

სანიკო, ვინძლო შენს თავს გაუფრთხილდე და გახსოვდეს, რომ შენზეა დამოკიდებული, რა ნერვების და სულიერი განწყობილების იქნება ჩვენი ბიჭიკო თუ გოგონა. როგორ მენატრება ახლავე ჩამოსვლა, მაგრამ რა ვუყო, აბა, საქმეს ხომ არ ეღალატება! გულითადი სალამი შენს დედიკოს. იყავი კარგად. ნეტავი კი ტფილისში წამომყოლოდი, ნეტავი.

გაკოცებ მრავალს, მარად შენი დათიკო.

✧ ✧ ✧

გუშინ მე და დათიკო ბაღში გავედით... წამოვწექით ერთ პალტოზედ. დათიკო წიგნებით იყო, მეც წიგნი გავიტანე, მაგრამ, მაგრამ... განა შეიძლება, ბაღში წამოწოლილი იყო შენს უსაყვარლეს არსებასთან და ხელში წიგნი გეკავოს, კითხულობდე წიგნს, რომელიც მოგაცილებს მეგობრის სიახლოვეს და გადაგტყორცნის შორს, შორს... განა შეიძლება, გრძნობდე სუნთქვას, გულისცემას საყვარელი ადამიანისა და ამ დროს გადაფრინდე სხვა არეში, სხვა ადამიანებთან, სხვა სამყაროში!

წიგნი გადავაგდე, მთელი ჩემი შინაგანი გრძნობებით მივეცი დათიკოს სიახლოვის გრძნობას. ის ვერ გრძნობდა ამას. ის შორს იყო ჩემგან/ ის წიგნში იყო გართული. მას ბევრი ჩემი სიტყვა არც კი გაუგონია...

ბევრჯერ ვცადე მისი ყურადღების ამოტაცება წიგნიდან, მაგრამ ამაოდ, ამით თავს ვაბეზრებდი.

ავდექი და წამოვედი შინ, დათიკო იქ დავტოვე.

ნაღვლიან ფიქრებმა ჩამიხვიეს.

დათიკოს ვუყვარვარ, ვუყვარვარ, მაგრამ ისე არა, ისე არა, როგორც მე მიყვარს, როგორც მე მინდა...

არა – არა –

მეც, მარტოდ... და მარტოდ სიყვარულსა და ალერსში არ მესმის ცხვრების აზრი

რაა მხოლოდ გრძნობა, თუ მას არ ახლავს მუშაობა სერიოზული, მუშაობა სწორი და საღი?!...

პირიქით... სიყვარული ძლიერი, მტკიცე სიყვარული გაძლევს ენერგიას დაუღალავ, ლამაზ, საზოგადოებრივ შრომისათვის...

მაგრამ, ზოგიერთი ლამაზი წუთების, რომელსაც მხოლოდ სიყვარულისთვის გაძლევს ბუნება... ასეთი

წუთების დაკარგვა და სხვა სახით გამოყენება – ეს გაძარცვაა ბედნიერების... სამუშაო წუთები შეიძლება ყოველთვის დაიჭირო, გამოიყენო, გამოსძებნო, შეჰქმნა... მაგრამ, წუთებს ბედნიერებისათვის... წუთებს მაღალი სიყვარულის, გატაცებისას ვერ შეჰქმნი, ვერ მოსძებნი... იგი იშვიათად გამოჩნდება და, ვაგლახ, თუ ვერ დაიჭირე, თუ ვერ მოიტაცე და ვერ მიუმატე პაწია დროს შენი ცხოვრების ბედნიერებისას...

ჩამოიშალა, ჩამოინგრა სანიკო...

მოზვავდა მისი სული, მისი ცქრიალა, ელვარე სული იქცა ნამსხვრევებად თუ ნანგრევებად.

მოჰკვდა სანიკოს თვალებში სიცოცხლის ძალა, ჩაჰქრა ნაპერწკლები.

მიიცვალა სანიკოს ბაგეზედ მზიური ჟრჟოლა-სიცილი.

აღარ ცქრიალებენ ხმაში კამკამა, ციალი ჰანგები.

აღარ იცინიან მის შუბლზედ ზღაპრული ზმანებანი, მხიბლავი ოცნებანი.

და ეს მაშინ, როდესაც იპოვნა ცხოვრებაში ის, ვისაც ეძებდა!

მე მინდა მოგცე სიმდიდრე ცხოვრებისა

მე მინდა წავუკიდო შენს გულს ცეცხლი

სიყვარულის და ამ ცეცხლის ალმა მინდა, გადაბუგოს შენს ირგვლივ ყოველი მწუხარე აჩრდილები ცხოვრების

მე მინდა, მოგცე საუნჯე ცხოვრებისა

ძალა სიცოცხლისა

აგრამ, შენი გული წალეკა ცრემლთა ჩქეფებმა. იგი აქრობს ცეცხლს, რომელიც მე მინდა დავანთო შენს გულში.

საშინელ, საზარელ ფიქრთა კლანჭებში გული ჩაიჩქვლიფა, ჩაიჯიჯგნა.

უმწეობას, უიმედობას, უსასოობას მიეცა სანიკო.

რათა – რათა?

სანიკოს უფლება არა აქვს!

არა აქვს უფლება, შავ ფიქრთა ყორანს გაუღოს კარი თავისი წმინდა სიყვარულით ათრთოლებული სულისა. არა აქვს უფლება, მგესლავ ფიქრთა მახვილს წამოაგოს გული სიყვარულით მგზნებარე.

მას უყვარს, მას უყვარს უანგაროდ!

მას უყვარს უკვდავი, უჭკნობი, ძლიერი, სათუთი სიყვარულით თავისი დათიკო... მისთვის დღესაც და სამარადჟამოდ დათიკოა ლოცვის არსებობა, ტრფობის სული!

დათიკოს მთელი ფიქრები, მთელი არსება არ ეხმაურება ჩემს აზავთებულ სულს და ამით სევდიანდება, მწუხარდება გული?!

ეს კანონია ცხოვრებისა - დაგვიანებამ მწუხარებით დააგვირგვინა ჩვენი ლამაზი, იშვიათი ტრფობა...

20/X-28 წ.

ძვირფასო! ძვირფასო!

საყვარელო, ცხოვრების შავი დღეებიდან გამწარებულო ჩემო, ჩემო სიცოცხლევ, ტკბილო მეგობარო... მეგობარო... შენი ცხოვრება მარად სხვებზედ ზრუნვა, სხვების ცხოვრებაზედ ფიქრია და ეს სხვები კი ისე ურიცხვია, რომ დაწყებული ახლობლებიდან თავდება კაცობრიობით...

ჩემო კეთილშობილო და მეტადაც კეთილშობილო მეგობარო, ჩემო დათიკო! ნეტავ, არის შემთხვევა,

არის საათები, რომ შენ, შენს თავზე ფიქრობდე, შენს თავზედ ზრუნავდე? ასე გამწარებული გაქვს ცხოვრება, ასე შეწუხებული სული და მე მწერ გაფრთხილებას, ჩემს თავზედ ზრუნვას. ბარემ მინდოდა მესაყვედურა ჩემი უცნაური ადამიანის, იშვიათი ადამიანის – ჩემი მეგობარი დათიკოსათვის, რომ დაცინვაა, წერილში როცა მწერ, „თავს მოუარე, გაუფრთხილდიო“ და, ამავე დროს, შენს თავზე სულ არაფერს ზრუნავ... შენ ისპობ პირად ბედნიერებას და მეც მიშხამებ ამით ცხოვრებას, მაგრამ... მაგრამ... ასეთია, ასეთი, უცნაური, სხვების არა მსგავსი ჩემი დათა და განა შეიძლება ეს უსაყვედუროს მას სანიკომ?! პირიქით, სანიკომ ბოდიში უნდა მოიხადოს თავის უბადლო დათას, ამ იშვიათი ადამიანის წინაშე. ბოდიში იმიტომ, რომ ცოტა აწყენინა იმ წერილში: „იქით შაბათამდე ვერ მოვალო“... და ეს კი შეუძლია მოიწეროს და გააკეთოს მხოლოდ ჩემმა დათიკომ, იშვიათად ბეჯითმა, იშვიათად კეთილშობილმა დავითმა.

აღარ მინდა, აღარ მინდა ეგ საქმეები! შაბათამდე გაძლევ დროს, შაბათს კი რაც საქმეები დაგრჩეს, გადაფხრიწე, გადმოფხრიწე, ბუხარს შეუნთე და გამოიქეცი ჩემთან, შენი კვნესამე, შენი ჭირიმე, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სიყვარულო, ჯერ ხომ გიყვარვარ, ჰა?!..

მითხარი, შენ გეთაყვანე, მითხარი, გიყვარვარ კიდევ თუ არა?! თუ არადა, მაშინ ახალი გაზაფხულისკენ შემოდგომის მწუხრისას გზას დაგილოცავ და შარშან თუ შენს კვალს დავადექ და გამოგყევ, ახლა გამოგეთხოვები და მარად, მარად ვიოცნებებ ჩემს ლამაზ ზღაპარზედ, ჩემი პატარა ზღაპრის მომხიბლავ გმირ დავით თურდოსპირელზედ...

დათიკო, ჩვენი ციცუნია რაც შენ წახვედი, სულ

ავადაა... მეტად სათუთია ეს მცენარე და ძნელად ეგუება ამ ქვეყნის სუსხსა და უხეშობას... მაგრამ იგი მაინც დასძლევს, გადალახავს ყოველ ბოროტებას და სიმახინჯეს. მან უნდა შესძლოს იმიტომ, რომ იგი შვილია ლამაზი განცდების, იგი შვილია ძლიერი, წმინდა სიყვარულისა...

დათიკო ძვირფასო, სალამი ჩემი დედიკოსაგან. შენს თავს გაუფრთხილდი, ისე ამათი დარდი არა მაქვს, როგორც შენიო, რომ შენ თითონ არ ზრუნავ შენს თავზედ და არც ვინმე გყავს ახლოს ისეთი, რომ იფიქროს და ხელი შეგიწყოს! კარგად იყავი და მალე მოდი, თორემ დაიქანცებოდიო.

ახლა კი გამარჯვებით, გტოვებ ჩემო სიცოცხლევ, ჩემო იმედო, ჩემო სიხარულო! როდის იქნება მაგ წყეულ სამსახურს მოაშორო თავი და შენი დაქანცული ორგანიზმი ცოტა შეასვენო და შენი სული გაანთავისუფლო ჯოჯოხეთური ზრუნვისა და ფიქრისაგან. მე და აშარი გეამბორებით, გეამბორებით შენი, შენი, შენი სანიკო.

გიგზავნი წერილებს, რაც მოვიდა შენზედ. შაბათამდე დიდი დროა და იქნებ რა საჭიროებია და რა საჩქარო?!

სანიკო.
28/X-28

თელავი, ნოემბერი, 1928 წ.

სათაყვანო, საოცნებო, ჩემო, ჩემო... ძვირფასო დათიკო...

არ ვიცი... არ ვიცი.... ნუთუ რაიმე შეასუსტებს, რაიმე

შესცვლის ჩემს გაგიჟებულ გრძნობას, ჩემს დამთხვეულ სიყვარულს?!. ამბობდნენ, მეც ცოტა ეჭვი შემეპარა, რომ მაგ სიყვარულს შვილი წაიღებს, ის გაგინახევრებსო... სისულელეა და როგორი! სიცრუე და რა უმსგავსი!.. განა შეუძლია, ერთმა ლამაზმა გრძნობამ მეორე წაშალოს, მეორე დაჰფაროს?! განა ჩემი გოგონასადმი გრძნობას შეუძლია იმსვერპლოს ის ლამაზი გრძნობა, რომელიც ასულდგმულებს სანიკოს მთელი სიცოცხლე?! ის ლამაზი, ძლიერი, წმინდა გრძნობა, რომელიც ელავდა, ღვიოდა დათიკოსადმი მაშინაც კი, როდესაც ჯერ დათიკო სინამდვილის სახით არსად სჩანდა, როდესაც დათიკო მხოლოდ სანის ოცნების რაინდი, ლამაზი ზღაპრის გმირი იყო?!.

დათიკო, დათიკო...

დათიკო, სიცოცხლევ სანიკოსი! რა, რა მეშველება, როგორ, როგორ გადაიტანს ჩემი სული იმას, რომ დათიკოს ჩამოენგრას ჩემი სამლოცველო, რომ დათიკოს სიყვარულის ლოცვაში, ტრფობის ღაღადისში მე ადგილი აღარ მქონდეს?!. მაშინ ჩამოიხრჩობა სული მეოცნებე აჩარხულ ცხოვრების გოროზ სიცრუეზე...

მაშინ გაეკვრება წამების ჯვარზედ, გული წმინდა ტრფობით ათრთოლებული და იქიდან გადმოჟონილი სისხლის ცრემლები მწარე კაეშნის გოდებათა ღორღით მოჰფენს ჩემი წამების, ჩემი ტანჯვის გზას...

მაშინ, მაშინ ჩამოინგრევა ჩემი ზღაპარი ცხოვრება – ჩემი მრწამსი!

მაშინ გამინადგურდება რწმენა, რწმენა ლამაზი, წარმტაცი ცხოვრებისა, რწმენა მომაჯადოებელ, თავგანწირულ, იშვიათ მებრძოლთა, დავით თურდოსპირელისთანა რაინდების არსებობისა.

და ნუთუ შესძლებსღა ასე გაძარცული, ასე გაპარ-ტახებული, ასე გაუდაბნოებული სული ცხოვრების ეკალ-ღორღზედ ხოხვას, წანწალს?

ხშირად, ხშირად ასეთი ეჭვი ვამპირივით მიწოვს სულს, ხშირად ასეთი ფიქრებით მეშხამება დღეები და მისცურავს განაწამები, უძილო ღამეები... მანუგეშე, მანუგეშე ძვირფასო, სათაყვანო დათიკო... მითხარი, რომ ტყუილია ჩემი შიში. მითხარი, რომ შენ რაინდი ხარ, რომელიც არ ნანობს თავის ნაბიჯს, რომ შენ არ ატყუებდი შენს თავს, როდესაც ამბობდი, რომ გიყვარდა სანიკო და მასთან ბედნიერებას იპოვნიდი. მითხარი, რომ მარად დარჩები ლამაზი მაძიებელი, თავგანწირული მებრძოლი და არასოდეს, არასოდეს სანიკოს წინაშე არ დამალავ შენს სულიერ განწყობილებას – სინანული იქნება ეს, კაეშანი თუ ახალი ძიება.

ამ წერილს ვწერდი შენთან, ძვირფასო, მაგრამ გოგონას ჩხავილმა გამაწყვეტინა და ამ ნაწყვეტს ვტოვებ შენს მაგიდაზე...

ახ, რათ, რათ გამიწყდა ეს წერილი?! მაშინ ბევრი, ბევრი რამის თქმა მინდოდა. ახლა აღარაფერი მახსოვს, აღარაფერი ვიცი, რა უნდა მეთქვა.

ერთი კი ვიცი, ჩემო ყველავ: ვიცი, რომ ვერ გეტყვი იმას, რასაც წერილებში გწერ და ვერ მოგწერ იმას, რასაც ჩემს დღიურებში ვწერ...

ვერ გეტყვი ყველაფერს, სათაყვანო, სალოცავო... ვერა... ვერა... ხმამაღლა ვერ ვილოცებ შენს წინაშე, ვერ დავიჩოქებ და ვერ ავმართავ ლოცვას, რომ შენ მხედავდე და გესმოდეს ჩემი. რათა, რათ მერიდება, რათა მრცხვენია?! მრცხვენია ხშირად, სულს სწყურია გეალერსოს, გეტრფიალოს და ეს გრძნობა მორიდებისა

მაკავებს, მიბორკავს გამბედაობას... მე არ ვიცი რატომ, რატომ გამომყვა ეს ჩვენი შეხვედრის პირველ დღიდან და, ალბათ, არცროდის ეს მორიდება, მოკრძალება არ გადილახება, არ მოკვდება. ამიტომაა, რომ უფრო წერილებს მივმართავ ხოლმე, ტკბილო მეგობარო! მომეცი ნება, ჩემს დღიურებში გეალერსო, გეთაყვანო, ვილოცო და წერილებში გესაუბრო, გეტრფიალო... მთლად გაჩუმებას, დადუმებას ჩემი სული ვერ შესძლებს, ვერ შესძლებს იმიტომ, რომ ფართეა, ძლიერი და მრავალფეროვანი მისი ცხოვრება, მისი შფოთვა და თარეში...

შენთვის დაბადებული, შენთვის მოვკვდები!

გიჟი სანიკო, შენი სანიკო...
თელავი

ძვირფასო, ძვირფასო!

არასოდეს მოვიფიქრებდი, არასოდეს წარმოვიდგენდი, რომ შემიყვარდებოდა ასე თავდავიწყებით, ასე გაგიჟებით ადამიანი, რომელიც 25 წელს გადაცილებული იქნებოდა...

ახლა?..

ახლა მიხარია და შენ ჩემი სიცოცხლე მოისურვე და ინაცვალე ჩემი ბედნიერება, ჩემი ცხოვრება... ჩემი ყველა სწრაფვა და სურვილები...

შენი ვარ, შენი...

შენია ჩემი სული, ჩემი ფიქრები... ჩემი გავარვარებული გული... შენ მწამხარ ღმერთად... შენ მხოლოდ მწამხარ სალოცავად... შენა ხარ ჩემი სიყვარული, ჩემი ძალა სიცოცხლისა, მიზანი ცხოვრებისა...

უშენოდ სიცოცხლე?

უშენოდ ცხოვრება?

ჩემო, ჩემო იმედო, სიხარულო...

ჩემო ყველავ, ჩემო ყველაფერო...

უდაბნოა ადგილი, სადაც უშენოდ ვლევ სევდიან დღეებს და ვათავებ კაეშნიან ღამეებს...

ჯოჯოხეთია ცხოვრება, სადაც და როდესაც არ მესმის შენი ტკბილი ხმა, არ მაფრქვევს ალერსს შენი ლამაზი თვალთა კვესება...

უბადლო, უბადლო-სალოცავო...

სალოცავო...

რა მომწამლავია, რა მომშხამავია იმის წარმოდგენა, რომ ის წინეთ, ასევე, როგორც ახლა მე, ეალერსებოდა, კოცნიდა სხვას, რომ მისი ბაგენი სხვას აფრქვევდნენ ალერსს და სიყვარულს, მისი თვალები სხვას ჰხვევდნენ ტრფობისა და სიყვარულის სხივებში.

საშინელია წარმოდგენა იმისი, რომ ოდესღაც ჩემს ადგილას სხვა იღებდა ფასდაუდებელ სიმდიდრეს, ამ ძვირფას საუნჯეს, დათიკოს ალერსსა და სიყვარულს.

მაგრამ უსაშინლესია – დამწველი, გამანადგურებელი – გულის დამჩქვეფი და ამკუწავი ის წამები, როდესაც დათიკო ახლა მე, მე უნდა მეკუთვნოდეს, მთელი ეს სიმდიდრე მე უნდა მეკუთვნოდეს იმიტომ, რომ ისედაც მან ბევრი დახარჯა, გაფლანგა გაძარცვა იმ დროს, როდესაც ჩემთვის, ჩემთვის უნდა შეენახა მთელი თავისი ძლიერი სული, სტიქია გრძნობები. ამის თქმის უფლებას მაძლევს მისი მოწერილი სიტყვები...

...ჰოდა, უიმისოდაც ბევრი წაიღო ე-მ. ოთხი წელი მას მეტოქე არ ჰყოლია, ოთხი წელი იგი ფლობდა დათიკოს ალერსს და ტრფობას, მეფობდა მის სულში და ახლაც... ოოო, ის საშინელი, ის ტვინის დამწველი, სულის

მომწამლავი, დამდაღავი წამები, როდესაც დათიკო მიდის მასთან...

კვლავ განახლება... მაინც აღდგენა ძველი გრძნობების, ძველი დამოკიდებულებისა.

მე არ ვიცი, დათიკო როგორ შეურიგდებოდა, გადაიტანდა თუ არა იმას, რომ მე ც-ს შევხვდე და ვესაუბრო ხოლმე.

მე კი, მე...

მე არ ვიცი, დიდხანს გავუძლებ ამ სიმწარეს, ამ ბალღამსა და შხამს?!..

მგონი, რომ ვერ შემყვეს ბოლომდე მოთმენა; მგონი, რომ დათიკოსადმი სიყვარულმა ვერ დამიხშონ ისრები, რომელსაც თანდათან მიღრმავებენ ის დღეები, როდესაც დათიკოს კვლავ ეპატრონება ის ქალი, მართმევს ნაწილს მისი ტრფობისას...

სანიკო.

26/XI-28 წ.

დათიკო, შენ არ სტყუიხარ, სულ არ სტყუიხარ იმაში, რომ ეხლა დაინახე ის ქალი სიყვარულის თვალებით... სტყუიხარ მხოლოდ იმაში, რომ ჩემთან დამალე, სტყუიხარ იმაში, რომ ის გიყვარს და ჩემთან მოდიხარ...

ერთხელ კიდევ, კიდევ მინდა გნახო, რომ ის სტრიქონები, (რომლებიც ისეთ გაუნელებელ ცეცხლს ატარებენ, რომ ყოველ ახალ წაკითხვაზე უფრო მიბუგავენ სულს) წამიკითხო, შენ თვითონ წამიკითხო და შემომხედო შენი ფაქიზი, დაწმენდილი თვალებით.

ეჰ, რაღა საჭიროა წერა, რაღა საჭიროა?! დათამ დიდი ხანია, თვალები აიხვია და ყურები დაიცო, რომ

ჩემი კვნესა, ტკივილები არ გაეგონა, არ დაენახა...

გიორგიანთას ვიყავით. დათიკომ მითხრა: მე მას ვამშვიდებდი, ხელი მოვკიდე და ვუთხარი – კარგი, კარგი, დამშვიდდი, გენაცვალეო!

არ ვიცი, დათიკოს რომ იმ წუთს ეთქვა: მშვიდობით, სანიკო, მივდივარო – ის უფრო თავზარს დამცემდა თუ ის უფრო გულს მახვილად დაეცემოდა, თუ დათიკოს ეს ნათქვამი.

რაღა, რათ იმოქმედა ასე თავზარდამცემად?! ისე ავღელდი, ისე საშინლად ავღელდი, რომ მთელი სხეული ამიკანკალდა და, რომ ბავშვი ხელიდან არ ჩამვარდნოდა, იმასთან დათიკოს არ შეენიშნა, შირმას მოვეფარე და საწოლზედ ჩამოვჯექი...

სანიკო.

27/XI-5 სთ.

მე დათიკოს ვერ მივწერ მას, რასაც დღიურებში ჩავწერ და ვერ ვეტყვი მას, რასაც მივწერ.

მე დათიკოსი მრცხვენია დღესაც, წელიწადი სრულ-დება და დღესაც მერიდება მისი... ეს გამომყვა დათიკოს ნახვისთანავე....

მე ყოველთვის თვალს ვარიდებდი მას, ყოველთვის მაწითლებდა მასთან დალაპარაკება. ვინ იცის, იქნებ ეს გრძნობის, ტრფობის ბრალიც იყო, რომელიც მაშინვე შეუმჩნევლად ღვიოდა გულში. ვერ ვამჩნევდი, ვერ ვერკვეოდი...

გიჟსავით დავდივარ მთელ ღამეს, გული დავკარგე და ველარ მიპოვნია.

ვფიქრობდი, ამ დღიურებს ან არც როდის წაიკითხავს, ან ჩემი სიკვდილის მერე-მეთქი. ეხლა მე ხომ მკვდარი ვარ... მაშ, წაიკითხე ისინი და არ გაწითლდე.

ეს წაიკითხე, დათიკო, და უკანასკნელად გაეცი პასუხი უბედურ სანიკოს, რომ დაიხუროს შენი წერილთა ტომი და ნუგეშად და მწუხარებად... ლამაზ ზღაპრად და ბედნიერების ნამსხვრევებად სულს დარჩეს ის ტომი.

ოოო, ის წერილები, ის წერილები, ოოო, შენი პირველი წერილები...

დათიკო, ამ წერილს არ მოგწერდი, დარწმუნებული უნდა იყო, არ მოგწერდა სანიკო, რომ შენ ჩამოშორებოდი სანიკოს და წასულიყავი, მაგრამ იმ დაწერილმა „სანიკომ რომ გაიგოსო“, იმან ჩამომიბნელა დათიკოს ბრწყინვალე სახე...

რატომ, რატომ უნდა ყოფილიყო შენი დღიურები ჩემთვის დამალული; იქ ხომ ისეთს არაფერს ჩასწერდი, რასაც მე დამიმალავდი, მაგრამ უბედურო სანიკო, თურმე როგორ სცდებოდა...

პირველად ყოვლისა, მაინც ბოდიშს მოვიხდი, ჩემთვის მაინც ძვირფასო, ისევ ძვირფასო, საყვარელო მოღალატე! მაწუხებს, საშინლად მაწუხებს სინდისი ამ საქციელისათვის, მაგრამ მე თითონ არ მახსოვს, როგორ მოხდა ეს. გეფიცები ჩემ პირველ კოცნას, პირველ ჩემს წერილს, ეს პირველი ულამაზო ნაბიჯია ჩემი, მაგრამ არ იყო ძალა მაშინ, რომელიც მე გამაჩერებდა. იყო ერთი ძალა, რომელმაც ყველა დამავიწყა და ეს ჩამადენინა.

„ე...ე მეხვეოდა და მეც გულში ვეხუტებოდიო“ – და ამას სწერს დათიკო, დათიკო...

ღმერთო, ჩემი ძვირფასი, ჩემი გადამრევი დათიკო, ჩემი იშვიათად კეთილშობილი, ქვეყნად სწორუპოვარი დათა. იმიტომ იყო საჭირო საკუთარი ბინა? მე სულელი

კი ხელს გიწყობდი. ეს მეორედ სცხოვრობდი ქალთან, რომელიც აღარ გიყვარდა და მეორეთაც მე გიმსხვრევ შემბორკავ ხუნდებს...

დედიკო ინდაურს ამზადებდა გამოსაგზავნად, მე შორიდან მინდოდა ალერსი და კოცნა ჩამექსოვა ამ საღამოს შენთან გამოსაგზავნ წერილში და დახე, როგორ ამსხვრევს ცხოვრება ერთ წუთში ბედნიერების კოშკებს, რომელსაც ჩემისთანა სულელის ილუზიები აშენებენ...

შენი დედიკო რომ ცოცხალი იყოს ახლა, რას გეტყოდა, დათიკო?

რამდენჯერ, რამდენჯერ გითქვამს: „მე რამდენად კეთილშობილი ვარ, სანიკო“. კი არ დაგიმატებია: „გარდა შენთან დამოკიდებულებისა“ და შენ გეშინოდა იმისი, რომ მე არ გამეგო და არა იმისი, რა ჩაიდინე. და რატომ, რატომ არ მომწერა ე-მ ეს? მაგრამ მე ხომ მას გათახსირებული, უმსგავსი პიროვნება ვგონივარ და ყველაფერი ის, რაც მიწერია აქამდე, შენ წაშალე. განა იმიტომ ვისჯებოდი შენი მწუხარებით, რომ დიდი ხანია გეუბნებოდი, დაუბრუნდი-მეთქი. მგონი, გიორგიანთსა იძახდი, ნეტავი, ნეტავ კი გაგეგზავნათ ჩემს ე-სთან სანის წერილიო, მაგრამ რატომ არ უთხარი გაგზავნეთო, შენ ხომ არაფერ შუაში იქნებოდი?!

სადღა ვიპოვნო ჩემი დათა, სადღა?!

სადღა ვეძიო ჩემი გული, სადღა?!

დათიკო – დათიკო!!!

რათ დამინგრიე, რათ გამინადგურე რწმენა? რატომ, რატომ გამძარცვე, რათ ჩამოიმურე ის სახე, რომელსაც მე ჩემის ფაქიზი რწმენით ვაღმერთებდი, რომელზედაც ვლოცულობდი და მზად ვიყავი, თავი მსხვერპლად მიმეტანა?!

დათიკო, ჩემს გაუბედურებას ელოდი, რომ იგი ხიდად გაგედო ე-ს სიყვარულისაკენ. ჩემს ბედს ელოდი, რომ მსხვერპლად გაგეღო და ამ მსხვერპლს ე-ე შენთვის ძვირფას, ახალ ადამიანად გაეხადა.

დათიკო... დათიკო...

სალოცაო, სათაყვანო ბ-ნო დავით, დ. თურდოსპი-რელო, რათ გამქურდე, რათ მომწამლე, რათ დამიმსხვრიე ლოცვის თაღები და ნანგრევებში, ღორღში რათ დამიჩქვლიფე გული?!

გული ნორჩი

გული წმინდა სიყვარულით ათრთოლებული, გული სამსხვერპლოდ გამზადებული.

ვაიმე, ვაიმე, რაღათი ვიცოცხლო, რაღათი ვისულდგმულო, სული ამომაძრეს და დამიშანთეს.

გული მომტაცეს და კოცონზედ ამიდაღეს...

ოოო, რატომ ექვსი, შვიდი კვირით ადრე არ გავიგე! რაღა მე გამოვჩნდი ქვეყნაზედ სათუთად კეთილშობილი.

ახ, ახლა რა ვუყო ამ უბედურს, ამ საცოდავ ჩემს პატარას?!

მე აღარ მაქვს იმის რწმენა, რომ დათიკო მასაც არ უღალატებს სიყვარულში.

თავს არ მოვიკლავ, დათიკოს ეს გაუმწარებს სიცოცხლეს! ისევ მოვშორდები, აუცილებლად მოვშორდები, რომ დაუბრუნდეს-მეთქი. ამის გადაწყვეტას მიგვიანებდა ისევ ჩემი გრძნობა, სიყვარული, რომელიც შენ მეორედ ფეხით გამითელე.

ის ღამე... ოო, ის ღამე. სატრფოსგან განგმირულს გულს რა, რა განკურნავს და, აჰა, დააჩქარე შენ... მშვიდობით, ღმერთმა ნუღარ გაღალატებიოს ე-სთვის!..

არ ვიცი... არ ვიცი, შენი სახე და მოგონება კვლავ

იქნება ჩემთვის სათაყვანო და სალოცავი თუ არა.

სიყვარული არ მოკვდება, მაგრამ სწორედ ჩემს დასასჯელად, დასასჯელად, რადგან მე ის ნაბიჯი გადავდგი... მაგრამ, ვინც გიყვარს, შეიძლება იმაზედ აღარ ლოცულობდე.

საწყალი, საწყალი ჩემი უბედური დედიკო.

მშვიდობით!

უკანასკნელად გაბზარული გულით გაკოცებს კაეშნით ჩამოხრჩობილი, ბედნიერებით დაქვრივებული სანიკო კრემენსკაია.

ჩხეიძე გვარის ტარების ნებაც კი არ მქონია, არც შენი ბეჭდისა.

ხელის მანქანა უნდა გამომეტანა და ვუთხარი, ჩაწერეთ სან. ჩხეიძეზედ-მეთქი...

ზაგსში გაიარეთო!

მე ვუთხარი, ჩვენი ზაგსი ჩვენი სიყვარულია-მეთქი (დილას ამას ვამბობდი, ამ საღამოთი კი იქვითინე სულო, ეწამე გულო). მაშ, არ შეიძლება, რომელ სან. ჩხეიძეს მოვთხოვოთო. მართლაც, რომ ჩხეიძე არა ვყოფილვარ...

რა იყო მიზეზი, რომ არ წახვედი აქამდე მასთან?!

ჩემთან როგორღა მოხვედი, როგორღა, რათ მოხვედი?!

სურათი ჩემი, რომელიც შენ გამოიტანე რამოდენიმე დღის წინ, ნაფლეთებად ყრია. რათა, რათ გამოიტანე თუ შენ იმ სურათს აღარ ეთაყვანები, თუ უღალატე!

„სანიკო ჩემგან ფეხმძიმეა და რომ გაიგოს ეს მანო...“ დათიკო, დათიკო, იმის მაგიერ, რომ შენ თითონ გეთქვა, სწერ, „რომ გაიგოსო“...

ოო... მამაკაცებო, მამაკაცებო...

ც-ს მე გავუნადგურე სიყვარული, მხოლოდ არა ღალატით, შენ კიდევ - მე...

მხოლოდ რამდენადაც მე მართალი ვიყავი იქ, იმდენად შენ მტყუანი ხარ აქ...

ერთსღა გთხოვ: დაე, იცოდნენ ეს ყველაფერი – ეს წერილი გიორგიმ იცის - რომ მე არ მოვიქეცი უსინდისოდ, რომ ჩემი სიყვარული არ გაჰქრა, როგორც შენი, ვით სარკეზე ნაორთქლი ან სრიალი ტყის გველის.

მე ც-ს მეგობარი ვიყავი ვითომდა. ნამდვილად კი მე ვცხოვრობდი ოცნებით იმ ადამიანზედ, რომელიც იყო სადღაც ცხოვრებაში და რომელიც უნდა შემხვედროდა... ვაგლახ, მე ვღალატობდი დათიკოს იმით, რომ მე ეს მიყვარდა და მასზე ვლოცულობდი და სხვა ადამიანს კი დავუმეგობრდი და სული კი თავისუფლად აწყვეტილი სული სხვასთან დაჰქროდა, სხვა არეში, სხვა უხილავ, მაგრამ ნაცნობ სულთან არხევდა ეთერს, ათრთოლებდა ვარსკვლავებს, აცრემლებდა ღრუბლებს.

გული მომეცით, მომეცით ჩემი გული!

რა დაგიშავეთ, ხალხო, რა?!..

წაიღეიმმიხაკისნაფლეთები,რომელმაცგამაუბედურა. ღმერთო, ყველაფერი ყოფილა, მხოლოდ არა ღალატი, რომელმაც მომიკლა ზღაპარი და გადამიფხრიწა ჩემი სიამაყე, შენი პირველი წერილები...

მე ხომ მალე ვიგრძენი, რომ ის არ იყო ადამიანი, რომელსაც იცნობდა, რომელსაც ეძებდა ჩემი სული... თუმცა ერთს არ უარვყოფ: მას შეეძლო სიყვარული სხვებზედ ძლიერი... ეს სიყვარული მან მე მომიძღვნა... მე იგი ფეხით გავქელე, მაგრამ რა ვქნა... ჩემი ბრალია, რომ იგი სულის სწორი არ აღმოჩნდა? ჩემი ბრალია, რომ იმას არ ჰქონდა ის სიმდიდრე, რომელსაც ჩემი სული ითხოვდა? მე ვიგრძენი ეს, მე არ შემეშინდა ბრბოს ხარხარის, არ შემეშინდა მათი მოფურთხების, არ

გავექეცი და მათ კანონის ჩრდილს არ ამოვეფარე, რომ არ მომხვედროდა მათ მიერ გადმონაყარი ქვა და ღორღი. მე ყოველთვის მქონდა ხალხის კანონების მოპირდაპირე გზა. ყოველთვის ჩემი ბილიკი აზროვნებისა, ცხოვრების კანონებისა სხვა, მოწინააღმდეგე მხარეს უხვევდა. აკი ამიტომ იყო, რომ ორჯერ უკვე ცხოვრებაში საზოგადოების წესის დარღვევისა და არაკეთილშობილ საქციელისათვის ზიზღით ამომიქოლა მასთან დამოკიდებულების ბილიკი და გამონაპირას მიმატოვა... მაგრამ ჩემშია შეურიგებელი მებრძოლი სული... ჩემშია ტრფიალი და ძიება სილამაზის, მაღალი კეთილშობილებისა და ამაში მე და საზოგადოება, მე და ახლანდელი საზოგადოება ყოველთვის ჯვარედინი გზით დავდივართ და ვინ იცის, ჩემისთანა ადამიანები და როდისმე მაინც საზოგადოების გზები შეხვდებიან ჯვარედინზე და ერთი გზით წავლენ?!..

ჰოდა, ჩემო მეგობარო, უბადლო, სწორუპოვარო ადამიანო! მე უმალ გადავუხვიე გზას, რომელიც ჩემი და ც-ს საერთო არ აღმოჩნდა. შენ... შენ დათიკო, შენ ასეთი სპეტაკი სულის, ასეთი შეურიგებელი, მებრძოლი სულის ადამიანი, შენ ასეთი ფაქიზი, მაღალი გრძნობების (რომელსაც არ სწამს უსულგულო ხვევნა-კოცნა)... როგორ ცხოვრობდი, როგორ მიდიოდი ხელიხელ ჩაკიდებული ერთი ბილიკით ადამიანთან, რომელიც, როგორც შენ სთქვი, არ აღმოჩნდა ის, ვისაც შენ ეძებდი, რომელმაც ვერ გიცნო შენ, ვერ დააფასა, ვერ დაინახა შენი მდიდარი სული, ძლიერი შენი პიროვნება...

დათიკო, მე შენ ამას ვერ მოგიტევებ, ვერ მოგიტევებ იმიტომ, რომ შენ არ გავხარ სხვა, პატარა, ჩვეულებრივ ადამიანებს და, რაც მიეტევება ცხოვრებაში სხვებს, ჩვეულებრივ ადამიანებს, მე იმას არ ვაპატიებ ჩემს

მებრძოლ რაინდს, ჩემს სალოცავ დათიკოს...

ახ, ახ, რატომ, რატომ არ შეიძლება ამ იშვიათად კეთილშობილ, ამ ფაქიზი პიროვნების სულის დახატვა?! დახატვა მისი ლამაზი სულის, დახატვა იმისა, რაც ცხოვრების სინამდვილე ისე მოწყურებულია, რაც ოცნებად, ზღაპრად აქვს არითმული?! რაც ყვავილთა რჩევა ალერსია, სიოს ტრფიალია, ბულბულის კვნესა, ნაკადის რაკრაკი, მზის მწველი მცხუნვარება, ღამის მომხიბლავი ჯადოსანი იდუმალება და არ ვიცი, არ მყოფნის სიტყვები, არ მყოფნის ფერები, არ მყოფნის ბუნების ყველა მომხიბლაობის შეზავება, რომ მისი სული, მისი ზღაპარ-მზიური სული გამოვხატო, მისი ფრთა – ოცნება სული ავსახო.

ვერა... ვერა,

მას შეუძლია, მას შეუძლია თავისი სულის ყვავილთა მარად ღაღანა უჭკნობი სახე ჩააბაროს გარდუვალობას, მიუსვენოს მარადიულობას არსებობისა. მას შეუძლია გადაშლა, გაფანტვა იმ იშვიათი ჰიმნების, იშვიათი სახეების, რომელიც ბევრის გულს, მართლაცდა სამრეცხაოდ, სადეზინფექციოდ გადაექცევა, რომელიც მოსპობს, ჩაჰკლავს ბევრ შავ-ბნელ ზრახვებს, რომელიც გააფაქიზებს, გააკეთილშობილებს მრავალს და აზიარებს იმ მაღალ, წმინდა სწრაფვად და ძიებად, რომელთა მწველი სხივები ბუგავდნენ... სწვავდნენ მის გულს და, რომლებიც იცოცხლებე, იკაშკაშებენ ყოველთვის და ყოველთვის გადაბუგავენ არსებულ მახინჯ ცხოვრებას და შექმნიან ჯანსაღ ახალ ყოფას, ახალ სიცოცხლეს...

მარა ის სამარეს უთხრეს თავის ნამდვილ სახეს – თურდოპირელს. ის მას სძარცვავს, ახრჩობს და ამითი ანგრევს, სპობს იმ გულების სამრეცხაოს, რომელსაც

მისი სულის ელეგიები, ოდები შეიძლება შეუქმნიდნენ საბრალო სნეულებს, მახინჯებს, პატარა ადამიანებს.

დათიკომ სთქვა: „მე ვფიქრობ ხოლმე, ჩემის მიზეზით სხვა რათ უნდა ისჯებოდესო“...

მე ხომ არ მასმინა?

რათა სთქვა ესა?

მართლაცდა, ჩემის მიზეზით რათ, რათ უნდა ისჯებოდნენ სხვები...

სჯობიან, სჯობიან და ასეც უნდა მოხდეს: დაე, დავისაჯო, დაე, დავიტანჯო მე ერთი... მე ეს ჩემი ნაბიჯის შედეგად უნდა მოვიმკო – დავისაჯო მე, მაგიერად მოუტანოს ჩემ დაჩაგრულ, განწირულმა ბედმა სიმშვიდე დათიკოს ოჯახს, მის ბავშვებს – მე დავარღვიე გარეგნულად ერთი სახით ეს ოჯახი.

მე ჩემის აფირიაქებული ბუნებით, რომელიც ყოველთვის თითქოს განგებ მიისწრაფვის იქით, რომ საზოგადოების კანონ-წესები გადალახოს, ააშფოთოს, სადაც სიმშვიდეს ხედავს, ააფორიაქოს, სადაც მყუდროებას შენიშნავს... მე ჩემი ცვალებადობის და შფოთის მატარებელი ბუნებით დავურღვიე დათიკოს მყუდროება, რომელშიც იგი უკვე გარინდული, გაყუჩული სთვლემდა... რული ერეოდა... დათიკოს თითქოს განგებ, განგებ დაეკარგა თავისი სახე, მიეძინებინა თავისი მშფოთვარე, მღელვარე სული. იგი თითქოს მოქანცულიყო და ისვენებდა... მე კი... მე წავართვი ეს სიმშვიდე... თუმცა, თუმცა ამ ფიქრს მაშინ ჩემში სულ არ უარსებია, წუთით არ გაუელვებია... მე მას ვეტრფიალებოდი, როგორც შეუძლია მგოსნის სულს ეტრფიალოს ცხოვრების უდაბნოში მოწყურებულ ზღაპრებს ადამიანი...

მე ვაღმერთებ ამ პიროვნების იმ სახეს, რომელსაც

მე უფრო ვიცნობდი და, რომელიც მე მხიბლავდა და მაჯადოებდა – ეს იყო თურდოსპირელი...

სულ სხვაგვარი იყო ჩემი გრძნობა... მაგრამ, მაგრამ სულ სხვაგვარ გადატყდა, სხვაგვარ სახეში გადავიდა ის თაყვანება.

რა თქმა უნდა, დათიკო, დათიკო თავისი წერილებით, დათიკო თავისი წიგნებით. მან მომხიბლა, მომაჯადოვა წერილებით, მან ხუნდები გამიყარა, მიმაჯაჭვა თავისი წიგნების გადმოცემით.

მისი თქმა: „სულს სწყურია ახალი ცხოვრება, რომელსაც შენ შემიქმნი... მოვიდა სხვა და ვერ დააფასა ის ყვავილები. იქნებ, ამ ყვავილებს შენთვისაც ვინახავდი... და სხ.!

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემი გრძნობების, ჩემი გრძნობების პატრონი არ დავმონებოდი ამ ადამიანს, მით უმეტეს, მგონი, რომ მალე გამომელევა ძალა და უკანასკნელი ადაგილის დასაკავებლად გადავდგამ ნაბიჯს... მით უმეტეს, რომ დათიკოს გრძნობამ ფერი იცვალა, გაიცრიცა, გახუნდა და მე კი მინდა, რომ იგი მარად სცოცხლობდეს. ამას კი დაშორებით შევძლებ, დაშორებით შევინარჩუნებ.

სანიკო.

26-27/XI-28 წ.

მდიდარი ვიყავი უზომოდ
მდიდარი
მქონდა რწმენა: სასწაულმოქმედ სიყვარულისა
სპეტაკი ადამიანებისა

კეთილშობილებისა
თავდადებულ მეგობრობისა
წმინდა ლოცვისა
ახლა?
აღარაფერი მწამს
ვიხილე სალოცავის გულში
ჩამალული სხვა გული და მიიმსხვრა ყველაფერი
გავნადგურდი – გავცამტვერდი!

უბედურია ადამიანი, რომელიც ეყრდნობა სიყვარულს და მეგობრობას ცოლშვილიან მამაკაცისას.

და, ნუთუ მე წარმოვიდგენდი როდისმე, რომ დათიკოს ასე შეუყვარდებოდა ის, რომელზედაც ისე უკმაყოფილო კილოთი მიამბობდა 1927 წლის შემოდგომის საღამოებში, რომელთან მისვლა მას ეზარებოდა, რომლის ალერსი მას სტანჯავდა და ზარავდა.

დათიკოს შეუყვარდა ის ქალი სანიკოს პოვნის შემდეგ და, რომელიც სანიკოს პოვნის დროს მიატოვა, იმიტომ ხომ არ ეძებდა სანიკოს?!

დათიკოს რომ ჩემდამი სიყვარული პირველი სიძ-ლიერით შერჩენოდა, იგი ამდენ იარებს არ გაუჩენდა ჩემს გულს.

მე საშინელი, დაფლეთილი, ჩემის ხელით დაკერებულ „ტუფლებით“ დავდივარ.

მე მცივა და, მაინც, თბილ კაბას არ ვიძენ და არ ვიკერავ!

თუკი დათიკოს ყურადღება, დათიკოს ზრუნვა არ შემიძენს ყოველივეს, რათ მინდა ასეთი ჩაცმა?!

თითქოს ეს წვრილმანია და დათიკოს ამისთვის არ სცალია!

ჩემ მხრივ ეს წვრილმანობაა, მაგრამ ამაშიც კი

მე ვხედავ დათიკოს ფიქრების სხვაგან თარეშს, იმის გრძნობის სხვაგან ნავარდობას.

აბაშელი:
„შენს წინ დავემხე სინანულით აცრემლებული
ჰგავდა საღამოს შენი სახე გაფითრებული“.

მე სხვა არაფერში, არაფერში არა ვარ დამნაშავე, ვარ მხოლოდ იმაში, რომ 1927 წ. დეკემბრის 8-ში ფიცი მივეცი შენს დედიკოს მის გათოშილ სამარესთან, რომ ყველაფერს ვანაცვალებ, თავს შემოვავლებ ჩემს ცხოვრებას, ჩემს ბედნიერებას შენს გატანჯულ დათიკოს. ვეცდები, ვეცდები, რითაც კი შევძლებ, თუნდ საკუთარი გულის მსხვერპლად მიტანით, და მას ბედნიერებას შეუქმნი-მეთქი...

მე კი დათიკოს გსაყვედურობ, რომ ბედნიერება არ მომეცი, ცხოვრებაში მე დავისაჯე-მეთქი.

გამურული დღეები
ჭინკებიანი ღამეები
ტვინში შხამიანი გველების სისინი.
გული ჩანახშირებული – აი, მე და ჩემი ცხოვრება!

უსამკაულო, შემოძარცული
შიშით გავსცქერი
ცის დასალიერს – (დასავალსა)

არ ვიცი, სიტყვა „კეთილშობილება“ მთელი თავისი სიწმინდით მახსოვდეს ცხოვრებაში, მწამდესღა?

შენის ღიმილით ნაქსოვი რიდე
გადავაფარე შავ ფიქრთა ტყესა!
მე ჩემი ფიქრი, ჩემი ნაღველი
შენი ოცნების ქსელში გავხვიე.
თურმე შენს სულში სხვა ყვავილი ამოსულიყო.
კურთხეულ იყო (თუ შენთვის წყეული)
წამი მზიური
ნათესავ სულთა შეერთებისა,
როს კაეშანი ამქვეყნიური
სიმთა წკრიალით ცას შეეთვისა.

ძვირფასო დათიკო!

უბადლო, იშვიათო!

გწერ, გეხვეწები, მომიტევო, მაპატიო, მაგრამ განა შენ რომ მაპატიო, ამითი გათავდება ჩემი წამება, ჩემი სულიერი ტანჯვა?!.. პირიქით, პირიქით, დათიკო, სწორედ ეს დაშანთავს სულს, სწორედ ეს, რომელიც შემაგნებინებს, რაოდენათ ძვირფას და კეთილშობილ ადამიანთან რა საშინლად, მუხანათურად მოვიქეცი... ამიტომ იყო, რომ გითხარი წუხელის, შეგეძლო ორი სიტყვა გეთქვა და უფრო მეტად დაგესაჯე-მეთქი...

და ყველაზე მეტად იმ ღამეს შენი ნათქვამიდან, იცი, რა მიკიდებს ცეცხლს? იცი, რა მიწამლავს სიცოცხლეს? არც „ქურდი“, არც „ყაჩაღი“, არც „უსინდისო“ და არც „ავაზაკი“ ისე, როგორც „მე მეგონა, დედიკოც არ კითხულობდა ჩემს ნაწერებს, ახლა რა ვიცი“. ო... დათიკო, დათიკო! მე დაგიმსხვრიე შენ რწმენა ამაში. მე, მე, შენმა საყვარელმა, მაგრამ უღირსმა, უღირსმა სანიკომ... რაღა, რაღა მომასვენებს, რაღა მაპოვნინებს სულის სიმშვიდეს,

რაღათი გამოვისყიდი ამ ბოროტებას, რომელი სასჯელით, რომელი თავგანწირვით...

ღმერთო, ღმერთო, არცროდის, არცროდის არ გადამიდგამს უმსგავსი ნაბიჯი და ეს კი მოხდა მაშინ, მე ვამაყობდი მეგობრობით იმ ადამიანთან, როგორიც დათიკოა.

დათიკო, შენ შემოგევლე, მე მრცხვენია, მე ვწითლდები ჩემი თავის წინაშე, როცა გამახსენდება, რომ მე ჩუმად წავიკითხე იმის დღიური, რომ მე უმისოდ გავხსენი მასთან მოწერილი წერილი, გავხსენი, თუმცა ბოლომდე არ წამიკითხია და დახეული დავახვედრე მას...

ნუთუ, ნუთუ ეს მე ჩავიდინე, მე, სანიკომ? – მე, რომელიც ვამაყობდი, რომელიც თამამად ვუყურებდი ჩემს მოქმედებათა მსაჯულს, – ჩემს სინდისს და მე ახლა ვცდილობ, მინდა, თავი გავიმართლო იმ ამაყ სან-ს წინაშე, რომელსაც ეზიზღებოდა, სძაგდა ეს ყველას ჩვეულება, რომელიც მაღლა იდგა იმ მოქმედებიდან, რომელსაც ყველა ჩაიდენდა.

მაგრამ, არ შეუძლია თავის გამართლება, არ სურს თავის გამართლება იმიტომ, რომ ის სანიკო ჯერ არ მომკვდარა ჩემში. არ მომკვდარა – არც თავის გამართლებას დაიწყებს – მას არ უნდა ჩაედინა, არ უნდა ჩაედინა ის, რაც არ უნდა მიზეზი ჰქონოდა ამისათვის. იგი არ უნდა ჩამოქვეითებულიყო სხვათა ცხოვრების საფეხურებამდე, არა, არა! ის სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო.

სანიკო
თელავი
3-XII 7-27/XII 28 წ.

3/XII-28 წ.

შენი კვნესამე, დათიკო!

დასწვი, დასწვი, დახიე ის წერილი... არა, არა, იმ წერილს შენ ვერ მოგწერდა შენი სანიკო, შენი სიყვარულით გაგიჟებული, შენი მწუხარებით გულდაკოდილი სანიკო.

ვერ მოგწერდა, რომ დამნაშავეც ყოფილიყო; ის მოგწერა იმ სანიკომ, რომელმაც ჩაიდინა ის უმსგავსი საქმე... და, რომელიც სცოცხლობდა მხოლოდ ერთ დღეს. მოკვდა ის სანიკო, მოკვდა, დათიკო. მე დავმარხე ის სანიკო ისე, რომ აღარც როდის აღსდგება და მის ძეგლად ჩემს სულში აღმართულია უდიდესი სინანული – სინდისის ქენჯნა...

მაგრამ, დათიკო,

ძვირფასო დათიკო,

საყვარელო დათიკო!

მე მაკანკალებს შიშით, მე ყოველ დღეს და ღამეს ელდის თვალებით ვხვდები და შიშით ვესალმები...

მეშინია, მეშინია უდიდესი სასჯელის – ეს სულიერი სიკვდილის, ეს დათიკოს დაკარგვისაა...

მე ამ ბოლო ხანებში მეგონა, ვგრძნობდი თითქოს, რომ ჩვენ თუმც ერთად ვიყავით, თანდათან ვშორდებოდით, ვკარგავდით ერთმანეთს.

დათიკო, დათიკო, ეს დროებითი სახეა შენს დასაპყრობად თუ ნამდვილი გარდაქმნა?! ის ვიცი, რომ ჩვენ თუ დაშორებამ არ გვაპოვნინა ერთმანეთი, მართალია, ჯერ არ დაგვიკარგავს, მაგრამ ერთად ყოფნით დავკარგავთ, დავკარგავთ. ხომ გეუბნებოდი, ხომ გეუბნებოდი, დათიკო, „რომ ძვირფას ქმნილებად გარდიქცევა, რა ვეღარ ვხედავთ“ (შექსპირი).

„რაკი მოშორდა, ძვირფას ქმნილებად გადაიქცა აწ იგი ჩემთვის“

(ანტონიოსი-შექსპირი)

და ეს კი, ეს ჩემს სულიერ სიკვდილს უდრის, რაზედაც მძიმე და საშინელი აღარაფერი იქნება.

მე არ შემიძლია, არ შემიძლია, დათიკო, არა, უშენოდ სიცოცხლე!!!

მე დარწმუნებული ვარ, შენც ასე უნდა იყვე... და, რომ ეს არ მოხდეს, ჩვენც ნუ ჩავიყურყუმელავებთ უმსგავს მორევში, უცხო ოჯახისა. დაე, ერთად ცხოვრება ვანაცვალოთ ერთად სიცოცხლეს. და, როდესაც დავდგებით იმ საფრთხის წინაშე, რომ ჩვენს შორის ჩამოდგება ვინმე და გვიქადის ერთმანეთის დაკარგვას, უმალვე გვეყოს გამბედაობა და გადავდგათ ნაბიჯი ერთმანეთის საპოვნელად.

ძვირფასო, ძვირფასო, გელის, გელის მოუთმენლად შენი სანიკო.

... და წამომუხლისთავებული გაჩერდება სანიკო იმ ადამიან-ღმერთის წინაშე, რომელსაც დათიკოს სახელით იცნობს, ლოცულობს, ლოცულობს, ლოცულობს სანიკო სიყვარულის ლოცვით და შესთხოვს მარადიულობას, არ მოუკლას, არ მოუსპოს ეს ლოცვა – ეს სიცოცხლის მიზანი და შინაარსი.

დგას სანიკო ლოცვად და ელის, ელის თავჩაღუნული, როდის მოვა დათა, აუწევს თავს და დააკვდება სანიკოს შეწუხებულ შუბლს სიყვარულის ტუჩებით.

3/XII

მიყვარდა, მარად მათ ვეთაყვანებოდი, მათ ვეტრ-ფიალებოდი, მათ ჯადოსან სახეთა გალერეაში ვლო-ცულობდი.

მიყვარდა ბევრი ლიტერატურული გმირები (ზოგი მათგანის სახე აღარც კი მახსოვს).

ჩემი სული მათი ლეგენდარული მოქმედებებით საზრდოობდა, კეთილშობილდებოდა.

მათ ლამაზ სახეთა, მათი სპეტაკი სულის, მაღალი გრძნობების შადრევანი ირგვლივ აფრქვევდა სხივებს, რომელნიც სულს ლამაზ ცხოვრებისკენ, უცხო ქვეყნისკენ გზას უჩვენებდნენ (პროვინციაშიც ყოფილა საზრდო სულიერი ცხოვრებისათვის) – მოუწოდებდნენ...

ყველაზე გვირგვინოსანი, ნათელ შარავანდედმოსილი მათ შორის ბრწყინავდი შენ, მეუფევ ჩემო... და შენ მამშვენებელ სხივებში იფრქვეოდა ცრემლები იმ კეთილშობილ პიროვნებისა, რომელმაც მოგმადლა ნიჭი იშვიათი, სათაყვანო ადამიანისა. აი, ოთხი წელი შესრულდება მგონი, შენ მიხვალ იმ შენთვის ძვირფას საფლავზედ და მხოლოდ ცრემლთა ფრქვევით, მხოლოდ მწარე ოხვრით და ღრმა სულის ტკივილებით უხდი მადლობას, მაგრამ შენ იმაზედ არ ფიქრობ, ძვირფასო, რომ შენგან მეტს მოითხოვს, მეტს მოითხოვს ეგ შენთვის და ჩემთვისაც ძვირფასი სამარე, მეტს მოითხოვს აგრეთვე ცხოვრების სნეული, მახინჯი შვილები...

14/XII-28 წ.

აი, გამიცრუვდა
გამინადგურდა

ყველაზედ ბრწყინვალე ოცნება – იმედი
ნავლი-ნაცარიღა დარჩა იმ იმედებიდან
მაგრამ
მაგრამ, კვლავ ველი, რაღაცას ველი, ახლა სხვას, ახალს
ცხოვრებაში.

ასე ყოფილა – იმედი, ოცნება არ ელევა ადამიანს და კრულ ცხოვრებას კიდევ – მტარვალობა, ღვარძლი მათ ჩამოსამსხვრევად, მისალეწად.

ნუთუ დათიკოს შეუძლია წამიკითხოს ის სტრიქონები და არ გაწითლდეს?!

სატრფოს გულის შიგნით ვიხილე კიდევ სხვა გული და ამან გამიბზარა სიცოცხლე
მიმლეწა
მიმანგრია.

15/XII-28 წ.

ბედნიერი ვერ ვიქნები იმითი, რომ ყოველთვის ვიცინო, მაგრამ ვერ ვიქნები იმითაც, რომ სულ ვიტირო.

ცრემლში განიბანა სიყვარული ჩემი და უფრო განსპეტაკდა. ძლიერი ძალა და მომხიბლაობა მიიმატა.

ნუ ზოგავ!

მომეცი, რაცა გაქვს – ალერსი, სიყვარული!

მას ხანმოკლე დროღა აქვს.

დათიკოს ვუთხარი, თუ რამე გაქვს ისეთი, დაკეტე-მეთქი,
მან მიპასუხა: დავკეტეო.
მაშ, დასამალი ჰქონია რამე.

მითხრა: მას შეუძლია გაგლანძღოს იმიტომ, რომ შენ დაუშავე იმასო.

მე კი ვფიქრობ და ისიც აქამდე ასე ფიქრობდა, რომ მე არაფერი დამიშავებია. არა, მაგრამ, თუ ასეთია მისი შეხედულება და აზრი ახლა... ვეცდები დანაშაული გამოვასწორო!

არ მინდა, არ მინდა სხვისი უბედურება – დაე, ისევ მე დავიტანჯო, მე ვიყო უბედური!

მეგონა, ბედნიერებას მოვუტანდი იმას, როგორც ის მარწმუნებდა წინეთ – არ გამართლდა!

დაე, განზედ გადავდგე!

მე მაინც, უბედური ვარ და ვიქნები იმიტომ, რომ ჩემი გრძნობების პატრონს არ შეუძლია იყოს ბედნიერი.

ჩემი ხვედრია მწუხარება და კაეშანი

სევდა და ცრემლი

იმდენი ქალი მოიხიბლა მაგით, რამდენი ქალი ემსხვერპლა, ყველა მაინც მაგაზედ ლოცულობდა.

ნეტავ, მე ვიქნები უკანასკნელი თუ არა?!

და ყველასთვის მაგას იმდენი სიყვარული აქვს, რამდენიც სხვას მთელი სიცოცხლე ერთისთვის ვერ მოეძებნება.

ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, რომ ჩემი ცხოვრებიდან შემეძლოს ამოშლა 13/XII-27 წ. – 26-27/XII-28 წ. ღამეებისა.

ამ ღამეებში ვიხილე სალოცავი ჩემი იმ სახით, რამაც ბინდი მოჰფინა მის ბრწყინვალებას.

საშინელია, როდესაც დაინახავ უხეშ, გოროზ გამოხედვას იმ ადამიანისას, რომელსაც შენ აღმერთებდი და, რომელიც შენზედ ლოცულობდა. თავზარდამცემია მისი ბოროტების რისხვად გადმოქცევა!

წუთებს სხვა წუთები შესცვლიან, დრო გადაჰქროლავს

და... მაგრამ გულში ჩასახლდებიან შხამიანი მორიელები, ასპიტები და მათ მარად ექნებათ საზრდოდ ის ჯოჯოხეთის საშინელების დემონიური ხითხითი.

და შენი სული

სატანის მიერ ამოსუნთქული სამი დროის ნაგლეჯი დამხარხარებს სათარეშოდ.

შენი სული!

მიყვარს გრიგალები

ქარიშხლები – ელვა და ჭექა.

ბევრმა გადაიარა ჩემს პატარა ცხოვრებაზედ, ბევრსაც ველი, მაგრამ თუ სატრფოს გულიდან ამოჰქუხა ქარიშხლიანმა გრიგალმა, იგი უმალვე მიგასამარებს. ის ატარებს ისეთ ძალას, რასაც შენ ვერ გაუძლებ.

არ არის დღე, რომ მე განცდებით არ წამართვას დრომ.

ჩემი სული დაიქსელა აბლაბუდებით, შიგ დაძვრებიან ობობები – სატრფოს შხამიანი სიტყვები.

ვიხილე სატრფოს გული. ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც მე მეგონა.

ნუ გგონიათ, სატრფოს ყოველთვის ალმოკიდებული გული აქვს.

შეიძლება, რომ იხილოთ და აღმოჩნდეს, რომ ნახშირზედღა ლოცულობთ.

თუ გინდათ, რომ სიცოცხლე არ გაგებზაროთ და იმედი მარად გიცისკროვნებდეთ ცხოვრებას, იხილეთ სატრფოს გული, მხოლოდ სიყვარულის განთიადზედ, და ნულარ ეცდებით დაისის ხილვას.

მომხიბლავია ეს მზის დაისი, მაგრამ ჩემთვის ჯოჯოხეთის აგონიაა სატრფოს სიყვარულის დაისი.

გაჰქრეს სიცოცხლე, როდესაც, „ჩემო ყველავ“, უდიდესი სიმდიდრე გარდაიცვლება.

არარაობავ, ჩემთვის წარმოიშვი?!

არა მარტო მაშინ ცარიელდება, იმსხვრევა ბედნიერება, როდესაც შენი სალოცავის სიყვარული მიიცვალება, არამედ მაშინაც, როცა შენ თითონ დაგაცარიელა გრძნობამ.

სიცოცხლე იმსხვრევა, ილეწება მაშინ, როდესაც მიიღვალება სალოცავის სიყვარული და ცარიელდება მაშინ, როდესაც თვით შენ აღარ გაქვს სიყვარული.

პირველი საშინელება სჯობია მეორეს.

პირველს აქვს შინაარსი, მეორე კი ფუღუროა, თუმც ჯოჯოხეთისა.

და, თუ ყვავილები უმალვე დაჭკნენ, ალბათ, მათი ადგილი იყო.

შეიძლება შეცდომამ ერთი წამისამ იმსხვერპლოს მთელი სიცოცხლე.

ნუთუ ამისთვის დაანგრია დათამ ოჯახი და მოიტაცა ეთერში, ვარსკვლავთა კამარაში გასაფრენად სანიკო?!

რა უყო, რა უყო დათამ ის ფრთები? თუ იმას გაატანდა თან, რაღათ პირდებოდა სანიკოს?!

ეს, ეს უმსგავსი დღეთა და თვეთა ერთფეროვანი, ერთსახოვანი რიგები რათ მინდა განვლო მეც ისე, როგორც ყველა გაივლის?!

სულ სხვას ველოდი.

განმეორდა ის, რაც მინახავს ცხოვრებაში და, რასაც თავის მომაბეზრებელი, გარუჟღული სერი ფერით გაუჟრჟოლებია, შეუციებია ჩემთვის.

მორცხვობის ფერმა შეითამაშა სიყვარულისა ლოცვაზედ, როდესაც იგი სატრფომ მოისმინა.

სიყვარული – ეს სულის ყველა სიმების თრთოლვა და ცქრიალი, რომელიც არ მიიცვლება, არ მიიძინებს ამ

სიმებზედ, მისი დაისია მხოლოდ სიმთა დაწყვეტისას.

სიყვარული მარად განთიადს ატარებს, ზოგჯერ თუ ცრემლით ამარგალიტებს, ზოგჯერ მზის სიცილით დაკოცნის.

სიყვარული იმას ჰქვია, რომელიც შფოთსა და ქარიშხლებსაც, ელვას დანათესავებია. სიყვარული არ არის სიყვარული, თუ იგი მშვიდია, წყნარ მდგომარეობის სფეროში მოემწყვდევა.

სჯობს გაწყდეს სიმები, რომელნიც სიყვარულის ჯადოსნურ სიცილსა და ცრემლებს აუჟღერებიათ, სანამ მოეშვას ბგერებით, გული მოინისლოს.

ის თბილისში წავიდა...

წავიდა და აქ დამიტოვა

ცეცხლი ჯოჯოხეთისა, რომელიც უწყალოდ მიბუგავს გონებას, მიბუგავს გულს.

ის უკეთესად შეხვდება მას, ვიდრე მე მხვდება ახლა.

მაგრამ, უარეს საშინელებას მოველი. მე მგონი, რომ ამდენი წამება სულისა სულ დააშრობს, ამოსწურავს მას. მას აღარ ექნება ადგილები ახალ წყლულებისათვის. ახალ ტკივილებისთვის და მე იქ გამგზავრებას შევხვდები ისევე, ისევე აუღელვებლად, როდესაც არ ვიცოდი, რომ იმას თანდათან მიძინებული ოთხწელიწადში გრძნობა ისევ ეღვიძება და მაშინ იქნება უარესი საშინელება.

მაშინ შემრჩება სული მახინჯი და არ მიყვარდეს დათიკო... მაშ, მით უმეტეს სხვა არავინ უნდა მიყვარდეს და სული უსიყვარულო უნდა ეხეტებოდეს ეულად ცხოვრებაში.

იმ დროს, როცა მეგობართა ხელჩაბმით სიარულიც-კი მძიმე და არა ოცნების ფერია.

მაგრამ

მაგრამ, მაქვს ახალი მიზანი ცხოვრებაში – ეს ჩემი ციცუნიაა –

დედიკო და ციცუნია

მოაწვდიან ძლიერი განცდების მაძებარ ჩემს სულს მრავალ ყვავილებს, მრავალ სახეებს, მაგრამ ქარიშხლები ლამაზი ელვითა და ჭექით მოენატრება სულს, თუმცა ახლავე დამდოვრდა ჩემი ცხოვრება და ახლაც მენატრება.

სანიკო

ადამიანო-ღმერთო...

კაცთა შორის, მათგან სატანჯველად, მაგრამ მათვე გასაკეთილშობილებლად მოვლენილო... მე ხომ არ შემიძლია, არა, მე არა მაქვს უფლება, ვატაროღა შენი მეგობრობის სახელი...

არა... არა... არ ვყოფილვარ ღირსი!

აი-აი, სალოცაო, მე გველსავით ვიკლაკნები, შენი სულის ნათელ სხივებს თვალს ვეღარ ვუშტერებ, მაგრამ, მაგრამ განა შეიძლება, მაგ შუქმა და სხივოსნობამ ბნელი არ გაანათოს?! განა შეიძლება, მაგ ელვარებამ და გზნებამ ბოროტება არ გადაბუგოს?!

დათიკო, გენაცვალე, მოიწყვიტე, მოიწყვიტე მაგ დაღლილ ნაწამებ სულიდან, თუ სანიკომ უხეშად კიდევ მიუმატა რაიმე იარა; მოიცილე კიდევ, კიდევ სხვაც, სხვა იარებიც და მოეცი, მოეცი შენთვის თავდადებულ, შენზედ მლოცველ მეგობრის გულს... რათა... რათ უნდა ეწამებოდეს ცალკე ეგ გული და ცალკე – ეს ჩემი?!..

ეს ხომ ის არ არის, რასაც მეგობრობა ჰქვია? ეს ხომ ის არაა, რასაც სანიკო და დათიკო ერთმანეთს ჰპირდებოდნენ, ერთმანეთიდან მოელოდნენ?!..

მე მენატრება, მე მწყურია, მწყურია, დათიკო, შენი ბედნიერება, შენი სულის დასვენება და გაღიმება. ნუ, მეგობარო... ნუ, ნუ მისცემიხარ სევდასა და კაეშანს...

ნუ ჩაგიხურია, ნუ ჩაგიკეტია ეგ დაჩქვლეფილი, დასერილი გული და ნუ სჯიჯგნი მწუხარების ბრჭყალებით, ნუ აწრთობ კაეშნის მარწუხებით...

მითხარი, მითხარი, მეგობარო, რატომ მე, მე, შენმა საცოდავმა სანიკომ არ უნდა ვიცოდე შენი ვარამი და მწუხარება?!.. რატომ მე უნდა მჭიროდეს მიხვედრა, გამოცნობა დათიკოს დაღვრემილობისა, დათიკოს ჩამონისვლისა?!.. მეგობარო, ამას წინეთ, როდესაც მე ისედაც შეწუხებულს, დამწუხრებულს კიდევ უხეშად გისაყვედურებდი, მითხარი: მე ყველაფერი გულში ჩავიკალიო. არ მინდა, არ მინდა, დათიკოს კვნესამე, დათიკო. შემოგევლე.

1/III-29 წ.

თელავი

ამ დღიურს ვიწყებ მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ პირველად წავაწყდი გაყვითლებულ ფურცლებს ც-ს წერილებისა...

საკვირველია, მაშინ არ მოქმედებდა ის წერილები ჩემზე ისე, როგორც ახლა...

ბევრჯერ მაგრძნობინა დანაშაული მის წინაშე ამ ფურცლებმა...

ბევრში, ბევრში ვტყუი მასთან.

ის არც ისე ფუქსავატი ყოფილა, როგორც მე მეგონა, ყოველ შემთხვევაში, გრძნობა ძლიერი და ფაქიზი ჰქონია;

ყოველ შემთხვევაში, მას განსაკუთრებული თვისებები დაუნახავს ჩემში და, რაც მთავარია, სწორედ ამ სხვაგვარი ადამიანობისთვის ლოცულობდა ჩემთვის.

მე მზად ვარ, ჩემი მაშინდელი დანაშაულის გამოსასყიდად, მას გავუწოდო კეთილი ნაცნობობის ხელი და სალამი...

ის მე მისაყვედურებდა ბეჭდის ხსენებას, ისიც გაუგებრობით: ისეთს წაჰყვებოდი, რომ ზაქსი კი არა, ეკლესიაში დაგეწერა ჯვარიო.

და აკი ისეთს წავყევი, რომელსაც დაავიწყდა, რომ ორჯერ დაიწერა ეკლესიაში ჯვარი და ორჯერ გვირგვინის ქვეშ გაკავებული მისი თავი /დაუჯერებელია/ არ ვიცი, რას ფიქრობდა...

ნუთუ თ-ელს თავზე გვირგვინი სდგმია, ეკლესიაში მღვდლის სიტყვები თუთიყუშსავით უმეორებია, ხელი-ხელ ჩაკიდებული თავის დედოფალთან მღვდლის უკან უტრიალია, მიუღია მღვდლის ლოცვა-კურთხევა და ლითონის ჯვრის ამბორი?!

სანიკოს დასცინის, სანიკოს!

იმან მოკლა ჩემი გული...

და ლამის არის, რწმენაც მომიკლას

ნუთუ ცხოვრებაში არ მოიპოვება ადამიანი, რომ მასში სიყალბე არ იყვეს?

და, თურმე, ის კოცნა იუდას ამბორი ყოფილა.

ბავშვობაში ისეთი სასოებით მწამდა ქრისტიანების ღმერთი... ის ღმერთი... კი არა ყოფილა...

გავიზარდე – აღარ მწამს!

იმ ღმერთის ნაცვლად, ღმერთად ლოცვა გავიხადე – თურდოსპირელი.

ეს ღმერთიც არა ყოფილა.

ჩავიხედე მის სულში – აღარ მწამს.

ყველგან პატიოსანი და პირდაპირი მხოლოდ ჩემთან აღმოჩნდა ცბი...

და, ღმერთო, ღმერთო ჩემო, ნუთუ მე, მე სანიკო, ამ სიტყვას უნდა ვწერდე... ვწერდე და ვისზე, ვისზე – დ. თურდოსპირელზე, ჩემს სათაყვანო დათაზე, დათიკოზე...

ოო, რა მწარეა, რა მწარე!

თელავში არის ადამიანი, რომელსაც თავდავიწყებით ვუყვარვარ...

მე მას ვამჩნევდი, მართალია, უზომო ყურადღებას და პატივისცემას, მაგრამ, თუ მისი გრძნობების მფლობელიც ვიყავი, ეს კი არ ვიცოდი... სრულიად შემთხვევით გავიგე დღეს და საოცარია, ისეთი შვება და ნუგეში ვიგრძენი ჩემს დამძიმებულ, დაღუშული ფიქრებით გაჟღენთილ ცხოვრებაში, თითქოს მეპოვნოს დათიკოს პირვანდელი სიყვარული...

მაინც სხივებმა გაჰკვეთეს ჩემი მონისლული სული და მიხარია, რომ არის ადამიანი, რომლისთვის მე ძვირფასი ვარ და, რომელსაც მე ღრმა პატივისცემით... მხოლოდ პატივისცემით ვუპასუხებ.

მაგონდება: მან ერთხელ ისე სევდიანად მითხრა, თქვენ ნიკაპი გაყოფილი გაქვთ, თქვენ უეჭველად ბედნიერი ხართ ცხოვრებაშიო.

მე სევდიანად გამეცინა. მხოლოდ გამეცინა და ამ სიცილმა გულს კიდევ თრთვილი გადააყარა, კიდევ მოამატა სევდის ხორხოში... რა ვიცოდი, რომ ის ჩემი საუკეთესო მეგობარი ყოფილა, რა ვიცოდი, თორემ ამ მოგუბებულ ვარამსა და ნაღველს ხომ გავუზიარებდი ადამიანს, ერთ ადამიანს მაინც, რომლის თანაგრძნობა, მიტოვებულ, დაობლებულ სულს დაათბობდა...

დათიკო, დათიკო!

დათა – ძვირფასო...

ნუთუ, ნუთუ შენმა ულმობელმა მოპყრობამ, შენმა წამონაქროლმა სუსხმა უყურადღებობის, კუთხეში მიტოვებისა უნდა მომიკლას ის ძლიერი, ის მგზნებარე გრძნობები?! ნუთუ შეიძლება გასწყდეს ის ლოცვა, რომელიც მე ისე სასოებით დავიწყე?! ნუ-თუ მოკვდება რწმენა, რომელმაც შემაყვარა ცხოვრება, სიცოცხლე?!

ახ, მეგობარო, მეგობარო...

რამდენჯერ ჩაგიქრია ქარიშხალი გრძნობებისა, რამ-დენჯერ მომწყურებია გიჟური ალერსი, თავდავიწყებითი ქროლა, ნავარდი, მაგრამ შემინიშნავს შენს შუბლზე სხვაგვარი ხაზები, ამომიკითხავს შენს თვალებში სხვისი სახელი და გასჩენია სულს ხანძარი – გადაუბუგავს... დაუტოვებია ნახშირი, გამურული დღეები – რამდენი, რამდენი მიოცნებია, რომ ლამაზ ტყეში, ნაზყვავილებიან, მელანქოლიურ საღამოს ჩვენი სულები იწყებენ უხმო საუბარს... მარა, ეს ჩემთვის ვერ მოხერხდა, ჩემთვის არ შესწევდა...

მე რა...

მე მსხვერპლი უნდა ვიყო, მსხვერპლი იმიტომ, რომ დათიკო შეცდა და მეც შეცდომაში შემიყვანა. მან თავისი ოჯახი დაანგრია... ჩემი კი მთელი სულიერი ცხოვრება მოამზვლია და ქვეშ მოაყოლა მომავალიც.

იშუშებიან თანდათან გრძნობათა ყვავილები... ავიწყ-დება, უწყდება სულს მეოცნებეს ის ლოცვები, რომლებიც მან ისეთის სასოებით დაიწყო... კვდება, სულს ღაფავს რწმენა, რომელმაც ისე შემაყვარა ცხოვრება, სიცოცხლე... როგორ შეიძლება, გქონდეს რწმენა, როდესაც...

რომ გამტანჯე, რომ მაწამე...

ხომ გამანადგურე?! სადაა სანიკო მგზნებარე ცეცხლის, რწმენით აპირთავებული იმედების მატარებელი?!..

რაღა გინდა...

აღარ შემიძლია მეტის გადატანა, აღარ! დაიჩქვლიფა, დაიფლითა გული...

წადი... წადი... დამანებე თავი! მაკმარე, მეყო ესოდენი ტანჯვა და შხამი!

სანიკო.

სულ არ მეგონა, თუ ასე მწუხარე, მონისლულ წერილს მივიღებდი შენგან. არ მეგონა, თუ მე ვიქნებოდი აქ ერთის მიზეზი, თუ მე სასაყვედურო გამოთხოვებით გამოგეთხოვე.

მე დავიღალე, დათიკო, და ესაა ჩემი გარინდულობის მიზეზი, გენაცვა! რამდენი ჭირი და უბედურება გადამხდა თავს მოწაფის სკამიდან მოყოლებული.

დათიკო, გენაცვა, გამომშვიდობება, ჰო, მე ვიცი, რომ მძიმე იყო, ძალიან მძიმე, ის მდგომარეობა შენთვის, მაგრამ მე რითი უნდა შემემსუბუქებინა? მეთქვა – ყოჩაღად, მედგრად?!

რა საჭირო იყო?!

შენ იმდენი ძალა გაქვს, რომ შეურაცხყოფაც კი იქნებოდა ეს სიტყვები შენი ძალისა.

სევდიანი თუ ვიყავი, მეგობარო, და მე რომ არ მეხერხება ნიღაბი, დათიკო, შემოგევლე, ნუ გამიწყრები, ნუ მომაყოლებ საყვედურის კილოს, ნუ შემმართავ ყვედრების ხმას!

მე გრძნობა შეიძლება კიდეც ჭარბი მაქვს, მაგრამ

პირველად, როდესაც ის გრძნობა შენ გეხვეოდა, ის მზიური იყო, უნისლო, უბურუსო. მას ახლა ბევრი სევდა შემოეხვია და რა ვუყო, მე საცოდავმა, თუ ის შენ ალმასებად აღარ გეფრქვევა; თუ იმის ძალა და სხივოსნობა შენთვის შეუმჩნეველი და მკრთალია?!..

შენ იფიქრებ, ვიცი, გაიფიქრებ თუ არ იტყვი: „მაშ, მე რაღა ვქნაო“ – მაგრამ შენ სხვა ადამიანი ხარ. ვინ ნახავს ადამიანს, დათიკო, შენს მდგომარეობაში მყოფს და შენსავით წარბმოუხრელს, ამაყად მდგომს, ისევე შემმართებულს?!.

არა, ძვირფასო, მე სულ არ მჭირია, შენ კილო გაჩვენო ამგვარი, მაგრამ შენ რომ არა გყავს მსგავსი არც სიმართლეში და არც ბრძოლაში, არც პირდაპირობასა და არც უსამართლობის მხილებაში...

მარად შენი სანიკო.

მხურვალე სალამი დედიკოსა და გიორგისაგან.

7/I-30 წ.

თელავი.

¤ ¤ ¤

8/I-30 წ.

დღეს მოუთმენლად ველოდი შენს წერილს და არ მეღირსა. სანიკომ არ იცოდა ასეთი დუმილი. სანიკო სულ მალე მომძებნიდა ხოლმე და მომაფრქვევდა ალერსის სხივებად უიმედობის გრიგალზე გადაწვენილს. სანიკუნი, მე შიში მაკანკალებს, შენ ბოლო დროს იცვლები ან შენი უზომო დაღლილობაა მიზეზი, ან არადა შენი გულის შენელება. რამდენიმე დღეა, არ მინახავხარ, ასე ვღონდები და რაღა მეშველება, შენ რომ ამომირეცხო გულიდან?! მე ხომ ტიალმა ბედმა დამაჩვია ყოველგვარ სივაგლახეს.

ტკბილო მეგობარო, ძვირფასო სანიკო, წეღან ვკითხულობდა რომენ როლლანის „სიყვარულსა და სიკვდილს“. შენ როცა მისი კითხვა მოათავე – შეგეკითხე – მოგეწონა თუ არა-მეთქი. შენ გარკვევით ვერა მითხარი რა. მე ჯერ მხოლოდ თვით როლლანის წინასიტყვაობა მაქვს წაკითხული და არაჩვეულებრივად მომწონს. თითოეული სტრიქონი ელავს როლლანისებური სიბრძნით, მგრძნებელობით, სიყვარულით, მსოფლიოს მწუხარების კანკალით.

სანიკო, ძვირფასო, ნუთუ შენ ეს წაიკითხე და არ შეგარხია? რას ნიშნავს ესა: „ალბათ, გუნებაზე არ ვიყავი მაშინ“?!

სანიკო, ტკბილო მეგობარო, დააწკარუნა ზარმა და შემომიფრინდა შენი წერილი. უზომოდ ავღელდი და გავიხარე. წავიკითხე, ნეტავი კი მალე არ გათავებულიყო. ახ, რა კარგია, როცა მარტოობის ჯვარზე გაკრულს მოგიფრინდება მეგობრის ბარათი. ვაიმე, ვაიმე, მე ჩემს დარდს ვჩიოდი და შენ უარესად ყოფილხარ შეღონებული. მე უკვე შემრცხვა ამ წერილის პირველი ნაწილისა, მაგრამ შენ უნდა იცოდე ყველაფერი. იცოდე, როგორ მაშინებს შენი სულიერი განწყობილების ცვალებადობა.

გაკოცებ, არა, გეამბორები სათუთად, ტკბილად, ნაზად!

სანიკო, კიდევ ერთხელ ჩავიხედე როლლანის დრამის „სიყვარული და სიკვდილის“ წინასიტყვაობაში. ის წერილი ასე მთავრდება: „მე ვკვდები დამარცხებული, მე გავიმარჯვე“! მე მინდა, ეს გავიმეორო, თუმცა მე არ ვკვდები და არც ვაპირებ. მე მარტო იმისთვის არ ვაპირებ, რომ ჩრდილოეთიდან, პოლონეთის ბუნდოვანი ტყეებიდან გამოჭრილის პირმშო არის სადღაც კახეთში ტლუდ დარჩენილი და იმას არ ავაქვითინებ მანამდის მაინც, ვიდრე ჩემზე უკეთესი სულის სწორისათვის არ მიუგნია.

ო, მე არ ვაპირებ სიკვდილს. მე მხოლოდ დამცეს, ზედ გადამიარეს, და მე, ზურგში დაჭრილი, მაინც ვყივი. წაქცეული ყოველთვის როდია დამარცხებული. მე მგონია, რომ ეს აშკარაა – მე გავიმარჯვე!

სანიკო, უეჭველია, წაკითხული გექნება კვირის გაზეთში მანდაური ერთი კრეტინის წერილი ჩემზე. მიუხედავად იმისა, რომ ჭუჭყში ვყევარ ამოთართლული, უნდა გითხრა რომ ის წერილი მაინც ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობს, რადგან იქ საწყალ კოტეს სწამებენ ჩემს მფარველობას და აბრალებენ გოცირიძის მოხსნას. ის მოხსნა კომისიამ და პრესა განზრახ შეჰყავთ შეცდომაში.

მე მიკიჟინებენ ხელისუფლების პრესტიჟის დაცემას, თვით კი სცემენ უმსგავსი დემაგოგები განზრახაც და შეგნებითაც.

უჰ, თავი შეგაბეზრე. მაშ, გაკოცებ შუბლზე და შარბათოვან ბაგეებზე.

შენი და მარად შენი დათიკო!

ჩემო სანიკო, როდესაც წამოხვიდე, გიორგიანთ უეჭველად წამოუღე ხუთიოდე გირვანქა ღორის ხორცი.

კვლავ გაკოცებ შენი დათიკო.

დიმიტრის ჩემს მაგიერ სთხოვე, გაგიშვებს.

12/I-30 წ. ტფილისი

ძვირფასო მეგობარო სანიკო!

რა ძნელია მარტოდ ყოფნა მაშინ, როცა გყავს უბადლო მეგობარი... და მას დაშორებული ხარ ბედის სიმუხთლისაგან... დღეს სასიამოვნო ამინდი დაიჭირა, გაზაფხულის სუნთქვა ისმოდა, გაზაფხულის სიცილი იყო ირგვლივ, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა იგი, რადგან ჩემთან არ იყო ჩემო

სანიკო. ავდექი და დავბრუნდი შინ... ვიწყე წიგნის კითხვა და ძალიან მასიამოვნა ტოლსტოის სიტყვებმა, რომელიც მხოლოდ მე შემეხება... ჩემს ნაღველს მინელებს, მაჯერებს, რომ ცოდვა არ ყოფილა სანიკოს შეყვარება მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან, ძალიან ახალგაზრდაა. მე კი, წელთა ბელტებით დამძიმებული, დავუგდე ტოლსტოის ყური, რომელიც მუდამ სხვაგვარი იყო და თითქმის ასკეტიზმსა ქადაგებდა: „Я убежден в том, что ежели мне суждено прожить до глубокой стариком, и рассказ мой догонит мой возраст, я стариком семидесяти лет буду точно также невозможно ребячески мечтать, как и теперь, буду мечтать о какой-нибудь прелестной Марии, которая полюбит меня беззубого старика как она полюбила Мазепу“ და სხვ.

დიახ, მეგობარო, ასე აზროვნება დიდ ადამიანს შეუძლია. მე დიდი კაცი არა ვარ, მაგრამ დიდი გული მაქვს და ის გავხსენი სანიკოს დასამკვიდრებლად. მეგობარო სანიკო, შენს ავადმყოფობაზე ვფიქრობ. დილას შემხვდა გ. მელითაური. შევხვდით კარგად. შევჩივლე შენი ავადმყოფობა. მითხრა, დაზღვევაზე გადავიდესო და, აბა, შენ იცი... იმოქმედე... ძალ-ღონე უნდა მოიკრიბო, რომ შემოდგომიდან შეუდგე უნივერსიტეტში სწვლას. იმ შენს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 4 წ. იქნება სწავლა. ასე რომ, მხნეობა უნდა მოიკრიფო შემოდგომისათვის.

მენატრება, მენატრება შენი ნახვა, შენს წინაშე დაჩოქება და შენი ფეხების დაკოცნა, დაკოცნა შენი ნაფეხურებისა. რატომ არა მაქვს ერთი პეშვი მიწა მაინც შენახული, რატომ თან არ დამაქვს ის მიწა, რომელსაც შენ ეხები, რომ, როცა შენ ჩემთან არა ხარ, ის მიწა დავყნოსო!!!

სანიკო... სანიკო, ისევ ფიქრი იმ შენს სიცხეზე...

შემოგევლე, დაგენაცვლე... მოუარე შენს თავს... შენს დედიკოს ჩემს მაგივრად მიესალმე და მოახსენე: დათიკო ჩემი სანიკოს დედიკოს ხელზე აკოცებს და ეხვეწება, გამოიჩინოს თავისი გავლენა, რომ შენზე იმოქმედოს, რომ შენს მკურნალობას ხელი შეუწყოს... სანიკოსაც დავეკონები ხელზე და შევემუდარები: სანიკო, გაფიცებ ჩვენს სიყვარულს, მოუარე შენს თავს, დამიკოცნე ჩემი და შენი ზღაპარი ლამზირა!

მარად შენი დათიკო. 12/I-30 წ.

✧ ✧ ✧

დათიკო ჩემო.

ძვირფასო, ძვირფასო მეგობარო, ჩემი სიცოცხლის ძალა, ჩემი არსებობის აუცილებელი პირობა, სიხარული, იმედი – შენა ხარ, დათიკო, შენ!

აი, უკვე მესამე წელი დაიწყო, რაც ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, რაც ჩვენ მეგობრები ვართ. უკვე მესამე წელია, რაც ახლოს გაგიცანი. რა თქმა უნდა, შემხვდა უსიამოვნებაც ამ ხანში, ზოგჯერ ცოტა იმედიც გამიწყდა, მაგრამ სიყვარული, რწმენა შენში მაინც ღვივის, ღვივის და ხან ისე ძლიერადაც, რომ შემიძლია ვთქვა: სიყვარული უკვდავია, მხოლოდ საჭიროა, მან მიაგნოს ადამიანს აღტაცებისთვის ულეველ, უშრეტ ნაკადს.

იყავი მხნედ, ჩემო ყოჩაღო დათა
იყავი მედგრად, რაინდო ჩემო!

გაკოცებს შენი სანიკო.
16/I-30 წ. თელავი

¤ ¤ ¤

ტფილისი 6/II-30 წ.

ქუჩიშვილის ბინა. საღამოს 7 საათი

ძვირფასო მეგობარო სანიკო!

ჩემი ცხოვრება ჯერ ისევ მოჟღმურტლულია, მაგრამ რად, რისთვის შევაწუხო ამით, მეგობარი? მე ყველას უწინარეს სანიკო მყავს საალერსო და რატომ პირველად სანიკოს არ დავენაცვლო, სანიკოს არ გავეგო ფეხთა... შენ, უეჭველია, გეხსომება ძველი მითოლოგიიდან მოქანდაკე პიგმალიონი რომელმაც გამოკვეთა მარმარილოში თავისი იდეალი, იმდენი ილოცა მასზე, რომ სული ჩაუდგა. მე ვიწვევ მას და ვეუბნები: – ხელოვანო, შენ გენიალური ხარ, მაგრამ მაინც არ შეგნატრი... შენი სული დამშეული იყო მშვენიერებით, შენი ოცნება დაეძებდა სულის სწორს და ვერსად მიეგნო... ამაო ძებნით მოქანცულმა მარმარილოს მიჰმართე და გამოაქანდაკე სატრფო გულისა – გალატეა. შენ შეიყვარე შენი ქანდაკება, რაკი ქვეყნად ვერ მიაგენი სულის ტრფიალს... მე არა მჭირდება ამატყველება... მე მყავს სანიკო. ძნელი იყო მისი მიგნება და მაინც მივაგენი. ბიბლიის თქმა: „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო“ – ჩემზე აცხადდა... მე შენზე ბედნიერი ვარ. შენი გალატეა შენი ასლია, მასშია შენი ფიქრები, განცდები, გზნება. სულ სხვაა ჩემი სატრფო... ჩემი სანიკო სულ სხვა ქვეყნის შემცველია... იგი ისეთს გრძნობებს აღმიძრავს, რაც არასოდეს მქონებია. ვენაცვალე მას, ვენაცვალე მას... ჩემს გულში მარადიულ შემოდგომას დადგმული ჰქონდა რადიოანძა. მთელი მსოფლიოს მწუხარებას ღებულობდა იგი და უარესად მიქვითინებდა დათალხულ სულს... მოვიდა სანიკო და გაანადგურა ეს ანძა. მან მის ნანგრევებზე

აღმართა ქანდაკება, რომელზედაც სანიკოს თვალების ელვარებით წარწერილი აქვს: „ტკბილია სიყვარული“...

შენ გენაცვალე, სანიკო, მხოლოდ შენი ალერსი, შენი წერილები, შენი სიყვარულია, რომ მაძლებინებს ამ ტიალ მდგომარეობაში მყოფს... ეს მარტოობა მე განწირულებამდე მიმიყვანდა, შენი ხმა რომ არ შემოიჭრებოდეს ხოლმე გაზაფხულის მწვანე შრიალის სიმძლავრით. გეამბორები, ჩემი ყანების იალქანო და საოცნებო ანძავ!

შენი დათიკო.

ტფილისი. 5/III-30 წ.

ჩემო სათუთო, სათუთო მეგობარო!

რა უნდა მოგწეროს, ღირსეულად როგორ შეგეალერსოს, საოცნებო სანიკო, ის ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ აწამა, გვემა. რომელ ერთზე შემოგჩივლო: ის, თუ რა სიობლეს განვიცდი ამ ხალხით სავსე ქალაქში, თუ ის შემოგკვნესო, რომ შევიშალე შენზე ფიქრით, შენი მაგ პირობებში დატოვებით.

მეგობარო, სულის მომფონებლად შენი წერილები მქონდა ხოლმე, მაგრამ უკვე მაშინებს, ძალიან მაშინებს სანიკოს წერილები. რასა მწერს ხოლმე სანიკო... ჩივილს ჩემი ცხოვრების დაცარვისათვის, როგორც კარგი მეგობარი, როგორც გულშემატკივარი ბორგავს იმ უსამართლობაზე, რომელსაც ჩემდამი ქვეყანა იჩენს, მაგრამ აქ, ამ წერილებში, აღარ სჩანს ის, ის ჩემი სანიკო. სად არის სანიკოს ცეცხლოვანება, სანიკოს მდიდარი

სიყვარულის მცხუნვარება?! გულის კანკალით გავხსნი ხოლმე წერილს და იქიდან ნაღვლიანი, ნაღვლიანი თოლია ამოფრინდება ხოლმე.

გარდაუვალმა უკვე გამოიტანა განაჩენი.

სანიკო, ტკბილო მეგობარო, სანიკო... არ მინდა შეგაღონო, არ გესმის ჩემი მწუხარება?!

სანიკო, არასოდეს, არასოდეს ისეთი ელდა არ მცემია, როგორც ერთმა შენმა მამხილებელმა სტრიქონმა დამმართა. მე სირცხვილით ვიწვი და ნეტავ მთლად ჩავფერფლილიყავ, ოღონდ შენ იმ სტრიქონების დაწერის განცდები არ მოგსვლოდა. შენ მწერ: ერთი ბიძაჩემის ცოლისა მეშინოდაო ხოლმე... როცა ის დამაცხრებოდა და... ვერა, ვეღარ დავწერ, თმებს ვიბდღვნი. მე მზადა ვარ, ყველაფერი ჩავიდინო, ოღონდ სანიკომ მაპატიოს. რა ღირსი ვარ სანიკოსი, რა ღირსი ვარ, იმასაც ვერ ვახერხებ, სანიკოს კარგ დედიკოს მაინც ვუპატრონო. საწყალი. უარესად დაუმძიმდა ყოფნა. წინათ ერთი ჰყავდა საზრუნავი, ახლა სამნი ვყევართ და ამ სამში, აბა, ჩემისთანა!

მაპატიეთ, ძვირფასნო, მაპატიეთ იმისთვის, რომ მიყვარხართ. რა ვუყოთ, რომ შემოდგომის ყვავილისებურია ჩემი სიყვარული. რა ქნას ბედშავმა, განა მისი ბრალია, რომ შემოდგომისას დაიბადა?!

დავდივარ ქუჩაში მარტო, მაგონდება: სანიკო ხელს გამიყრიდა ხოლმე და ვგრძნობდი, რომ ვიზრდებოდი. სადა ხარ, მეგობარო, გენაცვალე, დავიღალე...

დაგკოცნი შენცა და ჩვენს, ჩვენს გოგონასაც.

მარად შენი დათიკო.

შენს დედიკოს რომ გოზინაყი ჩაედვა, გემო არ ვიცი, მაინც გმადლობთ.

22/III-30 წ. თფილისი

და მიჰქრიან, ტკბილო მეგობარო, ცხოვრების დღეები, მიჰქრიან ისე, როგორც დურუჯის დამთხვეული, გიჟი, გადარეული ტალღები... მე ვიმყოფები ნაპირას, როგორც დურუჯის ის უშველებელი ლოდი, რომელიც ყვარლის თავს არის გაჩერებული და მასავით ნაღვლიან ფიქრებს ვეძლევი... შენ, ვგონებ, გწყინს კიდეც, ჩემო ოცნებავ, რომ ასე ნაღვლიანად გესაუბრები, შენთვის მხიარული განცდები ისევე სამკურნალოა, როგორც ჯანსაღი სიცილი. მთების შთამბერი ნიავი და მარად ნორჩი მზე, მაგრამ რა ვქნა, როდესაც ზურგზე მკიდია 42 წელი და ის მაგონებს, რომ ცხოვრება მიდის წინ და მე წილად მხვდა ნაღვლიანად თვალის დევნება... შენ გულს გიმსჭვალავს ჩემი ასეთი ფიქრები, მაგრამ... მაინც ხომ ფაქტია, შენ გაღონებს... გაღონებს ჩემი ტრაგიზმი... შენ, ძვირფასო, ეგება არცკი გინდა გამოუტყდე შენს თავს, თორემ უეჭველია, ყველაფერი, რაც ჩემს სახელს გაგონებს: ჩვენი ლამზირა, ჩემი წიგნები, ჩემი ლოგინი... ყველაფერი შენ შემოგტირის: ორმოცდაორი წელი... ხანდახან, მხოლოდ ხანდახან მგონია, რომ მე ზმანებაში ვიყავი... რომ მე მხოლოდ სიზმარში მეზმანება, ვითომ ორმოცდაორი წლისა ვარ, გამოვიღვიძე 30 წლისამ, მივირბინე სანიკოსთან, გადავეხვიე და ვუამბე: მეგობარო სანიკ... რა უცნაურია ადამიანი, რა არ დაესიზმრება... წუხელ მესიზმრა, ვითომ მე 42 წლისა ვიყავი და, როგორც ჩემი თავი, ისე სხვები მაჯერებდნენ: წლოვანებას, ჩემო დათიკო, დიდი მნიშვნელობა აქვს... სანიკო დიდი ადამიანია, სანიკო დიდი განცდის უფალია, სანიკო გაუგონარ გმირობას იჩენს შენს სიყვარულში, მაგრამ...

წლოვანება... 22-23 წლის სანიკოს... სანიკოს... დიდი ტემპერამენტის პატრონს... დიდი რიტმის მფლობელს... გაეღვიძება... შეუყვარდება. მართალია, შენ მეგობრულად დაგშორდება... მაგრამ, მაინც დაგშორდება... სანიკ... როგორ გამტანჯა იმ სიზმარმა. რათა, მეგობარო, რათ მესიზმრა ასეთი კოშმარული სიზმარი... რა დროს 42 წელია... მე ჯერ 30 ძლივს მისრულდება... და ვიცინით... მე და სანიკო ვიცინით, იცინის სანიკოს დედიკო. მაშასადამე, იცინის ჩემი დედიკოც... აღარ შემიძლია... არა, ვეღარ განვაგრძობ... სანიკო, სალოცავო, მშვენიერო სანიკო... რა მდიდარი ვიყავი ძვირფასი სახეებით, მოყვასებით... და თანდათან მკრთალდებიან, ქრებიან... ზოგი მომტაცა იმან – გარდაუვალმა, რომელსაც სიკვდილი ეწოდება... ზოგი იცვლება... მეგობრობის სიგელებს ისე ფხრეწს, როგორც... მეტად ლამაზად დაიკვნესა ლერმონტოვმა.

ქრებიან სახეები, მეკარგებიან მეგობრები... მაგრამ... მაინც არ ვითალხები... მე მყავს და შემრჩება ის, რომელიც სხვებისთანა არ არის... მე მყავს სანიკო... მისი დღეები სათუთია, როგორც პეპელათა ფრენა და ის მაინც მე მიალერსებს. მე არასოდეს დამეკარგება იმის რწმენა, სიამაყე, რომ მყავს მეგობარი, ტკბილი... ძვირფასი... თუნდაც მან მიმატოვოს... ან რატომ არა?! ის ხომ ახალგაზრდაა, ის ხომ გაუხარელია... თუნდა მიმატოვოს, მაინც ჩემს მეგობრად დარჩება... მაინც იფიქრებს ჩემზე, როგორც მის კარგ მეგობარზე და ჩემს ლამზირას აღუძრავს სიამაყის გრძნობას კარგ მამილოზე...

მეგობარო, კვლავ შეიგვიანა შენმა წერილმა... როგორა ხარ... რა მდგომარეობაშია შენი სიცხე? ნეტავ შემეძლოს შეგენაცვლო, გაგანთავისუფლო ყოველგვარი ტკივილისაგან... სხვათა შორის, გამოგიგზავნე ლამ-

ზირასთვის თეთრი ქუდი და ირისი – მაპატიე ასეთი პროლეტარული მოსაგონარი.

სალამი შენს დედიკოს. გაკოცებ შენც და ლამზირასაც.

შენი დათიკო.

26/III-30 წ. ტფილისი.

რა უცნაური სულის პატრონები ვართ, ტკბილო მეგობარო სანიკო! საკმარისია ერთი ბეწოთი შეიგვიანოს რომელიმე ჩვენთაგანის წერილმა და გული ჩქროლას იწყებს, სულიერი განწყობა გვეშხამება... მე დღეს სრული რწმენით ველოდი შენს წერილს... მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, მხიარულად ვგრძნობდი თავს, რადგან შენზე ვფიქრობდი. მესამე წელიწადია, რაც მე და სანიკომ სამეგობროდ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი. რა განგაში ატეხეს კეთროვანებმა. რას არ წინასწარმეტყველებდნენ გზაში, სახლში, თეატრში, ჩურჩულით, ხმამაღლა, ანონიმური წერილებით... აბა, ერთი შემოგვხედონ. არ შერცხვებათ?.. ნუთუ არ გაწითლდებიან, რომ ჩვენს ტრფობას ასეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ... წერილის შეგვიანებამ გული შეაღონა მხოლოდ, გული, რომელიც დაიღალა ჩვენი ჯოჯოხეთური ბედისაგან... ფიქრები კი ისევ ნათელი შემრჩნენ... რომ მიმუხანათოს ბედმა, თუნდა სანიკომ იალქნები გაშალოს ჩემი ობოლი, ნაღვლიანი კუნძულიდან სხვა ქვეყნებისაკენ გასაქროლებლად, მე მაინც მაღმერთებელი ვიქნები სანიკოსი... სანიკომ მასწავლა ადამიანის უზომო თაყვანება... სანიკომ შემაყვარა ქვეყნიერება... სანიკომ აღმიძრა სურვილი,

მსოფლიო მოქანდაკეებს მივმართო: ხელოვანნო! უდიდესი გამომგონებელი, მგოსანი, მშვენიერი სულის პატრონი ყოფილა ის, ვისაც პირველად წარმოუთქვამს „მიყვარხარ“... ამ სიტყვის გამოგონება უფრო გენიალურია, ვიდრე ინჟინერიის ან თუნდა პოეზიის მიღწევები... ჩვენ ძეგლი უნდა დავუდგათ ამ დიად გამომგონებელს. მოქანდაკენო, გამოჰკვეთეთ მარმარილო, მიეცით სიმბოლური სახე და წააწერეთ: „დიად გრძნობათა ქურუმს, სიყვარულის პირველი ჰიმნის წარმომთქმელს – მადლიერი შეყვარებულებისაგან“. ნეტავი მას, ვინც პირველად წარმოსთქვა ეს სიტყვა, მაგრამ ნეტარება მეც, რადგან კეთილშობილების, სისათუთის, კდემამოსილების, მშვენიერების სინთეტიურად გამომხატველი სიტყვა არ არსებობდა და მე აღმოვაჩინე, მე ვიპოვნე ეს „კრემენსკიანთ ოჯახში“. ეს სიტყვაა – სანიკო, სანიკო, სანიკო! რა ლამაზია, რა მშვენიერია, რა ჰარმონიულია! ამ სიტყვებს მოაქვს ჩემთან პოლონეთის ველ-მინდვრების სურნელოვანება, ქალდეას მდინარეთა სილაღე, კავკასიის მთათა მედიდურობა და სინარნარე...

სანიკო, შემოგევლე... დაგენაცვლე...

სალამი შენს დედიკოს... დამიკოცნე ლამზირა...

დავიჩოქებ და გეამბორები... ნაზად, ნაზად გეამ-ბორები.

მაინც და მაინც შენი დათიკო.

✧ ✧ ✧

ძვირფასო, ძვირფასო, უბადლო, ოცნებავ!

დღეს ზეიმია – ზეიმი ჩემი გრძნობის, ჩემი ბედისა. საიდან აღარ ამოიფრქვნენ შენი სევდიანი, ნაზი ფიქრები.

საიდან არ შემომაფრინდნენ შენი სულის ნაზი, სათუთი ყვავილები. ლამაზმა ყვავილნარმა შემომიღობა წიაღი სულის, შიგ დამასვენა. გმადლობ, ძვირფასო!

გმადლობ, საყვარელო!

არაფერია ქვეყნად იმაზე ძვირფასი, როგორც მოფრქვევა სათუთი გრძნობებისა დაშორებულ მეგობრიდან.

ზოგი შენი წერილი დასერილია საშინელი, გამაწამებელი, ცხოვრების სიყალბისაგან დათრთვილული იმედების და რწმენის, ზოგი ნაზი, სათუთი, იმედიანი, ზოგიც სევდიანი, გაცრეცილ ასტრებივით.

ძვირფასო!

ასეთი სათუთი, სათუთი გრძნობების პატრონო მეგობარო, მიკვირს, მიკვირს, როგორ გაუძელ ამდენ სიმუხთლეს ცხოვრებისა, ამდენ სიბოროტეს, სიავკაცეს ადამიანთა?!

განა შეიძლება გჯეროდესღა რამე ადამიანთა, განა არიანღა დარჩენილანღა ისეთი გმირები, რომლებსაც გრძნობები მუცელზე მაღლა დაეყენებინოთ, რომელთაც კეთილგანცხრომით მოწყობა ანაცვალონ მაღალ, კეთილშობილ გრძნობებს, ადამიანის სიყვარულს, მეგობრობას?!

ტკბილო, ძვირფასო, დაცუცუნებს, დაფუტფუტებს ჩვენი ციცუნია, აღარავის, აღარავის აღარ ასვენებს, ყველაფერზე „მამე“-ს გაიძახის და სულ „ატა“ – „ატა“-ო. აღარ ჩერდება სახლში. ამინდები კი ცუდია, ცივი, ქარიანი.

დათიკო, ჩემი ჯანმრთელობის საკითხი, რომ ასე სწუხარ, სულ არაფერია.

დღეს ვიყავი კომისიაზე, მითხრეს ფილტვების კატარი გაქვს, გესაჭიროება საკურორტო მკურნალობაო. შვებულება მომცეს და, თუ სადმე კურორტზე ადგილი აღმოჩნდა თავისუფალი, გაგაგზავნითო. ტემპერატურა

ისევ ძველებურად მაქვს, 37,2^0-37,3^0. მაშ, ხვალიდან შვებულება მაქვს.

დათიკო, გენაცვა, მივიღეთ ამანათი, ქუდიც (თუმცა საჭიროა, პატარა მოუვიდა) და ირისიც, ორი წერილიც. ორი წერილი კიდევ ფოსტამ მომიტანა: დიდი მადლობა, დიდი მადლობა!

დღეს იაშვილისგან წერილი მივიღე, სწრაფი ტუბერკულიოზი აღმოსჩენია, თუმცა დაწყებითი, და მაინც მკურნალობს. საწყალი გოგონა, ნეტავი კი განიკურნოს, ნეტავ კი!

სალამი ყველა ჩვენებს – ძვირფასო, სასოებით გეამბორები. დედიკოს ტკივილებმა გაუარა, მაგრამ ლამის ჩემი დარდით გაგიჟდეს. ნეტავ, რა მაქვს სადარდო?!

გმადლობ, გენაცვალე, დიდად გმადლობ!

ლამზი გაცრეცილია ძალიან.

27 მარტი, 1930.

თელავი, მარტი, 30 წ.

ძვირფასო, სანატრელო!

რა ტკბილია ცხოვრება, რა ნეტარებაა სიცოცხლე, როცა გიყვარს, გიყვარს მთელის არსებით, მთელის ძალით გზნებისა და მასაც უყვარხარ, უყვარხარ!

ძვირფასო – სიცოცხლევ ჩემო – დაგშორდი, დაგტოვე მანდ საშინელ პირობებში. არ ეშველა შენს სულს და ვერ იპოვნა ბედნიერი, ყოველ მხრივ ბედნიერი კუთხე. ვინ, ვინ დასწყევლა ადამიანები შენებრ მძლავრი ნების და დიდი სულის მატარებელნი?! ვინ გაუხადა მათ ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად წვალება, ტანჯვა, უბედურება?

ნეტავ კი, ნეტავ კი როგორმე შეიცვალოს შენი პირობები. საშინელი არ არის, რომ დავტიროდით თელავში ყოფნას და ახლა მე მენატრება შენთვის ეს კუთხე.

მაგრამ, ძვირფასო, იქნებ სამსახურის მხრივ მაინც შეგეცვალოს ეგ წამება ჯოჯოხეთისა, თუმც მეძნელება დავიჯერო, რომ ჩვენთვისაც გამოაშუქებს სიხარული. მომწერე, თუ იყავი სიმონთან, რა გითხრა, ნუთუ ყველას დაპირებაზედ აქვს გამბედაობა.

ჩემო კარგო, მე დღეს ვიყავი სკოლაში. სწორედ, დღეს მქონებია დასასვენებელი დღე. ვნახე გიორგი. იმან მითხრა, გუშინ მივწერე დათიკოსო. მითხრა, რომ ძალიან გამაწვალეს, აქ რაკი არ იყავი, არ უნდოდათ მოცემა შვებულებისა. ახლა, რაკი ჩამოხვედი, იქნებ მოხერხდესო. მაგრამ მე დღეს არ წავედი კომისიაში. ასე ვიფიქრე, ვიმუშავებ ორ კვირას და მერე გავივლი კომისიაში, რომ დავისვენო, შემდეგ კიდევ ორ კვირას ვიმეცადინებ და ამასობაში ზაფხულიც მოვა. თუმცა, ჩემი გამგე მეუბნება: „რა დიდი საქმეა, ორი თვე არც კი დარჩენილა, შვებულება ახლა არც კი უნდა აიღოთო“.

ისიც სისულელე იყო, რომ ერთი თვე უექიმოთ სიცხიანი დავდიოდი. ახლა კი ვეცდები, რაც შეიძლება მეტი დავისვენო. მგონი, რომ ახლა ათი დღისას დავკარგავ და წინანდელს გამომიქვითავენ თუ არა, არ ვიცი.

ჩემი მაიმუნი ისე გახარებული შემომეგება, რომ ყველაფერი დამავიწყდა, მაგიერად დედიკო უფრო დასევდიანდა. ამას ეგონა, რომ „უსიცხოდ“ ჩამოუვიდოდი.

ძვირფასო, შენ არ ვიცი ამ ოთხ დღეს რითი ირჩენ თავს. მაგათსა მაინც ისადილე ხოლმე. ის გროშებიც ჩემზე მიფლანგე გუშინ დილას და ჯიბეში მარტო ტრამვაის ფული დაგრჩა.

ჩვენზე სურათები მოსულა, მაგრამ არ დავიხსნი, შემდეგ უფრო იაფად უკეთესს იყიდის კაცი. მე ძალიან ვეცდები კოტესგან საბოლოო პასუხი მივიღო ან ფული, ანდა გარკვეული უარი და გაცნობებ.

ჩემო კარგო, მთელი წერილი ყოველდღიური საკითხებით გავავსე. რა უყოთ, ჩვენ გვიხდება ამეებსაც ანგარიში გავუწიოთ. გენაცვალე, თავს გაუფრთხილდი, კარგად იკვებე, იკვებე! ჩვენი ჯავრი სულ ნუ გექნება, მე ისე არ დავვარდი, რომ ვერ გაუძღვე ამ ოჯახს. იყავი, ძვირფასო, უდარდელათ.

სალამი ყველას, დედიკოსგან დიდი მადლობა.

შენი სანიკო გეხვეწება, სულ არ იფიქრო შენს დუხჭირ ცხოვრებაზედ. იფიქრე ასე: „ყოველთვის ამ მდგომარეობაში ხომ არ ვიქნები“...

დაგენაცვლე, შემოგევლე, დათიკო, დათა,

ძვირფასო, სანატრელო...

რა უცბად გასჩნდი და ისევ უცბად მიიმალე – სიზმარივით, ზღაპარსავით – მე კი დიდი ნეტარება მომანიჭე, მაგრამ შენ კი?!

რა საძაგელია, რა საძაგელი ადამიანი, რომ შენზედ ფიქრი, შენზედ ფიქრი არ მასვენებს დღე და ღამ. მაგრამ ხედავ? მე ვიცი, შენ დიდი უგემურობა და უსიამოვნება გამოიარე – ორი ღამის გატეხვა, ისიც იმ პირობებში. მე ხომ ამას ისე უნდა შეველონებინე, რომ სიხარულის ნაპერწკალიც არ განმეცადა, მაგრამ, მაგრამ, მეგობარო, მოდი და ვიცრუო, როდესაც შეწუხების გრძნობა მაინც სიხარულმა დასჩრდილა. დათიკო, გენაცვალე, რა ცუდ პირობებში მოგიხდა წასვლა, ეს იმიტომ, რომ ჩემს ექიმს

და წამალს გადაჰყევი. იმის მაგიერ, რომ მე მეზრუნა შენზედ, კიდევ კარგი, ის შარვალი მაინც მომაგონდა და გამოვგზავნე. შემოგევლე, ჭირიმე, იფიქრე შენს თავზედაც, იფიქრე, ხომ ხედავ, მე ვერ ვზრუნავ, ვერა, შენზედ, ძვირფასო, – საძაგელი, უშნო ვარ, უშნო!

დათიკო, გეთაყვანე, ხომ გიყვარვარ ცოტათი, ხომ?! მაშ, იმ რაღაც შარფს ნუ მიყიდი და შენ „კოსტუმი“ შეაკერინე. გაფიცებ შვილებს, ასე მოიქეცი, გენაცვალე. ჩემი ლამზირა პირველად გაშტერდა, მერე კი დაგიწყო ძებნა: „ძია, ძია“ – ამოიგდებინა გული, მაგრამ ვერც ერთ კუთხეში ვერ გიპოვნა და იმედგადაწყვეტილმა დედიკოს ჩაეხუტა.

შენ როგორ შემოგხვდა შენი უშველებელი სამ-ბა? მაგრამ, მგონი, ისე ხარ, გენაცვალე, გაბრუებული, რომ ვერაფერს არკვევ. ეჰ, ნეტავ კი ბედმა გაგიღიმოს და ეჰ, იქ მესამე საცდელში კი არ მინდა, მეშინია, ახალმა ინტრიგებმა არ გაგაწამონ, არ მოგიშხამონ სიცოცხლე. ის ხალხი, რომელიც გაგიგებს და თანამდებობაც ისეთი, სადაც გასაქანი გექნება, გააკეთებ, რასაც გადასწყვეტ.

გუშინდელს აქეთ ჩვენს ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, არაფერი შეცვლილა. შენ მოსვლამ ააფორიაქა სული და შუქი მოჰფინა ჩვენს ბინასაც და მასში მცხოვრებთაც, გულწრფელი სალამი და დიდი მადლობა დედიკოსაგან.

გენაცვალე, გაკოცებ, გაკოცებ ბევრს, ბევრს!

შენი სანიკო
თელავი
მარტი –1930 წ.

შენ მდიდარი სულის მატარებელი ადამიანი ხარ, შენ ძლიერი ხარ და ძლიერადაც მოქმედებ შენს გარემო მყოფებზედ. ნურაფერი გაწუხებს, მერგობარო, შენი სული ყველაფერს დასძლევს ძლიერებით.

რაა ეს სიმჩატე ბოროტებისა, რომელთაც შენ შემოგინთეს კოცონი?! სასაცილოდ საბრალოა ყველა ეს და ესენი.

იდღეგრძელე, იდღეგრძელე სიცოცხლით და მერე სახელით!

ძვირფასო, მალე, სულ თვენახევრის შემდეგ, ალბათ, ისევ შევხვდებით, მაგრამ დიდხანს ერთჭერქვეშ ყოფნისა მეშინია. გრძნობა – მას ხომ სიშორე აცხოვლებს და აძლიერებს (მუდმივი განშორება კი არა)?!

ძვირფასო, გიორგი მელითაური ძალიან ზრუნავს ჩემზე. ექიმი შეჰპირებია, მე ერთი კვირის შვებულებას მივცემო (ორშაბათამდე), მერე კომისიაზედ კიდევ დაჰპირებიან, გაუგრძელებთო, მაგრამ მე ვფიქრობ 1 მაისამდე ვიმეცადინო და მერე... ვაროსთან ერთად ქობულეთში წავიდე 15-20 დღით.

დღეს კოტე ვნახე. მან მითხრა, ქაღალდები გუშინ მივიღე, ფულს ცოტას მაინც მივცემთო და, თუ მომცეს, ათწლედში გამოგიგზავნი. ლამაზი ტუფლები და შარვალი იყიდე. მე მოგიკვდე, თუ ასე არ მოიქცე!

მიყვარდი ისე, როგორც იშვიათ მომაკვდავს თუ ეყვარება... გალმერთებდი, გეთაყვანებოდი.

შენზედ ვლოცულობდი,

ცხოვრების სასოებად და სინიდისად

შენი სული გავიხადე,

იყო დრო, როცა სული იმდენად დაიწურა ცრემლებით, რომ გრძნობამ ვეღარ გაუძლო, მოღუნა, დაირხია.

გაფითრდნენ ყველა სახეები,
მიიბნიდენ ლოცვები.

ახლა კი ისევ მიჭირავს შენი სულის ამონაფრქვევი მარგალიტები და ვკოცნი მათ, ვკოცნი, სასოებავ!

კვლავ ვიპოვნე ოცნება,
კვლავ დამიბრუნდა რწმენა.
მწამს, მწამს, ისევ მწამს
სიყვარული და ადამიანი.
გმადლობ, ძვირფასო, გმადლობ, სიცოცხლეო!
ჩემს ჩამოსევდიანებულ გულში
კვლავ გამოაშუქა მზემ,
რწმენა,
ლოცვა სასოებით,
სიხარული, სიცილი,
ბედნიერება
კვლავ დამიბრუნდა...

თელავი

დათიკო, პირდაპირ არ დაიჯერებ, სურათზე ჯგუფები რომ არიან კონფერენციაზე, გცნობს „მამა“ და ზედ გკოცნის. მე მიხარია.

მივიღე ტფილისში 18/IV-30 წ.
დ. ჩხეიძე

¤ ¤ ¤

სასოებავ, რწმენავ, იმედო...

შენ რომ მოგეცრიცა სახეები საესავი ადამიანისა, შენთვის რომ გამკრთალდა ტრფიალების კერპი –

ეს ჩემი ბრალი არ არის... შენ ბევრში არ ხარ ხოლმე მართალი და არ მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ აქაც სცდები... დაგარწმუნებ, მე არ ვყოფილვარ შენი ლოცვების მიბნედის მიზეზი... აქ ბრალი იყო შენი გულის სარკმელში სხვა სხივიერების შემოშუქებისა, შენი ყურის სხვა ძახილისთვის გამახვილებისა... მე ხმა მესმოდა, მეგობარო, მტანჯავად მესმოდა... და, როცა შენი თვალები ანთებით იტყოდნენ, შემომაქვს და ვიწვევ მავანსო – ჩემი თვალები ქრებოდნენ... ჩემს გულში ისმოდა ხელის წკრიალის... იმ ხელისა, რომელი სთიბავს უკანასკნელ ყვავილებს... შემდეგ... შემდეგ...

ალბათ, ჩემზე ძლიერი ჯერჯერობით არ აღმოჩნდა არავინ და დროებით მაინც მე მხვდა გამარჯვება... და მე ტრიუმფატორი სიამაყით ვატარებ სანიკოს სიყვარულს, თავი მომწონს და მექადნება მაშინაც კი, როცა შენ ჩემი „ქალიშვილი გონიხარ.“

ტკბილო, ტკბილო, მე შენ ყოველთვის მიყვარდი ისე, როგორც იშვიათად ვინმეს ეყვარება... ალბათ, შენ იმ დროს გრძნობები ისე არ გქონდა გამახვილებული და ვერ ამჩნევდი ჩემს წვას ტრფობის სიწმინდით... მეგობარო, ხომ არის შემთხვევა, ვარდის სურნელებას ვერა გრძნობს... არ ვიცი, სურდოს ბრალია თუ სხვა მოარულისა, მაგრამ ფაქტია, რომ ხანდახან კაცი არა გრძნობს ვარდის სურნელს... და ჩემი სასოება ერთ დროს ვერა გრძნობდა, თორემ განა რა დაუჯერებელია... რომელი ადამიანი იქნება, რომ სანიკოს ტრფობას გულგრილობით უპასუხოს...

ძვირფასო, სასოებავ, სათნოებავ... მე მუდამ ვფიქრობდი და ახლა ვფიქრობ, რომ ჩვენ ორივე ბევრ რამეში ვგევართ ერთმანეთს /თუ წლებს არ მივიღებთ

მხედველობაში/. არა, ასე არ მინდოდა მეთქვა: ჩვენ ვგევართ ერთმანეთს, როგორც განთიადი და მწუხრი... ბევრში ვგევართ... მიუხედავად იმისა. რომ ჩვენს შუა 19 წლის კლდეთა ნაპრალებია – მაინც ასე მგონია, რომ ჩვენ დავბადებულვართ ერთსა და იმავე წელიწადს,

”” ”” თვეს,

”” ”” დღეს,

”” ”” საათს,

”” ”” წუთს,

”” ”” წამს.

დიახ, მეგობარო, ეს ასეა და აღარ უნდა გვიკვირდეს; საკვირველი მხოლოდ ისაა, რომ ჩვენ ადრე რატომ არ ვიპოვეთ ერთმანეთი... რას დავდიოდით ქვეყნად უერთმანეთოდ და ცხოვრებას ვკლავდით შემთხვევიდან შემთხვევამდე... მხოლოდ ლოდინში...

ჩემო რწმენავ... შენა გგონია, რომ ხანდისხან, რაკი სული მაქვს დამძიმებილი, ეგ არის, სანიკოს სათაყვანო ქანდაკებას ფარდა ჩამოეფარა... აბა, აბა... გაითვალიწინე, ჩემი ბედი, ჩემი განვლილი ოღრო-ჩოღროები... ჩემი უახლოესი აყვანა ინკვიზიციის ეშაფოტზე... და მითხარი, განა მე შემიძლია ყოველთვის ვიყო მოშუქიადე... მეგობარო... აი, ახლა კი... ახლა... შენი წერილი მიდევს წინ და ის მანეტარებს, თორემ ისე მაქვს ჩამოღამებული სული, ისე ვარ დაღლილი ამ სამსახურით... ამ საღამოსა მე ვმუშაობდი... გუშინა... ლაპარაკი მომივიდა გამგის მოადგილესთან... საღამოობით უნდა ვიმუშაოთო... (გასამრჯელოს მაინც იძლეოდნენ)... ჩვენ არაფერს ვაკეთებთო... საქმეები გაჩერებული გვაქვსო და სხვადასხვა. 5-ჯერ მაინც გადმომკრა და მეც ვუთხარი.... ვუთხარი... ფუ, ამისთანა გაწამაწიას, მე ცისმარე დღე

მეჩხვლიტება და მეჩქვლიფება გული, როგორც ის ქაღალდები, ჩვენს ოთახში რომ შედიან და გამოდიან...

საქმე...

საქმე...

ინსტრუქცია...

ბრძანება...

ცირკულარი...

ამ ქაღალდებსავით იჩხვლიტება და მხოლოდ იჩხვლიტება ჩემი გული... ამ ბრძანებებით... ამ საქმეებით... №... და ასე ცისმარე დღე... ცისმარე დღე ოფლში წურვა... უსიამოვნო შეჟრიალება... ნერვების ხტომა... კბილების მოკუმვა... ტუჩების დამუწვა, რომ...

არ ავფეთქდე, არ დავყარო ქაღალდები და არ გამოვვარდე იმ შეშლილივით, რომელიც პიესაში „შეშლილი“ არის გამოყვანილი და, მთელი თავისი მონუმენტალურობით აღმართული, დაწესებულებაში პორტფელიანების წინაშე ჰყვირის: პროტეტს ვაცხადებ... პროტესტს ვაცხადებ... მაგრამ... მას ვინ მოუსმინა... ვინ გაეხმაურა გენიალურ შეშლილს, რომ გამოეხმაურონ გენიალობას მოკლებულ მოშეშლილოს: და...

მიუხედავად ამ კოშმარული მდგომარეობისა, მე მაინც მომავალს იმედით შევყურებ, რადგან იმ ავტოს მემანქანეა, მესაჭეა სანიკო, რომელიც კინოში ნანახი ქალის ექსტაზით მიაქროლებს ავტოს და გასძახის (რას გასძახოდა??) ცხოვრება... ტკბილია... ლამაზია... გაგონდება? გაგონდება, სანიკო... უეჭველია გაგონდება ის მშვენიერი ახლაგაზრდა ქალი, რომელიც მიაქროლებდა ავტოს მთელი თავისი ახალგაზრდული მშვენებით... სანიკოა მესაჭე, ჩემი ცხოვრების ავტორი და მე მავიწყდება, საღამოობით მაინც (როცა სამსახურში

მივალ), რომ მძიმეა, აუტანელია ჩემთვის სამსახური...

აბა, რა დროს ამაზე ლაპარაკია, როცა ჩემი სანიკოს ფილტვებს მზეობრივი სხივთა ფრქვევა ესაჭიროება... მეგობარო, სწორედ და სწორედ გასაჯავრებელი ხარ... შენს წერილებში ბევრია გამამხნევებელი, რწმენის მომცემი, მაღალი სულის შთამაგონებელი; მაგრამ არ არის ის, რა დააგვირგვინებდა ყველაფერს: შენ არა მწერ შენი ცხოვრების რეჟიმს... ან რას მომწერ, როცა არ დაიცავდი. შენ შემომფიცე: ნემსების კეთებას შევუდგებიო... როგორია შენი პირობა?.. შეასრულე? შენ დამპირდი: არ ვიმუშავებო, არ დავიღლებიო... შენ კი ისევ დაგიწყია. შენ დამაიმედე, კარგად ვიკვებებიო... შენ კი სდუმ და ეს დუმილი ყოველთვის ნიშანი იყო იმისა, რომ შენ აქაც დაუდევრობას იჩენ შენდამი... ნადიკვარი? ნადიკვარის ნიავი? სანიკო, მე ბევრი რამ აღმომაჩენინა ცხოვრებამ... მე ისიც აღმოვაჩინე, რომ შენში სცოცხლობს გულუბრყვილობის და კდემამოსილების გენია. მაშ რა არის თუ არა გულუბრყვილობა, რომ შენ გწამს, აფციაურთან რამეს გახდები... თუმცა გულუბრყვილობას იშვიათად, იშვიათად, მაგრამ მაინც გაუმარჯვნია... ნება შენია... სცადე... ვფიქრობ, წერილი საჭირო არ არის. მე არ ვიცი, სად მიდის ამდენი წერილები კოტესადმი. განა მას არ შეეძლო, ეს წერილები გამოეყენებინა?

განათლების გან-ას აქვს ჩემი განცხადება – მორჩა და გათავდა... თუ აფციაურთან ჩახვიდე, ჩემო სანიკუნი, ხაზი გაუსვი, რომ კოტე ოფიციალურად ივლისიდან აგვისტომდის მპირდებოდა, გადაგიხდით ზაფხულის ერთი თვის ასანაზღაურებელსო. გამოუყენებელი ზამთრის არდადაგებისა კი ყოველ მიზეზის გარეშე მერგება...

ძვირფასო... ძვირფასო... (გახსოვს?) ემანდ, მაგ

მგზავრობაში, არ გამიცივდე... უეჭველად რბილი რონოდით იმგზავრე. შვებულებას ნუ გადასდებ ხოლმე... ყოველი შემთხვევა უნდა გამოიყენო... როგორც კი აღმასკომი მოგცემს ფულს, უმალვე გამოეშურე... მაგრამ ქობულეთიდან ერთ თვეზე ადრე არამც და არამც არ უნდა დაბრუნდე, თორემ მოგიკვდები.

სალამი შენს დედიკოს... ვეამბორები ლამზირას და სანიკოს... ლამზირას ხელებზე და შუბლზე... სანიკოს - იმ ორ ნორჩ მტრედზე, მის მკერდზე რომ წამომსხდარან და ღუღუნებენ... ღუღუნებენ სიყვარულს... მშვენიერებას, გრძნობათა სისპეტაკეს, ერთგულების სიჭარბეს... გუშინ ალექსანდრეს ბაღში გავიარე, ჩემო სანიკო. სევდით გავიარე, მაგრამ იქნებ სწორედ, ამიტომ უფრო გავიგე ბუნების საიდუმლოება, ენა... ყვავილთა ნაზი სურნელების მიმოკმევამ დამიდასტურა შენი მშვენიერება... ბულბულთა გალობამ ამიხსნა შენი ტრფიალება. იმ სიკამკამემ გამაგებინა შენი ჯადოსნობა... წარმტაცობა, მიუღწევლობა... წარმტაცი მიუღწევლობა... სანატრელი, საოცნებო, საამაყო მიუღწევლობა...

სანიკუნი, შენგან უკვე სამი წერილი მივიღე, მე კი მხოლოდ მეორეს გიგზავნი. ისე ნუ გაიგებ, თითქოს მე შენზე ნაკლებს ვფიქრობდე, ნაკლებს ვოცნებობდე... იცოდე, ჩემი ტიალი მდგომარეობაა, რომ ხელს მიშლის, კალამი ხელში მეჭიროს და სანიკოს მოზღვავებულ გრძნობათა გამმაზე ვწერდე...

ვიბრძოლოთ უკეთესი პირობების შექმნისათვის. ვეცადოთ, უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, დამშვიდებით შეგვეძლოს ცხოვრება. შემოქმედების პირობა შეგვექმნას და მაშინ ნახე, რა ყოფილა შენი მეგობარი და მისი ტრფიალი.

აბა, რა ცხოვრებაა, კაცს კოლოფში კაკაო გქონდეს შენახული და საშუალება არ გქონდეს, თავის ნიბლიას სულით და გულით (ალალსაც აქვს სული და გული, ისე წარმოუდგენელი იქნებოდა სიყვარული) მიუძღვნას...

აბა, კმარა...

კმარა!..

გეამბორები: თვალებზე, ბაგეებზე, დაგეკონები ყელზე, დაგაკვდები მკერდზე და გიჟურად დაგიკოცნი მტრედებს, ტრფობის მოღუღუნე მტრედებს...

მარად შენი მეგობარი დათიკო.
ტფილისი. 19/IV–30 წ.

ძვირფასო სანიკო! ყოვლის უწინარეს, დაგეკონები მკერდზე და სათუთად, სიყვარულით, ნეტარებით დაგიკოცნი იმის სურვილით, რომ ეგება ჩემმა მგზნებარე და თავდავიწყებამდე მისულმა ტრფობამ შესძლოს და განგიკურნოს სნეულებაშეპარული ფილტვები... სიხარულის მზიურობის სხივიერება შეაფრქვიოს და სანიკოს სულიერი განწყობილება მოუნისლავ გაზაფხულს დაუქვემდებაროს... ეს მომეჯლისე გაზაფხული ხან ნეტარებით აღმავსებს, სანიკ, მაგრამ უფრო მანაღვლიანებს... მან იცის შენისთანა მისუსტებულთა განკურნება, მაგრამ უარესად – დაავადებაც. და მე არ ვიცი, რას სჩადის იგი ამჟამად შენს მკერდში. ებრძვის იგი იქ ჩასაფრებულ მტერს, რომელიც მუხანათურად შეპარულა და გიწამლავს სიცოცხლეს... შენი სულის ჭირიმე, სანიკო, მოუარე შენს თავს, იკვებე ისე, როგორც კი შესძლო... მაცნობე სიცხის მდგომარეობა. უეჭველია, ისევ გექნება.

დაიწყე თუ არა ნემსების კეთება, ნადიკვარზე სიარული. აიღე შვებულება – ე.ი. დაზღვევაზე გადაგიყვანეს თუ არა? მოგცეს ის გაცდენილი დღეებისა თუ არა, რატომ? მაშ, რა გაცხოვრებს, მაგდენი ვალი დაგედო. შენ ხომ არ გამიმხელ ხოლმე რამდენი ვალი გაქვს! ტკბილო სანიკო, იყავი გურჯაანში თუ არა? იცოდე, ყველაფერი ისე უნდა მოაგვარო, რომ რა წამს ფულს ხელში ჩაიგდებ, უმალ მოჰკურცხლო ჩემსკენ ქობულეთში წასაყვანად. კოტე იმ წაღებული წიგნების ფულზე არაფერს გეუბნება?

სანიკო, მივიღე, მშვენიერო, შენგან განმოგზავნილი 25 მან. რა თქმა უნდა, გავჯავრდი. მეწყინა... სანიკოს ისე უჭირდეს და ფულს მე მიგზავნიდეს... მაინც გმადლობ, გმადლობ, მაგრამ ცოტა გრგებია. 25 მან. რა ფულია?!

სანიკო, მეხანძრეები ჩემზე არასოდეს სტოვებდნენ შთაბეჭდილებას, არასოდეს დავფიქრებულვარ მათზე... ახლა კი... დღე არ გაივლის, რომ არ ჩამიქროლოს მეხანძრეთა რაზმმა და, მათთან ერთად, ჩამიქროლებს ხოლმე სანიკოს მბორგავი, ძლიერი სული. მე გული მიჩქროლავს, მე მიხარია მათი გამოჩენა. თუმცა რა სასიხარულოა იმისი დანახვა, რომელიც მიჰქრის გაჩენილ ხანძრისაკენ. მე მიხარია მათი დანახვა და მუდამ კი ვნატრობ, ხანძარი არ იყოს... ისინი მხოლოდ აღლუმზე მიდიოდნენ. გავყურებ მეხანძრეებს, მათს ავტომობილს, მათს წკარუნს, მათს მოპრიალე ქუდებს და ვამბობ: რა კარგი ყოფილა მეხანძრეობა... ვამბობ, სანიკო მშვენიერი ადამიანია, იმას ყოველთვის თავისებური გემოვნება აქვს. მოსწონს ის, რაც განსაკუთრებული მიმზიდველობის მატარებელია და მეც მაწონებს... მეც მაყვარებს. მე უკვე მენატრება ვიყო ამ რაზმის კამანდირი... და, როცა სადმე უბედურება გაჩნდება და ცეცხლი მოედება, ელვის სისწრაფით გავჩნდე იქ, ჩავაქრო ხანძარი,

რომ სწორედ ამით, ამ სიმამაცით გავაჩინო სანიკოს გულში ტრფობის ხანძარი და ჩავიწვა, ჩავიფერფლო იმ ხანძარში... მაგრამ მოსასპობად კი არა (სანიკოს ტრფობა როგორ მოსპობს ადამიანს?!), ჩავიწვა, რომ ფენიქსივით კვლავ აღვდგე სანიკოსთვის უკვდავების ჰიმნის სამღერელად, ჩემი ვარსკვლოვანი სანიკოსათვის.

ძვირფასო, სათნოებავ, ასეთი გავლენა გაქვს ჩემზე... ჩემთვის უკვე დადასტურებულია უხიჭვო ჭეშმარიტება: როდესაც სანიკო ჩემთან არის, მე ვახალგაზრდავდები, უფრო კარგი ვხდები... უფრო ცხოველად ვმუშაობ... სულ სხვაგვარი ჰიმნები იბადებიან ჩემს სულში, მაგრამ დამშორდება სანიკო და კვლავ დამიდგება თვალწინ 42 წელი, რომელმაც უკვე გადააბიჯა 43-კენ, მაგონდება ჩემი სევდით დაისრული ცხოვრება და კვლავ ვნაღვლიანდები, კვლავ რექვიემს ვუმღერი დათიკოს, რომლის ტრაგედია იმაშია, რომ იგი 19 წლით არის წინ... 19 წლით.

მოწიწებით სალამი სანიკოს კარგ, ძალიან კარგს დედიკოს... უხეირო სიძისაგან გაუხარელს... პეპელას ფარფატის მაგვარი ამბორება პაწაწინა, პაწაწინა სანიკოს – ლამზირას... ნაზი, ნაზი, იშვიათი, სხვათაგან გამორჩეული სიყვარული სანიკოს... სანიკოს უკვდავებას, სანიკოს გაზაფხულს.

და შემოდგომის თრთოლვით, შემოდგომის ცახცახით, შემოდგომის მზის სევდიანობით დავანება, ჩემი დავანება სანიკოს მუხლებთან და შემოდგომური სიმღერებით, შემოდგომური ალერსით, ნაღველით... მაგრამ შემოდგომური მშვენებით ლოცვა სანიკოზე... ამბორება სანიკოზე...

შენი დათიკო
21/IV-30 წ. ტფილისი.

ჩემო, ჩემო, ჩემო მერცხალო, ჩემი ცხოვრების დაუბინდავო ცისკარო! შენ ხომ იცი, შენ გყავს ერთი მეგობარი, რომელსაც დათა ჩხეიძე ეწოდება და, რომელიც მუდამ იმას ეჩხუბება თურდოსპირელს, რომ მას უფლება არ ჰქონდა სანიკოს ახალგაზრდობით, სანიკოს მიამიტობით ესარგებლნა; სატრფოდ დაესახა ის, რომელიც უკეთესი ტრფიალის ღირსია. შენ იცნობ ამ მეგობრის აზრებს და, მართალი გითხრა, მან თავი მომაბეზრა, ლამის გამოვლანძღო. რა მისი საქმეა, რომ მე სანიკო მიყვარს, მიბრძანდეს იგი – (დ. ჩხეიძე) – თავის სამსახურში და იქ, არითმომეტრზე საკონტროლო წერები ადგინოს. ამას ვეუბნები მე – დ. თურდოსპირელი და განვაგრძობ სანიკოზე ოცნებას. მე უზომოდ ბედნიერი ვარ! მე, სანიკო, წინეთ ბევრჯერ ვრჩებოდი ხოლმე შებინდებისას ლამპარ აუნთებლივ და ვფიქრობდი ჩემი ცხოვრების დაისზე... ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი ცხოვრება გათავდა, რომ მე მოგონებასღა წარმოვადგენ და ეს მოგონება ჩაქრება ციცინათელასავით... მაგრამ სანიკომ სასწაული მოახდინა.. სანიკომ ხიდი გასდო 23 და 42 წელს შორის. მუხლს ვიყრი და ფერხთ ვეამბორები ასეთს სასწაულმოქმედს! მე, ლამის, ვიწამო, რომ მე მოვკვდი მაშინ, როდესაც ... ჩემმა დედიკომ: გასწყვიტა... ეჰ, ამაზე ჯერ არაფერს დავწერ... და მეორედ დავიბადე, გავცოცხლდი მაშინ, როდესაც სანიკომ მომწერა ის, ის პირველი წერილი... მაგრამ, მეგობარო, იმ ოჯახკეტიან დათიკოს გამოუჩნდა ეს ვიღაცა კარგი, მაგრამ ჩემთვის მიუღებელი მწერალი... აი, რა დარიგებას მაძლევს იგი...

უკაცრაოდ და უკაცრაოდ, პატივცემულო ავტორო, მეც მომისმენეთ... ვინ იტყვის, რომ დ. თურდოსპირელს ბევრჯერ არ ამქუხარებდეს ბედი, მოკვდავთაგანს იშვიათს

შეხვედრია მისთანა მწუხარება, ბედის დევნა და იგი მაინც აცხადებს, რომ ბედნიერია... ბედნიერია, რადგან იქ, თელავში, ჰყავს სანიკო – გაზაფხულის გაზაფხული – კი, მაგრამ რა იცი, შემდეგ რა მოხდება?!

– მაგაზე არ მინდა ვიფიქრო... შეიძლება, ფიქრობს გული, მაგრამ სანიკო ხომ დღეს მმეგობრობს და განა სანიკო ყოველთვის სანიკო არ იქნება, თუნდა მან ჩემზე უკეთესი მეგობარი იშოვოს და მე დამტოვოს მარტოოდენ მოგონების კუნძულად... გადამაქციოს ბიოკლინის კუნძულად?

მეგობარო სანიკო! წეღან ვიწექი და გულზე მედო სევდის ლოდი, შემომიტანეს შენი წერილი და რა იქნა ლოდი? იგი ბუმბულად იქცა და ჰაერში აფრიალდა.

ჩიტიკო, ჩიტუნი, ჟღურტულავ! რა საშინელება ყოფილა სატრფოს მოშორებით ცხოვრება. ტკბილო ჩიორავ, მართლა და მართლა, როგორი ცოლიკო ხარ? იმ 20 მანეთზე რატომ ეგრე მერიდები... რით ვერ გაიგე, რომ ჩემი ხარ, ჩემი და ჩვენს შორის ასეთი ანგარიშები აღარ უნდა იყოს. ჩემო ცოლიკო, ჩემო ზღაპრულო გოგონავ. ეგ რაღა მოსაწერია, აფროსიას სამი მან. გავუგზავნეო. აფროსია გიორგის მოსამსახურე იყო. აბა, აბა, არ გაჯავრდე! ტრფიალო, ნურაფერს გამომიგზავნი, ნურაფერს.

იცი, ჩემი ახალი სევდა რაში მდგომარეობს?

1. განგ. კომისარიტში გამაჯავრეს... ისე საძაგლად გამაჯავრეს იმ ჩემს წიგნაკზედ, რომ ხელში მჭეროდა, მგონი, დავხევდი. იცი, რისთვის? გოგელიძეს წარუდგენია კარგი რეცენზია, მაგრამ ეს არ უკმარიათ და ახლა სხვისთვის გადაუციათ. ეს რომ გაბრიელს გავაგებინე, ძალიან აღშფოთდა, მაგრამ აღშფოთება რომ წამალი

იყოს... რა საძაგლობაა: აღარაფერს არ ნიშნავს თურმე არც ორი მეთოდორგანოს დასტური, არც კომისრის განკარგულება, არც მეორე საფეხურის სკოლების ინსტრუქტორის, მარიამის მოადგილეს, რეცენზია. მაშ, რა არის ეს, თუ არა დევნა. დევნა... და მე მაინც მჯერა, რომ ჩემი წიგნი გაიმარჯვებს.

2. სამსახურშიაც გამაჯავრეს... ეეე, რა მოსაყოლია ეს ამბავი. საცა ორბივით ვტრიალებდი, იქ არ შემიფერეს და რომ გამაჯავრონ იქ, სადაც მართლა არ ვვარგივარ, რა გასაკვირია!

საალერსოვ, საალერსოვ, საალერსოვ.

გენაცვალე, გენაცვალე, გენაცვალე.

თვალები მიცრემლიანდება, მეტირება უსანიკოოთ.

სანიკო, სასოებავ,

იცი, ყურში რა გითხრა?

მიყვარხარ.

იცი, რა ჩაგჩურჩულო?

გემონები.

იცი, რა შემოგღაღადო?

დაგენაცვლე, შეიწირე ჩემი სიცოცხლე.

სანიკო ჩემო, ჩემს მაგიერ ასე მიუალერსე შენს დედიკოს: კარგო, კარგო, ნუ დაგვიღონდები! დათიკოს 42 წლის სიმძიმე აწევს, მაგრამ ჯერ მაინც არ არის ისე მილასლასებული, რომ ერთხელ კიდევ მაინც არ აენთოს... შენს სიძეს ბედი მუდამ ასე არ ექნება მოქურუშებული... თანდათან მოღონიერდება და შეეცდება შეუმსუბუქოს ტვირთი, მცირეოდენი სხივიერება მასაც შეაფრქვიოს, მის მუდამ ჩამობინდულ ცხოვრებაში... ეეე, აქაც უხეირო სიძე ჰყავს... მე მინდოდა, ისე დავყვავებოდი, რომ ცოტათი მაინც ეპატიებინა ის მწუხარებანი და შეღონება,

რასაც ჩვენ მას ვაყენებთ და ვერ მოვახერხე. ალბათ, ძალიან დაღლილი ვარ და იმიტომ! ახლა, უცბათ რომ გამაჩინა თელავში, ამარბენია ჩვენს ღარიბ ოთახში, დამავიწყდებოდა ყველაფერი და მე დავისვენებდი. ვეამბორებოდი სანიკოს და ორბის სიმძლავრეს ვიგრძნობდი. მივუალერსებდი სანიკოს დედიკოს და შემიყვარდებოდა ყველა სანიკოს დედიკოსავით ობლად დარჩენილი ადამიანები. ავიყვანდი ხელში ლამზირას და ვარსკვლავები ოქროს მტვერივით დაიფანტებოდა ჩვენს ოთახში... გეამბორები, გეამბორები... შემოგევლე. მარად შენი დათიკო. ნურაფერს გამომიგზავნი ფოსტით, იქნება ჩამოხვიდე ან ჩამოვიდე. ვსადილობ გიორგიანთსა.

ტფილისი. 23/IV საღამოს 7ს-30 წუთი.

თელავი

გული დამძიმებულია, გაიბზარა.

მოულოდნელად გამოგვაცალა სიკვდილმა ტეხნიკუმის მოწაფე, სიცოცხლით სავსე, ცქრიალამ გიჟი ახალგაზრდა.

საშინელია, საშინელი...

ფიქრები იმის ირგვლივ ტრიალებენ... მგონია, ხვალ შემომიღებს კარებს.

შემომცინებს...

მე შემრცხვა დღეს, როცა შენი წერილი გავხსენი...

შემრცხვა ჩვენი ბედნიერებისა იმ დროს, როცა ის ისე უძრავად ესვენა...

ეჰ, ძვირფასო, ვიცი გამწარდები, მაგრამ მე არ გავურბი ამ შენ დამწუხრებასაც...

უნდა დაიტანჯო, დაიტანჯო, მეგობარო, ესღაა შვება

ჩვენი აქ დარჩენილებისა.

ვინც ჩასწვდა სიკვდილის საშინელებას, მას სიცოცხლე არ შეიძლება, არ გაებზაროს. რაღაც რჩება ნაპრალი, რომელსაც ვერაფერი ამოავსებს.

ვქვითინებ, ვქვითინებ, გიჟი ลюბა გომურაშვილის ასე გაყინვას, გაჩერებას.

ეჰ, ყვავილებით დაუფინეს გზა, თეატრის აივნიდან მიტინგი გაუმართეს.

ცხოვრებაში კი რამდენჯერ დაშხამეს და გაამწარეს, სწორედ გიჟმაჟობის გულისთვის, რაც ახლა ყველას „სიტყვის“ სათქმელად გამოადგა.

ძვირფასო, ზღვა გრძნობათა მატარებელი გული აგიქვითინდება...

მაპატიე!

28/IV-30 წ.

თელავი

¤ ¤ ¤

ძვირფასო, გაცრეცილო მეგობარო!

მე ვფიქრობ, რომ უფლებას არ წამართმევ მაშინაც კი, მეგობარი გიწოდო, თუნდაც დამდგარიყოს ის დრო, რომ სანიკოს აღარა სურდეს განაგრძოს ჩემთან ერთად ცხოვრება. ძვირფასო, შენ რომ მოგივიდეს ამბავი – დათიკოს – აბა, როგორ გამოვთქვა – დათიკოს დაეცა უშველებელი ლოდი და ახლა ნახევრად მკვდარიაო, საავადმყოფოში ასვენიაო, ისე არ უნდა იყოს შეწუხებული, როგორც ჩემი სულის განწირულობა.

მე დიდი ხნის წინათაც უნდა მომლოდინე ვყოფილიყავი, რომ შენი მდიდარი ბუნება მოიწყენდა კლდეთა ვერანათა განწირულების უდაბურებას, მაგრამ

იმას კი არ ვიფიქრებდი, რომ სანიკო პასუხის ღირსსაც აღარ გამხდიდა და ეს მაშინ, როდესაც მე სანიკოს წინაშე მხოლოდ ის დანაშაული მიმიძღვის, რომ 22 წლისას 41 წლისამ გავუწოდე ხელი – სხვა არაფერი... მერე ამიტომ უნდა დავისაჯო ასე გაუგონრად?! ვიცი, მშვენიერო სანიკო, რაც უნდა გემუდარო, დავიჩოქო და შეგღაღადო ჩანჩქერს – ნუ ისწრაფვი ასე გახელებით, გიჟმაჟურად-მეთქი ამას – იქნება ვერ შევაბრალებ თავს და არც მოვინდომებ იმ მშვენიერების დარღვევას, ასევეა ჩემი სანიკოსადმი დამოკიდებულება... თუ კი მას გული ეძახის, დაე ჩამოუშვას ჩემი უკანასკნელი ფარდა. მაგრამ, მაგრამ პატივისცემა ხომ ისევ უნდა შერჩეს ჩემდამი, თავისი ლიმზის მამიკოსადმი?!

ძვირფასო, აბა, რას მოვაწერო შენი ამდენი ხნის დუმილი? უკანასკნელი შენი წერილი მე მივიღე 28-ში, მის აქეთ 4-ზე მეტი წერილი მოგწერე და შენ არცერთზე არ გამომეხმაურე... დღეს ვიყავი სადგურზე, შენ წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, ყველას ჩამოუვიდა მოყვასი, მე კი ვიყავი ეული, ობოლი, უარყოფილი, მოქვითინე უცრემლოდ. ოო, ეს უარესია... მეგობარო, შენი ჯანმრთელობისთვის ვწუხ, შენი ჯანმრთელობისთვის არის საჭირო, ახლა შემითანხმდე, რომ მალე გაგისტუმრებ სანატორიუმში. მეგონა, ჩამოხვიდოდი და დღესვე გადავწყვეტდით. უნდა გითხრა, რომ საქართველოს სანატორიუმებში ფასიანი ადგილებიც ძნელად საშოვნია. მე ყველა შანსი მაქვს, რომ შენთვის შემხვდება ადგილი ევპატორიაში (ყირიმში არა?). თუ შემხვდა, მაშინ შენ იქ უნდა იყო 14 მაისს. გადასახადია 17 თუმანი, გარდა გზის ფულისა. ამასაც შემომნატრიან. როგორც ხედავ, დაყოვნება არ შეიძლება. აბა, შენ გენაცვალე, მალე გამოეშურე. გემუდარები,

ხვალ დეპეშით მაცნობე შენი სულიერი განწყობილება და ისიც, ჩამოხვალ თუ არა. ახლა ღამის 10 საათი უნდა იყოს. რამდენჯერ გადავწყვიტე წამოვსულიყავი ამაღამ, დავიშალე მხოლოდ იმისთვის, რომ შემეშინდა, გზაში არ ავცდე-მეთქი.

ძვირფასო, რად მერიდები? რად მიმალავ შენი გულის ხვაშიადს? თუ აღარ გიყვარვარ, მეგობრად ხომ მაინც უნდა მიგულო და, მაშასადამე, ყველაფერი გამიმხილე. მე არ ვიცი, როგორ გავათევ ამ ღამეს შენი დეპეშის მოლოდინში.

ჩემი მორიგი სიურპრიზი. წელში ისევ დამეწყო ტკივილი. ძლივს ვდგევარ ფეხზე. სადგურზე კი მაინც წავალ ამ წერილის გამოსაგზავნად. კბილები კი, ერთი კბილი კიდევ ამოვიღე. კვლავ აპერაციას მეჩიჩინებიან და, რაკი არ ვთანხმდები, მიპირებენ დაძრობას.

სალამი შენს დედიკოს. ლიმზის მაინც ვაკოცებ – შენ არ მაღირსე ამბორი.

შენი მწუხარე დათიკო.
5/V-30 წ. ტფილისი

მეგობარო, მეგობარო!

რა მადლობელი ვარ, რა მადლობელი, რომ მაღირსე ასეთ უცაბედ სიხარულს, ჩემო კარგო, ძვირფასო!

წახვედი და გაგყვნენ ფიქრები.

დამიცარიელდა დიდი, დიდი ადგილი სულში.

შენ შემოგევლე, ვინ იცის, დღეს შენ სწევხარ მანდ, სწევხარ მარტო, შეღონებული და გვერდს არა გყავს თუმცა ჩამოლეული, თუმც უხალისო, მაგრამ მაინც მოსიყვარულე, უზომოდ მოსიყვარულე სანიკო...

მომწერე, შემოგევლე, როგორა ხარ?! წელი თუ ძალიან გაწუხებს, ჩაწექი, ძვირფასო. იმ სამსახურში ყოფნას შინ წოლა მაინც გიჯობს; რათა ვართ, რათა, ასეთი დაუდევრები?! სიკვდილის პირასღა ვიტყვით, რომ მეტი არ შეგვიძლია.

დათიკო, ძვირფასო!

გიჩქარი გაცნობო, რომ აბასთუმანში ჯერ ვერ წავალთ. გეგელიძის ცოლმა მითხრა, „იქ ახლა ისე ეციება, რომ ძალიან თბილი ზამთრის ტანისამოსი დაგჭირდებაო“ – აბა, ერთი, მითხარი, ასეთი პირობებისათვის რა საჭიროა ვიჩქარო წასვლა?

ჩემო კარგო, ძვირფასო, არ გაჯავრდე, როგორც ხედავ, ეს უმიზეზო დაყოვნება არ არის – ეს მოსაზრებული გაჩერებაა.

რა თქმა უნდა, მე აღარ ვმუშაობ, დავიარები ნადიკვარზე, თუმც ეს წყეული სწორედ, ჩემს ჯიბრზედ საძაგელი ამინდები დაიჭირა.

ცივა, ქარი ჰქრის, წვიმს...

გაზაფხული შემოდგომად იქცა.

ჩემს ძვირფას დათიკოს ვეთხოვები, მისი გამამ-წარებელი და დამღონებელი.

რა ბედის ადამიანი ხარ, რა საშინელი ბედის – ეს უბედურებაღა გაკლდა, რომ ახლა ეს ჯოჯოხეთი აგკიდე? ეჰ, მეც უბედო ვარ! სიამოვნების, სიხარულის ნაცვლად უბედურებას გწიე. განუწყვეტელ უბედურებას!

ძვირფასო!

გეალერსებიან შენი სანიკო და ჩვენი ლამზი.

სიყვარული დედიკოსაგან.

9/V-30 წ.

საღ. 10 ს. თელავი

ძვირფასო, მშვენიერო სანიკო!

ძნელია ადამიანისათვის, ეულად, ობლად ვიდოდეს, როგორც შენ სამართლიანად სწერ, როცა სატრფო ნაპოვნი გყავს, როდესაც იცი, რომ მისი გული მთლად შენია და შეგიძლია დაეწაფო ხარბად, ხარბად კი არა – სათუთად, ისე შეეალერსო, როგორც ნოვალისი თავის ცისფერ ყვავილს... გული სწუხს, გული სტირის, როდესაც გავიხსენებ მანუილოვას – „სევდები და სიხარულები ჩემი ცხოვრებისა“ – „პაპას“, „ბაბუას“. საშინლად დამაღონა ამ წიგნმა.

ძვირფასო, ეს მეორე წიგნია. პირველი, რომენ როლლანის „სიყვარული და სიკვდილი“, რომელზედაც შენ შეგეძლო ბევრი რამ გეთქვა და ყველაზე ცოტა კი სთქვი.

საწყალი, საწყალი მანუილოვა. როგორ შემაყვარა თავი. ნამდვილი სანიკოა, ჩემი სანიკოა... და... მაპატიე ძვირფასო, მაგრამ მგონია, რომ ჩვენი რომანი გაცილებით სჯობია მათსას, ყოვლის უწინარეს იმისთვის, რომ შენ ბევრით ბედნიერი იქნები... შენ აგცილდება ის მწუხარება, რაც მას შეხვდა... შემდეგ... ხომ ისე აღმერთებს... მე ის კაცი სრულიად არ მომეწონა... რა საძაგელი იყო თავისი იჭვებით... თავისი საყვედურებით... თავისი გულქვაობით... ის, ვინც მას უყვარდა, სრული თავისუფლების ღირსიც კი არ გახადა და რაღაც დამყაყებული კანონი მოიმარჯვა. დიდი კაცი იცნობა სწორედ ამისთანა შემთხვევის დროს საკითხის სხვანაირად გადაჭრით და არა ისე, როგორც გადასჭრიდნენ ყველა საუკუნის თელაველი მეშჩანები.

შემდეგ... ფუჰ! მან დახია მანუილოვას სიყვარულის – ნიკოლაისადმი – პოემა, სიმფონია, ფეხქვეშ გათელა მანუილოვას ტრფობის, გულის, ოქროს გულის ყვავილები... და მანუილოვა მაინც დარჩა მასთან.

მე მეწყინა ეს... მეწყინა...

მანუილოვას მეგობარი – ნიკოლაი – არ მომწონა, შემჯავრდა... ხარკოვში რომ მანუილოვას ხელი არ გაუწოდა და კინაღამ არ დაღუპა. საწყალი მანუილოვა, საწყალი და, ბოლოს, როცა დამარხა... დიდმა თუ პატარა დრომ განვლო, მანუილოვას სულს სწყუროდა სიცოცხლე, სიყვარული და მან... მეგობარი იპოვნა... ლამაზად ატარებდნენ დროს... ეს ასე უნდა იყოს... ეს სიბრძნეა სიცოცხლისა... ეს დროშაა სილამაზისა... მაგრამ, მე ფიქრებით მოვძებნე სამარე და, თუმცა სიმპატიურად არ ვუყურებდი, მაინც ავქვითინდი... მეგობარო, მანუილოვი სახელოვანი რევოლუციონერი ყოფილა, მანუილოვას სასოება, აღტაცება. რა კარგია, რა კარგია... მე ვადარებ ჩვენს ტრფობას და ვამბობ სიამაყით: რამდენად, რამდენად ჩვენში ტრფობა უფრო მაღალია, უფრო უნისლოა, უფრო ძლიერია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება უფრო ტრაგიულია...

ახლა შენს წერილზე ვისაუბროთ...

ძალიან დამანაღვლიანა ლამზირას ავადმყოფობამ... ვის გაუგია, როგორ შეიძლება ლამზირას ავადმყოფობა? განა ვარსკვლავებმა და ზღაპრებმა იციან ავადმყოფობა?!

ძვირფასო, რად მისაყვედურებ, ვითომ მე უშენოდ ვიცოდე საკითხის გადაწყვეტა? მშვენიერო, ჩემი ცხოვრების ბრწყინვალე თანამგზავრი იმისთვის მახარებს, რომ უმისოდ მე ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ. როგორც გწერდი, ჩვენი ოთახი 16 მაისიდან გვეკუთვნის და მწყინს, რომ იმავე დღეს იქ არ ვართ. ყოველ დღე თითო მან. გვექვითება. მანეთს კი არ ვჩივი, იმას რომ შენს ფილტვებს აკლდება ოზონი და სხვა კურნებითი თვისების მქონე ჰაერი. უკვე მოგიმზადე წიგნი: მშვენივრად არის ყველაფერი აღწერილი. მე ვფიქრობ, იქიდან ზეკარის უღელტეხილით, ქუთაისით დავბრუნდეთ.

ნულარ დაიგვიანებთ... დავითიანისგან ვგონებ 40 მან. მერგებოდა, მას კი 15 მან. ჩამოუყვანია. ძალიან კარგი, რომ ბინის ქირა გაგისტუმრებია.

საწყალი ცოლიკო, ისეთი მეგობარი ჰყავს, რომ ვალებში ახრჩობს... ფულის გადმოგზავნა რად გინდა? თუ რამე მიიღე, გან-ის განყ-ის ანგარიშთან წამოიღე...

ვიცი, ძვირფასო, რომ ძნელია მანდედან უჩემოდ გამომგზავრება, გესაჭიროება შველა, მაგრამ რა ვუყო, რომ დროს ვუფრთხილდები. როგორმე ჩამოაღწიე აქამდე და შემდეგ მე გიწინამძღვრებთ...

სანიკო, შენ მაინც არ მიეჩვიე თარიღების წერას. არ ვიცი, როდის არის შენი წერილი დაწერილი.

აქაური ბავშვების დარდი ნუ გაქვს. მე მგონია, წელსაც მოუხერხდებათ წასვლა, ოთახი დაქირავებულია.

დამიკოცნე ლამზირა. სალამი შენს დედიკოს. ვენაცვალე სანიკოს... ნულარ დაიგვიანებთ, ნულარ!

ძალიან მეშლება ხელი ამ გადადებ-გადმოდებით. ადამიანის ცხოვრება გეგმაა და ამ გეგმის დარღვევა, ყოველ შემთხვევაში, ჩემში, დიდ ღელვას იწვევს.

გაკოცებ, შენი დათიკო. ამაზე მეტს თელავში აღარ მოგწერ.

14/V–30 წ.

✧ ✧ ✧

თელავი 1930 წ.

დათიკო ჩემო...

კარგო, ძვირფასო –

წუხელის მივიღე შენი წერილი. არ ვიცი, მოულოდნელმა ამბავმა გამახარა თუ დამაღონა.

გმადლობ, ჩემო, გმადლობ...

მხოლოდ ერთი საყვედური – ჩვენ თუ მეგობრები ვართ, საქმე ერთად უნდა გადასწყდებოდეს.

შენ კი მარტო გადასწყვეტ და მე აღარაფერს მიჯერებ. მე ამ რამდენიმე თვის წინ ვნახე გაზეთში: „აბასთუმანში ყველა ოთახები უკვე გაცემულია“ და უცებ შენ მწერ, რომ „ორდერი“ ხელში გიჭირავს. ზოგჯერ ბედი გწყალობს, მაგრამ იქნებ უბედობაც იყოს.

დათიკო, გენაცვალე... მე გულითაც რომ მინდოდეს, მაინც ჯერ ვერ გამოვალ...

პირველი და უმთავრესი ისაა, რომ ლიმზი, ეტყობა, გამიცივდა – ძალიან ახველებს, სიცხე აქვს და მისი მგზავრობა, სანამ არ გაუვლის, შეუძლებელია.

ჩემო ძვირფასო მეგობარო, მე არც ფიჭვნარი მახარებს, არც დასვენება, არც გამაკი, არც აბასთუმნის ხეობა, თუ ესენი მარტო ჩემთვის არის. მიყვარდა წინეთ, ძალიან მიყვარდა ეულად ხეტიალი და ოცნება მიუღწეველზე. ახლა ვიპოვნე მეგობარი, ოცნება ჩემს გვერდზეა და, ამავე დროს, მასთან ყოფნა გამიძნელდა. ჯერ კიდევ კითხვაა, ჩემთვის უფრო საჭიროა აბასთუმანი თუ შენთვის?!

იქნებ, იქნებ მოახერხებდი ორ კვირას მაინც უჯამაგიროდ წამოსვლას. ომწერე, აქვთ თუ არა იმათაც ოთახი კოჯორში ან სხვაგან, თორემ არ შეგვერგება, თუ მარტო ჩვენთვისაა ეს ფუფუნება.

შენი სანიკო!

ეჰ, მაინც შემოდგომამდე რამდენიმე საშინელი თვეა, შემოგევლე. თუ შენი წიგნი დაიბეჭდა, შენ უნდა მიატოვო ეს სამსახური, ბავშვებს მისცემ და ჩვენ ჭადის ჭამა არ გვირჩევნია მაგ წამებას?! გენაცვალე!

სანიკო

დათიკო!

ჩემო კარგო, ძვირფასო, საყვარელო! გადამელია გული ამ ლამაზ აბასთუმანში. არ ვიცი, პირდაპირ, რითი მოვკლა დრო. წიგნებსაც ვუფრთხილდები, რომ არ შემომეკითხოს ორ-სამ დღეში. დღეს 26-ია და რაც წასულხარ, სულ მოჟღმურტლულია, ჟინჟლავს, წვიმს, სეტყვაა და დამაჭლექა ამ წყეულმა ამინდებმა.

მეგობარო, შენ რომ მყავდე ახლა გვერდით, მკურნალობაც და აგარაკიც მაშინ მინდოდა. ახლა რათ მინდა ან ეს ატეხილი ნაძვნარი, ჭალები და, ან სხვა წარმტაცი სილამაზე ამ ხეობისა?!

ნეტავ კარგი ამინდები მაინც დაიჭიროს, რომ ავიდე, მოვვლო ის ადგილები, სადაც ერთად თრთოდა გული, სადაც ერთად ვსუნთქავდით ბუნების სილაღეს, ტყის დუმილს.

ძვირფასო ჩემო, საშინელია ასეთი უსახო, ერთფეროვანი დღეები. გადამელია სული.

არ მინდა, არა, თუ შენც არ იქნები ჩემთან – ისე არ გავჩერდები აქ. სულ არ მიდგება გული.

შენ გენაცვალე, წერილები მაინც მომაწოდე ხოლმე.

ნაზი,

თბილი,

სათუთი წერილები...

შენი სულის სახეები –

ნეტავ მალე მივიღებ შენს წერილს?!

ხორცის შოვნა არ არის, ქათმებიც აღარ დაჰყავთ და გადაილია გული. კვერცხი, რძე, კარაქი, ძმარიც ვერ ვიშოვნე, დაუძმარდათ ამათ თავი! იქნებ, ძმარს და პურს მაინც ვჭამდი.

ძვირფასო, სალამი დედიკოსაგან.

შენი გოგონაც გიძახის:

მამა – ატო – აქა – ამას უკვე დაეტყო აბასთუმნის ჰავა, მგონი, რომ ცოტა მოემატა უკვე.

ნაზად, ნაზად გაკოცებს

შენი, შენი

სანიკო

26/V–30 წ.

აბასთუმანი.

¤ ¤ ¤

მშვენიერო მეგობარო სანიკო!

ხომ სამი წელიწადი მალე შესრულდება, რაც შენ ჩემი ხარ, მაგრამ მითხარი, რატომ ვერ შევეჩვიე, რომ შენი ხელმოწერა წერილის ბოლს: „შენი სანიკო“ მე უზომო სიამოვნებას, ნეტარების ჟრუანტელს მგვრის... შენებურის გრძნობით, შენებურის ორიგინალლობით და ალერსით მწერ:

შენი სანიკო

შენი სანიკო

შენი სანიკო!

ვკითხულობ მე და ვხედავ ჩემს ზღაპარს, აბასთუმნის მთებიდან ჩემთან გადმოფრენილს; შენი სანიკო...

ჩემი... ჩემი სანიკო...

რა თქმა უნდა, ჩემია,

ჰაი-ჰაი, რომ ჩემია!

ჩემია და ჩემივე იქნება.

თუმცა... ეგება სიზმარია ესა?!

ნუთუ სანიკოს მტრედისფერი სული მე მეკუთვნის, მე მმეგობრობს, ჩემი ცხოვრების თანამგზავრია?!

ნუთუ სანიკოს ნაზი, ნაზი, სურნელოვანი ტანი, როგორც ფიჭვები, გაზაფხულის განთიადისას აშრიალებული... ნუთუ სანიკოს ასეთი სურნელოვანი და ჰაეროვანი ტანი ჩემია?!

ჩემო ჩიტიკო, ჩემო ზღაპარო, ჩემზე ნურაფერს ინაღვლებ. მართლა და მართლა, არც ისეთს მძიმე მდგომარეობაში ვარ, როგორც გეჩვენება. ოღონდ სანიკო გამოჯანსაღდეს, ოღონდ სანიკოს დაუბრუნონ აბასთუმნის ჯადოსანმა მთებმა ოდინდელი სიკასკასე, საღი სისხლი, სიმხიარულე, ელვარება და ყველაფერს ველირსებით. ახლა მე ერთადერთი რამ მაქვს საფიქრებელი: შენი განკურნება და შემდეგ შენი უნივერსიტეტში შესვლა.

შენი ფილტვების და ნერვების პატრონისათვის აღარ შეიძლება მასწავლებლობა... ეს ჩემი პირადი დასკვნაა. შენ ერთსა და იმავე დროს არ უნდა გიხდებოდეს სწავლაც და მუშაობაც... ამას უეჭველად მოვახერხებთ, ოღონდ ის მაღონებს, რომ ბინა არა გვაქვს.

ძვირფასო, გაუფრთხილდი შენს თავს; ადრე გამოდი გარეთ ჯანსაღი ჰაერის შესასუნთქად. უამინდობა ნუ დაგაღონებს. აქაც წვიმებია. რა უშავს, აბასთუმანი ხომ ყოველ დროს და ყოველ ამინდში კარგია. მოწყენით კი... მაგ მთებში, მაგ ცოცხალ, ზღაპრების მთხრობელ ფიჭვ-ნაძვთა შორის მოიწყინოს კაცმა... სირცხვილია, მოენატროს ინტრიგებით და მეშჩანების მწკლარტე სუნით გაჟღენთილ თელავში, თუნდა სხვაგან ყოფნა.

ჩემს წიგნს გაბრიელმა ახალი და ისევ კარგი რეცენზია დაურთო... განვიხილავთო... ჰმ! ჰმ! ახალი ამბავი: გაბრიელმა მითხრა, ამ ზაფხულს ოზურგეთში მასწავლებელთა კურსებს ვხსნით და თქვენ ხელმძღვანელად უნდა წახვიდეთო. მე...

კურსები, ალბათ, ივლისში გაიხსნება. ჯერ ადრეა! თავი და თავი პირობებია. რა ჯამაგირს დამინიშნავენ... ჩემი ამბავი ხომ იცი, როგორ მივაწყდები... შემდეგ აგვისტოში რომ უჯამაგიროდ დავრჩე? როგორ შეიძლება ამ ადგილს თავი დავანებო და გარანტია არა მქონდეს, რომ უკეთესად მოვეწყობი, აგვისტოდან თუ არა, ენკენისთვიდან მაინც. ამ საკითხებზე ლაპარაკი ივლისში გვექნება; თუ შევთანხმდებით, შენ გამოგივლი, გავიხარებ, გაგახარებთ და გავუდგები გურიას. უფრო იმიტომ დავთანხმდები, რომ კახეთში მყოფმა ზოგიერთმა კრეტინებმა იგრძნონ, რომ მათ მიერ დაწუნებული უხეირო პედაგოგი ინიშნება იმ მასწავლებელთა კურსების გამგეთ, რომელნიც საქართველოში ყველაზე მოწინავეებად ითვლებიან.

კახეთიდან არაფერი ამბავი არ ვიცი. გუშინ შემხვდა ვარამაშვილი, გამაჩერა, თბილად მომიკითხა, გაუკვირდა ჩემი გამოძევება: მე არა ვიცოდი რაო! მგონია, რომ ისე თქვა, თავაზისათვის. შეუძლებელია, არ იცოდეს. კახეთში ყოფილა დანიშნული აფციაურის ადგილზე საოლქო კომ-ის თავ-რედ. შარშან იყო ოლქის პარტკომის მდივანი. უფრო მაღალი თანამდებობაა, ჩემი აზრით. ახლა პარტკომის მდივნად მათიკაშვილი მიუწვევიათ. ნეტავი, კოტე მალე ვნახო, რომ ეგებ ამ ახალი ხალხის შემწეობით მაინც ავინაზღაურო ჩემი ხვედრი ფული. რად მოვეშვა, როცა დავიმსახურე ჩემი შრომით და ნერვებით. ახ, ერთი 15 თუმანი რომ მაინც მომცენ – გიყვარდეს ქეიფი!

უჰ, გქანცავ ხოლმე უშველებელი წერილებით. სჯობია, გახვიდე ტყეში, გააბა გამაკი და ისუნთქო, ისუნთქო: შენი ბედნიერების და ჯანმრთელობისთვის, შენი ლამზირას მომავლისათვის, შენი დედიკოს დამშვიდებისთვის, შენი დათიკოს აღდგენისათვის.

ნუ დამივიწყებ, სალოცავო; სალამი შენს დედიკოს. ვენაცვალე ჩვენს გონიერს, ჩვენს გრძნობიერ სანიკოს – პატარა, მინიატურულ სანიკოს – ლამზირას.

სანიკო, თუ კურსებისთვის ჩემი პედ. წიგნები და სხვა შენიშვნები დამჭირდება, ეგება ერთი დღით თელავში წავიდე. უჰ, რა მეზარება, როგორ მიმიხაროდა, როცა სანიკო იქ მყავდა და რა მიმძიმს ჩასვლა იმ უდაბნოში. მომწერე, ხომ არაფერი წამოგიღო იქიდან? აბა, იყავი გამარჯვებით.

აგიყვან მთებზე, მიგასვენებ გადახრილ ნაძვის ტანზე და დაგეკონები სასოებით, გატაცებით, აღფრთოვანებით.

დაგეკონები გაცრეცილ ბაგეებზე და ჭკვიან თვალებზე.

შენი,

ჰაი-ჰაი, რომ შენი დათიკო.

28/V-30 წ.

ტფილისი – მაშ არადა, ნეაპოლი არ იყოს –

ძვირფასო, ტკბილო მეგობარო სანიკო!

მიხარია, უზომოდ მიხარია... სანიკოს წერილები ხშირ-ხშირად მოდის. კვლავ რწმენა მემატება ჩემი თავისა, კვლავ ვმაღლები... სიამაყით დავდივარ ქუჩაში... გზადაგზა მხვდებიან მოღუშული, გაგოროზებული ადამიანები; მე მათ უსიტყვოდ, თვალების კვესებით ვეუბნები: ძმებო, ადამიანებო, საწყლებო... თქვენ შეიძლება დიდი დრამა გაქვთ სახლში... უეჭველია, თქვენ გაკრული ხართ ტრადიციების ჯვარზე და ისჯებით... თქვენ შეიძლება გარდაიქმნეთ, თუ ჩემსავით იქნებით გაბედული, თუ

შეიყვარებთ... ბევრ თქვენგანს ყალბ ურთიერთობაზე აგებული ოჯახი აღრჩობს, დიდ დრამას განიცდით, მაგრამ მშიშრები ხართ, გაკანკალებთ, საგონებელში გაგდებთ იმის დამსხვრევა, რაც ძირმომპალია. მომბაძეთ მე, დასთრგუნეთ ეს ფილისტერული ზნეობა და თქვენ გარდაიქმნებით, განიკურნებით... რას კითხულობთ იმას, თუ ვინ რას იტყვის? მეშჩანი ძაღლის ყბაა, რა მოჰღლის, პირში კაპს ვინ ამოსდებს...

ასე ვნეტარებ, მეგობარო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გულში სევდა არ იყოს ანთებული, რომ გული არ იწოდეს საკირეში... მე ვნეტარებ და ვკაეშნიანობ კიდეც... როგორც ღამღამობით, ლამპრის წინ თრთის, კანკალებს პეპელა, ისე ჩემი გული თრთის და არ დამშვიდდება, ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ ჩემი სანიკო სრულიად განიკურნა...

ყველას აქვს თავისი იერემიადა. ჩემი იერემიადაა:

სანიკოს ავადობაზე ნაღვლიანობა.

სანიკოს უიღბლობაზე მელანქოლია.

სანიკოს სწავლისაკენ ჯერჯერობით გზის გაუკაფავობაზე ჯავრიანობა...

სანიკოს მეტისმეტი სისათუთის დარდი.

გეამბორები, მარად შენი დათიკო.
30/V–30 წ.

✧ ✧ ✧

ჩემი გოგონა მამიკოს აღარ შორდება. მე ლამის არის, შემშურდეს კიდეც ასეთი არჩევანი...

ვეუბნები: ციცუნი, მოდი დედიკოსთან, მოდი გენა-

ცვალე... ლიმზიმ გამოსწია ერთი ხელი, მეორეთი მამიკოს ეხვევა. გამოსწია. მე მივუახლოვდი. მეგონა, ჩემთან უნდა გადმოფრინდეს ჩემი მერცხალი და ყელი მივუწიე მოსახვევნად. გამაოცა, გამახარა – უზომოდ აღმაფრთოვანა.

ლიმზიმ მეორე ხელი მე მომხვია, მაგრამ პირველი მამას არ უშვა. გადაგვაჭდო ორივეს პაწაწა ციცები, მოგვიტანა უზომო ბედნიერება – გვაგრძნობინა ნეტარება განუზომელი.

ახ, რა ბედნიერები ვართ!

სანიკო.
აბასთუმანი
1930 წ. მაისი

¤ ¤ ¤

ჩემო მშვენიერო მეგობარო სანიკო!

იმის მოლოდინით, რომ, აი, სანიკოს წერილს მივიღებ და ბარემ მაშინ ჩავუჯდები ჩემს ცოლიკოსთან წერილის წერას-მეთქი, დღეები გავიდნენ. შენი წერილი აღარსად სჩანს და მე მოთმინებადაკარგული ვიწყებ წერას. მე ჩემი ფიქრთა პლანეტარიუმი სანიკოს ელვარე სახით მოვხატე და სხვაზე არაფერზე ვფიქრობ ისე სათუთად, როგორც სანიკოზე. თითქოს დიდი ხანი არ არის, რაც შენი წერილი მივიღე, მაგრამ გული შემომტირის: ვაიმე, სანიკო უარესად ხომ არ გახდა, სანიკოს ხომ არ უმატა სიცხემ, ეგება სანიკოს ავნო აბასთუმნის მაღალმა დონემ და მისთვის აღარ იწერება?!

მეგობარო, ჩიტიკ, სანიკ, შენ გენაცვალე, გაიმახვილე

ყურადღება შენი ჯანმრთელობისადმი. ახლავე, გადაუ-დებლად ეჩვენე რიგიან ექიმს, რჩევა ჰკითხე, როგორ იმკურნალო. შემდეგ კი, როდესაც სანატორიუმი გაიხს-ნება, ისე უნდა მოგვარდეს საქმე, რომ მუდმივად მათი კონსულტაცია გქონდეს.

ჩემო ჩიტუნი, შენც გეხვეწები და დედაშენსაც, არა-ფერი დამიმალოთ. უწინამც დღე დამლევია, მაგრამ, თუ შეიტყო, რომ გამომჯობინება არ გეტყობა, მაცნობე, რომ სხვა ღონისძიება გამოვძებნოთ...

ვერ მივართვი ავადმყოფობას შენი თავი, ვერ მი-ვართვი!

სანიკო ღირსი იყო უკეთესი მეგობრისა, მაგრამ ერთი კი აშკარაა, ეს მეგობარიც, დავითი, თუ სანიკოსთვის მზეობას ვერ შესძლებს, იმდენს მაინც მოახერხებს, რომ იქცეს სანიკოს ფეხსაცმელად და მარად თან სდევდეს, რათა სანიკოს სავალ გზაზე ეკლები მაინც ააცდინოს, ქვა-ღორღს არ დააჩქვლეფინოს სანიკოს ლამაზი ფეხები.

სანიკო, გუშინ ვიყავი საკონტროლო კომისიაში და ერთი კვირით კიდევ გამანთავისუფლეს სამკურნალოდ. ნეტავი მომეხერხებინა შენსკენ გამოქროლება, მაგრამ არ შეიძლება. სანიკო, ძვირფასო, არაჩვეულებრივად მესაჭიროება შენი აზრი ჩემს ახალ საქმიანობაზე, საგონებელში ვარ. როგორც გწერდი, წინადადება მომ-ცეს, წავიდე გურიაში მასწავლებელთა კურსების გამგედ. ინსტიტუტში დამიბარეს და მითხრეს, თქვენი კანდიდატურა მარიამ ორახელაშვილმა წარმოადგინაო. კურსები იხსნება 1-7-დანვე 7-მდე. შემდეგ? აგვისტოში? მაშინ რაღა ვაკეთო? ან ენკენისთვეში როგორიღა იქნება ჩემი ბედი? ყველა ამ საკითხზე ველაპარაკე გაბრიელს, მაგრამ... მაგრამ არ იცი განა... რა უნდა მითხრას, რით

მანუგეშოს. ის ამბობს: ხო, თქვენი კითხვა სწორია, პერსპექტივა უნდა სჩანდესო... მე ველაპარაკე მუშფაკის გამგეს და ის ენკენისთვიდან გაკვეთილებს გვპირდებაო, თუმცა სრული გარანტია არა გვაქვს და ვერ ვენდობითო... ასეთ პირობებში ამ სამსახურს თავი როგორ დავანებო? გაბრიელმა მითხრა, ეგებ უჯამაგირო შვებულება აიღოვო, მაგრამ არ მომცემენ, რადგან ჩვენი გან-ის გამგე, თურმე უკმაყოფილოა, რომ მე ამდენს ვაცდენ სამსახურს... ესეც ახალი ტიპის მუშაკი! საექიმო კომისიამ გამანთავისუფლა და ის იქ რაღაცას როშავს. თურმე დაუწყია ჩემი მაგიერის ძებნა. დღეს ვიყავი, ზახაროვი ვნახე და სხვები, ძალიან სიმპატიურად მიყურებენ და მირჩიეს, ამ სამსახურს თავს ნუ დაანებებო. ცხადია, ასეთ თანამდებობაზე მე დიდხანს ვერ გავძლებ, მაგრამ სხვა რომ ჯერ არა სჩანს... გურიაში წასვლა კი მინდა იმიტომ, რომ აქაურ კანცელარიას და ნერვების მოშლას მოვცილდები, სუფთა ჰაერზე ვიქნები, ცოცხალ საქმეს გავაკეთებ და მტერს და ვერაგს ჩემი აღფრთოვანებული მუშაობით გულს გავუგმირავ:

„ჰოპლა, მე ვცხოვრობ“!

მეგობარო, რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?!

ამას ერთვის ენკენისთვეში შენი ინსტიტუტში შესვლა. ბინას რა ვუყოთ? თუნდაც ბინა ვერ ვიშოვოთ, შენ მაინც თბილისში გაცხოვრებ. მოვახერხებ შენს სადმე მოთავსებას და მე კი მომიხდება პროვინციაში წასვლა სად? რომელ მაზრაში? აბა, რა ვიცი, ჯერ არსაიდან არ მომსვლია მიწვევა. ჩქარა მომწერე შენი აზრი: როგორ მოვიქცე, წავიდე გურიაში თუ არა?! სანიკო, ჩიტუნი, საჩქაროდ მისწერე კახეთში, რომ პედ.ტექნიკუმის დამთავრების ატესტატი გაგიმზადონ და შეაგროვე ყველა საბუთები, რომ არ დაგაგვიანდეს ინსტიტუტში შესვლა.

მეც მივტრიალ-მოვტრიალდები. გუშინ ვასასიმ რომ გაიგო, საკონტროლო კომისიამ კვლავ გამანთავისუფლა, სიცილით მითხრა: თქვენი გულისათვის ვერ მივდივარ საკონტროლო კომისიაში. მე იმავე ექიმებმა უნდა გამ-სინჯონ და რას იტყვიანო... მეც არა ვთქვი, რად უკვირდათ ჩემი განთავისუფლება... კინაღამ არკი წავედი, ისე მაჯერებდნენ, არ გაგანთავისუფლებენო. ისე სასტიკია საკონტროლო კომისია და ის მეორედ მანთავისუფლებს – რა აწეწილ-დაწეწილი უნდა მქონდეს ნერვები და, საერთოდ, როგორ შერყეულია ჩემი ჯანმრთელობა!

ვაი, რა კაეშნიანად ვატარებ ამ გაზაფხულს... როგორ მენატრება ჩემს სანიკოსთან ყოფნა, როგორ მითრთის გული, რა უძლურია კაცი. საშუალებას მოკლებული ვარ, ერთი კვირით მაინც ჩავურბინო სანიკოს.

წეღან აფიშას მოვკარი თვალი. თურმე ცნობილი მომღერალი სობინოვი ჩამოსულა, მაგრამ მე არც მას მოვისმენ, არც სამხატვრო თეატრს – მოსკოვიდან არიან, არც მარჯანიშვილის დასს.

ჩემი სამხატვრო თეატრია სანიკოზე ფიქრი, სანიკოსთან ყოფნა, სანიკოზე ლოცვა. სანიკო მყავდეს ჯანმრთელად და ბედნიერად, თორემ ყველაფერს მოვასწრებთ.

სანიკო, შენი ჭირიმე, არ გამიჯავრდე, არ გაგულისდე, გიგზავნი 4 თუმანს. აქედან თუ საკურორტო სამმართვე-ლომ ითხოვოს, მიეცი 25 მან. დანარჩენი მოიხმარე. ჩემზე ნუ ფიქრობ, მე მოვღერიანდი, მეტი ძალა მომეცა. კარგად ვიკვებები. ამათ სწყინთ, რომ ცალკე დავიარები, მაგრამ ასე სჯობია.

აბა, მერცხალო, აბა ჩიორავ, თავს მოუარე. სალამი შენს დედიკოს. დამიკოცნე ლამზირა.

გეამბორები ისე გატაცებით და სათუთად, როგორც

შეუძლია გაახალგაზრდავებულ დათიკოს. გადაგიწევ ყელს და გაკოცებ... მოგეპარები და კისერზე გეამბორები... დავიჩოქებ და მუხლებზე გეამბორები.

მარად შენი დათიკო.
3/VI-30 წ. საღამოს 10 საათი.

5/VI-30 საღამოს 5 საათი

მეგობარო, კარგო მეგობარო, ჩემო დაუმჭკნარო ნაძვო, მოუნისლავო გარიჟრაჟო, სანიკო!

რა კარგა იცი წერა, ახ, რა კარგა... ახ, რა არის თაგორის მისტიური ბურუსიანი სტრიქონები იმასთან შედარებით, რასაც სწერ შენა... ნუთუ ეს სტრიქონები მე მომმართავენ, მე მაბედნიერებენ? „დათიკო, ძვირფასო, ძვირფასო, ბევრჯერ... როცა ტყეში ვარ, მგონია, აი, ან იმ ხის, ან ამ ხის აქეთ, აგერ, ან აქ, ან იქ გამოჩნდება დათიკო... ხომ ვიცი, რომ ეს არ იქნება... აბა, როგორ მოხდება... მაგრამ მაინც თვალი გეძებს, გული გელის... შენ გენაცვალე...“

ამის შემდეგ აღარ მინდა არც ოპერა, არც სურათების დათვალიერება, არც რაიმე მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა... მაინც ერთ სტრიქონსაც მოვიგონებ კიდევ: „როცა შენი წერილი მომიფრინდება, გული თრთის, ფანცქალებს... სიწითლე ამინთებს სახეს“.

რა კარგია, ახ, რა კარგია...

დამასწარი, გიჟუნი... დამასწარი, მე მინდოდა ასე მომეწერა. სამი წლის იუბილეს გადავიხდით... უეჭველად გადავიხდით ლამაზად... არაჩვეულებრივად,

სამახსოვროდ... და... ნეტავ ექვსი წლისას კი არ გადავიხდით?!

ძვირფასო, მე ძალიან ვეცდები, რომ, რამდენადაც ჩემზეა დამოკიდებული, ნაკლები ვიღელო, რომ შევაჩერო ჩემი დაბერების ტემპი... ვეცდები: სანიკოსთვის, ლამ-ზირასათვის, მზიასა და დალისათვის.

ძვირფასო მეგობარო, ჩემგან გაუხარებელი და მაინც სიყვარულით

გულაპირთავებულო სანიკო!

ოცნებით გაგიტაცებ, აგიყვან იქ, ფიჭვნარების მწვერვალზე, სადაც მე და შენ „ისე ბედნიერები ვიყავით“ (ეს შენი წერილებიდან არის ამოღებული), დავიჩოქებ შენს წინაშე, ჯერ ლოცვას ვიტყვი მარადიული ტრფიალებისას, ფიჭვებს მადლობას გადავუხდი, შენზე რომ ზრუნავენ, შევევედრები, შთაგბერონ სიჯანსაღე, იმაზე უკეთესი, როგორიც გქონდა, მადლობას შენც გადაგიხდი, რომ ისეთი კარგი ხარ. დაჩოქილი დაგიკოცნი მუხლებს, ხელებს, ფეხებს... გატაცებით დაგეკონები ბაგეებზე.

მეგობარო, როგორია შენი სულიერი განწყობილება?! მე მჯერა, რომ დაგიბრუნდა ძველი სიმალხაზე, ძველი ენერგია, სიცოცხლის დაუშრეტელობა და მენატრება ახლო ყოფნა შენთან და ბავშვური უდარდელობით შენთან ხელიხელ ჩართული ტანტალი მთებზე.

სასოებავ, სასოებავ, სასოებავ!

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!!!

შენი დათიკო
7/VI–30 წ.

✧ ✧ ✧

ჩემო კარგო მეგობარო!

გუშინ მივიღე შენი წერილი, წვიმდა, მოჟღმურტული, ჩამობინდული იყო ბუნება, მაგრამ შენმა წერილმა გამომიშუქა, გამომიდარა და სულს აჰყარა სევდა, ნისლი.

დათიკო, შენ გენაცვალე, მოშალე შენს წერილებში ის კილო, რომელიც ყოველთვის განსხვავებაზე ლაპარაკობს.

რათა? რათ გჭირდება?

ჩვენ ხომ კარგი მეგობრები ვართ?

ჩვენი ცხოვრება ხომ რომანტიულობას ატარებს?

მაშ, რაა ეს შენი კილო? ის უნდა გაჰქრეს შენი წერილებიდან. იმას ადგილი არა აქვს, არა, გესმის?! ეს ოთხი დღეა, გადაუღებლად დაიწყო წვიმები, გადალია გული.

ცოდვაა არა, ასე ჩამოგყურებენ ეს ატეხილი ფერდობები და კი არ შეგიძლია მათში გაჭრა.

ნეტავი შენი გურიაში გამგზავრების საქმე როგორ იქნება, ყოველთვის, სადაც კი ცოტა რაღაცა გამოაშუქებს, უეჭველად გადაეღობება, გადაეღრუბლება რამე.

რათა ვართ ასეთი ბედისანი, მეგობარო.

ნეტავ შენ ჩამოხვალ როდისმე, ნეტავ ჩამოხვალ?!

ჩემო ძვირფასო, მე გვარიანად ვიკვებები, მარა შენი არ ვიცი.

მე აქ მეზობლები მომივიდნენ, კარგი გოგონები არიან, არა უშავს, რა. ვერთობით, ხშირად ვთამაშობთ ჭადრაკს, ნარდს. სხვა რა გავაკეთოთ?! სამკითხველოდან წიგნები ვერ მომაქვს დედას შიშით. ამ ქალებთან რომ დავიარები, დედა იმაზედაც ძალიან მეჩხუბება. აბა, რა ვუყო, ჯანმრთელი ხალხი აქ საიდან გამოვიწერო?!

შენმა გოგონამ ძიძი გაგლიჯა და მეოთხედი მაინც პირში აქვს და უხარია.

მე მეუბნებიან, რაც ჩამოხვედი ცოტა მოფერიანდიო, სიცხემ კი ჯერ არ დამანება თავი ჯერაც.

გააწყალა გული.

სალამი ჩვენიანებს. ვასასი რას აპირებს? სად მიდიან და როდის? რა ვქნა? მინდა ბიჭიკოც და ციალა (ორივესთვის ძნელია) წამოსულიყვნენ, მაგრამ მეშინია, მერე ხათაბალაში არ გავება.

ძვირფასო ჩემო, თელავში თუ წახვიდე და მერე აქეთ წამოხვიდე, ცვაიგი წამომიღე.

იჩქარე სანიკოს ნახვა, შენ გენაცვალე!

9/VI-30 წ.
აბასთუმანი.

¤ ¤ ¤

15/VI-30 წ.

მშვენიერო, მშვენიერთა შორის უპირველესო, ზღა-პარო, ოცნებავ,

ჩემი ცხოვრების ნამდვილო, მოუნისლავო, დაუ-ღამებელო

გაზაფხულო სანიკო!

გენაცვალე, გენაცვალე, გენაცვალე!

დაგიკოცნი ტუჩებს, თვალებს, გადაგიწიე ყელი და ნაზად, პეპელასავით, დაგაკვდი გიჟურად, ჟრუანტელით დაგიკოცნი ჩემი ლამზირას მკვებავ მკერდს. სანიკო, სანიკო, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ... მაგონდებიან მაგ ტუჩებიდან დალეული ტკბილი, ტკბილი, უკვდავების

მომნიჭებელი შარბათები, ტკბილი, ტკბილი წუთები!

რა კარგია, ახ, რა ბედნიერებაა იმის შეგრძნება, რომ, აი, მე სადმე მივალ და სანიკოც მზად არის, სანიკოც მომდევს. რათა? რაიმე საქმე აქვს? – არა, მომდევს მისთვის, რომ ჩემი ორეულია.

17/VI-30 წ. /ივნისი/

ძვირფასო, სასოებავ, სათუთო, მშვენიერო!

შენი ფანქარი ამოვიღე კალათიდან და იმითი გწერ. ასე მგონია, რომ მიჭირავს შენი თლილი თითები და ნაზად, ნაზად ვეამბორები. წერ... ვწერ დაღონებული და ველოდები, იქნებ ახლა მოვიდეს ფოსტალიონი-მეთქი და ამისრულდა ნატვრა და მოვიდა შენი წერილი. იტყობინები, რომ გამოგიგზავნია წერილი, რომელსაც შეიძლება ავეღელვებინე და გავებრაზებინე.

შენ ძალიან სათუთი ადამიანი ხარ, მეგობარო, და სჩანს, რაღაც მძიმე, მძიმე ფიქრებმა შეგარხიეს. სასოებავ, მე გატყობ, რომ შენს სულიერ ცხოვრებაში რაღაც ბრძოლა სწარმოებს. შენ ძველებური გატაცებით, სანიკოსებურად, აღარ ეხმაურები დათიკოს.. თუ კვლავ გიყვარს...

ისე, შენ ვიღაცა გეძახის, ვიღაცა ულმობელი მოგიწოდებს, სურს შენი წართმევა... და, ალბათ, ეს სულიერი ბრძოლა გიკარნახებდა რამეს... „მე რა ვქნა, მე რა გითხრა, მეგობარო?! ერთადერთი დამრჩენია, განვერთხო შენს ფეხთით, დაგიკოცნო ფეხები და გთხოვო პატიება, რომ სრულიად ახალგაზრდა გაგიტაცე და შენს ცხოვრებაში შევქმენი უდიდესი ეპიზოდი მწუხარებისა...

მაგრამ, შენ ძლიერი ხარ! ეს ეპიზოდი შენისთანა მშვენიერს, დიადს რა ჩრდილს მიაყენებს... მეგობარო, ამ ბედისა ვარ. შენ გეძებდა ჩემი სული, შენზე ვოცნებობდი, მაინც შეგხვდი, გამაბედნიერე, მაგრამ მე აღარ აღმომაჩნდა ძალა შენს გასაბედნიერებლად. მიზეზი – წლოვანებაა, ქარიშხლებისაგან დამსხვრეული ფრთები...

განვაგრძობ: ალბათ, შენი ნაღვლიანი წერილის მიზეზი იქნება ის, რომ მწვავედ გრძნობ ჩემს შენდამი შეუფერებლობას... შენ მთხოვდი ამაზე შემეწყვიტა წერა, მაგრამ განა შემოდგომას რამდენიც არ უნდა ემუდარო – ყვითელი ფოთლების ნაღვლიან სიმღერას ნუ ამბობო – განა ის შეძლებს ნარგიზის ენით ალაპარაკდეს?!

...ტფილისში სულ წვიმს, წვიმს, წვიმს... დღე არ გავა, განსაკუთრებით საღამო, რომ ნიაღვრები არ წამოვიდეს. გუშინ საშინელი სეტყვა იყო. ასე რომ, ნუ იფიქრებ, ცუდ დროს წასულიყო აბასთუმანში. თუ მანდაც წვიმებია, აქაც გულს მოგიწყლულებდა. სანიკო, ჩიტიკო, შენ მაინც არ მოგშორდა ეგ სიცხეები. ინახულე ექიმი და, მოდი, 15 ივლისისთვის გადაგიყვან სანატორიუმში.

რატომ ვერ ისწავლე მეგობრების შერჩევა. რად გინდა, გენაცვალე, რატომ დაუახლოვდი ქალს, რომელმაც შენცა და შენს ოჯახსაც შეიძლება ავადობა მოუტანოს? გენაცვალე, გაუფრთხილდი შენს თავს და შენს ოჯახსაც.

სულიერად ძალიან შეღონებული ვარ. კბილები... ღრძილები... ვაგლახ, წყლის ხმის დროსაც კი უკვე მტკივა. შეიძლება მალე სულ ყველა კბილის ამოძრობა დამჭირდეს. ეს იმდენად მწვავედ არ შემაღონებდა, მარტო რომ ვყოფილიყავი. ისედაც რამდენ ფარულ ცრემლს ვაფრქვევ, სანიკოს ღირსი არა ვარ-მეთქი... რომ ლამის საცა სარკეს დავინახავ, ყველა დავამსხვრიო, რადგან

იგი მაჩვენებს მეტად, მეტად მიმსხვრეულ-მომსხვრეულ დავითს. და... ახლა კბილებიც რომ დავიძრო, მაშინ... მაშინ... ეს შედეგია: ჩემი სიღარიბის, ნესტიან ოთახში ცხოვრების, სისხლნაკლებობის, მალარიის, ციხეში ჯდომის, ნევრასტენიის და... ვწუხვარ, ვწუხვარ... საწყალი ლამზირა...

დავიარები სამსახურში. კურსები ივლისში იხსნება. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. რამდენი ხანია, ასე გრძელდება.

კოტესგან არაფერია. ვწერდი, რომ შენ მიგავლინონ უნივერსიტეტში. შენ საბუთები მოაგროვე და მე აქ გველის ტყავში გავძვრები და მოვახერხებ შენს მიღებას. ოხ, ეს ბინა, ბინა, ბინა... როგორ ბრძანდება შენი გუტმანის ქუდი? ქუდების წინ რომ გავივლი, ვნაღვლობ, რომ გემოვნება არ მივარგა, თორემ უეჭველად გიყიდიდი. ვაშა, ვაშა, ორი კოჭის ძაფი ვიყიდე – თეთრი და შავი.

გეამბორები შენი დათიკო

✧ ✧ ✧

დათიკო, სიცოცხლევ, შემოგევლე, გული მომიკლა შენმა წერილმა, მომღუნა, მაქვითინა.

ძვირფასო, ძვირფასო, რატომ ქვითინებს შენი სული ასე ამ წერილში? რატომ ასე სასოწარკვეთილი ხარ, მეგობარო?

არ გრცხვენია?

აბა, შემომხედე როგორ, როგორ შეგიძლია ასე მოსევდიანება, როცა შენს სულში რამდენი მზე შუქს, რამდენ ცეცხლს აფრქვევს.

მეგობარო, კბილები? ძნელია, რა თქმა უნდა, ძნელია,

მარა თუ ადამიანს იმდენი საშინელი გადახდენია, რომ ყველაფერი დაუსუსტდა, დაუსნეულდა, მაგრამ ამ მდგომარეობაში მისი სული მაინც მზეობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ჩვეულებრივი ადამიანი არ არის. ეს ისე არავის ესმის, როგორც – სანიკოს, შენს სანიკოს, მაგრამ, ძვირფასო, ყველაფერი ეგ შენი ამ ბოლო წლების უზომოდ, უზომოდ დაქანცვის ბრალიც არის. ნუთუ დასვენებას შენ ვერ ეღირსები, მეგობარო. ნუთუ არ შეგეძლება სულის მოსვენება ლამაზ ბუნების წიაღში და სრული, სრული დატკბობა სილაღით და თავისუფლებით. ახ, მეგობარო, როგორ ქვითინებს სული, როგორ ქვითინებს, რომ ეს ყველა არ არის შენთვის, არ არის და მხოლოდ იმიტომ, რომ მეც საზრუნი და საფიქრელი აგეკიდე.

დათიკო, მე რა მიშავს, გენაცვალე, რა მიშავს, წონაში გარკვევით ვიმატებ, სიცხე ხანდახან აღარ მაქვს, მაგრამ შენ კი, დათიკო...

შენ კი არ ვიცი, როგორ დაგიჯდება ეს ჩემი განცხრომა და განებივრება.

დათიკო, მეგობარო, რათ მიკლავ გულს, რათ მაცრემლიანებ უნიადაგო ეჭვებით, როგორ არა გრცხვენია?!

განა რომ მსგავსი არსებობდეს რაიმე, მე, მართალია ქვითინით, მართალია, სირცხვილით, მაგრამ პირველს შენ არ მოგმართავ?!

ჩვენ ხომ ისე კარგი, ისე კარგი, ისე იშვიათი მეგობრები ვართ, რომ, თუ როდისღაც რაღაც ყოფილა დამალული ჩვენ შორის, ამის შემდეგ არც ერთი, არც ერთი ერთმანეთისთვის უხილავი, მიმალული კუნჭული სულისა არ იარსებებს – ეს მე მწამს, მწამს და ამ რწმენას დათიკო მე აღარ დამიმსხვრევს...

შენ შემოგევლოს შენი პატარა ადამიანი, მაგრამ

მეტად მგრძნობიარე, მეტად დიდი, მაგრამ საცოდავი გულის მატარებელი სანიკო დაგენაცვლოს...

რათ გჭირია დაჯერება იმისი, რომ მიყვარხარ, დათიკო, მიყვარხარ! განა შეიძლება შენი არსიყვარული? განა შეიძლება, შენ გიცნობდეს ადამიანი და გული შენ არ დაგიმონოს?!

ჩემი პატარა ლამზის კარგო, იშვიათო, მამიკო გაკოცებს შენი, შენი ცრემლიანი სანიკუნი გაკოცებს ნაზად, თრთოლვით.

22/VI-30 წ. აბასთუმანი.

ძვირფასო, შენგან ყველა წერილებს ვიღებ და, თუ ჩემი ის წერილი არ მიგიღია, ძალიან მოხარული ვარ!

¤ ¤ ¤

მშვენიერო, ძვირფასო მეგობარო!

მე იმ დღეს პირობა მივეცი ჩემს თავს, ჩემს სანიკოს ხშირ-ხშირად არ შევაწუხებ-მეთქი წერილებით. ვითმენ ერთ დღეს, ორ დღეს და მეტს ვეღარ ვძლებ, ვარღვევ პირობას. გენაცვალე, შემოგევლე, შენ მაინც არ მაცნობე: ეჩვენები ხოლმე ექიმებს თუ არა?! რამდენჯერ უნდა გაგიმეორო: მანდ, სანატორიუმში, უნდა მოელაპარაკო და მათი რჩევით იმკურნალო: მზის აბაზანებით და, რასაც საჭიროდ ჩათვლიან. ამას კი აჯობებს, ბარემ სანატორიუმში მოგათავსო. ეგება ექიმებმა თავისი დისციპლინით მოსტეხონ შენი სიკერპე. შენ გესაჭიროება: დასვენება, გაძლიერებული კვება. სახლში, აბა, რას დაისვენებ. ეგ მაიმუნი ლამზირა რას დაგასვენებს!

ძვირფასო, დიდი ღელვისა და ყოყმანის შემდეგ

გურიაში კურსებზე წასვლაზე უარი განვაცხადე. კომისარიატში შევიარე და მოვითხოვე გარანტია, იმ შემთხვევაში წავალ, თუ დაიმედებული ვიქნები, რომ ენკენისთვეში მაინც შესაფერისად მომაწყობთ-მეთქი. გაბრიელმა ასეთი პირობა ვერ მომცა და უგუნურება იქნებოდა ჩემგან ამ სამსახურის მიტოვება, მიუხედავად იმისა, რომ მინდოდა გურიაში წასვლა.

ძვირფასო, საოცნებო სანიკო, დღეს კოტემ მნახა. აღარავითარ კომპენსაციაზე აღარა უთქვამს რა, მეც აღარ ჩამოვუგდე ლაპარაკი, მომბეზრდა. შენი უნივერსიტეტში მივლინების საკითხი გავახსენე. შენ თურმე კახეთის ოლქში განცხადება უნდა გაგზავნო თხოვნით, რომ მიგავლინონ. დართული უნდა იყოს: ატესტატი, სოც. მდგომარეობა და სხვა არ ახსოვდა. გავიგებ.

შენ გენაცვალე, სანიკ, დააჩქარე. კოტემ მითხრა, ვეცდებიო... მე ხაზი გავუსვი, რომ შენ უკვე 4-წლიანი სტაჟი გაქვს. შენც აღნიშნე.

ჩიტიკო, დიდი ჩემი საქმის გამომკვლევი კომისიის თავ-რე სამსონ ხუცაიძე პარტიიდან გამოუგდიათ. ერთი მასწავლებელი, რომელიც აქტიურად მებრძოდა და კრებებზეც აქტიურად გამოდიოდა, რომელსაც მე ვუთხარი, ხუთი წლის შემდეგ მოდი და მკითხე, მასწავლებლობა შემეძლება თუ არა-მეთქი, ისე ჩაფლულა, რომ ვერავითარი რიხი და მეგობრები ვერ უშველიან... დაიცადონ, მას სხვებიც მიჰყვებიან...

მშვენიერო ჩიტუნიკო, მე მაინც მიუთმენლად ველი იმ წერილს, ჩემთვის წყენა რომ უნდა მოეყენებინა, მაგრამ არა სჩანს, დაიკარგა, დაიკარგა. გენაცვალე, განა მე არ მენატრება მანდ ჩამოსვლა? ორი დღით მაინც ჩამოვალ, მაგრამ როდის? სანიკო, არ გაბედო და აქ არ ჩამოხვიდე,

ძალიან დაისჯები. შენ რომ აქ დაგინახო, მე დამჭირდება შენი უკან წამოყოლა აბასთუმანში ჩასაყვანად და, შენი შეწუხების გარდა, ორმაგი ხარჯი მოგვივა.

ჩიორავ, ნეტა მადა მაინც როგორი გაქვს? ჩიტივით იკიკნები?! ძვირფასო, ჯერჯერობით ლოდინს ნუ დამიწყებ. აბა, მშვენიერო, აბა, გენაცვალე, მომაგებე შენებურად, ალერსიანად სათუთად შენი ბაგეები. ნეტარების ჟრჟოლა მომგვარე შენი ნაძვნარისებური სურნელებით, შენი მზიური მცხუნვარებით, გაზაფხულისებური კდემამოსილებით.

სალამი შენს დედიკოს. ვენაცვალე ლამზირას. როდის ვეღირსები, რომ გამოიქცეს ჩემსკენ „აქა-აქა“-ს ძახილით.

კვლავ კოცნა, სასოება,
აღტაცებული სალამი, შენი დათიკო.
23/VI-30 წ.

27/VI-30 წ.

უმშვენიერესო, ძვირფასო მეგობარო სანიკო!

დავყურებ შენს სურათს, ვკოცნი სათუთად, ნაზად და მადლობას ვეუბნები, რომ მისმა ორიგინალმა, ჩემმა სანიკომ, ასეთი თბილი, ასეთი კარგი წერილი გამომიგზავნა. გენაცვალე, გენაცვალე, გენაცვალე! დღეს უზომოდ კმაყოფილი ვარ. ლაღად ვგრძნობ თავს. შენი წერილები ისეთი ჯადოსნურია, რომ ჩემი თავი ვეღარც კი მიცნია. ვიცი, ხვალ სამსახურში საათები გაიძაბება, დადგება მოსაწყენი, სულის შემხუთავი წუთი, როცა მინდა სამსახურს თავი მივანებო, მაგრამ ახლა ეს წუთები აღარ მაშინებენ. მე აღმაფრთოვანა სანიკომ და ქვეყანა ვარდისფერად გარდაქმნა. დავყურებ შენს სურათს

და ნეტარებით ვივსები... მე ვამბობ: აი, ეს მშვენიერი სულის, წარმტაცი გარეგნობის მატარებელი ადამიანი ახლა აბასთუმანშია და ჩემს სიყვარულს ატარებს თავის მდიდარ გულში.

რა კარგი დღე დამიდგა. სანიკო მწერს, ხანდახან სიცხე აღარ მაქვსო. ეს ბევრს ნიშნავს. მაგრამ, ვაითუ, სანიკო განგებ მწერს, რომ არ ვიდარდო... ეს კი... ჩემო ოცნებავ, შენს ჯანმრთელობაზე ყოვლად შეუძლებელია რაიმეს დაფარვა. იცოდე, თუ გინდა შენი მეგობარი დათიკო ჩადგეს ნორმალურ პირობებში, თუ გინდა, რომ მას შეექმნას სულიერი განწყობილება, რომელიც მის ფიზიკურ დაავადებას შეანელებს, თუ გინდა, რომ შენს ლიმზის ძალიან არ დაუძაბუნდეს მამიკო, შენ უნდა განიკურნო სრულიად... სრულიად. მაშინ დათიკო ბედნიერი იქნება და აღარაფერზე იჯავრებს, გარდა თავის წელთა სიმრავლისა. ჩემს დაღლილობაზე ნუ სწუხარ, ყოველ ღონისძიებას ვხმარობ ჩემი დასვენებისა და მკურნალობისათვის. ეს არის, ძნელი ასატანია უშენობა! ხანდახან ისე ამაცახცახებს შენი ნახვის სურვილი, რომ... ძალიან მესიამოვნა, რომ არაზინდოზე ყოფილხარ... ეტლით გაისეირნე ხოლმე.

ჩიტიკ, ჩიორავ, რა ძნელია უშენობა. ქუჩაში მივდივარ თუ სახლში ვარ, მარტოობას ვგრძნობ მარად, მაგრამ, აი, მაგონდება შენი სიცილით, მეგობრულად, ალერსით ნათქვამი შენიშვნა: დათიკო, სწორად გაიარე, ცერაცერად რად მიხვალო... და მე ნეტარებით ვივსები. მე სწორედ, პირდაპირ მივდივარ და მგონია მომდევს სანიკო. გზადაგზა, გამვლელთა ხედვისაგან მიპარვით, მე ელვისებურად მიმაქვს სანიკოს ხელი ბაგეებთან და ვკოცნი, ვკოცნი... შემოგევლე, დაგენაცვლე...

სალამი შენს დედიკოს, სალამი. რა კარგი დედიკო გყავს და მაგისი სიძე სულ არ ზრუნავს მასზე. დამიკოცნე ლამზირა.

შენი დათიკო
27/VI–30 წ.

20/VII-30წ.

სიცოცხლის წყაროვ, ეშხო ჩემო, ჩემო ზღაპარო!

ჩემო სანიკო, ნეტავი იმდენი ბედნიერების წლები გაღირსა, რამდენჯერაც მე შენს სურათებს დავხედავ ხოლმე და ვისვენებ, ვნეტარებ, ვლაღობ, ვუყურებ ზღაპარს და ბედნიერების მწვერვალებზე ვქრი. უბრალო, ჩვეულებრივ, უხეირო ფოტოგრაფიაც კი რომ ასე წარმტაცად გადმოსცემს შენს მშვენიერების, შენს სულიერ-ფიზიკურ სილამაზეს, რაღა იქნება მაშინ, დიადმა ხელოვანმა რომ აამეტყველოს ფერადები შენს დასახატავად. ნეტავი კი მალე, მალე მოხდეს ესა.

ზღაპარო სანიკ, გუშინ მივიღე შენი წერილი, უზომოდ გამახარა შენმა სითბომ, შენმა სიგიჟმაჟემ, შენმა უანგარო და მგზნებარე სიყვარულის ძახილმა და ნატვრამ მალე შეხვედრისა. ახლა შენი ტფილისს ჩამოსვლა შენი ჯანმრთელობის განადგურებას უდრის. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ სიცხეში შენი ტფილისს ჩამოსვლა. კახეთს წასასვლელად ჯერჯერობით, ჩემო სანიკუნი, ძალიან ადრეა. ამ ზაფხულს იქ ციება გაგვანადგურებს. ასე სიცოცხლევ, ასე საალერსოვ, რა გინდა ამ სიცხეში აქა? დარაბები ჩაკეტილი გვაქვს და მაინც სუნთქვა ჭირს. საწყალი ჩვენი გიორგი (!) ტფილისში არის. სვამს. ეჰ, რა უნდა, რა უნდა ახლა მას ტფილისში. არც სამსახური, არც არაფერი.

ცოლიკო, ცოლიკუნი, შემოგევლე, დაგენაცვლე, მართლაც და, უიღბლონი ვართ მე და შენ. რად, რისთვის ეწყობა საქმე ისე, რომ ზაფხულსაც კი ვერ ვატარებთ ერთად. აი, დავყურებ ერთად გადაღებულ სურათს. რა სიმბოლური რამ არის. უყურე... დაღლილი, დაღლილი დათიკო მისვენებია თავისი პატარა /ნორჩი იგულისხმება ამ პატარაში/, ბრწყინვალე სანიკოს კალთებს... და სანიკო რა გმირი, რა წარმტაცი, რა მშვენიერია... ნუთუ სხვა ვინმეს შეუძლია ასეთი თავშეწირვა, როგორც სანიკოს?!

სანიკო, დღეს რუსთაველის პროსპექტზე ველაპარაკებოდი მხატვარს დ. გველესიანს. მე მას ვკითხე: ვინ არის ქართველ მხატვრებში ყველაზე კარგი „პორტრეტისტი“, სანიკო მინდა დავახატინო-მეთქი. მომიგო – კარგი პორტრეტისტები იშვიათი გვყვანან, მე შემეძლო დამეხატა 2-3 კვირის განმავლობაში, მთელ რიგ მხარეებს კარგად შევასრულებდი, მაგრამ ვერ გადმოვცემდი მოძრაობას, სიცქრიალესო. არის მხატვარი ქეთო მაღალაშვილი – ის კარგა ასრულებს, მას ძალიან მოეწონება სანიკო, სწორედ და სანიკო შესანიშნავია დასახატად, გრაციული, სათუთი, ელასტიური... ფერადებით რომ დახატოს, კარგი იქნება – შესძლებს გადმოსცეს სანიკოს თვალები ბევრი რამ სახის თავისებურებებიც... სანიკოს სურათი ძალიან კარგი გამოვა. გაგაცნობთ, მოელაპარაკეთო. მე მინდა, შენ რომ დაბრუნდები შემოდგომაზე, უეჭველად კარგ მხატვარს დავახატვიო შენი ახალგაზრდობა. დავიჭიროთ ფერებში, შევუნახოთ ლამზირას, ჩემს სიბერეს „ვითომც ჯერ არ დამდგარა“, თვით შენც. გესიამოვნება, რომ დახედავ და, რაც თავი და თავია, როცა საუკეთესო მხატვართან გამოფენები გაიმართება, მაშინ შენს სურათსაც გამოვფენთ ხოლმე.

აბა, ჩიორავ, იყავი ყოჩაღად. მაცნობე შენი ჯან-მრთელობა. სალამი შენს დედიკოს, დაგკოცნი. მარად შენი დათიკო.

25/VII-30 წ. საღამოს 9 ს.

ძვირფასო, ალერსო, ჩემო ჩემო ნეტარებავ. ვიცი, დარწმუნებული ხარ, რომ მიყვარხარ, წმინდად, სათუთად, ნეტარებით, რაოდენის მგზნებარებით ვეალერსები შენს სურათებს. აი, ეს სურათიც თითქოს სადმე ზღვის კიდეზეა გადაღებული. ზღვის ზვირთების ზღაპარია და ლეგენდა ჩემი სანიკო... შენ ზღვის იმ ზვირთს გევხარ, რომლიდანაც ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა შექმნეს მშვენიერების ქალღმერთები. ახ, რა მენატრება ამ ზვირთების დაწაფება.

ნეტარებავ, შენი წერილის თაობაზე ბევრი ვიფიქრე, არ მინდოდა დაგთანხმებოდი, მაგრამ, თუკი ეგრე გსურს, ნება შენი იყოს. შენ ჩემი ჭკვიანი ცოლიკო ხარ და არ მოიქცევი ისე, რომ სანანებელი გაგვიხდეს. ჩამოდით, მაგრამ ამ სიცხეში შენი ტფილისში დატოვება ბოროტება იქნება. ისიც მაშინ, როცა მე ნახევარ დღეზე მეტი სამსახურში ვარ. ხომ დამელუპე ასე! ამიტომ, ორი კვირა კახეთში დაისვენე. ამასობაში მეც მელირსება შვებულება და გავწიოთ ქობულეთისკენ... ჩიორ, ხომ არ წამოვიდე აბასთუმანში თქვენს წამოსაყვანად? იმიტომ ვყოყმანობ, რომ, გაცდენილი დღის მაგიერ, დასვენების დღეებში მიხდება მუშაობა და ამ სიცხეში უარესად მქანცავს.

ძვირფასო, კიდევ ერთხელ მოიფიქრე, იქნებ აჯობოს, რომ ბორჯომში დაისვენოთ. მეგონა, ვაროს ბორჯომში

წაიყვანდით, ახლა თვით გადასწყვიტოს, როგორ ურ-ჩევნია. მაცნობე, რომ სადგურზე დაგხვდე.

შენი დათიკო.

2/VIII, 30 წ.

ძვირფასო მეგობარო სანიკო!

ტვინი აორთქლებულია: სიცხისაგან, დაქანცულობი-საგან, ცხოვრების სიბოროტისაგან, მაგრამ ჩემი საოცნებო ცოლიკოსაგან ორი წერილი მივიღე... ტკბილო, ტკბილო, მშვენიერო, შენი წერილი – ღია ბარათი შეღონებულია, გეფიქრება, რომ ინსტიტუტის გარეთ არ დარჩე. ისიც, რომ ჩვენ თითქოს გვიპირებდნენ ორივეს პროვინციისკენ გვიკრან თავი.

ტკბილო სანიკო, ბედი ბევრში გვმუხანათობს, მაგრამ მე და შენისთანა ბუნების ადამიანს ვერ სძლევს. ოღონდ შენ და სამივე შვილი კარგად მყავდეს – შენი დედიკოც გვიდღეგრძელოს ბუნებამ და ფიქრი არაფრისაა. მიუხედავად მრავალი დასეტყვისა, მე ჯერ ისევ ღონივრად ვგრძნობ თავს და არა მგონია, ჩემი სანიკო დავაღონო ჩემი უძლურობით. თუ ხანდახან არ სრულდება ბრწყინვალე სურვილები, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიყოთ მისი ღირსი. ცხოვრება ხუშტურებია. მეხი ალვის ხეს ეცემა, ბუწვნარებს – არასოდეს!

ცეცხლი წამიკიდა ჩემი ცქრიალა ლამზირას ავად-მყოფობამ. როგორ არის? ექიმს ნუ დაუგვიანებ. სოსო მანდ იქნება, უმალ მიმართე ხოლმე. შენს ჯანმრთელობაზე არაფერს იწერებ. რა თქმა უნდა, სიცხე ისევ გექნება. გაფიცებ ჩვენს წმინდა მეგობრობას, თავს მოუარე! შენ

მეხვეწები გავცე განკარგულება, რომ შენ ტფილისში ჩამოხვიდე. რა ბედნიერი კაცი ვარ... ნუთუ ასეთი ბედნიერება დიდხანს გასტანს. ცოლიკო სანიკო მეხვეწება ჩამოვიდეს და მე ვუშლი ხელს, ვუშლი... მხოლოდ მისი ჯანმრთელობისთვის.

მე შევიშლები, გადავირევი, ამ სიცხეში რომ სანიკო ტფილისში მყავდეს. ის უნდა დაემორჩილოს ჩემს სურვილს: დარჩეს თელავში თავის ჯანმრთელობისთვის, ლამზირასათვის, სანიკოს დედიკოსათვის, დათიკოსათვის. ვაიმე, ვაიმე, ნუთუ დადგება დრო (ოო, დადგება, იტირე დავით, დადგება) რომ მე მენატრებოდეს სანიკოს შეხვედრა და სანიკო... ეე, რას ვიშხამებ ტვინს... სანიკო ხომ ჯერ ჩემია – დაენაცვლოს მამა, შემოევლოს თავს დათიკო.

ნუ, ნუ ჩამოხვალ, მშვენიერო!

ამდენი ხანი ვიცადეთ, ცოტაც მოვიცადოთ. ქობულეთში დავისვენებთ, ქობულეთში ვილაღებთ. ახლა კი შენ მანდ გირჩევნია, თუმცა ისეთი სიცხეებია, რომ არც მანდ იქნები კარგ დღეში, მაგ მტვრიან და ერთ ციცქნა ოთახში. თელაველებმა მიამბეს, რომ, თურმე არაჩვეულებრივი სიძვირეა და არც არა იშოვება რაო. როდესაც კვერცხი 10 კაპ. ღირდა, მაშინ არ ეტანებოდი და ხომ ვიცი შენი ხასიათი – ახლა სულ არ გაეკარები. ნეტავი კი შენ ისწავლო შენი თავის ყადრი. სვამ წამლებს თუ არა? – რა თქმა უნდა, არა. ძვირფასო, კარგო, კარგო სანიკო, რისთვის გაქვს ეს ერთადერთი ნაკლი, რისთვის ჩემო სათაყვანო, რისთვის?!

კვლავ გაკოცებ, კვლავ შემოგევლები, დაგენაცვლები,

ჭირიმე შენი სიცოცხლეო, სასოებავ, ზღაპარო... ლევანისა და მისი ოჯახისა რა იცი? როცა ლევანი შეგხვდეს ხოლმე, ან გაიარო მასთან, უეჭველად გაჩერდი, მოიკითხე, მიესიყვარულე შენებურის ალერსით. საწყალი ლევანი, რა კარგი ადამიანია და როგორ დაჩაგრა ცხოვრებამ.

მარად შენი დათიკო
6/VIII 30 წ.

ჩემს ძვირფას, ჩემს კარგ დათიკოს სანიკოს ნაზი სიყვარული და სევდიანი თანაგრძნობა გაწამებულ ცხოვრებაში! დღეს მივიღე შენი 20-ში გამოგზავნილი წერილი დაწყებული ისევ ალერსით, გათავებული ისევ სევდით. რათა მეგობარო? რათა სიყვარულო? რათ მაწამებ და შენც იტანჯები ასეთი ფიქრებით?! მე შენ მოკარებაზე კონვულსიურად ვატოკებდი მხრებს? დათიკო, როგორ არა გრცხვენია?! მე ხომ საშინლად ვიყავი დამწვარი. შენ, ალბათ, იცი, რა არის დაწვა და დამწვრის ხელის ხლება და კიდევ... დათიკო, ძვირფასო რატომ ვერ გაგიგია ჩემი ნათქვამი, ჩემი აზრი? რატომ მაწვალებ? მე რაც გითხარი ჩვენი ახლა შეხვედრისას, ახლაც იმას ვიმეორებ. იქნება, მე ასე მგონია, შორებელი მეგობრები რომ დავრჩენილიყავით უკეთესი იქნებოდა. შეიძლება, ეს უბრალო ბოდვაა, რომელსაც ვერ შევინარჩუნებდით და, რომელსაც ეს ცხოვრება უეჭველად დაგვარღვევინებდა დროთა განმავლობაში, მაგრამ მე რატომ არ შემიძლია გამოვთქვა ეს აზრი და ეს სატანჯველად არ გადაგვექცეს ჩვენ ორივეს?

დათიკო, დათიკო, რა მოუთმენლად ველი შენს დანახვას, შენს გულში ჩაკვრას, სიხარულო, და სადღაც შხამი ჩამწვეთს: ვაითუ, როგორ შემხვდეს, ვაითუ, რა მითხრას, როგორ მომიცილოს მხოლოდ იმიტომ, რომ ვსთქვი, ის ვთქვი, რაც ჩვენი შეხვედრის პირველ დღეებშივე გითხარი...

ძლივს ველირსე ჩემი ჩიტიკოს სურათის და დედიკოს წერილის მიღებას. მომენატრა ჩემი შვილიკო. ჩქარა, ჩქარა მინდა მისკენ გაქროლება, მასთან დასვენება. დავიღალე, დავიღალე იმიტომ, რომ შენ ისე მომაბეზრებლად გეხვევა ყველა სხვა უბედობასთან ერთად ეს ზედმეტი შენგან – მწახე სახეში გაზრდილი ფიქრები. ერთი დღე არაა, რომ არა მქონდეს ეს წყეული 37,4-37,5-ი. ვნახე მარო, ისიდორეს ქალი, ძალიან მომესიყვარულა, შენც პატივისცემით მოგესალმა. სანდრო მამულაშვილთან ერთად ვიყავით ჩაქვში. დავიქანცეთ. ნახვამდის, სიყვარულო! მაპატიე, რომ ასე საძაგელი ცოლიკო გყევარ. უსიამოვნება, უსიამოვნება ჩემგან. ერთი კარგი დღე, სრულიად კარგი არც კი მომიცია შენთვის.

უნივერსიტეტზე აღარ ვფიქრობ, ჯანდაბას! რა ვუ-ყოთ, ყველგან ასეა, ყველაფერში, მარტო ჩემს თავს ხომ არა?!

ქობულეთი–1930 წ.

ძვირფასო მეგობარო, შენგან მხოლოდ ერთი წერილი მივიღე და მეტი აღარ სჩანს.

ჩემო კარგო, ძვირფასო მეგობარო![3]

ვიწყებ წერას, მაგრამ გამწარებული. მრცხვენია, ძვირფასო, მრცხვენია ამ წერილის მოწერა. მეგობარო, ისეთი კარგი, ისეთი გაუმეორებელი ადამიანი, ისე შეწუხებული, ისე გამწარებული, დაავადებული გყავდეს და შენ არ შეგეძლოს არაფრით შველა, არ შეგეძლოს მოხმარება. ცარიელი წერილი, წერილი, როცა ადამიანს საქმით უნდა შველა, როცა ადამიანს უჭირს მეგობრის ზრუნვა, ფარეზი.

რა ვქნა, ძვირფასო, რა ვქნა, არ ვიცი, ვერა მომიფიქრებია რა, რომ იოტის ოდენა შვება მაინც მოგფინო. მრცხვენია, უკვე მაწითლებს ჩემი გამოჯანსაღება, როცა მან ასეთი შედეგი მომიტანა. ლამზი ცუდათაა, ლამზირა კი არა, აჩრდილი დამიხვდა ლამზირასი. მართალია, სიცხე არა აქვს, მაგრამ ბავშვი ცარიელი თვალებია და სიყვითლე. თუ ლამზი კარგად იქნება, 11 სექტემბერს ახალსოფელში წავალთ. მე იქიდან ალბათ 14-15-ში დავბრუნდები და შევუდგები მუშაობას. ჩემი დაბრუნება ჩემს გამგეს ძალიან გაეხარდა, მაგრამ სხვებს, მგონი, არ უნდა ესიამოვნებოდეს ძალიან.

ჩემო კარგო, ვინ იცის, რამდენ ხანს ვერ გნახო. ეს რა ბედი გვდევს, წუთით შეხვედრა, წუთით ბედნიერება და ისევ გათიშვა, ისევ ცალკე ხეტიალი. მეგობარო, მენატრება შენთან მეტ ხანს ყოფნა, მეგობარო, გენაცვალე. ძვირფასო, კომპლექსი დავარღვიე, სურათი სეზონური არ შემხვდა, მაგრამ ლამაზი იყო და ეს ავირჩიე.

დედიკოსგან დიდი, დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

8/IX-30 წ. თელავი

---

3 წერილი დაწერილია ნახატიან ქაღალდზე – თოვლიანი ნაძვი

ჩემო დათიკო!

ალბათ, შენც ჩვეულებრივი განწყობით არა ხარ. ალბათ, შენც გრძნობ რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ წუთებისას და დეკემბრის, 31 დეკემბრის უკანასკნელ წუთებს მაინც სხვაგვარად ვხვდებით და სხვაგვარად ვეთხოვებით. წავიდა, მიილია 1930 წელიც. ყოველთვის, ყოველთვის, რაც არ უნდა მწუხარებით ყოფილიყო დაღონებული მილეული წელი, ახალს მაინც იმედით ვხვდებოდი, ახლისგან მაინც რაღაც კარგს ველოდი.

ახლა კი აღარ – აი, მიითვლიან წუთები და გული იმათ სტირის, ახალს არ ეგებება, ახლისაგან არას მოელის...

ეჰ, განა შეუძლია კარგის ლოდინი გულს, როდესაც ის თავდაუღწეველ შიშშია?!

გწერ და მეშინია, არ გაიფიქრო: ნეტავ არც მეთქვა სანიკოსთვის, რა ღმერთი გამიწყრაო, მაგრამ შენ არ იზამდი მაგას, შენ არ მისცემდი შენს თავს მაგის ნებას! შენ მაინც გებრალება სანიკო, შენ მაინც პატარა მეგობრად სთვლი სანიკოს, ერთ ციცქნად, მაგრამ მაინც ამჩნევ ხოლმე მას.

ჩემო მეგობარო, ჩემს ციცუნიას უთხარი, დედიკომ მოგილოცა ახალი წელი – 1931 წელი – და ძალიან გთხოვს, ამ დღის აღსანიშნავად ცოტა მაინც უკლო შენს ანცობას, მოასვენო მამიკოც და ბაბოცთქო.

ალბათ, აასრულებს, მით უფრო, რომ დედიკო შორიდან სთხოვს ამას. ალბათ, დაეკვებება...

ის კი არა, დათიკო, და იცი რა, ჩემო ძვირფასო?! თუ, თუ შევხვდით, დავესწარით მაისს, 1 მაისს, მოდი, ჩვენი ახალი წელი იმ დღიდან დავიწყოთ და ასე ვთვალოთ, რას მოგვიტანს ახალი მაისი ან სხვა დღე ავირჩიოთ. არ მიყვარს, რომ ახალი წელი ასე უშნოდ იწყება.

ჩემო კარგო მეგობარი, ჩემო ბრაზიანო მეგობარო, ეცადე, არ გასჯავრდე ძალიან ჩემს წერილებზე. ხომ იცი, რა საცოდავი, ერთი ბეწო გული მაქვს. ნუ დააფრთხობ ხოლმე იმ საბრალოს, თორემ ძლივასღა ფეთქავს ხოლმე.

ნახვამდის, ჩემო დათიკო, ახალი წელი ახლოვდება, გაკოცებ, მხოლოდ ვერაფერს ვერ მოგილოცავ.

არ ვიცი, რა შემიძლია, რომ გისურვო!

სანიკო

31/XII–30 წ. გურჯაანი

დათიკო!

სიცოცხლევ, დათიკო ძვირფასო! ახ, როგორ, როგორ კვნესის გული, როგორ მოგტირის.

ისე უცბად, ისე სხვანაირად წახვედი, ისე უცნაურად დავრჩი.

დათიკო, დათიკო, ნეტავ ახლა შენც ასე გინდა სანიკოს ნახვა, როგორც სანიკოს სული მოიწევს, მოჰქრის შენსკენ?! ძვირფასო, ეს 10 დღე მთვარეულევით გავატარე.

ლანდსავით

ლანდს ხომ სული თან არ დააქვს...

ძვირფასო მეგობარო

შენ მეუბნები, რათ წახვედიო. განა შეხვედრის და განშორების წუთებს რამე შეედრება – მისი ფასი აქვს რაიმეს ცხოვრებაში. მართალია, მართალია!

ჩვენც ხომ გვწყურია ლამაზად ცხოვრება, იქნებ არ მეთანხმები, ძვირფასო, ამაში, მაგრამ მე მაინც სილამაზეს ვხედავ ამაში. ზაფხული კი, ზაფხულში პირიქით, სხვაა. ზაფხულში სიშორეში ხავსდება სული.

ტკბილო, ძვირფასო, იშვიათო



მეგობარო დათიკო...

გაკოცებს, გაკოცებს შენი სანიკო, შორიდან გკოცნის, მაგრამ ისეთის ძალით, რომ უნდა შეირხნენ მანდ ყველა ჟღერადი სიმები.

შენი, შენი

სიკვდილამდე შენი

სანიკო.

14/I–31 წ. გურჯაანი

5 ს. დილა – ღამეა ისევ

ჩემო მეგობარო, ჩემო კარგო!

დათიკო, ალბათ, შეწუხებული ხარ, ალბათ, იმდენად მოღვარსლული ხარ, რომ გიმძიმს ჩემთან წერილის წერა. ძვირფასო, მიწუხს სული, არ ვიცი შენი მდგომარეობის არაფერი და ეს არცოდნა უარესად საშინელს წარმომადგენინებს. ეჰ, ვინ იცის, რას არ გაიფიქრებს დაშინებული გული ადამიანისა. ნუთუ, ჩემო ძვირფასო, წესს არ არღვევ... არ მწერ, სანამ ჩემი წერილი არ მოგივა?! ძვირფასო ჩემო, შენ შემოგევლე, შენ გენაცვალე, მომწერე, მომწერე ეგ ტიალი შენი ცხოვრების სიდუხჭირე, იქნება ცოტა მოგეშვას, ცოტა შეგიმსუბუქდეს ტვირთი ფიქრებისა...

დღეს ველი შენს წერილს, ნუთუ ფოსტა არ მომიტანს სასურველს?!

ჩემო მეგობარო, გუშინ, 25 თებერვალს, დემონსტრაციის დროს გავიცანი ჩვენს ტეხნიკუმში სრულიად ახალი მასწავლებელი – ჭარიშვილია, მგონი, პოეტი. როდესაც ჭყონიამ სიტყვა აიღო, შენი სადღეგრძელო დალია და ალავერდი ჩემთან გადმოვიდა. ის ყმაწვილი აიბნა,

გაწითლდა და მითხრა: „დათიკო ჩემი უძვირფასესი მეგობარია, უძვირფასესიო“ და ჭიქა გამოსცალა. მე, ჩემო მეგობარო, მიხარია, უზომოდ ვამაყობ, რითი?! - იმითი, რომ შენ ასეთი კარგი ხარ, ძვირფასო, ასეთი იშვიათი, ამდენი მაღმერთებელი მეგობრები გყავს... მერე ყველა ესენი ისეთი კარგი ხალხია, ისეთი კარგი და ისე კარგად, ისე ლამაზად გიხსენებენ, ისე ლამაზად სვამენ შენს სადღეგრძელოს!

დათიკო ჩემო, ძვირფასო დათიკო, ჩემო სიცოცხლე, შენ შემოგევლე, დაგენაცვლე... აკოცე ჩემს პაწიას, ჩემს სიხარულს.

26/II-31 წ.

¤ ¤ ¤

28/II-31 წ.

ძვირფასო მეგობარო სანიკო!

ყოვლის უწინარეს, მოგეფერები, სათუთად ამოგიკოცნი თვალებს, დავიხრები და დაგიკოცნი ფეხებს, რომ მათ მაღირსონ შენი ტფილისში ჩამოყვანა.

ახლა შენი ამბავი. მწერ ფეხ... ნუთუ... ნუთუ... კვლავ მოგიხდება აპერაციის გაკეთება?.. უჰ,... ისე ვოხრავ, რომ მგონია, გული მეფლითება...

ფილტვები... ნერვები... გული... აპენდიციტი?.. რა ხეირი უნდა დაგეყაროს მანდ მაგნაირად დროს გაჯანჯლებაში, არა მესმის რა... აქ კიდევ ამ ბალღის სიკერპე, სიჯიუტე. ღამეში ორჯერ ტირის. ან არა ვარ შინ, თუ არა და, ერთი წუთის მოსვენება არ არის. მე ბევრი რამე მაბოროტებს. ბევრი რამ წვეთ-წვეთად სწრეტავს ჩემს გულს. რა გავაწყო, როგორ დავიურვო ჩემი თავი

ისე, რომ ჩივილიც არ მომიხდეს. ძვირფასო, შენ მწერ: სჯობია სულ ნუ მოიწერები, თუ გულით არ გინდა, თორემ მალე კოპიოებს დაემსგავსება ჩვენი წერილებიო. რათა, გენაცვალე, რათა; ჯერ ერთი, უეჭველად პოემა უნდა იყოს წერილი? როცა გრძნობა ანთია, მაშინ მხოლოდ ორად ორი სიტყვა: „ჩემო სანიკო“, ეს ორი სიტყვა ლეგენდაა, ზღაპარია, მითია. „ჩემო, ჩემო“ – ნუთუ ჩემი წერილები იქცნენ განმეორებად?!

არ უარვყოფ, უდიდეს სულიერ ტანჯვას განვიცდი, ბედი ისე მიმასპინძლდება;

მაინც ვწერ.

✧ ✧ ✧

ჩემო დათიკო, ჩემო ძვირფასო დათიკო! დღეს გაზაფხულის პირველი თვის პირველი დღეა – გაზაფხული დადგა. პირველად რომ ენძელას მოვწყვეტ, შენთვის შევინახავ, შენ გამოგიგზავნი. ალბათ, ჩემი პაწიაც მალე ირბენს და გაიგებს, რას ჰქვია ენძელა თუ პირველად თოვლსავით ლაფად არ მიიღო. გახსოვს, თოვლს რომ ლაფი დაუძახა?!

ჩემს შვილიკოს შემოვევლე, მის მამიკოს ვეთაყვანე!

1/III–31 წ. გურჯაანი

აგერ ამ ხნის გავხდი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, და ჯერ არც ერთხელ ასე ლამაზად არავის მოულოცნია ჩემთვის, არც ერთხელ ასე ზეიმიანად არ მქონია ეს დღე, როგორც დღეს...

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, სადღაც მწვავედ, მწვავედ

მტკიოდა, რომ დათიკო ვერ ჩამოვიდა, რომ დათიკომ ვერ მაკოცა ამ დღეს, მაგრამ იქნებ ეს უკანასკნელი ასეთი დაშორება იყოს...

გმადლობ, ჩემო სიცოცხლე, გმადლობ ამდენ საჩუქ-რებზედ და ამდენ სიხარულზე, მაგრამ შენ რომ ახლა სევდიანი დამრჩი მანდ მარტო?! ძვირფასო, მინდოდა 20-თვის ჩამოსვლა შენთან ერთი დღით მაინც და არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა. უმთავრესი ისაა, რომ მარტის ჯამაგირი ჯერ არ მიგვიღია, თუ მოგვცეს, უეჭველად გამოვიჭრები 19-ში, საღამოს ჩამოვალ და 20-ში ღამე გამოვბრუნდები.

ჩემი პატარა მეტად კმაყოფილია ახალი წრით – სულ ახტუნებენ, აცინებენ, არბენიებენ... ბევრი ჰყავს გამრთობი. მერე კიდევ ამინდმა გამოიდარა და ზეიმობს ჩემი გოგონა.

ხვალ საბავშვო ბაღში წაიყვანს ელიკო. ეს ახალი, სულ ახალი შთაბეჭდილება იქნება მისთვის, ვნახოთ, როგორ გამოეხმაურება.

მე 13-ში თელავში ვიყავი წერა-კითხვის უცოდ. სალიკვიდაციო კვირეულისათვის. ყულაბა ამკიდეს და მე კიდევ თელავამდეც ჩავედი. კოტემ მითხრა, 20-თვის უკვე ტფილისში ვიქნებიო. კარგია, რაც არ უნდა იყვეს, და ძველი მეგობარია, რომელთან ბევრი რამ წარსულში გვაკავშირებს.

16/IV–31 წ.

17 აპრილი – დედიკოს დაბადების დღე.

შეიძლება, ზოგჯერ ბედნიერზე ბედნიერი, მაგრამ ისე უბედურზე უბედური.

აღდგომა დღე.

ძვირფასო, ძვირფასო მეგობარო!

დღეს მოულოდნელად, სრულიად უცაბედად შენმა დეპეშამ ისეთი ბედნიერება შემომაფრქვია, რომელიც რამდენიმე თვეა მენატრებოდა. თვალებს არ ვუჯერიდი, დათიკო, გესმის, მეგონა მოლანდებაა, მოჩვენებაა, მაგრამ არა, მართლა „ბინა ვიშოვნე“ სწერია, მართლა „ბარგით ჩამოდით“-ს ვკითხულობ.

დათიკო, მინდა დეპეშითვე გიპასუხო, მაგრამ ჯერე სახლში ვარ და წერილს შევუდექი. გენაცვალე, დედიკო ჯერ არ ჩამოსულა, ვუდეპეშო?

ძვირფასო, ნეტავ როგორი ბინა გვაქვს (როგორიც არ უნდა იყოს, ამ ცალ-ცალკე წიალზე უკეთესი იქნება)?!

ნეტავ, როგორ მოვაწყობთ, ნეტავ, რა ბარგი წამოვიღო, არ ვიცი, არა. ყველაფერი ერთმანეთში მერევა სიხარულისგან. აი, წამოვხტი, ერთი შემოვტრიალდი (ისევ გავგიჟდი) და ეხლა გაკოცებ, გაკოცებ გიჟივით. მალე, მალე მოვალ, უკვე მოვდივარ, ნახევრად მაგ ოთახში გადმოვიჭერი და მიხარია, როგორ მიხარია, მაგრამ, დათიკო, ვაიმე, ვაიმე, თუ სულ ერთად რომ ვიყოთ, მოგბეზრდეს, მოგბეზრდეს შენი სანიკო?! ჰა, დათიკო, ჰა...

გენაცვალე, მითხარი...

მე სხვა ვეღარაფერს ვწერ. მიხარია, მიხარია, დღეს უზომოდ ბედნიერი ვარ, მაგრამ როდის წამოვიდე?!

დათიკო, დათიკო, დათიკო, შენც ჩემსავით გიხარია, მეგობარო, თუ არა?!

ალბათ, ალბათ, შენც გიხარია – უეჭველად!

მაშ, მაკოცე გიჟივით!

დათიკო, გენაცვალე, გუშინ ლევანს გამოვატანე წერილი. გწერდი, რომ ჭყონიას შევპირდი გადასვლას-

მეთქი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ცოტა ხნის შემდეგ ამ დეპეშას მივიღებდი?

ჰო, ჰო!

მეც გაკოცებ კარგად, კარგად!

შენი სანიკო.

ალბათ, დღეს ჩემი შვილიკო მომიფრინდება და ვახარებ ახალს, ვახარებ კარგ ამბავს, რომ ამ ზამთარს ერთად ვიქნებით და ზამთრის სუსხსა და სიცივეს აღარ ვიგრძნობთ.

ნეტავ, გადაბარგდი შენი ერთი ლოგინით და ერთი კალათით?! მე მგონია, უკვე ჩვენ ოთახში იქნები.

ოქტომბერი 1931 წ.

¤ ¤ ¤

უძვირფასესო მეგობარო სანიკო!

ჩემო სიხარულო, ჩემო კაეშანო!

როგორა ხარ შენი ჯანმრთელობით, ყური რასა იქმს? აბა, თუ მიიღო ზომები გასაკურნავად!

კიდევ გრძელდება შენი ანდეზიტზე მუშაობა?!

აბა, მეგობარო, შენ იცი და შენმა ალღომ. გაუფრთხილდი შენს მომავალს, შენს ჯანმრთელობას, ჯან და სულიერ – მრთელობას.

შენთვის, მხოლოდ შენთვის. მე კი, მე – რა?.. მწუხრის მთიები ჩემზე უფრო დღეგრძელნი არიან.

ჩვენი გოგონა რასა იქმს? – საწყალი, გადამწირული ატარებს დღეებს. ამას უდედმამობაც ერთვის. დედიკო მაინც ახლოს ჰყავდეს!

სალამი შენს დედიკოს.

აღარ გაკოცებ, თუ შენი სიმპატიები გაიზრდება ახალი ჯურის ადამიანებისადმი. აღარც შენი ვიქნები. ჯერ კი მაინც გკოცნი.

შენი დათიკო.
9/VII–32 წ.

✧ ✧ ✧

არ ვიცი, რა გითხრა, არ ვიცი, რა გიპასუხო შენს დილანდელ აღშფოთებასა და უმსგავს რაღაცეების დაწამებაზე!

ყოველ შემთხვევაში, იმდენად პატიოსანი ვარ, რომ, თუ ვისმეს პატივს ვცემ, იმაზედ უმსგავსი და ცუდი არაფერი ვთქვა.

თავი მოილამაზა...

საწყალი სანიკო, მოახერხა ამ ზაფხულს, ზედმეტი გროშები აიღო, შესძლო ერთი-ორი რაღაც ფლასის ყიდვა და ეს მის დათიკოს თვალში მოხვდა, როგორც „ვიღაც საყვარელისთვის თავის მოკეკლუცება“...

და, თუკი საიკს უყვარს ვინმე, ან შეუყვარდება ვინმე, აქვს იმდენი გულწრფელობაც და სიმამაცეც, რომ, თუ პირდაპირ ვერ ეტყვის დათიკოს, წავიდეს და წერილით მაინც გააგებინოს.

მძიმეა სინამდვილის გაგება, მაგრამ უარესი საშინელია თვალთმაქცობა, ფლიდობა, რომელიც მე, საბედნიეროდ, არ შემიძლია და არც მინდა შემეძლოს.

მძიმეა, როცა ადამიანს ნამდვილს ეტყვი, მაგრამ, რაც უნდა საშინელი იყოს ეს ნამდვილი, სჯობია მისი თქმა, ვიდრე ადამიანის მოტყუება. მე ეს გამოვცადე და ამიტომ სხვას არცროდის გამოვაცდევინებ...

განა შენ არავის ეყვარები?

ნუთუ ამან შენ შეურაცხგყო, რომ შენი ცოლი მოეწონა ვინმეს. მე მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო შენი შეწუხებისათვის, მაგრამ რაში? – იმაში, რომ ვინმე მუსიკალურ ადამიანს ჩემში (არ ვამბობ კარგი იმიტომ, რომ დათიკომ მე ბევრჯერ დამარწმუნა, რომ სანიკოს კარგი არაფერი გააჩნია, მაგრამ...) რაღაც ისეთი დაინახა, რისთვისაც მას ქალი მოეწონა, თუნდაც შეუყვარდა და მერე ან ის რა საბოდიშოა და მოტევება სათხოვნელი, რომ მე პატივს ვცემ ან იმას, ვისაც გინდაც უყვარდე, და ან სხვა ადამიანს...

არა, არა, ჩემო დათიკო, მე შენ არც როდის გისაყვედურებ, როცა ცრემლებს ვაფრქვევდი დაობლებული, რომ „მეგობარო, შენ მე არ მეკუთვნი, შენ დამანატრე სიყვარულით სავსე სიცოცხლეს, გზნებით სავსე ცხოვრებას“.

შენ იცი, შენ უნდა გცოდნოდა, რომ აპირთავებულ გრძნობების პატრონი შენგან ველოდი ხოლმე, თრთოლვით ველოდი ისეთსავე პასუხს – შენ კი სულ სხვამ დაგიპყრო, ჩაგიხვია და ჩემთვის არ გეცალა მეათედი ხოლმე.

ამან ჩაკლა გული, დათიკო!

ჩაკლა – ჩაჩქვლიფა...

იქნებ და, რა თქმა უნდა, მე ვარ დამნაშავე. ცხადია, მე გამოგიტაცე და დიდ უბედურებასაც წაგაწყვიტე. მე ამას ჩემს თავს ვერ ვაპატიებ ვერც როდის და ყოველთვის, ყოველთვის მე მომჩხავის საზარელი ხმა – ეს ადამიანი შენ შეცდომაში შეიყვანე, შენის მიზეზით ჯოჯოხეთის საშინელება გამოიარა, ეწამა, ჯვარს ეცვა და როგორღა ითხოვ მისგან იმ მზიურ ცხოვრებას, რომელსაც მოცრემლული სული ვერ მოგანათებს!

მაპატიე იქ - - - - - - იმ პირველ ნაბიჯებში, მაგრამ ახლა, ახლა, დათიკო?!

არ ვიცი, არ ვიცი!!!

9/XII 33 წ.

¤ ¤ ¤

10/VIII-34 წ.

ოცნებას, გრძნებას ამოუცნობს, ხანდისხან ამოცნობილს, მარად, მარად ვარსკვლავიანს ჩემს ცოლიკოს, მეგობარს სანიკოს

მწუხრული სალამით დათიკოსაგან.

სოფელი და რა სოფელი – ველისციხე!

სანიკო ათეთრებს (მეორედ) ჩემს წიგნს, საწყალი. ის ახლა ქობულეთის ნაპირის ზღვის ჭავლებს უნდა შეჰფოფინებდეს.

მე კი მას ახლაც ვამუშავებ.

4/V-35 წ.

მე აღარ ვიცი, მეგობარო სანიკო, რა გავაწყო განწირულებისაგან. სანიკოს მე აღარ ვახსოვარ. უმწეოდ ვფართხალებ ჩემს ჟანგიან გალიაში – ველისციხეში. მინდა გკითხო, რა ამბავია ეგ დუმილი, მაგრამ სასაცილო იქნება ესა. ისედაც ნათელია და აშკარაა, რაც ამბავია. რა საშინელი წელიწადი დამიდგა. წინადაც ვხედავდი, დღითიდღე როგორ იკარგებოდა ჩემთვის სანიკო, მაგრამ ამ ბოლო დროს... ის უკანასკნელი დღეები ჩემთან

გატარებული, ის ცივი გამომშვიდობება... მაგრამ მე არ მინდა, მეგობარო სანიკო, გული მოვალბო ქვითინით. ველარ შეაბრუნებ მდინარეს წაღმა და სანიკოსაც როგორღა დავიბრუნებ მე – სიბერისაგან ასე მომზღვლეული. ბუნების ულმობელმა და ბრმა კანონებმა წამართვეს სანიკო და მე აღარ მომდის სანიკოსგან ის ჟღურტულა წერილები, ოდესღაც რომ მაბედნიერებდნენ. აი, ამ ხუთი დღის წინ მოფრინდა წერილი, კინაღამ გავხსენი, დავხედე და წარწერაა: „ .....“ ეს მეორე წერილი მიიღო შენგან. მე გამეხარდა, რადგან ეს წერილი შენი იყო, მაგრამ ჩავიღვარსლე, რადგან ამ წერილისათვის სრულიად უცხო ვიყავი... ახლა ვგევარ დამსხვრეულ ხომალდს, რომელსაც ველარაფერი ააწყობს და, ამავე დროს, ჩემი მტრები განაგრძობენ ჩემს მოყივნებას...

კვლავ მოაქილიკებს ჩემსკენ შეურაცხყოფისა და ცილისწამების ნიაღვარი. კვლავ „ანონიმკები“ და სისინი... ახლაც დარწმუნდებიან ჩემს სიალალეში, მაგრამ გული ილევა ამ უსამართლობისაგან.

კიდევ ერთი უგანწირულესი ამბავი – შავი ელვასავით თელავიდან მომივიდა ამბავი, რომ ჩემს ძმას, ლევანს, პარალიჩი მოსვლია. მე მყის ჩავედი და, მართლაც, მარცხენა მხარე დადამბლავებული აქვს. მიცნო... ექიმები ამბობენ, რომ ალკოჰოლის ნიადაგზე სისხლი ჩაექცაო თავში. საწყალი ჩემი ძამიკო, საწყალი და მისი ვანო იმ დღესაც იქვე წავიდა საქეიფოდ. ლევანსაც „დარტყმა“ მინდორზე ქეიფის დროს მოსვლია.

სანიკო, შვილიკო ლიმზის სიცოცხლემ, ვერ ვიშოვე ძველი ყველი. ახალზე დედაშენი ამბობს, გზაში გაფუჭდებაო. შენ როდის აპირებ საქართველოში დაბრუნებას? თუ აღარც კი ჰფიქრობ? ხომ არ გინდა,

დედიკო და შვილიკო გამოგიგზავნო? შვილიკო კარგად გვყავს. მე ასე ვიწეწები სკოლაში. ალბათ, ყველაფერი მალე გამოირკვევა.

აბა, იყავი ბედნიერად და ჯანსაღად. გაკოცეს შენმა შვილიკომ და დედიკომ.

მწუხარების ლანდი.

6/VI-35 წ.

ჩემო ოცნებავ, სიხარულო! დღეს მივიღე შენი წერილი და ოდნავ, ოდნავ მომნამა. გულმა მირჩია, წერილი აღარ გამომეგზავნა, მაგრამ გულის უდიდეს ნაწილმა მაინც მიკარნახა გამოგზავნა, იმისთვის, რომ შენი ეს წერილიც ამჟღავნებს, რომ შენ გაწუხებს, გამძიმებს, ერთის მხრივ, მოვალეობის გრძნობა ოდესღაც შენთვის კარგი მეგობრისა, და, მეორეს მხრივ, – შენი გულის ძახილი.

მაგრამ ახლა ამაზე ვსპობ წერას, რადგან უჩვეულოდ მოღვარსლული და სასიცოცხლო ძალებგამოცლილი ვარ. გველთა სისინმა გასჭრა და ახალი რევიზია მიკვლევს. მე არ მეშინია რევიზიის, რადგან არაფერი დამახინჯება და გამრუდება არ ჩამიდენია, მაგრამ მტკივა გული, რომ მოსვენებას არ მაძლევენ. შემოგევლე, ჩვენ აქ მხოლოდ და მარტოოდენ შენს სახელზე ვლოცულობთ და ვოცნებობთ.

მაგიდაზე გამოულეველია ვარდ-ყვავილები, შენს სურათს უალერსებენ. ჩვენი ოჯახი მოქურუშებულია და მხოლოდ და მხოლოდ შენი სახელის ხსენება აცოცხლებს. შემოგევლე, ნუ, ნუ მიგვიანებ წერილს. გეფიცები, სადმე წავიქცეოდი, შენს წერილს მხნეობა რომ არ შეემატა ჩემთვის.

ტკბილო, დღეს უკვე 6 რიცხვია, ნუთუ შენ ვერ მოახერხებ ერთი თვით ადრე ჩამოსვლას. ნეტავი, ნეტავი, ნეტავი!

როგორ ატარებ ცხოვრებას? რამდენი მოთაყვანე გყავს, თუ შენა ხარ მოთაყვანე...

აბა, ჩემო ოცნებაო, იყავი კარგად და ბედნიერად, მოუარე შენს თავს.

შენი სიხარული ჩვენი სიხარულია.

დაგკოცნეს შვილიკომ, დედიკომ და შემოდგომის ყვითელფოთოლა თრთოლით შენმა ფიქრცრემლოვანმა დათიკომ.

მარად შენი, მაშინაც კი, როდესაც შენ გამიფრინდები!

დათიკო

10/VI-35 წ.

ჩემო სიხარულო სანიკო!

დღეს დავბრუნდი ტფილისიდან. შენი წერილი მენატრება. დაქანცულს შენი წერილები გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმად გვეფრქვევა და შენ კი მას გვანატრულებ... რა ყოფილა მეგობრობა?! თურმე ეგეც ცივდება... როგორც ცოლიკო ხომ გამიცივდი და, როგორც მეგობარიც მას შეეხმატკბილე. ვაგლახ, ორთავეს ვკარგავ!

იცი, სულის დგმაო, თელავში რომ ვიყავი, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე შენ გიგონებდი. ხშირად ვუახ-ლოვდებოდი იმ პაწაწინა ოთახს მეორე სართულზე და, რომლის „პადიეზდთანაც“ მეღირსა შენი პირველი კოცნა... ვუყურებდი ამ კარებს და ხელახლა ვიბადებოდი.

მენატრებოდა, კვლავ დაბრუნებულიყო ის დღეები – ბედნიერების წლები.

ახლა ტფილისში ჩასვლისას... აი, ჩავედი. დილა იყო. მე აღარ მომეჩქარებოდა ჩვენს ობოლ სახლში... ვიცოდი, იქ აღარ დამხვდებოდა სანიკო... ღამე ობლად გავათენე. ვამბობდი: ახ, ნეტავ მოხდეს სასწაული და სანიკომ დამიკაკუნოს-მეთქი. როდის, როდის იქნება ის ბედნიერი დღე, რომ სანიკო მომიფრინდეს ისეთივე გულით, როგორიც – სიღნაღში მომიცქრიალდა. შენვე მწარედ იღიმები, სულის დგმაო. მენატრება შენი დაბრუნება, ვითვლი თვეებს, დღეებს, და გრძელდება, იძაბება დღეები მწუხარე ლოდინისა... ნეტავი მეც ჯანმრთელი დაგხვდე. ისე დავიქანცე, ისე მეკვეთება ძალ-ღონე, თუ არ დავისვენე, მე ვეღარაფერი აღმიდგენს ენერგიას...

ჩვენი შვილიკოს წერილს მიიღებდი. ეს გაგვიეშმაკდა კიდეც. ამას წინათ ჩვენი სკოლის პატარა დატპრიაში მასწავლებელმა ქალებმა შეახვედრეს კარგი ტიკინა (14 მან.) და ღირებულება მე გადამახდევინეს. ხოდა, წეღან ვეუბნები: დედიკოს მივწერთ, რომ ტიკინა შეგხვდა-მეთქი. ჯერ დამეთანხმა და მერე უარი თქვა: – არა, არა, მაშინ ახალ ტიკინას აღარ მიყიდის, ჯობია, დედიკოს გავაგებინო, რომ ძველი თვალხუჭია ტიკინა დამემტვრა და, მართლაც, ეს საწყალი ვერ გაუფრთხილდა. არ ვიცი თვით, თუ მისმა სწორებმა ჯერ თვალები ჩაუყარეს, შემდეგ თავიც გაუტეხეს, რომ არ რგებოდა ახალი ტიკინა – იმ ტიკინას დამსხვრევას აგრე ადვილად არ შეურიგდებოდა.

✧ ✧ ✧

მივიღე 12/VII-35 წ.

შენ წახვედი წუხელის.

წახვედი და გაუდექი გზას.

ღმერთო ჩემო, რა მძიმე იყო შენი ნაბიჯები ჩემთვის. გულში მადგამდი ფეხებს. შემეკუმშა გული და წამსკდა ქვითინი.

მე გული მეღვარსლებოდა, რომ შენ მშორდებოდი, მშორდებოდი ისე დამძიმებული და მე ვეღარ გეძახდი შენ. მე მეშინოდა, კიდევ არ გამოგკიდებოდი, მაგრამ რისთვის?

რომ ხელახლა განმეორდეს ეს «похоронный марш» над любовью нашей.

საშინელია, საშინელია ქვითინი, როდესაც ის დამარხულ სიყვარულს სტირის და აღდგენა კი აღარ შეუძლია.

რა იყო ჩემთვის წუხანდელი განშორება.

მით უფრო, რა იქნებოდა იგი შენთვის.

მე არ გკოცნიდი, დათიკო, მე მეშინოდა მოფერების, რომ ამით იმედი არ მოგცემოდა და მერე კიდევ არ გესაყვედურა, მაშ რათ მიალერსებდი, თუ კი დაბრუნებას არ აპირებდიო?

მაპატიე, ვიცი არ შეიძლება, არა, არ შეიძლება პატიება ასეთი გაბედკრულებისა.

მაშ, რაღა გთხოვო?

არაფერი.

ნეტავ კი შეურიგდე, ნეტავ კი დასძლიო შედარებით იოლად. ხომ დარწმუნებული ხარ, რომ მეც საშინლად მიმძიმს, ოო, რა საშინლად მიმძიმს, მაგრამ სულ ერთია,

ალბათ, და, ალბათ, ახლა თუნდაც დავბრუნდე, მაინც ისევ განშორება მოჰყვება.

Вечной любви не существует, а мы с тобой не должны жить без любви. Для Этого существуют другие сотни.

სჯობია დავიტანჯოთ, მაგრამ სილამაზისთვის არ ვარგა იტანჯო და არც ღირდეს ტანჯვად საქციელი. შენ არ გინდა «душевная дружба» – а больше дружбы я предложить не могу.

Остаюсь Саня.

ვრჩები შენი გამამწარებელი შხამი.

სანიკო

¤ ¤ ¤

სანიკო!

მთვარეულსავით ვიმგზავრე, ჩამოველ ტფილისში, კახეთისა გასულიყო. არ მწყენია, სად მიმეჩქარება?! არც ველისციხეში და არც ტფილისში სანიკო არ შემომეგებება. ჩემო სევდავ, ეჩვენე ექიმს და მაცნობე, თუ შველა გინდა. მოუარე შენს თავს, იცოდე... არა, ვერ მოგწერ, ვერ გეტყვი, მე გიცინი, რომ არ იტირო შენ. დავდივარ ტფილისის ქუჩებში ტუჩების კანკალით და შემოდგომური თვალებით, მხვდება ერთი მეგობარი და მკვდარი მისაყვედურებს: შე ოჯახქორო, რა უსირცხვილოდ ბერდებიო!

სევდიკო! ეს ყველაზე კარგად შენ დაინახე და აგეხილა თვალები. დაინახე კანონი ამ ჩვენი ფატალური გრძნობისა, რომ მე უნდა დამხუჭოდა თვალები. მე თვალები მხოლოდ სანიკოსა და შვილიკოებისთვის მჭირდება.

ჩემს ცხოვრებაში გაზაფხულის გარიჟრაჟის მომღერალო და რექვიემის მთქმელო! შენ ნება მომეცი, ვამბორებოდი შენს ფეხებს და ამიტომ მე ვკოცნი შენს

ნაფეხურს-ნაკვალევს. მე რაც მოვიზარდე, აროდეს მილოცნია, მაგრამ ახლა რომ შეიძლებოდეს და რწმენა მქონდეს – ვილოცებდი, რომ შენ ჯანმრთელი იყო... რომ შენ... როდისმე, როდისმე მაინც დამიბრუნდე... ტკბილო, თამარის არხი განახლდა და ნუთუ ჩემს გულს განელება არ ეღირსება...

ნუ დამივიწყებ. ამაღამ მივალ. მომწერე ხოლმე.

შვილიკო დამიკოცნე. შენს დედიკოს სალამი.

უბედური დათიკო.
8/VIII–35 წ.

ს. ველისციხე. 9/VIII-35 წ. ღამის 3 საათი იქნება

ჩემო ცრემლების დაუშრეტელო წყაროვ, სანიკო!

საღამოს მატარებელს ჩამოვყევი. მეგონა, გულზე მაწვა ყველა იმ ოხვრათა და ვაებათა ნაერთი, რომელიც კი განუცდიათ. მივადექი ჩვენს (ვაიმე, ახლა მხოლოდ ჩემს) ოთახს. მეზობლები მოწყენით მიყურებენ. მგონია, რომ მათ იციან ჩემი უბედურების ამბავი და მენატრება, ახლა სასიკვდილო ცელმა გადასხიპოს და ოთახში შესვლამდის ჩაქრეს ყველასათვის უსარგებლო სიცოცხლე... გავაღე კარი... მაკანკალებს... მითრთის მთელი სხეული. ამ ოთახიდან უკანასკნელად გავიდა და აღარ დაბრუნდება სანიკო. გაფაციცებით ვათვალიერებ მაგიდებს. ნეტავი ერთი სტრიქონი მაინც ვიპოვნო. სანიკომ ერთადერთი სტრიქონით მაინც მითხრას „მშვიდობით“, „ნახვამდის“-ო კი აღარ მაღირსებს.

არსად წერილი, არსად კვალი. ვემხობი ჩემს საწოლზე და ვქვითინებ. მართლა, რატომ ასე რბილად მეჩვენება

ჩვენი ლოგინი?! ხო, მახსენდება, შენმა დედიკომ დაპენტა, დააბულბულა და დამიფინა. ჰკითხე შენს დედიკოს – მე როგორ მოვიქეცი. მე ვუთხარი შენს დედიკოს: მე აღარ დავწვები ამაზე, შევინახოთ სანიკოს ჩამოსვლამდის.

მე გავგიჟდები ამ ოთახში უსანუკოოდ. სანიკო უნდა დამელაპარაკოს უეჭველად. მე ვხსნი სანიკოს დედიკოსაგან ნაჩუქარ ებანოზის ყუთს და ვალაგებ წერილებს... ჯერ ვთვლი, პირადად შენგან რუსეთიდან მიმიღია მხოლოდ 4 წერილი... 3 თვეში 4. დანარჩენი შენი შვილიკოსი და შენი დედიკოსია.

ვხსნი წერილებს. ვეძებ... ვეძებ... იმ სტრიქონებს, რომლებითაც შენ თითქოს ნახევრად მიმჟღავნებდი, მაგრამ, მაგრამ, სადაა, სად არის? მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილები არა ჰგავს სანიკოს ტრფობის პირველი წლების სიმფონიას, მაინც სიყვარულის ნაზი სურნელი მოიკმევა და მაფრთოვანებს და მანუგეშებენ. განა მე ამ ქვეყნიდან უცბად არ მოვიგლიჯებოდი და შენსკენ არ გამოვქროლავდი, რომ მეგრძნო, შენ მეკარგებოდი, რა გამაძლებინებდა 3 თვეს.

მართალია, შენი წერილებიდან ელეგიაც იფრქვევა, მაგრამ აქვე ციმციმებს და ლივლივებს შენი მოსიყვარულე სული: „ჩემო დათიკუნი, მეგობარო, გენაცვალე და ყველა მთავრდება „გაკოცებ ბევრს“, მაგრამ, ჩემო სევდავ, ჩემო სევდავ“. რას ნიშნავს ესა? თუკი შენ სხვა გიყვარს, მაშ, რაღად მწერდი ასე. ამ წერილების ავტორი ტფილისში „პროტესტს“ რაღად აცხადებდა, როცა მე სანიკოს მკლავს ვეკონებოდი ხოლმე...

ვუბრუნდები შენს წერილებს... არის ერთი, შვილიკოსადმი, სადაც ავალებ შვილიკოს „целуи папу, я его обидела“. როგორ გავიგო ეს წერილი?! – ასე:

„რადგან შენს მამიკოს მე კარგად ვერ გამოვემშვიდობე, ამით ვაწყენინე და აკოცეო“. ეს ხომ ნიშნავს ჩემს მაგიერ აკოცეო?!

უფრო მტანჯავს ბესლანიდან გამოგზავნილი წერილი: „შენ ხომ ისე ცუდად, ისე ულამაზოდ დაგშორდი... მაპატიე, ჩემო დათიკო, რომ გაწყენინე! მე რომ ავად არ ვყოფილიყავი, ალბათ, ეს არ მოხდებოდა“.

აბა, სიცოცხლეო, მითხარი... განა ეს ნიშნავს, რომ შენ გაამჟღავნე შენი განზრახვა განშორებაზე... სად არის, აბა, სად არის განშორებაზე ლაპარაკი? შენ რომ ავად არ ყოფილიყავი, დამშორდებოდი როგორც ცოლიკო?!... ასე მესმის მე და ასე უნდა გესმოდეს შენც. მით უმეტეს, რომ წერილს ამთავრებ „გკოცნი ბევრს“.

აი, 20 ივნისს მიღებული წერილი (35 წ.): დათიკო, ძვირფასო მეგობარო... შენ გენაცვალე, აღარ გამომიგზავნო ფული. მე შენზე უარესად მიხუთავს სულს სევდა. ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი, რომ გათავებული მქონდეს ინსტიტუტი და ეს პრაქტიკა მიხუთავს სულს“.

ვერ მივმხვდარვარ ვერაფერს. ესეც თავდება „გაკოცებს სანიკო“.

ახლა ამ წერილს მოუსმინე: „ჩემო დათიკუნი, როდის გაივლის სამი თვე, რომ დავბრუნდე სახლში“ და თავდება: „გკოცნი მაგრად, სანიკო!“

უზომოდ მბურღავს 6/VI მიღებული წერილი: „დათიკო, ძვირფასო მეგობარო... მივიღე შენი წერილი, ეხ, მეგობარო, არ მლანძღავ, მაგრამ არც ნაკლები... სხვა რაღა დამრჩენია, თუ არა მაღაროში ჩაქანება. ვიხეტიალე, ვიხეტიალე, მაგრამ არც მიწის სიგრილემ გაანელა მოწოლილი ნაღველი. დათიკო, ჭირიმე, მენატრება შენთან საუბარი, შენი დამშვიდება, მაგრამ შორსა ვარ... დათიკო,

ნუ მისაყვედურებ ასე საშინლად. რა ვქნა, მითხარი, რაც ჩამოვსულვარ ჩემს ტვინს შენზე ფიქრი არა შორდება. მე თვით ვუსაყვედურებ ჩემს თავს, როგორ მიკვნესის გული, ნუთუ იმიტომ დავიბადე, რომ სულ მიტიროდეს გული? რომ სულ ფიქრებში, მწარე ფიქრებში იწვოდეს ტვინი და არავინ... არც ერთი კაცი, თბილი ადამიანი ახლოს, რომ წუთით მაინც მოასვენო ფიქრები... მიდის, იწურება ეს თვე, მხოლოდ ერთი თვე – ვნახოთ, რას იზამს შემდეგი. მიმწურავს თუ მივწურავ. მაინც ნეტავი შენ... ახლოს გყავს შვილიკოები. ნეტავი თქვენ კარგად იყოთ და მე მეტი არაფერი არ მინდა... გაკოცებ სანიკო“.

აი, სიცოცხლეო – ის წერილი, რომელშიც ისმის რაღაც შფოთვა, მწუხარება. განა ეს ისე უნდა გავიგო, რომ სანიკოს აღარ ვუყვარვარ... ხის ადამიანი უნდა იყო, რომ ასე გაიგო. აქაც უზომო წუხილია და სიყვარულია. ყველა შემთხვევაში, აქ არა სჩანს ის, თითქოს სანიკოს სხვა მეგობარი ჰყავდეს, თორემ რად დასწერდა სანიკო: „არავინ, არც ერთი კაცი, თბილი ადამიანი ახლოს, რომ წუთით მაინც მოასვენოს ფიქრები“. და განა შეიძლება აკოცო კაცს, რომელიც აღარ გიყვარს?!

მეტი წერილი, სიცოცხლეო, არ მიმიღია. ვიცი მხოლოდ ის, რომ უზომოდ უბედური ვარ... მეშინია ჩემი თავისა. ეს მარტოობა უდიდეს ჭინკების ხროვებითაა გატენილი და ყველა წკნავილ-წკნავილით საშინლად მაწამებენ.

მე ვიცი, რომ უდიდესი გმირობაა გამარჯვება საკუთარ თავზე.

მეც მინდა გავიმარჯვო საკუთარ სევდაზე... თავი დავაღწიო მას, მაგრამ ეს უარესად მაწუხებს და მე რა გმირობას შევძლებ... მე რომ ეს შემძლებოდა, სანიკო არც მიმატოვებდა.

უჰ, ცრემლები მახრჩობენ. ცრემლები წერას მიშლიან. ნეტავ შეიძლებოდეს მანძილის გადალახვა, რომ დაგინახო, როგორ წაიკითხავ ჩემს წერილს, თუმცა წარმოსახვა შეიძლება... შენ კვლავ ქანდაკებად იქნები გადაქცეული... ქანდაკებასავით წაიკითხავ...

მინდოდა შენი დედიკოს წინაშე დამეჩოქნა და შევმუდარებულიყავ, ეშუამდგომლა, ემოციქულა შენს გულთან, მაგრამ რად მინდა, რად უნდა გამეტანჯოს სანიკო.

დამიკოცნე შვილიკო. გამიხსენე მე, მანუგეშე!

ვეამბორები შენს ფეხთა მტვერს.

ცრემლოვანი დათიკო.

სასოებავ!

დიდხანს ვზივარ სამეცადინო მაგიდასთან გადაშლილი ბლოკნოტით. ვყოყმანობ, მივწერო თუ არა სანიკოს-მეთქი. რომ ვიცოდე, სანიკოს არ მოაბეზრებს ჩემი ნაღვლიანი წერილების კითხვა, დაუსრულებლივ გწერდი, მაგრამ, მაგრამ სანიკომ თავის გულიდან დიდი ხანია, აუქშია ჩემი ტრფობის ჩიტუნიებს, წიოკობით გამოდევნა კუნაპეტ სევდის ღამეში...

ასეთია ულმობელი სინამდვილე. სანიკოს ამძიმებს უკვე ჩემი მუდარა. ახლაც მათახთახებს საშინელი დაშორება შენთან. მე განწირვით განვერთხე შენი ბინის კიბეებზე, მენატრებოდა გავმქრალიყავი, ვქვითქვითებდი. შესწუხდი... მაგრამ, აღარ შეგეძლო თანაგრძნობის სიტყვა მოგეწვდინა.

ახ, ის განშორება, ის დაუვიწყარი, მტანჯავი და, ამავე

დროს, სანატრელი განშორება. ჩემთვის იგი სანატრელია მისთვის, რომ შენგან ნება მქონდა, დამეკოცნა შენი ხელები, შენი ღაწვები... მტანჯველი იყო, რომ შენ არ მიპასუხებდი... რა ვქნა, რა გავაწყო? რა გავაკეთო? მზე დამიბნელდა. გულის მაგიერ მკერდში ჩასობილი მაქვს გავარვარებული პალო და მშანთავს, მშუშხავს. იწვის ჩემი ცხოვრების უსარგებლო ნაშთი, – ოდესღაც რომ გული ერქვა და დღეს კი გადაგდებული მჩვარია.

სანიკო, სევდიკო, მეკითხებიან შენს ამბავს – მერამდენე კურსზეა? მე ნაღვლიანად ვუპასუხებ, მე-5 კურსზე... ერთი წლის შემდეგ ინჟინერი იქნება.

ცრემლები მახრჩობენ – ვაიმე, ვაიმე, მე არ მეღირსება დავიქადნო: „ცოლიკო, ჩემი ცოლიკო ინჟინერია“...

ეჰ, სანიკო... მწუხარება შემოქმედების შესავალიაო... მე ახლა მწუხარების უბადლო ნოკტიურნი უნდა შემეთხზა, მაგრამ... გონება ალმოდებულია, რას შევძლებ... უკვე მე-13 დღეა, რაც მეგობრის უარყოფის ამბავმა გამგმირა და დამჩემდა ის, რაც შენ შეგნიშნე: ჩამთვლემს თუ არა, შემიხტება მკლავი, მუხლები... გამეღვიძება და სული უარესად მომეძაბება... მარტო ვარ ჩემს სამარეში და მორიელსავით ვშხამავ ჩემს თავს და ვერ მომიშხამია...

სიცოცხლევ, ჩემი მობინდული ცხოვრების ზღაპარო, ხიბლო, გრძნებავ! სიხარულო და მწუხარებავ, ნეტავი კი მალე მაცნობო შენი ჯანმრთელობა. შენ სერიოზული მკურნალობა გესაჭიროება... შენს ფილტვებს, გულს და ნერვებს უნდა მშვიდი, თბილი, ტკბილი ცხოვრების პირობები. შენ კი... შე საწყალო, სწორედ ახლა გაიჭერი იმ ასპარეზზე, როცა... უდიდესი ღელვა და გრძნობილების, განცდების თვეები და წლები დაგიდგებიან...

შენ უაღრესად სათუთი ბუნების პატრონი ხარ,

სანიკო, და მეშინია, ოდნავაც კი არ დაიორთქლოს შენი ბროლივით გამჭვირვალე და კრიალა სული. მეშინია და ამიტომ გემუდარები: შვილიკოს, დედიკოს გულისთვის მაინც გაუფრთხილდი შენს თავს, მოუარე შენს თავს... თუმცა ამაოა ჩემი ჩიჩინი.

მაინც მაცნობე, ცისკრის სიზმარო, მაცნობე, რას გეტყვიან ექიმები... დაგენაცვლე, შემოგევლე (თუმცა, შენ ამის ნებას არ მაძლევ), მანდედან ფეხი არ მოიცვალო... არავითარი სამსახური არ გინდა... შენ უნდა ისწავლო, სამსახურს თავის დროზე მოესწრები!

ჩემი შვილიკო რაღასა იქმს? როცა გაეღვიძა – ნეტა თუ მომიკითხა...

სანიკო ხომ გახსოვს, ჩემმა შვილიკომ როგორ იტირა ჩემ ნაღვლიან ფიქრებზე... იცოდე, რომ უმამობა მაგას ძალიან დასჩაგრავს, რადგან ეგ მთლად გრძნობაა. როგორ აქვს კუჭი? მადა? გოგლი-მოგლი და რძე არცერთმა არ მოიკლოთ, მე ამ დღეებში უეჭველად მოგეშველებით.

დამიკოცნე შვილიკო და გთხოვ, ძვირფასო სანიკო, გემუდარები, ნება მომეცი, ჩემს შვილიკოს შევეხვეწო, რომ ჩემს მაგივრად გაკოცოს მზის სხივურ თმებზე, თვალებში, ბაგეებზე, ყელზე, ხელებზე, ფეხებზე...

სანიკო, ვიჩოქებ შენს წინაშე, თუმცა შენ აღშფოთებით ამაყენებ... ხო, ვიჩოქებ შენს წინაშე და გემუდარები: ისმინე, ისმინე ჩემი გულის ძახილი... ისმინე, ისმინე, ისმინე მგლოვიარე სულის ძახილი...

ტიალი ბიბლია! რა ნოეს ყორანივით დამჩხავის: „შენ მას დაუწყებ ძახილს და არ გიპასუხებს“. უდაბნოში განწირულ ძახილსაც კი ეხმაურება უპუ და შენ ხომ უპუ არა ხარ!..

მაშ, შეისმინე ჩემი მუდარა, დაუდე ზღვარი ჩემს

„შორით ბნედას, შორით კვდომას, შორით დაგვას, შორით მალვას“.

მენატრება, შენს დედიკოს მოვწერო წერილი და შევჩივლო ჩემი ტლუობა, ვუთხრა, რომ ამ სახლში ისე საცოდავი ვარ, როგორც მტკვრისგან გამორიყული, ლამით თვალებამოგლესილი ჩემი დედიკოს გვამი... იმ განსხვავებით, რომ დედიკო შვილებმა მაინც დაიტირეს, მე კი... ვის რად ვუნდივარ გარიყული... და, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ჩემი ღმერთი კი სანიკოა – მეშინია ამ მარტოობისა... უზომოდ მეშინია და მე მინდა, შენს დედიკოს შევევედრო – თავისი ცრემლებით, დედის ცრემლებით მიმოციქულოს შენთან... დედის ცრემლები ისეთია, რომ მას შვილი როგორც დაინახავს, უეჭველად აუსრულებს, რაც კი უნდა სთხოვოს... მაგრამ... მე სწორედ შენს დედიკოს არ მივმართავ ასე, რადგან დამესჯება სანიკო, სულით დამეტანჯება სანიკო. „სიყვარულს არ-წივის ყივილით და ფრთების ფართქუნით ეღირსება კაცი და არა ცრემლებით, არა მოციქულობით“... დავკოცნი შენი პაწაწინა ფეხების ნაკვალევს.

უბედური დათიკო.
10/VIII-35 წ.

ველისციხე 16/VIII-35 წ.

ზღაპარო სევდიანო, ცისკარო, ჩემთვის დაღამებულო სანიკო!

როგორ დაგშორდი? არწივის ფრთებით თუ ფრთებ-დამსხვრეული, სასიკვდილოდ დაჭრილი შევარდნის ყივი-ლით? – ორივეთი...

შენ ორივე განცდა მომგვარე...

გენია გაჩენილს, შენ, პაწაწინა, პეპელასოდენა შემოალერსებით წუთით ყოველგვარი კაეშანი დამავიწყე... შენი აკოკრებული მკერდის ოდნავ შეხების ნების მოცემით და ამბორით უკვდავება მაგრძნობინე... თუმცა მალე გულში ჩამეწვეთა, ჩამენთქა ეჭვი: „სანიკომ შემიბრალა, მხოლოდ შემიბრალა“. კი, მაგრამ შეეკამათა ჩემში მეორე დათიკო... ის პაწაწა ანცობა, ის... ის... ინტიმური – „მამიკო, ჩემო მამიკო“... ასე თქმა ხომ შეუძლია ჩემს სანიკოს, ჩემს ცოლიკო სანიკოს? – კი, მაგრამ, გახსოვს, სანიკო რა ლირიკულად ლაპარაკობდა: „მაღაროში ისეთი პირობებია, რომ სული მეკმევა არ დაიღუპოს ამხანაგი და ამიტომ უფრო დაჩქარდა ჩვენი მეგობრობაო“. სანიკომ იცოდა, რომ მისი 8 წლის სტაჟიანი მეგობარი უფრო დიდ საფრთხეში იყო, იდგა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე და... მას, უსათუთეს სანიკოს, ეს მეგობარი დაავიწყდა, მას სული აღარ ეკმეოდა... მე კი მაინც ვივიწყებ ამას... ვიგონებ ზღვის „პლაჟზე“ სურათს. სანიკო წევს... მე ვკოცნი მას მუხლს ზემოთ... სათუთად ვკოცნი... განა სანიკო მარტო სულით მეგობარს მისცემს ნებას, აკოცნინოს მუხლის ზევით?.. მაგრამ აქაც კვლავ შხამი – სულელი დათიკო!

სანიკო რომ გამერიდა... გამერიდა... ქუჩაში სკამზე დაჯდა, რადგან შენ აბეზრებდი თავს ქვითინით, ამბორით.

მაგრამ მას სცვლის ნუგეში – აგერ, სანიკო როგორი ალერსით, კარგად გაცილებს... გაცილებს. აი, გამომშვიდობებაც... მაგრამ... კვლავ შხამი. მე საკოცნელად ვიმარჯვებ სანიკოს სახეს... სანიკო თავს ხრის... სურს აირიდოს... მე მაინც ვახერხებ მისი ბაგის პოვნას... სანიკო არ მეხმაურება... სანიკოს ბაგე სამარის სიცივით

მხვდება. კი, მაგრამ, მაინც ნაზი გამომშვიდობება, დიდხანს ხელის ქნევა...

და ასე, ასე დაუსრულებლივ... ეს ფიქრები ჩემს თავში კრიალოსნის მარცვლებივით ხმაურობენ, ხრიალებენ.

შორეული ქობულეთის ზღვის მოტლაშუნე ზვირთებს ვემუდარები, დაგიყვავონ, მოგეფერონ, ყოვლის უწინარეს გაგიჯანსაღონ ფილტვები, გული, ნერვები და შემდეგ... გულში აგიყვავილონ, აგიფურჩქნონ, გამიზარდონ ის პაწაწინა ყვავილი, რომელსაც ჰქვია დათიკოსადმი სიყვარული...

ამინ და კირიელეისონ!

უბედური დათიკო.

17/VIII-35 წ.

სანიკო!

გული სულ იმას მეუბნება, ნუღარ შეგაქვს სანიკოს მდიდარ სულში დისონანსი... და შენი წერილები, მართლაც და, მიცვალებულის სახესავით აზრჩამკვდარი, გადაიშლებიან სანიკოს ხელშიო. მაგრამ იგივე გული თითქოს გამამხნევებელ სიტყვებს მეჩურჩულება: სანიკომ იცის უეცარი მოვარდნა, სანიკოს ბუნება ასეთია, რომ მან იცის უცნაური თავდავიწყება, იშვიათი თავგანწირვა... რად უნდა გიკვირდეს, რომ სანიკოში გაიღვიძა ძველმა სანიკომ... მოსიყვარულე სანიკომ... აგერ, იმ დღეს, გამომშვიდობების დროს, კინაღამ, კინაღამ გაიღვიძა სანიკომ... არ გახსოვს განა? – როგორ არა! როდესაც მე მას მოვხვიე ხელი, ის წინანდელსავით არ შეჟრჟოლებულა გულცივობით... ის ოდნავ... ის კდემამოსილებით

აშრიალდა და სუმბულის ხმებით გამეხმაურა: „მამიკო, ჩემო მამიკო“ – რაც ნიშნავს: შენი ცოლიკო კვლავ გიბრუნდებაო! მე სანიკოს მკერდს სათუთად დავეკონე და სანიკოს ბუნებამ პროტესტი აღარ განაცხადა. რას ნიშნავს ესა? იქნებ, სანიკოს ჩემი ნუგეში, მარტო დამშვიდება უნდოდა? არა მგონია. სანიკო ჭკვიანია, სანიკო გონიერია... ის მე დეპეშით არ ამტყორცნის მწვერვალებზე, რომ მყის უფსკრულში გადამტყორცნოს... არა... სანიკო რისთვის დამიყვავებდა ასე, გულში ოდნავი ალერსი მაინც რომ არ წკრიალებდეს... ხომ, სანიკო? ხომ, სიხარულო? ხომ... სანიკო, ვეწამე, სანიკო... გევედრები, დამიბრუნე ჩემი სანიკო, მოსიყვარულე სანიკო და არა ისე, როგორც დედაშენმა სთქვა: „იყოს შენთან, თუნდაც არ უყვარდეო“... არა, მე სანიკოს ვერ დავსჯი, მე სანიკოს სპეტაკ სიყვარულს ამით ვერ შევბღალავ... მე ვემუდარები სანიკოს, მაკმაროს ამდენი ხნის განმავლობაში გოლგოთაზე წამება... აი, მე ეკლებზე ვწევარ... ეკლებზე ვიძინებ, თუკი ამას ძილი ეწოდება... რა გამაძლებინებს დიდხანს... უშენობით... ლამის კვლავ მოვისხლიტო და კვლავ შენსკენ გამოვეშურო, მაგრამ, რომ გამახსენდება შენი ნაღვლიანი შეხვედრა: „ასე მეგონა, მამაჩემი მომელანდაო“ – დიდიხნის ჩანაცრებული მამაშენი... რაღაც აჩრდილი... აბა, როგორ ჩამოვალ ამის შემდეგ... და ისევ... მაშინაც გემძიმა და ქუჩაში სკამზე ჩამოსჯექი, რომ გარეშეების რიდით მაინც ჩამოგშორებოდი და კიდევ ის კოშმარული ღამე, როგორღა გავბედავ შენთან წამოსვლას, მაგრამ აქ გაძლებაც აღარ შემიძლია. მაშ, რაღა დამრჩენია?..

უბედური დათიკო.

აი, მეგობარო, კვლავ მოვკიდე კალამს ხელი.

მინდა, სანიკოს წინაშე დავიჩოქო, ჯერ დავუკოცნო ფეხები და შემდეგ ქვითინით შევემუდარო, მაგრამ... ვიცი, ჩივილ-ქვითინი არაფერი ფარხმალია... მაგრამ მე სხვა იარაღი არ გამაჩნია და ასე უიარაღო, უნიათო... დაცარიელებული ვწყვეტ წერილს...

მხოლოდ ერთადერთს გემუდარები: მაპატიე, მაპატიე, მაპატიე...

უბედური დათიკო

17/VIII-35 წ.

შენ და ჩვენი შვილიკო, ვიცი, ზღვის კიდეებზე იწყებთ კენჭების შეგროვებას და გახსოვდეთ, ბროლის ნამსხვრევები რომ შეგხვდებათ, ის ჩემი ცრემლებია... ისევე უთვალავი, როგორც – ეს კენჭები... შეაგროვეთ, შეაგროვეთ, თუ ხელები არ დაგწვათ, თუ ცრემლებმა თვალები არ მოგინისლათ.

უბედური დათიკო

17/VIII-35 წ

სანიკო, საოცნებოვ, სევდიკო!

სხვა რა უნდა ვაკეთო ჩემს ტიალ უდაბნოში, თუ არა ოცნება შენზე. ხოდა, ამიტომ გწერ... მაგრამ რა მოგწერო, შენ ჩემთან მეგობრობის ძაფები კი არა, აპეურები იმისთვისაც დაგიწყდა, რომ მოსაწყენი იყო ჩემთან ყოფნა... შენ სცდილობდი, შენს თავს ძალას ატანდი,

შემგუებოდი, მაგრამ ვერ მოგიხერხდა. მე კი უბედური განვაგრძობ წერას. შენ სიხარულის სიმფონიებს უნდა ისმენდე, მე კი მწუხარების სულთათანას ვქვითინებ...

ორივენი მართალი ვართ... და ამიტომ გწერ... გწერ... იცი, სანიკო, შენ ინჟინერი ხარ, მაგრამ ნუ გაგიკვირდება, რომ სტალინმა მწერლებს სულის ინჟინრები გვიწოდა და ამიტომ, ამიტომ, იქნება მხოლოდ ამიტომ მაინც მოუსმინო სულის ინჟინერს, რომელსაც ყველა კოშკები და ბეტონის ყველა გოდოლები ჩამოენგრა და მაინც განაგრძობს მშენებლობას, მაინც სწამს, რომ უკანასკნელ გოდოლს, სანიკოს მძლავრი ფრთების ფართქუნისგან მომზღვლეულს, მაინც გაამაგრებს და, მოდი, ამჟამად მაქსიმ გორკის მოთხრობას მოვიშველიებ ჩემი ტრაგედიის ნათელსაყოფად. „ბელესი“ – ყველასგან უარყოფილი, ფსკერამდის მისული მეძავი ქალი ტერეზა შეგნებით ქმნის თავის წარმოსახვაში ვინმე ახალგაზრდა ბელესს და, რაკი თვით წერა-კითხვა არ იცის, ბელესთან წერილს სხვას აწერინებს და მისგანვე ამნაირივე გზებით ღებულობს წერილებს. ის სხვებს ემუდარება, მისწერონ იმ არარსებული ბელესისაგან წერილი.

ტკბილო მეგობარო სანიკო!.. თითქოს რაღაცა ნათესაობაა ჩემსა და ტერეზას შორის იმ განსხვავებით, რომ ცხოვრებაში მე არ მიმეძავნია. და ისიც უნდა შევნიშნო, რომ ვერც შენ შეგადარებ ბელესს. ბელესი არ არსებობდა და შენ არსებობ, მილიონჯერ ბელესზე უკეთესი...

ვაგლახ მე, თუნდაც მეგობრებს ვეხვეწო, ვერავინ მოახერხებს, შენს მაგივრად მომწეროს წერილი... შენ კი შენ... აგერ, მაშინ ისეთი საფლავის ლოდი გამოჰკვეთე წერილის სახით, რომ ახლაც მენგრევა მკერდი და

მეჩქვლიფება გული. იყო დრო, როცა სანიკოსგან ვღებულობდი წერილებს სპარსული „ვისრამიანის“ გმირის ვისის წერილზე უფრო მგზნებარეს და გემუდარები, სხვების მაგივრად ისევ შენ გემუდარები, მაღირსე წერილი შენს გულსავით მდიდარი.

მაღირსე... მაღირსე...

უბედური დათიკო

ჩემი ტრაღედიის მეორე დეკადა.

ველისციხე

სანიკო, ჩემო უკანასკნელი ზღაპარო! ჩემი სიხარულის, სიამაყის და მწუხარების დროშავ!

ჩვენ არ გვღირსებია ერთად ხანგრძლივად ცხოვრება, რიგიანი საწოლიც კი, თორემ ერთხელ ვაპირებდი ჩვენი საწოლისათვის წამეწერა ისე, მორალური სენტენცია, რომელიც დადუმებულ პომპეის ამოთხრილ სახლში სარეცელის თავზე ნახეს წარწერილი:

„ავხორცი მზერა და მაცდური თვალები მოარიდე სხვის მეუღლეს. ჰგიებდეს შენს სახეზე კდემამოსილება“.

გესმის?

მრავალ საუკუნეთა წინეთაც კი ყოფილან ოჯახების მქირდავები და ასეთი გამაფრთხილებელი ლექსები მისთვის წაუწერიათ სარეცელისათვის.

ეჰ, თუნდა წამეწერა – კადნიერი მაინც არ შედრკებოდა... მაინც დაჰკარგავდა კდემამოსილებას სხვის ბაღნარში ყვავილების გროვებით.

ეს კი არ უნდა დაავიწყდეს იმ კადნიერს... თუნდა ეღირსოს იგი შენს მეუღლეობას... არა, ეს არ შეიძლება, არ შეიძლება!

მე საკირეში გადავიჭრები, ოღონდ ჩემი ტვინი ვერ შეურიგდება ამას.

ჩემო ბედკრულო თავო! ვის უტანჯია ისე, როგორც შენ. ნუთუ სანიკოს მიერ გათამაშებული „გამოცდა“ არ გათავდა?!

რად ავიწყდება სანიკოს, რომ ის პატარა გული, რომელიც მკერდის ქვეშ ძლივსღა ჰფეთქავს, ვეღარ გაუძლებს ამდენ სევდასა და მაშინ...

მაშინ ხომ მოშემოდგომიერდება სანიკოს გაზაფხულიც.

უბედური დათიკო.
35 წ.

ჩემო უძვირფასესო სათნოება სანიკო!

ჩემზედაც მართლდება რომაელების თქმულება: ჩემი უდიადესი დანაშაულებაა. მე ჩემი უმსგავსი ნაპრალებიანი ხასიათით გღუპავდი, გკარგავდი... დღეს, როდესაც შენს გულში ჩემდამი სიყვარულის კნილი ნათელი არ პარპალებს, მაინც მაკანკალებს იმის შეგრძნება, რომ შენ ჩემი ცოლიკო აღარა ხარ... შენ ხარ ჩემი მსოფლიო და შენ რომ ჩამოგშორდე, მსოფლიო მოკვდება. სანიკო, სიცოცხლეო... სხვა უჩუმრად წავიდოდა და მე კი, მე, იცი, კვლავ გაგახსენებ დოსტოევსკის ნაწყვეტს: „სადღაც მარადიულ ქაოსსა და სიწყვდიადის, უმაღლეს კლდის ნაპრალზე დგას კაცი, რომელსაც ორივე ფეხი ძლივს უდგას მწვერვალზე. ირგვლივ ნაპრალი, საშინელება, ქარიშხალი ემუქრება უფსკრულში გადანარცხებას... არავითარი იმედი და ეს კაცი კი არა ვარდება უფსკრულში თავისი ნებით, რომ მოსპოს ეს შიში გადავარდნისა...

პირიქით იმას ისე სწყურია ამ წყვდიადის ქარტეხილშიც კი ცხოვრება. ის ამბობს: ნეტავი კი, ნეტავი არ დავიღუპო. მირჩევნია ვიყო ამ მდგომარეობაში, ოღონდ ვიცოცხლო, ვიცოცხლო, ვიცოცხლო“. ჰგავს ჩემი მდგომარეობა ამას თუ არა?!

ხოც და არაც!

არა ჰგავს იმიტომ, რომ იქ ქაოსია და ნაპრალები ქარიშხალია და სიკვდილი. აქ კი მშვენიერი, საოცნებო, ჯადოსნური სანიკო.

ჰგავს იმიტომ, რომ უსიყვარულოდ ცხოვრება სანიკოსთან უდრის წყვდიადს, მწუხარების ქარტეხილს და, მიუხედავად ამისა, მეც იმ კაცსავით მზად ვარ ვიცოცხლო სანიკოსთან, თუ სანიკო ნებას მომცემს... შევურიგდე იმას, რომ სანიკომ თვეში, დაე, ორ თვეში ერთხელ მაღირსოს მოსვლა ჩემთან, როგორც ცოლიკომ და, რა ვქნა, ნუ ექნება სიყვარული. მაინც მზად ვარ. და... სანიკოს პირობას მივცემ, რომ არასოდეს, არასოდეს აღარ ვუსაყვედურებ, არასოდეს არ შევწამებ, რომ ვითომც სანიკო ჩემთან მოდიოდა და მოდის ფულის გულისათვის. მოკლული გულით ჩამოვისროლე ბევრი შეურაცხყოფა, ბალღამიანად და ენამწლაკედ წამოვროშე ამისთანა შეუსაბამობა, თორემ...

მარლაც და, სანიკო რომ ანგარებიანი ყოფილიყო, განა ის გადაიტანდა ჩემთან შიმშილობის იმ წლებს, როცა 8 კაპ. პურსაც საღამომდის ვერ ვყიდულობდით, რადგან 8 კაპ. გვაკლდა.

განა სანიკო ისეთი კარგი, ლამაზი, მომხიბლავი, რომელიც, ჩემდა საუბედუროდ, ბევრს მოსწონდა ვერ გათხოვდებოდა ისეთ ადამიანზე, რომელიც

1. ახალგაზრდაც იქნებოდა

2. მატერიალურადაც უზრუნველყოფილი
3. ბინაც კარგი ექნებოდა
4. ჯამაგირიც საუკეთესო
5. ხასიათიც კარგი
6. ტორგსინის პლაშჩის ყიდვაც არ გაუჭირდებოდა
7. კბილის ფხვნილითაც პირს გამოირეცხავდა
8. წვერსაც დღეში ორჯერ მოიპარსავდა
9. დარაბაში არ გამოახრჩობდა ცოლშვილს...

მაგრამ, თუ ეს არა ქნა სანიკომ მხოლოდ იმიტომ, რომ სანიკოსთვის ფული არ არის ბედნიერების საძირკველი.

ასე რომ, მეგობარო! უდიდესი სინანულით ვიჩოქებ შენს წინაშე და გემუდარები მაპატიო, რომ ასეთი შეურაცხყოფა მოგაყენე. შენს სათუთ გულს რაღა ეს ესაჭიროებოდა!

ოცნება! არ გეგონოს ჯაბანი ვიყო და მეშინოდეს თვითმკვლელობისა: თვითმკვლელობა ბევრჯერ გმირობაა, ბევრჯერ ჯაბნობა. ჩემმა დედიკომ გმირობა გამოიჩინა, მაგრამ ჩემთვის ჯაბნობა იქნებოდა იმიტომ, რომ ჩემი თვითმკვლელობით სანიკოს ნერვებს მთლად დავღუპავდი, მომავალს სამუდამოდ გავუნადგურებდი, სამივე შვილიკოს დავაობლებდი და დავუკარგავდი გზას. იქ, ჩრდილთა ქვეყანაში, ველარ ველირსებოდი სანიკოს უსიყვარულო სიყვარულსაც კი. ჩემს ნაწერებს ველარავინ მოიყვანდა წესრიგში.

ამიტომ, ვრჩები მე და ჩემს ზრუნვას შეადგენს შვილების ბედნიერება, სანიკოს ჯანმრთელობა და ბედნიერება. მაღირსოს სანიკომ კვლავ შემორიგება! აგრამ, ვაიმე, ეს რომ მისთვის წამება იყოს? თუ უდიდესი მსხვერპლი იყოს? არა, არა, მსხვერპლი არ მინდა. მე ვარ ვალდებული, ვიყო მსხვერპლი... თუ სანიკო არ დაისჯება,

დაე, ნუ ექნება სიყვარული. მე ბედნიერი ვიქნები სანიკოსაგან სუნმიღებული, მჭკნარი ყვავილებიც კი რომ მეღირსოს და არასოდეს არაფერს არ ვუსაყვედურებ და, თუ ვუსაყვედურებ, მაშინ სანიკომ ხარხარით გადამაქციოს თავზე ეს ჩემი გულის ნაფლეთის პირობა.

დათიკო ჩხეიძე

რაო? ცუდს არაფერს ვიფიქრებ სანიკოზე... სანიკო და ღალატი? არც ვუსაყვედურებ. მე თვითონ ვუყიდი რაკეტკას და ილაღოს, იმხიარულოს.

დ. ჩხეიძე

17/IX-35 წ. ტფილისი, ჩვენი დარაბა

✧ ✧ ✧

დათიკო!

ვიცი, გაფიქრებს ჩვენი მდგომარეობა. ავად არავინ არა ვართ, მაგრამ არც კარგად არავინ არა ვართ.

ლამზირა გამომჯობინდა, სჭამს აუარებას, ველა-რაფრით ვაძღობთ, მაგრამ ხან ყელი სტკივა, ხან ფეხი ეხუთება და ასე აუარება პატარ-პატარა აწუხებს ჩემს შვილიკოს. დედა ატეხილა, 8-ში წავიდეთო, ჯერ იმიტომ, რომ გული აქვს ცუდათ, საერთოდ, გამხდარია და ახლა კიდევ ახალსოფელს უნდა წასვლა ბავშვების საქმეზე. მე ვცდილობ, 15-მდე მაინც დავრჩეთ, ბავშვს მადა აქვს და, იქნებ, მოიკეთოს. კიდევ მოიწერე, თანახმა ხარ თუ არა, რომ 8-ში დავტოვოთ აგარაკი?

შვილიკოს ნამეტანი ესიამოვნა ფინჯნების ყიდვა და რატომღაც არ სჯერა, მაგრამ მაინც ბევრს ოცნებობს მაგათზე და დიდ მადლობას უთვლის თავის მამიკოს.

აქედან რომ ჩამოვალთ, არ ვიცი, რა სჯობია,

ტფილისში გავაჩერო ბავშვი თუ ახალსოფელში გავაყოლო დედას. შენ რატომღაც აღარაფერს იწერები? ვრჩებით?

სანიკო
7/IX-35 წ.

¤ ¤ ¤

ძვირფასო მეგობარო სანიკო!

ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ არ მენატრებოდეს, უდიდესი სიმფონია შევქმნა სიყვარულისა და მწუხარებისა შენი სახელის შეფრქვევით მოსავარსკვლავებლად, მაგრამ რა აცხადებულა ჩემთვის, რომ ამას ვეღირსო!

ველისციხის რუხ, სამარისებურ მარტოობაში გამომწყვდეული სული შენსკენ ფრენს, თუმცა გონება მკაცრად დამცინის: აღარ ხარ საჭირო, არა, არაო.

„ვერ გადავა გარდუვალი!“ – ეს შოთამაც კი დაიკვნესა და მე რადღა უნდა მიკვირდეს – გარდამხდა გარდასახდელი.

სიხარულო და სევდიკო! შემოგევლე, როგორა ხარ, რას აკეთებ, როგორ ცხოვრობ?!

გოცირიძემ ჩამოგვიყვანა თავისი შვილი და საწყალი შენი დედიკო უფრო წუხდება. ჯერჯერობით ბალღსა და დედას ვერ გიგზავნი.

სანიკო, შენი დედიკო განაწყენებულია შენზე, ჩვენს შვილიკოს სწერ: „ჩამოვალ, მხოლოდ შენთანო“. მე ჭირი წამიღია, მაგრამ შენი დედიკოს აგრე წყენინება შეიძლება? ძალიან, ძალიან გულნაკლული ბრძანდება.

ჩვენ შვილიკოს არა უშავს რა, ხანდახან გარეთაც

ვუშვებთ, ძალიან ენატრები... თითქმის ნაღვლიანობს... აი, ახლაც მეხვეწება მოგწერო, ჩამოგვიცქრიალდე... იქნება მაინც როგორმე მოახერხო ჩამოსვლა. გვაცნობე, როდესაც დააპირო ოპერაცია და მყის მანდ გავჩნდები. ჯერ კი რა მოგწერო: მხოლოდ ერთადერთი – გაუფრთხილდი შენს თავს, გაუფრთხილდი, „საწყალო“!

სათუთად გეამბორები და გეამბორები არა მარტო ჩემს მაგივრად, არამედ ჩემი შვილიკოს მაგივრადაც.

კვლავ გეამბორები.

შენი მაბეზრებელი დათიკო
23/III-36 წ.

✧ ✧ ✧

მეც მოვეწყობოდი მაღაროში. ჯანდაბას ჩემი შემოდგომიდან „გამაგრებული“ ნერვები და ჯანმრთელობა, სამაგიეროთ მოგაშველებდით, რომ არ გემწირათ.

სხვა რაღა დამრჩენია, თუ არა მაღაროში ჩაქანება. ვიხეტიალე, ვიხეტიალე, მაგრამ არც მიწის სიგრილემ გაანელა მოწოლილი ნაღველი.

ლამზირის გამომჯობინება ნუ მეღირსოს თუ ბიჭები არ მეუბნებოდნენ, რამ გაგაგიჟა, ჩვენ ვერ ვბედავთ მუშაობას, შენ როგორ შესძლებო და დღესაც წარმოებაზე ვმუშაობთ მხოლოდ 4 სტუდენტი 10 კაციდან.

სანიკო,
ურალი, 1936 წ.

10/II-37 წ. თბილისი

ჩემო მეგობარო!

ჩემო ძვირფასო დათიკო, გული ჩახურულია ათასი საშინელი ფიქრებით და მათში ყველაზე საშინელია ფიქრი იმაზედ, რაც მაწვალებს, რაც მაწამებს, რაც მისპობს ცხოვრების რწმენას და ხალისს.

დათიკოს სულში საშინელი დრამა ტრიალებს, დათიკოს სული ეწვალება ცხოვრების არარაობის სწრაფად მოთავების ფიქრებს.

არ ვიცი, რა, რაღა დამრჩენია. მე აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. მგონი, რომ აღარაფერზედ ვფიქრობ, მხოლოდ ვლაპარაკობ და, როდესაც ვლაპარაკობ, როდესაც მხოლოდ ვლაპარაკობ, გაზაფხულის მომხიბლაობაზედ, მომავალ ზაფხულზე, გული სისხლით ისერება, განა შემიძლიაღა რამეზე ფიქრი?!

ძვირფასო, ძვირფასო, ერთადერთი ნუგეში, ძალა სიცოცხლისა მხოლოდ ის იყო, რომ მყავდა უბადლო მეგობარი, მყავდა ისეთი ფაქიზი, სპეტაკი სულის მეგობარი, რომელიც ბევრჯერ შესერილი თმებიდან ისე ბავშვური თვალებით და ღიმილით დამავიწყებდა ცხოვრების უგვანობას!

განა დედიკო შენსავით მოიქცა?!

განა დედიკომ სამი პაწაწა დასტოვა?!

დედიკო ბრძნულად მოიქცა, დათიკო, და ის შეძრწუნდება სამარეში, რომ გაიგოს შენი ეგ საზარელი ფიქრი.

მაპატიე, მაპატიე, მეგობარო, საყვარელო, ძვირფასო, მაგრამ იმდენად გამწარებულო სწორედ სანიკოს ხელში, მეგობარო, რომ ეგ ფიქრები შემოგეხვივნენ. მაპატიე ამაზედ წერა, მაგრამ ვეღარ გავჩუმდი, ვეღარ! რა თქმა

უნდა, რა თქმა უნდა, დათიკო, მე არც ერთი წუთით არ მინდა შენ სულში ფათური დ,ა რაღაც ჩემი ძალის გამოჩენა. არც მგონია, რომ იფიქრო ასეთი რამ! მე იმდენი სულგრძელობა და სულის ცოტა სიმაღლე შემწევს, რომ არ გადაგეხიდო მხრჩოლავ მუგუზალსავით შენი სულის წიაღს.

ეჰ, რას ვბოდავ, განა ვიცი?!

ჩემო მეგობარო, ჩემო ერთადერთო მეგობარო, მე შორს ვარ შენგან, იქნებ სწორედ ამიტომაც გამოვიჭერი ამ ჭაობში, რომ გაჩუმება აღარ შემეძლო და ხმამაღლა კი ამაზედ რა მალაპარაკებს...

დათიკო, ძვირფასო, ერთს გთხოვ, ნურც როდის, ნურც ერთ მწარე წუთს ნუ დამტოვებ შორს, მიგულებდე გატანჯულ მეგობრად ამდენ ნაშავდღევს.

⌑ ⌑ ⌑

შემოდგომის მზესავით და შემოდგომის ბუნებასავით ერთხელ კიდევ ანთება სანიკოს მკერდზე, მასზე სულის დასალევად, ტკბილად, გატაცებით... შემოდგომის სხივებივით ისე ჩაქრობა, რომ... სანიკოს ენანებოდეს დათიკო. სანიკოს ხელი-ხელს გაყრილი ჰქონდეს ლამზირასათვის, – 17 წლის ლამზირასათვის, იცინოს და ეს ორი ადამიანი ცრემლიანი თვალებით ფიქრობდნენ... რა კარგი იყო, ახ, რა კარგი იყო ამ ჩვენი მეგობრის შემოდგომის უკანასკნელი ანთება... გამონათება...

შენი დათიკო

ფიქრები
ჩანაწერები
დღიურები

Прозст. всех стр., Соединяйтесь!

Императорское Кавказское

УОНО

ვაზეთის ფასის ვაზეთების

ვაზეთ. ეხსრეთების

№ ..... „ „ 192 г.

„Посылка!

ეროვნულ ეს ბუნებრივი ადამიანებიდან

ფიზიკურ, ესეც ასეა, ეს ასეა, ასევე ბევრი, ასევე ... ეს

ეს ... ...

ეროვნული, ეროვნულ ეს ... ...

... ...

... ...

... ...

„ფიქრები სანიკოზე“

¤ ¤ ¤

მე იმდენად დავიღალე, რომ დავკარგე მარტოობის შიშის გრძნობა...

მე აღარ მეშინია მარტოობისა... და მე ამისთვის გადმოვზღვავდი ამ სიშორეთა.

¤ ¤ ¤

ჩემი ცხოვრების სევადი კვალი მუდამ ცრემლები იყო ერთხანად, მაგრამ მალე ისევ ცრემლებით დამათრთვე... უკვე მარადიული ტიალი ღამე სევდას სთოვდა. ჯეჯილზე... მწუხარებას ბარდნიდა.

¤ ¤ ¤

შენი სიტყვებიდან სჩანს, სანიკო, რომ შენს ცხოვრებაში მე ეკალს წარმოვადგენ და ეკალს, რომელიც ვარდის ღეროზეა ამოსული! კარგია... დაე, აგრე იყოს, მაგრამ, აბა, ვარდს მოაცილე ეკალი – ვარდი გახმება. ვარდის გაშლისათვის ეკლის არსებობაც საჭირო ყოფილა.

მიშორებ ამ ეკალს, მაგრამ, ვაითუ, შენც გაგიჭირდეს!

¤ ¤ ¤

ვის გაუგია, რომ გაზაფხული და შემოდგომა, განთიადი და მწუხრი დამეგობრებულიყვნენ.

არა, ვის?! – მე გამიგია... მე და სანიკოს სიყვარულია ამის დასტური. მწიფე ოქროსფრად კრთიან სანიკოს ბაგეზე... მე დარწმუნებული ვარ, რომ სანიკოს ასეთი სიცილი ბოლომდე შერჩება.

¤ ¤ ¤

არ შეიძლება იცნობდე სანიკოსთანა ადამიანს და არ გაგეფანტოს ნაღველი. იცინის სანიკო და გაზაფხულს აფრქვევს. გაზაფხული. აღარა მჯერა, რომ ოდესმე დარდიანი ვიყავი, არც ის მჯერა, რომ ახლა ვინმე იყოს უბედური...

¤ ¤ ¤

დღეს ყველა ჩემზე ბედნიერია... ის უსინათლოც კი ბედნიერია. მან არ იცის, რა არის სინათლე და ამიტომ, ასე მძაფრად არ ეძლევა წუხილს.

¤ ¤ ¤

მე ვიცოდი, რა იყო ტრფობის სხივიერება და დამეხშო მე იგი.

¤ ¤ ¤

ჩუმად იშლება მოგონებათა ნაზი ყვავილები...

¤ ¤ ¤

ისე დამყვავებელი იყო სანიკოს ალერსი, როგორც – გაზაფხულის პირველი სუნთქვა, როგორც – ახლად ამწვანებულ მდელოთა პირველი ბიბინი.

¤ ¤ ¤

მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ციცინოს (იგივე სანიკოს) სახით შემხვდა იბსენის გმირი ქალი... მან მომთხოვა დანაპირები და მე მეშინია, რომ სოლნესივით... ასაპყრით არ გავეხმაურო.

¤ ¤ ¤

უმშვენიერესო ადამიანო, დიდი გრძნობებით ..... ხალასო პოეტო, სანიკო!

ჩემს სახლში იკინძება ძვირფასი წიგნი, რომელსაც სანიკოს წერილები ჰქვია... მაღელვებს და მაფრთოვანეს გრძნობა, აზრი, სტილი... სიტყვა ფერადი, დახვეწილი... ვამაყობ, რომ ჩემს მეგობარს, პოლონელთა ნაშიერს, ასე ემარჯვება გამოთქმები – მაშინ, როცა...

სანიკო! ჩავიხედე როლანის დრამაში „სიყვარული და სიკვდილი“ წინასიტყვაობაში: „Я умираю сраженный, Я победил“ – ასე მთავრდება; მეც ვიმეორებ, თუმცა სიკვდილს არ ვაპირებ იმიტომ, რომ ჩრდილოეთიდან, პოლონეთის ბუნდოვან ტყეებიდან, გამოჭრილის პირმშო არის სადღაც კახეთში, ტლუდ დარჩენილი.

¤ ¤ ¤

არ ვიცი, რადა და, სანი, მე მჯერა, რომ შენ ბედნიერი არ იქნები. მე ქვეყნად სანიკოზე უძვირფასესი ადამიანი სხვა არ მეგულება და, მაინც, არ მინდა, რომ სხვასთან ის ბედნიერი იყოს. ამას ამბობს კაცი, რომელიც დღესაც, როგორც ყოველთვის, გატაცებით ოცნებობს მასზე... მე ვეცდები დავწერო ისეთი წიგნი, რომელიც კახეთის სეტყვასავით შეიჭრება სანიკოსა და მის ცხოვრებაში და მორეგვავს მისი სიხარულის ყვავილებს...

ფსიქოლოგებო, ამიხსენით, რა არის ეს?!

სიმძულვარე?

ბოროტება?

არა და არა...

ეს სიყვარულია!

¤ ¤ ¤

უდროო დროს მიმატოვა სანიკომ, მაინც მინდა ქვეყანას მოვუყვე ბევრი რამ... ბევრი ლამაზი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან... მე დავწერ ლეგენდებს... მარადიული სიყვარულისას, მიუხედავად იმისა, რომ სანიკო ირწმუნება, მარადიული არა არის რაო.

¤ ¤ ¤

სანიკომ სული გამინადგურა... ყველაფერი მიანგრ-მოანგრია...

მაგრამ, მაინც ვერ გამინადგურა ოცნება სანიკოზე...

¤ ¤ ¤

სანიკომ ორჯერ დამინგრია ოჯახი. მიმიზღვლია ოცნების კოშკი, მაინც ზეიმობს...

¤ ¤ ¤

რა გაამაყებს, მეგობარო, ამნაირი გაპარტახება ადამიანის სულისა... საქმე გაბედნიერებაა... ოცნების მდელოს აყვავილებაა...

ეს იშვიათად თუ შეუძლია ვისმეს და სწორედ, უნდა გამოგედვა თავი, თორემ დანგრევა ყველას შეუძლია.

ტორეადორი

დათამ შეიტყო, რომ სანიკო ქობულეთში იყო... მან ნებისყოფის თოკებით ბევრჯერ დაიბა თავი ოდისეისათვის, მაგრამ მაინც აიწყვიტა და გაჩნდა ქობულეთში...

მთვარიანი ღამე იყო.

სანიკო მიჯნურთან კურზალში ვახშმობდა.

დათამ მოშორებით დაიკავა მაგიდა... მაგარი სასმელები მოატანინა...

ორკესტრი სიმღერაში ახმატკბილებდა.

დათას კი მოუხდა მწუხარების დაღვრა.

რა შეუკვეთოს?.. რომელი სიმღერა დააკვრევინოს?

არ არსებობს არცერთი სიმღერა, რომელიც შესძლებს მის მწუხარების გამოთქმას...

უცბად ცნობიერების ხვეულში აისახა საღამო ოპერის თეატრში გატარებული. კარმენი მიდიოდა... მურატოვა ასრულებდა კარმენის როლს...

ის საღამო მწუხარების თარიღად იქცა...

მაშინ უკვე გაბზარული იყო სანიკოს გული.

დათას გული კი – საკმაოდ დაღლილი.

მაშინ ჩამოართვა სანიკოს პირობა, რომ, თუნდა გათხოვდეს, არასდროს, არასდროს არ წაჰყვება ახალ მიჯნურს „კარმენზე“... რომ ის მარტოკა მოისმენს ხოლმე მას...

სანიკო, მართლაც, გაუფრთხილდა. დათამ არ იცის, ასრულებს თუ არა სანიკო პირობას... ის კი იცის, რომ მას კარმენიდან განსაკუთრებით მოსწონს ტორეადორის არია...

დათამ 30 მანეთი გადასცა დირიჟორს და სთხოვა, მონდომებით დაეკრათ.

აწკრიალდა ჰანგები...

სანიკომ ყური სცქვიტა...

მეგონა, მე გავახსენდებოდი...

მას კი ბედნიერებით უთამაშებდა თვალები...

უფრო ალერსით, უფრო მგზნებარედ შეჰფოფინდე თავის რაინდს.

მე ცეცხლი მომეკიდა.

ბოთლი ბოთლს შევანარცხე.

გაისმა წკრიალი...

ვიღაცამ პროტესტი განაცხადა.

სანიკომ ვგონებ, თვალი მომკრა და გაიცრიცა. მისი რაინდი მაინც ვერაფერს მიხვდა.

¤ ¤ ¤

დიდი გული შორეულსაც კი მოსიყვარულედ ეკიდება. სანიკოს დიდ მაღალ სათუთ გულში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მე მახლობელსაც რომ ველარ მამჩნევს, ეს მიკვირს.

¤ ¤ ¤

როდესაც უკანასკნელად დაიხუჭება ჩემი თვალები. სანიკომ რომ ერთხელ მაინც ასწიოს ჩემი ქუთუთოები, დაინახავს, თუ სიცოცხლის მიწურულშიც კი ვისზე ვფიქრობდი, ვისა ვხედავდი... რომ ჩემ თვალში აღბეჭდილი იქნება სანიკოს სახე და, თუ მაშინ მაინც გამოიმეტა სანიკომ ჩემთვის კოცნა... იგი მექნება სამარის მარადიულ სიწყვდიადეში ჩირაღდნად ანთებული... ის გამიფრთხობს სამარის ჭიებს...

¤ ¤ ¤

სანიკო... სიცოცხლევ... მინდოდა, შენზე დიდი, დიდი რომანი დამეწერა... მე ცალკე თავები კიდევაც მაქვს ფრაგმენტებად დალაგებული, მაგრამ ცხოვრებაში მალე შემომაღამდა. საცაა ჩაიწვება ჩემი ცხოვრების პატრუქი.

¤ ¤ ¤

მაგრამ, საიდან დავიწყო... საიდან?!..

იქიდან, როდესაც ბროწეულის ტოტებსავით აყვავდა ჩემი გული, როდესაც შენ თანაგრძნობით შემომხედე, თუ იქიდან, როდესაც...

¤ ¤ ¤

შემოდგომაა ჩემს ცხოვრებაშიც. ღრმა შემოდგომა. ვიცი, მალე მოვკვდები. შემოდგომის ზუზუნი იქნება ჩემი პროლოგი. მე არა მინდა რა არავისგან, მხოლოდ იყოს ერთადერთი გვირგვინი შემოდგომის ყვითელი ფოთლებისგან სანიკოს ხელით დაწნული.

¤ ¤ ¤

მიყვარდა... ბევრიც მიყვარდა. მიყვარდა იმიტომ, რომ უსიყვარულოდ არ შემეძლო. ჩემი გული შენ დაგეძებდა.

¤ ¤ ¤

მინდა მწუხრისაკენ დაქანებული მზესავით დაჩოქება სანიკოს მუხლებთან და ლოცვა სანიკოზე. ერთხელ კიდევ ანთება სანიკოს მკერდზე მასზე სულის დასალევად.

შემოდგომის სხივებით ისე ჩაქრობა, რომ მას ენანებოდეს დათიკო!

სანიკოს ხელიხელ ჰქონდეს ლამზირასთვის (17 წლის ლამზირასთვის), იცინოს და ეს ორი ადამიანი ცრემლიანი თვალებით ჰფიქრობდნენ – რა კარგი იყო, ახ, რა კარგი იყო ჩვენი მეგობრის შემოდგომის უკანასკნელი ანთება, უკანასკნელი გამონათება.

21/IV-30 წ.

¤ ¤ ¤

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავის აღსანიშნავად მიტინგი იყო თელავში. სანიკო მოულოდნელად აიყვანეს აივანზე პრეზიდიუმში და შესთავაზეს სიტყვის თქმა... მას ჯერ საჯაროდ არ უთქვამს სიტყვა...

აღელდა... ღელვა შემოქმედების შესავალია... და

დაიწყო მან... ის აჯადოებს მსმენელს... სად არის მხატვარი? ცეცხლს აფრქვევს თვალებით და მეც მეძებს. მპოულობს და ნათელ სვეტს სტყორცნის ჩემსკენ. მისი თითოეული სიტყვა მოფრინავს... მოჟღურტულებს ჩიორებად. რა ბოროტია, რა ეგოისტია ხანდახან ადამიანი...

მე ხომ სადისტი ვარ, მაინც მინდა, რომ ყველა ეს სიტყვა-ჩიორები მხოლოდ და მხოლოდ ჩემთან მოჟრიკჟრიკდნენ, ჩემს გულში დაიბუდონ.

შესანიშნავი აკორდით დაამთავრა სიტყვა. ვერავინ ჰბედავს სიტყვის თქმას, თუმცა ბევრია ჩაწერილი.

მისი სიტყვის მუსიკაში ვიღა შეიტანს დისჰარმონიას...

¤ ¤ ¤

მასწავლებელთა კრება იყო კვალიფიკაციის ასამაღ-ლებლად და მოხსენებას ვაკეთებდი... იქ იყო სანიკოც. გაზაფხული იყო და ცა ალერსით გველამუნებოდა... მაგრამ მე არ ვიცი, სად თავდება ცა და სად იწყებოდა სანიკოს თვალები... სანიკოს თვალები ხომ კუნძულებია მარადი, დაუსრულებელი ცისა...

დავიწყე მოხსენება, მაგრამ მე დამავიწყდა, რომ დიდი და ჭრელი აუდიტორია მისმენდა... მავიწყდებოდა, რომ მე ამ აუდიტორიისთვის მდაბიო ენით მელაპარაკა...

ამ დროს მე მხოლოდ სანიკოზეღა ვფიქრობდი...

ჩემს მოხსენებას მის ცოდნას ვუფარდებდი...

ეს მოხსენება მხოლოდ მისთვის იყო...

ეს იყო მოხსენება პოემა, მუსიკა...

ამას სანიკოს მწვერვალებისკენ მოვუწოდებდი...

სანიკოც გრძნობდა...

¤ ¤ ¤

სანიკოს თმა მოოქროვილია... თითქოს მან შეაფრქვია ყველა ის სხივები, რომელიც განთიადმა განიავებულ მზესავით გადმოშალა.

¤ ¤ ¤

ვიღაცას უთქვამ სანიკოზე:

– წავიდა ის გურჯაანიდან და თან წაიღო სიცოცხლე და სიგიჟმაჟეო.

¤ ¤ ¤

დაიმსხვრა დრო. ცალ-ცალკე მძიმე წუთებად დაშალა ის 7 საათი, როდესაც სანიკოს ველოდი.

¤ ¤ ¤

გულში ვიგრძენი რაღაც ნათელი, მაგრამ ნაღვლიანი სიხარული. მას მივყევარ აწყურისაკენ. ჩემი ფიქრები სანიკოსაკენ მიაფრიალებენ იალქანს. ნუთუ... ნუთუ... სანიკო მიყვარს... მაგრამ მევე მეშინია ამ სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმისა... სალამი, სალამი ახალ ცხოვრებას, მძიმე, მაგრამ ლამაზ ტანჯვას!

¤ ¤ ¤

მესმის, როგორ ჰკოცნის მზის სხივი სანიკოს, როგორ ეალერსება მთის ნიავი, როგორ უთამაშებს თავთუხისფერ თმის კულულებს... ღიზიანობა მიპყრობს, ლამის შევუტიო, როგორ უბედავენ სანიკოს ტრფიალს!

¤ ¤ ¤

სანიკოს სიტყვა პირველ მაისობაზე ისე შრიალებდა, როგორც მოღაღანე, ტანაყრილი თავთავები... როგორც

ბაჯაღლო მინდვრები. შენი თვალები აენთო ელვარებით.

¤ ¤ ¤

სიცოცხლე ღირს 4 საგნისათვის:

ერთია პოეზია, მეორე ბრძოლა, მესამე სიყვარული, მეოთხე მეგობრობა.

მე იმითი ვარ ბედნიერი, რომ ეს ოთხივე სანიკოში ვიპოვნე.

¤ ¤ ¤

მე მივაგენი დრუიდების ღვთებრივ მცენარე ომელას, მის ფოთლებზე დავწერე ჩემი ხვაშიადი და გავუგზავნე სიყვარულის უსტარი სანიკოს.

¤ ¤ ¤

პირველად, როცა სანიკოს თვალი მოვკარი, მე მწუხარებით ამოვიკვნესე. მე ვთქვი, მე ვერ ვეღირსები სანიკოს ტრფიალს... მე უბედური ვარ. კვლავ მოვკარი თვალი... მან შემამჩნია და მგზნებარედ, ახალგაზრდულად, უხვად მომაფრქვია ოქროს ჟინჟილები.

¤ ¤ ¤

მშვიდობით, მარტოობის ქიმერებო! მეყო ნაღვ-ლიანობა... სანიკოს სიცილი თქვენ აღარ გაბოგინებთ.

¤ ¤ ¤

მომწონდა ჰამსუნის „პანი“, ჩემს შორეულ უხილავ მეგობარს, რომლის მოსვლას ლოენგრინივით ველოდი... ვუნახავდი ამ წიგნს... მე მას ვუპირებდი „სამი რკინის ღამის“ წაკითხვას... მოფრინდა სანიკო... გადავშალე

ჰამსუნგი... სისხლგამშრალი მეჩვენება მისი სიტყვები...

მე თვით ვისწავლე უკეთესი ლაპარაკი...

¤ ¤ ¤

სანიკო, მე მავიწყდება, რომ ვცხოვრობდით პატარა, ნესტიან, მოჯურღმულებულ ოთახში... თავს ვგრძნობდით უღრან, ღვთაებრივ ტყეებში.

¤ ¤ ¤

ჩემს თავს აღთქმა მივეცი, რომ დავიჭერდი თავს ხელში და სანიკოს არ დავუწყებდი ტრფიალს, მაგრამ გულის წიაღში ვიღაცა იღიმებოდა და მარწმუნებდა, რომ ეს აღთქმა უქმი სიტყვაა... რომ მე მას უმალვე დავარღვევდი.

¤ ¤ ¤

ამომავალი მზის პირველი ელვარე ზოდები დაიმსხვრა დილის ნიავისაგან, ნიავისაგან მტვრად იქცა და ჩაეფრქვა ს-კოს თვალებში... გადაეფრქვა ლოყებზე, თმებზე... და ააელვარა იგი...

¤ ¤ ¤

სანიკო მაინც მუსიკასავით წკრიალებს, მაგრამ მწუხარე მუსიკასავით.

¤ ¤ ¤

მიყვარდა ნიავის სისინი, სიოს ქროლა, სერების სიკეკლუცე, საქართველოს ლაჟვარდის სიკამკამე და ეს სიტყვები დღეს უფრო შემიყვარდა, რადგან ჩემი მეგობრის, სანიკოს, სახელი ამ სიტყვების პირველი ასოთი იქყება.

¤ ¤ ¤

ვის გაუგია გაზაფხული შემოდგომას დამეგობრებულიყო. განთიადსა და მწუხრს ერთმანეთისთვის მუნასიბი, ლექსები ეთხზათ. არავისო. მე გამიგია, მე და სანიკოს სიყვარულია ამის დასტური.

მწიფე სიცილის ბუდეშურები ოქროსფრად ჰკრთიან სანიკოს ბაგეზე და მე დარწმუნებული ვარ, რომ სანიკოს ასეთი სიცილი ბოლომდის შერჩება.

¤ ¤ ¤

ჩემი სულის ნანგრევებზე ელვარე პართენონის ნამსხვრევებივით მხიბლავი წარწერაა:

სანიკოს ვუყვარდი.

¤ ¤ ¤

სანიკო რომ გამოჩნდა, ნისლები სადღაც ხევხუვში გადაიქანდნენ. მის შესახვედრად ყვავილებმა კარნავალი გამართეს.

¤ ¤ ¤

ჯავრი მომდის, რატომ სანიკოს მინდიასავით თავს არ უკრავენ, სალამს არ აძლევებ, ვაშას ძახილით არ ხვდებიან მცენარეები, ყვავილები.

¤ ¤ ¤

ს-კო! შენ კოლუმბი ხარ ჩემი ტრფობის კუნძულისა.

¤ ¤ ¤

ჩემი ცხოვრების უდაბნოს გაუთენებელ ღამეს ცეცხლი წაეკიდა. გადაიბუგა ღამე და მისი ფერფლიდან ამოფრინდა დილის ფასკუნჯი – სანიკო.

¤ ¤ ¤

გვიან ამოფრიალდა სიყვარულის დროშები ჩემი ცხოვრების ნავრუზობაში... მაგრამ, განა ეს ჩემი ბრალია?!.. მე რა დამნაშავე ვარ, რომ სანიკო მაშინ შემხვდა, როცა ჩემი სიყვარულის ეპილოგი უნდა იწერებოდეს.

¤ ¤ ¤

ვინა სთქვა, ღამეები მხოლოდ გაზაფხულისას იცისო... აი, ახლა ზამთრის ცივი და გრძელი ღამეებია, მაგრამ ამაზე ნაზი, ალერსიანი და დამყვავებელი ღამე არც ერთი გაზაფხულისა არ მახსოვს. ღამე ყოველთვის კარგია, თუ ჩვენს გულში გაზაფხულია.

¤ ¤ ¤

თოვლი და ლაფი ხილფაფასავით აზელილა... მივალ ქუჩა-ქუჩა და სანიკოს ყრმობის ონავრობა მაგონდება... თურმე, როცა ვინმე დენდი გაუვლიდათ, ისინი ტლა-პოში ფეხს ჩაჰკრავდნენ და... ჭყაპ-ჭყაპ! ვიგონებ მე ამას... რა არის ესა?.. რა თქმა უნდა, თავხედობა. ეს შეუწყნარებელია... მაგრამ იგი სანიკოს ჩადენილია და მომწონს. მე სიამოვნებას მგვრის მისი გიჟი ოცნება... მე ეს ხულიგნობა ლამაზადაც კი მიმაჩნია.

¤ ¤ ¤

ქუჩებში ვხვდები ნაღვლიან, მოღუშულ, გაგოროზებულ ხალხს. მე უსიტყვოდ, თვალების კვესებით ვეუბნები: მეგობრებო, თქვენ უეჭველად შეგიძლიათ გარდაიქმნეთ, თუ ჩემსავით იქნებით გაბედული, თუ შეიყვარებთ... ბევრ თქვენგანს ოჯახი ახრჩობს, დიდი დრამა აქვს, მაგრამ მშიშრები ხართ, გეშინიათ დამსხვრევა მისი,

რაც ფუძემომპალია, მომბაძეთ, დათრგუნეთ ტრადიცია, ფილისტერული ზნეობა და თქვენ გარდაიქმნებით... რას დაეძებთ მას, თუ ვინ რას იტყვის... მეშჩანინი ძაღლის ყბაა, იმას რა მოღლის, პირში კაპს ვინ ამოსდებს?!

¤ ¤ ¤

სანიკო ისე მიკითხავდა ჩემ ნაწერებს, რომ მე ხელახლა ვღებულობ მათ... ამ ჩემს ნაწერებში ჰხედავს რაღაცა ახალს, მაღალს, ბრწყინვალეს... წინათ ეს არ შემიმჩნევია... რაღაცა მოხდა, რაღაცა მოემატა ჩემს წერილებს.

¤ ¤ ¤

მინდიას გასამართლება მოვაწყვეთ. ყველა მეშჩანინმა გაამართლა, მხოლოდ სანიკომ აიღო სიტყვა ბრალის დასადებად...

¤ ¤ ¤

ყველას აქვს თავისი ილიადა. ჩემი ილიადა სანიკოს გულის მოტაცებაა, სანიკოსთვის მეშჩანთა ბანდების განადგურებაა.

¤ ¤ ¤

ნორჩი ალვის ხე, მოხდენილად ტანაყრილი, მაგრამ ნაღვლიანი შრიალებდა და მე რაღაცა ნათესაობას ვხედავდი ალვის ხესა და სანიკოს შორის.

¤ ¤ ¤

ბევრს ვერ გაუგია ჩვენი ტრფობა. უკვირთ: როგორ შეიძლება ასეთი პოლარულების, ასეთი კონტრასტების

შეყვარება. მეც შეიძლება ვერ გამიგია, მაგრამ განა ყოველთვის საჭიროა, გაგება თუ გიყვარს?

¤ ¤ ¤

ჩემი ფიქრები – ნათელი და ფაქიზი – შენსკენ მოისწრაფიან, როგორც ცაზე მზის სხივებით მოოქროვილი სპეტაკი ნისლის ქარავანები.

¤ ¤ ¤

სანიკოს ფილტვებს რენტგენის სხივებით აშუქებენ. ვხედავ მის ფილტვებს, მაგრამ მე ეს არ მიკვირს... მე რენტგენი არ დამჭირდება, სურათის გარეშე ვხედავ მის სულს.

ზღვა

ზღვა მოლაჟვარდე მარმარილოს რიყეს მიაგავდა. მის თვალებში, როგორც ზღვაში, აღბეჭდილიყო ლაჟვარდი ცის ციაგი.

სანიკო ბანაობდა... მას ბროლის ტანზე უციგლიგებდა ზღვის შხეფები.

მის ტანს ჰკოცნიდა უშველებელი გოლიათი ზღვა... ჰკოცნიდა ჭავლების უამრავი ბაგეებით.

მე მეგონა, რომ მარტო სანიკოსთვის სჩქეფდა ზღვა. მარტო სანიკოსთვის კვნესდა ბულბული.

¤ ¤ ¤

არასოდეს არ მყვარებია სარკეში ყურება. ახლა კი თავმომწონედ ვიყურები და ვამბობ:

– ყოჩაღ დათა, ყოჩაღ! ძალიან მალე და ადვილად მოინადირე სანიკოს გული...

მაგრამ უმალ სახე მეღუშება და მრისხანედ ვუყურებ ჩემ თავს, მე მას ვამხელ:

– გრცხვენოდეს, გრცხვენოდეს შე სულელო, შენა!

¤ ¤ ¤

ვინმეს რომ წინეთ ეკითხა სანიკოსთვის, შეგიძლია თუ არა იმ კაცის შეყვარება 42 წელით, თუ არა – იგი გალანძღავდა. ახლა კი უყოყმანოდ გამომყვა და ვინმემ გაკვირვება რომ გამოსთქვას, ამის გამო, იგი მაგრად შეანელებს...

მეგობარო, შენ ხომ არაფერს გიშლის ჩრდილი, ხომ არაფერში არ გირღვევს მოსვენებას...

მეც ჩრდილსათვის უხმოდ დაგდევ, ნუ მიწყენ!

¤ ¤ ¤

სანიკო

მე ელლინებს მივბაძე, როგორც მათ ტროელებს ფანდი მოუდეს, ისე მე ჩემი წიგნებით შევიპარე მისი გულის დასაპყრობად.

¤ ¤ ¤

ორ ნაღვლიან გედსავით, ორ მოქვითინე სიმღერასავით დავშორდით... მგონი, გასწყდა სიმღერა... სიმღერის დასაწყისი შენა ხარ, დასასრული მე... ცალ-ცალკე არც ერთს არ შეუძლია არსებობა.

¤ ¤ ¤

გამიგონია, მგზავრობაში დროს ვერ ამჩნევთ. მეც

ბევრჯერ დავრწმუნებულვარ ამაში... მაგრამ ახლა რა ხდება? მატარებელი სწრაფად მიჰქრის, მაგრამ დრო მძიმდება... საათის ენა ტაატით მიდის... და ასე ხდება მისთვის, ვინც მეგობარს დაშორებია...

¤ ¤ ¤

ერთხელ მან დამიწერა მაგიდაზე: ბ. დავით, მეც მინდა ვიქვითინო ფუკიდიდესავით... მე გადავხედე კლასს. ს. სულ სხვანაირად მიყურებდა.

¤ ¤ ¤

ვგონებ, არიან საუცხოო ფრინველები... ისინი ბუდეებს იფენენ იმ სათუთი, ნაზი ბუმბულით, რომელთაც თავისივე მკერდიდან იძრობენ ნისკარტით. მენატრება ვიყო ასეთი ფრინველი... მეც გამოვიბდღვნიდი მკერდიდან ბუმბულს და გავფენდი ს-კოს სარეცელზე.

¤ ¤ ¤

არის ლეგენდა იერიქონის ვარდის შესახებ. ის სრულიად სჭკნება, მაგრამ საკმარისია, ცის ნამი მიესხუროს, რომ კვლავ აყვავდეს. ასევე მემართება მე... სანიკოს დაშორება გულს მიუდაბნოებს მწუხარებით, მაგრამ, როგორც კი მომიფრინდება მისი წერილი, გარდავიქმნები ხოლმე.

¤ ¤ ¤

სანიკოს წერილების შემდეგ შავი და უსასოო ფიქრები ისე მშორდება, როგორც – შემოდგომაზე კაკალს წენგო.

¤ ¤ ¤

სანიკოსათვის დაიწყო ყაყაჩოსფერი განთიადი...

და მაინც, ხელს უწვდის კაცს, რომელიც გაცრეცილია ზამთრის მზის სხივივით, ბედნიერება ცის ნამივით სწრაფად ქრება... სანიკოსთვის ახლა ჩემი სურათი იგივეა, რაც ჰერბარიუმის გამხმარი ფოთლები... ეჰ, ამაოდ მეგონა, რომ ის პენელოპასავით ერთგულებას გამოიჩენდა... ახლა მე წარმოვადგენ დავიწყებულ საფლავს.

¤ ¤ ¤

ვუყურებ ზამბახებს და ვამბობ: ეს სანიკოს მკლავები გამრავლებულა, ეს სანიკოს თვალებია აქ დაფანტული, ეს ჩანჩქერი სანიკოს გრძნობის ფრქვევაა.

სადღაა იგი, სადა?! წეღან ისე ცელქობდა, კვნესოდა კიდეც. ახლა აღარაფერი. არის მხოლოდ მონისლული ფიქრები.

¤ ¤ ¤

ხანდახან მგონია, რომ ჩვენი ტრფობა სიზმარია, რომ ეს მხოლოდ გაზაფხულის ცისკრის მომხიბლავი სიზმარია და მალე გაჰქრება, ვით გაზაფხულის დილის ნამი.

ნეტავი, არ გამეღვიძოს!

¤ ¤ ¤

სანიკო, თუ მიწერია შენგან თავის დანებება, მირჩევნია შენს ფეხსაცმლად გადავიქცე, რომ სიარულის დროს მაინც დაგიფარო... შენი ცხოვრების გზა ვარდ-ყვავილებით უნდა მომეფინა, რაკი ვერ შევძელ, ის მაინც მოვახერხო, რომ დაუბრკოლებლივ იარო... ფეხები არ დაგიჩქვლიფოს ცხოვრების ოღრო-ჩოღრომ. შენში გრძნობათა უანგარიშო გამმაა, მაგრამ ის მყის დაიფრქვევა, თუ ზრუნვა მოაკლდა.

¤ ¤ ¤

მე ყოველთვის ვოცნებობდი, რომ აღმოვაჩენდი ახალ ქვეყანას, ქვეყნებს უფრო ლამაზს, უკეთესს, ვიდრე ის, რომელიც ჩვენ დილემობას გვიწევდა. ახლა შეუმცდარად ვიტყვი: ასეთი ქვეყანა უკვე აღმოვაჩინე. ის სანიკოს გულია... მისი ყაყაჩოვანი სულია...

¤ ¤ ¤

სანიკოს თვალებში უკვე კანკალებს სევდა ახალის ძიებისა... სევდა, რომელიც მას ახალი გაზაფხულისაკენ მოუწოდებს... მე რა გავაწყო?! ჩემს გრძნობებს მტრედისფერ ლეგენდებივით შევმოსავ და მას გავუფენ სპარსული ხალიჩების ნაცვლად.

¤ ¤ ¤

არ მინდა ნაღვლიანად ვწერო... მწერალმა სული უნდა გაალაღოს, მაგრამ რა ვქნა, რომ კალმის წვერიდან მაინც ცრემლები იღვენთება.

¤ ¤ ¤

მიტაცებს თოვლით დაბარდნილი ბაღის მდუმარება, მივდევ არ თეთრ ტყეს და ვფიქრობ სანიკოზე.

ისიც ამ ტყესავით სპეტაკია, წარმტაცი, მაგრამ... ცივი... მენატრება, ახლა შემხვდეს სანიკო... და, როცა ის ამ ხეებს ქვეშ გაივლის, შევარხევ დაბარდნილ ტოტებს და ფანტელებივით დაეფრქვევა თავზე თოვლი...

ეშვება მწუხრი... მე ვიკარგები ამ მწუხრში...

მეც ვეძლევი დავიწყებას ყველას მიერ.

¤ ¤ ¤

შენ იტანჯები, სანიკო, ღამეები არ გძინავს დარ-დისაგან. მე ეს უნდა მაწუხებდეს... მე კი მიხარია, რადგან ამ დროს შენ ჩემზე ალერსით ჰფიქრობ.

დოსტოევსკი ამბობდა: Достоин тяжелых мучений тот, кому должно было их испытать.

მე და შენ დიახაც რომ ამისი ღირსნი ვართ, რადგან ტანჯვა ვიტვირთეთ...

¤ ¤ ¤

სანიკოს სახის გამომეტყველებაზე იყო დამოკიდებული ჩემი მუშაობის თვისება. თუ ის ღიმილს მისაგზლებდა, მე უჩვეულო ენერგიით ვმუშაობდი, თუ არადა, ვიღვარსლებოდი, ნებისყოფა მეკვეთებოდა.

¤ ¤ ¤

ერთხელ კიდევ გავიხედე თელავისკენ, ჩემი მოქიშპენი უფრო კაცუნებად მეჩვენნენ... გულმა მწარედ შემომკვნესა, რომ მათ შორის ვტოვებდი სანიკოს.

¤ ¤ ¤

შენი სიცილის მარგალიტები იფქრქვევა, როგორც – ჩანჩქერის შხეფები...

¤ ¤ ¤

სანიკოსთან დამეგობრების ნეტარება და მასთან განშორების მწუხარება... ვგრძნობ, მოშავდღებდება ის დღე, რომ ასეთი მწუხარებაც კი აღარ მეღირსება.

¤ ¤ ¤

ერთი რამ მაინც ცხადია... შენ მაინც ვერ დაივიწყებ აბასთუმანში გატარებულ ღამეებს... და მათი მოგონება შენ აგავსებს სევდით... ეს წარმოსახვა ხელს შეგიშლის იმ სხვასთანაც დატკბობაში... მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ გაიგებს შენი მიჯნური. მას ყოველთვის ეგონება თავი გამარჯვებული.

¤ ¤ ¤

ამბობენ: მგოსნის ყვავილები ნაზ მელანქოლიურიაო, სანიკო ჰკრეფს მხოლოდ ლენცოფებს, გვირილებს. თითქოს ჩვენი საერთო ცხოვრების 8 წლის მანძილზე სხვა უბრალო, მაგრამ ნაზი ყვავილიც კი არ ამოსულიყოს.

¤ ¤ ¤

შენ ოდესღაც ოქროთი ჰფერავდი ჩემს იმ პაწაწა თვისებებსაც კი, რომელსაც მამჩნევდი, მაგრამ ახლა ისე გარდაიქმენი, რომ უკვე მდუღარე ფისით მიდუღავ იმ კარგ თვისებათა კვირტებსაც.

¤ ¤ ¤

ხანდახან მგონია, რომ ჩვენი ტრფობა სიზმარია... რომ ეს მხოლოდ გაზაფხულის ცისკრის მომხიბლავი სიზმარია და მალე გაჰქრება, ვით გაზაფხულის დილის ნამი.

ნეტა არ გამელვიძოს!

შევნატრი მათ, ვისაც საღათის ძილი იპყრობდა. ბედნიერი ვინმე უნდა ყოფილიყო საღათა. ნეტავი, შემხვედროდა სადმე. ეგებ, მას ესწავლებინა, თუ როგორ შეიძლება ხანგრძლივი, გამოურკვეველი ძილით დაძინება.

¤ ¤ ¤

სანიკო

პეპელასავითაა სანიკოს სიყვარული, დილით იბადება, საღამოთი კვდება.

¤ ¤ ¤

ბულბული გალობს. ის, ვინც მას უსმენს, არა კითხულობს, თუ მგოსანი რამდენი წლისაა.

ჰყვავის ვარდი, სურნელებას მიმოაკმევს, დარწმუნებულია, რომ თავის დანიშნულებას ასრულებს.

ჩანჩქერი მოსჩქეფს... არავინ ჰკილავს, დაეშვას ძირს, მდელოზე... მაგრამ მეშჩანთა ხროვა მეკითხება: რამდენი წლისა ხარო?

რისთვისდ? რა უფლებით?

¤ ¤ ¤

ზამთარია... მარადიული ზამთარი...

და

მე მაინც, ვგრძნობ გაზაფხულს.

მახარებს მისი ზეიმით მოსვლა, რადგან ქვეყნად არსებობს სანიკო...

რადგან მის ოთახში დგას ლარნაკით ყვავილები.

¤ ¤ ¤

ბევრი ცხოვრების ნადიმიდან მაშინ მიდის, როდესაც მოყირჭდება... როცა უაზროდ იღვრება სასმელი, როცა გამოცლილია უკანასკნელი ყანწები... როცა როშვას იწყებენ.

არც ერთ ნადიმზე მე ბოლომდე არ დავრჩენილვარ...

ცხოვრებიდან წავალ მაშინ, როცა ჯერ კიდევ ბევრი იქნება გამოსაცლელი.

¤ ¤ ¤

ვყიდულობ გიაცინტებს და ვრგავ ლარნაკში... მათი ნაზი, სათუთი ფურცლები სანიკოს ათრთოლებული, ცელქი კოცნები მგონია...

¤ ¤ ¤

როგორც ბიბლიური ნოე თავისი კიდობნიდან მტრედს გამოუშვებდა ხოლმე იმის შესატყობად, ჩადგა წარღვნა თუ არაო, ისე მე ჩემს ფიქრებს მივაფრენ სანიკოსკენ, რომ შევიტყო სიყვარულის ამბები.

¤ ¤ ¤

ნაკადის წკრიალი ისმის?

არა, ეს ნაკადი კი არაა... სანიკო დანავარდობს კორდებზე. ეს ტევრი კი არ შრიალებს, სანიკოს თმების მიმორხეული...

ეს შუქურვარსკვლავი კი არ ჩახჩახებს, სანიკოს სახეა ანთებული ახალგაზრდობით, სიყვარულით, სიხარულით.

¤ ¤ ¤

აი, ჩემს შენიშვნებში ვიპოვე ალექსანდრე ბლოკის სიტყვები: как трудно ходит среди людей и притворятся не погибщим.

¤ ¤ ¤

აღარ უყვ... აღარ უყვ... აღარ უყვ!.. მიკაწრავს გულს სევდა...

ს... ბაგეზე მარგალიტებია ასხმული.

გამქისებული გულის მოლბობა ძნელია და მე რამ უნდა მცეს ნუგეში, როცა სანიკო ასე გარდაიქმნება...

¤ ¤ ¤

სანიკოს უკვირს ჩემი შელონება.

არა გრცხვენიაო... ვაჟკაცურად რატომ არ შეხვდი ამ ჩვენს განშორებასაო. მგოსანი დავით გურამიშვილი კიტრის დაკარგვის გამოც კი მწარე ცრემლებით ტიროდა და რა უნდა მეძრახებოდეს, რომ ესაა, როცა ველურად მანადგურებდა სულის სახიზარი.

¤ ¤ ¤

ზღვას გარდაქმნის დიდი უნარი აქვს... მხოლოდ ზღვას შეუძლია იშვიათად გადაიხალისოს ადამიანი... დაუშუშოს წყლულები, ხრიოკი გული ედემად აუყვავილოს.

მართლაც, ასე მოექცა ზღვა სანიკოს... მაგრამ არა ჩემს სასარგებლოდ. ზღვამ გაუქარვა ჩემზე უკანასკნელი სევდა და გაუშვა ის კვირტები, რომელსაც ჰქვია ახალი სიყვარული და სიხარული.

¤ ¤ ¤

1935 წ. 15/XII

დღეს 9 დეკემბერია...

8 წლის წინეთ სანიკომ ამ დღეს თავისი ცხოვრების ბილიკები ჩემსას შეუერთა...

წლევანდელ წელმა გული მიფლითა ისე, როგორც ბევრჯერ დაუფლეთია...

სხვა დროს ამ დღეს რაც არ უნდა მომხდარიყო, სანიკოსთან დავიბადებოდი...

თავდება ეს წელიწადი მწუხრში.

საუკუნეების ზღვაში ეს წელიწადიც შავი გედივით მისცურავს!

¤ ¤ ¤

მე ყოველთვის ვცდილობდი, თავს მაინც გადამხდენოდა ის, რაც გარდაუვალი იყო...

ახლა მიკვირს, რატომ არ ვურიგდები ჩემს ტიალ ბედს, სანიკოს რას ავტორღიალებულვარ, როცა ვიცი, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, მაინც გაინთავისუფლებს თავს.

¤ ¤ ¤

სანიკო, განა მე და შენ არ ვიყავით აბასთუმნის მთებზე... ვხედავდით... ასეთი სურათები ადამიანს არასოდეს ავიწყდება.

¤ ¤ ¤

მე იმ ერთ დღეში დავბერდი.

¤ ¤ ¤

სანიკო... გიამბობ ეპიზოდს: ერთ ქალ-ვაჟს ერთმანეთი არ ჰყვარებია. მშობლებმა თავიანთი სურვილისამებრ ერთმანეთის შერთვა გადაწყვიტეს. მათ შემდეგ შეიყვარეს ერთმანეთი. ვაჟი ომში წავიდა, ორივე ფეხი დაკარგა. ქალს მაინც თავი არ დაუნებებია. უყვარდათ ერთმანეთი.

¤ ¤ ¤

ჩემი ტრფობის რომანი ჩასძირა შორეული წლების ბობოქარმა ზვირთებმა და მას ველარ გადამირჩენენ თვით ავიაციის ამაყი შევარდნები.

¤ ¤ ¤

არა, ასე სჯობია...

აწყური

კონფერენციაა. მასწავლებლებს კალმისტრები მოუმარჯვებიათ და მე მისმენენ. ჩემს თავში მწყობრად ჩალაგებულა ფიქრები: ლაბორატორიული მეთოდი...

¤ ¤ ¤

რა მემართება?..

ეს სიტყვები იცვლება ჰამსუნგის სიტყვებით:

მავიწყდება ჩემი გეგმა ლაბორატორიულ მეთოდზე...

მხოლოდ ჰამსუნის გმირის, გლანის, ენით მინდა ვილაპარაკო...

რა ამბავია!..

რად მემართება ასე...

რად მავიწყდება?

თვალები რად ჩერდებიან ახალგაზრდა ქალზე, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ჩემი მოწაფე იყო, დღეს კი მასწავლებელია... ამხანაგი კრემენსკაია.

¤ ¤ ¤

და მე მინდა ხშირად შევლა იმ უხეირო სოფელში, აწყურში, რადგან იქა სცხოვრობდა სანიკო.

¤ ¤ ¤

მზის ოქროს ზოდები ეშვებოდა ზღვაში. სანიკო უყურებდა მათ და თავის გულშიც სძირავდა ოცნებათა ხომალდებს.

¤ ¤ ¤

ჩავიყურები სანიკოს თვალებში... ვადარებ მათ ზღვას და ვრწმუნდები, რომ სანიკოს თვალები უფრო ღრმაა, უფრო წარმტაცი, დიდი ბედნიერებისა და უბედურების მქადნელი.

¤ ¤ ¤

დილა იყო და ჩვენ თავს დაგვთამაშებდა ტოროლა... სანიკოც ჭიკჭიკებდა, ჟღურტულებდა. უკვე ძნელი გასარჩევი იყო, რომელი იყო ტოროლას ხმა და რომელი – სანიკოსი...

¤ ¤ ¤

სანიკოს აღქმის იშვიათი უნარი აქვს. ის უხვად აღიქვამს ისე, როგორც ნამით მოიფინება ხოლმე მდელოები.

¤ ¤ ¤

მეშჩანებს ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე შეხვდებით, იდეალისტებს კი ძებნა უნდა.

¤ ¤ ¤

მე ვეუბნებოდი სანიკოს

ქარიშხლიანი იქნება სიცოცხლე, ორწოხებიანი იქნება სავალი გზა – ის მაინც მომდევდა... სამშვიდობოს როცა გავედით, როცა გავივაკეთ, ის მაშინ დამშორდა.

¤ ¤ ¤

სანიკოს თითოეული სიტყვა მზად იყო, ისევე დამოუკიდებლად ამეტყველებულიყო და ცოცხლად, როგორც – თვით სანიკო...

¤ ¤ ¤

მე უყოყმანოდ ვემორჩილებოდი და მივდევდი იქით, საითაც მიმიწვევდა.

¤ ¤ ¤

მეგონა, სანიკოსთან უკანასკნელად გადავუშვი ღუზა, აღარ დაიძვრებოდა ამ ნავთსადგურიდან ხომალდი... სანიკო კი გზას მიჩვენებს და, მინდა თუ არა, მაინც უნდა ისევ გავშალო იალქნები... მაგრამ რა გავაწყო შეურაცხყოფილმან... მეც უკვე ვიწყებ პაიაცსავით ტირილს შემუსვრულ იდეალებზე.

¤ ¤ ¤

დადუმებულ პომპეის ამოთხრილ სახლში – სარეცლის ზევით მოთავსებულია წარწერა ელეგიურ დისტიხად დაწყობილი მორალური სენტენცია: „ავხორცი მზერა, მაცდური თვალები მოარიდე თავის... ჰგიებდეს შენს სახეზე კდემამოსილება“.

¤ ¤ ¤

სანიკოს პოლონეთი არ უნახავს, მაგრამ ის ატარებს პოლონეთის მინდვრების სურნელებას... ის არ იცნობს პოლონელებს, მაგრამ ყოველ მის ქცევაში ჟღერს იმ ქვეყნის მუსიკა, მათი ტემპერამენტი, მათი რიტმი...

სანიკოს ღიმილში, თვალთა ელვარებაში, მის ალერსში თუ მრისხანებაში ჩაქსოვილია პოლონელი გმირი ქალის რიტმი, სული, სწრაფვა, ხიბლი.

¤ ¤ ¤

მიძნელდება თქმა, რომელი უფრო ლამაზია თავისი

კაეშნიანი მარტოობით... ბიოკლინის „მიცვალებულთა კუნძული“, თუ ეს კორდი, სადაც სევდიანი იალქნებით აფრიალებული ვიმყოფებით მე და სანიკო...

¤ ¤ ¤

სანიკოს თვალები შორს გაიყურებიან...

საიდუმლოების ჭალებში რაღაცას ნაღვლიანად დაეძებს... დაწყვეტილი ზღაპრების გაგრძელებას ცდილობს...

¤ ¤ ¤

სანიკოს უყვარს ლეგენდები და ვუამბობ ლეგენდას ვარსა და შავაზე, რომელთაც ვარშავა დაუარსებიათ.

სანიკო პოლონელთა ნაშიერია, თუმცა ტემპერამენტის მეტი არა შერჩენია რა... არც ენა იცის, არც ისტორია... და იქნებ ამისთვის უფრო ჰხიბლავს პოლონეთის ისტორია. მხოლოდ ჩემთან ერთად მრისხანებს, რომ იქ სოციალისტურ რევოლუციამ ჯერ ვერ დაამხო კაპიტალიზმი...

¤ ¤ ¤

როდესაც სანიკო საზოგადოებაში ჩნდება, მყის მხიარულების ტალღა ჩქაფუნებს... სასიამოვნო ხმაური მყარდება... მე კი მისი შეხვედრისას გულის ყინულს ველარ მითბობს.

¤ ¤ ¤

სანიკო, პოლონელთა ნაზი, ლბილი სილამაზით დამშვენებულო სანიკო!

უმშვენიერესო ადამიანო, დიდი გრძნობების შადრევანო

ხალასო პოეტო სანიკო!

...ჩემს სახლში ინახება ძვირფასი წიგნი, რომელსაც სანიკოს წერილები ჰქვია: მაღელვებს და მაფრთოვანებს გრძნობა, აზრი, სტილი. სიტყვა ფერადი, დახვეწილი. ვამაყობ, რომ ჩემს მეგობარს, პოლონელთა ნაშიერს, ასე ემარჯვება გამოთქმები, მაშინ, როცა...

სანიკო! ჩავიხედე როლანის დრამაში „სიყვარული და სიკვდილი“ წინასიტყვაობაში: я умераю сраженный – я победил. ასე მთავრდება. მეც ვიმეორებ, თუმცა სიკვდილს არ ვაპირებ იმიტომ, რომ ჩრდილოეთიდან, პოლონეთის ბუნდოვან ტყეებიდან, გამოჭრილის პირმშო არის სადღაც კახეთში, ტლუდ დარჩენილი.

¤ ¤ ¤

მე მიყვარდა სანიკოსგან წარმოთქმული ჩემი სახელი... ვეტრფოდი ჩემს სახელს მის ბაგეზე აყვავებულს.

¤ ¤ ¤

ახლა კი, ახლა კი... მასთან შეხვედრისას ვიცინი, ვიცინი მხოლოდ იმისთვის, რომ ცრემლები არ ვაფრქვიო...

¤ ¤ ¤

ვფურცლავ სანიკოს და ჩემს წერილებს, რომლებიც მტრედებივით მოღუღუნებდნენ; წერილებს, რომლებიც გადარჩა, დანარჩენი სანიკომ მიფანტ-მოფანტა, როგორც უსარგებლო კაკლის ნაჭუჭები.

ამ წერილებში ორივეს იმდენი ნიჭი გამოგვიჩენია, რომ ერთმანეთისთვის რაც შეიძლება მხატვრული, ფერადი ეპიტეტით მიგვემართნა. რა არ მოგვსვლია აზრად:

„მონარგიზულო“, „გზნებავ“ „ხიბლო“, „ჩემი სულის ორნამენტო“, „მარადიულო გიაცინტო“,.. მე მას ვუწოდებდი „ზეცას“, „მაისს“, „დალის“...

თითქოს გვიგრძნია, რომ მალე, მალე გაცივდებოდი, ამოიწურებოდი...

ახლა ვხსნი შენს ახალს, ნაგვიანებ წერილებს და... რამდენი სიცივე, გულგრილობა მოქშუტუნებს იქიდან...

რამდენ ბზარს კი არა, ნაპრალებს მიჩენს სულში...

ყოველი წერილი იწყება უეპითეტოდ...

ზოგ წერილში ჩემი სახელიც კი არაა ნახსენები.

ახლა ალერსის ქრთილიც კი მენატრება.

ნეტა, რომელი იყო უფრო გულწრფელი, წინანდელი თუ ახლანდელი?!

¤ ¤ ¤

ზურმუხტოვანო სიზმარო სანიკო! ჩვენ ისე კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, რომ სრულიად საჭირო არ არის ურთიერთის ჯავრის გაზიარება. ჩვენ ისედაც კარგად ვიცნობთ ერთმანეთს.

¤ ¤ ¤

სანიკო,

შენ გაზაფხულის მზის სხივი ხარ, მე – შემოდგომის აკანკალება; ასე კონტრასტები რამ დაგვამეგობრა!

ყოველდღე თელავის ბურჯთა შორის ვხედავდი სანიკოს მეოცნებეს, ლაღადმავალს და ვიმეორებდი შოთას ნაფრქვევს: „მისსა მნახველსა სიხარული არღარა მოენატრების“.

¤ ¤ ¤

სანიკომ თელავის ბაღში ისე სწრაფად, ისე გაბედულად მოგლიჯა ძირიანად მიხაკი და მე მომირბენინა, რომ მებაღეც კი გაცბა და ვერა აწამა რა.

... იგი ისევე სისწრაფით მომიფრინდა, მოგლიჯა ჩემი გულიდან სიყვარული და წაიღო, წაიღო და მეც მივდევ მას...

მივდევ იმისთვისაც, რომ არ შეიძლება უსიყვარულოდ გაძლება.

¤ ¤ ¤

მწუხრისას ვისხედით ზღვის კიდეზე...

ისეთი ელეგიური იყო მზის ჩასვენება და ზღვის ტალღების ტლაშუნი, რომ ჩვენც დავნაღვლიანდით... თუმცა სულში სიამე გვიღვივდებოდა. სანიკომ შემომანათა თავისი თვალები და დეკლამაცია წარმოთქვა.

აბასთუმნის მთებში

მომხიბლავად კაშკაშებდა გაზაფხულის დილა, როგორც ავადმყოფობისგან განკურნებული სანიკო. უუ... ფიჭვ-ნაძვებს რა სიამაყით აუყრიათ ცათამდე ტოტები! ისინი ცოცხლობენ, არიან, რაღაცაზე ფიქრობენ... რაღაცას მღერიან... აკი მათი ენა არ ვიცოდით, ყველაფერი კარგად მესმის... აღარ მინდა, სხვა რამეზე ვიფიქრო, სხვა რამეს მოვუსმინო... მხოლოდ მათი ყურება მწყურია. სანიკოს ვეუბნები: – გესმის ნიავის ზღაპარი.

იგი ამბობს ახლა ლამაზ ზღაპარს... იტყვის მაშინაც, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით.

¤ ¤ ¤

მივქრი აბასთუმნისაკენ, მაგრამ მას უსწრებს ჩემი ფიქრები... როგორ შევხვდები სანიკოს!

¤ ¤ ¤

სანიკო მესალმება და მე მავიწყდება ჩემი წელთა დაზღვავება.

¤ ¤ ¤

სანიკოს ავადმყოფობისაგან შეღონებული მივმართავ წარმართ ღმერთებს:

– მშვენიერების ღმერთებო... თქვენ ხომ გიყვარდათ კეთილშობილება, კდემამოსილება, თქვენ ხომ გაფრთოვანებდათ ადამიანის სულის მომხიბლაობა?! თქვენს ალკესტას მოქმედებამ ისე მოგაჯადოვეს, რომ ის კვლავ დაუბრუნეთ ცხოვრებას. ასე მოიქეცით თქვენ იმიტომ, რომ ღირსეულად აფასებთ უანგარო, წრფელ ტრფობას, რომელიც მეტად იშვიათია... და ალკესტაც ხომ მისთვის დააბრუნეთ სიკვდილის შემდეგ ამქვეყნად, რომ არა გსურდათ, რომ ქვეყანა გაღარიბებულიყო მშვენიერებით!

კვლავ მიაპყარით თვალი ცხოვრებას, მაგრამ გაფრთხილებთ: მშვენიერებას ნუ დაუწყებთ ძებნას იქ, სადაც ბრწყინავენ მისთვის აღმართული თაღები და კვარცხლბეკები. გაისმის მშვენიერების სახოტბო ჰიმნები.

იცოდეთ, მოტყუვდებით! ეს მხოლოდ მოჩვენებაა...

ნამდვილი ტრფობა და მშვენიერება სულ სხვანაირად ბინადრობს და არა – მეშჩანთა შორის...

მე გასწავლით ერთ-ერთი მათგანის მისამართს: ქ. თელავი, იქა ცხოვრობს ქალი, რომლის ძარღვებში სჩქეფს ალკესტაზე უფრო უზადო სისხლი... ის ავად არის... მის მკერდში დაუსადგურებია შავ ქალბატონს, რომელიც

კოხის ჯოხებით უფლეთს და უშანთავს ფილტვებს..

მოჰმადლეთ მას ჯანმრთელობა!

¤ ¤ ¤

გესმის, მეგობარო, დიდი სიმფონია... ისმინე: როგორ წკრიალებს, რარიგად ჟღერს ქებათა-ქება სიცოცხლის, სიყვარულის, მეგობრობისა.

ეს სიმღერა დიდი ხანია დაგეძებდა... ის ნაზად წკრიალებდა, რომ არ ჩაკარგულიყო: სიოს სისინში, ტყის შრიალში, ნაკადის ჩქეფაში.

შენ კი მხოლოდ დღეს მიჰხვდი, დღეს შემოგესმა, დღეს გაარჩიე ეს ხმები.

¤ ¤ ¤

სანიკო ქალის ინსტიქტით ჰგრძნობდა, რომ დათიკო სულ სხვანაირად უყურებდა და იგი ისეთ შეგრძნებას ეძლეოდა, რომელიც მან წინეთ არ იცოდა.

¤ ¤ ¤

გამარჯვებათ, ხალხო, გამარჯვებათ, გაზაფხულო, სალამი, მზეო!.. მე მართალია 40 წლის ვარ, მაგრამ მე არა ვგრძნობ ამას, მე მიხარია, რადგან ქვეყნად არის სანიკო, რომელსაც ვუყვარვარ.

¤ ¤ ¤

როგორ შეიძლება სანიკო იყოს მოწყენილი, როდესაც მის არსებაში მღერის პაწაწა გაზაფხული, ფანცქალებს, ფართხალებს... უკვირს სანიკოს, რად იგვიანებს მისი ჩიტუნია, რომელიც დაუკაკუნებს კარებს, და გამოჟღურტულდება...

¤ ¤ ¤

მომენატრა, რომ ვმსხდარიყავით ოპერაში... გვესმინა „ლოენგრინი“...

და, როცა ლოენგრინი იტყვის: „აი ჩემი გედი“...

¤ ¤ ¤

როდესაც ვკითხულობდი ნოვალისის წითელ ყვავილს, ვოცნებობდი ნოვალისის ისეთ მტრედისფერ ქალზე, როგორიც სანიკოა...

¤ ¤ ¤

სანიკო მოზიდული მშვილდისარია.

ის ათვალიერებს ცხოვრების ლაჟვარდში მონავარდე წეროებს... ათვალიერებს, რომ მოზიდოს მშვილდი... მოსხლიტოს ისარი და გააფრინოს სანიშნოსაკენ... მე კი დამტოვოს მოქვითინე.

¤ ¤ ¤

სანიკოს თითების შეალერსება იყო უმანკო, როგორც – ბავშვის კოცნა.

¤ ¤ ¤

მე ოდესღაც სანიკო ასე დავახასიათე: სანიკო ციკლოტიმიური ტემპერამენტისაა. იგი ნაპრალებისა და ცვალებადობის ხასიათის ადამიანია. მას შემდეგ 10 წელმა განვლო. მე ახლა ვრწმუნდები, რომ იშვიათი დახასიათება მიმიცია.

¤ ¤ ¤

როდესაც სანიკოზე ფიქრით ვწვები, მგონია იგი თავით მიზის და მესმის ნანინა...

¤ ¤ ¤

ამბობენ და მეც დავრწმუნდი, რომ მიწისძვრას, მნათობთა დაბნელებას ცხოველები წინასწარ გრძნობენ... ამიტომაცაა, რომ ადამიანები ცდილობენ, ეს ცხოველები იყოლიონ... მათი შემწეობით შეიტყონ მოსალოდნელი განსაცდელი, მაგრამ არავინ იცის, როგორ შეიძლება ადამიანმა წინასწარ იგრძნოს ის ცვლილება, რომელიც ხდება მისი მეგობრის გულში... როგორ შევიტყო, რა არის მოსალოდნელი სანიკოს გულისაგან?

¤ ¤ ¤

ტრფობა ხან ამაყია, ხან კი სულაც არა აქვს თავმოყვარეობა. არ მინდოდა ამის მოყოლება, მაგრამ ვერ შევძელი...

ვიცი, ქიმერულია ეს სურვილები, სანიკო, რომელზედაც შემოგღაღადებენ ეს სტრიქონები, მაგრამ გთხოვ, წაკითხვის უმალ დაივიწყო, როგორც უსიამოვნო სიზმარი!

¤ ¤ ¤

შენა მწერ, ახალი მეგობარი მოძებნეო.

ამაოდ! ველარ ვიპოვნი ახალ მეგობრებს სწორედ ისევე, როგორც აღარ ამოვა ახალი კბილები.

¤ ¤ ¤

შენ შემიყვანე ოქროს ჭალებში და შენვე ჩამძირე სევდას – ვით... ვით გეინრიხის ზარი.

¤ ¤ ¤

მე ოდისეისავით მეშინოდა შენი სიმღერისა და აკი კიდევაც ამიცხადდა წინათგრძნობა.

¤ ¤ ¤

მივალ მინდორში... ღიღილოები ისევ ისე მეალერსებიან. კიდევ კარგია, რომ ესენიც სანიკოს არა ჰბაძავენ. ამათ მაინც არ ვეთაკილები.

¤ ¤ ¤

სანიკო, სანიკო!.. შენც დაბერდები. ზამთარი შენშიაც დაათოვს სიყვარულის ასტრებს... მოგენატრება ჩემსავით სითბო და... შეიძლება, აღარავინ გაგეხმაუროს.

¤ ¤ ¤

რა არის სანიკო? – ზღაპარი? არა ეს იმაზე მეტია, ვიდრე ზღაპარი, მაგრამ მტანჯავი ზღაპარი.

და, თუკი სანიკოს სიყვარულიც კი ჩაქრა, მართლაც და, არა ყოფილა სიყვარული ქვეყნად.

¤ ¤ ¤

ბავშვობიდანვე ზეპირად მქონდა დასწავლილი ლერმონტოვის „დემონი“, რომელშიაც განსაკუთრებით მომწონდა შემდეგი ტაეპები:

„Покажет образ совершенства
И вдруг отнимет навсегда
И дав предчувствия надежду,
Не даст мне счастья никогда“

მომწონდა ეს სტრიქონები, მაგრამ მაინც მიმავიწყდა და მხოლოდ ახლა, როცა მე მიმატოვა სანიკომ, როდესაც გადამტყორცნა მარტოობის ხაროში, მხოლოდ ახლა კვლავ გამახსენდა და... ასე მგონია, პირველად მოვისმინე-მეთქი. სულ სხვაგვარად განვიცადე იგი....

¤ ¤ ¤

ადამიანს სჩვევია უკიდურესობა... ის ან აზვიადებს, ან აკნინებს ამა თუ იმ პიროვნებას.

სანიკოსაც ასე ემართება.

¤ ¤ ¤

მე ოდესღაც ვ. ჰიუგოს ნაწერებში ხაზი გამისვამს შემდეგი სტრიქონებისთვის: Ничто так не похоже на пробуждение, как возвращение к старому... მიკვირს, რისთვის მომწონებია ეს აზრი?.. მე დღესაც არ მესმის ესა, თუმცა სანიკოსგან მიტოვებული იმ მდგომარეობაში ვარ, რომ უნდა მომწონდეს...

უნდა გზას მიკაფავდეს ელოსკენ...

¤ ¤ ¤

ჩიორებივით ფართხალებენ და აჟღრტულებენ შენ ბაგეებში ხმატკბილი სიტყვები... შენს ორაზროვან ღიმილში ისევე იყო რაღაც დამალული, როგორც სტრიქონებს შორის სიმართლე.

¤ ¤ ¤

წიგნში მხვდება გამხმარი ყვავილები, ძლივს მაგონ-დება...

ოდესაღაც ის ჩემთვის განუსაზღვრელი ნეტარების მომნიჭებელი იყო... მას სასოებით ვინახავდი, ველამუნები, მაგრამ აღარ მოაკმევს ნეტარების ჟრჟოლას.

ილიას თქმისა არ იყოს:

„ან შენ, გიჟმა, რა იცოდი,
რომ ის ვარდი, ადრე შენი
სიყვარულზე დაჭკნებოდა“.

¤ ¤ ¤

სანიკოს თვალები მრავალფეროვანი პოემაა, არაბეთის ზღაპარი!

¤ ¤ ¤

იყო დრო და მას შემდეგ არც თუ ისე დიდი ხანია, რაც მთელი საბჭოთა საზ-ბა, და მათ შორის მე და სანიკო, ფოკსტროტს ბურჟუაზიულ ცეკვად ვთვლიდით...

რამდენჯერ უთქვამს სანიკოს, ეს სისხლგამშრალი, გადაშენებული კლასის ცეკვაა. შემდეგ კი რატომღაც ის ჩვენშიც დაემყნო, უამრავი კურსები გაიხსნა.

გიჟდებიან მისით.

სანიკოც ცეკვავს და ცეკვავს.

¤ ¤ ¤

ვცხოვრობ ვაინაჩრობით... ლოკოკინასავით შეხიზ-ნული ჩემს ნიჟარაში.

¤ ¤ ¤

17/VII-36 წ.

კვლავ ვიწყებ დღიურებს, თუმცა სანიკოს მიერ ჩემი სიყვარულის უარყოფამ გამიბელითა სიხარული და წამართვა ხალისი წერისა...

მით უფრო ძნელია წერა დღიურებისა მაშინ, როცა არ ვიცი, გადარჩება ეს ჩემი ამონაკვნესი თუ არა. შარშან ცრემლების მინანქრებით მოოჭვილი დღიურების მთელი რვეული ქობულეთში დამეკარგა. წელს კიდევ – სანიკომ უგულისნებად შეჰხედა და წაკითხვაც კი არ უნდოდა: „რა აზრი აქვს წაკითხვას, იგივე ეწერება რაც შარშანაო“. გული მომეღვარსლა და დავიწყე დახევა... სანიკო უყურებდა,

როგორ იფხრიწებოდა ობოლი, უარყოფილი სიყვარულის მიერ აქვითინებული იერემია და ხელის განძრევა კი არა, ერთადერთი სიტყვითაც კი არ დამიშალა, შემეწყვიტა განადგურება, რაც სულიერ შვილს უდრის... და ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე მე და სანიკო ისევე აუღელვებლად უყურებდა ამას, როგორც... ის ვიღაცა რუხი – დრო სიმბოლო მეტერლინკისა ლურჯ ფრინველში რომ არის გამოყვანილი. რაც გიყვარს, ის მოგიღებს ბოლოს... ბოლოს მიღებს სანიკოს გოროზობა, გულცივობა... ბოლოს... მინადგურებს სულს ფიზიკურად და ერთხელაც კი არ ებადება იმისი აზრი, თუ რას ეტყვის ის თავის შვილს, როცა იგი უბედური მამის ამბავს შეეკითხება.

ყოველს გაზაფხულს სანიკოს სურათს ყვავილების ბუჩქში ვათავსებ, ახლა კი ცრემლების ტბაში ვაცურავებ და ზარნაშოს მწუხარებით მოვთქვამ, დავტირი ჩვენი სიყვარულის სამარეს!

¤ ¤ ¤

ვიღაცეებმა გაქურდეს ჩემო მეზობლის სკა... ამოიღეს თაფლი... საცოდავად ზუოდნენ ფუტკრები...

მეც გამძარცვა სანიკომ. წამართვა სიხარული, იმედები... დამიტოვა მხოლოდ ეკლები...

¤ ¤ ¤

სანიკომ პაემანი დამიდვა, სამი წლით გავთვისდეთო.

რომანტიკოსი მესამე წლის თავს მიადგა კარს...

მოესმა ბავშვების ჭყლოპინი.

ელდამ გადაჰკრა... მაინც შეიხედა... ერთი ბავშვი უკვე მუხლებზე ესვა და ძუძუს აწოვებდა.

დათამ...

მაგრამ რაღა საჭიროა... მისი დაღუპვის შესახებ სამგლოვიარო განცხადებაც კი არავის გაუშვია...

¤ ¤ ¤

წელიწადი და სამი თვე ვიცდი, ვიცდი, როდის დაბრუნდება სანიკო. სამი წელი დამიდვა პაემნად... სამი წელი.

ეჰ, განა ადამიანმა იცის, რამდენ ხანს იცოცხლებს... მიხედე ბუნებას.

განა ვარდი ბულბულს ასეთ პაემანს უნიშნავდა? განა იგი ეუბნება, სამი წლის შემდეგ მოგაფრქვევ სურნელებას?

განა ნიავი ხვალისთვის ინახავს თავის ამბორებს?

¤ ¤ ¤

სანიკოში მოკვდა ჩემდამი მეგობრობის გრძნობა... და მისი გული ისე პარპალებს, როგორც პატრუქი, რომელსაც ზეთი არა ჰყოფნის.

მეგობრობა ზეთია, რომელიც წვას ხელს უწყობს...

შეიძლება, ახალი ვარდყვავილობაც გამოიგონო, მაგრამ დამჭკნარ ყვავილს ვეღარ გააცოცხლებ.

¤ ¤ ¤

წელს იგივე წისქვილი დატრიალდა ჩემს თავზე, რაც შარშან... წელსაც დამანატრულა სანიკომ სიყვარულს. ორი თვის უნახავი დაბრუნდა რუსეთიდან და ერთ-ხელაც არ განმაცდევინა ის სიყვარული, რაც ოჯახს კეთილშობილების მჭიდით ადუღებს.

¤ ¤ ¤

სანიკოსთან 8 წელი ვიცხოვრე. დაუშრეტელი ჰქონ-

და ტრფიალება. და, აი, ახლა მე-9 წელს იგრძნო, რომ „უბედური“ ყოფილა ჩემს ხელში, რომ ხასიათები სხვადასხვა გვაქვს... გადასწყვიტა, თავი იხსნას ჩემგან... და იწყო შეთხზვა ოჯახური დრამისათვის სცენებისა... დიდი ჯადოქრობა გამოიჩინა და მაინც... მაინც, საკუთრივ დრამის ნაცვლად, კომედია გამოუვიდა.

¤ ¤ ¤

სანიკოსაგან წლითი წლობით მეცემოდა სიცივის, გულგრილობის ფიფქები... გროვდებოდა და ახლა ჩამომბარდნა... აგერ, აგერ... უკვე მთელმა ზვავმა მომიტანა ქვეშა და გამთიშა.

¤ ¤ ¤

მორჩა... ჩემი ცხოვრების ციკლი დასრულდა... ახლა მე დამრჩა ნუგეშად ერთადერთი რამ, ვიცხოვრო მოგონებებით... მხოლოდ მოგონებებით...

¤ ¤ ¤

მე მოვამზადე სანიკოსთვის სათქმელი, მაგრამ შევხვდი მას თუ არა, მყის ვიგრძენი ლაპარაკის შეუძლებლობა... სპაზმამ მომკვეთა.

¤ ¤ ¤

მძიმე დუმილი გაშხვართულა ჩვენს შორის. სანიკოს მაინც ვიწვევ სალაპარაკოდ... იგი მუდამ გრძნობათა მფრქვეველი... დღეს ჩემთვის გაღატაკებულია... სათქმელი აღარა აქვს რა... მხოლოდ ხანდახან ხათრისთვის მინობათებს სიტყვებს... შემთხვევით სიტყვებს... და მიცვალებულებს ჰგავს ეს სიტყვები... შიგ არაა ფიქრი, სული, სითბო...

¤ ¤ ¤

ესაა პირველი თავი ჩემი მწუხარების პირველი ტომისა.

სადღაა იმედები? ფანტასტიური, ბანჯვლიანი სინამდვილე დგას ჩემს წინაშე და მბნედავს მისი მყრალი სუნი.

¤ ¤ ¤

მიხვალ, სანიკო, და მე მეშინია, ახლა ყველა ნატვრა ჩამქრალია ჩემს გულში, მე მხოლოდ მეშინია, რომ შენ ლარნაკისავით არ დაიმსხვრე...

შენ გამოსამშვიდობებლად მიმღერე...

მე ცრემლებით დავალღობ და შევინახავ ამ უკანასკნელ სიმღერას...

¤ ¤ ¤

მე მაინც ვსვამ... ცისმარე დღე ვსვამ შენი ბედნიერების სადღეგრძელოს და... ჩემს შესანდობარს... სჯობია ჩემი თავი მე მაინც გავიხსენო, თორემ ვიცი, არავის მოვაგონდები...

¤ ¤ ¤

მე ნაღმებით ვაფეთქებ ჩემს სწრაფვას სანიკოსადმი... მთლად ავაფეთქე... დარჩა ნაცარი და იქ მაინც... მაინც ღვივის ნაკვერცხალი.

სანიკო, მოხვედი შენა და მოიტანე სევდა, სიყვარული, ქარიშხალი და შემოფრინდნენ ტაშის მტრედები... არა, არა – შემოჰკაშკაშდნენ ზარნაშოები, ზარნაშოები, ზარნაშოები...

¤ ¤ ¤

მეგობარო სანიკო, შენი მიჯნურები გაზაფხულს ზეიმობენ. მათი სულის წიაღში (თუკი აქვთ ამისი მსგავსება) მაისის პირველი ვარდები იფურჩქნება...

მე შემოდგომა მინისლავს ცხოვრების ჩაღმართიან ქედებს... მხოლოდ გაცრეცილი ასტრები...

მაგრამ...

მათი მაისის ვარდები ქაღალდის ყვავილებსა ჰგავს...

სუნმიღებული უხარისხო...

მათი ვარდები კარიკატურებია ჩემი მწუხრის ყვავილებისა.

¤ ¤ ¤

დანტე ამბობს: არ არის იმაზე დიდი ტანჯვა, როგორიც ის, რომ უბედურების ჟამს იგონებდე განვლილ ბედნიერების დღესაო...

მეც შენს სიყვარულს ვიგონებ, სანიკო.

¤ ¤ ¤

ეს იმდროინდელი ამბავია, როდესაც სანიკოს უყვარდა მხოლოდ: დედიკო, სიცილი და... კანფეტები.

¤ ¤ ¤

იყო დრო, როდესაც ჩემთვის გაზაფხულის მოახ-ლოვებაზე ფიქრი თითქმის ნაადრევ გაზაფხულს ამყარებდა ჩემს ცხოვრებაში...

¤ ¤ ¤

მაგიურად მესმოდა სანიკოს ძახილი: – დათა!.. რა მდიდარი და მომხიბლავი იყო მაშინ ჩემი აწმყოცა და მომავალიცა.

¤ ¤ ¤

სანიკო! ვიდრე ჩემს მკერდში ოდნავ მაინც იფეთქებს გული, მე მაინც მარად და მარად ვიოცნებებ შენზე და ურიგო აროდეს წამომცდება.

¤ ¤ ¤

აკი დანტე თავის სალხინებლში მიტევებულთ კიდეც შენატრის:

Beati quarum tecta sunt pecasa – ნეტარება მას, ვისაც შეუნდვეს შეცოდებანი...

ხოლო ვაგლახი, ვისაც სჯიან უდანაშაულოდ.

¤ ¤ ¤

ცხოვრებისგან დაღლილი ვარ, მაგრამ მაინც უამრავი მარაგი მაქვს დაუხარჯავი სინაზისა.

¤ ¤ ¤

როდესაც ლოდს შეეხება ხელოვანის ხელი, ის მყის იღვიძებს...

მე კი მივუახლოვდი თუ არა სანიკოს... ის ქვად იქცა.

¤ ¤ ¤

ვინ მოსჩმახა, თითქოს მწვერვალებზე ტანჯვასა და მწუხარებას აჰყავდეს, ულამაზებდეს ადამიანს ცხოვრებას...

ტანჯვა ადამიანს სევდის უფსკრულში სტყორცნის. ამ ფსკერიდან ამოვიყურები მე – მაღლა, მაღლა და მენატრება თვალი მოვკრა სიხარულის ციაგს.

¤ ¤ ¤

ჰიმალაის დაფნის ხე უცნაური ბუნებისაა...

დიდი ხეც კი რომ მიაკრა... იგი მას შეიხორცებს...

მე ხეზე ცოტათი მგრძნობიარე მაინც ვიყავი, მაგრამ სანიკომ შეთვისებისთვისაც ვერ შემითვისა.

¤ ¤ ¤

სანიკოსთვის ახლა სულერთია: სცხოვრობს იქ... სადღაც სვანეთში დათიკო თუ არა. არ აინტერესებს: რას განიცდის, რას ჰფიქრობს...

¤ ¤ ¤

სადღაა გული, სად? წეღან ისე ცელქობდა... კვნესოდა კიდეც... ახლა აღარც კვნესაა, აღარც კასკასი... არის მხოლოდ მძიმე, მონისლული ფიქრები.

¤ ¤ ¤

სანიკომ მისაყვედურა: შენ სხვებისთვის შეგიჩივლია ჩვენი განშორების ამბავიო... რა უნდა მეპასუხა? არამც თუ მეგობრებს, ბევრჯერ ისეთი სევდა მახრჩობს, რომ მინდა გავიდე თავისუფლების მოედანზე, შევდგე ტრიბუნაზე და მთელი მილეთის ხალხის გასაგონად წამოვიძახო:

– ხალხნო, მიშველეთ, მე მკლავენ უბუნებოდ... სანიკო მკლავს ულმობელად, მაგრამ ვინ დამიგდებს ყურს?.. ვისთვისაა საჭირო ამის მოსმენა?!

¤ ¤ ¤

სანიკო თუნდაც შემირიგდეს, მე მაკანკალებს იმისი შეგნება, რომ ხვალაც კვლავ მოიმიზეზებს, მეტყვის: ბედისწერის სიცივე და სისასტიკეზე; ყველაფერი იცვლება.

¤ ¤ ¤

ჩემი და შენი საყვარელი როლანი სწერს თავის დღიურში: „Преодолеть судьбу, это тоже судьба, но это более справедливая и более человеческая судьба“. დათუ წერდა ის, რომ ყველაფერი იცვლება, რომ მარადიული არაფერია, რატომ არ უნდა ვიფიქრო, რომ შენი გულგრილობაც გარდამავალი იყოს, შენც შეგცვალოს... დღეს ცვლის ღამე, ღამეს დღე...

¤ ¤ ¤

ისე ლაპარაკობს სანიკო, თითქოს მისი ამაყი ახალგაზრდა მეგობარი შემაღლდა იმ კოშმარულს სიზმარზე, რომელსაც ეწოდება ჩვენი 8 წლის მეგობრობა... ჩვენს ქორწინებას 8 წლის სტაჟი ჰქონდა და მაინც ფიქტიურად ჩასთვალა...

¤ ¤ ¤

მე ჩემს თავს ვაჯერებ უდიდეს ნუგეშში... ს. სიყვარული ჰგავდა მთვარეს; იმას შევხვდი მაშინ, როცა ის ახალ მთვარესავით ნამგალა იყო და გაბრწყინდა, გაივსო და შემდეგ იმ გავსილ მთვარესავით გაჰქრა. დავრჩი სიბნელეში... ვეწამები, ვეწამები, თუმცა მჯერა, რომ ახალ მთვარესავით კვლავ გამოჩნდება... კვლავ გამომიშუქებს...

სანიკოს გაეცინება ამის წაკითხვით, მაგრამ შესაძლებელია, რამდენიმე ხნის შემდეგ ეს გაიგოს და განიცადოს.

¤ ¤ ¤

36 წ. 18/VII

დღეს გამოსასვლელი დღეა. სანიკო თავისუფალი იქნება. უეჭველია, ათვალიერებს ქუთაისს, ნეტა ვინ ეყილება ჩიჩერონად... იქნება აუცხადდა ნატვრა და იქ დახვდა სტუდენტობის დროინდელი პირველი ტრფიალი. აკი მაშინებდა: თუ იქ აღმოჩნდა, მაშინ კი... ძრწოდე დავით... მაკლია ბრძოლა და ახალი მომემატოს. მე ვგდივარ ამ დამპალ დარაბაში და მძულს ჩემი თავი... მეც მიხდება ნაღვლიანად გავიმეორო პუშკინის მტანჯავი კითხვა:

„Дар напрасный, дар случайный,
Жизнь, зачем ты мне дана?“

და არც ჩემთვის არის ამისი პასუხი...
მანადგურებს იმის მწვავე შეგნება, რომ

„Цели нет передо мною,
Сердце пусто, празден ум
И томит меня тоскою
Однозвучный жизни шум!“

რა ხანმოკლეა, წამიერია ადამიანის სიცოცხლე და მაინც როგორ შემძულდა ისა.

¤ ¤ ¤

აშკარად ვგრძნობ, რომ სანიკო მალე ჩაუშვებს ფარდას ჩემი ცხოვრების ფეერიისას.

შიშითა და ცახცახით ვგრძნობ, რომ ეს უკანასკნელი მოქმედებაა...

მახსოვს, ერთხელ თეატრში გვიან მიველ. მიდიოდა ფეერია... მალე ფარდა ჩამოეშვა... გული დამწყდა... ადგილიდან არ ვიძროდი... ყველა წავიდ-წამოვიდა... მე მაინც ვიცდიდი...

ცდა გილიოტინაა...

ველოდი გაგრძელებას...

ახალი მოქმედების ფარდის აშრიალებას...

მყუდროება ჩამოვარდა...

მოვიდა დარაჯი და გამომისტუმრა გარეთ.

რატომ შეწყდა ფეერია?!

რა უნდა გაგრძელებულიყო შემდეგ?..

... ჩემი ნისლიანი მომავალი...

¤ ¤ ¤

რად, რისთვის მაჩვენე, მეგობარო, წერილი იმ ახალგაზრდასი, რომელმაც „რუსალკას“ სახელით მოგნათლა.

¤ ¤ ¤

მაინც, მაინც გმადლობ, გაუცხოებულო მეგობარო.

¤ ¤ ¤

დამშვიდდი, დამშვიდდი გულო, კვლავ დაიბრუნე რწმენა თავისა... შენ ფოლადისა ხომ არა ხარ, რომ ყველაფერი აიტანო...

ახლა მხოლოდ ერთი რამისთვის უნდა იმუშავო: შვილებს დაუმთავრო მამის დაწყვეტილი ზღაპარი.

¤ ¤ ¤

სანიკომ მომწერა: „Больше дружбы предложить не могу“.

¤ ¤ ¤

სანიკომ თავისი ძუნწი კალმიდან ძლივსღა გამოსჟონა უკანასკნელი „მშვიდობით“, როგორც მოწყალება და სამუდამოდ გამომიკეტა გული.

¤ ¤ ¤

სანიკოს არ წაურთმევია ელენესთვის დათიკო. პირიქით, ელენემ დაასწრო, პირველად შეხვდა და დარჩება... მართალია, დაგვიანებით მოვიდა სანიკო, მაგრამ მან მოითხოვა თავისი კუთვნილება, მოითხოვა ისეთი თილისმით და ძალით, ისეთის გატაცებით და მოწადინებით, როგორც „ბურთი მოძღვარ სოლნესის მოტრფიალე პატარა გოგონამ“ და... მიაღწია კიდეც მიზანს... დაიბრუნა თავისი კუთვნილი... განა ეს წართმევაა!

¤ ¤ ¤

ვიცოდი, არ შეიძლებოდა ცეცხლის კოცნა და მე ვეამბორე.

რად იგვიანებს, რადა სანიკოს მიერ დანიშნული პაემანი... სწრაფ მსრბოლავ დროს რაღა ახლა დაეღალა ფრთები! რისთვის მიფრატუნებს საცოდავად?

¤ ¤ ¤

სანიკო ძლივს მიხვდა, რომ იმ სახის ბილიკებზე, რომელსაც ჩვენ ნაოჭებს ვეძახით, ამ ბილიკებზე დადის დრო და მიაქვს ყვავილები, ახალგაზრდობა, სურვილები.

¤ ¤ ¤

ახლა დაუგდეთ ყური! ეს რა ლიკლიკებს? რა ღუღუნებს საამოდ!

ეს ჩემი სისხლის დენაა.

¤ ¤ ¤

ინდუსი ქურუმები თვალებს ხუჭავენ, გულზე ხელებს იდებენ და ნირვანის მოლოდინში უსაზომო ტკბობას ეძლევიან. მეც ასე ვიქცევი, ნირვანის მაგივრად შენ გელი.

¤ ¤ ¤

სადაც მეტი გრძნობაა, იქ მეტი ტანჯვაც არის – ლეონარდო და ვინჩი.

მე ვიცი ისეთი საიდუმლოებები, რომელიც უდაბნოს ააყვავებს, სევდის აკლდამებს წალკოტად აქცევს – ეს სანიკოს ტრფობაა.

სანიკოს რაღაცა სევდა შემოაწვა და ცდილობს დაფაროს, მაგრამ სევდა თავს იჩენს. მიდის სანიკო, სამუდამოდ მიდის ჩემგან. შევაჩერო? შევემუდარო? ეს ისეთივე უგუნურება იქნებოდა ჩემგან, რომ დამეჩოქა ჩანჩქერის წინ და შევღაღადებოდი: შეჩერებულიყო, აღარ გადმოშვებულიყო კლდეებიდან.

¤ ¤ ¤

როდესაც ჩემს თავზე ქარიშხლები ზრიალებდნენ, მე არ ავკანკალებულვარ, არ დამიხრია შეუპოვრობის დროშა. არ მიგრძნია შიში, ლერწამივით არ შევრხეულვარ, როდესაც ჩემი მოქიშპენი, მოშუღარნი ხითხითებდნენ. მაგრამ, როდესაც თავში გამიელვა აზრმა, რომ სანიკოს აღარ ვუყვარვარ, მაშინ კი საცოდავად მოვიდრიკე... დავისეტყვე...

¤ ¤ ¤

„ვეფხისტყაოსნის“ გმირმა ავთანდილმა თვალთაგან ცრემლი მოიწურა და ტარიელს დააპკურა... ტარიელი გაცოცხლდა... ასე სწამს ხალხს. ცრემლის ძალა... მე რამდენი ცრემლი ვღვარე... კლდე მოლბებოდა... სანიკოს გოროზობა კი ვერ მოვტეხე...

¤ ¤ ¤

უიტმანი ამბობს: დაჭრილებს მე არ ვეკითხები ჭრილობაზე... მე თვით ვხდები დაჭრილი... სანიკო ულმობლად მჭრის და ამაში განიცდის განთავისუფლების სიხარულს...

ს. მე წიგნი ხომ არა ვარ, რომ როგორც გნებავს ისე მექცევი, მხევ, მფერფლავ, მჩხაპნი...

¤ ¤ ¤

სანიკო მწერს: უეჭველია, დაგიშუშდებოდა ჭრილობანიო. თითქმის შემომნატრის: ბედნიერი ხარო.

¤ ¤ ¤

მინდოდა მწვავე, სასტიკი საყვედური მეთქვა სანიკოსათვის იმის გამო, რომ ოდნავი სითბო ვერ დავცინცლე მას, მაგრამ გამახსენდა... შორეული წარსული... ისეთი ბედნიერი საღამო, როცა მან ჩემთვის თელავის ბაღიდან ყვავილები მოიტანა... და ავქვითინდი... მან ყვავილები მოიტანა ისეთი შემართებით... ახლა კი... გულში ჩამირგო ძეძვები... ძეძვები...

¤ ¤ ¤

სანიკო, არ მინდა გიწინასწარმეტყველო მღვრიე

მომავალი, მაგრამ... ხომ შეიძლება დადგეს დრო... და შენც შეგხვდეს ცხოვრების გზაზე აყრილი ლიანდაგი... შესდგები და ვეღარსად წახვალ.

¤ ¤ ¤

დიდია ქვეყანა. მიყვარს იგი, მაგრამ მას რომ გამოვაკლოთ სანიკო, დარჩება არარაობა.

¤ ¤ ¤

ჟან კრისტოფი სწერდა:

Он переживает дни тяжелого душевного перелома, самого плодотворного в своей жизни.

¤ ¤ ¤

მუდამ სიზიფის შრომაში ვიყავი და, ალბათ, იმისთვის მიყვარდა სიზიფი.

12/X-36 წ. ლენტეხი

¤ ¤ ¤

მეც გავორდი... ორი დავითი ზის ჩემში... ერთი – ძველი... ის დავითი, რომელსაც ეტრფიალებოდა სანიკო და ის მეუბნება: – რა ვუყოთ... დაე ილაღობოს... ადრე თუ გვიან კვლავ დაგიბრუნდება...

მაგრამ... მე ვამჩნევ, რომ პატარა, გაბოროტებული დავითი აპირებს რაღაცა უხამსობის ჩადენას და მე ხელს ვუშლი მას... მას არ ვაძლევ ნებას, შეურაცხყოს სანიკო... მას უკან ვუბრუნებ აუგიან სიტყვებს... მე სანიკომ მომიკლა სიყვარული... შვილი წაართვა მამას. გამიფრინდა სანიკო... მაგრამ... უარესიც რომ მოხდეს... მე მაინც აზრს არ შევიცვლი მასზე... ან რაშია იგი დამნაშავე... იმაში,

რომ ბუნება ეძახის?! ეს კანონიერია... მაშ, ილაღობოს...

ხშირად მე ჩემს თავს შთავაგონებ სანიკოსადმი სიძულვილს, მაგრამ სიყვარულის მეტს მაინც ვერას ვახერხებ...

¤ ¤ ¤

სამთა კავშირია ჩემს წინააღმდეგ ამხედრებული: გულგრილობა, სიბერე და მეგობრის მუხანათობა.

დღიურის ნაფლეთები

ქობულეთი.
15/IX-35 წ.

იქნება ღამის 3-4 საათი. ჩამოვედი ჩემს ოჯახში... „ჩემი ოჯახი“, რამდენი ბალღამი მეღვენთება გულში. რა უგრძნობლად შემხვდა სანიკო! ის მაინც შესტყობოდა, რომ ვალების მომშორებელი და სამგზავრო ხარჯის გამსტუმრებელი მოუვიდა... არა, არ შეიძლება აწერა იმ შეურაცხყოფისა, სანიკო რომ მაყენებს... ნუთუ მის თავმოყვარეობას დაფნებს მატებს ჩემი წამება... მე ჩამოვუტანე „ჩემი დღიური“, რომელშიც ვწერდი ველისციხეში სასოწარკვეთილების ორ გავარვარებულ კეცს შუა მოქცეული... ხათრით დაიწყო მისი კითხვა... ზერელედ გადაავლო თვალი და დაკეცა... გრძნობის ერთი სიმიც კი არ აღძვრია მას ამ ჩემი სულის ქვითინისაგან.

ვერ ვდგები ოთახში – უყურადღებობის გამო ნაგავში გადატყორცნილი – და გავდივარ გარეთ.

კვლავ კოშმარი... კოშმარი... ცივა... ვიყინები... ვუძალიანდები...

სანიკო ერთხელ გამოვიდა და მივუალერსე... იგი ჩვეულებრივად, ქანდაკებასავით უგრძნობლად „მეხმაურება“.

ხანგრძლივი მუდარის შემდეგ მეუბნება:

„ნელ-ნელა შეგირიგდებიო... ნელ-ნელა...“

მას ნელი ტემპები არა ჰქონია, როცა ოჯახს ანგრევდა... ქობულეთი უჩემოდ მოიაგარაკა. მაღაროში განიცადა სიყვარულის სიხარული.

¤ ¤ ¤

უმწვერვალესი... ახლაც... მას დაეწყობა ტფილისში სწავლა...

მეც სკოლაში მუშაობა მიმაჯაჭვებს სოფელზე... და მაშინ შემირიგდება, რადგან ეს იქნება დაუსწრებელი ცოლ-ქმრობა, ფიქცია... დასწრებულზე კი ეყოლება ის მიჯნური...

ამნაირად სანიკომ, მართლაც, იშვიათი ერთგულება გაუწია იმ ვაჟბატონს, რომელიც უეჭველია, რაკი ამჟამად სანიკო თავისთან არა ჰყავს, ახლა სხვა ბაღნარებში დაეხეტება სხვისი სიყვარულის ახალ-ახალ ბუდეშურების ქურდულად მოსაკრეფავად.

¤ ¤ ¤

სჩანს, დამავიწყდა, სიყვარული საათსა ჰგავს, რომელიც ყოველთვის უნდა მოიმართოს, თორემ გაჩერდება, მდუმარების კლიტით გადირაზება...

აკი კიდევაც გადირაზა.

¤ ¤ ¤

დადგება დრო, შენც დაბერდები... თხუნელასავით

შენც დაიწყებ შენი მოგონებების გადახედვას. მინდა შეგეკითხო სანიკოს სულის უცნაურ ღელვაზე, მაგრამ მეშინია... თუ უფრო გაურკვევლობის ქსელში გავეხვიო... ინგლისური ანდაზა უფრო მადამბლავებს: ნუ მისცემ კითხვებს და შენ არ მოგატყუებენო...

¤ ¤ ¤

ახ, როგორ არ გამიტაცებდა სანიკო, როცა ის ისე გამოირჩეოდა თავისი სწორებისგან, როგორც – სიმღერა უმსგავსს ჩხუბსა და ჯაყჯაყში.

¤ ¤ ¤

გაზაფხულის ღამეში ცაზე მოსწყდება ვარსკვლავი და გაიელვებს... ოქროს ხაზს გაავლებს სივრცეში და გაჰქრება... იმას ჰგავს სანიკოს თვალთა კვესება.

რამდენჯერ შემომანათა და უმალ გაჰქრა.

¤ ¤ ¤

ჩემი სიამაყის ნანგრევებზე მდგარი, ერთხელ კიდევ ვაღვიძებ მიფერფლილ მოგონებებს და ვქვითინებ გულამოსკვნით... და მე გულიანად მეცინება ჩემს დღიურზედ, რომელიც ამ 8 წლის წინათ დამიწერია. ცხოვრება მუსიკაა. ახლაც შემიძლია მისი განმეორება.

¤ ¤ ¤

მიეფარა სანიკო, ჩემი უარმყოფელი...

და მე მინდოდა იმ მატარებლის კვამლსავით ჰაერში უკვალოდ გავლესილიყავი.

¤ ¤ ¤

ბზარი კი არა, უდიდესი ნაპრალი გათხარა ვიღაცა არამზადამ ჩემსა და სანიკოს შორის. უდიდესი და მძიმე ნალექით მომელამა გული.

¤ ¤ ¤

სანიკო უკვე ისე გულცივად მხვდება, თითქოს ყინულის ზოდი ეცემოდეს... მიყურებს ისე, თითქოს და ჩემი დასაფლავებიდან დაბრუნებულიყოს და შვება ეგრძნოს.

¤ ¤ ¤

В этой жизни умирать не ново... რად, რისთვის მიძვრება ფიქრებში „ამბირკასავით“ ეს მუხანათი სიტყვები: ხო, თავის მოკვლა არც ახალია, არც ძველი, მაგრამ რა იქნება შემდეგ: არარაობა, მტვრად ქცევა.

¤ ¤ ¤

მე ერთ წუთში, ერთ წამში შევიგენი ის, რაზედაც მთელი 20 წელიწადი ვფიქრობდი და ვერ გადამეწყვიტა, – არ არსებობს სიყვარული, არის მხოლოდ და მხოლოდ მარტოოდენ შიშველი სექსი. მე ეს დასკვნა გამოვიტანე მყისვე, როგორც კი წავიკითხე წერილი სანიკოსი – ვიღაცა მიჯნურისადმი გამზადებული. მე ეს შევიგენი და ჩავაქრე შუქი; მინდოდა ჩემი ტვინიც მასავით ჩამექრო, რომ არაფერი განმეცადა... ამ დროს მხოლოდ შეშლა მენატრებოდა... მე აღარ მახსოვს არც პეტრარკა, არც ფიამეტას შინაარსი, არც ნოვალისის ლურჯი ყვავილი, მაგრამ არ დამვიწყნია სანიკოს პირველი წერილი...

¤ ¤ ¤

მე ვბოდავდი მეტერლინკის ლურჯ ფრინველზე, ჰამსუნგის „პანზე“. ნამდვილად კი ის მხოლოდ მწერლის ფანტაზია ყოფილა.

რისთვის ვწერ დღიურებს? მათ ხომ აღარ გავუგზავნი სანიკოს, მაშ რა მნიშვნელობა აქვს! კი, მაგრამ რისთვის სვამენ ადამიანები მაგარ სასმელებს...

¤ ¤ ¤

სანიკო 8 წლის განმავლობაში მელაპარაკებოდა დრამის მგოსანივით, მაგრამ მე-9 წელს მოიქცა ისე, როგორც – ყოველი.

¤ ¤ ¤

ჩემს ნოტიო დარაბაში უკანასკნელი შუქი ისე პარპალებს, როგორც მომაკვდავი ჩიორა. მალე ისიც განუტევებს სულს...

¤ ¤ ¤

ჩემს ცხოვრებაში სამი საშინელი თარიღია, რომელიც განწირულების ჟრუანტელს მგვრის, ესაა:

1888 წ., როდესაც მე დავიბადე.

1924 წ., როცა დედიკომ მტკვარში გადაუძახა ჩვენი სიხარული და დაიხრჩო.

და 1935 წ. 2 აგვისტო, როცა სანიკომ გამომიმჟღავნა, სხვა მიყვარსო.

¤ ¤ ¤

მე დიდი ხანია, შევურიგდი აუცილებლობას, რომ, რაც დრო გავა, მით უფრო დავშორდებით მე და სანიკო

ერთმანეთს; მართლაც, ჯერ მაშინაც კი, როცა ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, დიდხანს ვერ ვხვდებოდით, ის გვიან მოდიოდა, ღამის 12 ს. მე დილით ადრე მივდიოდი...

მე რომ ის ინსტიტუტში არ შემეყვანა... ის რომ შვილებით დამეხვივნა... ქვაბებზე რომ მიმეჯაჭვა, იმას ვეყვარებოდი... ხანდახან რომ მიმეშვლიპა, ეგებ უფრო გაძლიერებულიყო სიმპათია.

¤ ¤ ¤

სანიკომ, როგორც ლაზარემ, ისე გააცოცხლა მარტოობის კუბოში მდებარე გული.

¤ ¤ ¤

საბრალონი არიან ასტრები, იბადებიან შემოდგომაზე... თვალს ახელენ მაშინ, როცა ყვავილები დახოცილი არიან, იბადებიან სიცივეში და გაცრეცილი ატარებენ ახალგაზრდობას... ამავე ასაკში იღუპებიან...

არცერთს არ უწევს სიბერემდე სიცოცხლე.

¤ ¤ ¤

თილისმებიანი არიან სირინოზები. ვერავინ უძლებს მათ ეშხს, მხოლოდ ოდისეი ეურჩა... ისიც მხოლოდ მით, რომ მსახურებს თავისი თავი ანძაზე მიაბმევინა... რა ჩემი ბრალია, თუ ოდისეის მოხერხება არა მაქვს და სირინოზი სანიკოს ტყვე ვხვდები.

¤ ¤ ¤

ჭოლასავით მაქვს ის რწმენა, რომ ჩემი დაკარგული მეგობარი, სანიკო, არ მოვა „არასოდეს, არასოდეს“ – და მე მაინც ველოდები.

¤ ¤ ¤

არა, შეუძლებელია! – ფიქრობდა დათა – სანიკოს ისეთი ალერსიანი თვალები ჰქონდა... მისი თითებიც კი იმდენს სიყვარულს აფრქვევდა... და... მას კი ახლა აღარ უყვარს... და იგრძნო დათამ სულიერ წიაღში მძიმე სიცარიელე... ასე ეგონა, თითქოს კედლებიც კი განზე იწევენ, რომ არ დაჰყრდნობოდა. მეგობრებმა ბევრჯერ გაახსენეს სტოიკები, მაგრამ მას არ შეეძლო სტოიკურად გადაეტანა უსიყვარულობა და ამიტომ უფრო იტანჯება.

ყინვა... გულში მძიმე ყინვა... უჰ, როგორ ჩაუქრო სანიკომ ის ვარსკვლავები ბედნიერებისა, რომლებიც მას ოდესღაც დაუნთო.

¤ ¤ ¤

შევხვდი და დამაწყდა ნებისყოფის ღვედები...

მივდივარ, მგონია, მკერდქვეშ რომ გული მიცემს, ჩემი აღარ არის... ვიღაცისაა... გამოუკეტია... გასაღები სადღაც გადაუგდია და თვითაც დაჰვიწყებია გამოკეტილი...

¤ ¤ ¤

ძველი, ტკბილი სანიკოს მაგივრად რაღაც გულცივი ნიღაბი მიყურებს...

ასეთ მდგომარეობაში ჩემთვის ყოველგვარი სიხარული კვდება... ძნელია ჩემთვის გარჩევა: გაზაფხულია თუ შემოდგომა... ორივე ერთმანეთს ჰგავს. მწუხრი განთიადისგან ვერ გამირჩევია. გაზაფხული ისევე ჟინჟღლიანი მეჩვენებოდა, როგორც შემოდგომა.

¤ ¤ ¤

ამდენი ხანია მოსაცდელ ოთახში ვიცდი და მაინც მიტევების ფირმანი ვერ გამოვთხოვე. ნუთუ მოწყალების

დრო როდისმე მომწიფდება? კრიჟანგი ბედი როდისმე მომელამუნება...

¤ ¤ ¤

თელავში მეშჩანების ორაკულებს საჩვენებელი თითი დაექანცათ ჩვენზე ჩვენებით.

¤ ¤ ¤

აი, მე მოგიტანე მსხვერპლად ჩემი ძველი სიყვარული, ჩემი შვილიკოს ფატალურად უბედური მამა და შეინწირე. ამის შემდეგ ამაცდინე ყოველივე კატასტროფაო... ჩემი ბრალია, ჩემი, რომ შენ ასე გამიორგულდი.

ეჰ! ნეტავი შენ დოსტაქარი გამოსულიყავი, მაშინ შენ ერთადერთ სურვილს მაინც ამისრულებდი შენებურის გულგრილობით, აუღელვებლობით ამომიჭრიდი მკერდიდან გულს, ატროფიას გაუკეთებდი ჩემს მოგონების უნარს და მოვისვენებდი... ფიქრები და გრძნობები აღარ ამიყვანდნენ ხოლმე გოლგოთაზე, მარადიულ გოლგოთაზე...

¤ ¤ ¤

ახ, როგორ მიშლის ხოლმე ხელს მუშაობაში შენზე ნაღვლიანი ფიქრები, შენ მიერ სიძულვილით ნასუნთქი სიტყვების ჩაღვენთება.

შენ, შენ მიშლი, სანიკო, ხელს, ვიმუშაო... როგორც კი გადავწყვეტ გადავდგა რაიმე ნაბიჯი – წინ გადამიდგება შენი ლანდი და ჩემი მოშხამული ტვინი შემომხარხარებს...

მან (სანიკომ) უარგყო... იმისი გული უკვე თავისუფალია.

იმას ახლა ქუთაისის ბარიტზე შეიძლება შეხვდა ის,

რომელიც სტუდენტობის პირველი პრაქტიკის დროს ეტრფოდა და, რომელმაც თურმე მაშინვე არ გამაუბედურა: შეხვდება და სანიკომ ხომ უკვე გამაფრთხილა: „მაშინ კი მშვიდობით, დავით!“ თითქოს აქამდის თუ არ გამომშვიდობებული არ ყოფილიყოს...

სანიკომ გამომამწყვდია მარტოობის მღვიმეში... ციხის უფროსად დამიყენა ჩემივე გაბოროტებული გული და მიმატოვა... გასწია წინ ახალი ცხოვრებისკენ. მე კი მორიელად მაქცია... ჩემივე თავისა და ვშხამავ, ვშხამავ... ვშხამავ...

¤ ¤ ¤

ერთი ხანია, რაც ბალზაკი არ წამიკითხავს. მაინც მეყვსეულად მომაგონდა მისი ცხოვრებიდან ერთი ამბავი. ის ისე ყოფილა გატაცებული თავისი გმირების ცხოვრებით, ისე მიაჩნდა ისინი რეალურებად, რომ ერთხელ, როდესაც მას მეგობარი ეწვია, მან მწუხარებით შესჩივლა:

– იცი, საწყალმა ჩემმა გმირმა თავი მოიწამლაო. განუსაზღვრელი მწუხარებით მოენისლა ბალზაკს თვალები მისი მოგონილი არა რეალურით.

¤ ¤ ¤

სანიკო! გახსოვს აბასთუმანში სერზე რომ ვტკბებოდით ტრფობით... ფიჭვის ხეები ის ფარეშები გვეგონნენ, რომელნიც ღამის იდუმალებას ერთგულად იცავდნენ...

თუ რომელიმე ფრთოსანს შენიშნავდნენ, რომ თავისი ჭახჭახით მყუდროების დარღვევას აპირებდნენ, ისინი შრიალს იწყებდნენ და აჩუმებდნენ – სსს...

¤ ¤ ¤

ველისციხე. 6/IV-36 წ.

სანიკოსაც და მეც გვიყვარდა და გვიყვარს ბაირონი. რამდენჯერ სიყვარულით და აღფრთოვანებით გაგვიხსენებია მისი ცეცხლოვანი პოეზიის ნაპერწკლები და ანვთებივართ.

ვაგლახ, რა ვიცოდი თუ მე მომღვარსლიდა ბაირონის ის ლექსი, რომელიც მე ახლა ცრემლებით დავაღვენთე ამ ქაღალდის ძაძას:

„როდესაც ჩვენ დავშორდით
მდუმარების ცრემლებით
და დავტოვეთ ნახევრად
დამსხვრეული გულები, –
ვიგრძნე, რომ მწუხარების
ილბალს დავედევნებით,
შენი ცივი ამბორით
მარად განწირულები
.....
შენი სახელი ყურში
რეკავს გლოვის ზარებით,
მისი უცხო ხსენებით
მარად ჟრჟოლით ვიწოდი,
ავიტან მდუმარებით, –
ვინ რა იცის, რომ იგი
მეტად კარგად ვიცოდი.
საიდუმლოთ შევხვდით ჩვენ –
ვსევდიანობ მდუმარი,
მოტყუებულ იმედებს
ისევ ფიქრით ვევლები.
.....

და თუ შეგხვდი როგორმე
უკვე უცხო სტუმარი,
როგორ გითხრა სალამი?
მდუმარების ცრემლებით.

.....

ბაირონის ამ აქვითინების შემდეგ რაღა დავუმატო, თუმცა მაინც ვგრძნობ, რომ თვით ბაირონმაც ვერ შესძლო იმ განწირულების გამოხატვა, რასაც იწვევს მეგობართან სამუდამო განშორება.

¤ ¤ ¤

რა არის ადამიანი?

ის, ის უცნაური ვინმეა, რომელიც მარად ეძებს მას, რაც არ არსებობს და სტოვებს მას, რაც აქვს. და ეს მაშინ, როცა მას კვლავ დასჭირდება მისი ძიება, თუმცა ველარ კი...

¤ ¤ ¤

შენი ბრწყინვალება უკვე ველარას მარგებს, არ მათბობს ისევე, როგორც მთვარე, რომელიც ანათებს, მაგრამ სითბოს არ იძლევა.

¤ ¤ ¤

მაგონდება სანიკოს სიტყვა... სანიკოს მიერ მინდიას მხილება... „მინდიავ, გერჩივნა სულ არ გეჭამა გველის ხორცი“... ასე ამეტყველდა სანიკო... მან იცოდა უეცარი მოვარდნა...

¤ ¤ ¤

სვანეთში რომ მივდიოდი, ს-კოს დავუტოვე რამდენიმე

სტრიქონი – სანიკო, მე აღარ დაგიტოვებ მისამართს... მიცვალებულთა მისამართს არავინ იტოვებს.

¤ ¤ ¤

იყო დრო, როცა ჩემი ძველი დღიურების გადაკითხვა სიამოვნებას მგვრიდა, როგორც ოდესღაც დაკარგული და შემთხვევით შეხვედრილი მეგობრის ნახვა...

ახლა კი მწუხარების თრთვილმა დააზრო გული და მას ველარც მეგობრები და ველარც ეს გაცრეცილი დღიურები...

¤ ¤ ¤

დანტევ, დანტევ, რაღა შენ მაგონდები... აბა, ბედნიერი ცხოვრების აღმწერი გამახსენდეს... სულით ვატარებ, დანტევ, შენს ჯოჯოხეთს. ამ ჯოჯოხეთშიც ცხრა რკალია და ყველგან ჩემი სულის საწამებლად.

¤ ¤ ¤

ცოლი, ცოლიკო...

ცოლიკო! რამდენად გვაკეთილშობილებს მისი წარმოთქმა, გვამაღლებს...

ცოლი, ცოლიკო, რა კარგი სიტყვების გამოგონება შესძლებია ადამიანს, მაგრამ მანვე არ იცის ამ სიტყვათა, ასევე, შებღალვა...

ცოლიკო! ეს სიტყვა ჩემს გულში ცოცხლობს, როგორც დილის ტოროლა, მალმალ ამიფრთქიალდება იგი ჩემს ბაგეზე და აჟღურტულდება ულამაზეს განცდებზე: მეგობრობაზე, ტკბილ სიცოცხლეზე, ერთგულებაზე.

ცოლიკო!.. რამდენი მუსიკაა, რამდენი ალერსია, რამდენი სურნელებაა...

¤ ¤ ¤

ჩემი ყოფის გვალვიანი ველები მარად შემომქვითინებდნენ, მაგრამ გაირბინეს კვიმატიანმა დღეებმა და ჩემი თავი ველარ მიცნია...

¤ ¤ ¤

ტფილისი, ჩვენი დარაბა, 1934 წ.

ქუჩაში მიწყდა სიარული, ხანდახან აჩქარებული ფეხის ხმა ისმის... მოგვიანებული მიეშურება სახლისკენ... ისიც წყდება.

მხოლოდ მყუდროებას არღვევენ ღვინით გალეშილი რამდენიმე ხრამუშ-ხრამუშ მობრაცუნე და ამოხლანწული ხმებით მომღერალნი.

.....

თან შეჰღრიალებენ „აჯან!“.. „ჯან“...

სანიკო ჯერ კიდევ არსად სჩანს...

კვლავ ლოდინი.

აი, ისიც მოვიდა... 12 საათიდან 10 წუთია გადასული. მე მიხარია, გულიდან მომწყდა ლოდი... მომწყდა, თუმცა კვლავ დამაწვება და შემაღონებს.

¤ ¤ ¤

სანიკოს მიერ თავის დანებების ერთ-ერთი მოტივთაგანი: აქ დამპალ დარაბაში ამომხდა სულიო... და წავიდა... წავიდა... როგორც ეტყობა, სასახლეში განსასვენებლად.

– სანიკო უეჭველი, ხალასი ჭკუის პატრონია და რატომ ვერ მიხვდა, რომ ნამდვილი ადამიანები მხოლოდ აქ, ამ დარაბისთანა ოთახებში, არიან და არა – დარბაზებში...

.....

დავრჩი მარტოდმარტო ამ მოღუშულ ოთახუნაში... ჩაქრა ჩემი ბუხარიც... დარჩა მხოლოდ ნაცარი... ნეტავ გამაგებინა, კაცის გულს რამდენი მწუხარების ატანა შეუძლია?

¤ ¤ ¤

სანიკო, რვა წელიწადი ვცხოვრობდით ერთად... ბევრი რამ გიამბე ჩემი ცხოვრებიდან... მეგონა რენდგენი ისე არ გააშუქებდა, როგორც მე – ჩემი სულის უფსკრულებს... მაგრამ დღეს ვგრძნობ, რომ მაინც ვერ მიამბნია ჩემი სული, თორემ ასე უმოწყალოდ როგორ მიმატოვებდი?!

¤ ¤ ¤

ს-კომ მითხრა: მართლა... მართლა გგონია, რომ ის არა მთხოულობს... და მის თვალებში კვლავ აკიაფდა ბედნიერება... ქვეყანა მას ამ დროს ბრწყინვალე ბაღად ეჩვენებოდა.

¤ ¤ ¤

მე ბევრ რამეზე ვოცნებობდი.

იმაზედაც ვოცნებობდი, რომ დამეწერა ისეთი რომანი, საცა სანიკოს მშვენიერი სახე იქნებოდა შემჯერვებული...

მე ამას ვერ მივაღწიე...

მე სანიკომ მომიმწვანილა.

და ახლა... ახლა.... ერთადერთ სიტყვასღა ვტოვებ: მე ცხოვრებაში თითქმის მუდამ ვტიროდი...

ახლა კი... ახლა მე ვიცინი... ვიცინი...

...მე დამემართა ის, რაც ძალიან დაჭიმულ სიმს...

გაწყდება და საამო ჰანგის მაგივრად გულის მკაწრავ ჟღრიალს გამოსცემს...

¤ ¤ ¤

ამოდენა კაცი ვტიროდი... ვხედავდი, იმ ქედსავით გულგრილობის თოვლით ვიბარდებოდი...

თუმცა განსხვავება მაინც იყო. ქედზე თოვლი გაზაფხულზე მაინც გადნება... მე კი აღარ მეღირსება გაზაფხული, ჩემთვის აღარასოდეს გაიშლება ყვავილები.

¤ ¤ ¤

სანიკოს რა უშავს?

იმას არარომანტიკული პროფესია აქვს. ინჟინერია.

მე რა გავაწყო, როცა წიგნია ჩემი დაზგა და ეს წიგნები უარესად მაღიზიანებენ...

¤ ¤ ¤

ძალიან ვცდილობ გავპროზაიკდე. დავიჯერო, რომ რომანტიკა გადანაშთია, რომლის შემოფხრეწა, მოშორება უფრო მეტ სილამაზეს მისცემს ცხოვრებას, მაგრამ ვერ ვახერხებ. ცრემლები მახრჩობენ.

თუმცა ცრემლი რას უშველის...

დაკარგული სიცილი ტირილით ვის უპოვნია.

¤ ¤ ¤

სანიკო, თუ გესლიანად არ დამცინებ, მე ახლაც კი მგონია, რომ შენ ნაძალადევად მეჩვენები მქისედ. შენ სრულიად არა ხარ ასეთი.

მართალია, წრემ თავისი დაღი დაგასვა, ძალიან შეგკვერცხა უწინდელი რომანტიკოსი, მაგრამ... შენ რაკი ღირსებად მიგაჩნია ეგ სიმქისე, ამიტომ აჭარბებ, თორემ, არსებითად, შენ კვლავ უნდა ჰგავდე ძველ სანიკოს.

¤ ¤ ¤

აქ, სვანეთში, მთები უფრო კეკლუცებია, ჩანჩქერები ეშხით მოჩქაფუნებენ, ვარსკვლავები საოცრად მოკამკამენი, მაგრამ გულს მაინც ეფონება... იგი კვლავ სევდის ეკლებით იზღარბება. რატომ?..

მისთვის, რომ შენ არა ხარ აქა... შენ არ ხარ, თუმცა ვარსკვლავნი შენი თვალების ციმციმს მაგონებენ...

და როცა თავს გავართმევ... ჩავუჯდები ჩემს დღიურებს და ვინთქები მოგონებათა ნაღვლიან ფოთლებში.

¤ ¤ ¤

აქ, სვანეთში

მე აღარ გავიმეორე – ვერ მივაგენი, ძვირფასო, რომ მაპატიო, რაც ჩემს ხელში იტანჯე... სულ ჩაქცეულმა და თვალცრემლიანმა მეც შეიძლება ამოვიქვითინო:

„ჩემთან იყო დიდი ტანჯვაში,
შენთან არის რა დღეშია“.

¤ ¤ ¤

კრეზი ვიყავი... მიკვირს, მაშ, რისთვისღა ვთვლიდი თავს უბედურად! რატომ კრეზსავით შიშმა არ ამიტანა და მსხვერპლი არ მივუტანე ღმერთებს, რომ ამცდენოდა უბედურება.

ახლა უკვე სრულიად დაცარიელდა გული და მაინც... მაინც ფეთქს იგი. ფეთქს. რადა? რისთვის?

ვინა თქვა, თითქოს მარტოობას თვითმკვლელობამდის მიჰყავს.

მე მიყვარს ჩემი მარტოობა ისეთივე საიდუმლოებით აღსავსე, როგორც სანიკოს გული.

¤ ¤ ¤

სანიკო მაცილებს უკანასკნელად... პირველ კლასში ვსხედვართ. მოვითხოვე საუზმე. ვერც ერთი ვერ ვაკარებთ პირს. სანიკოს სურს „გამართოს“, მაგრამ რა სიტყვები აღმოაჩნდება ქალს, რომელმაც უარგყო... წავედი მატარებლისკენ. შევედით რონოდაში. სანიკო მისმენდა. გეუბნებიან: უყურე, რამდენი ზრუნვაა, რომ მგზავრმა კმაყოფილებით „იმგზავროს“. „ჩემთვის სულერთია, ჩემს გულში მაინც ღვივის სევდის მუგუზალი“.

უფერული კოცნით გამომემშვიდობა...

¤ ¤ ¤

მე ყველა მხატვართა სურათები შევიძულე, სიყვარული შემრჩა მხოლოდ ბიოკლინისადმი. მე და შენ გვიყვარდა ბიოკლინის „მიცვალებულთა კუნძული“... უცნაურია, რად გვიყვარდა ეს სურათი მაშინ, როცა ტრფობის გაზაფხულით ვტკბებოდით.

შენ ახალი გაზაფხული გელამუნება...

მე კი ცხოვრება ბიოკლინის იმ მოქურუშებულ კუნძულს დამემსგავსა.

¤ ¤ ¤

მიცვალებულებისაგან არაფერია საწყინო, ნურც შენ გამირისხდები.

¤ ¤ ¤

მეგობარო, გინდა გაიგო, როგორია ჩემი ცხოვრება? ჩაიხედე შეშლილის თვალებში და მიხვდები.

¤ ¤ ¤

ეს იყო 8 წლის სიზმარი და მე დღეს გამეღვიძა ტიალ ბედში.

¤ ¤ ¤

წყეულიც იყოს ის ძველი დრო, რომელიც ადრეულად მაბერებდა.

¤ ¤ ¤

სანიკოს დეპეშა მივიღე თუ არა, ჩავფრინდი არწივად... და იმ ერთადერთი სიტყვისაგან მე ვიქეცი გამხმარ ფოთლად...

¤ ¤ ¤

ცა ისე მოკრიალებულია, როგორც – სანიკო, რომელმაც ეს არის ახლა დაიბანა პირი წყაროზე. ჩემი ფიქრები მაინც სანიკოსკენ მიქრიან, სიმღერასავით სწრაფად და კასკასად.

¤ ¤ ¤

გამტყდარი ძვლებიც კი შედუღდებიან და ნუთუ აღარ შეიძლება, რომ ჩემი და სანიკოს გზები კვლავ შეერთდნენ?!

¤ ¤ ¤

მე მგონია, რომ ჩემში მოკვდა მთელი მსოფლიო... სანიკო მსოფლიო იყო და მე იგი დავკარგე.

¤ ¤ ¤

ვბრუნდები სანიკოსგან და ასე მგონია, მივდივარ

ყინულიან მდინარის ზედაპირზე და ყოველ წუთს ველოდები ჩამტვრევას.

¤ ¤ ¤

სანიკოსაც გველსავით სცოდნია პერანგის გამოცვლა... და... ამის შემდეგ ერთადერთზეღა ვოცნებობ: სულის ანესტეზიაზე.

¤ ¤ ¤

– რატომ შემიყვანე უმაღლესში, განა არ იცოდი, რომ თანდათან უცხონი გავხდებოდით ურთიერთისათვის?! – მეკითხება სანიკო.

ამასვე ადასტურებენ ნაცნობები.

– როცა ისე თავგამოდებით იბრძოდი მეუღლის უმაღლესში მოსაწყობად, ჩვენ მაშინვე ვთქვით, რომ სასწავლებლის დამთავრების უმალ ცოლი მიგანებებდაო.

¤ ¤ ¤

უცნაურად მოეწყო ჩვენი ცხოვრება... მე და სანიკო ბილიარდის ბურთებსავით შევხვდებით ხოლმე თუ არა ერთმანეთს, მყის მოწინააღმდეგო მხრისკენ უკუ ვიქცევით...

¤ ¤ ¤

ქორწინების უდიდეს მოტივად თურმე ითვლება სურვილი, ჰქონდეს საკუთარი ოჯახი...

¤ ¤ ¤

განქორწინების რეგისტრაციასა და სასამართლოში ცისმარე დღეს გაისმის განქორწინების ჩივილი:

„მეზიზღება, როცა მეალერსება“
„არ მეგონა, თუ ისეთი წვრილმანი იყო“
„მძიმე ხასიათის ადამიანია“
„მცემს“
„ლოთობს“
„კრებებზე არ მიშვებს“
„სწავლა ამიკრძალა“
.....

უფრო მამაკაცები ანებებენ თავს, ძველი მორალის გავლენით: „მე მეგონა ის ქალწული იყო, ნამდვილად კი შევცდიო“.

¤ ¤ ¤

ყვავილები? ჩვენს ეზოში არ იყო ის ყვავილები, რომლებზედაც იმდენს ოცნებობდნენ პოეტები. ეეჰ!.. უმზეოდ სად ხარობს ყვავილი, რომ ჩვენსა ეხარა... სამაგიეროდ, უხვად იყო მორიელები, ხავსი...

¤ ¤ ¤

ოდესღაც, სადღაც თელავში, სანიკომ მოინდომა და ხავსივით ჩამომაცალა 19 წელიწადი, რომელიც მე მის ხნოვანებას მაშორებდა... მაგრამ განა საწუთრო კაცსა მარადის ახარებს?!

შეიცვალა დრო და სანიკომ არა თუ იმავე ხავსით შემომბურა, ახალიც დამისართა... დამაბერა ერთადერთი სიტყვით: „აღარ მიყვარხარ!“

¤ ¤ ¤

ვიცი... ვიცი... ალღოთი ვიცი... სანიკოს ახალი მეგობრისთვის ცოლი წარმოადგენს ლოგინის დამატებით

ნაწილს. მე ოჯახში ცოლთან დამოკიდებულებაშიც კერძო საკუთრების რუბიკონს გადავაბიჯე... ცოლიკოს შევხედე, როგორც სრულყოფილებიან პიროვნებას, მაგრამ მან ეს არ შეიშვნია... სხვა, ძველი ტრადიციების ვაჟი რომ შეხვედროდა, ვინ იცის, იქნებ არც კი დაშორებოდა.

¤ ¤ ¤

სანიკოს მოარშიყენი ისე ეხვევიან, როგორც – მუმლი მუხასა... ყველა კადნიერდება და პირდაპირ სთხოვენ გულს... და კადნიერდებიან იმიტომ, რომ მშვენივრად იციან: მე მას აღარ ვუყვარვარ!

¤ ¤ ¤

სანიკოს ძალიან იშვიათად ვაგონდები. ის ახლა სულ სხვა მხრისკენ გაიყურება. იგი ჰხედავს თავის მომავლის სხვა ბილიკებს და სხვა მწვერვალებს...

იგი იწყებს თავისი ცხოვრების მეორე (თუ მესამე) ტომის წერას.

ჩვენს ოთახში ბნელოდა კიდეც. ნოტიოს შმორის სუნიც იდგა, მაგრამ ბედნიერების ფასკუნჯი მაინც სძლებდა და თავისი ფრთების ფართქუნით მალაღებდა.

სანიკომ სთქვა თავისი საშინელი სიტყვა:

აღარ მიყვარხარო და... სასოწარკვეთილებამ ისე ძლიერად შემოაბიჯა ჩემს ბინაში, როგორც – ნაპოლეონმა!

¤ ¤ ¤

სანიკო!

ეს უზარმაზარი, ეს საშინელი სამარე ვის გაუთხრია, ვისია შვილი...

იგი არა ჰგავს ერთი ადამიანისთვის გაჭრილ სამარეს!

მას თვალი ვერ სწვდება.

ასეთი სამარე ჯერ არ ახსოვს ადამიანებს, რომ გათხრილიყოს დედამიწის ზურგზე.

ალბათ, დიდი, უზარმაზარი რამ უნდა ჩაიმარხოს შიგ.

ნეტავ, ვინ მოიტანს, ვინ ჩაასვენებს?

ნეტავ, რამ მოჰკლა თუ ასეთი დიდი იყო?

ახალმა თაობამ – ახალმა სიცოცხლემ!

მან დაამსხვრია ობმოდებული სიძველენი

მან მილეწ-მოლეწა ჩაჟანგებული ცხოვრება...

მან აკუწა, ასჩეხა საღი იდეებით, შეუპოვარი ბრძოლით წარსულის ლეში.

მანვე გათხარა სამარე დიდი, სამარე უზარმაზარი, სამარე, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის ცხოვრებას.

იგივე

ჩამარხავს, ამ ქვესკნელში დაასაფლავებს იმ უზარ-მაზარ, იმ დიდ წარსულს, რომელიც ცოდვებითაა დაწ-ყლულებული, რომელიც უსამართლობითაა დადაღული, რომელიც წმინდა სისხლითაა შელაქავებული, რომელმაც შეიწოვა მშრომელთა სისხლი, ცრემლი და ოფლი, ტანჯვა, შეურაცხყოფა, კვნესა და გმინვა, რომელმაც შეირგო უბედურების ნიადაგზე აშენებული უზრუნველი ქეიფი, ჭუჭყიანი სიცილი, სისხლიანი მხიარულება, რომელმაც მოსთიბა მრავალი საუკუნეები, მრავალი იდეები, მრა-ვალი სიცოცხლე და მრავალი მწვერვალები, მაგრამ აღსდგა ძალა ახალი, დაირაზმა ახლის წესით, ახალი ბრძოლისათვის და

დაამსხვრია ჯაჭვები ამირანისა...

არემარეს მოსდო სხივები ცხოველი, სხივები ელვარე ცეცხლისა!

⌑ ⌑ ⌑

დავით ჩხეიძე სანიკოზე.

ვახტანგ ჟვანია

ლიტერატურული გასამართლებანი საკლუბო დაწესებულებებში.

საინტერესო მასალას თელავის სკოლაში დამკვიდრებული ლიტერატურული გასამართლების შესახებ იძლევა ცნობილი ქართველი მწერალი დ. თურდოსპირელი. ვიღაცას უსამართლოდ უთქვამს, ვითომ პატარა ქალაქში – პატარა თავი იყოს. თავი არა და გულიც დიდია – სურვილებით და განცდებით აპირთავებული. ამ კვირაში თელავში გაიმართა ვაჟა-ფშაველას მინდიას გასამართლება.

ბრალდება უფრო გაძლიერდა, როდესაც გამოვიდა ახალგაზრდა მასწავლებელი ს. კრემენსკაია. მას ეს მესამედ უხდება საჯაროდ გამოსვლა და მესამეჯერვე ბრწყინვალედ იმარჯვებს. აუდიტორიის მქუხარე ტაშს იმსახურებს. იგი მდიდარია ძლიერი გამახვილებული-გასათუთებული გრძნობით, ფერადი, დახვეწილი, მოკვეთილ ქართულით, იშვიათი დიქციით და მისი წლოვანებით საკმაო განვითარებით!

დ. თურდოსპირელი

(ჟურნ. ახალგ. გზა. 1927 №470

სასამართლომ მინდია გაამტყუნა.

ლექსები

სანიკო-ალექსანდრა კრემენსკაია

ლექსები ჩაწერილი თავის წერილებში დავით თურდოსპირელისადმი

26-27 ნოემბერი, 1928 წ.

გამურული დღეები,
ჭინკებიანი ღამეები,
ტვინში შხამიანი გველების სისინი,
აი, – მე და ჩემი ცხოვრება!

✧ ✧ ✧

უსამკაულო, შემოძარცული
შიშით გავცქერი ცის დასალიერს.

✧ ✧ ✧

შენის ღიმილით ნაქსოვი რიდე
გადავაფარე შავ ფიქრთა ტყესა!
მე ჩემი ფიქრი, ჩემი ნაღველი
შენი ოცნების ქსელში გავხვიე,
თურმე შენს სულში სხვა ყვავილი ამოსულიყო.

✧ ✧ ✧

კურთხეულ იყოს (თუ შენთვის წყეული)
წამი მზიური
ნათესავ სულთა შეერთებისა,
რომ კაეშანი ამქვეყნიური
სიმთა წკრიალით ცას შეეთვისა.

ჩემი ნოემბერი

რად მიყვარს ასე ბოლო ხანი შემოდგომისა,
რად მიყვარს ასე ნოემბერი გახუნებული?!
ჩემთვის ხომ ეს თვე გამცლელია მთელი ღონისა
მაშ, რად მიტაცებს მკვდარი ბაღი დადუმებული?!

თქვენ, მეგობრებო, ნოემბერი ჩემსავით გიყვართ,
თქვენც მოგწონთ ბაღი, დაფენილი ხმელი ფოთლებით,
ახალგაზრდებო! გრძნობა გიდუღთ, ჩემებრ ბევრი გაქვთ
და გულს, სიხარულს ველარ იჭერთ ხომ თქვენის ნებით!

ო, ნოემბერი, ნოემბერი სიყვარულის თვე!
ო, ნოემბერო, როგორ მიხტის გული სუსტ მკერდში.
მე ვამბობ, მე ვქმნი დღეს ახალ აზრს, ხომ გესმით თვითვე,
ახ, რად არა ხართ მონაწილე ყველა ჩემს ბედში!..

დეე, მაისი თქვენი იყოს ვარდ-ყვავილებით,
დე, ვარდისთვეში აგიყვავდეთ ტრფობის სურვილი
მე კი, მე მიყვარს ნოემბერი მძიმე სევდებით,
მე ნოემბერი მირჩევნია ნისლით ბურვილი.

და ნოემბერში გული მკერდში აღარ მეტევა,
და, როცა სული აღტაცებით ქვეყანას ეტრფის,
მაშინ მგონია, თვით მე შევქმენ ადამ და ევა,
ო, მეგობრებო, ჩემი გული ღიაა თქვენთვის!

1925 წ.

1927 წ.

და – თუ ცა მეტყვის, დამისაბუთებს
რომ ქარი ღრუბლებს ფლეთავდა, ხევდა
თუ სიყვარულის აღმგზნებელ წუთებს
გადასცვლის ჟამი, გადასცვლის სევდა –

მაშინ ფეხქვეშ მიწა გაცაკისკდეს
და შემზარავ ხმით ჩაეშვა ღორღი
მე მზე შავეთ უფსკრულს.

ჩამოიშალა, ჩამოინგრა სანიკო...
მოზვავდა მისი სული, მისი ცქრიალა,
ელვარე სული იქცა ნამსხვრევებად, ნანგრევებად.
მოკვდა სანიკოს თვალებში სიცოცხლის
ძალა, ჩაჰქრა ნაპერწკლები.
მიიცვალა სანიკოს ბაგეზედ მზიური
ჟრჟოლა, სიცილი.
აღარ ცქრიალებენ მის ხმაში კამკამა,
ციალა ჰანგები,
აღარ იცინიან მის შუბლზედ
ზღაპრული ზმანებანი,
მხიბლავი ოცნებები,
და ეს მაშინ, როდესაც იპოვნა
ცხოვრებაში ის, რასაც ეძებდა.

✧ ✧ ✧

იქნებ სიგიჟე, მართლაც, გეწვია,
იქნებ სამარეც მანდ გაითხარე?!
მე თუ აქ მტანჯავს ეგ ათი წელი,
შენ შენ წელისა ვით გადიტანე.

✧ ✧ ✧

სხვამ რომ იწამა ლამაზ ოცნებად
თეთრი მინდორი და თეთრი ღამე,
შენ მზე გიყვარდა და მეგობრად კი
მზისა რაინდსა გხვდა თოვლის მხარე.

დ. თურდოსპირელს

და გადიქროლეს შენს გრძელ გზაზედ
ტანჯვის დღეებმა –
ცეცხლად მოედვნენ, გადაბუგეს
შენი გონება,
გადაგილანძეს ჭაბუკობის ძიების დღენი
და აფრქვევიეს სევდიან ჩანგს მწარე გოდება,
მაგრამ არ შესდექ,
შენ რომ სხვა ხარ!
შენს სულს რა მოჰკლავს?!
შენ რა დაგიჭკნობს მრავალ სურვილთ
ცეცხლის მკვესებელს.
შენ ქვეყნის ბედი
წაღმა უნდა შეატრიალო
და მოგვიწოდო,
რომ გერწმუნოთ
თქვენ – ახალ ღმერთებს.

სანიკო
თელავი, 1927 წ.

ახალგაზრდობა და თურდოსპირელი

აი, მეორე წელი დაიწყო და ჩვენ მაინც გატაცებით, მაინც ცეცხლით ვკითხულობთ თურდოსპირელის პირველ წიგნს.

მეორე წელია, ჩვენ ეს წიგნი ხელში გვიკავია და ყოველ გადაფურცვლაზე მაინც ახალ სახეს, ახალ სილამაზეს ვხვდებით... და ეს იმიტომ, რომ იგი იტევს იმდენს, რამდენის ამოწურვაც მშრალ სიტყვებს არ შეუძლია.

თურდოსპირელის თითოეულ სტრიქონში სრული სახეა, თითოეული ბწკარი ახალი და საღი აზრია, თითოეული წინადადება აზრის და გრძნობის ერთი შტოა... ჩამოსხმული მხარეა. მისი ნაწარმოებები – დავყოთ წინადადებებად, დარჩება ისეთივე ძალა, ისეთივე სისრულე – არ დაირღვევა, არც გაიბნება უაზრობის გამფანტავ ნავლად. გადაკინძეთ მისი მოთხრობები და მიიღებთ ერთ მთლიანს... არავითარი გაბნევა, არავითარი დაწყვეტა და უგზო-უკვლოდ ხეტიალი სტრიქონებს შორის... იგი მთლიანია, მრავალსახიანი, მრავალსიბრძნიანი, მაგრამ ერთი რამ გვიღრუბლავს სულს და აღტაცებას: მის ნაწარმოებს დაჰკრთის ნელი ბურუსით ნაზი ნაღველი, მის შემოქმედებით სფეროში ბოროტ აჩრდილად იპარება სულის მომნისლავი სახეები, რომელიც მისმა კაშკაშა, მაძიებელმა სულმა უნდა გაჰფანტოს, უნდა უჭკნობი, დაუხავსებელი სულის ძალოვანი სხივებით. ნუ, ნუ გველაპარაკება, ნუ გვაშინებს იმ გარდაუვალით, რომელსაც ჰქვია... ჩვენ არ გვინდა, არა, რომ ის გვეთხოვება, რომ ის გზას გვითმობს... არა, შენ გვაძლევ გზას, შენ მოგვიწოდებ დავგმოთ ობიანი, ხავსიანი ცხოვრება, ვეძიოთ ახალი, საღი ცხოვრება,

ვეძიოთ ქარიშხლიანი ღელვა – გზად მწვერვალებისაკენ.

მაშ, ძვირფასო მგოსანო!

ნუ, ნუ დაეშვები დალმართს!

წინ, წინ რწმენით და იმედებით – შენთან ვართ შენი სათაყვანო და შენი მოთაყვანე ახალგაზრდობა...

ალექსანდრა კრემენსკაია

ფოტოარქივი



დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერნი.
დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი მეორე რიგში მარცხნიდან პირველი.

დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი პირველ რიგში მარჯვნიდან მესამე



ალექსანდრა კრემენსკაია და დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი
აბასთუმანში (1933 წ.)

დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი

დამსვენებლები ცაგერში.
ალექსანდრა კრემენსკაია მეოთხე რიგში მარცხნიდან პირველი.

მარგალიტა გოდერძიშვილი-ზახაშვილისა,
ალექსანდრა კრემენსკაია, სოფიო ზახაშვილი-კრემენსკისა

სოფიო ზახაშვილი-კრემენსკისა და ალექსანდრა კრემენსკაია

ეტლში წინა სკამზე ლამზირა ჩხეიძე (1931 წ.)

ალექსანდრა კრემენსკაია და დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი
აბასთუმანში (1933 წ.)

ალექსანდრა კრემენსკაია

დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი
და ლამზირა ჩხეიძე



18/III-29.

წერილი დავით ჩხეიძის არქივიდან

ალექსანდრა კრემენსკაია

დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი

სოფიო ზახაშვილი-კრემენსკისა და ალექსანდრა კრემენსკაია

დავით ჩხეიძე-თურდოსპირელი, სალომე ბაქრაძე-ჩხეიძისა



წერილი დავით ჩხეიძის არქივიდან



ალექსანდრა კრემენსკაიას
წერილი
(დავით ჩხეიძის არქივიდან)



მზია დავითის ასული ჩხეიძე

დალი დავითის ასული ჩხეიძე

ლამზირა ჩხეიძე,

უკანასკნელი ამანათი ლამზირა დავითის ასული ჩხეიძისაგან,
დავით ჩხეიძე-თურდოსპირელს და
ალექსანდრა ალექსანდრეს ასულ კრემენსკაიას